რევაზ ინანიშვილი

(1926 – 1991)

გამომცემლობა „საქართველოს მასწავ"
თბილისი

წინამდებარე კრებული მორიგი წიგნია სერიისა „ქართველი მწერლები სკოლაში". გთავაზობთ რევაზ ინანიშვილის იმ ნაწარმოებებს,რომლებიც შედის სასკოლო პროგრამაში, შესაბამისი კომენტარიითა და ანალიზით.

ყოველ ნაწარმოებს ახლავს კითხვები, დავალებები, მინიშნებანი ტექსტის საყურადღებო ადგილებზე და ანალიზი. ამასთანავე, თავმოყრილია ქართული სამეცნიერო ლიტერატურაში თითოეულ თხზულებასთან დაკავშირებით გამოთქმული ძირითადი მოსაზრებანი, წარმოჩენილია რევაზ ინანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის თანამედროვე დონე.

წიგნი დაინტერესებს მასწავლებლებს, აბიტურიენტებს, მოსწავლეებს, ფართო საზოგადოებას.

ავტორ-შემდგენელი **ლალი დათაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი

რედაქტორი **გია მურღულია**
ფილოლოგიის დოქტორი

სერიალის პროექტისა და წიგნების შედგენის
კონცეფციის ავტორი **გია მურღულია**

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", 2010 წ.
© ლალი დათაშვილი

ISSN 1987-6688
ISBN 978-9941-16-117-9

UDC(უაკ) 821.353.1.09+37.016:82.09
ქ-279

* * *

ძე ძაინცა დავნერ. ან ვიცი. ვისთვის. ლილეჭისა თუ ანცაპრეჭისთვის. ძაეფრაძ ძაინცა დავნერ ჯალაჯის ეანაპრა ხრიოკეჭში ცანჯვით ძცხოვრეჭ ხვეჭზე. ადაძიანთა ძიერ ჩაფეყლ და ძყდძივი ცანჯვისთვის ეანწიფყლ ხვეჭზე. ზედ ძეძოძსხლაფ ჩიცეჭზე. ნაადფვად დაცვენილ ძათ დახფყყლ ფოთლეჭზე. წყფოძით დაძავალ ლიდ ჯიანჯვილეჭზე...

ფვეაზ ინანიძვილი

რევაზ ინანიშვილის თვალით

* * *

— აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპრყობს ფიქრი, — სადღაც ვიღაცას სცივა, სადღაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას, — უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.

("ჩანაწერები სამგიდო რვეულებიდან")

* * *

სამყაროს პოეტური აღქმა წყაროა ტკივილებისა. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, მშვენიერება ხომ თვითონ შეიცავს ტკივილს. მაგრამ იგივე აღქმა წყაროა სიმტკიცისაც. ესაა სწორედ ის, რაიც მშველის, რომ არ გავბოროტდე. მამადავითის თაღზე ხეების კენწეროზე წამოდებულ ნისლს შეუძლია ბევრი რამ მაპატიებინოს ბევრისათვის.

("ჩანაწერები სამგიდო რვეულებიდან")

* * *

„ახლა სული მტკივა და ამ ტკივილის დაყუჩებას პატარ-პატარა სიკეთეების გამოჩინებით ვცდილობ. რატომ მტკივა სული? მეჩვენება, რომ ქვეყნად სიყვარული კლებულობს"

(„ქარი ნოემბრის ტყეში").

* * *

„კეთილი სილამაზე ძალიან ცოტაღა დარჩა ქვეყანაზე და ოქროს მარცელის პოენასაეით განვიცდით ყოველ პაწაწინა ნიმუშის აღმოჩენას".

(„მოხუცი მწერალი").

* * *

„მოხუცს მშვიდი მოფერება უნდოდა. ბალახებსაც უნდოდათ მოფერება, წახრილიყვნენ ალერსიანი ხელის მოლოდინში. მოხუციც დიდი სიამოვნებით შეუშვერდა ალერსიან ხელს თავს, მაგრამ ასეთი ხელი არ ეგულებოდა ამ ქვეყნად.

(„წეიმა“).

* * *

... და მაინც — მწერალი უფრო უნდა წააგავდეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგაერი ჭირ-ვარამისა, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულებს, ათბობდეს შეციებულთ, აწყნარებდეს, მიწისკენ ეწოდეს აღზევებულთ, აპარპაშებულთ.

(“ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან”)

* * *

... რა თქმა უნდა, განუსაზღვრელად დიდია დავით აღმაშენებლის ღვაწლი. მარტო ის რად ღირს, თბილისი რომ დაუბრუნა საქართველოს. მაგრამ დაარქვით ამას, რაიც გნებავთ, ბედისწერა თუ სხვა რამ, მხოლოდ თამარს კი ხვდა წილად ნაბრძოლზე, აღშენებულზე უდიდესი სულიერი მოსაელის აღება. სახელმწიფო საზღვრების ზრდა და თუნდაც შენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერის დიდებულებას. მთავარი სულიერი კეთილნაყოფიერების გამოვლინებაა. თამარის ეპოქა კი სწორედ ამგვარი სიკეთითა და სიქველით სუნთქავს. თამარს რომ არ ექცია ბრძოლებით მონახვეჭი საუნჯენი დიდ სულიერ სიმდიდრედ, ოციოდ წელიწადში მონგოლები მაინც მოვიდოდნენ, და დაერჩებოდით ხმლის კარგ მხმარებლებად, საქმიანებადაც, მაგრამ არა რუსთაველის პატრონად... რუსთაველი ჩვენი ერისთვის ყველაზე მაღალი, ფასდაუდებელი ღირებულებაა.

(“ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან”)

* * *

ყველაფრის ლექსად ქცევა როგორ შეიძლება, ძმებო!

(“ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან”)

მწერალი

ბორპერტიდან

.

მწერალმა სახელი უნდა დაარქვას შენობას, რომელსაც სხვა ეიღაცანი აშენებენ. მაგალითად, ასე: „მსუქანი ძიების სახლი" ანდა „ერის მამიკოების სახლი". შენობის ცალკეულ ნაწილებსაც მან უნდა დაარქვას სახელები. ავადმყოფი მანდილოსნის ოთახს — „კაეშნის ოთახი", სხვენის პატარა ოთახს, უცოლშვილო ბერბიჯა რომ ცხოვრობს — „განდგომილი ბუს ოთახი", სარდაფს კი — „დილეგი". მწერალს უფლება არა აქვს „საკანე" უწოდოს სარდაფს, საიდანაც სამი წყეული ბავშვური თვალი ამოპყურებს გამელელთა ფეხებს.

მწერალს თუ ფანქრის აღების უფლებას არ აძლევენ, უნდა გამძეინვარდეს. უნდა შეეცადოს, როგორც ამას პატიმრები სჩადიან, კოვზის ბოლოთი მაინც ამოკაწროს თაეისი სათქმელი კედელზე. თუ იგი, ბელისგან განწირული, ამას არ იზამს, მწერალი არ არის.

მწერლის ნაწერს რომ სხვა სახლებში წაიკითხავენ, ასე უნდა ამოიძახონ: „ოპო, აი, როგორი ეიღაცებიც ყოფილან ჩვენში!" არაეითარი მნიშვნელობა არა აქვს, მწერალი გრძლად წერს თუ მოკლედ. მთავარია, მწველად წერდეს.

მწერალი სულ მაღლა უნდა ცხოვრობდეს, ნამგალებთან და ღამურებთან. იქიდან ყოველთვის თვალწარმტაცი სურათები მოჩანს. თვალის წარტაცება კი მშვენიერებაც არის და სიბრძნეც.

მწერალს თუ პატივცემული საპოლიციო უბნის უფროსი ეწვევა, — ისე, უბრალოდ, თაეის შესახსენებლად, — უბნის უფროსს ყელში უნდა ამოებჯინოს ქონმოდებული გული. თუ ძირს გადაიხედა, თაებრუც უნდა დაესხას, მაგრამ მწერალმა ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოს, უბნის უფროსის შეიდფუთიან გვამს ეს ყოველივე წამლად შეერგება.

მწერალს შეუძლია ღამ-ღამობით ვარსკვლავებსაც უყუროს და ტკბილადაც ჩასთვლიმოს, მაგრამ ეაი, მას, თუ პირველმა მან არ იგრძნო, სახლს რომ საფრთხე ელის. საფრთხის მოლოდინში მან იქამდე უნდა უბეროს საყვირს, სანამ ფილტვები დაუსკდება.

მწერალი რომ მოკვდება, ერთი ამოსუნთქვა შვებით უნდა ამოისუნთქოს ყველამ, უპატიოსნოებმაც და პატიოსნებმაც. უნდა მოეჩეენოთ, რომ დაისვენეს. დრო რომ გავა, მაშინ უნდა იგრძნონ დანაკარგის რაობა. მერე უნდა მივიდნენ მწერლის ღარიბულ საფლავთან და ნაღვლიანად დახარონ თავი. გაოცებულთვალებიანმა მშვენიერმა გოგონამ კი, მკაცრად ტუჩებმოკუმულ ბებიას რომ უდგას გვერდით, მოკრძალებით

უნდა დაადოს მწერლის საფლავს იების პაწაწინა კონა. აი, ასე მიტანილი იების პაწაწინა კონებია მწერლობის ნამდვილი ფასი.

—

* * *

მე მინახავს გალაკტიონი ქუჩაში. ის ან დათრგუნვილი იყო, ან აღტაცებული, აღტაცებული სამყაროს საოცრებებით, შეიძლება, ისეთი ყოველდღიური რამეებითაც კი, როგორიცაა — მატარებლის გადავლა ხიდზე, ან და ტრამვაის ბუგულის წყრომა, ცეცხლს რომ ყრის მოსახვევებში, არასოდეს – ყოველისმცოდნე და ყოველისშემძლე ბრძენი.

მე მინახავს გალაკტიონი უმშვენიერესიც. ერთხელ:

დეკემბერი იყო, ბურუსიანი ცივი დღე. იმ ბურუსიდან თითქოს სიფრთხილით ჩამოდიოდნენ თოვლის მსუბუქი, ფერმკრთალი ფიფქები.

სადგურის წინ, ტრამვაის გაჩერებათან, აფუსფუსებულ ხალხში, მონუმენტივით იდგა ახოვანი, წვერმოშვებული გალაკტიონი. ტალახიანი ჩექმები ეცვა (ჩანდა, მატარებელს ჩამოპყოლოდა საიდანღაც) მურა პალტოზე შინდისფერი ყაბალახი პქონდა გადაგდებული, ნასვამი იყო. თავი მაღლა აეწია და მომეჩვენა, რომ Mმღეროდა თუ... ლოცულობდა.

მეორედ:

1952 წელს ნაეთლულის სადგურთან არსებულ რკინიგზელთა კლუბში, სადაც მას შეხვედრა მოუწყვეს, ეგონებ, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით. სიტყვებით მიმართეს ბიბლიოთეკის მუშაკებმა, რკინიგზელებმა, ჩემმა მეგობრებმა — მაშინ სტუდენტებმა ვახტანგ გოგოლაშვილმა და მარლენ კიტიამ. შემდეგ გამოვიდა გალაკტიონი და წაიკითხა ლექსები თავისებური აჩქარებით, თრთოლვით — დროშები ჩქარა", „რევოლიციურ საქართველოს" და სხვა. მე არც ასეთი შთამბეჭდავი წაკითხვა მომისმენია, არც ასეთი მშვენიერება მინახავს სცენაზე, და არც ასეთი აღტაცებული დარბაზი. გალაკტიონი ერთდროულად დარბაზსაც მიმართავდა და ზეცასაც. როცა, ბოლოს, ირგვლივ შემოხვიენენ, იგი, განათებული, ცრემლს ძლივს იკავებდა, ან უფრო — ვეღარ იკავებდა...

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

აი, რა საოცრად ხედავს ეაჟა: „საყვარლად მოპრთავს ბებერი, ნამიან ბალახს ბოლითა"... დაძველებულ, მაგრამ მაინც საკმაო ძალის მქონე თოფზე ათქმევინებს მონადირეს.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

მე გეტყვით, რატომ ეწუხვარ, ბავშვებს ხელოვნებისაკენ რომ უბიძგებენ მშობლები, ე. ი. უნდათ გაზარდონ მხატვრებად, მუსიკოსებად, მწერლებად. თუ ისინი კარგი ხელოვანნი არ გამოელენ, საცოდაევები იქნებიან სხვების თვალში, თუ კარგები — მაშინ ტანჯულნი ცხოვრებაში.

აი, ბეთპოვენი: „ჩემი ტანჯვისგან ვქმნი სხვათა სიხარულს"...

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

დაეჯექი და გადაეწერე მთელი ორი გვერდი ვაჟა-ფშაველს მოთხრობისა „ამოდის, ნათდება". მაინტერესებდა, როგორ დაიწერებოდა, როგორ მიიღებდა ჩემი სხეული ვაჟასეულ ფიქრებს და ფრაზებს. დიდი სიტკბო ვიგრძენი. მაგრამ იმაშიც დავრწმუნდი, რომ მე მაინც ცოტა სხვანაირად დაეწერდი. უფრო ნერვიულად, ალბათ.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

ლადო ასათიანს ასეთი ჩანაწერი აქვს: „რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ვახტანგი, შოთა, ოთარი, რამაზი, მეგი და სხვა გმირებია თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე აქვთ? რა აცვიათ? ხშირად ავტორს აღარც კი ახსოვს, როგორები არიან მისი ნაწარმოების უსისხლხორცო და უსახო გმირები. აბა, დაიძახე: ლუარსაბ თათქარიძე! ოთარაანთ ქვრიეი! ტარიელ მკლავაძე! სოლომონ მორბელაძე! მოსე მწერალი! ერემია წარბა! სპირიდონ მცირიშვილი!" ამას რომ წერდა, ლადო იქნებოდა ოცდახუთი წლის. რა თქმა უნდა, შეგეიძლია თავის დაცვაც, მაგრამ ლადო მაინც მართალი იქნება ჩვენზე.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

— ერთ რამეს გკითხავთ, ბებო, და არ გეწყინოთ, რა!

— ორი მკითხე, შვილო.

— სიკვდილისა გეშინიათ, თუ არა.

— აბა, შემომხედე, მე უნდა მეშინოდეს იმისი, თუ იმას ჩემი?

რას ვეძებ თქვენს ნაწერებში? რამდენად მაღალია მათში პოეტური

ᲗᲣᲚᲘ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲗᲠᲗᲘᲡ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪᲐᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲪᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ... ᲐᲠᲐᲐᲛᲥᲔᲔᲣᲜᲘᲣᲠᲘ ᲨᲣᲥᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲓᲐᲜ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲜᲐᲮᲐᲕᲔᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ.

("ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲠᲔᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ")

* * *

„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ“: „ᲒᲣᲠᲐᲛ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲛᲞᲣᲚᲡᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲚᲘᲚ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲗᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ... ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲨᲘ „ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔᲚᲘ“ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘ“...

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲡᲔᲕᲓᲐ! ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲝ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲡᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲩᲕᲔᲜᲝ: ᲔᲡ ᲮᲔᲐ, ᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲔᲡ ᲛᲔᲡᲔᲠᲘ, ᲔᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲔᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ!..

("ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲠᲔᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ")

* * *

„ᲐᲠ ᲒᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲖᲔ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲘᲟᲔᲑᲖᲔ ᲬᲔᲠᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ? ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ... ᲓᲦᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ, ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲖᲔ, ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲐᲕᲨᲔᲧᲠᲘᲚᲖᲔ, ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲖᲔ“...

ᲔᲜᲐᲡ ᲙᲑᲘᲚᲡ ᲓᲐᲕᲐᲭᲔᲠ, ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲡ, ᲠᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ „ᲘᲖᲛᲘᲡ“...

ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲬᲔᲝᲔᲑᲡ, ᲘᲒᲘ ᲛᲝᲡᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲐᲜᲗᲔᲝᲡᲘ, ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲫᲐᲚᲐᲡ.

("ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲠᲔᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ")

* * *

მინახავს, რა ენით უთქმელი მწუხარება ეხატა ბოლო წლებში დემნა შენგელაიას — „ბათა ქექიას", „ცისკრის", „ოროველასა" და „მორდუს" ავტორს. მე მაშინ მაოცებდა ეს მწუხარება.

("ჩანაწერები სამაგიდო რეუულებიდან")

* * *

„რევაზ ინანიშვილი... გვხიბლავს ის დიდი სითბო, ადამიანური სიკეთე, რაც მწერალმა სტრიქონებს გააყოლა, მაგრამ ზოგჯერ ჩნდება ფიქრი, რომ მან თავის დიდ შესაძლებლობას თითქოს განგებ შეაკვეცა ფრთები — უარყო, როგორც წმინდა ეპიკური, ისე კონცეფციური პროზა — უარყო გმირი — დიდი ვნებების, წუხილის, ოცნების ხატი"... ამის დაწერისას კრიტიკოსს წინ ედო „უფსკრული ქალაქში". ეს პატარა მოთხრობაც კი უკონცეფციო ყოფილა მისთვის. უთუოდ უკონცეფციოა ტაკუბოკუს ლექსიც; „На песчанном белом берегу островка в Восточном океане я, не стирая влажных глаз, с маленьким играю крабом".

("ჩანაწერები სამაგიდო რეუულებიდან")

* * *

პოეტები, მათ შორის ჩემნაირი პროზაიკოსი პოეტებიც, ყოველდღიურად იტანჯებიან ერთი რამის შეგრძნებით: წუთებად და წამებად ათელილ ჩვენს საუკუნეში ისინი ვერ მუშაობენ სტაბილურად, გეგმიანად. დადიან, დაყიალობენ, და მხოლოდ მაშინ მიუსხდებიან სამუშაო მაგიდას, როცა მზა ლექსი, ანდა ნოველა ჩაწერასღა მოითხოვს.

სულ სხვაა რომანისტი. რომანისტი დილით დანიშნულ დროზე დგება, მიუჯდება მაგიდას და შეუდგება თანაზომიერ მუშაობას. ყოველდიური ნორმის შესრულება მას კარგ ხასიათზე ამყოფებს, ეპოქის რიტმში ზის.

სრულიად გამორჩეული სახეებიც აქვთ ქუჩაში რომანისტებს.

("ჩანაწერები სამაგიდო რეუულებიდან")

* * *

გაგრაში, მწერალთა სახლის სასადილოში, ჩვენი მაგიდის ახლოს ადგილი მიუჩინეს პოლონელ ცოლ-ქმარს. კაციც ხნიერი იყო, ქალიც. მაგრამ ქალს ახალგაზრდულად ეჭირა თავი, ახალგაზრდულად ეცვა,

— წელში ძალიან გამოყვანილი კაბა, მოხდენილად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, — ახალგაზრდული სიყოჩაღით დაღიოდა, თვალები თითქოს სულ სიხარულით უბრწყინავდა. რუსულს ცოტა შეყოვნებით ლაპარკობდა, ამიტომ, თუ ვინმესთან გამოლაპარაკება სურდა, ეკითხებოდა, — გერმანულად ხომ არ შემიძლია მოგმართოთ, ან ფრანგულად? გვიანი შემოდგომა იდგა და მწერალთა სახლი თითქმის მთლიანად დონეცკელ მეშახტეებს პქონდათ დათმობილი.

პოლონელები ორი დღის ჩამოსულნი იყვნენ, რომ ცოლი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— თქვენ ხომ ქართველი ხართ?

— დიახ, ქართველი.

— პოეტი?

— არა, პროზაიკოსიევით.

— რატომ პოეტი არა? როგორ შეიძლება, ქართველი იყოთ და პოეტი არ იყოთ! აი, მე პირველად ვარ საქართველოში, ძალიან მიყვარს ჭადრაკი. თქვენც, ალბათ, რა თქმა უნდა. სულ მიკვირდა, ვინ არიან ეს ქართველები, რატომ ყავთ უნიჭიერესი მოჭადრაკე ქალები! ეს ორი დღეა დავდიავარ ქუჩებში, თვალებში ვუყურებ ქალებს, და თუ ვამჩნევ, რომ ლამაზი, ჭკვიანი თვალები აქვს ვინმეს, ვაჩერებ, ვეკითხები და ყველანი მომიგებენ, დიახ, ქართველები ვართო. ახლა უკვე ცხადია, რატომ გყავთ ჭადრაკის დედოფლები, მაგრამ ეს კი ძალიან მიკვირს, თქვენ რომ პოეტი არა ხართ, როგორ, შეიძლება, ამდენ მშვენიერ თვალებს ხედავდეთ და პოეტი არ იყოთ, ეს დაუშვებელი, ეს არ გეპატიებათ, არავითარ შემთხვევაში... მე თქვენთან საქმე აღარა მაქვს.

და წავიდა, წაგოგმანდა მომხიბლველი ღიმილით.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

ჩვენი მწერლობის დიდი ნაწილი ცუდად მეტყველებს. მოზღვავებულია კეკლუცობა: არქაიზმით, პროვინციალიზმით, ევროპეიზმით, ტემპერამენტით, ფლეგმატურობით... და იშვიათად ისმის ქართული მოქალაქის – დარბაისელის, ჭკვიანი, განათლებული, თავდაჭერილი მოქალაქის ხმა.

როდესაც ეს ერთგან ვთქვი, შემომაჩერეს N. მე ვუთხარი, ქალაქელობა და მოქალაქეობა ერთმანეთში ნუ გერევათ-მეთქი.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

მშეენიერი ნათქვამი — „მომხმარებელთა პოეტი", „მომხმარებელთა მწერალი... მრავალი უნიჭიერესი კაციც კი ხშირად ამ „მომხმარებელთათვის" მუშაობს.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

თქვენ გაშფოთებთ დაღმავალი ხაზები ჩემს მოთხრობებში. მე, პირიქით, კმაყოფილი ვარ. არ არსებობს წრეზე უკეთესი სისრულე, წრე კი ორიეეს შეიცავს, როგორც აღმავალ. ასევე დაღმავალ ხაზებსაც.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

ჩვენ უკვე ნაკლებად გვჯერა სილამაზის ძალისა. ეს იმიტომ, რომ ვერ ვასწრებთ, ჩავწედეთ ნამდვილ სილამაზეს, ძალიან „დაკავებულები ვართ" რაღაც უფრო მნიშვნელოვანებით.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

თქვენ ლიტერატორი ხართ. თქვენი სარბიელი წიგნიდან წიგნამდე მანძილია. ის მწერალი იყო, ნამდვილი მწერალი, და როცა ყინულოვან წყალზე უნდა დაეწერა რამე, თვითონ მიდიოდა, თვითონ დგებოდა იმ ყინულოვან წყალში და თვითონ იჭრიდა ყინულებზე ფეხებს.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

პემინგუეი — ჭვრეტითი, მაგრამ მტკიცე დისციპლინირებული! აღარაეითარი – ძველი მთხრობელობისა. სულ იგრძნობა, რომ ქვეყნად უკვე არსებობს კინო.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

— დაიწოს, დაიწოს სიკვდილის მომგონი. — მოსთქვამდნენ ქალები სიონის ავტობუსში.

ერთი ფშაველი ქალი იჯდა — შაეი, შავადმიმხმარი, მწვანე ფოთლებაყოლებული შაეი წინდის მქსოველი — იმან თქვა:

— ნუ ლაპარაკობთ სისულელეებსა. სიკვდილი რომ არ იყოს, ხო ჯოჯოხეთზე მეტად აქ გაუჭირდება ადამიანსა. როცა ძალიან, ძალიან გეიჭირს, რო აღარა გვაქ სულის მოთქმის სახსარი, სიკვდილი მაშინ მოდის და გვანთავისუფლებს ტანჯვისაგან.

უნდა გეიკვირდეს, რომ ასეთმა ქალმა შვა ვაჟა-ფაშველა?!

("ჩანაწერები სამაგიდო რეეულებიდან")

* * *

თუ ჩაპკიერებიხართ, რას ნიშნავს კახური — „რავი", ანუ „რა ვიცი?! ეს ორი სიტყვა კედელზე მაგარია, რომელსაც ცერცეს შეაყრიან ხოლმე. ეკითხები მოწაფეს, — რატომ არ ისწავლე გაკვეთილი? მოგიგებს, — რა ვიცი! ეკითხები შვილს, რატომ არ მოიტანეს შეკვეთილი წამალი? მოგიგებს, — რა ვიცი! ავადმყოფის ცოლიც კი, ავადმყოფი რომ კვდება და წყლის მიმწოდებლად არ დახედავს არაეინ, ბოლოს რომ შეპგმინავს, — მაშ, ერთხელ მაინც არ უნდა შემოგეხედათ, იქნება უკვე მოვკვდი? ცოლი მიუგებს, — რა ვიცი! მოკვდება ვინმე და იქაც, — რამ მოკლა? — რა ვიცი! არ იცის კი არა — რა იცის! და ეს წყრომითი პასუხი კი არ არის, ჯიბრით ნათქვამი კი არ არის, კანს ზემოთ იოლად გადასატარებელი საგვემურია, რომელიც გამოიმუშავა ხალხმა ათასობით ავბედობის წლებში.

("ჩანაწერები სამაგიდო რეეულებიდან")

მე ვწერ, ჩემს სულს რომ ლოცვა დასჭირდება...

(რევაზ ინანიშვილი – პიროვნება)

„დაბეჯითებით შემიძლია ჩემი შნშენა გამოვთქვა. თუ ვცდები. მხოლოდ ყველის წინაშე ვიხდი ბოდიშს. ყამოყლ მნეშ-ლობაში მე იგი შოეოშც შემოქმედი და შოეოშც-ადამიანი. ნმინდანად მეეყლება."

მაკა ჯიხაძე

* * *

ჩვენი სული ბავშვების მიერ აშენებულ ხუხულას ჰგავს. ყველა, ვინც კი გვხვდება, თითო კუბიკს მაინც ადებს ზედ, ანდა, პირიქით, მიაქვს. და ეაი, რომ ამ ადამიანთა შორის არიან ასეთები, რომლებიც ორი ხელით, უბით, მთელი კალთით იტაცებენ იმას, რასაც თითო-თითოდ დებდნენ სხვები...

სამაგიდო რეეული I. 1966 წ.

* * *

თერთმეტი წლის რომ გავხდი, უკვე თბილისში ვცხოვრობდით, დღევანდელ მონტინის ქუჩაზე, კლდეს მიკრულ პატარა ქოხში. ჩვენს მაღლა ბაღჩა იყო, სახლის პატრონს მოპყავდა მწვანილეული, ედგა მზესუმხირაც, სიმინდიც. ბაღჩიდან იწყებოდა გორა. იმ გორაზე ასული, ეხედავდი შორს წასულ ბორცვებს და ჩაღრმავებებს. ჩაღრმავებებში მინახავს თეთრად ჩაწოლილი ნისლი, ბორცვებზე — გაბრწყინებული თრთვილი და კირჩხლი. ისხდნენ შუბლშეკვრით რაღაცის მომლოდინე ყვავებიც. და სულ მეგონა, რომ ერთ-ერთ ჩაღრმავებაში იყო ცისფერი ტბა, მთლად პატარა, მაგრამ ძალიან ღრმა ტბა. ის ტბა საესე იყო თევზებით. ფიქრებში და სიზმრებში ვიჯექი შემწვანებულ ნაპირზე და ანკესით ვიჭერდი ფართხალა გრილ თეთრ თევზებს...

მერე დაიკარგა გრძნობა იმ ფიქრისა და სიზმრისა. დღეს ის ადგილები სულ დასახლებულია. მაგრამ ჩემში დღესაც ისევე არსებობს ის ტბა, როგორც ორმოცდახუთი წლის წინათ. გადატეხილ ძირტკბილასაც კი ვხედავ მის ნაპირას.

("ჩანაწერები სამაგიდო რეეულებიდან")

ბებია – ჩემი მზე

პირველად არ ვწერ მასზე. ჩემი მოთხრობების რამდენიმე პასაჟი მიძღვნილია მისადმი, მაგრამ მხოლოდ დღეს მეძლევა საშუალება, ვუყურო მას, არა როგორც მოთხრობის პერსონაჟს, არამედ ჩვეულებრივ ჩემს მახლობელ ადამიანს.

როგორც ამ ჩანაწერების დასაწყისშიეე მოგახსენეთ, ჩემი დაბადების შემდეგ დედა ცუდად გამხდარა, სულ გული მისდიოდა თურმე. მე ბებიას ვებარე, ის მიელიდა, ის დამატარებდა სხვათა ძუძუს მოსაწოვებლადაც. ოცდაორი წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, სახის ნაკვთებით როგორი იყო. ის იყო საერთოდ ბებია, თალხებით შემოსილი (მის კაბებს ყოველთვის ასდიოდა ბუხრის კვამლისა და დამწვარი რძის სუნი), ძველ ქართულად ზრდილი, ტკბილი, თბილი, იმედიანი. საცა ის იყო, მეც იქ ვიყავი. საცა მე, ბებიაც იქა. თუ ფეხზე იდგა, კალთაზე ვიყავი მიკრული, თუ იჯდა, კალთაში ვიჯექი.

გაეიდოდა ბაღჩაში და ვენახში სამუშაოდ და მეც თან მიეყავდი. მე დამახურებდა წვერებწაკვანძული ცხვირსახოცის ქუდს, თვითონ დაიწყებდა ხახვის მარგვლას, ან პამიდორის ახვევას და, — გამომართვი ნამარგლი და ბილიკზე დაყარეო, მომაწოდე სახვევიო, კიდევ მომაწოდე სახვევიო, — საქმეში გაეყავდი. მე მახარებდა ეს, შინ ნაჯაფარი კაციკით ებრუნდებოდი. ბებია კი თან მამუშაებდა, თან მიხსნიდა, რა რას წარმოადგენდა ადამიანისათვის. დამამახსოვრდა კარტოფილზე თქმული: ადრე, შვილო, ჩვენშიაც და სხვაგანაც ხშირად იცოდა შიმშილობა, ჩამოდგებოდა რამდენიმე კვირას ძლიერი გვალვა, მოსწვამდა, მოფშრუკავდა ყვავილობისას პურეულს და დაიმშეოდა ქვეყანა. მაგრამ მას შემდეგ, რაც კარტოფილი შემოიტანეს ამერიკიდან, უპურობა ისე ვეღარ აწუხებს ადამიანებს, კარტოფილი დიდ სიცხვებს ასწრებს, მაწვერობით კი დიდად არ ჩამოუვარდება პურს, თან დიდი მოსავალიც იცისო.

გაიელვებდა ჩვენგან სამხრეთით, სამგორის გასწვრივ და გაღიმებოდა ბებიას: ღმერთო, ღმერთო, ჯავახეთისკენ წვიმს, საქართველოს პური არ გაუჭირდებაო. ვინ იცის, რა დროიდან იყო წამოსული ეს რწმენა!

აიღებდა ზაფხულის სიცხეში კიტრს, წააჭრიდა თავს, და იმ წანაჭერს მომაკრავდა შუბლზე, მერე ნათალებსაც მომაკრავდა ცხვირზე, საფეთქლებზე, ნიკაპზე. თვითონაც მიიკრავდა ნათალებს, თან კიტრს გვახლებოდით, თან იმ სიჯანსაღის ცერემონიალით ვტკბებოდით.

მაჭმევდა ვაზის პწკალებს, მაყელის ძალიან ნორჩ ყლორტებს, ყინტორასა და სხვა ხილის წაკალუკს.

ახლაც ხომ დიდი თავი მაქვს და პატარაობისას მთლად დიდი მქონია. ერთხელ ერთ უცხო კაცს უთქვამს ბებიასათვის: ეს ბიჭი ან გენიოსი გამოვა, ან ოლიგოფრენიო. ბებიას იმ წუთში ვერ გაუგია, რასაც ნიშნავდა ოლიგოფრენი, მერე, რომ უთქვამთ გაცეცხლებულა, — დაუბრმავდეს თვალები, ჩემი ბიჭის თვალების პატრონს ოლიგოფრენობისა რა შეატყოო. ეს რომ გავიგე, მეც დავიწყე თავმოწონება ჩემი თვალებით, ვახამხამებდი და ვახამხამებდი. ახლა ამაზე შეიწუხა ბებიამ გული, — ვაიმეო, რა გემართებაო! თავშიშველი რომ დადიხარ მზეში, მაგიტომაო.

წლისა რომ გავმხდარვარ, — წინათ ჩვენში ასეთი რწმენა ჰქონდათ, — დავუსვიეარ, შემოუყრიათ ირგელიე სხვადასხვა ხელობის იარაღები: კოჭებიანი საანგარიშო, წალდი, სადგისი, ასტამი, კალამი, ნალი, ხერხი და კიდევ სხვა რაღაცეები. რასაც პირველად მოჰკიდებდა ბავშვი ხელს, იმ ხელობის კაცი გამოვიდოდა. ბებია მეტყოდა ხოლმე, შენო კალამს დასწვდი მაშინვეო. არა მჯერა, ერთი წლის ბავშვმა, კოჭებიანი საანგარიშოს გვერდით, კალამს წაატანოს ხელი, მაგრამ ეგრე იყოო, დაუდასტურებია დედასაც და მეც, მეტი რაღა ძალაა, ვუჯერებ.

წერა-კითხვა ძალიან პატარას მასწავლა ბებიამ. ეს სულ კარგად მახსოვს, წერა-კითხვაც მასწავლა და დათვლაც. დათვლა მარტო ქართულად კი არა რუსულად და თათრულადაც. გამორჩეულად მსიამოვნებდა ეს თათრული დათვლა. ერთხელ მამიდაჩემის მულის ქმარი, მენშევიკური მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის ნამინისტრალი დავით ჭიაბრიშვილი იყო ჩვენთან სტუმრად. რომ ნახა, რეები ვიცოდი, მოდი, საათის ცნობასაც გასწავლიო. დაიბჯინა მსხვილი, კორძებიანი ხელჯოხი, დაიხარა და დამიწყო ახსნა — რა როგორც იყო ჩვენს ენიან საათზე, საამურად რომ გაჰქონდა ტიკ-ტაკი. ჩანს, ისე ნათლად ამიხსნა ყველაფერი, ის დღე იყო და საათის ცნობაც ვიცოდი.

თუ ჟინჟღლავდა, რა თქმა უნდა, ზაფხულში ბებია და მე ვისხედით აივანზე და გადავყურებდით ქვეყანას. მე ტახტზე მქონდა აკრეფილი ფეხები და რაიმე თბილიც წაფარებული ზედ. ჩვენს წინ და ზემოთ სახლები არ იყო. წინ იყო ჩანისლული დიდი ივრის ჭალა, ზემოთ — სულ ვენახები. იმ ჭალაში ვენახებსა და გორაკებში იდუმალებით გამოირჩეოდა ორი მთა, ერთი ამბარა, მწოლიარე კაცის კეხიანი ცხვირივით ამომართული მაღლა, მეორე — იალნო, დიდი იალნო. ბებია მიყვებოდა ბიბლიურ ამბებს; როგორ წახდა ქვეყნიერება, მართალს რომ აღარ ამბობდა აღარავინ, როგორ უბრძანა უფალმა ნოეს, აეგო კიდობანი... ააგო კიდობანი ნოემ

— უზარმაზარი, უზარმაზარი, შეიყვანა შიგ ყოველი ცხოველისა და ფრინველის დედალ-მამალი. დაიწყო წარღვნა, კამეჩი დარჩენილიყო გარეთ, — ნოე! ნოე! ნოე! — იძახდა საბრალობლად. შეიყვანა კიდობანში კამეჩიც ნოემ. გაგრძელდა წარღვნა ორმოცი დღე და ღამე... მთელი სხეულით განვიცდიდი ამ ამბებს, ვეხუტებოდი ბებიას...

ბებია მასწავლიდა ძალიან კარგ ლექსებსაც: „ვარდმა გასძახა ბულბულსა, ეგ ბაღი დამიცალეო, განა სხვა ბაღი არ არის, რა ჩემთვის მოიცალეო", ანდა: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა, სიცივეს კაცი მოუკლავს, აგერ, საწყალი, გორაესა", ანდა: „ნეტამც არ ჩაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა, წამოგიქროლებს ალალი, წაგიღებს მაღალ მთაზედა". ეს მაღალი მთა — იალნო იყო. იქ მიპქონდათ ალალებს ნიბლიები, იქ ფანტავდნენ მათ ნაზ ბუმბულებს. ჩამოჯანღულ, ჩამოღამებულ იალნოზე დააბოტებდნენ დიდი, წითელპირიანი დათვები, ისხდნენ ჩასაფრებულნი მაღლა თავაწეული მგლები, ხროვად გარბოდნენ ჩხავანა ტურები. ზოგჯერ ტურები მოდიოდნენ ჩვენთანაც, ჩვენი კაკლის ქვეშ, იქ ასტეხდნენ კივილს და გააგიჟებდნენ ძაღლებს...

ყოველი დაძინების წინ მე ვიტყოდი ლექსს: „დავწეები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დამესვენება". ბებია გადამსახავდა პირჯვარს: „ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი", — და მშვიდად დამეძინებოდა.

თუ რამდენად ვიყავი შეკვეთილი ბებიასთან, ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოვყვები. ციებით დაშინებული ხაშმელები, ვისაც რა შეეძლო, ზაფხულობით, ერთი-ორი თვით მეზობელ სოფლებში გადადიოდნენ. ერთხელ, მამამ და ბიძაჩემმა, დედის ძმამ, ჩაგვსხეს მთელი ორი ოჯახი დიდ ფურგონში, ჩატვირთეს უკან ლოგინებიც და წაგვიყვანეს მუხროვანში, ბავშვები ჰაერს გამოიცვლიან და გაკაჟდებიანო. ბიძაჩემი იქ მუშაობდა, რუსის ოჯახში ეკავა პატარა სახლის ზედა სართული.

მე მომეწონა ეს მგზავრობა: იორში გასელა, ყანებსა და სათიბებს შორის სიარული, ჩადაბლებულში პატარა ლურჯი ტბა, მერე კლდეები, მუხნარი ტყე. მუხროვანში, სანამ დიდები პურობდნენ (ერთი რუსი მალ-მალ ყვიროდა, — გაუმარდჟოს!), ჩვენ, პატარები დავრბოდით, ვიმალებოდით ვეება ძირხვენებში, მეც ვიცინოდი სხვებთან ერთად, მაგრამ რომ დაღამდა, ქალებმა ლოგინების გაშლა დაიწყეს, მე ტირილი ავტეხე — ბებოსთან მინდა, ბებოსთან მინდა-მეთქი, დამაჭანჭყარა დედამ, მოიხსნა ქამარი მამამ, მაგრამ არა და არა, არ გაჩუმდი, — აქ არ დაეიძინებ, ბებიასთან მინდა-მეთქი.

მაშინ მოვიდა ბიძაჩემი, — მოიცათ, ხალხო, არ გადაერიოთ

ყმაწვილიო, შეაბა ფურგონში ცხენები, ჩააგო რბილად თივა, ჩამსვა, წამოიღო პრიალა რუსული შაშხანაც და იმ გვიან ეახშმობას, საერთო ჩოჩქოლში, წამომიყვანა ხაშმში. კიდევ კარგი, რომ მთვარე ანათებდა, თორემ იმ დროს არც თუ უხიფათო იყო იორში გასელა. ბიძაჩემმა, ჩემს გასამხნევებლად, სამჯერ ისროლა შაშხანა, სამჯერვე სულ შეაჯერა მთები, მერე თვითონ წაუძღვა წინ ცხენებს წყალში, ისე გავედით გაღმა და შუაღამისას მიპგვარა თავისი დიდთავა შვილიშვილი ბებიას. რომ გავფრიალდი და მივეხუტე კალთაზე, ასე მგონია, იმ კალთაზვე მიმეძინა ისევე.

დაუსრულებლივ შემიძლია ლაპარაკი ბებიაზე, მაგრამ აქ ჯერ-ჯერობით კმარა.

* * *

შენ იყავი პირველი მწერალი ქვეყნიერებაზე, შენსკენ იშვერდეს ყოველი გამელელი თითს, — აგერ ის, აგერ ის! შენ იყავი უმდიდრესი, უბედნიერესი ამ სიმდიდრით, მე მირჩევნია, უცნობად ვიჯდე ეაგონის ფანჯარასთან და, როგორც ირგვლივ ყველას, რაღაც პატარათა ცნობისწადილი მედგას თვალებში.

("ჩანაწერები სამგიდო რვეულებიდან")

* * *

დავადექ ტყის გზას. დამინახეს შვილიშვილებმა, გამომენთნენ.

— ტყეში მიდიხარ, პაპა?

— პოუ.

— ჩამოგვიტანე...

ელიმებათ. უცებ მოიფიქრებს უფროსი.

— კარგი ჯოხები და კარგი ამბები.

— ჩამოგიტანთ.

ავედი ტყეში. მე აქ იმისთვის ამოვდივარ, რაღაცები რომ ჩავიწერო. დავჯექი, ჩავიწერე. გამახსენდა შვილიშვილების დანაბარები. მოვძებნე თხილნარი, ოთხი სწორი, ძალიან სწორი თხილის ჯოხი ავუჭერი, შემიძლია, უკანაც გავბრუნდე უკვე, მაგრამ ამბები? მთავარი ხომ მაინც ის არის, რა ამბებს ჩავუტანთ ტყიდან?!

ტყე კი თითქოს მოთენთილი თელემს მზეში, ფოთლებსაც კი არ ატოკებენ ხეები, არ ტოკავს არც მზის ათინათი ბალახზე. რამდენჯერმე

დაიჩხაელა ჯაფარამ გადაღმა ფერდზე, ეს იყო და ეს. რა არის ამაში საინტერესო ბავშვთათვის? შეეედი ტყის სიღრმეში, იქნებ იქ წავწყდომოდი რაიმე კარგს, ეიარე, აქაც ვერაფერი ვნახე გამორჩეული. ზოგი ხე ბებერია, ზოგი — ახალგაზრდა, ზოგს ფუღუროც აქვს, ჩავიჭვრიტები ფუღუროში, იქაც არაფერია გამორჩეული, მივდივარ.

როდემდეღა უნდა მეევლო? გამოებრუნდი. გამოეედი ჩახჩახა მზეში, ჯერ ბუჩქნარში, მერე სწორად გაშლილ ხრიოკებში. ჯოხები იღლიაში მაქვს ამოწყობილი. რაღაც გამახსენდა, ჩანთიდან წიგნი ამოვიღე, ვფურცლავ. და უცებ — ფრ! ფრ! ფრ! — ზედიზედ აფრინდნენ ტოროლები, ბევრნი. ცოტაზე გაფრინდნენ, დასხდნენ. სწორ ხრიოკს ძლივს ეტყობა ბალახები, და იმ ხრიოკზე — წინ მირბის დიდი ტოროლა, ქოჩორა მამალი, მერე მირბის ექვსი პატარა ბარტყი, ჯერ ისევ შერჩენიათ სიყვითლე ნისკარტებთან, უკან მისდევთ დედა ტოროლა, ცოტათი თუა ბარტყებზე დიდი. ყველანი მირუკრუკებენ შეწყობილი ხმით, მოიხედავს მამალი ტოროლა, ნახავს, რომ ბეჯითად მისდევენ ბარტყები, ერთს ამოიძახებს ხმამაღლა, — კუკურუუ! ალბათ, მომყევითო, აფრინდება, აფრინდებიან ბარატყებიც, მისდევენ ფრთების დაფეთებული ქნევით. ჩაჯდება მამალი ტოროლა ბალახებში, ჩასხდებიან ბარტყებიც. ერთი ბარტყი რაღაცას დაინახავს გვერდზე, გაჩერდება ცნობის წადილით, სხვები გაუსწრებენ. მივარდება დედა, წაკრავს ნისკარტს, შემკრთალი ბარტყი სწრაფად ეწევა და-ძმათ. ყველანი გარბიან, თან მიფრინავენ ცოტ-ცოტას.

ჭალის პირას ძროხები სძოვენ. იქეა სიცხით გადაბენტერებული ძაღლი. შეჩერდება მამალი ტოროლა, არ უნდა, ძროხებისა და ძაღლისკენ წაუძღვეს ბარტყებს. მობრუნდება, მაგრამ აქეთ კიდევ მე მამჩნევს, იმ მზეში უთუოდ ძალიან დიდს. რაღაცას ბრძანებს და ყველანი გაეკერებიან მიწას. არიან მიწას გაკრულნი, თითქოს არც სუნთქავენ, არაფრით გამოირჩევიან გორახებისაგან.

მე მხარი ავუქციე, ეითომ არც დამენახოს. ათიოდე ნაბიჯზე რომ გაეცდი, მობრუნებულიყენენ ყველანი და ახლა ტყისკენ გარბოდნენ. წინ ისევ მამალი ტოროლა მიუძღოდათ — ქოჩორა, ყოჩაღი, მერე ბარტყები მირბოდნენ, ბოლოს მირაცრაცებდა ბარატყებზე სულ ცოტათი დიდი დედა.

უკვე მშვენიერი ამბავი მიმქონდა შვილიშვილებისათვის...

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში ლიმონს ვაწონინებ. თან მაქვს ახალნაყიდი იატაკის საწმენდი ჯოხი, შემოდის მთლად პატარა ბიჭი.

— ორი მანეთის კიტრი მომეცით, ბიძია!

მე მიკვირს, ასე პატარას ვინ აგზავნის მაღაზიაში.

— რამდენი წლისა ხარ, კაცო?

— ხუთის.

— მერე შენ რომ გაგზავნიან საყიდლებზე, დედა და მამა სად არიან?

დედა სახლში, მამა სოფელში წავიდა, ჩემი ძმა წაიყვანა, მე მომატყუეს, არ წამიყვანეს.

— როგორ მოგატყუეს, კაცო!

— ბენზინს ჩავასხამთ მანქანაში, მოვალთ და წაგიყვანთო. მერე აღარ მოვიდნენ.

— მაგაზე ნუ დარდობ, მეორე კვირას წაგიყვანენ.

— მეორე კვირას რაღათ მინდა... ეს ჯოხი იყიდეთ?

— ვიყიდე.

— იატაკი უნდა გასწმინდო?

— არა..

— აბა, რად გინდათ?

— ცუდი კაცი რომ შემხვდება, მიეცხობ და მიეცხობ.

— თქვენ კარგი ხართ?

— მეე? მე კარგი ვარ.

დაეჭვებული შემომხედავს.

გამყიდველი კიტრს აუწონის, ჩაუწყობს და ჩანთას ხელში აძლევს.

— გაიქეცი.

— დედამ მითხრა, არ გაიქცეო.

— მაშინ, ნელა წადი.

— ნელა წავალ.

მიდიოდა პატარა, პატარაა... თოთხმეტსართულიანი ვეება სახლისკენ. გამიყიდველმა ჩვარი აიღო:

— მაგას დედა პყავს, აიმ კარებში გვერდულად შემოდის ხოლმე...

("ჩანაწერები სამაგიდო რეულებიდან")

* * *

გუშინ დაიკრძალა დიდად საბრალობელი გ. ა. იყო ლაპარაკი, რომ მამაცურად მოკვდა, წარბი არ შეუხრია სიკვდილის წინაშე. საფლავზეც კარგი სიტყვები ითქვა, თავისებური შეჯიბრი იყო გამომსვლელებისა, ცრემლს ღვრიდა უამრავი მშვენიერი მანდილოსანიც, და მაინც სულ ვფიქრობდი: არაფერია იმაზე კარგი მიცვალებულისათვის, ორიოდე კაცმა მიაცილოს სასაფლაოს მყუდრო კუთხეში, რაღაც წაიპუტუნოს თავისთვის სამოსგაქუცულმა მღვდელმა, ჩაუშვან მიცვალებული მიწაში, იქვე წაუქციონ თითო ჭიქა და წავიდნენ საქმემორჩენილები თავ-თავიანთი გზებით. ცოტა ხანში შემხმარმა ფოთლებმა დაფარონ საფლავის ბორცვი.

ასეთი ბედნიერები იყვნენ მოცარტი და ფიროსმანი.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

გაიელვებდა, დაიქუხებდა გაზაფხულზე სამხრეთისკენ და ბებიაჩემი ნინო შვებით გადაიწერდა პირჯვარს, — ჯავახეთისკენ ქუხს, გაავდარდება, საქართველოს პური აღარ გაუჭირდება, შვილო.

ჩანს, არ გამქრალა ჩემში ჩვენი წინაპრების შემაჭირვებელი ფიქრი, — არავითარი ინფორმაცია ისე არ მიხარებს გულს, როგორც ისა, რომ ჩვენს ქვეყანაში პურის კარგი მოსავალი მოდის.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

სოფლიდან დაბრუნებული, იქაურ ამბებს ეუყვები შვილიშვილებს:

— გავედი გუშინ ივრის ჭალაში. შემომხვდა ჩემი ნაცნობი მელა. მივესალმეთ ერთმანეთს, მე ხელის ანევით, ის თათის ყურთან მიტანით. — როგორა ხარ-მეთქი, მელაკუდა, კაცო? — კარგად, კარგადო, ცოტა ფეხი კი მტკივაო. — რატომა, კაცო! — კუნლის ეკალი შემერჭო, კუნლის ეკალი ხომ ძალიან ფინთია, გამოვიცალე, მაგრამ მაინც მტკივაო. — ნუ გეშინია, გაგივლის-მეთქი, — ვანუგეშე მე. — გამივლის, აბა რა იქნებაო! წავიდა პატარაზე ცოტა კოჭლობით და მომიბრუნდა, — შვილიშვილები როგორა გყავსო? — იცნობ-მეთქი ჩემს შვილიშვილებს? — როგორ არ ვიცნობ, საღამოს, აიანზე რომ ვახშმობთ, მე მესერის იქიდან გიჭვრიტინებთ და ვიცინი, თქვენ რომ ეხვეწებით, ჭამეთ, ჭამეთო

და ისინი არა ჭამენ. ერთი ჩემმა შვილებმა გაბედონ ეგეთი რამეო! სხვა დროს რომ წამოხვალ ჭალაში, ისინიც წამოიყვანე, ერთი რამე უნდა ვაჩვენოო. — მე მაჩვენე-მეთქი, მელუკავ, ძმობილო. — არა, შენ არა, პატარებს ვაჩვენებო. აბა, კარგად მოიქეცით, დედა არ გააბრაზოთ, რომ მეორე წასვლისას თქვენც წაგიყვანოთ. ის მელია ალბათ ყოველ დღე დაგველოდება. შეიძლება შვილებიც თანა პყავს. სხედან კოხტად და გამოპყურებენ ჩვენს გზას...

ბიჭები მისმენენ და მერე როგორ! გაღმოცვივნაზე აქვთ თვალები. მოდი და ნუ დაუწერ ამათ ცხოველებზე.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

ჟურნალ „დილის" თანამშრომლები ვიყავით საბავშვო ბაღში. ბავშვები გატაცებით გვიამბობდნენ, როგორ უელიან ცოცხალ კუთხეს — ყვავილებს და თევზებს. მე გამოსაცდელად ვიკითხე, — როგორ იქცევიან, თევზებს როცა სძინავთ? უმეტესობას დაბნეულად გაეღიმა. ერთმა პატარა ბიჭმა კი ყოჩაღად წამოიძახა, — თევზებს როცა სძინავთ, ჩვენც გვძინავსო.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

აი, რა მიამბო ნიკა აგიაშვილმა;

იოსებ ნონეშვილს, ყმაწვილობისას, აღარავინ პყავდა, ერთი უსინათლო ბებიის მეტი. თვითონ პატარას და სუსტს, იოსებს, ხელჩაკიდებული დაპყავდა სოფლიდან ჩამოყვანილი ეს ბებია ხან ერთ ექიმთან, ხან — მეორესთან. სულ თვალწინ მიდგას, როგორ აპყავდა ტრამვაიში, ტროლეიბუსში. ბევრს ეცადა, ოპერაციაც გააკეთებინა, მაგრამ სინათლე მაინც ვერ დაუბრუნა ბებიას. მერე ბებია მოკვდა. იოსებს, ნამდვილად შეიძლება თქმა, ქვეყანამ უპატრონა.

შარშან კი ასეთი საზმარი ვნახე: ჩასჭიდებოდა იოსებს თავისი ბებია, თვალისჩინდაბრუნებული, გახარებული და მიპყავდა ჯერ რუსთაველზე, მერე მსროლელთა ქუჩისკენ დაუხვიეს... არ გავიდა ამ დღიდან რამდენიმე კვირა და იოსები გარდაიცვალა...

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

კელაე ენახე ჩემი სანუკვარი სიზმარი — მაღალი, ნათელი, წაბლისფრად და თეთრად გაბრწყინებული თოვლიანი მწვერვალები. საიდან ქმნის ამ მწვერვალებს ჩემი სული! ისინი ხან ჩრდილოეთით დგანან (ხაშმიდან), ხან — აღმოსავლეთით და ხანაც — სამხრეთით, მშვიდნი, საოცრად ამაღლებულნი, ბედნიერნი. ხანდახან მიედიეარ კიდეე მათკენ, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვაღწევ მწვერვალამდე. მხოლოდ ერთხელ აეედი თოვლებამდე, ყინულებამდე. მერე რამდენიმე დღეს სულ მესმოდა ნათელი ყინულების მსხვრევის ხმა.

("ჩანაწერები სამაგიდო რეეულებიდან")

* * *

მოქანდაკე ბ-ი მეუბნება; ჩემი სოფლიდან ათას ცხრაას ოცდაათიდანა ეარ წამოსული, უფრო სწორედ — გამოძეეებული. ახალგაზრდა ვიყავი, ქაფქაფა, რაღაც ისეთი ვთქვი, არ მოეწონათ უფროსობას, დაჭერა მომინდომეს და გამოვიქეცი. ახლა აღარ დაედიეარ, აღარც არაფერია ჩემი სოფელში, მაგრამ სიზმრებში სულ იქა ვარ, იქა ვარ და შინ არ მიშეებენ. არც მეზობლები მიშეებენ, არც დედაჩემი ჩეენს სახლში. აეგრე ციეად მომიკეტავს კარს და ზურგით მოაწეება შიგნიდან. მე ეჯდები ხრიოკ გზაზე და ყმაწვილიეით ეტირი.

("ჩანაწერები სამაგიდო რეეულებიდან")

* * *

იაპონელები, დიდი ციეილიზაციის და კულტურის ხალხი, დღესაც აღტაცებული მოკრძალებით ხრიან თავს აყვავებული ალუბლების წინაშე, როგორც ათასზე მეტი წლის წინათ. მათ ეს არ „მობეზრდათ", და არც ალუბლებისაგან მოითხოეენ სხვა რამეს, გარდა ჩეეულებრიეი ნაზი ყვავილობისა, არც თავიანთი თავისგან — უბრალო ადამიანურ მგრძნობელობაზე მეტს.

("ჩანაწერები სამაგიდო რეეულებიდან")

* * *

შაქრო ძია გვყავდა ერთი, მხრებში გაშლილი დიდი ვაჟკაცი. ერთხელ ვეკითხები, — ჩვენიდან სადგურამდე (იქ მუშაობდა) ახლა რამდენ ხანში ჩადის-მეთქი კაცი. — დარდაკი ბუტუსურა — ერთ საათში, ვაჟკაცი კაცი უფრო მეტში. — ეგ როგორა-მეთქი! – დარდაკი, შვილო, სულ შინ მიიჩქარის, ვაჟკაცი კაცი კიდევ აქეთ-იქით იყურება, იქნება ისეთი რამე დავინახო, ძმაკაცების გვერდზე აღმოვჩნდეო. ის უფრო ნელა დადის ქვეყანაზე, ეგ უნდა იცოდეს შენი ხნის ბიჭმა!

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

* * *

გუშინღამ ტურები აკიელდნენ აქვე, ჩვენიდან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით, კვირაცხოვლის გორაზე. კიოდნენ ყოჩაღად, რამდენიმე ერთად. წუხელაც აკიელდნენ, ოღონდ ახლა ლამუანის გორაზე. რამდენი ხანია, აღარც ჩვენ და აღარც ძაღლებს ტურების კიეილი არ გაგვიგონია. დაგიჟდნენ ძაღლები. ჩვენ კი რაღაცნაირად ვზეიმობდით, რაღაც იყო ძალიან კარგი ამ ტურების კიეილში. მაინც რა, ყველაფრის განმქიქებელო ინტელექტუალებო? დედამიწა კელავაც ცოცხლობს თავისი მრავალფეროვანი ჟრიამულით.

("ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან")

დიდი ბავშვი

(რევაზ ინანიშვილის – კაცისა და მწერლის შესახებ)

* * *

სევდიანად ჩაფიქრებული

რეზო ინანიშვილთან თითქმის 40 წლის მეგობრობა მაკავშირებდა.

გულჩათხრობილი კაცი არ ეთქმოდა. მაინც ჰქონდა თავის სულიერ სამყაროში ნაკრძალი ადგილი, სადაც არავინ შეეიდოდა.

რეზოსთვის მწერლობა პროფესია არ ყოფილა, მწერლობა მისი ცხოვრება იყო..

რაც მახსოვს, სულ ჩაფიქრებული მახსოვს.

სევდიანად ჩაფიქრებული.

ცხოვრება ყოველთვის მძიმე ჰქონდა, მაგრამ ეს სევდა პირადული არ ჩანდა, უფრო ღრმა იყო, უფრო ფართო.

1979 იყო თუ 80 წელი, ჩემი მანქანით დასავლეთ საქართველოში უნდა წავსულიყავი. რეზოს შევთავაზე, შენც ხომ არ წამოხვალ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდა.

მოვინახულეთ ქუთაისი – ბაგრატი, გელათი, წინათაც არაერთხელ ჰქონდა ნანახი, მაინც თითქოს პირველად იყო, ისე გულდასმით ათვალიერებდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, ნანგრევებში ჩარჩენილ ჩუქურთმებს, გელათის მონასტრის ფრესკებს, მოზაიკას, აკადემიის შენობის ნარჩენებს.

დიდხანს იდგა დავითის საფლავთან. "ღმერთო, ღმერთოო..." ბუტბუტებდა თავისთვის.

"რეზო, ხომ გაგიგია დავითის ანდერძი, ფეხი უნდა დაადგა მისი საფლავის ქვას—მეთქი...", ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

"რას ამბობ, კაცო, სხვა რა შეეუსრულეთ იმ მირონცხებულს, რომ მაინცდამაინც ეგ შეეუსრულოო". უკან გადგა პირჯვრის წერით, ვერ დავითანხმე, არ ქნა, დავით აღმაშენებლის საფლავის ლოდს ფეხით როგორ უნდა შეპბედოს კაცმაო.

მერე — სამეგრელო: ზუგდიდი, მარტვილი, გორდის ციხე, სად ვიყავით აქამდე, როგორ შეიძლება ქართველ კაცს ესენი ნანახი არ ჰქონდესო, ამბობს ამას და ეძალება სევდა. ბავშვებს, მეგრელ ბავშვებს

ესიყვარულებოდა განსაკუთრებით. გაოცებული შეპფოფინებდა, რამდენი ცისფერთვალა და ქერათმიანი ბავშვიაო, ნამდვილად აქ არისო ძირძველი ქართული გენი. "ღმერთო, ღმერთოო..." და ჩუმად, თავისთვის, გულში ამთავრებდა სიტყვას თუ ვედრებას.

ჭყვიშში რომ შეეედით, გალაკტიონის სახლთან, მოშორებით გამაჩერებინა მანქანა. რიონის ჭალებს შეპყურებდა აციმციმებული თვალებით. უხაროდა: ჩამოპგავსო ჩემი იერის ჭალებს.

გალაკტიონის ოდა-სახლის აივანზე რომ ავიდა, გაქვავდა. ხმაამოუღებლად შესცქეროდა იქვე, ახლოს, მდებარე ძველ სასაფლაოს. ჩემკენ ზურგით იდგა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ დღეს რომ ვიხსენებ, მგონი ტიროდა.

რაღაც დაბნეულები დაეძებდით ოთახებში ვასიკოს, გალაკტიონის ძმისწულს. რეზო ხმადაბლა იმეორებდა: "ერთი დღეც არ გქონიათ, მშვიდი, უსატკივარო.."

ცხოვრება ყოველთვის მძიმე პქონდა: 37 წელი, მამისა და ახლობლების დახვრეტა-გადასხლება, მუდმივი ხელმოკლეობა, ბავშობიდანვე დღენიადაგ ოჯახზე ზრუნვა, მერე-უმცროსი ძმის ნაადრევი სიკვდილი.

უნივერსიტეტი თანატოლებზე 7-8 წლით გვიან დაამთავრა,

მაგრამ რეზოს სევდა არ იყო პირადული, ის უფრო ღრმა იყო, უფრო ფართო.

..დეკემბერ-იანვრის ტრაგედია არ გაუგია. მაშინ უკვე ღონე წართმეული პქონდა. 91 წლის ბოლო დღეს მივაბარეთ დიდუბის მიწას.

ქართველებისათვის უჩვეულოდ მცირერიცხოვან პროცესიაში ერთი, ორი მწერალიც ერია..

***

ერთი დიდი დავთარი პქონდა რეზოს, სავსე სხვადასხვა დროის ჩანაწერებით: მოთხრობების მონახაზებით, შთაბეჭდილებებით, რეზო რაც მახსოვს, სულ ფანქრით წერდა, წერდა ფაქიზად, ლამაზად, ფრაზაზე ბევრს მუშაობდა, რამდენჯერმე გადაშლიდა ხოლმე ნაწერს, მაგრამ ამას აკეთებდა სუფთად, გულდასმით. ეს დავთარი მისი "ნაკრძალი" იყო, იშვიათად თუ წაგიკითხავდა იქიდან რამეს.

ჯონდო ბარდაველიძე

* * *

ტკეილი მონატრებისა

მე და რეზო ინანიშვილი ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ადრეც ვიცნობდით, და ახლოსაც ვიყავით, მაგრამ ნამდვილი მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა კარის მეზობლები გავხდით.

1971 წელს მწერალთა კავშირმა კანდელაკის ქუჩაზე ბინები რომ გაანაწილა, რეზოს მეოთხე სართული შეხვდა, რომ გაიგო, მეხუთე სართულზე მე ვიყავი, მეოთხე სართული დათმო და ისიც მეხუთე სართულზე ამოვიდა. ასე შევიქენით კარის მეზობლები და ოცი წელიწადი ერთი ცხოერებით და თითქმის ერთ ოჯახად ვიცხოვრეთ. ერთი დღე რომ არ შევსულიყავი, კარზე ზარს დავრეკავდი და კარს გააღებდა თუ არა, მაშინვე იმას მეტყვოდა: სადა ხარ, კაცო, აღარა მკადრულობ, ხომ არ გამდიდრდიო. როცა გვინდოდა მცირე ხნით ოჯახს გავცლოდით ანდა ჩვენი სატკივარი ერთმანეთისათვის შეგვეჩიელა, ერთმანეთან შევდიოდით. ჩემთან შემოსულს ხელში მუდამ სათვალე ეჭირა, ცალი ყურით ატრიალებდა და წინადადებას ასე იწყებდა: "შენა..." ან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა პქონდა მოსაძებნი (ამ ლექსიკონის რამდენიმე ტომი აკლდა) ან რაიმე ახალი ამბავი პქონდა მოსაყოლი ან საბეჭდი მანქანის შავი ქაღალდი უნდოდა ან კოხინორის ფანქარი (ამ ფანქრით ათეთრებდა ახალ მოთხრობას).

ჩემს მაგიდაზე გამეფებულ წესრიგს ვერ იტანდა. მეუბნებოდა: "პედანტი ხარო". შემოსელისთანავე ყველაფერი უნდა აერია. თუ წიგნი გადაშლილი იყო, უნდა დაეკეცა ან უკულმა დაედო. კოხინორის ფანქარს წვერს ჩემთან წაუთლიდა, მე ქაღალდს მივუტანდი, ის იმ ქაღალდს რომელიმე წიგნს ან ჟურნალს ამოუდებდა, თან მესაუბრებოდა და თან ხატავდა. მისი რამდენიმე ნახატი დამრჩა: შვიდი წლის ირაკლის, ჩემი ბიჭის, პორტრეტი, მდინარის წყალს დაწაფებული ქორბუდა ირემი განმარტოებულ შიშველ ხეზე მჯდომი მტაცებელი ფრინველი, ალბათ მიმინო მესერთან გამართული თიეის ზვინი და ზვინთან თავჩაქინდრული ცხენი... ყოველ ნახატს თარიღი უზის და მისი სახელი და გვარი აწერია. ამ ზამთრის ციე და ბნელ ღამეებში ხშირად მომნატრებია რეზო, ჩემი ფიქრი ხშირად გადასწვდენია იმ ბედნიერ დროს, როცა იგი ცოცხალი იყო და ერთმანეთის გვერდით შემოქმედებითი სიხარულით ეცხოვრობდით. ხან ის დღე დამიდგებოდა თვალწინ, როცა დინჯი, დარბაისლური ხმით "მგლის ლეკვებს" მიკითხავდა; ხან მასთან ერთად საგარეჯოს კოლოფში ვიყავი როცა იგი ხალხის ხარხარში "ცეტებს"

კითხულობდა და ორმოცდაათი წლის რეზო ინანიშვილს მხრებზე თეთრი ნაბადი მოახურეს; ხან სართიჭალაში გაჩაღებულ წალამს გარშემო ფეხზე ეუდექით და აშიშხინებულ ბურვაკის მწვადებს დავყურებდით; ხან დიდთოელობაში ჩვენი შენობის სახურავზე ვიყავით ასულები და ვთოელავდით, რომ ბინებში წყალი არ ჩამოგესლოდა; ხან უჯარმიდან დაბრუნებულს ჩემი მეუღლისათვის იასამნები ან ნარცისები შემოპქონდა და ხან კიდევ ჩემს თვალწინ ის სურათი ცოცხლდებოდა, როცა სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩვენთან იჯდა, მოხარშული გოგრის ნაჭერი თეფშზე გადაპქონდა და შაქრის ფხვნილს აუჩქარებლად აყრიდა... თუმცა არა! ამ ქვეყნიდან რაც წავიდა, მერე აღარ მინახავს-მეთქი, რომ ეთქვა მართალი არ იქნება, მერე კიდევ ენახე ოთარ იოსელიანის ფილმში "იყო შაშვი მგალობელი". ენახე ვილისიდან გადმოსული და მომღიმარი, ენახე მეგობრებში სუფრასთან მოლხენილი და მომღიმარი, აი, ასეთი, როგორიც მინახავს მრავალჯერ მე უკვე შეგუებული ვიყავი, რომ ვერასოდეს ენახავდი და ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ უზარმაზარი სიხარული ვიგძენი და უზარმაზარი ტკივილიც, ტკივილი განშორებისა და ტკივილი მონატრებისა.

გიო გეგეჭკორი

* * *

ჩემი რეზო ინანიშვილი

ასე მგონია, ბედისწერის წინაშე ვდგები. ვერ წარმოვიდგენდი, თუ აი, ასეთ ადვილ კაცზე ასე ძნელი იქნებოდა ლაპარაკი. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი და არ ვიცი, რანაირად ჩავტიო ერთ საუბარში.

ჩემი ნაცნობობა რეზოსთან, რომელიც მიმაჩნდა უახლოეს და უსათუთეს მეგობრად, ასეთები კი თითზე ჩამოსათვლელი მყავს, დაიწყო «ვიღაცით».

ფიზიკის ფაკულტეტის I კურსზე ვსწავლობდი. ყვებოდნენ ამბავს, – ფილოლოგიის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე ვიღაც გამოჩნდა, ფანტასტიკური მოთხრობების ავტორი, ნიკო კეცხოველი საოცრად მოხიბლულია მისით. დამთავრდა გამოცდები და ნიკომ აღმოაჩინა, რომ ეს პიროვნება გაქრა. გამოირკვა, რომ შუა გამოცდებიდან წასულა, რადგან შეუმჩნევია, საჭირო ქულებს ვერ აგროვებდა. სად წავიდა? როგორ? ყურმოკრული ჰქონდათ უჯარმა, მისი სოფლის სახელი. კეცხოველი

თვითონ ჩასულა უჯარმაში მის საძებნელად, ჩამოუყვანია და პირველ კურსზე დაუსვამს.

ნიკო «პირველ სხივზე» ფანტასტიკურად იყო შეყვარებული. ფაქტიურად, ბესო ჟღენტთან და ტარიელ კეანჭილაშვილთან ერთად, ისიც ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალს.

ის «ვიღაც» რეზო ინანიშვილი აღმოჩნდა. სულ მალე ძალიან დავახლოვდით. გავიგეთ თუ არა, რომ უნივერსიტეტში დრამწრე მუშაობდა, მივაშურე. გავხდი კლუბის წევრი, შეიძლება ითქვას, შვილობილი, რადგან ყველაზე უმცროსი ვიყავი.

ახლა, იმის შესახებ, როგორ მოხვდა კლუბში თავად რეზო ინანიშვილი. დრამწრეს გოგი კობიაშვილი ხელმძღვანელობდა. ერთხელაც, გავდიეართ რეპეტიციას სცენაზე, დარბაზში ზის კობიაშვილი, მის გვერდით კი ვიღაც უცნაური ტიპი, რომელიც გვისწორებს ქართულს, ნიკოს სპეციალური მითითებით. ასე გაეიცანი რეზო ინანიშვილი. სამუდამოდ დავმეგობრდით.

ცოტა მოგვიანებით, მე და რეზო ინანიშვილი ერთად ვხატავდით უნივერსიტეტის სხვენში, სადაც ხატვის წრე გაიხსნა.

ბარამიძე გვასწავლიდა ხატვას, გამოფენებიც გექონდა.

იმ დროს მინიატურებს ვწერდი, ძალიან სენტიმეტალურს და გულისამაჩუყებელს. მივიტანე ეს ჩემი მინიატურები «პირველ სხივში» და მითხრეს, შენ თვითონ ამოირჩიე, რეცენზენტად ვინ გინდაო. რა თქმა უნდა, რეზო-მეთქი, ძმაკაცია ჩემი, თანაც მოადგილეა «ჭინჭარში». დარწმუნებული ვარ, ისეთ რეცენზიას დაწერს, ტაშით და ზარზეიმით შევგრიალდები «პირველ სხივში». დადგა განხილვის დღეც. ყველა ესწრება – მუხრან მაჭავარიანი, ჭილაძეები, ჯანსულ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი.

მე რეზომ გამაუთავა!.. ერთი ნამცეცით არ დამზოგა, აღარაფერი დატოვა ჩემგან. ისეთი გულმოდგინებით, შარვალს რომ უთოთი ხაზს გაუკეთებენ და ერთი თვე არ მოიშლება. დაამთავრა თუ არა, მომაშურა, გეწყინაო?! არა, არათუ მეწყინა, სრულებით არ მიფიქრია რას ლაპარაკობდი, მხოლოდ გიყურებდი და შენზე ვფიქრობდი-მეთქი.

ცოტა ხანში გამოვიდა რეზოს მოთხრობების პირველი წიგნი. მე ის მაქვს წარწერით, მთელი ამბებით. შემდეგ მე წავედი, დავშორდი, არა მარტო მას – ჯერ მოსკოვში, მერე ლენინგრადში. მახსენდება, ჩავალ თუ არა თბილისში, რეზოს ერთი მოთხრობა აუცილებლად უნდა გადავიღო! უფრო სწორად, პიესა – «წისქვილი ქალაქის გარეუბანში».

ლენინგრადშიეე დაწერილი მქონდა უკვე სცენარი. ჩამოვედი. ჯერ

რეზო ჩხეიძეს მოველაპარაკე, მერე მიველი რეზო ინანიშვილთან, სცენარი ვაჩვენე. ის შეყვარებული იყო ყველა თავის ნაწარმოებზე, ვინძეს მის დალაგებულ წინადადებაში თითი რომ შეეყო, დიდ უბედურებად მიაჩნდა. თანაც, იმ კრიტიკის შემდეგ, «პირველი სხივის» სხდომაზე.

სცენარი რეზოს სახლში მივუტანე, ღილით, ადრე. ვუთხარი, რეზო! მე შენს ნაწარმოებებზე უნდა გავაკეთო ფილმი, – გაუბრწყინდა თვალები. – ახლა მოგიტანე სცენარი და იცოდე, სიტყვა არ გაექანება აქედან-თქო, ამ დროს რეზო თავდავიწყებით არის შეყვარებული ჩემ «ერთი ნახვით შეყვარებაზე», სასწაულად მოსწონს ეს ფილმი.

საღამოს თვითონ მომძებნა და მითხრა, ეს არის უბრწყინვალესი, წერტილსაც არ შეგისწორებო და გადამკოცნა.

რეზოსაც მიაჩნდა, რომ ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სურათი იყო. ძალიან განიცდიდა, როცა მოსკოვში, ფილმის დამტკიცებისას, თავსართი მომიჭრეს, მოთხრობის მიხედვით გაკეთებული. სულ მეუბნებოდა, ტყუილად გეშინოდა, როცა სცენარი მოგქონდა, ის მოთხრობა ძალიან ორგანულად იჯდა აქო.

რეზო ესაძე

* * *

„ისე, რომ თქვან ჰყვარებიათო“

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“ — მჭირს.

რეზოს ყოველი გახსენება იმნაირ ღიმილს მოგგერის, რეზომ რომ იცოდა და სხვამ არავინ, და როგორ გინდა, თქვა... არადა გინდა, სხვამაც იცოდეს, რომ ასეთი კაცი გეყავს (კი არ გეყავდა, გეყავს.), რაკი ცოდვას ჩაიდენ იმ „სხვის“ მიმართ, თუ ასეთი კაცის ცნობა აკლია, თუ ამისთანა შემოქმედი არ იცის.

ვიღაცა გეაკლდება, ვიღაცა გვემატება, ვიღაცა გულს დაგვწყვეტს, ვიღაცა გვაამებს, ვიღაცა გეშორდება, ვიღაცა გეიახლოვდება. წუთისოფელი ავია და სიავეს არ მოიშლის. უახლოესს, უმეგობრესს, უგულითადესს წაგართმევს და შეუგუებელს შეგაგუებს, შეგაჩვევს, გაიძულებს „ჭირსა შიგან გამაგრებას“ და გათქმევინებს: — ეჰ, რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა! — და დავიწყების ნისლში გახვევს, მაგრამ...

მაგრამ...

მაგრამ რეზოს ვერ უზამს ამას.

რაც არ უნდა ეცადოს, რეზოს ამას ვერ მოუხერხებს!

რეზო სიცოცხლეში თავის ახლობლებთანაც არ იყო ისე ახლოს, მისი ავკარგიანობა გადმოეშალა და გადმოეფინა. ავკარგიანობა სიტყვად ვახსენე, თორემ არა მგონია, სიავისა რამე სცოდნოდა. იცოდა და ფარაედა კი არა, არ იცოდა, ამის „ჭკუა" არ ჰქონდა.

იტყვიან, „დიდი ბავშვიაო". არა, არც ესაა მართალი. ჩვენ ისეთი ბავშვობა გვქონდა, ბავშვობაშიც არ ვიყავით ბავშვები და ბავშვობის არ ქონამ, გულისწყვეტამ და შეულეველობამ თუ შეარჩინა დიდობის, კაცობის, მოაზროვნის ბავშვობა. ეისაც ბავშვობა ჰქონდა და ბავშვობაშიევ ჩატოვა, ან არ დაკარგა, მაგრამ არ გამოიყოლა, ეს უფრო გულუბრყვილობაა, არასრულფასოვნება. ყველა ასაკს თავისი დრო აქვს და შენი ხნოვანებით უნდა იცხოვრო. არც კაცი ვარგა ბავშვად და არც ბავშვი — კაცად, არც ჭაბუკი ხანდაზმულად და არც ხანდაზმული — ჭაბუკად. და ამას ყოველი ჭკუათმყოფელი მეტ-ნაკლებად ახერხებს, თუ მისი ცხოვრების გზას გზა აქვია. მაგრამ თუ მის ბავშვობაზე (განსაკუთრებით ბავშვობაზე) ძალადობა ხდება, თუ გზას უკეტავს და უუკულმართებს, ამნაირად უკარგავს და უდასაწყისოდ აწყვეტინებს ცხოვრებას.

ვიზეც მე თვალი მიმიწყდება, რეზო ერთადერთი იყო, რომელიც ვერ შეელია შეულეველს, ვერ გაიმეტა გაუმეტებელი და კაცმა კაცის დიდი ცხოვრებით იცხოვრა და გულუბრყვილობად კი არა, განძად, თილისმად ქისაში გამოკერილი, გულზე დაკიდებული ატარა ნათელმფენი ბავშვობა. აბა, აბა გაიხსენეთ მისი სევდიანი ღიმილი, ვინც იცნობდით და ვინც არა... ვინც არა, რა გითხრათ, რით განუგეშოთ, როცა ვერანაირად ვერასოდეს ვერ ნახავთ. ამიტომ იყო, რომ ბავშვური გულუბრყვილობით კი არა, ბავშვობას შეულეველი კაცის გულწრფელობით სჯეროდა შენი, სწამდი და უნდობლობას არ გაკარებდა. გნდობდა, გგერთგულებდა, უნდობლობისა და ორგულობისაგან გმფარველობდა. შენ რომ შენი არ გწამდა, მას სწამდი. თავის შენდამი რწმენას თავზე გახვევედა. შენ რომ თავს ორგულობდი, ის გგერთგულებდა, გვერთგულა. გიჯერებდა და გაჯერებდა.

1955 წლის 1 მაისს მიჩუქებია, მიჩუქებია კი არა, კარგად მახსოვს, ვაჩუქე ჩემი პატარა 5X7 ფოტოსურათი (არაფერი ფოტოსურათების მჩუქებელი მე არა ვარ!), ალბათ თვითონ ინდომა და მანდომებია (წიგნზე კი, და არც ფოტოებზე წამწერი ვარ) და წავაწერე: „ ...ისე, რომ თქვან, ჰყვარებიათო"...

ეს მაშინ ხდება, როცა რეზო მწერლობაში ფეხს იდგამს და მეც ორიოდე საბაეშვო მოთხრობა გამოვაცვოდეილე. მაშინ თბილისში ჩემი პოენა, უთაეშესაფრო სად დავხეტიალობდი, მეც არ ვიცოდი, როგორღაც

მოახერხა და თავისთან წამიყვანა (მგონი, სადღაც დის ქოხმახ ბინაში). ჩემი სტუმრობისას იქ სხვა არავინ იყო. ბევრს არაფერს ამბობდა, მაგრამ იმ ღიმილის პატრონს რა ბევრი ლაილაი სჭირდებოდა.

და ის „რომ თქვან, პყვარებიათო", რომელიც მას შემდეგ არც წაგვიწერია და არც სადღეგრძელოში ხმამაღლა გვიქაქანია, ჩვენი, არც თუ ისე ხშირი შეხვედრებისას თუ შეუხვედრებლობისას თან გვახლდა და სათუთად ვეპყრობოდით. იმნაირი ურთიერთობით ვმეგობრობდით, რამდენად ხელი მიგვიწვდებოდა, თანადგომითაც გვითანადგომია...

გამუდმებული თავის ტკივილები ჰქონდა (თავი ვისაც აქვს, იმას სტკივა!) და მარტო მას არ აწუხებდა. წუწუნა და მჩივანა ხომ არ იყო და არ იყო, მაგრამ მის ღიმილს თუ სვედასთან ერთად ტკივილიც გაუჩნდებოდა, ხომ უნდა დამენახა (დანახვა და მეგობრის ტკივილის ტკენა სანახევროდ შველაცაა!). ჩვენში ხომ მკურნალი არ უქნია ღმერთს და ერთმანეთს ჩვენ თუ არა ვუწამლეთ, რა გადაგვარჩენს.

ასე შევხვდით და ვხედავ, თავი გახეთქვაზე აქვს. რა ვუშველო, რა ვუსაშველო, რით ვუწამლო და აგერ, მახურავს კაი სქელი, წმინდა შალის ნაბდის სვანური ქუდი, სიცხეში რომ სიცხისაგან დაგიფარავს, სიცივეში — სიცივისაგან, თავში დაკრული ხანჯლისაგან და გამთვალავის ავი თვალისაგან.

— ა, ბიჭო-თქვა! — ვიტაცე თავზე ორივე ხელი და ორივე ხელითვე თავზე დავამხე. ხომ ვიცი, რომ სჯერა ჩემი და მე კიდევ — მისი, და დავლოცე: სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა (ბებია ყოველნაირ შელოცვას ასე იწყებდა), წმიდაო ბარბარე, სნეულთა მკურნალო, გაპკურნე ამის დამხურავი რეზო ყოველნაირი სნეულებისაგან! ამინ, ამინ, ამინ!

სამჯერ გავიმეორე, სამჯერ გადავსახე პირჯვარი და დაბეჯითებით დავპირდი: გათავდა, მორჩა შენი ავადობა, დღეიდან, ა, ამ წუთიდან არასოდეს ფრჩხილი არ წამოგტკივდება!

შემომაჩერდა, შემომღიმა და შუბლზე და ყურებზე ჩამოფხატული ქუდიანი თავი დამიქნია. დავიჯერეო — დამაჯერა, მწამსო და ის იყო და ის, მას მერე თავი არ სტკენია, მაგრამ ეს კი იყო, ჩვენს ურთიერთნდობას და სიავისაგან მფარველობას ისიც დაუმატა: ბებიაშენი ხომ სახალხო მედიცინის დიდი მცოდნე და მკურნალი იყო, ამ ქუდში (სულ თავზე ეხურა) ბებიას საიდუმლო თილისმაცაა და ამიტომაა, ასე უებარი შველა რომ შეძლებიაო.

— კი, აპა, რაეა-მეთქი!

კაცმა რომ თქვას, ჩვენში ქართველმა, უწიგნურიც რომ იყოს, რეზო

ინანიშვილი უნდა იცოდეს და იმას, რაც მე აგერ შეუძლებელი ეცადე და მდინარიდან მუჭა წყლის ამოღება ვინდომე, რაკი „კოკასა შიგან რაცა ღგას, იგივე გადმოდინდების“. ამას მის ნაწარმოებებში, კითხვაც რომ არ იცოდეს, ამოიკითხავს. იმ სევდასაც დაინახავს, იმ ტკივილსაც და იმ ღიმილსაც, რაც რეზომ იცოდა, მისმა შემოქმედებამ იცის და სხვამ არავინ.

ოტია იოსელიანი
10. 05. 2006. თბილისი.

* * *

სიღნაღის ახლოს., სოფელ მაღაროს მიდამოებში, ტრიალ მინდორზე, მთელ ჰორიზონტზე მოსჩანს მარტოხელა ხე, ჩვეულებრივი მგზავრისთვის მისი არსებობა ერთი შეხედვით რომ მთავრდება. მახსოვს, რეზოს ბოლო ხნის ჩანაწერები; როგორ მოეფერა იგი მას და ასე ჩაბეჭდა ადამიანების სულიერებაში.

ხშირად გადამდები სიყვარულით მელაპარაკებოდა გოგლა ლეონიძის შემოქმედებაზე, უფრო პროზაზე. განსაკუთრებით გრძნობდა მის გემოს. ამას წინად ჭაბუა ამირეჯიბმა მითხრა: იცი, რეზო ინანიშვილი მსოფლიო მასშტაბის მწერალიაო. აღტაცებული დავრჩი, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა, ლიტერატურული ქმნილება არ არის მასიური სიმღერა, რომ უცებ მოედოს ამ ქვეყანას. მას თარგმნა და საკმარისი დრო სჭირდებოდა. და მე მჯერა, რომ რეზო ინანიშვილის ღრმა ფესვებზე მდგარი თავისებური სულით გაჟღენთილი მაღალი ქმნილებანი ნელ-ნელა მოედება ლიტერატურის ფასის მცოდნე სამყაროს.

ბიძინა კვერნაძე

* * *

„მეჩვენა, რომ ქვეყნად სიყვარული კლებულობს“

(რეზაზ ინანიშვილის — კაცისა და მწერლის გახსენება)

წლევანდელი ზაფხული დიდწვიმიანი გამოდგა გომბორში. ხან თავსხმა წამოუშენდა, ხანაც ფუთქი თქორავდა შემაბეზრებლად. ციოდა. შორეული იალნოს მთა, მოცრიატებულზე მზეს ნიმბივით რომ მოიყენებს ხოლმე, თითქო სამუდამოდ გაიქნა, დაიკარგა ჯანღში, ხოლო ჩემი სახლის მომიჯნავე წიფლოვანი გორა თეთრყომრალი ნისლეულით აბოლდა.

სწორედ ისეთი ტაროსი იდგა, კაცს რომ ჩამეუდროვებული ფიქრისა თუ მოგონებებისათვის განაწყობს. მწიფობის ჟამი იყო, გალუმპული, ნაყოფით დახუნძლული ალუჩა და ეაშლი, მსხალი და ალიბუხარი ტოტებდადრეკილნი, ნაღვლიანად იდგნენ მოთქრიალე წვიმაში და ჩუმი თმენით ელოდნენ პატრონთა კეთილ ხელშეხებასა და მოსთვლიანებას.

მათ შორის საყვარლად იყო აწოწილი, ტოტებგაბარჯღული ალუბალი. პრიალა ფოთლები უხასხასებდა, ხოლო ნაყოფი მეტი სიმწიფით ჩაშაებული, თითქო ღვთის მადლიან მარჯვენას ლალის მირიად თელებად შეეფრქვიოს მისთვის და ეთქვას: აპა, ახარე ადამის ტომიო! არაფერი სჯობდა მის ცქერას ამ ნისლიან, სევდიან დღეს, იდგა გაწუწული, მშეიდი, მუქად გაბურბურებული...

და მე გამახსენდა რეზო ინანიშვილი:

გამახსენდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ რეზოც ბღუჯა-ბღუჯა, უშურველად გვირიგებდა ძვირფას თელებს საკუთარი შემოქმედებისას, ისევე ალალად და დაუმადლებლად, როგორც დახუნძლულ ხეს შეუძლია ნაყოფი მიაწოდოს ადამიანს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს მშვენიერი ალუბალი, ეგერ, ღობეს ჩაყოლებული ბუჩქი სამი თეთრი ვარდისა და ეზოს ბოლოში ტეერად მოდებული ჟოლი, მან ამომიტანა უჯარმიდან და, მაშინ სულ პაწაწინები, თავისი ხელით დარგო აქ, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს. მარჯვედ ხმარობდა ბარსა და თოხს. ხელები პქონდა ძლიერი, ნაჯაფარი, მუშა-კაცისა. „რა კარგი მუშაობა გცოდნია-მეთქი". „რაც მე ბარი და ნიჩაბი მჭერია, ზოგს იმდენი თმაც არ ექნებაო. გარდა ამისა, ჩემში გლეხური სისხლიაო", — მიპასუხა თვალების ჭუტვითა და კეთილი ღიმილით: „ეგ არი, რომ ძალას მაძლევსო". პერანგის საყელო ჩაღეღილი პქონდა, მზით დამწვარი, დაკუნთული მკერდი უჩანდა, ნამდვილი „გვირისტით ნაკერი" მამრი იყო, შემოქმედი, რომელსაც ხელის ერთი აქნევით სასწაულების მოხდენა ხელეწიფება. მორჩა საქმეს, შემოუბეკნა ნარგაევებს მიწა, ჩაიფერთხა ხელები კმაყოფილმა და მითხრა: „როცა აღარ ვიქნები, ჩემს თავს გაგახსენებენო". გამეცინა: რას ლაპარაკობ-მეთქი? მუხის კორძიეით მიწიდან ამოზრდილ და პანიეით გაუღუნავ კაცთან სიკვდილს რა ხელი უნდა პქონოდა! მართლაც, სიკვდილი შორს იყო ჯერ, მთელი ცამეტი წელი იდო წინ, იგი შემოქმედების ზენიტში გახლდათ და კიდევ მრავალი მშვენიერი მოთხრობით უნდა გაეხარებინა მკითხველი.

მე ვიცოდი, რომ ძალზე მძიმე ცხოვრება პქონდა გამოვლილი. სულ პაწია იყო, მამა რომ კედელთან მიუყენეს კომუნისტებმა. დიდ ხანს ატარა „ხალხის მტრის" შვილის მწარე დამღა, გულში ჩახვეული

დარდი და მალული ცრემლი. გამოსცადა უმამობის სიმწარე, შიმშილი, სიტიტველე, სიცივე და სხვა მრავალი ჭირსახდელი. არც მერმე ულხინდა, დაჭაბუკებულს: მისი ტოლ-სწორნი რომ ლაღად, ფუფუნებით ცხოვრობდნენ, თვითონ ოფლითა თვისითა შოულობდა არსობის პურს. ერთ ხანს, თურმე, უნივერსიტეტიც მიუტოვებია და მაშინ დიდად გახმაურებული სამგორის არხის მშენებლობაზე უმუშავნია უბრალო მიწისმთხრელად. მაგრამ, საბედნიეროდ, ღვთაებრივი ნაპერწკალი, იმთავითვე რომ „ჟოლავდა“ მის სულში, ნელ-ნელა გაღვივდა, აალდა და, მერმე და მერმე, უჩვეულო კაშკაშით გაანათა ქართული მწერლობა.

მკაფიოდ მახსოვს მისი პირველი დანახვა: უნივერსიტეტის დერეფანში, ერთმა მეგობარმა მითხრა: აი, ეს არის რეზო ინანიშვილიო. მე მაშინ უკვე წაკითხული მქონდა მისი წიგნი „პირველი მოთხრობები“, ძალიან მომწონდა და შინაგანად ვგრძნობდი, რომ ამ ნაწარმოებთა ავტორი მთლად ჩვეულებრივი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაც დავინახე, მართლაც უჩვეულო გამოდგა: აჟიჟივებულ, ჭრელაჭრულებში გამოწყობილ, პირმწვანე გოგო-ბიჭებს შორის მოაბოტებდა (სწორედ ასე!) მზით გარუჯული ვაჟკაცი, რომელსაც მოკლე, მუშური „ტელოგრეიკა“ ეცვა, ხელები ირიბად აჭრილ ჯიბეებში ეწყო, ხოლო შარვალი სალდათურ ჩექმებში ჰქონდა ჩატნეული. მიდიოდა, მიალაჯებდა, ჩვენს მიღმა იცქირებოდა, ეტყობა რაღაც საზრუნავით იყო დაკავებული, ჩაგვიარა და გაქრა. მისმა გამორჩეულმა გარეგნობამ, ჩაცმულობამ განსაკუთრებით, პირდაპირ ვიტყვი, ერთგვარი შური აღმიძრა: ძალიან მომინდა, მეც ასეთი დამოუკიდებელი ეყოფილიყავი — იერითაც და საქმითაც, მემუშავა სადღაც დიდ მშენებლობაზე — სახლიდან შორს, მცმოდა ბრეზენტის ხალათ-შარვალი, მყვარებოდა რუსის მკვრივი, პაჭუა გოგო, მეცხოვრა ბუდრუგანაში (აქვს რეზოს ჩინებული მოთხრობა ამ სათაურით), დაძინებისას საბნის ნაცვლად პალტო წამეხურა, „კრუშკიდან“ მესვა არაყი და ყოველი დღეცისმარი მოულოდნელობითა და ხიფათით ყოფილიყო სავსე.

იმ დროს სულ პატარა ბიჭი გახლდით, ოცი წლისაც არა, რაღაც მოთხრობებს ვაცოდვილებდი და ახლა რომ ვუკვირდები, ეს ფიქრები და სურვილები, რეზოსგან უხილავი ტალღებით გადმოცემულნი, ჩემთვის, ვითარცა კალმის მომავალი მსახურისათვის, იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობისაც კი იყო.

* * *

მაშინ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ერთი რაღაც მოთხრობა „მოვახლაფორთე", ადამიანური ბედნიერების ეფემერულობაზე, მსწრაფლწარმავლობაზე, მოთხრობას საფუძვლად ნამდვილი ამბავი ედო, პირადად ნახული და განცდილი: ბაკურიანთან ახლოს, არის ერთი სოფელი — ტბა. იმ ხანად, ყმაწვილობაში, პლეერიტით ვიყავი ავად და რაკიღა ტბა ერთიანად ფიჭვნარშია ჩაფლული, იქ გამაგზავნეს დასასვენებლად და სამკურნალოდ. ვცხოვრობდი ოჯახში ახალგაზრდა ცოლ-ქმრისა, რომელთაც სამი წლის ბუთხუზა, საყვარელი ბიჭუნა პყავდათ. მოხდა საშინელება; ჩემს იქ ყოფნაში, ბავშვს რაღაც ავადმყოფობა დაეტაკა (ახლაც არ ვიცი, რა!) და ერთ კვირაში მოუსწრაფა სიცოცხლე. თავზარდაცემულმა, განადგურებულმა, მიეატოვე იქაურობა და თბილისში გამოვიქეცი...

აი, ეს შემზარავი ფაქტი მქონდა აღწერილი მოთხრობაში. ახლა რომ ვიხსენებ, დაწერილი იყო ზერელედ, „გარედან", თანალმობის გარეშე. ამას მეტნაკლებად მაშინაც ვგრძნობდი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მისი გატანა დამწყებ მწერალთა წრეზე განსახილველად. ხალხი ბლომად შეიკრიბა, რამაც, ცოტა არ იყოს, ამაღელვა, მაგრამ აღელვება მაშინ გენახათ, როცა აუდიტორიის ბოლო რიგში თვალებმოჭუტული, უჩვეულოდ სერიოზული რეზო ინანიშვილი დაეინახე. კითხვისას მთლად უბადრუკი მეჩვენა ეს მოთხრობა იყო თუ რაღაც ოხრობა. აშკარად ვგრძნობდი რეზოს ბასრ მზერას — შუბებიეით მობჯენილს. როგორც იქნა, ჩავამთავრე. დავჯექი. მერმე მავანნი გამოდიოდნენ, მგონი მაქებდნენ კიდეც, მაგრამ ეს ქება ყურიდან ყურში გამდიოდა, ჩემთვის აზრი მხოლოდ რეზო ინანიშვილის გამოსვლას ჰქონდა. მისი მსჯავრი იყო მთავარი. თანაც, უცნაურია, წინასწარ ვიცოდი, რომ გამოვიდოდა, მართლაც გამოვიდა, გამოვიდა და, როგორც იტყვიან, ქვა ქვაზე არ დატოვა; ახლა, რაღა თქმა უნდა, გამიჭირდება მისი სიტყვების აღდგენა, მაგრამ გულისგული ნამდვილად მახსოვს: ამნაირად წერა არ შეიძლებაო. ვინ მოგცათ უფლება ადამიანთა ასე უმოწყალოდ გამეტებისაო. იქნებ, რაც მოთხრობაშია აღწერილი, მართლაც მოხდა, მაგრამ რაც ცხოვრებაში ხდება, განა ყველაფერი გადმოცემის ღირსიაო? ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მაინც რომ მოუტანს. შენ კი გახსნილ იარას მარილს აყრი, აკრძალული ილეთებით მუშაობ, აბა როგორ შეიძლება, სამი წლის ბავშვი სასიკვდილოდ გაიმეტო, თუ მართლა მწერალი ხარო. რა მხატვრული აუცილებლობაა ამისაო? კიდევ თქვა რაღაცეები, მაგრამ, არსებითად, ეს იყო.

ჩაეიარე უნიეერსიტეტის კიბეები, გაეედი ეზოში, რაღაც შინაგანი იძულებით მოთხრობა ჯიბიდან ამოვიღე, ოთხად გადავხიე და ურნაში ჩაეტენე. ამით თითქო ანგარიში გაეუსწორე ყეელაფერს, რაც მანამდე მქონდა გაკეთებული და ერთგვარი შვებით ამოვისუნთქე. უცებ მხარზე მძიმე ხელის დაღება ეიგრძენი: რეზო იყო, ეშმაკურად იღიმებოდა. არ უნდა დაგეხია, მაგრამ რაკი დახიე, არც ეგ არის დიდი უბედურებაო — მითხრა, თუ მწერლად ხარ დაბადებული ხეალ-ზეგ უკეთესს დაწერო. მე შეიძლება ცოტა გაღაეაჭარბე, მაგრამ ეგეც არაფერი, სათქმელი ყოეელთვის პირდაპირ უნდა ითქვასო. მერმე ლიტერატურაში კომპრომისების დაუშვებლობაზე ლაპარაკობდა და მე გაეიფიქრე, რომ ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩემზე მთელი ათი წლით იყო უფროსი, რწმენითა და იმედით გახლდათ საესე და სულაც არ კრთოდა ბუნდოვანი მომაელის წინაშე.

ნელა მივაბიჯებდით მელიქიშეილის ქუჩაზე, საუბარ-საუბრით, ძველი მეგობრებიეით. უცებ მკითხა: სენკეეიჩის „იანკო-მუსიკოსი“ თუ წაგიკითხავსო. არა-მეთქი. მაშინ მე გათხოვებ, აუცილებლად წასაკითხიაო. მართლაც, მომიტანა ლურჯყდიანი წიგნი „პოლონური მოთხრობები“.

...იანკო დაბადებით მახინჯია, კუზიანი, მაგრამ მოეა დრო და ამ ცისფერთეალა, წყნარ და სათნო ბიჭში მუსიკოსის გენია იფეთქებს. დადის იგი ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ. ჯადოქრულად უკრავს ვიოლინოს. სიხარულს ანიჭებს ადამიანებს და თვითონაც ხარობს სხეისი სიხარულით. ნაზი ლირიზმი და ღრმადნაღელიანი ტონი მსჭვალავს მთელ მოთხრობას. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამით მიიქცია მან რეზოს ყურადღება. ალბათ ამიტომ მოიწადინა, რომ მეც წამეკითხა.

ბევრს არ შეეხეედრიეარ რეზოსაეით ნაკითხ კაცს. ერთ რამედ ღირდა მოსმენა, როცა იგი თავის საყეარელ ავტორებსა და ნაწარმოებებზე იწყებდა მუსაიფს. ყეებოდა დინჯად, მდორედ, დაგემოვნებით, კახური ინტონაციით. ამა თუ იმ ეპიზოდს სხვადასხვა მწერალთა ბიოგრაფიიდან, ანდა რომელიმე პასაჟს მავანი ნაწარმოებისას, ისეთი აზარტული ენებითა და ხატოვნებით გადმოსცემდა, რომ დედნის ტოლფას, ჭეშმარიტ სიამოვნებას განაცდეევინებდა მსმენელს. გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა, ყეელაფერი დეტალურად ახსოედა, რაც კი ოდესმე წაეკითხა: მნიშვნელოვანიცა და უმნიშვნელოც. მიკვირდა: მაშინ უკვე არაერთი შედეერის ავტორს, გულწრფელი აღტაცება რომ შეეძლო, როცა სხვათა მხატვრული სიმაღლეების თაობაზე საუბრობდა. მისი იმპროვიზაციები ნამდვილი სკოლა იყო ჩემთვის. ძალიან მოსწონდა „ბათარეკა

ჭინჭარაული". ამ მოთხრობის დასაწყისზე, სადაც ზამთრის დაფარული ენებებია აღწერილი, გენიალურია, ამბობდა. ვაჟას მოთხრობაზე „ფშაველი და მისი წუთისოფელი", იტყოდა ხოლმე: „ერთი ეგეთი მოთხრობა დამაწერინა და მერე მომკლაო". როცა დიდი იაპონელის — აკუტაგავა რიუნოსკეს კრებული გამოვიდა რუსულად, ახალი, ჯერ უცნობი სამყარო გაიხსნა ჩვენთვის. ახალი იყო მისი თემატიკა, კიდეე უფრო მეტად ახალი იყო გამოხატვის ხერხები. რეზო ჟინიანი ჩაკირკიტებით კითხულობდა და თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა. სიამოვნებით მინდა განვაცხადო, რომ აკუტაგავას ორი ბრწყინვალე მოთხრობა — „დიალოგი წყედიადში" და „ცხოვრება იდიოტისა", სწორედ მისი თხოვნითა და ჩაგონებით ვთარგმნე (სამწუხაროდ, რუსულიდან).

ერთხელ, რაღაც სხდომაზე ვიყავით მწერალთა კავშირში, გვერდიგვერდ ვისხედით. რეზოს მუხლებზე ქაღალდი ედო და თავჩაღუნული ხატავდა სახლს, ქარისაგან წახრილ ხეებს, შორეულ მთებს... (ხატვა ძალიან უყვარდა და მშვენივრადაც გამოსდიოდა). მომხსენებელი, ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი, გაცვეთილი, მედროვე კაცი, ეშხში შესული, აბეზრად გემოძღვრავდა ლიტერატურის იდეურობის თაობაზე, რეზო ხატავდა და არც კი მეგონა, თუ უსმენდა ამ მიეთმოეთს, უცებ, საკვანძოდ მოულოდნელად, წამოდგა და მომხსენებელს მიახალა:

— გეყოთ რა, ხალხო, ნუ გააჭირეთ საქმე, მართლა და მართლა, მაგ თქვენი იდეურობით. კარგად უნდა წერო, ისე, რომ მკითხველის გულს მოხვდეს, მთელი იდეურობაც ეგ არი. ნეტა ვის ჭირდება ამდენი ლაილაი?!

თქვა და დაჯდა, ვითომც არაფერი. მომხსენებელს ენა ჩაუვარდა, დარბაზი გაისუსა, თითქო მეხი გავარდნილიყოს. მაგრამ ეს სულ წამით მოხდა. ორატორი სწორედ კატის ჯიშისა იყო, საიდანაც უნდა გადმოგეგდო, ფეხზე დადგებოდა. ახლაც სწრაფად მოეგო გონს და აიწყვიტა, მაგრამ რა აიწყვიტა: რაო? იდეურობას უარყოფს ინანიშვილიო? ხომ არ დაავიწყდა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობსო? და საერთოდ, რა ლაპარაკიაო ეს? საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას ვაყენებთ ეჭვქვეშ? თუმცა რა გასაკვირია. ყველამ ვიცით, რომ სწორედ ინანიშვილის შემოქმედება გამოირჩევა უკონცეფციობითა და წვრილმანთემიანობით, აბსტრაქტული, არაფრისმთქმელი ჰუმანიზმითო...

იჯდა რეზო თავჩაღუნული, ვითომ ბუზიც არ აფრენოდეს, ხატვას განაგრძობდა. როცა გვიან, მაჩაბლის ქუჩას დავუყვეით, ველარ მოვითმინე და ვკითხე: „რად გინდოდა იმ ვიგინდარასთან შებმა-მეთქი", „ნეტაი შენო, მითხრა, მაგ ტუტუცს ჩემი „უფსკრული ქალაქში" უკონცეფციო

მოთხრობად მიაჩნია და ამის შემდეგ, რაღა უნდა ველაპარაკოო. საერთოდ, მაგან რა იცის იღეურობა რა არისო. მაშინ ტაკუბოკუს ეს პაწია ლექსიც უიდეო და უკონცეფციო ყოფილაო. და წამიკითხა (რუსულად): „საღღაც კუნძულზე, აღმოსავლეთ ოკეანეში, წყლისპირას ეზიავარ თვალცრემლიანი და პაწაწინა კიბორჩხალას ვეთამაშები".

აქვე შევნიშნავ, რომ „უფსკრული ქალაქში" ერთი ყველაზე ტრაგიკული მოთხრობათაგანია რეზო ინანიშვილის შემოქმედებაში, ოღონდ ეგაა, თავისი მკითხველი სჭირდება, გემოგახსნილი, ლიტერატურის ხვეულებში გარკვეული.

არ უყვარდა საკუთარ შემოქმედებაზე ლაპარაკი, იმდენად არ უყვარდა, რომ ზოგჯერ, ღმერთო შეგცოდე, კაცს ეგონებოდა, რეზო სხვა იყო და მისი მოთხრობების დამწერი სხვა. თუ მაინც მიეძალებოდი და ახლად დაბეჭდილი მოთხრობების ქებას დაუწყებდი, ხელს ჩაიქნევდა: „ამქვეყნად რამდენი კარგი მწერალია, მოდი იმათზე ვილაპარაკოთო".

* * *

ჩვენმა ურთიერთობამ სხვა მადლი შეიძინა, როცა მე გომბორზე ერთი პაწია, ეზოიან-ბაღიანი სახლაკი ვიყიდე. ვისაც სართიჭალის გადასახვევიდან თელავისაკენ მოკლეზე უმგზავრია, იმან იცის, გომბორში ისე ვერ ახვალ, თუ ძირძველი სოფელი უჯარმა არ გაიარე. აი, ამ უჯარმაში, თემშარიდან მყუდრო გადასახვევის ბოლოს, ღგას მწვანეში ჩაფლული პატარა სახლი, ინანიშვილების ბუდე. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ეს ადგილი იყო რეზოს სულისმოსაბრუნი ადგილი, მისი ერთადერთი ნავსაყუდელი. „არსად ისე ლაღად არ ვგრძნობ თავს და ისე კარგად არ მეწერება, როგორც აქო", — უთქვამს ხშირად. სისუფთავე, სისადავე და კეთილშობილი სიღარიბე სუფევს ამ სახლში („როცა შენს ერს უჭირს სულიერადაც და მატერიალურადაც, უზნეობაა მწერალი კარგად ცხოვრობდესო", — რეზოს ფრაზა გახლავთ). სწორედ აქ სახლში დაიწერა დიდი ნაწილი მისი შედევრებისა.

ადრეული გაზაფხულიდან დაწყებული, ზამთრის ჩათვლით, მე თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მიწევდა გომბორში ასვლა. ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მყუდრო გადასახვევთან მანქანა არ გამეჩერებინა და ინანიშვილებისათვის არ შემეძახნა: „ოჯახიშვილნო!" მაშინვე გამოჩნდებოდა გაბადრულ-გაღიმებული ქალბატონი როზა, ანდა, მშვენიერი, სათნო მარინე, ოჯახის რძალი: „მობრძანდით, მობრძანდითო". ბოლოს გამოვიდოდა რეზოც. დინჯად, ზოზინით, სახეზე კმაყოფილება და სიხარული ეწერა. ჩამომართმევდა ხელს ღონიერად, გადაეკოცნიდით

ერთმანეთის დიდი ხნის უნახავებიეთ, მერმე ბაღისკენ გამიძღვებოდა, ხელს წამკრავდა და ჩუმად, ეშმაკურად მეტყოდა: „შენ რომ მოგეწონება, ისეთი ღვინო მაქვსო“. მე ყასიდად ეიუარებდი. მეჩქარება-მეთქი, მაგრამ როზა უკვე მაგიდასთან ფუსფუსებდა, ხოლო მარინე, იქვე, სასადილოში გარბოდა ხინკლის შესაკეთად.

უჯარმა... ვეოფილვარ იქ, რეზოს წყალობით, „ზავოტობაზე“, ასე მშვენიერად რომ აქვს აღწერილი, ჩვეული იუმორით, ერთ მოთხრობაში. ვეოფილვარ „ღორის ქელეხშიც“, სადაც გვარიანად აგვიბნიეს თავგზა კახელებმა. არ დამავიწყდება, რეზო გაუთავებლად, ტონს აცდენილი, საყვარლად მღეროდა:

ბიჭმა გოგო მოატყუა, ჩიტის ბუდე ვიციო,
დაიჭირა და აკოცა, აი, ასე ვიციო...

* * *

ჩემი ვაჟიშვილი ახლად დაქორწინებული გახლდათ. გომბორში პატარა სუფრა გავმართეთ. ცხადია, რეზოც ბრძანდებოდა. მეორე დილით, სისხამზე, ისევ ამოვიდა უჯარმიდან: „მარტო ვერ გავძელი, თქვენთან მინდაო“, — გამოგვიცხადა ალალად. თვითონვე განსაჯეთ, ასეთ დროს სტუმარი, თანაც რეზო ინანიშვილი, რა ცის გახსნა იქნებოდა ჩემთვის. ია-ების დრო იდგა, ეზო ლურჯად იყო გადაბურბურებული, ცნობისწამლები სურნელება ფშვენდა ირგვლივ. რეზომ დიდი კონა მოკრიფა სათუთად და პატარძალს მიართვა. მერმე, არ ვიცი, ვისი იდეა იყო, მანქანაში რაღაც საჭმელ-სასმელი ჩავაწყეთ და გომბორის უღელტეხილისაკენ გავსწიეთ — ხეული გზებით, სულ მაღლა და მაღლა. ავედით უღელტეხილზე, შევსვეთ „ჩარკვიანის წყარო“, გზას ვუგანეთ და მარჯვნივ გადავედით. აქ ერთი თეთრი, გლუვი, კვერცხივით სუფთა ქვა ვიპოვნეთ და პურ-მარილიც იქ გავშალეთ. ქვემოთ, ცრიატ ნისლებში მოჩანდა მთა-გორების რბილად მოხაზული კონტურები და ღარტაფში ჩაწოლილი სოფელი გომბორი. ვისაც ამ სანახებისთვის თვალი არ მოუვლია, არ თქვას, საქართველო ვიციო! რეზო თამადობდა, თუმცა, ეს არ იყო თამადობა ჩვეულებრივი გაგებით. ეს იყო ერთი გაბმული ღაღადისი თავის მიწა-წყალზე, თავის ხალხზე, ენაზე, საერთოდ ადამიანზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა, რომელმაც მშვენიერად, ზედმიწევნით იცის, რომ ბუნება ჩვენშია და ჩვენ კიდევ — ბუნებაში და ამ საოცრების დაფასებაც ძალუძს. ირგვლივ მიდამო ბიბლიური სიმშვიდით სუნთქავდა, ჩვენი სულები მშვილდის ლარივით იყვნენ მოჭიმულნი, თვითეული კუნთი თუ ნერვი ექსტაზით თრთოდა და ცახცახებდა. არ ვიცი, ალბათ ასეთი წუთებია ადამიანისთვის, უმაღლეს

ბედნიერებად რომ უნდა ჩაითვალოს. რეზო მუხლებზე დაემხო, მიწას ეშთხვია.

ქეიფის მეტი რა მინახავს და საღღეგრძელოების მეტი რა მომისმენია, მაგრამ ასეთი არაფერი! ალბათ, დაახლოებით ამასვე ფიქრობდა რეზოც, რაკიღა მერმე, ყოველ შეხვედრაზე, იმ უცნაურ სერობას მაგონებდა ხოლმე. მაისში კი, იმავე წლისა, „ლიტერატურულ გაზეთში" 50 წლის შესრულება მომილოცა და სხვა კარგ სიტყვებთან ერთად ესეც დაწერა:

„ორმოცდაათი წლისა გახდი, ორმოცდაათი წელი თითქოს ყველაზე თვალსაჩინო მწვერვალია კაცის ცხოვრებისა, მაგრამ ეს მაინც არ არის ის უმაღლესი მწვერვალი, რომლის მიღწევაც შეუძლიათ ადამიანებს სულიერ ცხოვრებაში. მე გისურვებ, სწორედ ამ მომდევნო, მაღალი მწვერვალების დაპყრობას. და რას გისურვებ კიდევ: ჩვენ ხომ ერთი მაგიდასავით ვეება ქვა გვაქვს დათქმული გომბორის უღელტეხილზე, სადაც მუხლმოყრით ვმდგარვართ და, ზეიადი კავკასიონის მაყურებლებს, გულმხურვალედ გვილოცია ჩვენი ქვეყნის სიკეთისათვის. ნუ გამოგლეოდეს მუხლში და გულში ძალა მრავალ ათეულ წელს, რათა კიდევ მრავალათეულჯერ ასულიყავი იმ უღელტეხილზე და გეხაროს ჩვენი ქვეყნის სიდიადით!"

მიაქციეთ ყურადღება: „ასულიყავ"... „გეხაროს"... და არა „ავსულიყავით", „გვეხაროს"... რა იყო ეს? წინათგრძნობა, რომ უღალტეხილზე ერთად ვეღარ ავიდოდით? არ ვიცი. ეს კია: რეზოს სხეულში უკვე ბუდობდა ის ავბედითი, წყეული სენი, რომელიც მერმე და მერმე მწვავედ გაღრმავდა და ბოროტად გამოიკვანძა.

მაშინ იგი მწერალთა კავშირის მდივნად მუშაობდა. უნებლიეთ მეღიმება, ამას რომ ვწერ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: არც მინახავს და არც გამიგია თანამდებობით ასე გულწრფელად შეწუხებული კაცი, რეზო რომ იყო. ვინ მოითვლის, რამდენი მისი კოლეგა დანას დაეხეოდა ამ თანამდებობის გულისთვის, რეზოსთვის კი ერთი გაბმული წვალება იყო და მეტი არაფერი. მდივანი გოგონას გამოსაძახებლად ზარის ღილაკზე თითის დაჭერა ესიკვდილებოდა: არ შეეაწუხოო. თუ რამე სჭირდებოდა, ადგებოდა და თვითონ ეტყოდა, ანდა სულაც თვითონვე გააკეთებდა. უამრავი მთხოვნელი და შემწუხებელი ჰყავდა. ზოგი ისეთ საქმეზეც აკითხავდა, რეზო რომ ბაიბურშიც არ იყო და, ბუნებრივია, ხელის გამართვაც არ შეეძლო. ამაზე წუხდა, ნერვიულობდა, ერთთავად დაძაბული იყო. „ღამეებს თეთრად ვათენებ, აღარ ვიცი, რა ვქნა, არ არის აქ მუშაობა ჩემი საქმე, რამდენი ხანია, სტრიქონიც არ დამიწერიაო". ავადმყოფობა კი თავისას აკეთებდა; რაღაც არაბუნებრივად გასუქდა,

უფრო სწორედ, დასიედა, სახე შეუშუპდა, თავის კანტური დასჩემდა, მოძრაობაც დაუმძიმდა. წერით კი კვლავინდებურად ბრწყინვალედ წერდა.

ამასობაში იმძლავრა ავადმყოფობამ. მეტყველება დაუმძიმდა, წერის უნარმაც შესამჩნევად იკლო. იწვა ერთ საავადმყოფოში, მეორეში, მოსკოვშიც ჰყავდათ, მაგრამ მკურნალობის შედეგებმა მაინცდამაინც ვერ გაგვახარა. როგორც შემდეგ გაირკვა, საუბედუროდ, არასწორად უმკურნალიათ, რითაც საბოლოოდ მოუთავეს ხელი. საუბრის ხალისი დაკარგა, იჯდა საათობით ჩუმად, ღრმა ფიქრებში წასული, თუ დაელაპარაკებოდი, ჭკვიან, აწ დაბინდულ თვალებს მოგაპყრობდა, მაგრამ გისმენდა თუ არა, ესმოდა თუ არა შენი, ძნელი სათქმელია. რაზე ფიქრობდა? ვის იგონებდა ეს ნაადრევად მოღლილი დიდი მწერალი?

შარშან, ამ დროს (შემოდგომაზე), ჩვეულებისამებრ, გავუარე უჯარმაში: „ოჯახიშვილნო“! — დავიძახე, როგორც ყოველთვის. შემომეგება როზა, სევდიანი, ჩაფერფლილი ღიმილით. „აი, იქ არის, ჭერმის ძირშიო“, მითხრა რატომღაც ჩურჩულით. ბებერ ხესთან, რეზო ჯორკოზე იჯდა, უხვად დაცვენილ ჭერამს აგროვებდა და ჭამდა. ჭამდა ზანტად, მძიმედ. დამინახა, ჩამქრალი თვალები წამით ნაპერწკალმა გაუნათა, მაგრამ მაშინვე ისევ მიებინდა. ქალბატონ როზას სატირლად მოექცა სახე. „რეზო ვერ იცანი? ჩვენი თემოა, არ გინდა, დაელაპარაკო?“ „პო, ჩვენი თემო, მაშ, კაცო“! — თქვა და ჭამა განაგრძო. ხაოიანი ბურთი ამომაწვა ყელში, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ აებღაველებულიყავი. ქალბატონმა როზამ განზე გამიხმო, შემომტირა: „ამ ბოლო დროს ასე დაბეჩავდა, ყველაფრისადმი ინტერესი დაკარგა, უმეტესწილად თვლემსო. მართლაც, ჩემს წინ იჯდა უკიდურესად დამაშვრალი კაცი. მივედი, გულზე მიეიხუტე მისი ძვირფასი, ჭაღარა თავი, რამდენჯერმე ვაკოცე ჩამდუღრულმა. „ჰეო, კარგი, კარგი!“ — ჩაიბურდღუნა თითქო დარცხვენილმა. მეტის გაძლება აღარ შემეძლო, წამოვედი ცრემლების ყლაპვით. უნებლიეთ გამახსენდა მისი ერთი მინიატურა, რომელიც ახლა განსაცვიფრებლად წინასწარმეტყველური მეჩვენება.

„ზის დიდი, ტოტებდაზნექილი ჭერმის ქვეშ, ძირხვენებისა და კულუმხოს ფართო ფოთლებს შორის, უკვე ხნიერი, თმაშეთრთვილული მამაკაცი და როგორც სანუკვარ მუსიკას, ისე ისმენს ნაყოფთა ცვენის კანტიკუნტ ხმებს“.

მეტი არაფერი... ვაი, რომ მეტი არაფერი.

* * *

რეზო ინანიშვილი კვდებოდა, ეს ჩვენ ყველამ ვიცოდით, მაგრამ შველა არსაიდან იყო. ძალზე კომპეტენტურმა კონსილიუმმა, რომელიც სისხლის გადასხმის ინსტიტუტში შედგა ბატონი დავით გეგეშიძის ინიციატივითა და მონაწილეობით, სანუგეშო ვერაფერი თქვა: პირიქით: ავადმყოფობა იმ ფაზაშია, კიდევაც რომ წავიდეს გერმანიაში სამკურნალოდ, დადებითი შედეგი გამორიცხულიაო, დაასკვნეს. ეს მწარე ფრაზა მაშინ ითქვა, როცა ქალბატონმა როზამ მანქანაში ჩასაჯდომად გაიყვანა რეზო. კონსილიუმს ბატონი ჯანსუღ ღვინჯილია და მე ვესწრებოდით. ადვილი წარმოსაღგენია, რა გუნებაზეც დავდექით.

საბურთალოს ქუჩაზე, მის სახლთან, ქალბატონმა როზამ ხელი გამოსდო, უჩვეულოდ ნელი ნაბიჯით გაემართნენ სადარბაზოსაკენ — ცხოვრების განუყრელი თანამგზავრები, ათას ჭირსა და ლხინში გამოვლილი მეუღლეები. ასე დამამახსოვრდა საბოლოოდ: სადარბაზოს ბნელი ღიობისაკენ ტაატით მიმავალი, ბეჭებში მოხრილი, უმწეო...

ამის შემდეგ ცოცხალი აღარ მინახავს.

იდგა დეკემბრის თვე, დასაწყისი დეკემბრის თვე 1991 წლისა, როცა ბედკრულ საქართველოში ძმისმკვლელი კაენის სული კიდევ ერთხელ (მერამდენედ?) აღზევდა და სისხლის ტბები დააყენა. ქუხდნენ ქვემეხები, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, იწვოდა და ინგრეოდა ქალაქი, იჟუჟებოდნენ რჩეულ-რჩეული ბიჭები. ერმა დაკარგა არსებობის საზრისი, შუაზე გაიპო, ვის რა უნდოდა, ვინ რას აკეთებდა, თვით მამა-უფალიც ვერ მიხვდებოდა. სწორდებოდა მიწასთან თაობების ოფლით ნაგებ-ნამუშაკევი. ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათი ჩუმად კენესოდა ცოდვიან უგუნურთა მიერ ათას ადგილას დაჭრილ-დაფლეთილი. ვინ იყო მტყუანი? ვინ მართალი? არავინ იცოდა, მაგრამ საქართველო რომ უფსკრულისაკენ მიექანებოდა, ამას ყველა გრძნობდა.

აი, ასეთ დროს კვდებოდა რეზო ინანიშვილი. ამბობენ, სიკვდილის წინ ყველა ადამიანს რაღაც ძალზე თავისი, საკუთარი, პიროვნული ეზმანებაო. ალბათ, მართალია. და თუ მართალია, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ რეზოს სიკვდილისწინა ზმანება, სწორედ ისეთი იყო, როგორიც ერთ მოთხრობაში აქვს აღწერილი: „თვალები დაეხუჭე... აი, ამ ყოფაში შემოვიდა რაღაც საამო, რაღაც ნათელი. გავიხედე და დამბლა დამეცა: იმ თოლში, იმ ბნელ ბურუსში, მკვრივი, არაამქვეყნიური ნათელი მოდის, მოპყვება შარავანდედად წვრილ-წვრილი ჩიტებისა და პეპლების

მგალობელი გუნდი. ეუყურებ ამ ნათელს და ვარჩევ — ქალს! მთლად ოქროსფერს, თმის ოქროსფერ ნაკადებში გახვეულს. მოდის, ახლოედება, მოანათებს თმებით, თვალებით, ყველაფრით, ჟინიანად მოადგამს შიშველ, ოქროსფერ ფეხებს, ზეიმით მოაქვს პატარა, შეკუმშული, თავმსხვილი ძუძუები, უკანაც თმა მისთრევს, თმაა თუ შუქია ადევნებული. წინ მიუძღვის ჩრდილისფერი, გრძლადდაძაგრული ორი ვეება მგელი, ნაბიჯი ნაბიჯთან აქვს შეწყობილი, ჩემსკენ შემობრუნებული თვალები ყურადღებით აქვთ საკვე, მოანათებენ თეთრ ღოჯებს. ქალი ესევე, სიარულშივე მოიხედავს ჩემკენ... რა სიხარულის ცისფერი სინათლე ედგა თვალებში, რა სიკეთის ღიმილით ელიმებოდა აქეთ-იქით, ოდნავ მაღლა აზიდული ტუჩებით! წავიდა ისევე გაბრწყინებული, ისევე გაღიმებული, გაუძღვნენ წინ ნაბიჯშეწყობილი მგლები, გაპყვნენ მგალობლები, ჩიტები თუ ოქროსფერი პეპლები".

წავიდნენ და თან წაიყოლეს რეზო ინანიშვილის ნათელი, გამჭვირვალე სული.

დასაფლავების დღეს, 31 დეკემბერს, მსუსხავი ქარი უბერავდა და ხოშორი თოვლი აყრიდა. განუწყვეტლად ისმოდა ჭურვების ბათქი და ტყვიების თარსი წვილი. რეზო იწვა მშვიდად, ოდნავ იღიმებოდა.

მე მიყვარდა ეს კაცი!

მიყვარდა მისი მწერლობა: მაღალნიჭიერი, კეთილი, დიდი ოსტატობით აღბეჭდილი.

მე მიყვარდა მისი ცხოვრების ნირი: მართალი, სადა, ალალი...

ღმერთმანი, ბედნიერი ყოფილა იგი, ჩვენი, ქართველების ასეთ სიბეჩავესა და სიდუხჭირეს რომ არ შეესწრო. მართლაც: „გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგვნე შეუწონარი".

აქვს რეზოს ერთი ჩანაწერი:

„არაფერია იმაზე კარგი მიცვალებულისათვის, ორიოდე კაცმა მიაცილოს სასაფლაოს მყუდრო კუთხეში, რაღაც წაიპუტუნოს თავისთვის სამოსგაქუცულმა მღვდელმა, ჩაუშვან მიცვალებული მიწაში, იქვე წაუქციონ თითო ჭიქა და წავიდნენ საქმემორჩენილები თავთავიანთი გზით. ცოტა ხანში შემხმარმა ფოთლებმა დაფარონ საფლავის ბორცვი. ასეთი ბედნიერები იყვნენ მოცარტი და ფიროსმანი".

ასეთი ბედნიერი იყო რეზო ინანიშვილიც, — დავუმატებდი მე, რამეთუ ყველაფერი აუხდა, რაც ინატრა და იწინასწარმეტყველა: იყო სასაფლაოს მყუდრო კუთხეც, მღვდელიც, ჭიქის წაქცევაც... მხოლოდ

ხმელი ფოთლების ნაცვლად, ფიფქებმა დაფარეს მისი ობოლი სამარე.

აი, ეს ყველაფერი და კიდევ მრავალი სხვაც გამახსენდა ერთ ჯანღიან დღეს, გომბორში, როცა წვიმით გაწუწულ, ლალისფრად აღუდღუდებულ ალუბალს ვუყურებდი, რეზოს მიერ დარგულს, ჩემი ფანჯრის წინ.

საქართველოში ყველას თავისი რეზო ინანიშვილი ჰყავს. მე ჩემს რეზოზე გიამბეთ.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
გომბორი,
1992 წ. აგვისტო

* * *

სიღნაღის გადასახვევთან რომ მარტოხვა...

— ოცნებად მაქვს, სიღნაღის გადასახვევთან რომ მარტოხვა და გარშემო შავად გადახნული მინდორი – აი, იქ უნდა მოვკვდეო, – მითხრა და თან ერთგვარი შიშითა და საბოდიშო ღიმილით გადახედა განაწყენებულ მეუღლეს.

— რა დროს მაგაზე ლაპარაკია მეთქი, – მივუგე და სხვა თემაზე ჩამოვაგდე სიტყვა.

საახალწლოდ ზეციურ საქართველოში გაგვეპარა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში გართულსა თუ სეირის მაცქერალ, დაუნდობლობაში, განუკითხაობაში ჩაფლულ ქართველობას....

და ახლა, ცხოვრების ათასნაირი უკუღმართობით გადაღლილს ხშირად მახსენდება ხოლმე სიღნაღის გადასახვევთან, შავად გადახნულ ველზე მდგარი მარტოხე – ბერტყვენას ეძახდა ბატონი რეზო – და ისე ემშვიდდები, თითქოს ეკლესიაში ამენთოს სანთლები...

მიხო მოსულიშვილი

***

რეზო საერთოდ სიტყვაძვირი კაცი იყო, ამიტომ დროის იმ მცირე მონაკვეთში, სანამ მანქანაში ჩავსხდებოდით, ძირითადად მეველაპარაკობდი. ვაქვე რეზოს მოთხრობები! სულ ცამდე აეიყვანე მწერალი! არადა, მართლა მომწონდა მისი პოეტური ხელვა, ძარღვიანი ქართული, ლაკონიზმი და კომპოზიციის უტყუარი გრძნობა. შესადარებლად ხან "ოთარაანთ ქვრივი", გავიხსენე, ხან "ხმელი წიფელი", ხან კიდევ ჩემი სათაყვანო

უცხოელი სტუმრები: ჩეხოვი, ბუნინი, პემინგუეი... რეზო ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა, ეატყობდი მის შემოქმედებაზე ლაპარაკი სიამოვნებდა: თვალები უბრწყინავდა და ლოყები ოდნავ შესწითლებოდა.

თბილისში რომ ჩამოვედით, რეზომ მოულოდნელად მითხრა: "მე უკვე დიდი ხანია ეწერ, შენი ლექსებიც წამიკითხავს თითქმის ყველა, რაც გამოქვეყნდა და მთელი ამ წლების მანძილზე სულ ეფიქრობდი: ნეტა ამ კაცმა ერთხელ მაინც შეაქოს ჩემი დაწერილი და ძალიან გამიხარდება..." მე ზუსტად არ მახსოვს რეზოს სიტყვები, მაგრამ დაახლოებით ასე თქვა, რადგან გული ამიჩუყდა და გადაეხვიე...

მიხეილ ქველიძე

* * *

წუხილი

მე და რევაზ ინანიშვილი ისე ხშირად არ ვხვდებოდით ერთმანეთსა; თუ შევხვდებოდით, გზას არ ავუქცევდით. შორი სალამი არ გვაკმაყოფილებდა. მას ყოველთვის რაღაც აქონდა სათქმელი, რაღაც აწუხებდა და თუ არ გეტყოდა, ვერ მოისვენებდა. ეს "რაღაც" უფრო საზოგადოებრივი ზნეობის დაქვეითებას შეეხებოდა, რაღა თქმა უნდა, რაც თავისთავად ლიტერატურაზე ახდენდა ზეგავლენასა, სხვა დარგებზედაცა ხელოვნებისა. შეეძლო ამაზე დაუსრულებლად ელაპარაკა და წუხილი გამოეთქვა, გაუნელებელი წუხილი, უსაზღვრო წუხილი.

წუხილს ის უფრო ამწვავებდა, უცნაურ გარემოებათა გამო, რომ იბნეოდა ხალხი, თვითონაც რომ მოექცეოდა წინააღმდეგობაში.

რევაზი უფრო ლირიკოსი გახლდათ თავისი მინიატურებითა, მცირე ზომის მოთხრობებითა და ჩანახატებითა, მაგრამ ის მაინც არ დაბნეულა, როგორც შემოქმედი...

არა!... რევაზს არ შეეძლო თამაში. ის წრფელი იყო, ალალი, გულითადი, უშუალო, და შეუმღვრეველი შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიცა. ამიტომაც უჭირდა, წუხდა და მისი საუბარი უფრო წუხილი გახლდათ ამიტომაცა. და შესაძლოა მისი ძნელი უკურნებელი სენი, რითაც აღესრულა, – პო, შესაძლოა: სწორედაც ამ გაუნელებელი წუხილის ბრალიც იყო.

ოთარ ჩხეიძე

* * *

ცოტა რამ დიდ ადამიანზე

მე არ ვიცი, საერთოდ როგორ მუშაობდა რეზო, ის კი მახსოვს, რომ თავის ერთ-ერთ საბავშვო მოთხრობას საჯარო ბიბლიოთეკაში წერდა. წერდა ფანქრით. მეორეჯერ გადაკითხვისას ზოგ სიტყვას ჩააჟინდებოდა, ბოლოს უკეთესს მოძებნიდა, ძველს ამოშლიდა და ახალს ჩაწერდა. იქვე ვიჯექი და ამას ყველაფერს ვხედავდი. არც არაფერს მალავდა: მუშაობდა, ისე უტრიალებდა ამ თავის საქმეს, როგორც კარგი მეევნახე ვაზს. რეზო საკმაოდ კარგად ხატავდა, ლექსის წერა კი არ ეხერხებოდა.

რეზოს "მყვირალა" თემები არ უყვარდა, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო ამბავს ისე ააჟღერებდა, რომ ყველას ყურადღებას მიიპყრობდა.

ერთხელ გამომცემლობა "ნაკადულში" მივედი პონორარის ასაღებად. ფული არ აღმოაჩნდათ. პოეტ მინდია არაბულთან ელაპარაკობდი კორიდორში. გამოჩნდა რეზო. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ჩემი მისელის მიზეზი რომ გაიგო, პონორარი არ არი, მგონი, იმდენი ფული კი მიდევს ჯიბეში, რომ ერთ-ერთი საათი რესტორანში თავი შევიქციოთ – ბრძანა რეზომ. ჩვენ უარი ვთქვით რესტორანზე. ერთი ხომ მე დაგითმეთ, მეორე თქვენ უნდა დამითმოთ: სახლში კარგი ღვინო მაქვს, გავიაროთ ბაზარში, ცოტა რამ სურსათს ავიღებ და ჩვენსა ვისადილოთო. დაგვიყოლია. მართლა სასიამოვნო დრო გავატარეთ, გვიანღამემდე ვისხედით. მეორე დილით პიჯაკის ჯიბეში ასი მანეთი აღმოაჩნდა. რა მიხვედრა უნდოდა: ბატონმა რეზომ იფიქრა, ეგება ფული არა აქვთ სახლშიო და ჩუმად ჩადო ჩემი პიჯაკის ჯიბეში ასი მანეთი. ასი მანეთი მაშინ კარგი ფული გახლდათ, – ოჯახს რამდენიმე დღე შეინახავდი.

ერთხელ რეზოს ეუთხარი ძველ ქართულ ხელნაწერში ამოკითხული ერთი ბრძნული ფრაზა: "ძაღლი, რომელი ჰლოკდეს ქლიბსა, თვისისა სისხლისაგან სუამს". ძალიან მოეწონა: რა კარგად იცოდნენ ხოლმე დალოცვილებმა თქმაო.

რეზოს რომ უკანასკნელ გზაზე მივაცილებდით, ეს ფრაზა ამეკვიატდა: რუსთაველზე ქართველები ქართველებს ხოცავდნენ. მტერმა თავისუფლების წყურვილის მოსაკლავად ქლიბი მოგვიგდო და ჩვენც ხარბად ვლოკავდით ამ ქლიბ სატყუარას. ეფიქრობდი იმ დიდ ტკივილზე, რაც რეზომ წაიყოლა "მართალთა საქიოში".

ამასწინათ ოთარ ჭილაძის წერილი რომ წავიკითხე "ლიტერატურულ საქართველოში" რევაზ ინანიშვილის საფლავის მოუვლელობის

თაობაზე, მაშინვე რეზოს მიერ კახეთში გაგონილი და ჩემთვის ნაამბობი ერთი ლეგენდა გამახსენდა: შაპ-აბაზმა თვითონ კახელებს გააჩეხინა და ამოაძირკვინა ვენახები. ბრძანება გასცა: ვის ვენახშიაც თუნდაც ერთ ძირ ვაზს აღმოაჩენთ, ვენახის პატრონს თავი მოკვეთეთო. ერთ-ერთი გლეხის ვენახში მართლა ნახეს ერთი ძირი შემთხვევით ჩარჩენილი ვაზი; პატრონი საჯაროდ დასაჯეს, თავი მოკვეთეს და სახელდახელოდ გათხრილ მიწაში ჩააგდეს. იმ საფლავზე მეორე წელს ვაზის რქამ ამოიყარა: თურმე დასჯილ კახელ გლეხს ხალათის საღილეებში ვაზის ლერწი ჰქონდა გაყრილ-გამოყრილი და ის ამოზრდილიყო. მაშინ რომ ვკითხე, ეგ ლეგენდა არსად გამოგიყენებია-მეთქი? მიპასუხა: ამას რაღა დაწერა უნდა, ეს ხომ თავისთავად ლამაზიაო. არც შემდეგ შემხვედრია რეზოს ნაწერებში ეს ქართული და მართლაც, ლამაზი ლეგენდა.

რეზო ინანიშვილი თვითონ პგავდა ფესვმდგარ და ღონიერ ვაზს — ქართული სიტყვის მადლითა და სიბრძნით იყო დახუნძლული.

ალექსი ჭინჭარაული

ბიოგრაფია

რევაზ ინანიშვილი დაიბადა 1926 წლის 20 დეკემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, მოსამსახურის ოჯახში. აქ დაამთავრა ხუთი კლასი.

1937 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის წლებში, 1943-45-ში მუშაობდა 31-ე ქარხანაში. მერე სწავლობდა საავიაციო ტექნიკუმში, რომელიც არ დაუმთავრებია.

1947-49 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ოჯახის სიდუხჭირის გამო იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა და მუშაობა დაიწყო სამგორის არხის მშენებლობაზე,

1951 წელს დაუბრუნდა უნივერსიტეტს და 1956 წელს დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1952 წელს დაოჯახდა.

1960 წელს მუშაობა დაიწყო საბავშვო გამომცემლობა "ნაკადულში", 1966 წელს — კინოსტუდია "ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილებაში;

1985-88 წლებში მუშაობდა მწერალთა კავშირირს მდივნად;

1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ჟურნალ "დილას" რედაქტორი.

პირველი მოთხრობა "სახსოვარი" 1950 წელს გამოაქვეყნა ალმანახ "პირველ სხივში", ხოლო პირველი კრებული "პირველი მოთხრობები" — 1953 წელს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ბულგარულ, სომხურ და სხვა ენებზე.

მისი მოთხრობების ძირითადი კრებულებია: "მეგობრისადმი მიწერილი წერილებიდან"(1958), "წვეთები ფოთლებზე"(1962), "ცისფერი

გორგალი"(1968), „საღამო ხანის ჩანაწერები"(1971), "ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა"(1974), „ჩიტების გამოშხამთრებელი"(1978).

მწერალს ეკუთვნის საბავშვო კრებულებიც: „ბედნიერი მთა" (1960), „ბიბო" (1964), „სად ცხოვრობს მეზღაპრე" (1970), „მგლის ლეკვები" (1973), „შორი თეთრი მწვერვალი" (1976), რისთვისაც 1977 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

რევაზ ინანიშვილის სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „არდადეგები", „დაბრუნებული ღიმილი", „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", „ფერმა მთაში", „ზაფხული სოფლად", „პასტორალი" (თანაავტორი ოთარ იოსელიანი), „ნატერის ხე"(გიორგი ლეონიძის წიგნის მიხედვით, თანაავტორი თენგიზ აბულაძე), „ქვიშანი დარჩებიანო" (თანაავტორი გიორგი შენგელაია).

რევაზ ინანიშვილი გარდაიცვალა 1991 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სად ცხოვრობს მეზღაპრე

ის ადგილი აქედან შორს არის. ირგვლივ სულ მაღალი ლურჯი მთებია, შუაში კი სწორი ცისფერი ტბა კამკამებს.

ლურჯ მთებზე ღრუბლები იბადებიან, პატარა ცელქი ბიჭუნებივით კოტრიალებენ ფერდობებზე, იზრდებიან და მერე ჩვენკენ მოდიან რუხრუხითა და მუქარით. ტბა კი სარკეა ბუნებისა. ყველას უყვარს შიგ მზერა და კეკლუცი — მთებსაც და ღრუბლებსაც, მთვარესაც და ვარსკვლავებსაც, ყვავილებსაც და ხეებსაც.

ტბის პირას ტანჭრელი დიდი ვერხვები დგას. მათი ფოთლები ყოველთვის ბრწყინავენ, ყოველთვის კარგ ხასიათზე არიან და სულ ცეკვავენ, მღერიან — შრრ!.. შრრ!.. შრრ!.. ქვეშ კი თითქმის ბნელა.

დილდილობით, მზე რომ ამოსელას დააპირებს, ამ სიბნელიდან ნისლივით მსუბუქი პატარა მოხუცი გამოდის. ხელში გრძელი, გრძელტარიანი ანკესი უჭირავს, ცუკცუკით გაიელის ტბის შამბიან ნაპირზე გადებულ ფიცარნაგს და იმ ფიცარნაგის წვერზე ფეხმორთხმული ჯდება.

ტბა აქ უამრავი ფერებითა და წერილი თევზებით არის სავსე.

მოხუცი გაუნძრეველად ზის, გაუნძრეველად უჭირავს ანკესის ტარიც. მხოლოდ წითელი ტიეტივა თახთახებს და თრთის. და როცა ტიეტივა ჩაიძირება ღრმად, ღრმად, მოხუცი შეშფოთებით ამოსწევს ანკესის დამძიმებულ ტარს და მზეზე აბრჭყვიალებულ თევზს კატის თათივით სწრაფად მოძრავი ხელით იჭერს პაერში.

ასე თევზაობს საღამომდე.

საღამოს კი უსთია ცეცხლი პაწაწინა ქოხის წინ. ხარიხაზე ჩამოკიდებულ ქვაბში იხარშავს საჭმელს. გამოდიან კურდღლები, მელიები, ციყვები, მაჩვები და ტურები. შეპკრავენ ცეცხლის ირგვლივ წრეს. სხედან მორჩილად და სათითაოდ პყვებიან თავ-თავიანთ ამბებს. მოხუცს კიდევ — გადაშლილი აქვს სქელი, ვვებერთელა რვეული, დამჭკნარ ტუჩებთან მალ-მალე მიაქვს წვერბოკოლა ფანქარი და მერე იმ ვვებერთელა რვეულში წერს, წერს მათ ნაამბობს, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ — ზღაპრებს.

მაღლა, ღამეში შეკარგულ ვერხვებზე კი ნაღვლიანი ჭოტი ზის და თვალებდახუჭული ითვლის წუთებს:

— ჭუუტ! ჭუუტ! ჭუუტ!

კითხვები და დავალებები:

მეორე აბზაცში იპოვეთ შედარება და იმსჯელეთ მასზე;

რატომ უწოდებს მწერალი ტბას ბუნების სარკეს?

თქვენი აზრით, რატომ იყენებს მწერალი წერა ზმნის ორთოგრაფიულად არასწორ ფორმას "წეერს" და რა ეფექტის მიღწევა სურს ამ ზმნის გამეორებით?

როგორ გესმით შედარება: "ნისლიეით მსუბუქი პატარა მოხუცი"?

თქვენი აზრით, რატომ არის ჭოტი ნაღელიანი?

თქვენც ასე წარმოგიდგენიათ მეზღაპრე და მისი სახლი? რაში არ თანხვდება მწერლის ფანტაზია თქვენსას?

დაწერეთ ესე "ზღაპრის დაბადება".

დააკვირდით:

ფოთოლთა შრიალი მათი ცეკვა და სიმღერაა;

კარგ შედარებას: "მაღლა, ღამეში შეკარგული ეერხეები", რომელშიც მწერალი განსაკუთრებულ ეფექტს აღწევს ზმნისწინით "შე";

ხმაბაძეით შექმნილ სახეს: "ჭოტი — ჭუუტ! ჭუუტ! ჭუუტ!"

რაოდენ ოსტატურად იყენებს პოეტი დიალექტურ, თუ მის მიერ გამოგონილ სიტყვებს. მაგ.: მკითხველს მოხუცი მეზღაპრე რომ შეაყვაროს, მწერალი მისი სიარულის მანერის გადმოსაცემად იყენებს სიტყვას: "ცუკცუკი"; ხოლო ღრუბლების მრისხანების საჩვენებლად — სიტყვას: "რუხრუხი";

მოხუცის მოქნილობის ასასახავად მწერალი მას კატას ადარებს: "მზეზე აბრჭყეიალებულ თევზს კატის თათივით სწრაფად მოძრაეი ხელით იჭერს პაერში";

ეპითეტი "წეერბოკოლა" ფანქრის განსაკუთრებულობას მიგვანიშნებს, რადგან მეზღაპრეს ჩვეულებრივი ფანქარი არ უნდა პქონდეს.

ანალიზისთვის:

როგორ იბადება ზღაპარი

მაღალი ლურჯი მთები, შუაში სწორი, ცისფერი ტბა კამკამებს, ტყე, პაწაწინა ქოხი, ხარიხაზე ჩამოკიდებული ქვაბი მეზღაპრის იდილიურ ყოფას გვიჩვენებს, რადგან მეზღაპრე სწორედ ამგვარ, მშვიდ გარემოში უნდა ცხოვრობდეს, რათა კეთილი ზღაპრები შექმნას.

აქ სამოთხისეული გარემოა, ნეტარება და ბედნიერება სუფევს, ყველაფერი ხარობს და სიცოცხლით ტკბება. ფოთლები "ყოველთვის კარგ ხასიათზე არიან და სულ ცეკვავენ, მღერიან — შრრ!.. შრრ!.. შრრ!.." თანაც ბრწყინავენ, ბედნიერნი და ხალისით სავსენი. კეკლუცობენ მთები, ღრუბლები, მთვარე, ვარსკვლავები, ყვავილები და ხეები.

მეზღაპრეც, საყვარელი, "ცუკცუკა" მოხუცი აქაურობის ნამდვილი შვილია. "ტანჭრელი დიდი ვერხვების" ფოთლებქვეშ, პაწაწინა ქოხში ცხოვრობს, "ნისლიანით მსუბუქი" და პატარაა, იგი არც არის ჩვეულებრივი ადამიანი, ფანქარიც უცნაური აქვს — "წვერბოკოლა", რვეული — "სქელი, ვეებერთელა", რომ მასში ბევრი ზღაპარი ჩატიოს.

მწერლის აზრით, კარგი ნაწარმოები (ზღაპარიც) ნამდვილ ამბავს უნდა ეყრდნობოდეს. ამიტომ, ტყის ბინადარნი თვითონ უამბობენ მეზღაპრეს თავს გადახდენილ ამბებს.

მწერალი სიტყვისა და სახის ჯადოქარია. მეზღაპრის იდილიური ყოფიდან "ამოვარდნილი" სახე: "წითელი ტიტიკა თახთახებს და თრთის" მკითხველს მეთევზის მოუთმენლობას წარმოადგენინებს, რაც ტიტიკასაც კი გადასდებია, რადგან შეუძლებელია მეთევზე უშფოთველად ელოდებოდეს თევზს, ან მონადირე — ნადირს. მათი გარეგნული სიმშვიდე მუდამ გულისხმობს შინაგან მღელვარებას. ამიტომ ველარ იცნობთ მშვიდ და ცუკცუკა მეზღაპრეს, როგორც კი წამოეგება თევზი ანკესს: "მოხუცი შეშფოთებით ამოსწევს ანკესის დამძიმებულ ტარს და მზეზე აბრჭყვიალებულ თევზს კატის თათივით სწრაფად მოძრავი ხელით იჭერს პაერში." ეს რეალისტური დეტალი მწერლის ოსტატობაზე მიგვითითებს, მეზღაპრე ჩვეულებრივ, ადამიანურ თვისებას ამჟღავნებს, როცა თევზაობს.

ზღაპრების ქვეყანაში გამეფებულ სიმყუდროვეს მხოლოდ ნაღელიანი ჭოტის ხმა არღვევს, რომელიც "თვალებდახუჭული ითელის წუთებს: — ჭუუტ! ჭუუტ! ჭუუტ!" ჩვენც გადმოგვედება ნაღველი, რომ ეს ზღაპარიცა

და მთელი ჩვენი ცხოვრებაც სიზმარ-ზღაპარიეით უნდა დამთავრდეს, რომ სიცოცხლე ნაღვლით სავსე უფრია, ვიდრე სიმყუდროეითა და ბედნიერებით და რომ დიდი განსხვავებაა ზღაპარსა და რეალობას შორის. თუ ღრუბლები იქ "პატარა, ცელქი ბიჭუნებიეით კოტრიალებენ", იქაურობას რომ დატოვებენ, უხეშდებიან, რეალობის შესაბამისნი ხდებიან, "ჩვენკენ მოდიან რუხრუხითა და მუქარით."

ამ მინიატურაში მწერალი უჩვენებს მკითხველს, ვინ არის და სად ცხოვრობს მეზღაპრე. ავტორის მიერ დასახული მიზანი კარგად შერჩეული სათაურიდანვე ჩანს. მიეყვებით ხატოვან ფრაზებს, ეუყურებთ მეზღაპრის ცხოვრებას, სრულიად გვავიწყდება რეალობა და ბავშვობაში გადავდიეართ... გზამკვლეეი და წინამძღოლი შესანიშნავი გვყავს რეეაზ ინანიშვილის სახით, რომელიც წარმოგვიდგენია საყვარელ, მოხუც ბაბუად, ამ მეზღაპრედ, ჯადოსნური ჯოხის ნაცვლად ანკესი რომ უჭირავს ხელში და, განა მარტო ზღაპრით, თევზითაც გვიმასპინძლდება.

ბოლოს კი გვრჩება მსუბუქი სევდა, რომ ეს ერთი ზღაპარიც დამთავრდა...

ლალი დათაშვილი

ᲬᲕᲘᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲔᲨᲘ

სულ მალე არდადეგები დაიწყება და სოფელში წავალ — რომ მკითხოთ, რა მიგიხარია იმ შენს სოფელში, რა დაგხვდება ისეთიო, არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ. იქნებ ის, რომ იქ მდინარეა, ჩემი საყვარელი ბროლია! მართლაცდა, რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი?! ზიხარ კლდის ქიმზე და ანკესი გიჭირავს. შენს მაღლა ვერხვის ხალისიანი ფოთლები ჩურჩულებენ, დაბლა კამკამა ტალღები ჭყუმპალაობენ. წყალი წმინდაა, ნაირფერი კენჭებით და ლიფსიტებით ავსებულა. აქა-იქ წელმსხვილი ჭანრები დაიზოზებიან, მოუსვენარი მურწები დაბორიალობენ.

ლიფსიტები ცელქობენ. თითქოს ცაში უნდა აფრინდნენო. ამოხტებიან, გაიელვებენ მზის სხივებზე და წყლის პაწაწინა რგოლებს ლიცლიცით გააქცევენ ნაპირებისკენ. ისინი ყოველთვის გუნდურად ესევიან ანკესზე წამოგებულ ჭიაყელას. უფრო გაბედულები ეკვეთებიან კიდეც, აქნევენ აქეთ-იქით, ბრუნავენ აღმა-დაღმა, აელვარებენ გასარკულ გვერდებს. მაგრამ ჭიაყელას მაინც ბევრს ვერას აკლებენ.

ბოლოს მოვარდება რომელიმე ფეთიანი მურწა, პატარებს დააფრთხობს, ერთს გაუქროლებს ანკესს და წაიღებს. იმავე წამში უნეტარეს დარტყმას გრძნობ, იგი სასიამოვნო ჟრუანტელად გიელის ფეხის თითებშიც კი. უცდი, ერთხელ კიდევ განმეორდეს ასე. აი, განმეორდა. ერთხელაც! აპა, ესეც. მოსწევ ტარს და იმ ატეხილ მურწას მძიმედ გადმოაგდებ ნაპირზე.

...მაგრამ მარტო თევზის დაჭერა კი არ არის საქმე! ცა სუფთაა, მაღალი, მაღალი. და იქიდან, იმ თვალშეუწვდენელ სიმაღლიდან, თითქოს გამდნარი ოქროს ძაფებიაო, მზის საამო დამათრობელი სხივები ეშვება.

შორს, მთებზე, შებოლილი, წვიმით საესე ღრუბლები დაეხეტებიან; მათი ჩრდილები უზარმაზარ ქორებივით გადადიან სერიდან სერზე, ხეობიდან ხეობაში. ტყეებს ბლანტი სილურჯე მორევია, საძოვრებზე კენჭებიანით მიმოყრილა ხარ-ძროხა...

დაბლა სოფლებში ფერები მეტია — სახლების წითელი სახურაები, ცისფერი აივნები, შავადპირდაფჩენილი სხვენები... ეენახებში მდევებიანით დამსხდარან ბუმბერაზი კაკლები, კურდღლაობს ყანა, ახასხასებენ ძარღვმაგარ ფოთლებს სიმინდები...

შენ ოღონდ ყური მიუგდე და დააკვირდი!

ჭრიჭინებენ ჭრიჭინები, მირბი-მორბიან მსხვილ-მსხვილი ჭიანჭველები, დაფარფატებენ ფრთახატულა პეპლები, ბზუიან ფუტკრები...

რაღაც ზეიმია, რაღაც ზეაღმტაცი თავისუფლება, სიმსუბუქე. ასე გგონია — დაიქნევ ხელებს და აფრინდები.

აი, ასწიე კიდეც ხელი, აღტაცებით აელებ თვალს შემოგარენს, გინდა ვილაცას გაუზიარო შენი სიხარული, ეძებ საყვარელ ადამიანს, იწევი ფეხის წვერებზე და...

— აუუ!.. — აღმოგხდება შენდაუნებურად; აფრთხობ ქაცვის წვერზე აქანაებულ კაჭკაჭებს, ვერხვის ტოტებში მიყუჟულ გვრიტებს, მობანავე მერცხლებს...

ხანდახან მოულოდნელად ამოიფხორება სააკდრო ღრუბელი, წამოვა, გაიშლება, მოედება მთელ ცას და დაიწყებს ბუზღუნსა და კრეჭას. გრუხუნებს და ელავს.

ბიჭი ხარ და გასძელ, ფეხი არ მოიცვალო. ნახავ, როგორ გაჩუმდებიან ჭრიჭინები, როგორ აყიყინდებიან გაყვინიზებული ბაყაყები, როგორ ჩამოიელის ციცი, ნოტიო ნიავი და როგორ ჩაპქუფრავს ყველაფერს.

შარშან ქოფთავის გორასთან ვთევზაობდი. სწორედ ისეთ მდორეს წავაწყდი, წელან რომ გეუბნებოდით. გამოსულიყო ერთი უშველებელი ტინი იმ გორიდან და კამეჩივით ჩაწოლილიყო შიგ შუა წყალში. წყალს სწყინდა, ბრაზობდა, ეხეთქებოდა, ემურმურებოდა, მაგრამ რაკი ეერაფერს ვერ აკლებდა, თითქოს ხელი ჩაუქნევიაო, წყნარდებოდა, უკან ბრუნდებოდა და ქვემო მხრიდან ელაციცებოდა. აი, ამ ლაციცა მდორეში მეგო ანკესი, თავად კი, რათა თქმა უნდა, ტინზე ვიყავი შესკუპებული.

ყველაფერი თითქმის ისე იყო, როგორც სხვა დროს. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, პეპლები დაფარფატებდნენ, ქედნები მიფრი-მოფრინაედნენ, ლიფსიტები სხლტოდნენ...

მხოლოდ შემოგარენი იყო ოდნავ სხვანაირი. აქეთ ის წამოყუყული კლდე, იქით — ჭალა. ჭალის იქით — ყანები და სათიბები. მზეც... არა, მართალია, ორიოდეჯერ ისე მომაქექინა კეფა, თითქოს სადგისი დაეჭირებინოს, მაგრამ, რომ ავხედე, ისეთი ვერა შევატყე რა, ჩვეულებრივად იცინოდა.

არ მიკრავდნენ. ამოეწევედი ანკესს, ვნახავდი უნიათოდ ჩაგრძელებულ ჭიაყელას და ისევ ჩაეშვებდი წყალში.

ერთიც ვნახოთ, ჩრდილი წამომადგა. საიდან უნდა იყოს-მეთქი. ავიხედე და რას ვხედავ: ზედ იმ ქოფთავის გორიდან ერთი პირგამურული ღრუბელი ამოსულა, მზე დაუჭერია და ახლა ქვევით მიეშურება.

ყური დავუგდე: ჭრიჭინებიც კი გაჩუმებულან. იქვე, ჩემს ახლოს, ერთი ღიპიანი ბაყაყი ამოხოხებულა, დაკუსული თვალებით შემომყურებს და რაღაცას მეუბნება:

— ბრე-კე-კე-კე...

ნიავიც სხეაგვარი პქრის. თითქოს სველ ტილოს გიცაცუნებენო სახეზე.

— გრ-გრ-გრ! — მოისმა ქოფთავის იქიდან.

ახლა რომ შინისაკენ მოვუსვა, სწორედ ის დროა-მეთქი. ამოვიღე წყლიდან პარკი, რომელშიც ორიოდე ჭიჭყინა მეგდო, წავწედი ანკესს და... სწორედ იმ დროს, განა გაპკრა! გაჭიმა ძაფი, წაიღო, წაიღო ზეე-ზევით და შიგ შუა მორევში გაიტანა. ველარ მოვითმინე — რაღაც შიშით გამოვწიე. გამოვწიე და შიში სიხარულად მექცა — ერთი ვეებერთელა ჭანარი ამოვათრიე.

ჯერ იქვე, ქვაზე ჩამოვუარე. მერე ვთქვი: ამას უეჭველად ამხანაგიც ეყოლება-მეთქი. ანკესზე ჭიაყელა გამოვუცვალე დ ისევ ჩავჯექი.

სადღა მახსოს ან ღრუბელი, ან ნიავი!..

მაგრამ თვითონ შემახსენეს თავი.

რიყეზე, ხეობის ყელში, როგორც გემის აფრა, ისე აიზიდა რაღაც. გადიდდა, გაიშალა, მთელს ხეობას მოეღო, მოახლოვდა და ფრუტუნით, ბზრიალით გადამიარა. ეს ქარიშხლის ნიშანი იყო, მაგრამ თვით ისიც არ ყოფილიყო შორს — ძაფის ახვევა ძლივს მოვასწარი, რომ ერთი ვაიუშველებელი დატრიალდა.

აშხაპუნდა წყალი, ატკაცუნდა ქვები, ატეხეს ხათქახუთქი ვერხვებმა, გაფრინდნენ ნორჩი ფოთლების ნაფლეთები ბზრიალ-ბზრიალით...

ცა აღარ ჩანდა, მოგრუხუნებდა ქუფრი ღრუბლების ჯარი და ხან აქ, ხან იქ იკლაკნებოდა ელვა. აი, ჭახჭახით ჩამოიჩეხა მეხი. და თითქოს ამას უცდიდაო, მოსკდა კოკისპირული წვიმა.

გავრბოდი და აღარ ვიცოდი, სად დამემალა შიშველი ხელ-ფეხი. წვიმა თქლიშინ-თქლიშინით მეხეთქებოდა სახეში, ჩამდიოდა კისერში, ყელში...

ჭალას გაეცდი, ველზე გაეედი. აქ, გზის მახლობლად, ოდესღაც ხრეშს იღებდნენ. აგერ ისიც. სირბილს ვუმატე და პირველსავე წინწამოწვდილ კბოდის ქვეშ წავწექი — აქაქანებული, გაზუნზლული.

ანკესის ტარი მუცელზე მქონდა მიხუტებული, პარკიც მაგრად მეჭირა, და რაღაც შეუცნობელი შიშით, შეუცნობელი სიამოვნებით შეეყურებდი ბუნების ჯანყს.

გზაზე წვიმის წვეთების კორიანტელი იდგა, ღრუბლები ძირს ჩამოსულიყვნენ და ბორცვებზე მიხოხავდნენ. დაბლობებში ნიაღვრები ბრწყინავდა. ცა გუგუნებდა და მიწაზეც ყველაფერი თრთოდა, კანკალებდა...

მერე ის ბუზღუნა ღრუბლები სადღაც ქვემოთ წავიდნენ, ქარი ჩადგა, წვიმამ იკლო, სიწყნარე ჩამოვარდა — გარკვეეით ისმოდა წვეთების ჭყაპაჭყუპი, ნაკადულების ჩუხჩუხი.

ავდექი და შვებით ამოვისუნთქე.

ჯერ მარტო მიედიოდი, შემდეგ ჟიკჟიკა მერცხლები და წიეილა ნამგალები გამოჩნდნენ. გამართეს მარულა, შეპკრავდნენ კამარას და დაეშვებოდნენ ძირს, თითქოს ცის დანაბარებს ეუბნებიან დედამიწასო.

აფრინდნენ ტოროლებიც. აფრინდნენ სულ მაღლა, სულ მაღლა. დაუწყეს პატიჟი მზეს.

და იმანაც არ დაიგვიანა. ღრუბლის ფარდა გასწია და კეკლუცად გამოიხედა.

რა ამბაეი ატყდა ირგვლივ, რა სიხარული!

ამღერდა მწყერჩიტა, აკვიტკეიტდა მწყერი, მომართეს ჭიანურები ჭრიჭინებმა და კალიებმა...

ყველაფერი ბრწყინავდა.

იცინოდნენ მთები, ველები, ტყეები. იცინოდნენ პაწაწინა ბალახები, კენჭები, წვიმის წვეთები...

იცინოდა სოფელიც.

კოლმეურნეები გზაზე გამოსულიყვნენ და სახეგაბრწყინებულნი შეპყურებდნენ გაბიჟბიჟებულ მიწას, ერთმანეთს.

— ძაან ღვთის წყალობა იყო, არა, ნიკა!

— მაშ, მაშ!

გუბეებში ფეხშიშველი გოგო-ბიჭები დატყაპუნობდნენ, ბატები ჭყუმპალაობდნენ, ყიყინებდნენ. გახალისებული ბოჩოლები ზმუოდნენ.

და რა სურნელი იდგა — ნორჩი ფოთლების, სველი მიწის, ყვავილების!

მიედიოდი და ხან აქ ეჩერდებოდი, ხან იქ. სხვა დროს რომ იმოდენა თეეზი დამეჭირა, ანკესზე დავეიდებდი და მთელ სოფელს დავანახვებდი — ნახეთ, რა ბიჭი ვარ-მეთქი! ახლა პარკიდანაც არ ამომიღია. ისეთი სასიამოვნო იყო იმ სუფთა პაერის სუნთქვა, იმ ლამაზი მიდამოს მზერა, იმ გახარებული ადამიანების ყურისგდება, — მათთან რაღაც ნახევარკილოიანი თეეზი რა სახსენებელია!

მიედიოდი და მიხაროდა, რომ ეს ყველაფერი ჩემი იყო, მე მათი ვიყავი — ამ მიწის, ამ ადამიანების.

მიედიოდი და შინაურულად ვესალმებოდი ყველას.

— გამარჯობა! გამარჯობა!

განა თქვენ კი არ გამოგიცდიათ ასეთი რამ?

პოდა, ახლა, როცა ვამბობ, სულ მალე არდაღეგები დაიწყება და სოფელში წავალ-მეთქი, რომ მკითხოთ, რა მიგიხარია იმ შენს სოფელში, რა დაგხვდება ისეთიო, არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ. იქნებ თქვენ მითხრათ, რომელს მიეცე პირველობა, რომელზე ვთქვა — ამისი ნახვა მენატრება-მეთქი ყველაზე მეტად!

რატომ გაჩუმდით?

კითხვები და დავალებები:

როგორ გესმით სიტყვა "დამათრობელი" ამ ფრაზაში: "თვალშეუწედენელ სიმაღლიდან, თითქოს გამდნარი ოქროს ძაფებიაო, მზის საამო დამათრობელი სხივები ეშვება"?

ქვემოთ მოყვანილი ადგილიდან ამოწერეთ ეპითეტები და შედარებები და იმსჯელეთ მათზე: "შორს, მთებზე, შებოლილი, წვიმით საცხე ღრუბლები დაეხეტებიან; მათი ჩრდილები უზარმაზარ ქორებივით გადადიან სერიდან სერზე, ხეობიდან ხეობაში. ტყეებს ბლანტი სილურჯე მორევია, საძოვრებზე კენჭებივით მიმოყრილა ხარ-ძროხა...";

როგორ გესმით: "კურდღლაობს ყანა"? "ბუნების ჯანყი", "წამოყუყული კლდე", "თევზები არ მიკრავდნენ", "ემურმურებოდა", "ტყეებს ბლანტი სილურჯე მორევია", "წელმსხვილი ჭანრები დაიზოზებიან", "მოუსვენარი მურწები დაბორიალობენ", "ლიფსიტები აელვარებენ გასარკულ გვერდებს"?

რამ გადააფიქრებინა ბიჭს დაჭერილი ვეება თევზით ტრაბახი?

თქვენი აზრით, რის თქმა სურს მწერალს ამ პატარა მოთხრობით?

შეგიძლიათ უპასუხოთ მწერლის ფინალურ კითხვას, თუ თქვენც გაჩუმებას ამჯობინებთ?

დაწერეთ ჩანახატი "ჩემი სოფელი".

დააკვირდით:

როგორ შეესაბამება მსხვილ თევზს ინანიშვილისეული ზმნა „დაიზოზებიან" ("წელმსხვილი ჭანრები დაიზოზებიან"); ასევე, თევზის პრიალა კანს — ეპითეტი "გასარკული" ("აელვარებენ გასარკულ გვერდებს") ან ბაყაყებს — ეპითეტი "გაყვინიზებული" ("აყიყინდებიან გაყვინიზებული ბაყაყები") თუ ეპითეტი — "ღიპიანი" ("ღიპიანი ბაყაყი ამოხოხებულა"); კლდეს — ეპითეტი "წამოყუყული" ("აქეთ

ის წამოყუყული კლდე"); ღრუბელს — ეპითეტი "ბუზღუნა" ("მერე ის ბუზღუნა ღრუბლები სადღაც ქეემოთ წავიდნენ") დიდი წვიმით კარგად დასველებულ მიწას — ეპითეტი "გაბიჟბიჟებული" ("შეპყურებდნენ გაბიჟბიჟებულ მიწას"); მოუსვენარ, პატარა მურწას ეპითეტი "ფეთიანი", ანკესზე წამოგებულ თევზს კი — ეპითეტი "ატეხილი";

როგორ ეფექტს აღწევს მწერალი მისეული ზმნით "ამოიფხორება" წინადადებაში: "ხანდახან მოულოდნელად ამოიფხორება საავდრო ღრუბელი, წამოვა, გაიშლება, მოედება მთელ ცას";

მწერალი გრუხუნსა და ელვას ღრუბლის ბუზღუნსა და კრეჭას უწოდებს, რითაც კარგ მხატვრულ სახეს ქმნის (საავდრო ღრუბელი, წამოვა... და დაიწყებს ბუზღუნსა და კრეჭას. გრუხუნებს და ელავს);

მოთხრობა მთავრდება შეკითხვით "რატომ გაჩუმდით?" მწერალი ამით დააფიქრებს მკითხველს და შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილედ ხდის მას.

ანალიზისთვის:

ამაღლება

რევაზ ინანიშვილს ამ მოთხრობისთვის "წვიმასა და მზეში" იმის სათქმელად დაურქმევია, რომ ყველანაირი სამშობლო საყვარელია, მისი ადგილმდებარეობისა თუ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად. ადამიანს ბედნიერებისა და ნეტარების განცდასაც ჰგვრის მამული. ხშირად სახელსაც ვერ ვარქმევთ ჩვენს გრძნობებს, ვერც ვაცნობიერებთ, განსაკუთრებით რატომ გვიყვარს ესა თუ ის ადგილი. ამიტომაც ვერ აუხსნია მოთხრობის პერსონაჟს, რატომ უყვარს თავისი სოფელი, ან მდინარე ურჩევნია ჭალას, თევზი — მერცხალს, თუ მეზობელი — მეზობელს. "რომ მკითხოთ, რა მიგიხარია იმ შენს სოფელში, რა დაგხვდება ისეთიო, არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ," — ამბობს ის და მხოლოდ იმ ნეტარების ფასი იცის, "სასიამოვნო ჟრუანტელად რომ გივლის ფეხის თითებშიც კი"...

ამ პატარა მოთხრობით მწერალი ქმნის მამულის სიყვარულით ამაღლების ნიმუშს. თითქოს დიდი არაფერი, ერთი ჩვეულებრივი ბიჭის თვალით დანახული ასევე ჩვეულებრივი სოფლის სურათია ასახული, მაგრამ რევაზ ინანიშვილი გვიჩვენებს, სიყვარული როგორ გარდაქმნის

ჩვეულებრივს არაჩვეულებრივად, მიწიერს — ზეციურად, ყოფითს — ზღაპრულად.

ეს სოფელი ჩვენთვისაა უბრალო, არაფრით გამორჩეული. ბიჭისთვის კი აქ თვეზაობაც პოეზიაა, ბუნების ჯანყიც, მზეცა და წვიმაც... ჭანარიც ლამაზია და მწყერიც, ყანაცა და მდინარეც... აქ "ღიპიანი ბაყაყიც დაკუსული თვალებით შემოპყურებს და რაღაცას ეუბნება", ჩიტები მხოლოდ კი არ დაფრინავენ, არამედ "მარულას მართავენ, თითქოს ცის დანაბარებს ეუბნებიან დედამიწასო."

ერთი სიტყვით, აქ ხორცშესხმული ოცნებაა, სამოთხეა დედამიწაზე, რადგან ეს მისი სახლია, აქ ის შინ არის, ამიტომ ყოველწამიერად თუ ყოველ სიტუაციაში კარგად გრძნობს თავს, აქაურობა ყველანაირ ამინდში უყვარს და იხიდავს: დარშიც, ავდარშიც, აქ ის შინაურია, ბედნიერი და ლაღია. ამიტომაც ათქმევინებს მწერალი:

"მიედიოდი და მიხაროდა, რომ ეს ყველაფერი ჩემი იყო, მე მათი ვიყავი — ამ მიწის, ამ ადამიანების.

მიედიოდი და შინაურულად ვესალმებოდი ყველას.

— გამარჯობა! გამარჯობა!"

სამშობლოს სიყვარულს ბიჭის სულში ბუნების სილამაზით აღტაცება და თავისუფლებით თრობის განცდა გადაეწენება. ეს კი საოცრად ზემოქმედებს მასზე, ფრენის სურვილი უჩნდება ნეტარებით თავბრუდახვეულს, მისი სული ზეიმობს მამულთან ერთობით. აქაურობისა კარგად ესმის და სოფელი (ამ სიტყვის ვიწრო და ფართო მნიშვნელობით) გულის კარს უღებს თავის შვილს:

"რაღაც ზეიმია, რაღაც ზეაღმტაცი თავისუფლება, სიმსუბუქე. ასე გგონია — დაიქნევ ხელებს და აფრინდები.

აი, ასწიე კიდეც ხელი, აღტაცებით ავლებ თვალს შემოგარენს, გინდა ვიღაცას გაუზიარო შენი სიხარული, ეძებ საყვარელ ადამიანს, იწევი ფეხის წვერებზე და...

— აუუ!.. — აღმოგხდება შენდაუნებურად."

ეს შეუდარებელი განცდაა, რომელსაც ერთხელ თუ იგრძნობ, აღარასოდეს დაგავიწყდება, მარადიულად მოგენატრება...

"იქ მე ვნატრობდი ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა

ფრენას და ტანტალს თქვენ საყვარელ გრიგალივითა,

რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენ ამაყ თავთა." — ბავშვობის ნატვრას გვიმხელს ილია;

"გულიც იქ იწევს, თვალიცა, იქ რო მაღალი მთებია!" — ბუბუნებს ვაჟა;

„ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გვინდა!" — აღმოხდება გალაკტიონს...

სიყვარულისა და თავისუფლების საგალობელს აღავლენს რევაზ ინანიშვილის სულიც, ამ პატარა ბიჭში ჩარჩენილი, დიდი ბავშვი, სიზმარსა თუ ცხადში ფრენა რომ ენატრება, რუსთაველივით რომ იტყოდა, "შევრთვივარ სულთა სირასა".

ოცნების ახდენა, გარემოს მშვენიერება სულში ხშირად იწვევს კათარზისს. ამიტომ გვიჩვენებს მწერალი, თუ ტრაბახა ბიჭი როგორ გარდაიქმნება, როგორ მიხვდება, რომ მისი სიამაყე უადგილოა, იმ საოცრებასთან შედარებით, უფალს რომ შეუქმნია და რასთან მიახლოების შესაძლებლობაც მიეცა, იგი არარაა, ერთი პატარა წერტილია მხოლოდ. ამიტომ ამბობს: "სხვა დროს რომ იმოდენა თევზი დამეჭირა, ანკესზე დაეკიდებდი და მთელ სოფელს დავანახვებდი — ნახეთ, რა ბიჭი ვარ-მეთქი! ახლა პარკიდანაც არ ამომიღია. ისეთი სასიამოვნო იყო იმ სუფთა ჰაერის სუნთქვა, იმ ლამაზი მიდამოს მზერა, იმ გახარებული ადამიანების ყურისგდება, — მათთან რაღაც ნახევარკილოიანი თევზი რა სახსენებელია!"

მწერალი რეალობად ქცეულ ოცნებას, საოცარ ზღაპარს ასახავს. თავის მიზანს ხატოვან ენასა და ტროპულ მრავალფეროვნებას შეუსაბამებს, რომ უფლისწულის სასახლესავით მორთულ-მოკაზმული გარემო ასახოს, თუმცა სასახლეში ფერადოვნება ხალიჩებითა და ხელოვნური სამკაულებით მიიღწევა, მოთხრობაში კი ყველაფერი ბუნებრივად ლამაზი და მომხიბლავია. მკითხველი „ხედავს" გაფხორილ შებოლილ, წვიმით საკვსე ღრუბლებს, ბუზღუნითა და კრეჭით რომ მოედებიან მთელ ცას, მათი ჩრდილები კი უზარმაზარი ქორებივით გადადიან სერიდან სერზე, აყიყინებულ, გაყვინიზებულ ბაყაყებს, წივილა ნამგალებს, აკვიტკვიტებულ მწყერს, ჭიანურმომართულ ჭრიჭინებსა და კალიებს...

ავტორი ცდილობს ბუნების სილამაზის დანახვა, სამყაროს სიბრძნისა და მომხიბლაობის ამოკითხვა გვასწავლოს, ამიტომაც ამბობს მთხრობელი: "შენ ოღონდ ყური მიუგდე და დააკვირდი!" ამ ბიჭს სწორედ ეს უნარი აქვს — ამოიცნოს გარემოს სილამაზე და შეპხაროდეს თავის ქვეყანას, შემდეგ კი ეს უნარი მკითხველსაც გადმოსდოს. ამიტომაც გვეკითხება: "განა თქვენ კი არ გამოგიცდიათ ასეთი რამ? რატომ გაჩუმდით?" და ყველა იმ ადამიანის სულის სიმს ათრთოლებს, თანხმობას დუმილით რომ გამოხატავს...

ლალი დათაშვილი

კეთილი ბებერი ბუები

იყო ორი ბუ, ძალიან ბებერი და საბრალობელი ბუები. შვილები აღარ უჩნდებოდათ, ისხდნენ ეეება მუხის ფუღუროში და ან ეძინათ, ან არადა, თავიანთ უბედობაზე ბუზღუნებდნენ: — შუ-ბუ! შუ-ბუ! ბუ! ბუ! — რაღაა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო.

როცა შებინდდებოდა, ფაფხურით, აქეთ-იქით ქანაობით მიეიდოდნენ ფუღუროს პირას, გადაიხედავდნენ დაბლა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქავდნენ სუფთა პაერს, ფრთებს შეატოკებდნენ, გასწევ-გამოსწევდნენ და მერე ერთმანეთის მიყოლებით გამოფრინდებოდნენ გარეთ.

— შუ-ბუ! შუ-ბუ! — მძიმედ დაფრაშფრაშობდნენ ტყეით შემოზღუდულ ეელებში და ეწერებში, აგიზგიზებული ყვითელი თვალებით ეძებდნენ თაგვებს; ხან მიწაზე სხდებოდნენ, ხან ისევ აფრინდებოდნენ; თუკი თითო თაგვს მაინც მოინადირებდნენ, ამითაც დიდად კმაყოფილნი იყვნენ, — ბებრებს ხომ ძალიან ცოტა საჭმელი პყოფნით, ბუებსაც და ადამიანებსაც! — გათენებისას დაბრუნდებოდნენ თავიანთ ფუღუროში და ისხდნენ და ისხდნენ, — ან ეძინათ ერთმანეთთან ზურგშექცეულებს, ან არადა, ძილითაც გულგადალეულები, ისევ თავიანთ უბედობაზე იწყებდნენ ბუზღუნს:

— შუ-ბუ-ბუ! შუ-ბუ-ბუ!

მაგრამ ერთ საღამოს მათთვისაც მოხდა ახალი რამ.

ის იყო ბებერი ბუები ფუღუროდან უნდა გამოფრენილიყვნენ, რომ უჩვეულო ხმა შემოესმათ. გაიხედეს გარეთ, გადასწიეს დიდი, თითქოსდა მოფამფალებული თავები, ჩაიხედეს ძირს და რას ხედავენ: მთლად პატარა ბავშვი, ძალიან ლამაზი პატარა ბავშვი, — რომ ეერც კი გაარჩევ, ბიჭია თუ გოგო, — შემოსულა ტყეში, დგას, ძლივს დგას მუხის ძირას, ხმელ ფოთლებში და ბალახებში, ფუნჩულა ხელები თვალებთან მიუტანია და ტირის, ტირის.

ბებერმა ბუებმა ერთმანეთს შეხედეს, — ამ ბავშვს აქ რა უნდაო, — მაგრამ რადგან არც ერთმა იცოდა ეს და არც — მეორემ, ისევ ძირს დაიწყეს ყურება.

იტირა პატარა ბავშვმა, დაიღალა ტირილით, დაიწყო ქანაობა, ჩაჯდა ბალახებში, იქაც იტირა, ჩამოუცვიედა ხელები მუხლებზე, ჩაეკიდა თავი, ჩაწვა ბალახებში, მოიკუნტა, ისედაც პატარა, მთლად დაპატარავდა და იმ ტირილსა და სლუკუნში ჩაეძინა.

ბებერი ბუები ერთმანეთს უყურებდნენ გიზგიზა ყვითელი თვალებით, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

— შესცივდება, — თქვა დედა ბუმ.

— პო, შესცივდება, — მიუგო მამა ბუმ.

— ღამღამობით ახლა უკვე ძალიან ცივა.

— მართალია, ღამღამობით ძალიან ცივა.

— გათენებისთვის შეიძლება თრთვილიც კი დადოს.

— შეიძლება. ნამდვილად დასდებს.

— მაშინ ხომ მთლად გაიყინება?

— გაიყინება, აბა, გაიყინება.

— მერე, რა მშვენიერი ბავშვია!

— პატარა ყველა მშვენიერია.

— მაგასაც ხომ დედა ეყოლება?

— დედაც ეყოლება და მამაც.

— ჩავფრინდეთ და ფრთები გადავაფაროთ.

— გადავაფაროთ, გადავაფაროთ.

ფუღუროდან გამოფრინდნენ, ერთი-ორჯერ შემოუარეს ირგელივ, — შუ-ბუ! შუ-ბუ! — დასძახოდნენ მძინარე ბავშვს, ფრთები სულ ახლოს მიპქონდათ, მათი ნიავი თმას უცახცახებდა, მაგრამ ბავშვი არ გატოკებულა. მაშინ ერთი წინ ჩაუჯდა, მეორე — უკან — ვეებერთელები, თვალებალაპლაპებულები, მთლად ყურადღებად ქცეულნი. აქაც რამდენჯერმე გაიმეორეს: — შუ-ბუ! შუ-ბუ! — და რაკი ბავშვი არც ახლა შეტოკდა, გაშალეს დიდი მსუბუქი, თბილი ფრთები, ბავშვს მთელ სიგრძეზე გადააფარეს და ასე გაშეშდნენ.

ო, რა მშვენიერი სანახავები იყვნენ ერთმანეთს ყბა-ყბა მიდგმული ორი თვალებგიზგიზა ბუ და მათი ფრთების ქვეშ მძინარე ბავშვი!

ამოვიდა მთვარე. ამოპყვა მუხებისა და რცხილების ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს. ბალახებს ჯერ ცერის წვრილ-წვრილი წვეთები დაეკიდა, მერე ის წვეთები თანდათანობით გამკვრივდნენ. აცივდა, აცივდა ძალიან. იქვე, სულ ახლოს, დახტოდნენ ციყვები, დაცუცუნებდნენ თაგვები, სადღაც ამოიხაფხაფა აფთარმაც, ბებერი ბუები კი მაინც გაშეშებულები ისხდნენ და ამაყად თავაღერილები გადასცემდნენ თავიანთი სხეულის სითბოს პატარა ლამაზ ბავშვს. პატარებს ხომ ღამღამობით ყველას სჭირდება სითბო, — ბუებსაც და ადამიანებსაც!

გათენებისას ტყეში ხმაური ატყდა. მოისმა ძაღლების ყეფა და თოფის სროლა. ბუებმა ერთხანს კი ითმინეს, მაგრამ მერე ვეღარ გაუძლეს შიშს, აფრინდნენ და მუხის ფუღუროს შეაფარეს თავი.

მოცვივდნენ ძაღლები, ატეხეს ღაღავი, მოირბინეს ადამიანებმაც, მოანათეს ფარნები, ჩაიჩოქეს ბაშვთან, იყვნენ ასე... მერე აიყვანეს ხელში, დაუწყეს კოცნა, ხელებით უსინჯავდნენ სხეულს, უკვირდათ, სულ რომ არ შესცივნოდა, ცისკენ იყურებოდნენ, ღმერთს სწირავდნენ მადლობას, ბებერი ბუებისკენ კი არაფის ამოუხედავს.

ბებერი ბუები თავიანთ ფულუროში ისხდნენ. ხან ტყის სიღრმისკენ მიმავალ ადამიანებს უყურებდნენ, ხან ერთმანეთს შეხედავდნენ. როცა ყველანი გაუჩინარდნენ, ფულუროში ჩაღრმავდნენ, კრუსუნით, მხრების აწევით შეუქციეს ზურგი ერთმანეთს, ჩაიწეს, ჩაიწიეს, თავი მხრებში ჩარგეს, სანამ ჩაიძინებდნენ, ჩვეულებისამებრ აბუზღუნდნენ:

— შუ-ბუ! შუ-ბუ! — რაღაა ჩვენი სიცოცხლეო.

მაგრამ ძალიან მალე გაჩუმდნენ, შემობრუნდნენ, გვერდი გვერდს მიაყუდეს, თავი — თავს, და ასე ჩაიძინეს.

კითხვები და დავალებები:

როგორ ფიქრობთ, როდის აქეთ ბუებს "აგიზგიზებული ყვითელი თვალები"?

როგორ გესმით „დაფრაშფრაშობდნენ", „ამოიხაფხაფა აფთარმაც"?

ამოწერეთ ის სიტყვები, რომლებითაც ბუების სიბერეს გამოკვეთს მწერალი (მაგ.: "აქეთ-იქით ქანაობით");

როგორ ფიქრობთ, ბავშვი პატარა და ლამაზი რომ არ ყოფილიყო, ბუები ასევე მოიქცეოდნენ? ანალოგიურ გაჭირვებაში ჩავარდნილი უმწეო მოხუცებული რომ დაენახათ, მაშინ?

შეაფასეთ მწერლის ნათქვამი: "ო, რა მშვენიერი სანახავები იყვნენ ერთმანეთს ყბა-ყბა მიდგმული ორი თვალებგიზგიზა ბუ და მათი ფრთების ქვეშ მძინარე ბავშვი!"

რა მიგაჩნიათ მოთხრობის მთავარ სათქმელად? პასუხის გასაცემად გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას "ფესვები" და გაავლეთ პარალელი;

დაწერეთ ესე "სიკეთის ქმნა მენატრება".

დააკვირდით:

მწერალი თავის ტკივილსა და ძირითად სათქმელს ჩანართებით გამოკვეთს. ამგვარად განაზოგადებს სათქმელს და დააფიქრებს მკითხველს: „ბებრებს ხომ ძალიან ცოტა საჭმელი პყოფნით, ბუებსაც და ადამიანებსაც" ან „პატარა ყველა მშვენიერია", "პატარებს ხომ

ღამღამობით ყველას სჭირდება სითბო, — ბუებსაც და ადამიანებსაც!";

ბუები როგორ განიცდიან სიბერესა და უფუნქციობას;

ბუები „ამაყად თავაღერილები" არიან, სიკეთის ჩადენა რომ შეძლეს;

როგორ შეიცვალა ბავშვის გადარჩენის შემდეგ ბუების ყოველდღიური საწუწუნო თემა და ძილის მანერა.

ანალიზისთვის:

"თვალებგიზგიზა" სიკეთე

ეს მინიატურული მოთხრობა სიბერის ტრაგედიას ეძღვნება. ერთ დროს ამაყი და უდარდელი ადამიანი "სიბერის დროს გაწბილდება" (დავით გურამიშვილი), რადგან "გული არ იშლის გულობას, მაგრამ არ მოსდევს ძალ-ღონე" (აკაკი). ყველას უნდა სიბერეშიც ძლიერი და ახალგაზრდულად ენერგიული თუ საქმიანი იყოს, მაგრამ დროის დინებას ვერ უმკლავდება. რაღა დარჩენია, წუწუნს იწყებს ჯანმრთელობაშერყეული და მისტირის განელილ ბედნიერ დღეებს.

„ძალიან ბებერი და საბრალობელი" ბუების სიმბოლოთი მწერალი ქმნის მოხუცებულის ზოგად სახეს, სიბერისგან უმწეოები, უფუნქციოები, ძილით გულგადალეულები, თავიანთ უბედობაზე მობუზღუნენი რომ ხდებიან.

ბუებს საბრალოობის მიზეზი ის არის, რომ შვილები აღარ უჩნდებათ და ვერავისზე ზრუნავენ, ცხოვრების მიზანი დაუკარგავთ და თავს ხშირად ეკითხებიან: „რაღაა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო?"

სიბერეს ხშირად თან სდევს უფუნქციობის, არარაობის, ზედმეტობის მტანჯველი განცდა, რადგან მოხუცებულები გრძნობენ, რომ არავისთვის არიან საჭირონი და ეს უმძიმებთ ამქვეყნად ყოფნას. მაგალითისთვის ვაჟას "ხმელი წიფელი" ან "ფესვები" და ნიკო ლორთქიფანიძის "თავსაფრიანი დედაკაცი" იკმარებდა.

ბუებსაც სურვილი აქვთ, იყვნენ სასარგებლონი. მათი არსებობა ვინმეს მაინც დასჭირდეს. ამიტომ უწოდებს მწერალი "ახალს" ბავშვის გამოჩენას, რადგან ეს ამბავი ბუებისთვის განახლებასა და "გაცოცხლებას" უკავშირდება. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიკეთის ქმნა ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას და უფუნქციობის ტკივილს უმსუბუქებს. ბუებსაც თვალები სიხარულით აუგიზგიზდებათ, როგორც კი სიკეთის ქმნის შესაძლებლობა ეძლევათ, ისინი უკვე ზედმეტ ბარგად აღარ თვლიან საკუთარ არსებობას, პირიქით, სიცოცხლით ამაყობენ:

"ამაყად თავაღერილები გადასცემდნენ თავიანთი სხეულის სითბოს პატარა ლამაზ ბავშვს."

სიკეთე ალამაზებს ყველას. ამიტომაც შენიშნავს მწერალი: "ო, რა მშვენიერი სანახაველი იყვნენ ერთმანეთს ყბა-ყბა მიღგმული ორი თვალებგიზგიზა ბუ და მათი ფრთების ქვეშ მძინარე ბავშვი!"

კეთილი საქმე გარჯას მოითხოვს და ხშირად გარკვეული დაბრკოლებების გადალახვას უკავშირდება. სიკეთე პირადულის დაეიწყება და სხვისი ინტერესების სამსახურია. ბუებმაც ამიტომ დაეიწყეს შიში, სიფრთხილე, შიმშილი, სიცივე და ბავშვი გაყინვას (იქნებ, სიკვდილსაც) გადაარჩინეს: „აცივდა, აცივდა ძალიან. სადღაც ამოიხაფხაფა აფთარმაც, ბებერი ბუები კი მაინც გაშეშებულები ისხდნენ".

სიკეთის ქმნის სურვილს თანაგრძნობა და თანაგანცდა აღძრავს. შვილის სიყვარულის უნარი, შშობლის ინსტინქტი ადამიანს სხვისი შვილისა თუ სხვა მშობლისთვის დახმარების სურვილს უჩენს.

„— მაგასაც ხომ დედა ეყოლება?

— დედაც ეყოლება და მამაც." — გადაულაპარაკებენ ერთმანეთს ბუები და არ მიატოვებენ ბავშვს განსაცდელში.

ამგვარი თანაგრძნობა გახდა მიზეზი, მოკლული შვილის დედამ თავისი ვაჟის მკვლელი, ასევე მოკლული. ვეფხვის დედას რომ მიუსამძიმრა.

ნამდვილი სიკეთე უანგარო უნდა იყოს. ბუებიც მადლობისთვის არ გადაარჩენენ ბავშვს, მწერალი მოხერხებულად შენიშნავს, რომ შშობლებს აზრადაც არ მოსდით, შვილის გადამრჩენი იპოვონ, ბუებს ვერც კი ამჩნევენ: "ჩაიჩოქეს ბავშვთან, იყვნენ ასე... მერე აიყვანეს ხელში, დაუწყეს კოცნა, ხელებით უსინჯავდნენ სხეულს, უკვირდათ, სულ რომ არ შესცივნოდა, ცისკენ იყურებოდნენ, ღმერთს სწირავდნენ მადლობას, ბებერი ბუებისკენ კი არავის ამოუხედავს."

ბუებს მადლობა არც სჭირდებოდათ, მათ თავისი არსებობა გამართლებულად ჩათვალეს და გაიხარეს, ამიტომაც აღარ იბუზღუნეს დიდხანს და მადლიერების ნიშნად ერთმანეთს თავისებურად მიეფერნენ:

"სანამ ჩაიძინებდნენ, ჩვეულებისამებრ აბუზღუნდნენ:

— შუ-ბუ! შუ-ბუ! — რაღაა ჩვენი სიცოცხლეო.

მაგრამ ძალიან მალე გაჩუმდნენ, შემობრუნდნენ, გვერდი გვერდს მიპყუდეს, თავი — თავს, და ასე ჩაიძინეს."

წავიკითხავთ ამ მოთხრობას და დავეთანხმებით ავტორს: "ყველას სჭირდება სითბო," სხვანაირად არ გაგვეძლება ამ სამყაროში.

ლალი დათაშვილი

კეთილო
(ყმაწვილის ჩანაწერი)

ჩვენა გვყავს ჭკვიანი ფურდედო, ვეძახით კეთილოს. ის მართლა ძალიან კეთილია. დილით გაპყვება სოფლის ნახირს, მთელ დღეს მინდერებში და ჭალებში დადის, სულ ძოვს, ძოვს, ძოვს.

შუადღეს მენახირეები ნახირს მდინარეზე ჩარეკავენ, ძროხები წყალს დალევენ, ერთ ხანს დაფიქრებულები დგანან, მერე დაწვებიან, თვალები დახუჭული აქვთ, თითქოს სძინავთ, მაგრამ ყბებს მაინც არ აჩერებენ, სულ იცოხნებიან, იცოხნებიან. ამ დროს მენახირეებიც ვერხვის ქვეშ წვანან და ისინიც ძილ-ბურანში არიან, როგორც იტყვიან, თვალს ატყუებენ. ძაღლს ხომ სძინავს და სძინავს.

მენახირეები ამბობენ, თქვენს კეთილოს ძროხა არ შეეღრებაო. ზოგიერთ ძროხასავით კი არ დარბის და ხან აქ ამოსწიწკნის ბალახს, ხან იქ. კეთილო მშვიდად მიუყვება საძოვარს და ყველგან გულიანად მოსძოვსო. შესახედაობით კი მაინც და მაინც თვალს ვერ მოგტაცებთ. ერთი პატარა რქა აქვს და ისიც შიგნით მიკაუჭებული, მეორე რქა სულ არა აქვს, ტყეში შვინდისთვის გამოუდვია და ძირში მოსტეხია. ამის გამო თუა, ყურები დიდები მოუჩანს, მუცელიც დიდი აქვს, წელჩაზნექილი და დაბლა დაშვებული. კუდი თითქმის მიწამდე უწვდება. როცა ტალახია, კუდი ესვრება და ახალამოვლებულ ჩურჩხელასავით მძიმედ მოსთრევს უკან. არც შავია, არც თაფლა, უფრო მურაა. მხოლოდ დრუნჩი, თვალები და ჩლიქები აქვს ძალიან შავი. ერთადერთი რაც მიმზიდველი აქვს, ეს არის თვალები — დიდი, ფიქრიანი, ალერსიანი თვალები, და კიდევ — ვარდისფერი ვეება ცური. ვინც კი საღამოთი კეთილოს დაინახავს, უეჭველად იტყვის, ერთი უყურეთ იმ დაბალ მურა ძროხას, რამოდენა ცურს მოათრევსო. მოდის, გან-განზე მოადგამს ფეხებს, ნელა მოიქნევს თავს. თვითონვე შემობრუნდება ჩვენი ორღობისკენ, მოახლოვდება, მოვა ჭიშკართან და, თუ ჭიშკარი დაკეტილი დახვდა, ცოტას კი დაიცდის და მერე დაიზმუვლებს, — მუუუ!

იმ წამსვე გამოეხმაურება თავისი ხბო ცქვიტო. ის მთელ დღეს ბაღში აბია და სულ თოკს ექაჩება, უნდა, რომ გაწყვიტოს. ცქვიტო წითელია, ჯერ ახლა ამოებერა რკოსოდენად რქები.

დედა-შვილის ზმუილზე ყველანი დაეფაცურდებით, — კეთილო მოვიდა, კეთილო მოვიდაო, და გავიქცევით, გაეულებთ ჭიშკარს. კეთილო დინჯად შემოვა, წავა, მივა საბმურთან და გაჩერდება. იქ უკვე უყრია მწვანე ბალახი და ლობიოს ნარჩევი ჩეჩქი. დაიწყებს ჭამას. გამოჩნდება

ბებია, მოაქეს პატარა სკამი და ეედრო, — მოხვედი, ქალოო, ეტყვის კეთილოს და ალერსით ჩამოუსვამს ფერდზე ხელს. თუ ძურწები აქეს აკრული, სათითაოდ გააცლის. ჯავრობით, წყეველით, — თქვენი გაწყეეტა იყოს, თქვენი, — დააგლეჯს დატიკულ ტკიპებსაც, გადაიბანს ხელებს, კეთილოსაც ჩამოურეცხავს ძუძუებს და დამიძახებს, — ცქვიტო მოიყვა, გენაცვალეო. მე თერთმეტი წლისა ვარ, ცქვიტო — სამი თვის, მაინც მიძნელდება მისი მოთოკვა. რომ ავუშვებ, ერთს გამკრავს, გამეშვება და ფათიფუთით შეუვარდება დედას ძუძუებთან. წოვს, წოვს, შეუჯლახუნებს შუბლს ცურში. კეთილო ამაზე გაუწყრება, რქით დაუტეევს. ბებოც გაუჯავრდება, აი, შე გაუმაძღარო ონავაროო. ერთ ძუძუს გამოაცლის და მეორეს ჩაუდებს. ოთხიეე ძუძუზე რომ მოაგერისებინებს, ესე იგი, ცოტ-ცოტას ჩამოაწოვინებს, — აბა, წაიყვანეო! გაეწეე მე თოკს, ბებიაც მომეხმარება, წავიყვანთ და მივაბამთ მესერზე. ბებია ისეე ჩამოპბანს კეთილოს ძუძუებს, სკამს კარგად მიიმარჯვებს და დაიწყებს წველას.

— ჩხი-ჩხი-ჩხი! — ჩადის ჩხრიალით რძე ეედროში. ამ ხმაზე სულ გიჟდება ცქვიტო, ლამის დაიხრჩოს, ისე ეწეეა თოკს.

კეთილო ყველასთვის კეთილია, მაგრამ შვილისთვის მაინც მეტი უნდა, აიზნექავს წელს, არ უნდა, რომ ბოლომდე ჩამოეწველინოს ბებიას. მაშინ ბებია ეტყვის, - რას შერებიო, დაგარტყაო? — ასწევს დასარტყმელად ხელს. კეთილოს მოერიდება და ისეე ჩამოუშვებს რძეს. ჩამოწველის, ჩამოწველის ბებო, იმ მომცრო ეედროს თითქმის გააესებს, წამოეა, წამოიღებს რძესაც და სკამსაც. — მიუშვი ცქვიტოო, და მეც მიეუშვებ. გაფოთებული სწოვს ცქვიტო, უჯლაყუნებს ცურში თავს; ვუნაცვლებთ ძუძუებს, — ეყოფა, ძუძუები არ დააჭრასო, და ისეე ჩაეჭიდებით მე და ბებია თოკს, ისეე გამოვიყვანთ ცქვიტოს ცალკე. დგას ცქვიტო და მაინც ექაჩება თოკს.

საღამოობითაც იწველის კეთილო და დილითაც. დილასაც რომ ბევრი მოიწველოს, საღამოსთვის ბევრი ბალახი მოუმარაგეთო. მე სულ ნამგლით და ტომრით დავდივარ. ყოველდღე ორ-ორი ტომარა ბალახი მომაქვს, ზოგჯერ სამიც.

ჩვენ ხომ გვყოფნის კეთილოს რძე, — რძედაც ვსვამთ, ფაფეულობასაც ვაკეთებთ, მაწონსაც ვადედებთ, — მეზობლებსაც მიაქვთ პატარა ბავშვებისთვის. მეზობლებიც ძალიან აქებენ კეთილოს რძეს, მათ პატარა ბავშვებს ლოყები ვაშლებივით აქვთ დაბერილი და დაწითლებული.

როცა ციცა, კეთილო და ცქვიტო გომურში არიან. ცქვიტოს თავისი მოწნული აქეს, რომ წამდაუწუმ არ გამოწოვოს დედა. მობჯენილი აქეს წნელებზე შუბლი და აწვება, აწვება. კეთილო სულ მშვიდად დგას.

მერე დაწვება და იცოხნის. ხანდახან რაღაც დარდიანად ამოიხვნეშებს ხოლმე.

ფურდედო თურმე დედისნაირ ფურს ნიშნავს. ბებია ამბობს, კეთილო თქვენი მეორე, გამზრდელი დედა არისო. სულ მაგისი რძითა ხართ დაზრდილებიო. კეთილო ყველას ძალიან გვიყვარს, თავის შვილსაც, ჩვენც, — დიდებსაც, პატარებსაც. დედა რომ დაიჩიელებს, რა გვეშველება, ეს ამდენი ღირს და ის ამდენიო, ბებია ეტყვის, — ნუ გეშინია, შვილო, ჩვენი კეთილო კარგადა გვყავდეს და არაფერი გაგვიჭირდებაო.

კეთილოს ძალიან უყვარს, ყელთან რომ ვეფერებით. ძალიან, ძალიან უყვარს, თუ მიხვედი და ყურის ძირში მიადე შენი თბილი ლოყა. ეითომც არაფერიო, იცოხნის, იცოხნის, მაგრამ ცოტაზე რომ გამოხვალ და წინიდან შეხედავ, ნახავ, რომ ღაპაღუპით ჩამოსელია სიკეთის ცრემლები ყბებზე.

კითხვები და დავალებები:

მწერალი რის მიღწევას ცდილობს გამეორებებით: "ძოვს, ძოვს, ძოვს"; "იცოხნებიან, იცოხნებიან"; "სძინაეს და სძინავს"?

რა მიზანს ისახავს მწერალი, როცა განმარტავს, მისი აზრით, უცნობ სიტყვებს? მაგ.: "მოაგერისებინებს, ესე იგი, ცოტ-ცოტას ჩამოაწოვინებს", "ფურდედო თურმე დედისნაირ ფურს ნიშნავს". თქვენი აზრით, ეს სიტყვები მარტო ბავშვისთვისაა უცნობი? პასუხი დაასაბუთეთ.

დაახასიათეთ ბიჭი;

თქვენი აზრით, ეს პერსონაჟი რატომაა უსახელო?

დააკვირდით:

მწერალი როგორ ოსტატურად ასახავს იმ ფაციფუცსა და გამოცოცხლებას, კეთილოს შინ დაბრუნებას რომ მოსდევს;

როგორ ოსტატურად ურჩევს "პერსონაჟებს" სახელებს: "კეთილო" და "ცქვიტო"?

როგორ ოსტატურად ძერწავს ბიჭის ხასიათს მისი სიტყვებით: "მე თერთმეტი წლისა ვარ, ცქვიტო — სამი თვის, მაინც მიძნელდება მისი მოთოკვა"? "მე სულ ნამგლით და ტომრით დავდიავარ. ყოველდღე ორ-ორი ტომარა ბალახი მომაქვს, ზოგჯერ სამიც."

მწერალი როგორ ოსტატურად ასახავს ზანტი შუადღის სურათს მთელემარე ძროხებით, მენახირეებითა და ძაღლებით.

ანალიზისთვის:

უბრალოების პოეზია

მწერალი ქმნის სოფლის იდილიურ სურათს, არაერთხელ ნანახს ნებისმიერ სოფელში, მოსიყვარულე ბებიასთან, მით უმეტეს, თუ ბავშვი იქ იზრდება;

ბებიას სიკეთით სავსეადამიანად წარმოსახავს მწერალი. კეთილოსთვის ძურწებისა და ტკიპების მოცილებითა და ამ ძურწების წყეველითაც კი გამოხატავს თავის მზრუნველობას. საოცარი სითბოთია ასახული ბებოს გამოლაპარაკება ძროხისთვის: "მოხვედი, ქალოო, ეტყვის კეთილოს და ალერსით ჩამოუსვამს ფერდზე ხელს"; ასე მიალერსება ოჯახის იმედს. ეს ქალბატონი იმ თბილ ბებიათაგანია, "გენაცვალეს" გარეშე რომ არ ელაპარაკება შვილიშვილს, ნუგეშის სიტყვა რომ არ ელევა შვილისთვის, გაჯავრება და დამუქრებაც კი ალერსიანი რომ იცის. ასე ემუქრება რძის დამალვის მოსურნე კეთილოს, ასე უბრაზდება ონავარ ცქვიტოს;

კეთილო იმ ადამიანის სიმბოლური სახეა, "შესახედაობით რომ მაინც და მაინც თვალს ვერ მოგტაცებთ", მაგრამ დიდი გული და ღირებულება აქვს. არ გაწუხებს, თავისთვის ჩუმად, მოთმინებით ეზიდება ცხოვრების ჯაპანს, უპრეტენზიოდ აკეთებს კეთილ საქმეს, დარდსაც თავს არავის ახვევს და გულში იკლავს. ამიტომ ემადლიერებიან მას მენახირეები, საავსე ცურით ბრუნდება, დღეში ორჯერ იწველება, თავისით მიდის მიჩენილ ადგილას და ბებოს ელოდება, რომ მოწველოს, მთხრობელიც მადლიერებით შენიშნავს: "ჩვენ ხომ გეყოფნის კეთილოს რძე, — რძედაც ვსვამთ, ფაფეულობასაც ვაკეთებთ, მაწონსაც ვადედებთ, — მეზობლებსაც მიაქვთ პატარა ბავშვებისთვის. მეზობლებიც ძალიან აქებენ კეთილოს რძეს, მათ პატარა ბავშვებს ლოყები ვაშლებივით აქვთ დაბერილი და დაწითლებული." კეთილო თავისთვის ჩუმად ხვნეშის და ტირის, შვილის სიყვარულსაც ჩუმად გამოხატავს... თუ მიეფერნენ, ბედნიერებისგან ტირის.. ამიტომაც დაურქმეიათ მისთვის კეთილო.

ნაწარმოებში არ შეინიშნება ეპითეტ-მეტაფორათა სიუხვე, მაგრამ ოსტატურად შერჩეული, ზუსტად მორგებული სიტყვითა და ფრაზით მწერალი მკითხველზე სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს, კინოკადრივით აცოცხლებს სურათს. ასეთია მაგ.: ცქვიტოს მოუთმენლობისა და გაუმაძღრობის გამოსახატავად სიტყვები: "შეუჯლახუნებს", "გაფოთებული" ან ფრაზა: "ფათიფუთით შეუვარდება დედას ძუძუებთან", ტკიპების დასახასიათებლად სიტყვა "დატიკული".

რეკვაზ ინანიშვილი ფინალის დიდოსტატია. მკითხველზე განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს კეთილოს ყბებზე ჩამოსული სიკეთის ცრემლები, აღამიანის მიერ გამოხატული მცირედი სითბოთი — ყელთან მიფერებით აღძრული. ამ პატარა მოთხრობის სათქმელიც ესაა — სითბო ყველა ცოცხალ არსებას სჭირდება და სიამოვნებს, სიყვარულს ეფუძნება ეს სამყარო, გურამ დოჩანაშვილის თქმისა არ იყოს, "დედამიწას სიყვარული ატრიალებს". ამიტომ უნდა ვისწაელოთ ერთმანეთის მოსმენა და სითბო გაეიღოთ.

მთხრობელი პატარა ბიჭია. მისი თვალით დანახულს გადმოსცემს მწერალი, უბრალოდ, უშუალოდ, გულღიად. ისე, როგორც ხშირად იციან ბავშვებმა — ჩამოგისხდებიან და მოგიყვებიან ამ მთისას, იმ მთისას, ჩვეულებრივს, ისეთს არაფერს, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანს, მათი აზრით, საინტერესოს, საიდუმლოს, ფასეულს. დაფიქრდები და მიხვდები, ამ უბრალოებაში რამხელა პოეზიაა, როგორი სილამაზეა. ერთი ასეთია "კეთილო" — ყოველდღიურობის, უბრალოების, სულის გამათბობელი პოეზია — "დიდი ყმაწვილის ჩანაწერი"...

ლალი დათაშვილი

ლხინი კახელებთან

ლადო ასათიანი გურჯაანელ ყმაწვილ კაცს ვანო ბაჩუკაშვილს თავისთან პყავდა მიპატიჟებული. ოქტომბერი იყო, კახეთის ულამაზესი თვე.

მასპინძლების ორსართულიანი სახლი მაღლობ ადგილზე იდგა. ცისფერი აივანი ფართოდგაშლილ ალაზნის ველსა და შორეულ კავკასიონს გადასცქეროდა. ლადო უთენია იღვიძებდა და მაშინვე აივანზე გამოდიოდა.

დილა ხომ ყველგან კარგია! მაგრამ კახეთის დილა მაინც სხვა რამედ ეჩვენებოდა. ალაზნის ველზე ლბილი ბინდი და უკიდეგანო თეთრი ღრუბელი იწვა. მაღლიდან ის ღრუბელი მშვიდად მობალახე ცხერის ფარას წააგავდა; თითქოს ვიღაცა სალამურს უკრავსო — წყნარად, გაგრძელებულად. მიდიოდა ეს ხმა და თან იმ ბინდსა და თეთრი ღრუბლების ფარას მიიყოლებდა. მხრებჩამოთოვლილი ლურჯი კავკასიონი ნელ-ნელა იწვედა მაღლა-მაღლა...

ამინდი კარგი იდგა, ცას კამკამი გაპქონდა, მაგრამ მაინც ყველაფერი სველი იყო: საღებავშემომსკდარი ცისფერი ბოძი, რომელსაც ლადო მიყრდნობოდა, მეზობელი სახლების ხაესმოკიდებული კრამიტები, ტოლგადაფარებული თივის ზვინი... სადღაც წვეთავდა კიდეც. წვეთი დანჯღრეულ თუნუქის ნიეთზე ეცემოდა.

მზის ამოსელა ხომ რაღაც ზეიმს გავდა. ჯერ ბროწეულისფრად შეიღებებოდა დაღესტნის კაბადონი, მერე თოვლიანი მწვერვალები აენთებოდნენ წითლად, მერე ამოცურდებოდა გავარვარებული დისკო. და თითქოს მძლავრად მოიქნიაო ჯოხი დირიჟორმა — დაიშლებოდა ნაწილ-ნაწილ: გორმახები და ღრუბლები, ჩამუქებული ხევ-ხუეები და წითელ-ყვითელი ტყენი; ძირს, გზაზე, ფათქუნით გაიელიდა ძარმორყეული ავტომობილი, მიპყვებოდნენ ფიჩხაკიდებული სახედრები, ვიღაცა მთელი ქვეყნის გასაგონად შეუკურთხებდა პატრონსა და დედას... ლადოს სიყვარულით ჩაეღიმებოდა, ხელებს ასწვედა, აიზმორებოდა, მერე აივანს დასტოვებდა და ბაღში ჩავიდოდა.

ბაღში დიდი ხეები იდგა — დიდი მსხლები, დიდი ლეღვები. ალმასის მტვერივით ცახცახებდა გამჭვირვალე ცვარ-ნამი მათ ფოთლებზე, ბალახებზე. აფრინდებოდნენ ლამაზი სკვინჩა-ჩიტები სველი მიწიდან, შეჯდებოდნენ შავადგაპრიალებულ როკებზე და გულმშვიდად იწმენდნენ პაწაწინა ნისკარტებს; თითქოს ორთქლი ასდიოდა ტოტებშორის ოქროს ლარებივით გაბმულ მზის სხივებს...

მარტო ლადო იყო აქ, ამ ბაღში. მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ყოველი მხრიდან ვიღაცები უთვალთვალებდნენ. ადამიანები კი არა! ქრიზანტემები, გეორგინები, ცვრის მსხვილი წვეთები და იდუმალი ღობემძერალები. ივდა მესრის ძირში მიდგმულ გრძელ სკამზე, აბოლებდა პაპიროსს და იხედებოდა აქეთ-იქით. ესმოდა ჩუჩუნი, ჩურჩული, ჩუმი ხითხითიც კი. უნდოდა წაესწრო რომელიმე მათგანისთვის, ვერ ასწრებდა და ცელქი მოწაფეების მიერ გაწბილებული მასწავლებელივით ეღიმებოდა.

მასპინძელი გვიან იღვიძებდა. მას ყოველთვის შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა. ისე ჩამორბოდა კიბეზე, თითქოს ვიღაც გაქცეულს მოსდევსო. შემოვარდებოდა ბაღში, დაინახავდა მყუდროში მიმჯდარ, სკამზე ფეხებაკრეფილ ლადოს და შედგებოდა, გაეღიმებოდა.

ეს ყმაწვილი კაციც ლექსებს წერდა — სუსტ, უფერხორცო ლექსებს. ხანდახან აქვეყნებდა კიდეც, მაგრამ არასოდეს არ ლაპარაკობდა მათ შესახებ და ეს იფარავდა — ლადო ისე უყურებდა, თითქოს უმცროსი ძმისთვის ცელქობა ეპატიებინოს.

— ისევ დამძინებია, კაცო! — ბოდიშობდა დარცხვენილი ვანო, — რა ღმერთი მიწყრება ამ ბოლო ხანებში, არ ვიცი წინათ ღამეებს ვათენებდი ხოლმე, ვკითხულობდი...

ლადოს პაპიროსი ნელ-ნელა მიპქონდა ტუჩებთან და ალერსით შესცქეროდა. მან იცოდა, რომ ეს კაცი წიგნზე ღამეს ვერ გაათენებდა. ერთი ბობრია ბიჭი იყო — თმახუჭუჭა და ჩაბუთხუზებულ-ჩაღაჟღაჟებული. მას ბევრი უნდა სძინებოდა; ბავშვივით გემრიელად უნდა ეჭამა, პირდაპირ მაჯით მოეწმინდა მსხვილი ლამაზი ტუჩები, და მერე ბევრი სძინებოდა. ზოგს ხომ ასეთი რამაც უხდება ხოლმე?! ამასაც ეს უხდებოდა და გემრიელად ჭამდა და ეძინა კიდეც...

ლადოს არ უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ ტყუილში იჭერდა, სიტყვას ბანზე უგდებდა და მოულოდნელად ეკითხებოდა:

— აგერ იმ ბალახს რას ეძახით?

— აგერ იმასა? იმ ბუჩქს?

ვანოსაც ეს უნდოდა! დატრიალდებოდა, ბალახებს ჩაუცუცქდებოდა, ბუჩქს ტოტებში ხელებს შეუყრიდა, გადასწვე-გადმოსწვედა.

— ეს კენკეშაა, ეს კიდევ მელიკუდა. ეს ვირიბალბა და ესეც ხომარდული.

საუზმეს აივანზე აწყობდა ვანოს დედა. ეს ჯანიანი, მწითური ქალი სულ იმას შესჩიოდა ლადოს — საკადრისად ვერაფრით ვერ გიმასპინძლდებითო, სუფრაზე კი მთელი რაგინდარა მოპქონდა.

ლადო დიდი მჭამელი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ თვალს

უხარებდა ერბოსაეით მსუეე, ბარაქიან ნაჭრებად დათლილი თუშური ყველი, ქაშანაურის ქილაში ჩაყინული და ეხლა სახელდახელოდ შემთბარი სურნელოვანი ყაურმა, ცხარე ხირხიტო, ნედლი ნიგოზი, გეიანა პამიდორი, ცერიანი ოხრახუში და თავი და თავი — გამტკიცული შოთები, შოთები და ღვინო, ღვინო და მუხის კასრში ჩაძველებული არაყი.

საუზმეს ხილი მოპყვებოდა.

კოხტად დაწნული ტირიფის თეთრი ხახლით იდგა: ქარვისფერი კომშები და ლოყაწითელა ვაშლები, ჟანგურა გულაბები და დამკერახული ყურძენი, ჩახჩახა ბროწეულები და წითელი, წითელი უნაბი.

ლადოს ყველაზე მეტად კომში მოსწონდა — მოგრძო, დაღმეჭილი, ბუსუსდაყრილი კომში. აიღებდა, სუნავდა, თვალმოჭუტული შესცქეროდა შორს გაწეულს და რაღაც სევდაგარეული ღიმილით, რომელიც საოცრად უხდებოდა ამ გულჩათხრობილ ახალგაზრდას, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა: კომში ბებერ, ბებერზე ბებერ კაცს მაგონებსო. თმა, წარბ-წამწამი და წვერი დასცვივნია, სახე დაპპატარავებია, დალეეია, გაპყვითლებია, ხავსი მოსდებია, მიმჭკნარი შუბლი შეუკრავს და დაღვრემილი ჩასცქერის მიწას.

ვანო იცინოდა, სკამს უკან სწვედა, მუცელს შვებას აძლევდა და ასე იცინოდა.

ნასაუზმევს სოფელ-ქვეყანაში გადიოდნენ.

გურჯაანი ქალაქობდა, თუ გურჯაანელები ქალაქელობდნენ! ქუჩები მოეკირწყლათ. ქუჩის ორივე მხარეს ცაცხვები და აკაციები დაერგათ, მერე ხელი აღარავის ეხლო — არ შეეკაფათ, არ შეეკეერცხათ. გაზრდილიყვნენ თავ-თავის ნებაზე, აეგრაგნათ დამუხლული ტოტები, გამოესხათ უამრავი სიფრიფანა ფოთოლი. ფოთლები შემოდგომას გაეყვითლებინა, მზეს გაემჭვირვალებინა და ოქროს გრილ არილს აფენდნენ ქვაფენილზე.

ქვებს შორის მწვანე ბალახი და მატიტელა ამოჯეჯილებულიყო: მატიტელას თასმასაეით რბილკისერა ბატები და მაღალ ფეხებზე სასაცილოდ მოქანაეე ინდაურები სწიწკნიდნენ.

მთავარ ქუჩას ასფალტიც კი პქონდა მოსხმული. აქ ბევრი მაღაზია, დუქანი და სახელოსნო იყო. ირეოდა ქალაქურად თაედაჭერილი ხალხი, ღიდი და პატარა, ლამაზი ქალიშვილები — ჩუმ-ჩუმად რომ აპარებდნენ მზერას მშვიდი, ვაჟკაცური შესახედაობის სტუმრისაკენ.

მაგრამ ლადოს გული უფრო ბაზრისაკენ უწევდა.

ბაზარში ოთხი თუ ხუთი ჩარდახი იდგა. ჩარდახქვეშ სხვადასხვა

სოფლებიდან მოსული მზით დამწვარი თავსაფრიანი ქალები და ოუშურქედიანი კაცები ეაჭრობდნენ. მოკრავდნენ თვალს მათკენ შაჰაკალ ადამიანის ლანდს და დაიწყებდნენ გაგრძელებულ ძახილს.

— აბა, რბილი შოთები! დედას შოთები!

— ყველი, გუდის ყველი! პაპ-პაპ-პაპ, რა ყველი!

— ტკბილი ბროწეულები!

— მატყლი! მატყლი!

— ცხარე წიწაკა! ავი დედაკაცის დათესილი წიწაკა.

ღვინის რიგის ნახვას ხომ არა სჯობდა რა! ჩასხდომოდნენ ჩაჟინჟღილებული გლეხკაცები შავ-შავ კასრებსა და მუცელდასიებულ ტიკებს, დაედგათ წინ თითო ბოთლი და თითო გაგანგლული ნთალი ჭიქა, დაემტვრიათ ყველი და პური დაჭმუჭნულ, დალაქავებულ გაზეთის ნახევზე, დაეყარათ წიწაკისა და კიტრის მწნილი და იყვნენ ერთ ამბავში:

— აბა, შიოს მარნისა!

— დათვის სისხლი!

— ნოეს რომ უყვარდა!

— უდედო თეთრი საპატარძლო, უდედო თეთრი!

— ბაბუას აბეჩხრისა!

ბაზრის ერთ კუთხეში ფეხებგაკრული ქათმები ქასქასებდნენ. ჯანჯალი მუშტრები უხეშად იყვანდნენ, ბუმბულებს უწვედნენ, უბერავდნენ, საცეცხლურებივით იქნევდნენ. საცოდავ ფრინველებს კრიახის თავიც აღარ ჰქონდათ, დაოსებული ხაოდნენ. გამყიდველები დამნაშავეებივით იდგნენ.

ლადოდავანომეღვინესამოირჩევდნენ,ერთბოთლსჩამოასხმევინებდნენ და თვითონაც დალევდნენ და იმ მეღვინესაც დაალევინებდნენ. ერთი ალერსიანი შეხედვა, ერთი ტკბილი სიტყვა, ერთი შეხუმრება საკმარისი იყო, რომ ამ ხალხს ეცნე და ძმად მიეღე. ფიანდაზად დაგიფენდნენ სულსა და გულს. გახარებული იყვნენ — გახარებდნენ, რომ ბიჭი შეგვეძინაო, ჩვენებიანთ ილუშა ჯარიდან ჩამოვიდაო, ი მურდალი საწყობის გამგე და იმისი ავან-ჩავანები, როგორც იქნა, მოგვაშორესო. წუხდნენ და შენც შემოგაგულისჭირებდნენ — მავანსა და მავანს კიბო ჰქონიაო, საარყე ქვაბების დადგმას აგვიანებენო, სახლს კრამიტი დამიკლდა და, რა ექნა, აღარ ვიციო.

ყველაფერს გრძლად, მეტისმეტად გრძლად, თითქოს გალობით ამბობდნენ.

ლადო რაღაც უცნაური სიამოვნებით უსმენდა. უსმენდა არა მარტო

სიტყვებს, არამედ ცალკეულ ბგერებსაც. უსმენდა და გრძნობდა, რომ სიცოცხლე კარგი იყო, კარგი იყო განუზომელად, რადგან სხვებს თვალში ეკლად კი არ ესობოდი (როგორც ეს მომწერლო ხალხში შეემჩნია ხშირად), შენი არსებობა ამ ადამიანებსაც სჭირდებოდათ; ამათაც სჭირდებოდათ შენი ღიმილი, შენი სიხარული, შენი სევდა... სადღაც შორიდან იყავი მოსული, მაგრამ იცინოდნენ და მუდარით შემოგცქეროდნენ, რომ შენც გაგეცინა, ცრემლებს იწმენდნენ და თვალებით გთხოვდნენ, შენც ცრემლი მოგეწმინდა...

ერთმა ვეჯინელმა გლეხკაცმა ხომ მთლად გადარია!

ლადო მაშინ მარტო იყო ბაზარში და მარტო გადააწყდა ამ ვეჯინელს, ფაფასაეით სქელი ღვინის პატრონს ბასა ბურკიაშვილს, ოცდაათიოდე წლის ჯაგართმიან სახეწითურ ჯეილს. დაყირავებულ ორთვალასთან ფალავანიეით იდგა, ცალი ხელით რეზინის მილი ეჭირა, ცალით დოინჯი შემოედგა და ბავშვური კეთილი ღიმილით დასცქეროდა ბაზარს.

ერთმანეთი შორიდანვე შენიშნეს, ერთიც აშკარად გამოირჩეოდა იმდენ ხალხში და მეორეც. ერთმაც თვალი ააღევნა და მეორემაც.

მერე ლადო მივიდა, გამარჯობა უთხრა.

გაგიმარჯოსო — ბასას რატომღაც სიწითლემ აპკრა.

— ერთი ჩარექი ჩამომისხი!

ბასამ ბოთლს ხელი წამოუსვა, წვერში თითებწაჭერილ რეზინის მილს თავი შიგ ჩააყოფინა და ჩამოასხა.

ლადომ ჭიქა გაავსო, წამოტივტივებული წიპწა ცერა თითით შემოაცალა და თქვა: შეიძლება, შენთან დავლიოო.

ბასამ გულზე ხელი მიიღო — ჩემი თავი შენ გენაცვალოსო.

— შენ გაგიმარჯოს, სახლიკაცო, ჩემი ქვეყნის შნოვ და ლაზათო, ემაგ ღონიერი მხარ-მკლავეით, მაგ ნათელი შუბლითა, დიდხანს იდექი აეგრე, წელან რომ დაგინახე, ფალავანიეითა. გიყურებდეთ და გვახარებდე. შენს საქმეს გაუმარჯოს. ოჯახობა გიცოცხლოს, სიხარული ნუ მოგაკლოსო.

ჭიქა ნელ-ნელა, დაგემოვნებით დაცალა, ძირს დადგა, ისევ გაავსო და ბასას მიაწოდა.

ბასა როგორღაც დაბნეული იყო. რეზინის მილი კასრში ჩააბრუნა, ლადოს ჭიქა ჩამოართვა, ოდნავ გაილაჯა, სინდიყიეით ალაპლაპებულ ღვინოს ჩააცქერდა და სამადლობელი თქვა. მაგრამ... სამადლობელი კი კარგი თქვა, მაგრამ... რეზინის მილის ჭერით მაჯა დაპღლოდა, თუ რა იყო, ტუჩებთან მიტანილი ჭიქა აუკანკალდა და რამდენიმე წვეთი ლალის მძივად ჩამოეკიდა ახალგაპარსულ ნიკაპზე.

ამან მთლად დააბნია. ნიკაპი ხელის ზურგით მოიწმინდა და თავი ჯიუტი ხარივით გააქნია.

ლადომ ღიმილი შეიკავა. ბოთლს ისევე ჭიქისკენ გადაუწია თავი, მაგრამ ბასამ ჭიქას თავის ვეება ხელი დააფარა, ავსება აღარ დაანება — შენ ჩემი სტუმარი ,ხარო, ცოტა ხანს მომითმინეო... ერთი გასძახა ბაზარს:

— აბა, ცხონებას ბიჭი შინ მიდის და ვისაც მიგაქვთ, წაიღეთო.

გამოძერნენ დუქნებიდან და სახელოსნოებიდან ყასბები და ხარაზები, თერძები და მედუქნეები — სახელდახელოდ ჩამოუცარიელეს კასრი.

მერე ვიღაც ძმაკაცს ცხვრის მთელი ბარკალი ჩამოაჭრევინა, ლურჯ წინსაფარში გაახვია, საიდანღაც გამხმარი თეეზიც მოატანინა, ისიც იქ მიუმატა. ორთვალაში ცხენი შეაბა, შუბლზე მოეალერსა, გაღიმებული ლადო ფარაჯაგადაფარებულ კოფოზე აიპატიჟა, თვითონაც გვერდზე მიუჯდა და ვეჯინის გზას გაუყენა.

ლადომ არ იცოდა სად მიდიოდა, არც უკითხავს.

იყო შემოდგომის მცხრალი მზით განათებული გზა, გზის მაღლა — კაბადონზეახატული ხელებაწეული, აჟიეჟიეებული ბავშვები... გრძელ-გრძელი, მბზინავი აბლაბუდები...

ორმოციოდე წუთის შემდეგ — წითელ-ყვითელი ფერებით აღსავსე ხილნარი, ალმურმოდებული თონე, თონეზე წახრილი პირახვეული ხნიერი დედაკაცი, ხარიხაზე გაკიდული უთვალავი ჩურჩხელები, ჯაგნები, ჩხები, ხელადები...

ბასა ეზოში გამოგებებულ თვალჟუჟუნა გოგოსკენ იშვერდა სახრეს და სიცილით ეუბნებოდა ლადოს: ესაო, ეს დალეული გოგო, ჩემი დედაკაციაო. ეგრე ნუ უყურებ — პატარაა, მაგრამ ხმა აქვს, ციდან ქორს ჩამოაგდებსო.

გოგონაც იცინოდა, ბასას სჯგელემაედა და ცდილობდა დარცხვენილი ლამაზი თვალები ლადოსთვის მოერიდებინა.

მერე ლადო და ბასა ფართო აივანზე იდგნენ და კავკასიონისაკენ იშვერდნენ ხელებს. ის გოგონა და მისი შავადშემხმარი დედამთილი კი მაქოსავით გადი-გამოდიოდნენ. ისმოდა ქათმების კრიახი, კაკლების ჩახა-ჩუხი, ცეცხლზე შემდგარი ქონის შიშხინი და ჯამ-ჭურჭელის ჩხარუნი.

ბასამ სუფრა ჯაგნებითა და ჩხებით დამშვენებულ მარანში, სამსაპალნიან ქვევრის ირგვლივ გააშლევინა. დასაჯდომად მუთაქები შემოარიგებინა, ღვინო ამოიღო და ტოლ-სწორ მოკეთე-მეზობლებისათვის დააძახებინა. იმათაც არ დაიგვიანეს. შემოლაგდნენ წელგამართულნი, სახენათელნი, მყვირალები.

ჰაი და ჰაი.

ყველამ სათითაოდ მიაწოდა ღვინისფერი ხმელი მარჯვენა ლადოს. ახედ-დახედეს, ღიმილით მოიწონეს. თქვენც ხომ კარგადა ხართო — დაეხმაურნენ დიასახლისებს, აბა, ეხლა შენ იცი პატარძალოო და დასხდნენ, მოიკეცეს, პური გატეხეს, დაიწყეს.

დაიწყეს თამადის არჩევითა. რაღა თქმა უნდა, ბასა აირჩიეს. დალოცეს ოჯახის დედაბოძი და კეთილი ანგელოზი, საძირკველის ჩამყრელი და პირველი სინათლის დამნთებელი; შეიწყალეს ზოგის მშობლები, აღღეგრძელეს მეორეებისა, ჯანმრთელობა და სიხარული უსურვეს დედმამიშვილებს და კეთილ მეზობლებს, დალიეს, ერთმანეთს დაალევინეს, შეხურდნენ, შეზარხოშდნენ და აბა სიმღერა ეცადოთო — „ბერი კაცი“ სცადეს.

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავო“... და აიწია ჭერმა.

თიხის ჯამი ჩამოატარეს ჩვენი ქვეყნის მიწისა და მისი ცისა და ღრუბლის სადღეგრძელოდ.

ახსენეს თამარ მეფე და შაპ-აბაზი, საკაძე და აღა-მაპმადხანი.

— პაი დედასაო! — იბაგუნებდნენ შავ-შავ მჯიღებს მკერდზე.

აიღო ერთმა კაკალი ორი თითით. ხომ მთელიაო — დაანახვა ყველას. ჩამოპკრა გაშლილი ხელი, ჩამოამტვრია და ღიმილით შესთავაზა ლადოს.

ეგრე კი არაო და ცხვრის კანჭი გადატეხა მეორემ.

თხა თხაზე ნაკლებიო და დაიმხო ბასამ თიხის ჯამი ქუდიეით, დაირტყა მუშტი და ჩამოიმტვრია თავზე.

იცინეს, ირახრახეს. თან სულ ლადოს შესცქეროდნენ და „გენაცვალოს ჩემი თავიო“, ხან ერთი ენაცვლებოდა და ხან — მეორე.

მერე ბასამ ხელი ასწია — გაჩუმდითო. გაჩუმდნენ. მშვიდად ჩამოატარეს სუფრის წევრების სადღეგრძელოები, დატკბნენ, გული აიჩვილეს... იტყოდნენ და სიმღერას მოაყოლებდნენ, იტყოდნენ და სიმღერას მოაყოლებდნენ— ზამთარი ვარდსა დააჭკნობსო, შაშვი-კაკაბი შეიბნენო, შვიდნი გურჯანელნი სანადიროდ წავიდნენო...

მერე კვლავ აიწყვიტეს. ვიღაცამ თოფი ჩამოიღო — მოკედი მტერო და იხარე ჭეროო, ქალებმა შეპკიელეს, თვალები დახუჭეს, ყურებში თითები გაიკეთეს... ვიღაცამ ლამფას შუშა მოაძრო — ამით უნდა დაელიოთო.

დალიეს, გადაირიენენ.

მერე ის შუშაც შემოემტვრათ და პირდაპირ პეშვებით დაიწყეს სმა...

ჩამოსდიოდათ წურწურით ფაფასაეით სქელი წითელი ღვინო მაჯებზე და იცინოდნენ, იღრჩვებოდნენ სიცილით...

გარეთ იდუმალი შრიალით ბრუნაედა ვარსკვლავებიანი ცა.

აუ, რამდენ რამეს ფიქრობდა ლადო იმ ღამის შემდეგ! რამდენ რამეს პპირდებოდა იმ ღრუბლებს, ალაზნის ველზე რომ იწვნენ ხოლმე დილდილობით, იმ ნათელ მზეს, დაღესტნის მხრიდან რომ ამოდიოდა ზეიმით, იმ გლეხკაცებს, რომლებსაც ესოდენ დიდად სჭირდებოდათ მისი სევდა, მისი სიხარული, მაგრამ ერთი პატარა ლექსის მეტი ვერა დაუწერა რა ვერცეროს. დანარჩენი ღრო სხვა ღრუბლებმა, სხვა მზემ, სხვა ადამიანებმა წაიღეს. ისინი უთვალავნი იყვნენ. ლიცლიცით გამოდიოდნენ იასამნისფერ ბურუსიდან, მლოცველებივით მორჩილად ჩერდებოდნენ პოეტის შორიახლოს და იცდიდნენ. იცდიდნენ და ბოლოს ყველას მიპქონდათ თავთავისი წილი. მიპქონდათ მანამდე, სანამ ოცდაექვსი წლის ჭაბუკმა გაზაფხულის წვიმას არ გაატანა თავისი არსებობის უკანასკნელი წუთი...

შეუნდეთ, კახელებო!

კითხვები და დავალებები:

იმსჯელეთ შედარებაზე: "მაღლიდან ის ღრუბელი მშვიდად მობალახე ცხერის ფარას წააგავდა";

იმსჯელეთ შედარებაზე: "თითქოს მძლავრად მოიქნიაო ჯოხი დირიჟორმა — დაიშლებოდა ნაწილ-ნაწილ: გორმახები და ღრუბლები, ჩამუქებული ხევ-ხუვები და წითელ-ყვითელი ტყენი";

როგორ გესმით სიტყვა "ფათქუნი" ფრაზაში: "ფათქუნით გაიელიდა ძარმორყეული ავტომობილი"?

როგორ გესმით: "გვიანა პამიდორი", „ცერიანი ოხრახუში" „გამტკიცული შოთები", „ჟანგურა გულაბები", „დამკერახული ყურძენი", „ჩახჩახა ბროწეულები", „ღვინის რიგი", "ჩაჟინჟღილებული გლეხკაცები", "მუცელდასიებული ტიკები", "გაგანგლული ნათალი ჭიქა"?

როგორ გესმით: "შემოგაგულისჭირებდნენ"?

იმსჯელეთ რევაზ ინანიშვილის ფრაზაზე: "გარეთ იდუმალი შრიალით ბრუნავდა ვარსკვლავებიანი ცა" და გაავლეთ პარალელი გურამ დოჩანაშვილის ნათქვამთან: "დედამიწას სიყვარული ატრიალებს";

დაძებნეთ ეპითეტები და შედარებები და იმსჯელეთ მათზე;

რა მიგაჩნიათ ამ მოთხრობის იდეად? სათქმელი დაასაბუთეთ;

წაიკითხეთ (ქვემოთ) ლადო ასათიანის ლექსი "ლხინი კახელებთან" და გააკეთეთ პარალელი რევაზ ინანიშვილის ნოველასთან;

დაწერეთ ჩანახატი სათაურით: "ცელქი მოწაფეების მიერ გაწბილებული მასწავლებელიეთ ეღიმებოდა".

დააკვირდით:

ფრაზაში: "ალაზნის ველზე ლბილი ბინდი და უკიდეგანო თეთრი ღრუბელი იწვა" — მწერალი იყენებს სიტყვა "რბილის" არქაულ ფორმას, რითაც საოცარ ინტიმს ქმნის და ბინდის "სილბოს" უთვალსაჩინოებს მკითხველს;

სიტყვა "რაგინდარა" რაოდენ მიზანმიმართულადაა გამოყენებული ფრაზაში: "სუფრაზე კი მთელი რაგინდარა მოპქონდა". ავტორი ამ ერთი სიტყვით გვიჩვენებს სუფრის სიუხვეს;

როგორ შემოაქვს პოეტს ამაღლების განცდა სიტყვით "კაბადონზეახატული" ფრაზაში: "იყო შემოდგომის მცხრალი მზით განათებული გზა, გზის მაღლა — კაბადონზეახატული ხელებაწეული, აჟიეჟიევებული ბაეშვები..."

როგორი სიყვარულითა და იუმორით საესე დამოკიდებულება აქვს ბასას მეუღლესთან. ლადოს ასე აცნობს ცოლს: "ეს დალეული გოგო, ჩემი დედაკაციაო. ეგრე ნუ უყურებ — პატარაა, მაგრამ ხმა აქვს, ციდან ქორს ჩამოაგდებსო";

შედარებით "მაქოსავით გადი-გამოდიოდნენ" გადმოიცემა, თუ როგორ სწრაფად მოემსახურნენ სტუმარს ("ის გოგონა და მისი შაკადშემხმარი დედამთილი კი მაქოსავით გადი-გამოდიოდნენ.").

ლხინი კახელებთან

მე ჩემი სახლი გამხსენებია,
გამხსენებია ყველა კეთილი...
თქვენთან ნადიმში დამთენებია.
არ დავრჩენილვარ გულდაწყვეტილი.
მე განმიცდია მთის იდილია
და საარაკო ლხინი მზიური,
მაგრამ ეს რაღაც უფრო ტკბილია,
უფრო ნაცნობი და მშობლიური.
ჩემს გვარს, უშიშარს და იმედიანს,
არ მოპკლებია ყურძნის ნაწური,
მაგრამ ეს რაღაც უფრო მეტია,
უფრო სოფლური და ვაჟკაცური.

1938 წ.

ლადო ასათიანი

ანალიზისთვის:

შემოქმედთა შესანდობარი

როდესაც ერთი შემოქმედი მეორეზე წერს, მათ შორის ყოველთვის იგრძნობა განსაკუთრებული სულიერი კავშირი, გულთა ერთობა. ასეთი ნაწარმოები მუდამ ორმაგი დატვირთვისაა, აეტორის პიროვნებასა და საწუხარსაც წარმოაჩენს, პერსონაჟის სახეში შეფარულს, და მის დამოკიდებულებასაც წინაპრადქცეულ ხელოვანთან.

"ლხინი კახელებთან" რევაზ ინანიშვილის თვალით დანახულ ლადო ასათიანს წარმოგვიდგენს,

ლადო ალერსიანი, კეთილშობილი და თბილია, იგი ყოველივეს ხედავს, მაგრამ აღნიშნავს კარგს, ცუდს უსიტყვოდ მიუტევებს, სამყაროსა და ადამიანებს სიყვარულით ეპყრობა, ამიტომაც კი არ ღიზიანდება თაეისი მასპინძლის სიტყვების მოსმენისას, არამედ "უჯერებს" და თვალებით ეფერება: "ალერსით შესცქეროდა. მან იცოდა, რომ ეს კაცი წიგნზე ღამეს ვერ გაათენებდა. ერთი ბობრია ბიჭი იყო — თმახუჭუჭა და ჩაბუთხუზებულ-ჩაღაჟღაჟებული. მას ბევრი უნდა სძინებოდა; ბაეშვეიით გემრიელად უნდა ეჭამა, პირდაპირ მაჯით მოეწმინდა მსხვილი ლამაზი ტუჩები, და მერე ბევრი სძინებოდა."

კახეთის სახით, კახეთიდან მთელ საქართველოს ეფერება რევაზ ინანიშვილი. ამიტომაც არც სხვა კუთხეებს სწყვეტს გულს და ლადოზე საუბრისას შენიშნავს: "დილა ხომ ყველგან კარგია! მაგრამ კახეთის დილა მაინც სხვა რამედ ეჩვენებოდა".

ლადოს სულიერი აღმაფრენა რომ გვიჩვენოს, მწერალი გადმოსცემს, რომ ალაზნის გაშლილ ველზე მდგომარე პოეტი ისე მაღლაა, თითქოს ციდან, უფლის საუფლოდან დასცქერის ღრუბლებს: "მაღლიდან ის ღრუბელი მშვიდად მობალახე ცხვრის ფარას წააგავდა". ამ აღმაფრენას ბუნებაც ხელს უწყობს, ყველაფერს საზეიმო ელფერი გადაპკრავს, ყველაფერი ხარობს, "ამინდი კარგი იდგა, ცას კამკამი გაჰქონდა.., მზის ამოსელა ხომ რაღაც ზეიმს გავდა."

ნატარებას აქაურობა ჰგვრის პოეტს. იგი გრძნობს ერთობას ბუნებასთან, თითქოს აქაურია, მათია, შერწყმულია გარემოსთან, ამიტომაც ყურადღების ცენტრშია, მისაბაძია და არა — ეინმე უღიმღამო, ეისი არსებობაც არავის აინტერესებს: "მარტო იყო აქ, ამ ბაღში. მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ყოველი მხრიდან ვიღაცები უთვალთვალებდნენ.

ადამიანები კი არა! ქრიზანტემები, გეორგინები, ცვრის მსხვილი წვეთები და იდუმალი ღობემძვრალები." ლადოც ტკბება ამ უცნაური ურთიერთობით, ხალისობს, თამაშში ერთვება, მოთვალთვალის გამოჭერას ცდილობს — იგი ბედნიერია.

კაცობის საზომი იმის უნარია, ადამიანს სიცოცხლით ტკბობის სურვილი და ბედნიერება მიანიჭო, ყოველდღიურობა ლხინად და ბედნიერებად უქციო, აგრძნობინო, რომ "სიცოცხლე კარგი იყო, კარგი იყო განუზომელად". — ეს არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი. ამიტომაც დაურქმევია მისთვის მწერალს "ლხინი კახელებთან", რათა დაგვანახოს, ლადო როგორ ილხენს კახეთში, როგორ სიამოვნებს ამ ხალხთან ურთიერთობა და როგორ ტკბება სიცოცხლით.

მწერალი ამ ლხინის მიზეზსაც აგვიხსნის — "წელგამართული, სახენათელი, მყვირალა, როხროხა" კახელები ალალნი და უბოროტონი არიან. ლადო გრძნობს ამ ხალხთან ერთობას. მათგან მომდინარე სიყვარულსა და უბრალოებას თვითონაც ასევე პასუხობს: "შენი არსებობა ამ ადამიანებსაც სჭირდებოდათ; ამათაც სჭირდებოდათ შენი ღიმილი, შენი სიხარული, შენი სევდა... სადღაც შორიდან იყავი მოსული, მაგრამ იცინოდნენ და მუდარით შემოგცქეროდნენ, რომ შენც გაგეცინა, ცრემლებს იწმენდნენ და თვალებით გთხოვდნენ, შენც ცრემლი მოგეწმინდა..."

და ტკბილი სევდით, რომელიც ამ ფრაზებიდან გამოსჭვივის, რევაზ ინანიშვილი თავისებურად, მსუბუქად, შემოგვაპარებს შურისა და ბოროტების, ადამიანური მანკიერებების თემებს, რომლებიც, ამ შემთხვევაში, მწერალთა საზოგადოებას, ანუ ლადოს სამოღვაწეო არეალს უკავშირდება. მათ შორის თავს კარგად ვერ გრძნობს პოეტი, იქ ზედმეტია, "რადგან სხვებს თვალში ეკლად ესობოდა (როგორც ეს მომწერლო ხალხში შეემჩნია ხშირად)". ამით ამ სიტყვების ავტორის სევდაც იკითხება, თავადაც რომ არაერთხელ უგრძვნია თავი, ლადოს მსგავსად, ზედმეტად და მიუღებლად. ასეც უნდა ყოფილიყო, ისინი მწერლები იყვნენ და არა — "მომწერლონი", თუმცა მგრძნობიარე სულისთვის ძნელი გადასატანია ადამიანთა უსულგულო დამოკიდებულება. უბრალო, "ვეჯინელი გლეხკაცი, ბასა ბურკიაშვილი, ოცდაათიოდე წლის ჯაგართმიანი სახეწითური ჯვილი" კი ლადოსთვის ოაზისია უდაბნოში. მან "ხომ მთლად გადარია!" თავისი სიწრფელით და ძალუმად აგრძნობინა სიცოცხლის სიტკბოება.

მწერალი და ხალხი, მწერალი და პერსონაჟი, გარესამყარო შემოქმედის პრიზმაში, მისი თვალით დანახული ქვეყნიერება და ნაწარმოები — ახლად შექმნილი რეალობა, პოეტის ადგილი ცისქვეშეთში — ის თემებია, რომელთაც უტრიალებს ამ მოთხრობის ავტორი. ლადო ასათიანი — შემოქმედად და მისი ნაფიქრალ-ნააზრევი — მეოცნებე, ამ სამყაროს გასალამაზებლად მოსული ადამიანების სახედ განზოგადდება. სულ სხვანაირია მისი თვალით დანახული კახეთი, ბევრი რამის მოსწრება უნდა, თითქოს ვალიც აქვს ამ ხალხის, რომ მათი უბრალოება და კეთილშობილება ყველას დაანახოს: "აუ, რამდენ რამეს ფიქრობდა ლადო იმ ღამის შემდეგ! რამდენ რამეს პპირდებოდა იმ ღრუბლებს, ალაზნის ველზე რომ იწვნენ ხოლმე დილდილობით, იმ ნათელ მზეს, დაღესტნის მხრიდან რომ ამოდიოდა ზეიმით, იმ გლეხკაცებს, რომლებსაც ესოდენ დიდად სჭირდებოდათ მისი სევდა, მისი სიხარული"... მაგრამ პოეტები "ლექსის ჩარჩები" (ტიციან ტაბიძე) არ არიან, უამრავი რამ აქვთ სათქმელი და მოსასწრები და, სამწუხაროდ, ცხოვრება ერთი წამია, მით უმეტეს, ასე ადრე რომ დაგახუჭვინებს თვალს ეს მუხთალი წუთისოფელი. ლადომაც ვერ მოასწრო, "ერთი პატარა ლექსის მეტი ვერა დაუწერა რა ვერც ერთს. დანარჩენი დრო სხვა ღრუბლებმა, სხვა მზემ, სხვა ადამიანებმა წაიღეს. ისინი უთვალავნი იყვნენ. ლიცლიცით გამოდიოდნენ იასამნისფერ ბურუსიდან, მლოცველებივით მორჩილად ჩერდებოდნენ პოეტის შორიახლოს და იცდიდნენ. იცდიდნენ და ბოლოს ყველას მიპქონდათ თავთავისი წილი. მიპქონდათ მანამდე, სანამ ოცდაექვსი წლის ჭაბუკმა გაზაფხულის წვიმას არ გაატანა თავისი არსებობის უკანასკნელი წუთი..." (ეს ადგილი კონსტანტინე არსაკიძის ("დიდოსტატის მარჯვენა") სიკედილისწინა ჩვენებებს გვახსენებს, თავისი ქმნილებები სულს რომ სთხოვენ).

მწერალი ფინალით კრავს მოთხრობას და მას ლადო ასათიანის სულის საოხ "პანაშვიდად" გადააქცევს, გულწრფელ ლოცვას აღგვაელენინებს, კიდევ ერთხელ დაგვანანებს ამ უდროოდ წასულ ლამაზ ბიჭს. "შეუნდეთ, კახელებო!" კი არა მხოლოდ ლადოს, ყველა შემოქმედის, მათ შორის თვით რევაზ ინანიშვილის, სულის შეწევნას ისახავს მიზნად და დავით გურამიშვილის საველრალს ეხმაურება:

"შენ მე მიბრძანე, ცოდვილს, შენდობა,
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!.."

"ლხინი კახელებთან" გამორჩეულია ავტორისეული მხატერული სახეებითაც.

მწერალი ისეთი ეპითეტებითა და სიცინცხლით ასახავს საუზმესა და ხილს, რომ მკითხველი თავს ლადოსა და ვანოს თანამეინახედ გრძნობს, თითქოს ყველაფერს უსინჯავს გემოს და სიამოვნებით მიირთმევს "ერბოსავით მსუყე, ბარაქიან ნაჭრებად დათლილ თუშურ ყველს", "გვიანა პამიდორს, ცერიან ოხრახუშს, გამტკიცულ შოთებს, ქარვისფერ კომშს, ჟანგურა გულაბს, დამკერახულ ყურძენს", თუნდაც, ლადოს ემსგავსებოდეს და ჭამის დიდი მოყვარული არ იყოს.

საოცრად ტევადია რევაზ ინანიშვილის ყოველი სიტყვა. ბასას დედას გეაცნობს და გეიხასიათებს ერთადერთი ეპითეტით "შავადშემხმარი", თუმცა სხვა არაფერი ვიცით მასზე (სახელი ც კი), თვალწინ წარმოგვიდგება გამხდარი, მძიმე ცხოვრება გამოვლილი, მაგრამ საქმიანი და ყოჩაღი ქალი..

ამ პატარა მოთხრობაში ისეთი ჩანახატებია ჩართული, რომლებიც, თავის მხრივ, დამოუკიდებელი ღირებულების მომხიბლავი მინიატურებია. მაგ.: ლადოს ფიქრი კომშზე: "კომში ბებერ, ბებერზე ბებერ კაცს მაგონებსო. თმა, წარბ-წამწამი და წვერი დასცვივნია, სახე დაპპატარავებია, დალეგია, გაპყვითლებია, ხავსი მოსდებია, მიმჭკნარი შუბლი შეუკრავს და დაღრეჯილი ჩასცქერის მიწას." ან ბაზრის სურათი და, კერძოდ, ღვინის რიგის ავტორისეული სურათი: „ღვინის რიგის ნახვას ხომ არა სჯობდა რა! ჩასხდომოდნენ ჩაჟინჟღილებული გლეხკაცები შავ-შავ კასრებსა და მუცელდასიებულ ტიკებს, დაედგათ წინ თითო ბოთლი და თითო გაგანგლული ნათალი ჭიქა, დაემტვრიათ ყველი და პური დაჭმუჭნულ, დალაქავებულ გაზეთის ნახევზე, დაეყარათ წიწაკისა და კიტრის მწნილი და იყვნენ ერთ ამბავში".

„ლხინი კახელებთან" რევაზ ინანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა.

ლალი დათაშვილი

მუხა

ეს მუხა ტყის პირას დგას, — ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოჟრილი, ფოთლებშეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს. იშვიათად თუ ეწვეევა ვინმე, — ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი. საუკუნეებით დაღლილს, გაწამებულს ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე, ისიც უძრაკი, მრისხანედ მიშტერებული ველისკენ; ხანდახან კოდალა თუ მოინახულებს; სწრაფად, უგულოდ შემოურბენს ირგვლივ, თითქოს ეალდებულების მოსახდელად ორიოდეჯერ დაპკრავს ნისკარტს, — კიეკიეო! — ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ. ციყვებმაც კი მიატოვეს და წავიდნენ...

ამ რამდენიმე წლის წინათ მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა, ცოტა რომ შეზარხოშდნენ, აყაყანდნენ: არა მე გჯობივართ სროლაში, არა მეო. ერთი მონადირე წამოდგა და თქვა: — აი, ბურთი და აი, მოედანი! — მუხის დიდ კოჟრზე ასანთის კოლოფი დასვა, — ვესროლოთო. ზოგი ფეხმორთხმული ისროდა, ზოგი — წაწოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით.

მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოიესო. გამოხდა ხანი, — თვეები, წლები. და, აი, წლეულს, გაზაფხულზე, ის მონადირე, ასანთის კოლოფი რომ დასვა მუხაზე, უკვე ჭარმაგი, პატარა შვილიშვილთან ხელჩაკიდებული, ისევ მოხვდა ამ ადგილებში.

მუხის ნაჭრილობევში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა.

მონადირის შვილიშვილმა, ლამაზმა, ყურებსიფრიფანა გოგონამ, აღტაცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა.

მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა.

კითხვები და დავალებები:

როგორ ფიქრობთ, რა გამოხატა მონადირემ ქუდის მოხდით?

როგორ ფიქრობთ, მხოლოდ სიბერემ გააზრებინა მონადირეს ახალგაზრდობაში დაშვებული შეცდომა, თუ ბავშვმა აუხილა თვალი?

რა არის, თქვენი აზრით, ამ მინიატურის სათქმელი?

დააკვირდით:

მუხის სიბერე რომ გვიჩვენოს, მას მწერალი წლებით კი არა, „საუკუნეებით დაღლილს" უწოდებს;

ერთადერთი სიტყვით "ყურებსიფრიფანა" ასახავს მწერალი, გოგონა რამდენად ნაზი, პატარა და პაეროვანია;

მუხის ჭრილობა "სველია", რაც სისხლის ასოციაციას ქმნის.

ანალიზისთვის:

ნაჭრილობევის იები

მწერალი ამ მინიატურით კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, რა ძნელია, სიბერეში მარტოსული და ყველასგან მიტოვებული იყო.

"ჯმუხ, ტანდაკოჟრილ, ფოთლებშეთხელებულ" მუხას იგი ახასიათებს, როგორც "საუკუნეებით დაღლილს, გაწამებულს". ეს ხე უკვე იმ ასაკშია, სიცოცხლე ტანჯვა-წამებად რომ გადაქცეულა, თანაც არა მარტო სიბერის გამო.

მუხან "იშვიათად თუ ეწვევა ვინმე". თანაც, ამ სტუმართა დასახასიათებლად ავტორი ისეთ სიტყვებს იყენებს, რომელთა საშუალებითაც ნათელი ხდება, რომ არც ერთი მათგანი სიყვარულის ან მონატრების გამო არ მოდის ამ ხესთან. "ქორი უძრავია და მრისხანედ მიშტერებული ველისკენ"; "კოდალა სწრაფად, უგულოდ შემოურბენს ირგვლივ, თითქოს ვალდებულების მოსახდელად ორიოდეჯერ დაკრავს ნისკარტს, — კიკიკო! — ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ"... "სტუმრად მისულმა" ადამიანებმა კი ატკინეს და შეაწუხეს, მათთვის ის უსულო საგანი იყო, რომელიც იმ წუთში თავიანთი ისტერესების დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდათ.

მუხის ტანჯვის ასასახავად მწერალი მის ტკივილსა და ცრემლებს მონადირეების სიცილს უპირისპირებს. ადამიანი ვერც კი ხედავს, როგორ აწამებს სხვას, მისთვის მთავარია, თვითონ კარგად იგრძნოს თავი. თვითონ ლაღობენ და რა მნიშვნელობა აქვს, რას გრძნობს მუხა, რომელსაც "სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ". ვაჟასი არ იყოს, მუხის ფესვებს რომ ათქმევინებს: "ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ კი, კაცნი, ამას "რაკუნს" ეძახით. გადმოგვდის

სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს "ხის წვენს" უწოდებთ" ("ფესვები"). მუხას სტკიოდა, მისი "სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით", მაგრამ მონადირეები ბრმები და ყრუები ყოფილნენ ამის აღსაქმელად.

ბუნება დიდია, გაახალისა და სიცოცხლის სურვილი დაუბრუნა მუხას იმით, რომ იები მიართვა, "სისხლი" ამაოდ არ დააღვრევინა: "მუხის ნაჭრილობებში მთელი ბღუჯა ია ამოსულიყო და ყრიამულით ყვაოდა." სიტყვა "ყრიამულს" მწერალი მოულოდნელ კონტექსტში ხმარობს და მკითხველს დაანახვებს მხიარულ, ცელქ, ახალგაზრდულ სილამაზეს, სურს, სილამაზის აღქმა და მისით ტკბობა გვასწავლოს. ბავშვი — ბუნების ლაღი, უბიწო შვილი, "ღია თვალებით" იყურება და ხედავს ამ საოცარ სილამაზეს, ამიტომაც მოქმედებს გულით: "აღტაცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა."

მოხუცი მონადირის საქციელი კი მის სულში ბავშვის სიწმიდის ზეგავლენით მომხდარი კათარზისის, უფლისგან შექმნილი სილამაზისთვის ქედის მოხრის, საკუთარი უსულგულობის განცდით აღძრული სინანულისა და სინდისის ქენჯნის გამოხატულებაა: "მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა." ასეთი გრძნობებით სასუფევლის კართან დგანან, მაგრამ ვაი, რომ ამ კარის გაღებას მხოლოდ ნაგვიანევი სინანული არ ჰყოფნის, მაცხოვრის "მისახუტებლად" სიყვარულით სავსე გულია საჭირო — ბავშვის გულივით წმინდა და ფაქიზი.

ლალი დათაშვილი

მაღაზიაში სამი განყოფილება იყო, სამი გამყიდველი მუშაობდა, ორი ქალი – მარო და მარგალიტა, ერთიც კიდევ კაცი – გერონტი.

შემოვიდა პატარა გოგონა. იქნებოდა ათი თუ თერთმეტი წლისა, გერონტის განყოფილებასთან მივიდა, მოხუც ქალს ჰკითხა: — ბოლო თქვენ ბრძანდებითო? – მე ვარ, შვილოო. გოგონა მორჩილად გაჩერდა მის უკან.

რიგი დიდი არ იყო, ხუთი თუ ექვსი კაცი. არც ბევრ-ბევრს ყიდულობდნენ. სწრაფად მიიწევდნენ წინ.

მოხუცმა ქალმა ააწონინა ნახევარი კილო ძეხვი „მოყვარულთა“, ორასი გრამი ყველი „რუსეთული“, გამოართვა ერთიც ორმოცდაორ კაპიკად ღირებული მდოგვი. გერონტიმ მარჯვედ ჩამოყარა კოჭები საანგარიშოზე და მოხუც ქალს უთხრა: — ორი და ოთხმოცი! — მოხუცმა ქალმა სამმანეთიანი მიაწოდა.

— ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, — თქვა პატარა გოგონამ.

— როგორა? — წინ წამოიწია გერონტიმ.

— ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, — მშვიდად გაიმეორა გოგონამ.

გერონტი შეშფოთდა.

— შენა, გოგო, რას გეტყვი, იცი?

— ვიცი.

— რა იცი, რა!

— რა და... ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკია, და არა — ოთხმოცი.

გერონტი საანგარიშოს ეცა.

— მანეთი და ორმოცდახუთი — ძეხვი, ორჯერ ოცდაჩვიდმეტი — ყველი, ორმოცდაორი – მდოგვი.

— ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, — თქვა ისევ გოგონამ.

აწითლებულმა გერონტიმ საანგარიშოს კოჭები უკან გაყარა და ხელახლა დაიწყო ანგარიში. ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი გამოუვიდა.

— ცოტა სწრაფად, სწრაფად! — დაიძახა ბოლოდან სათვალიანმა კაცმა.

გერონტიმ ხნიერ ქალს ხურდები მოუკრიფა და გოგონას მიაჩერდა.

— შენ რა გინდა, ისა თქვი!

— ნუ მიწყრებით, — უთხრა გოგონამ. გერონტი აიმართა, გოგონას

დააკვირდა. ერთი სიფრიფანა გოგონა იყო, მქრქალცისფერთვალებიანი და ცოტა ცხვირაპრეხილი. მარცხენა ხელში ბადურა ეკავა, მარჯვენაში — ხუთმანეთიანი და კარაქის ტალონი. ძალიან მშვიდად იდგა.

— მიბრძანე, რა მოგართვა! — მორჩილება გაითამაშა გერონტიმ.

— მომეცით ორას ორმოცდაათი გრამი ძეხვი, ორასი გრამი ყველი „შვეიცარული", ერთი ტალონისაც კარაქი.

გერონტიმ იწვალა და ძლიეს შეასრულა ზუსტად ორასორმოცდაათ გრამად ძეხვი, მერე — ორასად ყველი. კარაქს აწონა არ უნდოდა, დაფასოებული იყო, ორას-ორას გრამად, სამი ცალი მიაწოდა გოგონას. საანგარიშოს მისწვდა, ფრთხილად ჩამოყარა კოჭები. გაუბედავად თქვა:

— სამი და სამოცდაათი.

— სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

— ვაახ, კაცო! — წამოიძახა გერონტიმ. ისევ დააპირა ანგარიში. გადაიფიქრა, — მომეცი, შვილო, რამდენიც გინდა, და წადი, სამუშაო მაქვს მე.

— აიღეთ სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

გერონტიმ ზუსტად დაუბრუნა ხურდა. გოგონა წავიდა. ყველანი უყურებდნენ. ხომ პატარა იყო და სიფრიფანა, რაღაც ქალბატონურად მიდიოდა, წელში გამართული. სწორი, ქერა თმა „ცხენის კუდად" პქონდა შეკრული უკან.

— დედა ეყოლება მაგას... ჩემს მტერს! — თქვა კამოდიეით განიერმა ქალმა.

— მშვენიერი გოგონაა, — ჩაილაპარაკა ეიღაცამ.

— როგორ?

არაეინ ამოიღო ხმა.

— მე შვილიშვილი მყავს მაგაზე დიდი, თავს მაღლა ვერ ააღებინებ უფროსებთან, — გვერდზე მდგომს ეუბნებოდა თითქოს რაღაც ტვირთით მხრებდამძიმებული ჭაღარა ქალი.

— ჩემს გოგონასაც.

— აღზრდაა ყველაფერი.

გერონტისთვის ჯერაც არ გაევლო სიბრაზეს. ხელები უკანკალებდა.

— კარგი მაშინ ეიქნებოდი, სულაც რომ არ მიმეცა არაფერი. რატომ გზაენიან მაღაზიაში მაგოდენებს? დედა არა პყავთ, მამა არა პყავთ?

— არ სცალიათ.

— კარგით რა, რა არ სცალიათ!

— თან საქმე, ამხანაგებო, თან საქმე! — დაიბოხა ეიღაცამ ხმა.

*

და, აი, იმ ღღიღან დაიწყო:

გამოჩნდებოდა გოგონა და გამყიდველი ქალები, მარო და მარგალიტა, სიცილით ამცნობდნენ გერონტის:

— მოდის, გერონტი, მოდის.

გერონტი იხტიბარს არ იტეხდა.

— მოვიდეს და მოვიდეს.

— მაგრად დადექი.

— მაგისთანები მინახავს, — მაგრობდა გერონტი, მაგრამ მაინც ეტყობოდა, ძალიან ღელავდა.

გოგონას პლასტმასის წითელი ბადურა ყოველთვის მარცხენა მკლავზე ეკიდა. გრძელი, ფარფარა ქვედატანი სანახევროდ უფარავდა წვივებს. კი არ მოდიოდა, მობრძანდებოდა. სულ არ ატოკებდა მხრებს, შემოვიდოდა მაღაზიაში, შემოანათებდა თითქოსდა არაფრისმეტყველ თვალებს. გამყიდველი ქალები გაცქაფულნი იყვნენ — აინტერესებდათ, ახლა რა მოხდებოდა. გოგონა გერონტისთან მივიდოდა, გაჩერდებოდა მშვიდად.

— მომეცით... სამას სამოცი გრამი ძეხვი.

— დაიწყო ახლა... — ხელებს უმწეოდ ჩაუშვებდა გერონტი. მარო და მარგალიტა უკვე სიცილით იგუდებოდნენ.

— თქვენს სასწორს ათგრამიანი დანაყოფებიც აქვს. სამას სამოცი გრამი ძეხვი, ორას ოცდაათი გრამი ყველი.

— კარგი რა, გოგო, კარგი. ან ორასი თქვი, ან სამასი. სადისტი ხარ, რა ხარ?

— სადისტი რას ნიშნავს?

— მწვალებელს, მტარვალს, — ხმას უწევდა გერონტი.

— გმადლობთ. დავიხსომებ ამ სიტყვას.

მარო და მარგალიტა ცხვირსახოცებს ეძებდნენ ცრემლების მოსაწმენდად. გერონტი წვალობდა, აწონაზედაც წვალობდა, ანგარიშითაც ეელარ ანგარიშობდა. რას რამდენი უნდოდა, გოგონა პკარნახობდა. გერონტი უსინათლოსავით ართმევდა ფულს, კანკალით უბრუნებდა ხურდას და, გოგონა რომ წავიდოდა, ნიათგამოცლილი ჯდებოდა.

— ვახ, კაცო, ზოგი რა მრუდე ვარსკვლავზე დაებადება დედას, — წინსაფრის კალთას იდებდა დაცვარულ შუბლზე.

მარო და მარგალიტა ურჩევდნენ:

— სხვაგან უნდა გადახვიდე, გერონტი, თორემ აქ რაღაცა დაგემართება.

— დამემართა და ეგ არის. ველარაფერს ვანგარიშობ. მეჩვენება, რომ სულ მეშლება. ეგ მოფსრიტული კი თვალს არ დაახამხამებს. ნამდვილი ჯადო აქვს თვალებში.

გავიდოდა ორიოდე დღე, დამშვიდდებოდა გერონტი და ისევ გამოჩნდებოდა გოგონა, ისევ მშვიდი ქალბატონივით შემოდიოდა მაღაზიაში. გერონტი საბრძოლო პოზაში დგებოდა, მარო და მარგალიტა სეირის საყურებლად ემზადებოდნენ. გოგონა იწყებდა: — სამას სამოცდაათი — ეს, ორას ოთხმოცი — ის. ას ოცდაათი...

გერონტი მთლად მოსაწყლდებოდა.

— მოდი რა, მუქთად წაიღე ყველაფერი.

— მუქთად რატომ?

— დედა არა გყავს? დედა მოვიდეს შენ მაგივრად.

— დედას სხვა საქმეები აქვს.

— მაშინ გავიგებ, რომელ სკოლაში სწავლობ, და ჩემი ფეხით მივალ დირექტორთან.

— როგორც გენებოთ.

მაგრამ გერონტის აღარ დასჭირდა სკოლაში წასვლა. წავიდა ერთ დღეს გოგონა და წავიდა. აღარ გამოჩენილა თითქმის ორ თვეს. მარო და მარგალიტა ულოცავდნენ გერონტის:

— გადარჩი, გერონტი, გადარჩი.

გერონტი აღარაფერს ამბობდა. ის კი აშკარად ეტყობოდა, დამშვიდდა. სახეც დაუმშვიდდა. თითქოს უფრო სუყთადაც იპარსებოდა, სუფთადაც იცვამდა. პალსტუხის გაკეთებაც კი დაიწყო. ლამაზად ივარცხნიდა ჭაღარა თმას. მყიდველებთანაც უფრო თავაზიანი გახდა.

ერთი-ორჯერ მოატყუეს მარომ და მარგალიტამ, მოდის, მოდისო. გერონტი წითლდებოდა. მერე, რომ ნახავდა, ატყუებდნენ, წელში სწორდებოდა — მოვიდესო.

*

შემოდგომის თბილი დღეები ზამთრისპირის ციემა დღეებმა შეცვალა. დაუბერა ქარმაც. ქუჩები ჩამოცვენილი ფოთლებით აივსო. მეეზოეები ლანძღავდნენ ქარს. ერთ დილას კი, ქარი რომ ჩადგა, თოვლიც წამოვიდა. მოფარფატებდნენ ბრტყელ-ბრტყელი ფიფქები, მაგრამ ძირს ეცემოდნენ თუ არა, დნებოდნენ. და აი, ამ თოვაში გამოჩნდა გოგონა. თბილი, გრძელი პალტო ეცვა, თბილი, ნაქსოვი ქუდი ეხურა, თითქმის წარბებამდე ჩამოწეული, თბილი, მაღალყელიანი ფეხსაცმელებით ისევ მშვიდად მოაბიჯებდა, მხრებს არ მოატოკებდა. გერონტიმ რომ გოგონა დაინახა,

მაშინვე გაწითლდა, მაგრამ მაინც გაიღიმა. მარომ და მარგალიტამ დაიძახეს:

— ძვირფასი სტუმარი გვესტუმრა!

გოგონამ ქალებს მქრქალი ღიმილით გახედა და გერონტის მიუახლოვდა. გერონტი რაღაცას წონიდა, მაგრამ სასწორს კი არა, გოგონას უყურებდა და ულიმოდა.

— როგორა ბრძანდებით? — მოიკითხა გოგონა დიდიეით.

გოგონაც ულიმოდა გასაოცარი ლამაზი ღიმილით. გასაოცარი ლამაზი ტუჩ-კბილი ჰქონდა, გასაოცარი ლამაზი კეთილი თვალები, რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე.

— თქვენ ხომ კარგად? მე ავად გახლდით, ქუნთრუშა მქონდა. ახლა კარგად ვარ.

— ვაახ! — წამოიძახა გერონტიმ, — აკი არ მიკვირდა?!

— რა გიკვირდათ?

— რომ აღარ ჩანდით.

— აღარ გაწვალებდით?

— არა, ე რა წვალებაა. შენ კარგად იყავი და ეგეთი წვალება რა წვალებაა.

— დღეიდან სულ კარგად მოვიქცევი.

— ადრეც რა, რით იქცეოდი ცუდად!

გოგონას ეცინებოდა.

მარო და მარგალიტა სახტად დარჩენილები იყურებოდნენ.

— დღეს მომეცით ორასი გრამი „შვეიცარული" ყველი, ორასი გრამი ძეხვი.

— სერვილადი? სერვილადი მაქვს. — გერონტიმ დახლქვეშიდან სერვილადი გამოიღო, თან იცინოდა, — ორას სამოცი გრამი აღარ გინდა ან ას ოთხმოცდაჩვიდმეტი?

— არა, აღარ არის საჭირო, — იცინოდა გოგონაც.

— ვახ, ეგრე ცოტას რომ ჭამთ, იმიტომა ხარ გამხდარი.

— ჩემი გასუქება არ შეიძლება. ისედაც... — გოგონამ ლოყები დაბერა.

— რატომ? რატომ?

— ბალერინა უნდა გავხდე.

— ვახ, ოპერაში?

— თუკი შევძლებ, ოპერაში.

— შენ რას არ შეძლებ. შენ რას არ შეძლებ, — გერონტი წელში გაიშალა, — თუ რამე ისეთი იყოს, მე ნუ მომერიდები. მე აქა ვარ.

— გმადლობთ, გმადლობთ, — გოგონა ქვემოდან შეპყურებდა და უცინოდა. — აი, რა კარგი ბრძანდებითი ახლა. აღარ მიმართოთ აღარაეის წყრომით. მით უფრო — ქალებს.

— მეე? წყრომით?

გოგონამ ლამაზად გახვეული ყველი და ძეხვი ჩანთაში ჩაიწყო. ხელი მაღლა ასწია და ღიმილით წავიდა კარისკენ. კართან მისულს გერონტიმ დაუძახა:

— სახელი რა გქვია, სახელი.

— მირანდუხტ.

— ესე იგი, მირა.

— არა.

— მირანდა?

— არა, მირანდუხტ.

— ვაახ.

გოგონამ ისევ ასწია ლამაზი ხელი და თითების ქნევით გაეიდა თოვაში.

მარო და მარგალიტა ცხვირჩამოშვებულები იდგნენ. შესვენებაზე, მცირე ტაბლას რომ მიუსხდნენ ქალები და გერონტი, გერონტიმ თქვა:

— რა არის ადამიანი! ხომ მაბრაზებდა ეგ გოგო. მაბრაზებდა, მაგრამ თანაც მაფხიზლებდა. რაც ეგ გამოჩნდა, აშკარად დავინახე ჩემი გოგოების ნაკლოვანებები. ცეცხლის კალოში ვაყენებ — ან სიარული ისწავლონ, ან თავდაჭერა. მეცა... მეცა ეზიავარ და სულ ვანგარიშობ.

მარომ და მარგალიტამაც აღიარეს:

— გენიალური გოგოა! — და ერთად ჩააწეს პურები ქონიან ტაფაში.

— ნამდვილი გენიოსი. როგორ ანგარიშობს, ხო იცით, მანქანასავით. რა-ტა-ტა-ტა-ტა-და — ზუსტად!

იმ დღიდან დიდი მეგობრები არიან მირანდუხტი და გერონტი. გერონტის რაღაც-რაღაცები აქვს ხოლმე გადანახული მირანდუხტისთვის.

ერთი ეგ არის, ჯერჯერობით ეელარაფერი მოაწონა. მირანდუხტი ისევ იმას ყიდულობს, რაც დახლებშია გამოწყობილი... და კიდევ ერთიც — გერონტის უნდა, თავის გოგოებთან მიიპატიჟოს მირანდუხტი ნახალოვკაში, ვერ კი გაუბედავს. გერონტის ხის სამსაფეხურიანი პატარა სახლი უდგას პატარა ბაღში. მირანდუხტი კი, — ასე ეჩვენება, — სულ მარმარილოს კიბეებზე დაბრძანდება აღმა-დაღმა და მომხიბვლელად უქნევს შემხვედრებს პატარა, ლამაზ ხელს. როგორია ასეთი გოგონას ნახალოვკაში სტუმრობა?! ო ო ო!

კითხვები და დავალებები:

დაახასიათეთ მირანდუხტი;

დაახასიათეთ გერონტი;

თქვენი აზრით, რამ გამოიწვია გოგონას გაღიზიანება, რატომ გააწვალა გერონტი?

თქვენი აზრით, გოგონა მართლა ავადმყოფობამ შეცვალა თუ სხვა რაიმე იყო ამისი მიზეზი?

როგორ ადამიანებად ჩათელიდით მაროსა და მარგალიტას?

განმარტეთ ფრაზეოლოგიური გამონათქვამი: "ცეცხლის კალოში ვაყენებ";

როგორ გესმით „მქრქალი ღიმილით"?

თქვენი აზრით, გოგონა მართლა სადედოფლო სახლში იცხოვრებდა? აღწერეთ მირანდუხტის სახლი;

რა არის, თქვენი აზრით, ამ მოთხრობის სათქმელი?

დაწერეთ მოთხრობის გაგრძელება: "მირანდუხტის სტუმრობა გერონტისთან".

დააკვირდით:

მწერალი როგორ ზუსტად შეარჩევს სიტყვას "გაცქაფული" გამყიდველი ქალების ცნობისმოყვარეობის საჩვენებლად ("გამყიდველი ქალები გაცქაფულები იყვნენ — აინტერესებდათ, ახლა რა მოხდებოდა.");

მწერალი გვიჩვენებს, რომ მირანდუხტი სხვებს არ ეგავს;

სიტყვა "მოფსრიტულით ("ეგ მოფსრიტული კი თვალს არ დაახამხამებს")", ასევე გამონათქვამებით: "ზოგი რა მრუდე ეარსკვლავზე დაებადება დედას", "ნამდვილი ჯადო აქვს თვალებში" — ჩანს, როგორ ვერ იტანს გერონტი მირანდუხტს;

გერონტი და მის მაღაზიასთან დაკავშირებული ხალხი მკითხველის სიმპათიას ვერ იმსახურებს;

გერონტი ცდილობდა, ჩვეულებრივად მოქცეულიყო მირანდუხტთან. მაგრამ ვერ ახერხებდა: "— მაგისთანები მინახავს, — მაგრობდა გერონტი, მაგრამ მაინც ეტყობოდა, ძალიან ღელავდა";

კარგი მხატვრული სახეა: "შეეზოვეები ლანძღავდნენ ქარს";

გერონტიმ თვლაც კი არ იცის, ვერც განათლებით გამოირჩევა, და ვერც — სიმდიდრით, "ხის სამსაფეხურიანი პატარა სახლი უდგას პატარა ბაღში", თუმცა ადამიანების შეფასება შეუძლია, სურს, შვილები „დედოფლებად" აღზარდოს.

ანალიზისთვის:

მშვენიერი გოგონა

ეს მოთხრობა საზოგადოებაში პიროვნების როლსა და ადგილს ეხება, ადამიანთა ურთიერთობის კულტურასა და გამორჩეული პიროვნების ფასს გვასწავლის. გერონტისა და მისნაირთა გარემოში მირანდუხტი არაამქვეყნიურ არსებად ჩანს, მაღაზიაში უცხოსავით რომ გამოიყურება.

მწერალი მთავარ გმირს ყველასაგან განსხვავებულ პიროვნებად ასახავს, გოგონა აშკარად განირჩევა რიგში მდგარი ადამიანებისა თუ მათი შვილებისა და შვილიშვილებისაგან. ეს სიფრიფანა დედოფალი, ქალბატონი, არა მხოლოდ გარეგნობით, სიარულის მანერითა და ხასიათითაა გამორჩეული, არამედ სახელიც კი სადედოფლო ჰქვია: "მირანდუხტი".

მეორე მხრივ, საზოგადოებაა, ზოგი — მორჩილი, ზოგი — გაღიზიანებული, ანჩხლი, ზოგი — ცხოვრებით დაღლილი, "თითქოს რაღაც ტვირთით მხრებდამძიმებული", თუმცა ყველა მათგანი ეგუება საზოგადოებრივ "მორალს", თავს არ იტკივებს ზნეობრივ ღირებულებებზე დარდით, პიროვნების შეურაცხყოფას, მოტყუებას, აბუჩად აგდებას ჩვეულებრივ მოვლენად თვლის...

ამიტომაა, რომ მოთხრობის პერსონაჟთა დიდი ნაწილი არასწორად რეაგირებს გოგონას საქციელზე. თუმცა მირანდუხტი მოხუცს გამოექომაგა, მისი მოტყუების შესაძლებლობა არ მისცა გამყიდველს, თავისი ფულიც სწორად იანგარიშა, რის გამოც ქების ღირსი იყო, რიგში მდგომებმა გაკიცხეს, უზრდელად ჩათვალეს და დედამისის ავქალობაც წარმოიდგინეს ("დედა ეყოლება მაგას... ჩემს მტერს!").

რევაზ ინანიშვილის მიერ დახატულ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენა არ აინტერესებს. ნებისმიერი ადამიანისთვის მთავარია, რიგში დიდხანს არ იდგეს. ერთადერთი ვიღაც გაუბედავად ექომაგება მირანდუხტს, მაგრამ, როგორც კი შეპასუხებას დაუპირებენ, გაჩუმებას ამჯობინებს:

"— მშვენიერი გოგონაა, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— როგორ?

არავინ ამოიღო ხმა";

ამ ტიპის ადამიანს თუ შესაძლებლობა მიეცა, უმალ თავს იქებს,

ყოყლოჩინობს და თავისი ცხოვრების წესი ყველასთვის მისაბაძი მაგალითი პგონია, განსხვაევებულს დასცინის და უარყოფს, რადგან "მიჩვეული ჭირი ურჩენია შეუჩვეველ ლხინს".

რიგში მდგომებსაც არ დავიწყებიათ გოგონას "თავხედობის" ფონზე საკუთარი მოკრძალებისა და აღზრდილობის, თავიანთი შვილებისა თუ შვილიშვილების ღირსებების წარმოჩენა:

"— მე შვილიშვილი მყავს მაგაზე დიდი, თავს მაღლა ვერ ააღებინებ უფროსებთან, — გვერდზე მდგომს ეუბნებოდა... ჭაღარა ქალი.

— ჩემს გოგონასაც.

— აღზრდაა ყველაფერი";

გერონტისაც სურს სხვათა თვალში კარგ კაცად წარმოჩნდეს, ამიტომ, თუმცა ერთი სული აქვს, გოგონა კინწისკვრით გააგდოს მაღაზიიდან, სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს: "— მიბრძანე, რა მოგართვა! — მორჩილება გაითამაშა გერონტიმ."

გამყიდველის აგრესიას მირანდუხტი არ ასდევს და მშვიდად პასუხობს, რითაც ფარ-ხმალს აყრევინებს გაღიზიანებულს:

"— სადისტი ხარ, რა ხარ?

— სადისტი რას ნიშნავს?

— მწვალებელს, მტარვალს, — ხმას უწევდა გერონტი.

— გმადლობთ. დავიხსომებ ამ სიტყვას."

ან

"— მაშინ გავიგებ, რომელ სკოლაში სწავლობ, და ჩემი ფეხით მივალ დირექტორთან.

— როგორც გენებოთ."

მწერალი ოსტატური შედარებებით გვიჩვენებს, რომ მისი სიმპათია პატარა გოგონაა, იგი ქალბატონს ჰგავს, სხვა ქალები კი — კამოდს. მირანდუხტი "ქალბატონურად მიდიოდა", მასზე ცუდის მთქმელი და ამ გოგონას გამზრდელის დამწუნებელი ქალი კი "კამოდივით განიერი" იყო.

მირანდუხტი თავისდაუნებურად, თუ შეგნებულად, დიდ ზეგავლენას ახდენს ირგვლივ მყოფებზე. მას უმალ ამჩნევენ, თვალს აყოლებენ, ყურადღებას აქცევენ, მისი საქციელით ღიზიანდებიან, მის კვლავ გამოჩენას ელიან, ეს განსაკუთრებით გერონტიზე ითქმის.

იგი თავიდან პირად მტრად მიიჩნევს მირანდუხტს. ამას სხვებიც

ამჩნეევენ, "გოგონა მშეიდი ქალბატონიეით შემოდიოდა მაღაზიაში. გერონტი საბრძოლო პოზაში დგებოდა".

გამყიდველს დიდად უმძიმს პატიოსნად ეაჭრობა, ხურდის ზუსტად დაბრუნება ერთადერთი ადამიანისთეის, სიქას აცლის გოგონას გასტუმრება: "გერონტი უსინათლოსაეით ართმეევდა ფულს, კანკალით უბრუნებდა ხურდას და, გოგონა რომ წაეიდოდა, ნიათგამოცლილი ჯდებოდა".

მცირე ხნის გასელის შემდეგ კი მკითხველი ხედავს გერონტის ფერისცვალებას: "გერონტი დამშეიდდა. თითქოს უფრო სუფთადაც იპარსებოდა, სუფთადაც იცვამდა. პალსტუხის გაკეთებაც კი დაიწყო. ლამაზად იეარცხნიდა ჭაღარა თმას. მყიდველებთანაც უფრო თავაზიანი გახდა" — „ქალბატონმა" მასში რაინდი გააღეიძა, გაუკეთესების სურვილი აღუძრა.

თეით გერონტისაც ესმის, როგორი ზეგავლენა მოახდინა მასზე მირანდუხტმა, როგორ სურს, რომ თეითონაც იყოს ამ პატარა გოგოსთეის მოსაწონი ადამიანი და თავისი შეილებიც მას დაამსგაესოს. ამიტომაც გამოუტყდება თანამშრომლებს: „— რა არის ადამიანი! ხომ მაბრაზებდა ეგ გოგო. მაბრაზებდა, მაგრამ თანაც მაფხიზლებდა. რაც ეგ გამოჩნდა, აშკარად დავინახე ჩემი გოგოების ნაკლოვანებები. ცეცხლის კალოში ვაყენებ — ან სიარული ისწაელონ, ან თაედაჭერა. მეცა... მეცა ვზივარ და სულ ვანგარიშობ."

შეიცვალნენ მარო და მარგალიტაც. ადრე რომ აღიზიანებდათ მირანდუხტი, გერონტისაც უჩხიკინებდნენ მის დანახვაზე და "სეირის საყურებლად ემზადებოდნენ", ბოლოს "აღიარეს: — გენიალური გოგოა!."

გოგონა აიძულებს გერონტის, ადამიანებთან ურთიერთობისას ზრდილობა გამოიჩინოს. ამიტომ აწეალებს. როგორც კი დაინახაეს გერონტის ფერისცვალებას და მოისმენს მის თავაზიან საუბარს, უკვე ჩვეულებრივ ექცეეა და თავისი ასეთი ქცევის მიზანსაც ამჟღავნებს. გამყიდველს ასწავლის: „აღარ მიმართოთ აღარავის წყრომით. მით უფრო — ქალებს."

მწერალი გვიჩვენებს, თუ რამდენი რამ არის დამოკიდებული განწყობაზე. როგორც კი შეძლო გერონტიმ, გაღიზიანების გარეშე შეეხედა მირანდუხტისთეის, მაშინვე აღმოაჩინა, რომ ის "მოფსირტული" ჯადოსანი კი არა, მშვენიერი არსებაა: "გოგონაც უღიმოდა გასაოცარი

ლამაზი ღიმილით. გასაოცარი ლამაზი ტუჩ-კბილი პქონდა, გასაოცარი ლამაზი კეთილი თვალები, რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე.”

მირანდუხტის სიტყვა და საქმე არ განსხვავდება. იგი სწორად ცხოვრებას არა მხოლოდ სხვათაგან მოითხოვს, არამედ თვითონაც ერთგულია თავისი პრინციპებისა. მიუსედავად იმისა, რომ გერონტის მისთვის გადანახული აქვს ხოლმე საქონელი, გოგონა დახლს ქვემოდან არაფერს ყიდულობს. ამით იგი ტაქტიანად განაგრძობს გერონტის გამოსწორებას და მიანიშნებს მას, რომ ამგვარი ვაჭრობა გამყიდველისთვისაც შეურაცხმყოფელია და მყიდველისთვისაც. თუ ვერ მიახვედრებს, აუხსნის კიდეც თავისი ამგვარი საქციელის მიზეზსა და მიზანს, როგორც ერთხელ ეს უკვე გააკეთა. იცის, რომ გერონტი მოუსმენს და დაუჯერებს, თუნდაც მცირე ხნის წინ კი ეს სიტყვები მხოლოდ გააღიზიანებდა მას და უარყოფით შედეგს გამოიღებდა.

გერონტიმ ბოლოს დაიმსახურა კიდეც გოგონასგან მოწონება: „აი, რა კარგი ბრძანდებით ახლა”.

რეკაზ ინანიშვილის სათქმელიც ესაა, ღირსეულ ადამიანს ძალუძს, დიდი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, შეცვალოს და გააკეთილშობილოს იგი.

შესაძლოა, მას დროებით ვერ გაუგონ, მირანდუხტიკით, ან საერთოდ ვერ გაუგონ, ვაჟას გმირებივით, მაგრამ ის უფლის შვილია, სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლია, ღმერთმა იცის, “რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი” (ილია) მათი.

ასეთი ადამიანი ნუგეში და ღვთის წყალობაა კაცთათვის.

მირანდუხტიც სანთელივით ანათებს ერთფეროვან და მიწისკენ მაცქერალ საზოგადოებაში.

ლალი დათაშვილი

უკულმა დაჭედილი

ახალი ნართელეეია. ნაფურტკნი, მითელილ-მოთელილი ეენახები ყვითელ მხეში ჩაყუჩებულან და ჭრილობებს იშუშებენ. მყუდროებას მარტო წისქვილის ღრიტინი არღვევს. ამ ეეება გარინდების ბორბალზე ეს ხმაც ნართიეით ეხვეეა და ყურადღებას არაეინ აქცეეს.

წისქვილისკენ ამომავალ ორღობეში ორი ბიჭი მოდის, ორი კოწოწაშვილი — ცამეტ-ცამტი წლისანი, მზით გახუხულნი, წენგოთი მოთხუანულნი. უბეები ნამცერეეი კაკლით აქვთ სავსე. უბეებში რომ არ ჩასტეეიათ, შარელის ბოლოებზე წნელები შემოუჭერიათ, ტოტებიც მუხლამდე აუვსიათ, ხელში ორ-ორი დიდი წითელი წიწაკა უჭირავთ (ქალი რომ ყვავილს დაიჭერს, ისე), მოდიან და — ჩხაკ-ჩხუკ! ჩხაკ-ჩხუკ! — მოაჩხაკუნებენ, მოანათებენ თვალებით, თეთრი კბილებით და იმ წითელი წიწაკებით.

წისქვილის ცოტა ზემოთ, თიხიან ფერდობზე, ერთი სხვა ბიჭი დგას, ცოტა უფრო დიდი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა, მეტსახელად — ჯიხვა. როგორღაც საშაროდ გალაჯულა, დოინჯშემოდგმულს, თაეი დაბლა აქვს დაწეული და წარბებქვეშიდან იყურება.

ორღობეში ამომავალი ბიჭები ჩხაკჩხუკით უახლოვდებიან, წიწაკები ისევ ისე, დიდი ამბით მოაქვთ.

— კოწოწაშვილებო, დაგენიძლაეოთ, რომ აეგ წიწაკები სულ შეეჭამო, — ამბობს ჯიხვა თავაუწეელად.

— კოწოწაშვილები შეჩერდებიან და წიწაკებს მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანენ.

— როგორა?!

— სულ შეეჭამო, აეგ წიწაკები, ოთხივე.

— უპუროდ?

— უპუროდ.

კოწოწაშვილები ჯერ თავიანთ წიწაკებს დახედავენ, მერე ერთმანეთს გაულიმებენ.

— რომ ვერ შეჭამო?

— რაც კაკალი გაქვთ, სულ ჩემი იყოს.

— რომ ვერ შეჭამო-მეთქი, მაშინ?

— თითო ბაჭიას მოგცემთ.

— როგორებს? თეთრებს?

— თეთრებს.

კოწოწაშვილები ისევ ერთმანეთს შეხედავენ.

— შაევები მოგვეცი.
— შაევებს მოგცემთ.
მარცხენა ხელში გადატანილი წიწაკები მარჯვენასვე დაუბრუნდებიან.
— მიეცი, შენით დაიწყოს.
— შენ მიეცი.
— აქეე შეჭამ?
— აქეე.
— აპა, დაიწყე.
ჯიხვა წიწაკას გამოართმევს, ყუნწით დაიჭერს, თითქოს წონას უსინჯავს.
— ცოტა ჩრდილისკენ მიედგეთ!
— მიდექი.
კომშის ჩრდილისკენ მიდგებიან. ჯიხვა ისევ გაილაჯება, ერთს ღრმად ამოისუნთქავს და წიწაკას ღონიერად ჩაკბეჩს, ღონიერად აამუშავებს ყბებს, მეორედ ჩაკბეჩს, კიღევ უფრო ღონიერად აამუშავებს ყბებს, მესამედ ჩაკბეჩს, გააფთრებული აამუშავებს ყბებს — თვალებიდან სულ ნაპერწკლები სცვივა.
კოწოწაშვილები მეორე წიწაკას აწვდიან, თან შიშით შეპყურებენ. ჯიხვა იმ მეორე წიწაკასაც გაფქვავს, ძლივძლივობით ჩაყლაპავს, თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლი, თვითონაც წიწაკასავით წითლდება, ზედიზედ ჩაისუნთქავს, აქეთ-იქით იხედება.
კოწოწაშვილები მესამე წიწაკასაც აწვდიან, თან შიშით უკანკალებთ ხელები. ჯიხვა იმ წიწაკასაც წააკენეტს წვერს, მაგრამ ყბები უჩერდება, პირი როგორღაც თავისთავად ეღება, სუნთქავს, სუნთქავს, ვეღარ ჩაუსუნთქავს, აღგილს მოსწყდება და გაიქცევა.
კოწოწაშვილები დაფეთებულები მისდევენ. ჯიხვა წისქვილის სათავისკენ მირბის, აღმართზე მიიბობღება, ავიდა, ზათქანით ჩავარდა საგუბარში, თავი წყალში აქვს ჩაყოფილი, ააბუყბუყებს, ცოტათი მოითქვამს სულს, ისევ ააბუყბუყებს. ბარბაცით გადის იქითა ნაპირზე, ცოფიანივით გარბის, უკან ბრტყელი სველი ზოლი მისდევს. კოწოწაშვილები საგუბარს ბერღარების თავზე გადაღლით შემოუვლიან და ისინიც დაედევნებიან.
— გაგიჟდა?
— გაგიჟდა, ალბათ.
კოწოწაშვილებს კაკლით გატენილი შარვლის ტოტები უშლით და თანდათან უკან რჩებიან. როცა ისინი რკინის მძიმე ჭიშკარს შეაჭრიალებენ, ჯიხვა უკვე ტახტზე ზის, ლაჯებში ხელადა უდგას,

პირში ძმარს იგუბებს. ჩაიგუბებს, თავს უკან გადასწევს, გააბუყბუყებს და გადაღვრის. გვერდით ბებია უდგას, მალალი, შავადშემჭკნარი ქალი, ცალი ხელით აყრის ქოქოლას.

— გაგიქრეს ხასიათი შენ! გაგიქრეს ხასიათი!

კოწოწაშვილები ჭიშკართანვე გაჩერდებიან და ვერ გადაუწყვეტიათ, რა ქნან. ბებია რომ დაინახავს, ახლა იმათკენ გადმოაქნევს ხელს.

— თქვენც ჩაქრით, აპა, შარახვეტიებო!

ბოლოს, როგორც იქნა, ჯიხვამ ხელადა ტახტზე დაადგა და წამოიწია. ნელ-ნელა, თითებზე ბერვით ჩამოვიდა დერეფნიდან.

— ეგ სველები მაინც გაიხადე, უკულმა დაჭედილო! — გაუძახა ბებიამ.

ჯიხვას ვითომ არც გაეგონოს. ჭიშკარზე მიყუდებულ ბიჭებს ახედა.

— წამოდით!

კოწოწაშვილები გაუბედავად გაპყვნენ. ჯიხვა საკურდღლესთან მიუძღვა, მაეთულხლართიანი სახურავი ასწია და თავის გადაქნევით ბრძანა:

— ამოიყვანეთ შავები!

კოწოწაშვილები შეყოყმანდნენ, ერთმანეთს შეხედეს.

— ჩვენ, იცი, აი...

— ამოიყვანეთ, სანაძლეო სანაძლეოა.

— თუ გინდა, თეთრები იყოს.

— სიტყვა სიტყვაა.

მაშინ კოწოწაშვილები საკურდღლეს მიადგნენ და თითო შავი ბაჭია ამოიყვანეს. ცალი ხელით ბაჭიები პყავდათ მიხუტებულები, ცალით უბიდან კაკალს იღებდნენ და მიწაზე აწყობდნენ.

— ესენი შენა!

— თქვენ ოღონდ ის უნდა მითხრათ, ვისისა იყო ის წიწაკა. — კაკალს ზედ არ უყურებდა, ისე ამბობდა ჯიხვა.

— შიოლაშვილებისა.

— რომლებისა, ნაცრიკვერაანთი თუ მეორეებისა.

— მეორეებისა.

კოწოწაშვილებმა თითო მუჭა კაკალიც დააწყვეს მიწაზე და ჯერ ნელ-ნელა გავიდნენ ეზოდან, მერე გაიქცნენ.

ჯიხვა საკურდღლესთან დარჩა. სველი, გალუმპული, შუბლზე-თმამიწებებული, რაღაც ჯიუტად დასცქეროდა მიწაზე გაფანტულ კაკალს და ღრმად სუნთქავდა.

მე არ ვიცი, რაზე ფიქრობდა იმ წამს, ანდა ფიქრობდა თუ არა, საერთოდ.

მაგრამ ერთი რამის თქმა კი მაინც შემიძლია თამამად:

დღეს ოქტომბერია, ხუთი ოქტომბერი, მზიანი დღე, მომავალი წლის მაის-ივნისამდე მთელი რეა თვეა კიდევ. მიუხედავად ამისა, აქედანვე ვატყობ, ძალიან გაუჭირდებათ მომავალი წლის მაის-ივნისში შიოლაშვილების წიწაკის კვლებს, ნაცრიკვერაანთისას კი არა, მეორეებისას.

თუკი, რა თქმა უნდა, არ დაეზარათ და დათესეს.

კითხვები და დავალებები:

როგორ გესმით: "ახალი ნართველევია", "ნაფურტკნი", "ღრიტინი", "ზხით გახუხულნი", "წენგოთი მოთხუპნულნი", "ნამცერევი კაკალი", "წიწაკასაც გაფქვავს", "ზათქანით ჩავარდა საგუბარში"?

განმარტეთ მხატვრული სახე: "ამ ვეება გარინდების ბორბალზე ეს ხმაც ნართიეით ეხეევა";

"კოწოწაშვილები მესამე წიწაკასაც აწედიან, თან შიშით უკანკალებთ ხელები." — ამბობს მწერალი, თქვენი აზრით, რისი ეშინიათ ბიჭებს?

ჯიხვა რატომ გარბოდა ცოფიანიეით?

თქვენი აზრით, რატომ მიიჩნევს ბებია ჯიხვას "უკულმა დაჭედილად"?

თქვენი აზრით, კოწოწაშვილებმა რატომ დაუტოვეს ჯიხვას ნაქურდალი კაკალი?

დაახასიათეთ ჯიხვა. იმსჯელეთ, ასეთ მეტსახელს როგორ ადამიანს დაარქმევდნენ?

თქვენი აზრით, რა არის ამ მინიატურის სათქმელი?

დააკვირდით:

კალმის დიდოსტატური მოსმით, ორიოდე სიტყვითა თუ ფრაზით ქმნის რეეაზ ინანიშვილი დაუვიწყარ სახეებს;

ახლად დაკრეფილი, რტოებჩამომტვრეული, გათელილი ვენახები, ნაფეხურები ისევ რომ ატყვიათ, რეეაზ ინანიშვილის თვალით ასეა დანახული: "ნაფურტკნი, მითელილ-მოთელილი ვენახები ყვითელ ზხეში ჩაყუჩებულან და ჭრილობებს იშუშებენ";

ბიჭების უდარდელობასა და ხალისიანობას მწერალი ასახავს ზმნით „მოანათებენ" („მოანათებენ თვალებით, თეთრი კბილებით და იმ წითელი წიწაკებით.");

სოფლის კოლორიტის შესაქმნელად საუკეთესოა მეტსახელი „ნაცრიკეერაანი";

მშვენიერი მეტაფორით გადმოსცემს მწერალი სოფლისათვის დამახასიათებელ სიჩუმეს: "მყუდროებას მარტო წისქვილის ღრიტინი არღვევს. ამ ვეება გარინდების ბორბალზე ეს ხმაც ნართიეით ეხვევა და ყურადღებას არავინ აქცევს."

ანალიზისთვის:

სიტყვა სიტყვაა

რევაზ ინანიშვილი მინიატურის დასაწყისში დაუვიწყარი სახეებით ქმნის შემოდგომის მომხიბლავ სურათს: სოფლის სიმყუდროვე, ნართვლევი, დაბერტყილი კაკლები, გამალებით მომუშაე წისქვილი, მზით დამწვარი, უკულმა დაჭედილი, შინაგანი პატიოსნებითა და კაცობით სავსე ბიჭები.

გვარი "კოწოწაშვილი" წიწაკასა და სიმწარესთან ასოცირდება, ამიტომ მოხერხებულად შეურჩევია მწერალს წიწაკით მოიმედე ფალავნებისთვის, რომლებსაც წიწაკა ლამაზად და დიდი ამბით მოაქვთ, "ქალი რომ ყვავილს დაიჭერს, ისე";

ჯიხვას გამოჩენისთანავე ვხედებით, რა მოუსვენარი და შარისთავია: „როგორღაც საშაროდ გალაჯულა, ღონჯშემოდგმულს, თავი დაბლა აქვს დაწეული და წარბებქვეშიდან იყურება", მეტსახელს ამართლებს და, მართლაც, შეუპოვარი ჯიხვია, ამაყი და დაუმორჩილებელი, სიმაღლეებს რომ ეტანება და საკუთარი თავისგან მეტსა და მეტს მოითხოვს, არც განსაცდელი აბრკოლებს და ერთფეროვანი ცხოვრებაც მაინცდამაინც არ ხიბლავს.

ბიჭს აბრაზებს ის კრძალვა, კოწოწაშვილები მოპარული წიწაკის მიმართ რომ იჩენენ, ქალებიეით რომ იქცეეიან, ამიტომ უჩნდება სურვილი, შეუჭამოს და კაკალიც წაართვას. ჯიხვა თავის გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებულია, რომ ბიჭები სანამ კითხვას არ გაუმეორებენ, პასუხს არ აძლევს, თავისი დამარცხების შემთხვევაში რას იზამს.

მწერალი ისეთი ექსპრესიულობით ასახავს ჯიხვას მიერ წიწაკის ჭამას, რომ მკითხველს სუნთქვა ეკვრის: "ჯიხვა ისევ გაილაჯება, ერთს ღრმად ამოისუნთქავს და წიწაკას ღონიერად ჩაკბეჩს, ღონიერად აამუშავებს ყბებს, მეორედ ჩაკბეჩს, კიდევ უფრო ღონიერად აამუშავებს

ყბებს, მესამედ ჩაკბეჩს, გააფთრებული აამუშავებს ყბებს — თვალებიდან სულ ნაპერწკლები სცვივა".

ჯიხვას გამარჯვების სურვილს წიწაკის საშინელი სიმწარე უპირისპირდება. მწერალი დიდოსტატურად ხატავს, როგორ თავისდაუნებურად ეღება პირი სუნთქვაშეკრულ ბიჭს, როგორ გარბის ჯერ წყლისა და შემდეგ — სახლისკენ, რომ წვით გამოწვეული საშინელი ტკივილისაგან როგორმე დაიხსნას თავი. უკვე ეღარაფერს ხედავს, აღარც არაფერი ესმის, შეშლილსა თუ ცოფიანს ემსგავსება. ის უკვე აღარ არის ქედმაღალი ჯიხვა, სიმწრისგან დამარცხებული ჩვეულებრივი ბიჭია, თუმცა ვაჟკაცური ბუნებისა და სიტყვის პატრონი. მიუხედავად იმისა, რომ ეშინოდათ მისი კოწოწაშვილებს და მზად იყვნენ, კურდღლებზე უარი ეთქვათ, ან შავები არ წაეყვანათ, მაინც გაატანა წაგებული:

"— სანაძლეო სანაძლეოა.

— თუ გინდა, თეთრები იყოს.

— სიტყვა სიტყვაა."

მკითხველი ასეთი საქციელის გამო სიმპათიით განეწყობა ჯიხვას მიმართ და ხედება, რომ, თუმცა ის უკულმართ და "უკულმა დაჭედილ" კაცად მოჩანს, დადებითი მუხტი მასში სჭარბობს უარყოფითს. კოწოწაშვილებისთვის იგი კარგი ბიჭობის მაგალითია, გაბედულიც, სიტყვის პატრონიც. თვითონ ვერასოდეს გაბედავდნენ ვერც წიწაკის უპუროდ ჭამას და ვერც ასეთ ნაძლევს, ჯიხვასაც უკან იმიტომ მიპყვებოდნენ დამფრთხალნი და შეშინებულნი, რომ ეგონათ, ან გაგიჟდებოდა ან მოკვდებოდა.

მწერალი ჯიხვას იმ ადამიანად ასახავს, რომელიც ვერასოდეს ეგუება მარცხს და მუდამ ცდილობს, მოწინააღმდეგეს სამაგიერო გადაუხადოს, ამიტომაც აპირებს, დასაჯოს წიწაკა. ჩვენც ვეთანხმებით რევაზ ინანიშვილს, ჩვენც მასავით დაბეჯითებით ვიცით, რომ თავის მტერ წიწაკას ძირიანად დაგლეჯს ბიჭი:

"მე არ ვიცი, რაზე ფიქრობდა იმ წამს, ანდა ფიქრობდა თუ არა, საერთოდ.

მაგრამ ერთი რამის თქმა კი მაინც შემიძლია თამამად:

მომავალი წლის მაის-ივნისამდე მთელი რვა თვეა კიდევ. მიუხედავად ამისა, აქედანვე ვატყობ, ძალიან გაუჭირდებათ მომავალი წლის მაის-ივნისში შიოლაშვილების წიწაკის კვლებს, ნაცრიკვერაანთისას კი არა, მეორეებისას."

ჯიხვა საკუთარი შესაძლებლობის შეფასებისას შეცდა, გადაჭარბებულად იყო თავის ძალებში დარწმუნებული, თუმცა მარცხის ღირსეულად გადატანა შეძლო. ამიტომ გვრჩება რწმენა, რომ კარგი ბიჭია და მომავალში კარგ კაცად დადგება.

უშიშარი ბიჭი იოსება

იყო ჩვენ უბანში ორმოცი წლის წინათ ერთი „ქვეყნის ამომგდები“ ბიჭი — ღაჭუნა იოსება, შეღორე გარიელას შვილი. წაიყვანდა ამ ღაჭუნა იოსებას მამაშისი ტყეში და ხანდახან მთელ კვირას იქა პყავდა. ჩამოვიდოდა მერე იოსება და ღადიოდა მედიდურად გაშლილი ბაირალიკით. ჯიბეები მოხალული წიწიბოთი ჰქონდა საკსე. ერთ მუჭა წიწიბოში ერთ ნაზუქს ანდა ორ ჩურჩხელას გვართმეკდა, თან ის ნაზუქი და ჩურჩხელები რბილებიც უნდა ყოფილიყო და ტკბილებიც. დაჯდებოდა ნახურებ თონეზე საღამოთი, შემოგვიხამდა მხოლოდ იმათ, ვინც ფეშქაშს მიუტანდა, — ეაშლს, გულაბს, ჩირს, — და გვიყვებოდა ტყის ამბებს. საოცარი იყო, თავზარდამცემი იყო მის მიერ დაელილი ტყეები. გამოვიდოდა, დაცუცქლებოდა ბილიკის პირას პატარა შაკი ეშმაკი, პირწავარდნილი დრასტია ბუღალტერი, უღუტუნებდა ღორებს და სიამოვნებისაგან თეთრად უბრუნდებოდა თვალები. ჩაეყრებოდნენ დასიცხული ღორები ჭაობში, გამოცურდებოდა ორი დიდი გველი, ღედალი და მამალი, მოსძებნიდნენ მაწოვარ ღედა ღორს და მიეძაგრებოდნენ ძუძუებზე. მოდიოდა მერე ის ღედა ღორი და მოსთრევდნენ ის გველები, ველარ ანებებდნენ გეშრიელ რძეს თავს. ღამღამობით, ქარში, ტაშუნის ველზე მოფრინდებოდნენ ცოცხებზე მსხდარი გრძელკანჭა კუდიანი ქალები, ჩააბამდნენ წრეს და იყო ერთი ბუქნა და ტაშისცემა, ცაში დააფრიალებდნენ საკუთარ საცვლებს. მაგრამ ყველაზე საოცარი და შიშის ჟრუანტელის მომგვრელი მაინც თევდორე ჩიტები იყვნენ — საქონელი რომ დაკარგა პატარა და-ძმამ, შინ რომ ველარ დაბრუნდნენ ღედინაცვლის შიშით და ტყის ღმერთმა ჩიტებად აქცია. ცხოვრობენ ახლა ხის ფუღუროებში, მტრედზე ცოტა დიდები, სანახევროდ ტიტველები, თახთახებენ შიშისა და სიცივისაგან და დროგამოშვებით კანკალით გასძახიან ერთმანეთს: „თევდორე, იპოვე?!“ „ვერა, ვერა!“, „თევდორე, იპოვე?!“ „ვერა, ვერაო“, — ამოუჯდებათ გული და აქვითქვითდებიან პირქვეჩამხობილი ყმაწვილებივით. თან თვალები ჰქონიათ, — იოსებას თვითონ პყავდა ნანახი, —„ჩვენ პატარა გოგოს რო აქ“, სუ საცოდაი ცრემლებით საკსე! ეს ამბავი დიდად გვასევდიანებდა და ისეთ გუნებაზე გვაყენებდა, გვინდოდა, ერთმანეთს უხმოდ მოვფერებოდით. მარტო იოსებას არ ეტყობოდა ჩვენნაირი მორბილება. — ეაი, ეაიო! — ასტეხდა უცებ, მიგვყრიდა აქეთ-იქით და თონეში წაყირავდებოდა, თითქოს ძვირფასი რამე ჩაუვარდა და იმას ეძებსო. ჩვენც, რაღა თქმა უნდა, იმწამსვე პირქვე ჩავემხობოდით, მაშინ ის დაგვცხებდა და დაგვცხებდა,

თან თვითონვე ყვიროდა, რომელი ხარ, რომელი იცემები, შენი ასე და ისეო.

მოვიდოდა თოელი და კიდევ ერთხელ გაიბებღვებოდა და გადიდკაცღებოდა იოსება. ჩვენ რომ თბილად ჩავიფუთნებოდით, ის ღაგლეჯილ ქალაშნებში ჩაპყოფდა შიშველ ფეხებს, ვითომც არაფერიო, ისე გამოვიდოდა თავიანთი ბანიანი სახლიდან, დაიჭერდა მჭადის ნატეხს, დაჯდებოდა გზის პირას, ქვაზე, თან ცოტ-ცოტას ციცქნიდა იმ მჭადის ნატეხს და თან მღეროდა:

მჭადი გაშხარდელაა,
პური — მამკაკველა,
მჭადი გამქცეველაა,
პური — დამხლართველა...

გავუტანდით ამ „გაშხარდელა მჭადში" წმინდა, გამტკიცულ პურს და გავუცელიდით, — ერთ წილ მჭადში ორი წილი პური უნდა მიგვეცა. დადებდა მჭადს პურზე, გადაზომავდა გულხალვათად, კიდევ თავის სასარგებლოდ, გადატეხითაც თვითონ გადატეხდა, მერე იჯდა და გემრიელად ილუკმებოდა, მჭადს კიდევ ვითომც ყველივით მიაციცქნიდა ხოლმე პურზე.

ამ „გაშხარდელა მჭადის" წყალობა თუ იყო, არამარტო ჩვენთან, ორი-სამი წლით უმცროსებთან, თავის ტოლებთან შედარებითაც მსხვილი იყო და ღონიერი. ზაფხულში, საბანაოდ მიმავლებს, ბოტიევით წაგვიძღვებოდა „ალუბლების მოსალამაზებლად". მოექცეოდა ყველაზე მაღალ, ახალგაზრდა ალუბალს კენწეროზე, ჩაეჭიდებოდა ნვერში, გადმოხტებოდა და იმ ნვერსაც თან გადმოიყოლებდა. თუ მიწამდე ვერ ჩამოაღწევდა და პაერში დაეკიდებოდა, — დამწით, დამწითო, — დაგვიძახებდა და ეეცემოდით ჩვენც ფეხებში, დავწვედით, ჩამოვიტანდით იმასაც და ალუბლის კენწეროსაც. კენწეროს ხილს ხომ არაფერი სჯობს, მით უფრო კენწეროს ალუბალს! ეჭამდით, ენეტარებდით და ხოტბას ვასხამდით იოსებას —„შაეო ჭირო! ხორველ!.."

დედამისი — მაშინ ერთი წიოკა ქალი, — გამოვიდოდა, შემოდგებოდა დათიკაანთ გომურის თავზე და გადმოიძახებდა ჭალებისკენ: — იოსე! საგორე! აგორდი, დაგორდი, მიწაში ჩაგორდი! ქვის ქვეშ ხარ თუ ქვის ზემოთ, თუ ქვის ზემოთა ხარ, ამ წუთში აქ გაჩნდიო. სხვა მხრივ კლდის ნატეხივით გაუგონარი იოსება დედის ძახილს უპასუხოდ არ დასტოვებდა. მოვდივარ, მოო, — და უხალისოდ, მაგრამ მაინც წაბუზღუნდებოდა შინისაკენ.

ამ წიოკა ქალიკამ ერთ ზაფხულს ფეხი იღრძო, ნასამხრეეს წყაროსთან

გამოდგა ჯოხზე დაყრდნობილი და ქვეყანას ამცნო, როგორ დაეშართა ეს ამბავი. — ქაო, მოდით და ნუ დაიჯერებთო, დილასო, ხიდზე რომ გაედიოდი, ზაქარაანთ კაკლიდან ყვავმა დამსხაველაო. იმ ყვავის დაჩხაველება იყო, დამისხლტა ფეხი იქვე, ხიდთან, და, აი, რა დღეში ჩავეარღი, ჯოხით ძლივს გამოეხანხალდი გარეთო.

წავიდა გაალმასებული იოსება, ავიდა ზაქარაანთ კაკალზე, სადაც იმ ყვავებს ბუდე პქონდათ, როგორ გავიდა ბუდემდე, საკვირველს არის ყველა, ამოუსხა დაუბუმბლავი ბახალები და სათითაოდ ჩამოუხეთქა ძირს. დაპფრენდნენ, დასჩხაოდნენ, დაპკაპასობდნენ ყვავები, მარტო ორნი კი არა, ბევრი, მაგრამ არ შეეპუა იოსება, ოთხი ბახალა პყავდათ და ოთხივეზე გამწარებული დასხა ის ავყბა ყვანჩალები. ჯერ ხომ იფრინეს და იშავდღეეეს ყვავებმა, დედალმაც და მამალმაც, ყურთასმენა აღარ იყო იმათი ჩხაკილისაგან, მერე დასხდნენ სულ მაღლა, მხრებში თავჩარგულები, ცასშეჩერებულები, გაქვავებულებივით, და იქ დააღამდათ ეგრეეე.

— შვილოო, — მივიდა იოსებასთან დედამკვდრიანთ დიდი ბებერი ეფემია, — არ გეშინიან, რომ დედაშენი ჩავარდეს ეგეთ დღეში, როგორშიც ეგ ყვავები არიანო?!

— მე არაფრისა მეშინიანო, ამაყად მიუგო იოსებამ, — უარესს ეუზამ, ვინც კი დედაჩემს აწყენინებს, მე არაფრისა მეშინიანო!

— არ შეიძლება, არა, შვილო, ეგრეო, — და წავიდა დედამკვდრიანთ დიდი ბებერი სინანულის თავის ქნევით.

იოსება ერთხანს თვალებმოჭუტული უყურებდა, მერე მასაეით, ეფემიასაეით, მოიღუნა და გვერდზე გადაქანდა, პირიც ბებრულად მომუწა და ააცმაცურა, რამდენიმე ნაბიჯი ფლატუნით, კრუსუნით გაიარა, მობრუნდა მზაკვრულად გაღრეჭილი, თვალებაგიზგიზებული, — პოპო! — ხელები დაიქნია და ყირაზე გადაიარა. მთელ იმ საღამოს ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ადარდებდა, ხან ვის ეძიძგილავებოდა, ხან — ვის, მაგრამ მეორე დღეს უჩვეულოდ დანაღვლიანებული, სახედანაცრებული მოგვადგა მე და ჩემს ბიძაშვილებს. ჩვენ ღამის ანკესები გვქონდა გაშლილი ჩვენს თუთასთან, ჭიაყელებს ვაცლიდით. დაჯდა ხმის ამოუღებლად იმ თუთის ძირში, იჯდა, გვიყურებდა, ქვას ქვაზე აკაკუნებდა ჯერ წყნარად, შემდეგ და შემდეგ რაღაც ჯიბრიანი გამეტებით. უცებ ზედა ქვას თხელი ნატეხი შეასკდა, აიღო ის ნატეხი, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ცერით ფხა გაუსინჯა.

— მოდით აქა! — დაგვიძახა ჩახლეწილი, ჩაყრუებული ხმით.

ჩვენ უნდოდ მივხედეთ.

— მოდით აქა, გესმით?! — ბრაზი ჩაუდგა თვალებში.

მიეედით, მიეახლოეღით რაღაც ოინის მომლოდინენი.

— წუხელისა, სიზმარში, — დაიწყო თავდაღუნულმა, — წუხელ სიზმარში ის მკვღარი ბახალები დედაჩემს ეწყო წინა, დიდები, დაბერილები, დედაჩემი ტიროდა და იმ ბახალებსა პკოცნიდა. ერთი ბახალა მითომ ჩემი და იყო, ეთერა, ისიც ტიტველი, მკვღარი...

მარცხენა ხელი მაღლა ასწია, ახედა, შეაბრუნ-შემოაბრუნა.

— აემ მარცხენათი ამოვსხი ის ბახალები ბუდიდან. ეხლა, მე რომ თვითონვე დავისაჯო თავი, ხო აღარაფერს დაუშავებს დედაჩემსა და ჩემ დას ღმერთი?

ჩვენ რა უნდა გვეთქვა, ვიდექით და გაკვირვებულები შევყურებდით.

მაშინ მან ელვასავით სწრაფად ჩამოიკრა ხელისგულზე ქვის ფხიანი ნატეხი და ხელი ისევ მაღლა ასწია. ჩვენ შეეხეღეთ და შევძრწუნდით, — უუხ, შენი! — ხელისგულიდან თრთოლვით მოსდიოდა ალისფერი მბრწყინავი სისხლი და დაკლაკნილ ტოტებად ჩამოსდევდა მაჯაზე.

ნაღველი უცებ გადაპყროდა, ასკინკილით უვლიდა წრეს, სიცილით უყურებდა სისხლიან ხელს და ხანაც ჩვენ მოგვიბრუნდებოდა სახეგაბრწყინებული.

აი, ასეთი ბიჭი ცხოვრობდა ორმოცი წლის წინათ ჩვენს უბანში, ჩემს მშობლიურ სოფელში.

ახლა სად არის ის იოსება?

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს გერმანელმა მეავტომატეებმა მოკლეს უკრაინის მიწაზე, როცა იერიშზე მიმავალი ქართულად ყვიროდა: „მიდიი! მიდი, ბიჭო, მიდიი!..“

კითხვები და დავალებები:

როგორ ადამიანს შეარქმევენ "ღაჭუნას"?

როგორ გგონიათ, რატომ დაარქმევდნენ სოფლის ბუღალტერს მეტსახელად "დრასტიას"?

როგორ გესმით "გაიბებღვებოდა" ("გაიბებღვებოდა და გადიდკაცდებოდა იოსება)

დაახასიათეთ იოსება;

ჩამოაყალიბეთ მოთხრობის მთავარი სათქმელი;

დაწერეთ ჩანახატი "ჩემი სოფელი".

დააკვირდით:

შშვენიერ შედარებას: „დადიოდა მედიდურად გაშლილი ბაირაღივით";

მწერალი რა ოსტატურად იყენებს ზმნებს: „წაბუზღუნდებოდა" ("უხალისოდ, მაგრამ მაინც წაბუზღუნდებოდა შინისაკენ"), "გამოუხანხალდი"("ჯოხითძლივსგამოვხანხალდიგარეთო"),"დაკაპასობდნენ" ("დაკაპასობდნენ ყვავები"), "იშავდღეევეს", ("იშავდღეევეს ყვავებმა");

სოფლის კოლორიტს ქმნის მწერალი მეტსახელით "დედამკედრიანთი" ("დედამკედრიანთ დიდი ბებერი ეფემია");

იოსებას სახით, მწერალი სოფლის ყოჩ ბიჭს გვიხატავს.

ანალიზისთვის:

სოფლის ყოჩი

„ლაჭუნა იოსება, მეღორე გარიელას შვილი" ძალიან მოხერხებულია, ყოველთვის შეუძლია თავისი უბრალო და გამოუსადეგარი რაიმე მეტად სარფიანად გადაცვალოს და სათავისოდ გამოიყენოს. მისი წიწიბო ნაზუქსა და ჩურჩხელაზე ძვირფასია, "ერთ მუჭა წიწიბოში ერთ ნაზუქს ანდა ორ ჩურჩხელას გვართმევდა", — გვიამბობს მთხრობელი. მისი მჭადი სხვის გამტკიცულ პურს ორჯერ სჯობია, რადგან მღერის და სხვასაც არწმუნებს:

"მჭადი გაშხარდელაა,

პური — მამკაკველა."

იოსება ყველაფერს "გულხალვათად, კიდევ თავის სასარგებლოდ" აკეთებს. მისი ეს თვისება თავდაცვის ინსტინქტიდან გამომდინარე ჩანს: მის ოჯახს ძალიან უჭირს, ჩასაცმელი და ფეხსაცმელიც კი არა აქვთ, მთხრობელი გვიამბობს: "ჩვენ რომ თბილად ჩავიფუთნებოდით, ის დაგლეჯილ ქალამნებში ჩაპეოფდა შიშველ ფეხებს".

სიყვარულიც აკლია ბიჭს. იოსებას აღზრდას ოჯახი ვერ უწყობს ხელს, დედამისი არცთუ სიმპათიურ ადამიანად პყავს დახატული მწერალს, მას "ერთ წიოკა ქალად" წარმოგვიდგენს, რომელიც შვილს დაძახებისასაც კი სწყეელის და მიწაში დებს: "გამოვიდოდა, შემოდგებოდა დათიკაანთ გომურის თავზე და გადმოიძახებდა ჭალებისკენ: — იოსე! საგორე! აგორდი, დაგორდი, მიწაში ჩაგორდი! ქვის ქვეშ ხარ თუ ქვის ზემოთ!"

მამას კეირაობით დაპყავს ტყეში და ის საშინელი ამბები, ბავშვებს რომ უყვება, მისი სატყეო თავგადასავლებისა და მძიმე ცხოვრების შეღეგია. ალბათ, თეითონ ელანდება ეშმაკები, ბავშვისთვალებიანი ჩიტები, მაგრამ, იძულებულია, ტყე-ღრეში, მარტოობაში, გადაიტანოს ეს შიში და ტკივილი. გული გაქვავებული აქვს და სხვა ბავშვებივით იოლად ვერ ტირის, სხვებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, თეითონ კი გულთან ახლოს არაფერი მიაქვს: "ეს ამბავი დიდად გვასვედიანებდა და ისეთ გუნებაზე გვაყენებდა, გვინდოდა, ერთმანეთს უხმოდ მოეფერებოდით. მარტო იოსებას არ ეტყობოდა ჩვენნაირი მორბილება."

იგი ბავშვებს სცემს, უშარდება, გაიბებღვება და დიდკაცობს. მადლობასაც უცნაურად უხდიან ბიჭები და ისე აქებენ, სხვა ლანძღვად რომ მიიღებდა: "ხოტბას ვასხამდით იოსებას —„შავო ჭირო! ხორველ!.."

იოსებას ბავშვებში დიდი ავტორიტეტი აქვს, ყველა მას ბაძავს, მისი ნაამბობების სჯერათ, ფეშქაშით მიდიან, რომ მისი ყურადღების ღირსნი გახდნენ, თონეში ჩაიხედავს და ყველა უმალვე მასთან ერთად ჩარგავს თავს.

ბიჭი ვაჟკაცური ბუნებისაა, მთავარ სიძნელეს მუდამ თავის თავზე იღებს, ალუბალზე თეითონ ადის და სხვა ბავშვებს აჭმევს.

იგი მეთაურობასა და პირველობასაა მიჩვეული "არამარტო ჩვენთან, ორი-სამი წლით უმცროსებთან, თავის ტოლებთან შედარებითაც მსხვილი იყო და ღონიერი. ზაფხულში, საბანაოდ მიმავლებს, ბოტიეით წაგეიძღვებოდა", — ათქმევინებს ავტორი მთხრობელს. ყოჩობას იგი დიდობაშიც არ იშლის, ომშიც წინამძღოლობს თანამებრძოლებს, პირველი თეითონ მიდის ბრძოლაში. სიკვდილის წინ "იერიშზე მიმავალი ქართულად ყვიროდა: „მიდიი! მიდი, ბიჭო, მიდიი!.."

ცოდვაც, რომელიც იოსებამ დაიდო, ერთი მხრივ, მისი ყოჩური ბუნებით აიხსნება: იოსებას სწამს, რომ მას თუ მის ახლობლებს ვერავინ ვერაფერი ვერ უნდა გაუბედოს, მეორე მხრივ, იმისი ბრალია, რომ ცხოვრებისაგან გაუხეშებულია.

ამიტომ თავიდან თითქოს ვერ იაზრებს ჩადენილ უკეთურებას იოსება, მოხუცებულ ქალსაც დასცინის, ყირაზეც გადადის, მაგრამ მეორე დღეს სულ სხვა კაცია, სიზმრის ნახვის შემდეგ დარდით გათანგული, უნდა თავის დასჯით გამოისყიდოს ცოდვა.

თუ რა დღეშია იოსება და როგორ შიშობს ჩადენილი ცოდვის გამო,

ჩანს მისი ხმის მწერლისეული დახასიათებით: "— მოდით აქა! — დაგვიძახა ჩახლეწილი, ჩაყრუებული ხმით." ამით ვხედებით, რომ მის სულში ღვიეის სიკეთისა და სიყვარულის მარცვალი.

მწერალი გვიჩვენებს, რა ბედნიერებაა ცოდვის ტყვეობიდან გამოხსნა, იოსება თითქოს ხელახლა იბადება, ქვით რომ გაიჭრის ხელს, საკუთარი სისხლითა და ტკივილით რომ გამოისყიდის უდანაშაულო ბახალათა დახოცვას, "ნაღველი უცებ გადაპყროდა, ასკინკილით უელიდა წრეს, სიცილით უყურებდა სისხლიან ხელს და ხანაც ჩვენ მოგვიბრუნდებოდა სახეგაბრწყინებული."

ამ პატარა მოთხრობაში დამოუკიდებელი ღირებულების ამბებია თავმოყრილი, რითაც ჩანს თხრობის როგორი დიდოსტატია რევაზ ინანიშვილი. პატარა ნოველად ან ჩანახატად გამოდგებოდა იოსებას გამოგონილი ამბები. მაგ.: "ჩაეყრებოდნენ დასიცხული ღორები ჭაობში, გამოცურდებოდა ორი დიდი გველი, დედალი და მამალი, მოსძებნიდნენ მაწოვარ დედა ღორს და მიეძაგრებოდნენ ძუძუებზე. მოდიოდა მერე ის დედა ღორი და მოსთრევდნენ ის გველები, ველარ ანებებდნენ გემრიელ რძეს თავს". ასეთივეა შაეი ეშმაკის, გრძელკანჭა კუდიანი ქალებისა და თევდორე ჩიტების ამბები.

ასევე, დამოუკიდებელ მინიატურებად შეგვეიძლია აღვიქვათ ბახალების დახოცვის, ხელის გაჭრისა და ბრძოლაში დაღუპვის ამბები.

ლალი დათაშვილი

— ელგუჯა!

ელგუჯა შეიშმუშნა, კედლისკენ გადაბრუნება დააპირა.

ჭიჭო მხარში წასწვდა და გადმოსწია.

— გაიღვიძე, ე! აგერ თოელიც მოსულა.

ელგუჯამ თვალები გაახილა, ერთ ხანს უაზროდ იყურებოდა, მერე იკითხა:

— რაა?

— თოელი მოსულა. ადექი. დროზე წავიდეთ, თორემ, ვინ იცის, ცა ისე ჩამოიქცეს, გარეთ ფეხს ველარა ვდგამდეთ.

ელგუჯა სარკმლის ფარდას მისწვდა, გასწია და სახე გაებადრა!

— ე! როგორ დაუბარდნია!

— ადექი, ადექი!

— აპა, ვდგები.

ელგუჯამ ხალათი მოძებნა. ჭიჭომ კალენდარს ფურცელი აახია და ისევ მოუბრუნდა:

— მე ჩავალ, შევაბამ. შენ მანამ გაეშზადე.

— აპა, ერთი, ორი და მზადა ვარ.

კარებში დედა შეეყარა, მხარზე კოკა ედგა. ჭიჭომ ჩამოართვა.

— ცოტა რამე გაგვიმზადე, მივდიეართ!

დედამ თოელით გადათეთრებული თაესაფარი მოიხადა და გარეთ დაბერტყა.

— ამ ყიამეთში სად უნდა წახვიდეთ, შვილო?!

— რა ყიამეთია, თოეს, მეტი რა!

— არა, არა, გენაცვალოთ დედა, ისევ ვენახის ბოლოში რომ ბებერი წნორია, ის მოვჭრათ, იმით წავიდეთ იოლას, გამოიდაროს და მერე წადით.

— ი, ერთი შენც, ახლა ის წნორი მაღიჯნინე. განა სხვა დროსაც გვათხოვებენ მაგ ტაჭკას. ან რა არი! პირიქით, უფრო თბილა კიდეც.

— თოელს რა სჯობია! — ჩაურთო ელგუჯამაც და ქამარი შეიკრა. — შენ ჩემი ყურებიანი ქუდი მომიძებნე!

— რა ვიცი, შვილო...

დედამ მეტის თქმა ველარ მოახერხა, შეშინებული თვალით გადახედა ერთსაც, მეორესაც, ღუმელიდან ქვაბი გადმოდგა და მაშინ გაბედა:

— ემანდ არა იწყინოთ რა.

— ვიწყინოთ კი არა! მიდი, შენ რაც გითხარი — ქუდი მომინახე!

დედა მეორე ოთახში გაეიდა.

ჭიჭომ დერეფნის კუთხეში მიწყობილი კეხი, ცალული და მოსართაეები დაიიღლიაეა, თოელზე ათრეული თასმით გრძელი ხაზი გაავლო, გომურის წინ მდგარ დათოელილ ორთვალას წიხლი პკრა და მერე ის ცალული და მოსართაეები ზედ დაყარა.

ელგუჯაც ჩამოეიდა.

— უპო, — ერთი ეს ამოიძახა, ხელები გაშალა, თაეი უკან გადასწია და ბრტყელ ფანტელებს ენა შეუშეირა.

ჭიჭომ გომურიდან ერთი კვირის წინ ნაყიდი სახედარი ჯულა გამოიყვანა — ფერებ-ფერებით, ზურგზე ხელის სმით. ელგუჯა რომ დაინახა, ხელებგაშლილი და ენაგამოყოფილი, დასჭყიეცლა:

— რას მაიმუნობ, ბიჭო!

ელგუჯა გამოიქცა, ჯულას კისერზე მკლავი მოხეია და იმანაც ზურგზე ხელის სმა დაუწყო.

ჯულას ცალული ჩააცვეს, კეხი დაადგეს, ორთვალის ხელნებშუა ჩააყენეს.

დედაც გამოეშეელათ.

— მუქთია, ჩემმა მზემ. ესეთ სახედარს ოც თუმნად ეინ მოგცემს!

— ფეხებს დახე, ფეხებს. ცხენიეით მსხვილი ფეხები აქეს. ეუპ, შენი გულისა!

— ეპ, შვილო, მამათქეენის ამაგი ახსოვს ისაკას და იმიტომ მოგეცა მაგ ფასად, თორემ სხვას ორმოც თუმნადაც არ მისცემდა.

— არ მისცემდა!

— არა ღირს მერე რო!

— ორმოცი კი არა, ორმოცდაათიც ნუ გშურს. დედი, ახლა ჩვენ დიდ კამპანიას ნუ გავმართავთ. წადი, აბგაში პურები და ცოტა ხორცი ჩაგვიწყვე და წაეიდეთ.

— წაეიდეთ, წაეიდეთ!

ელგუჯამ ჯიბიდან შურდული ამოიღო და გომურის კედელს ტარით კენჭი მოაძრო.

— ეგ ეშმაკის მახე არ წამოიღო! — გაუწყრა ჭიჭო.

— რა გინდა შენა!

— არ წამოიღო, მე გეუბნები.

— მქონდეს, რას გიშლის შენა!

— იქ ჩიტებს დაუწყებ დევნასა და... — ხმაში სირბილე შეეპარა ჭიჭოს.

— ჩიტებს არა!.. აპა, შეეინახაე.

დედამ აბგა ჩამოიტანა.

— დაგვეცადა, შვილო. მაინც ისეთი რა გაჭირვებაა! წნორი თუ არა, ჭანჭური მოგვეჭრა რომელიმე.

— კარგი ახლა!

ჭიჭომ ორთვალაზე თიეა გააგო, ცულები გამოიტანა, აბგა გადაიკიდა და ელგუჯას უთხრა:

— მოდი, შენ ზედ დაჯექი. ტყუილად ნუ დაისველებ ფეხებს.

ელგუჯა ორთვალას შეახტა და თივაზე მოიკეცა.

— აბა, ფრთხილად, შვილო.

— პო, კარგი! შინ შედი, არ გაციედე!

ჭიჭომ სამხრე გაასწორა და სახედარს გაუჯაერდა.

— აბა, ჯულავ!

ორთვალა უხმოდ დაიძრა.

— ხელი მოგიმართთრთ, შვილო!

დედა ისევ ეზოში იდგა და შვილებს გასცქეროდა.

თოვდა, თოვდა...

სასოფლო გზა უკვე გაეკვალათ. მიწა გაყინული იყო და ღონიერ სახედარს ორთვალა კარგად გასდევდა.

ჭიჭო როგორღაც უხერხულობას გრძნობდა. პირველად ება ჯულა ორთვალში და პირველად მიდიოდა ასე მამა-პაპურად ტყეში. ვინც კი ხვდებოდათ, ყველა ხანგრძლივი მზერით აცილებდა, ზოგი გამოელაპარაკებოდა კიდეც:

— შეაბით, ბიჭო? კარგა ეწვეა!

— პატრონივით თუ ჟინიანი არ გამოგადგათ!

— ელგუჯავ, თაქვეში კუდი დაუჭირე და ისე დაატორმუზე ხოლმე. ღაღანიძე სოლიკოს პაპამ გააჩერა:

— დააყეთ ცოტა ხანსა!

მივიდა, ხელნა ასწია და კეხსაკიდელი ჯაჭვი დაუმოკლა:

— აი, ემაზე დააყენეთ ხოლმე, თორემ ეგრე სახედარი იწვალებს...

ერთი სული ჰქონდათ, სანამ სოფელს გასცდებოდნენ.

მეტყეეებს თავიანთი ბუდრუგანა დაეკეტათ. იქ ახლა შაიშმელიანთ ძაღლი იდგა და მოწყენილი ყეფდა.

ცოტა ხანს ჩვენს ხალხს აპყვა. მერე გაჩერდა, ერთი გაბმით ამოიყეფა და გამობრუნდა.

— ზმუკი, აპა! — ელგუჯამ შურდულით მსხვილი კენჭი დაადევნა და ააწკავწკაცა.

ჭიჭომ გაკვირვებით მიიხედა:

— რა დაემართა, ე!

— არაფერი. — ელგუჯას შურდული უკვე დაეძალა.

მინდორში თითქოს უფრო მეტად თოვდა.

ბარდნიდა და ბარდნიდა. თანაც ნისლი იყო ჩამოწოლილი.

ჭიჭო ორთვალას ფეხით მისდევდა და თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა: — ასე რომ ითოვოს, ხვალისთვის ერთ მეტრზე დასდებს. მიდი, ჯულავ, პაცე, ჯულავ! რა ეწევა! მოსაცურს იქით გადავიდეთ, არა? აპა, პური მოიტეხე. თანა ვჭამოთ.

ელგუჯაც არ აკლებდა.

ტყის ჩიტების რამდენიმე გუნდმა გადაუარა და სოფლისაკენ წავიდა.

ელგუჯამ დაასკვნა:

ჭაჭებზე მიდიანო.

ურმის კვალი მიუძღოდათ.

ეს მკუპრავიანთ სულხანის ურმისაა.

კოლმეურნეობის ზვრის იქით უკვე წვრილმანი ტყე იწყებოდა. ერთმანეთზე გადაბმულ-გადახლართული ძეძვი და ჯაგ-რცხილა ლამაზად დაებარდნა. ვიღაცა სანადიროდ გასულიყო და ნაპ! ნაპ! ნაპ-ს იძახდა.

რაც შორს მიდიოდნენ, თოვლი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ჭიჭომ ფეხში სისველე იგრძნო და ორთვალაზე ავიდა. არ დაჯდა კი. თითქოს ფეხზე რომ იდგებოდა, ნაკლები სიმძიმე ექნებოდა. ჯულამ ნაბიჯს უკლო, ჭიჭომ ჭყიანილსა და სახრის ქნევას.

მოსაცურს უკვე ნამდვილი ტყე ეთქმოდა. შავად აგრაგნილი მუხები თითქოს თოვლის სიმძიმეს დაეღუნა. თანაც ისევ თოვდა. დაფრთხებოდა შაშვი გზის პირიდან და ჩამოშვავდებოდა თოვლის ჩანჩქერი ხრიალით.

აღმართზე ორიევ ძირს ჩამოდიოდა, დაღმართზე ისევ ზედა სხდებოდნენ და ორთვალა რომ დაქანდებოდა, მხიარულ ყიჟინას დააყოლებდნენ.

— ო, ო! ჩოშ! ჩოშ! კუდი, ელგუჯა, კუდი ნუ გავიწყდება!

ელგუჯა იღრიჭებოდა და მართლა ეწვდებოდა.

ბევრი საინტერესო რამ შენიშნეს: შუაზე ჩახეჩილი იფანი. მგლის ნავალი, შავი, დიდი კოდალა... გზიდან მარცხნივ გაუხვიეს, იაკოფას წყალს აუყვნენ და თიხიდან გორის ძირში გამოუშვეს.

სასიამოვნო მგზავრობა დასრულდა. ამას მაშინ მიხვდნენ, როგორც კი ბუჩქნარში შეძვრნენ. ჭიჭოს ფეხი დაუსხლტა, რცხილას დაეჯახა, რცხილა შექანდა და თოვლის მთელი ჩანჩქერი დაატყდათ თავს. მაგრამ ეს მაინც პირველი იყო. გაიცინეს, კისრები ამოიწმინდეს და ხმელი შეშის ძებნა განაგრძეს. მერე უარეს ჩანჩქერში მოჰყვნენ, მერე კიდევ უფრო უარესში, და ისე დასველდნენ, ისეთ საძაგელ სიცივეს გრძნობდნენ

კისერში, ერთმანეთის რომ არ რცხვინებოდათ, ველზე გავიდოდნენ, ცეცხლს დაანთებდნენ, მიუსხდებოდნენ და არაფერს არ გააკეთებდნენ.

ერთმანეთის რცხვენოდათ, ერთმანეთისთვის ზრუნავდნენ და ეს ამაგრებდათ.

— უნდა შეეჩეიო! — ეუბნებოდა ელგუჯას ჭიჭო.

— ყოჩაღი ბიჭი ხარ, გაუძლებ! — იღრიჭებოდა ელგუჯა. ერთი ეჩვეოდა. მეორე უძლებდა და მალე ისეთი რცხილა წამოაქციეს, ფოლადივით გაპქონდა წკარუნი. ამ რცხილას ნეკერჩხალი მიაყოლეს, ნეკერჩხალს — ეკლიანი, ბაჯაჯღანა კუნელი, კუნელს — ისევ რცხილა. გახურდნენ, ოფლი დაასკდათ. დამორეს, გამოზიდეს და უკანასკნელი ხეც რომ ჩამოათრიეს, კმაყოფილებით გადახედეს ერთმანეთს.

— ვერც კი დავუდებთ ამდენს!

— შევჭამოთ ცოტა რამე, მერე ვნახოთ!

ერთი პური და ლორის პატარა ნაჭერი ისევ ჰქონდათ. ჭიჭომ პური შუაზე გადატეხა, დახედა, რომელიც უფრო დიდად მოეჩვენა, ელგუჯას გაუწოდა, ხორციც იმას მისცა, თვითონ ხეებზე მიწვა, გემრიელად მოკბიჩა და ცას ახედა.

აღარ თოვდა. ნაცრისფერ ცაზე, სადღაც საშუადღეოს იქით, მზე იგრძნობოდა.

— კარგა დრო გასულა! — თქვა ჭიჭომ და მზისკენ ანიშნა.

— ეგრე იცის საქმემ.

თოვლი დნებოდა, დნებოდა ხეებზე დადებული თოვლი. ხრიალით ჩამოდიოდა ხან აქ, ხან იქ. ჯულა არხეინად ახრამუნებდა თივას.

ჭიჭომ ოფლიან ზურგში სიცივე იგრძნო და ელგუჯას უთხრა:

— არ შეგციედეს. ადექი, ნელ-ნელა დაეუდოთ, თორემ ასე შეგცივა.

ჯულას თივა ხელნებშუა ჩაუყარეს.

ჯერ რომელიც ყველაზე მსხვილი ხეები ჰქონდათ, ისინი დაუდეს, მერე ჭიჭო ორთვალაზე ავიდა. ელგუჯა აწვდიდა, ის უდებდა.

— თავმსუბუქი არ მოგივიდეს, ე!

— ნუ გეშინია!

— ნუ გეშინია კი არა — ისე უდებ, თავმსუბუქი მოვა.

— ეგრე ფიქრობ?

— ეგრეა და...

— აბა მე დაუდებ და...

— კარგი! — ჩაეღიმა ელგუჯას.

იმდენი მოეჭრათ, მართლაც ვერ დაუდეს ყველა. რომელი დავტოვოთო და, ისევ მუხის ფუტურო ტოტებს შეელივნენ. დაქანჩეს.

ჯულა შეაბეს.
— ღმერთო გვიშველეო! — და გაუჯავრდნენ.
— აბა, მიდი, გენაცვალე, ჯულავ!
ჯულამ გაიწია, დაძრა. გამართულად წავიდა.
მაგრამ პირი რომ შელმართისკენ იბრუნეს, შედგა.
— დაიცა, დაისვენოს!
— დაისვენოს!
დაისვენა. გაუჯავრდნენ. აქეთ-იქით წაეშველნენ. თოვლზე ფეხები უსხლტებოდათ.
ცოტა იარა ჯულამ და ქოშინი აუვარდა.
— თავმსუბუქია! რომ გეუბნებოდი, კარგად ვერ უდებ-მეთქი, არ დამიჯერე.
ჭიჭომ წინიდან დაუარა, გაწითლდა. თავმსუბუქი იყო. ცალული სახედარს ყელში უჭერდა.
— მიდი, შენ ხელნაზე დააწექი.
ელგუჯა ხელნაზე დააწვა, ჭიჭომ ორთვალას მხარი მისცა.
— პაცე, პა! პაცე!
ჯულა ეცადა, მაგრამ მალე ისევ აქოშინდა.
ჭიჭოს რცხვენოდა, წითლდებოდა.
— რა ჭირი შეუდგა, რა ვიცი...
ცოტა კიდევ იარეს და ისევ შედგნენ.
— გავასწოროთ. მაგას რა უნდა!
— ეპ, ამის! — გაბრაზდა ჭიჭო და შეშას წიხლი პკრა.
ჩამოიბურა. ციცი პაერი წამოვიდა.
ჭიჭო ორთვალაზე ავიდა, ქანჩი მოუშვა, ღვედი ახსნა, შეშები გადმოყარა. ხელახლა დააწყეს, ხელახლა დაქანჩეს. ჭიჭო ნერვიულობდა, ვერ მოხომა, ქანჩმა ღვედს ძალა დააყენა, ჯახაო, და გაწყდა.
— ფუ, შენი! — ახლა მთლად მოიშალა ჭიჭო.
— რო ეწევი და ეწევი... ნელა, რა მოგივიდა, — უსაყვედურა ელგუჯამ.
— შენ გაჩუმდი, გაიგე.
მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ელგუჯა მართალი იყო და შეეცადა თავი შეეკავებინა.
ღვედი რის ვაივაგლახით გადააბეს, შეშა ხელახლა დაქანჩეს. დაიძრნენ.
იჭყიტლეს, იბღოტეს, მხრები გადაიყელიფეს და აღმართზე ასე ავიღნენ. ავიდნენ და ამოისუნთქეს. ეგონათ — წამებას მოერჩითო, მაგრამ

დაღმართი უფრო უარესი გამოდგა. ორთვალა რომ დაქანდა, ჯულამ თავი დაუჭირა და შეშები კუდუსუნზე მიებჯინა, ცოტაც და ხორცს ამოაგლეჯდა ფოლადიეით მაგარი რცხილა.

მიხვდნენ, რომ ისევ ცუდად ედოთ.

ჭიჭოს ხმა არ ამოუღია, მაგრამ გუნებაში ახლა ყველაფერს სწყეველიდა: ტყესაც, ამ შეშასაც, ორთვალასაც, სახედარსაც, თოვლსაც და აღმართ-დაღმართსაც. ასეთ წამებას და მაიმუნობას სიკვდილი სჯობდა.

— საგორაეი დაუდე! — ერთი ეს უთხრა ელგუჯას.

თვალს საგორაეი დაუდეს. ჭიჭო ორთვალაზე ავიდა.

ელგუჯა დაბლიდან შეპყურებდა. ჭიჭომ თვალებში ცრემლები შეამჩნია. შეებრალა. თავისთავს გაუწყრა — რა დედაბერიეით ვქოთქოთებო და გაიცინა.

— რა იყო, ბიჭო, რა ზეთი ჩამოგიეიდა ცხვირიდან. არაფერია, ამაზე უარესიც ხდება ხოლმე. ეს რა არის.

ელგუჯასაც გაეღიმა.

— ზეთი არა!

— მაშ აბა ცოტა გატოკდი!

ქანჩი მოუშვეს, შეშები გადმოყარეს, ხელახლა დაუდეს. საგრძნობლად აციოდა. პირველად ეს სველმა ფეხებმა იგრძნეს.

თოვლიც წამოვიდა, ხვრიში, წკარუნა თოვლი.

შარვლის სველი ტოტები შემოეყინათ.

ჭიჭო ორთვალიდან ჩამოვიდა, თვალს საგორაეი გამოაცალა, დაეშვნენ.

ახლა არა უჭირდათ რა, კარგად მიდიოდნენ. საცაა ზვართანაც მიეიდოდნენ, მაგრამ საყარაულო გორაზე ეიღაც დაინახეს. იქ მეტყეეეები იდგნენ ხოლმე. ის კაციც ნამდვილად მეტყეეე იყო.

— ფუი! — გადააფურთხა ჭიჭომ.

— ნიკაა. — თქვა ელგუჯამ.

— ნიკა კი არა, სვიმანაა.

გაჩერდნენ. ეითომ ორთვალას რაღაცას უჩხიკინებდნენ — იქნებ ამასობაში ის კაცი წაეიდესო. გორაზე შემდგარი წასვლას არ აპირებდა.

— მოიცა, ცულებს მე წაეიღებ, ესე ხეე-ხეე დაეეშვები. ტაჭკას შენ გამოყეევი. — თქვა ელგუჯამ.

— არა, ეგრე უფრო ცუდია.

იმ კაცმაც დაინახა და ხელის ქნევა დაიწყო — წამოდითო.

— პაცე! — გამეტებით გადაპკრა ჭიჭომ სახრე ჯულას.

წაეიდნენ.

ჭიჭოს იმ წუთში ისევ აღარ უნდოდა აღარც ეს შეშა, აღარც სახედარი, აღარც არაფერი. მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა.

კაცი გორიდან ჩამოსულიყო და გზაზე უცდიდა. ის არც ნიკა იყო და არც სვიმანა. მთავარი მეტყეევე აღმოჩნდა.

— დაადგეთ. — გადაუდგა წინ. — ნედლი ხომ არ გიდევთ რა.

— არა, ძია, აი, ნახეთ.

ჭიჭოს გულმა დაგადუგი დაუწყო, ელგუჯა ორთვალას ამოეფარა.

— ეისები ხართ?

— ზაქროსი, გოგიაშვილისა.

— მერე, თქვე ეშმაკის ფეხებო, ამ ყიამეთში ტყეში იქნება სიარული? რომ მოგისხლტეთ ეს ტაჭკა და იტკინოთ რამე?

ჭიჭოს სიხარულის სითბომ დაუარა ძარღვებში. ელგუჯამაც თავი ასწია:

— რა ვიცი... შეშა სულ გაგვითავდა და...

— როგორ დასველებულხართ! აბა, ჩქარა წადით, არ გაციედეთ, აბა ჩქარა!

თითქოს მტკივანი კბილი დაყუჩებოდეს — ჭიჭომ შვებით ამოისუნთქა და ელგუჯას გადასძახა:

— ელგუჯა, მააწექი! ჯულაპ!

— ქვემოდან ნუ უდგები, ბიჭო! — ერთხელ კიდევ მოისმა მეტყეეის ხმა.

მიიხედეს, ის ისევ საყარაულო გორაზე ადიოდა.

კარგა მანძილზე რომ გამოსცილდნენ, მაშინ დაიწყეს:

— აი კაცი!

— გენაცვა სულში, აი მართლა კაცი!

— მიდი, ჯულაპ! ჰაცე!

ბინდდებოდა. სოფელში უკვე სინათლეებს ანთებდნენ. თოვლი უფრო უმატებდა შრიალს.

შაიშმელიანთ ძაღლი ისევ მეტყეევების ბუდრუგანასთან დახვდა. ისევ შემოხვდნენ ვიღაც-ვიღაცეები და ისევ გამოელაპარაკნენ:

— ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად დაგიდვიათ!

— სად მოსჭერით, ბიჭო, ეგეთი კარგი შეშა.

— ამათ დახეთ, ე რამოდენა დაუდვიათ!

ჭიჭო წელში გამართული მიდიოდა და ამაყად მიუგებდა — ამა და ამ ადგილას მოვჭერით; ეს რა არის, ჩემს ჯულას სულ სირბილით მოპქონდა, კიდევაც დაეუდებდით, მაგრამ პირველად გვიბია და ეუფრთხილდებითო.

თავიანთ ეზოსკენ რომ გადაუხვიეს, უკვე ბნელოდა. დედამ ვერ გაიგო და ჭიჭომ დიდი კაციეით დაიძახა:

— გამოგეხედეთ, ოჯახისშვილებო!

დედამ გამოიხედა, კიბე ჩამოირბინა.

— უი, რატომ თავი არ მომიკვდება, რომ თქვენ ეგრე გაწვალებთ. რად დაიგვიანეთ, შვილო, გაწვალდით ძალიან?

— გაეწვალდით არა!

აქამდის ჭირდა.

ახლა ჯულა გამოუშვეს, გომურში დააბეს, თივა დაუყარეს, რამდენიმე შეშა დასჭრეს და შინ შეეიდნენ.

— აბა ერთი შევუკეთოთ!

ღუმელს შეუკეთეს, სველი ფეხსაცმელები დაიხადეს, წინდები გამოიცვალეს.

მზვარეში გაფიცხებულმა შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო, ოთახი გამხიარულდა. დედამ ტაფით შემწვარი ხორცი დადგა. სუფრას მოუსხდნენ, დაუტრიალდნენ, დაუტრიალდნენ და, როცა თითო ჭიქა საფერავის წვენიც დააყოლეს, საღღაციდან შეუმჩნეველად მობრუნდა სიყვარული, მობრუნდა და ბიჭების პატარა გულებში დაიბუდა.

უყვარდათ დედა, უყვარდათ ერთმანეთი, ის მეტყვევე, რომელმაც ისე ლაზათიანად გამოისტუმრა, უყვარდათ ის ტყე და ის გზაც, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ თითქმის ცრემლები მოაწურინეს თვალებიდან.

უყვარდათ ყველაფერი, რაც მათ ირგელივ იყო.

გემრიელად ილუკმებოდნენ და ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ლაპარაკს:

— რა დედა გვყავხარ, რა დედა! ეს რა საჭმელი გაგიკეთებია, ოპ! ოპ!

— რა ყოფილა ეს ჩვენი ელგუჯა — ტარაბუასავით ტრიალებდა ტყეში.

— რა კაცი ყოფილა ჩვენი მეტყვევე!

— ეს რა შეშა სცოდნია თიხიან გორასა!

— ასი თუმანი ღირს ჩვენი ჯულა, ასი თუმანი.

— კიდევ შეუკეთე, ბიჭო, შეუკეთე, რომა...

დედა თავს დაპკანკალებდა, დაპხაროდა.

გარეთ კი ისევ თოვდა, ზამთარი იდგა — დიდი, ტკბილი, საყვარელი ზამთარი.

საღღაც სერებზე მხიარულად წკავწკავებდნენ ტურები...

კითხვები და დავალებები:

თქვენი სიტყვებით ახსენით ფრაზეოლოგიური გამონათქვამები: "ცა ისე ჩამოიქცეს, გარეთ ფეხს ველარა ედგამდეთ.", "სახე გაებადრა!"

ახსენით სიტყვები: "ყიამეთში" ("— ამ ყიამეთში სად უნდა წახვიდეთ, შვილო?!"), "მაღიჯნინე" ("ახლა ის წნორი მაღიჯნინე"), "ბუდრუგანა" („მეტყველებს თაეიანთი ბუდრუგანა დაეკეტათ."), „თავმსუბუქი" („ისე უდებ, თავმსუბუქი მოვა."), "დაქანჩეს" (შეშები გადმოყარა. ხელახლა დააწყეს, ხელახლა დაქანჩეს), „ცალული" ("ცალული სახედარს ყელში უჭერდა"), "ხელნა", ("ელგუჯა ხელნაზე დააწვა");

თქვენი აზრით, შურდულს რატომ ეძახის ჭიჭო "ეშმაკის მახეს" ("— ეგ ეშმაკის მახე არ წამოიღო!");

ჩამოაყალიბეთ, რა მიგაჩნიათ მოთხრობის უმთავრეს სათქმელად;

დაწერეთ ჩანახატი "სიყვარულის ძალა".

დააკვირდით:

სოფლის კოლორიტის შესაქმნელად მწერალი მეტსახელებსაც იყენებს: "ეს მკუპრავიანთ სულხანის ურმისა�ა";

მწერალი ოსტატურად შერჩეული ზმნით ზუსტად გადმოსცემს სათქმელს: "დედაც გამოეშველათ";

ბიჭების მეტყველესთან შეხვედრისას მწერალი კარგ შედარებას იყენებს: „თითქოს მტკიეანი კბილი დაყუჩებოდეს — ჭიჭომ შეებით ამოისუნთქა";

მწერალი გვიჩვენებს, როგორი სილამაზე შეიძლება იყოს ყოველდღიურ, ერთფეროვან ცხოვრებაში და რამხელა გულს იტეეს თითოეული კარგი კაცი.

ანალიზისთვის:

კაცობის ტვირთი

ცხოვრება ზოგს ნაადრევად წამოპკიდებს ხოლმე კაცობის ტვირთს. "მას მარადჟამს თან დაპყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი, ასეთნი მუდამ პკარგავენ წონასწორობას", — გვარწმუნებს კონსტანტინე გამსახურდია "დიდოსტატის მარჯვენაში".

რევაზ ინანიშვილს ამ პატარა მოთხრობაში ეს პრობლემა სხვანაირად

გადაუწყვეტია. იგი ცხოვრებასთან ჭიდილში დაუმარცხებლობისათვის საყრდენად სიყვარულის ძალას გვთავაზობს, რადგან ქრისტიანისთვის კაცობის საზომი მოყვასზე ზრუნვა და მისი სიყვარულის უნარია.

ჭიჭო, როგორც უფროსი ძმა, მამასავით ექცევა ელგუჯას, ზრუნავს მასზე, რომ ძალიან არ დაიღალოს, არ დასველდეს, არ იტიროს, არ შეშინდეს. პურისა და ხორცის მოზრდილ ნაჭრებს მას აძლევს ("ერთი პური და ლორის პატარა ნაჭერი ისევ ჰქონდათ. ჭიჭომ პური შუაზე გადატეხა, დახედა, რომელიც უფრო დიდად მოეჩვენა, ელგუჯას გაუწოდა, ხორციც იმას მისცა."). ცდილობს, მძიმე საქმე თვითონ გააკეთოს. არიგებს კიდეც და შურდულის წაღებას უშლის. შინ დაბრუნებული კი ელგუჯას აქებს, რომ წაახალისოს:

„— რა ყოფილა ეს ჩვენი ელგუჯა — ტარაბუასავით ტრიალებდა ტყეში."

ელგუჯა, თავის მხრივ, უჯერებს ძმას და მის რჩევებს ითვალისწინებს, შურდულს კი ძაღლის აწკაკუნკავების შემდეგ უცებ მალავს, ძმამ რომ არ დაინახოს და არ უსაყვედუროს;

მწერალი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ბიჭები ახალი დაობლებულები არიან, მკითხველი ამას თავისით ხვდება მათთან თანასოფლელთა დამოკიდებულებით.

ხალხი ცდილობს, თანაგრძნობით მოექცეს დაობლებულ ბიჭებს. ვირი იაფად მიპყიდეს, გზად შემხვედრნი შველიან, რჩევას აძლევენ, ურმის მოსართავებს ასწორებენ:

"— შეაბით, ბიჭო? კარგა ეწევა!

— ელგუჯავ, თავქვეში კუდი დაუჭირე და ისე დაატორმუზე ხოლმე. ღაღანიძე სოლიკოს პაპამ გააჩერა.

მივიდა, ხელნა ასწია და კეხსაკიდელი ჯაჭვი დაუმოკლა:

— აი, ემაზე დააყენეთ ხოლმე, თორემ ეგრე სახედარი იწვალებს..."

მკითხველი თანაგრძნობით იმსჭვალება ბიჭების მიმართ, როდესაც ხედავს, როგორ უჭირთ ხის ჩამოტანა: „იჭყიტლეს, იბღოტეს, მხრები გადაიყვლეფეს და აღმართზე ასე ავიდნენ", თუმცა არც ერთი მათგანი არ ღიზიანდება, მეორეს ჩხუბს არ უწყებს და არც სახლში გარბის, პირიქით, ემოციებს მალავენ და ერთმანეთს ამხნევებენ.

ბიჭებს ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთზე ზრუნვა და იმის განცდა აძლიერებთ, რომ კაცის საქმეს აკეთებენ, გარდაცვლილი მამის ნაცვლად, კაცობა ეამაყებათ და ცდილობენ, თავი არ შეირცხვინონ, თორემ სხვა დროს და სხვა ვითარებაში ასეთ თოვლში ეს ბავშვები ეზოსა და თბილ ღუმელს არც კი მოშორდებოდნენ: „ერთმანეთის რომ არ რცხვინებოდათ,

ველზე გაეიდოდნენ, ცეცხლს დაანთებდნენ, მიუსხდებოდნენ და არაფერს არ გააკეთებდნენ.

ერთმანეთის რცხვენოდათ, ერთმანეთისთვის ზრუნავდნენ და ეს ამაგრებდათ."

ნაადრევად დაკაცებული, მამაკაცის ტვირთწამოკიდებული ბიჭების შესაბამისია საუბრის თემებიც: დედის გამხნევება, მასთან საუბროს ტონი, ვირის ფასზე სჯა-ბაასი... და შინ შეშით საესე ურმით დაბრუნებით აღძრული სიამაყე: "ჭიჭომ დიდი კაციეთ დაიძახა:

— გამოგეხედეთ, ოჯახისშვილებო!"

მკითხველი ხედება, რომ ბიჭები მამას ბაძავენ, როცა დედას სთხოვენ ქუდს, საგზლის გაშზადებას, უმტკიცებენ მას, რომ თოვლში თბილა და არაფერი მოუვათ ტყეში წასვლით, უარყოფენ ეზოში ხის მოჭრას: „— იი, ერთი შენც, ახლა ის წნორი მაღიჯნინე."

თუმცა მოზარდები არიან. ბავშვის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით სწორი ნაბიჯია მწერლის მხრიდან, ჭიჭოსა და ელგუჯასთვის მძიმე გზიდან მაინც რომ გამოყოფს ბიჭისთვის საყურადღებო დეტალებს, რომელთა წყალობითაც ბავშვი ივიწყებს სიძნელეს და მისი ყურადღება სხვა მხარეს მიიმართება: "ბევრი საინტერესო რამ შენიშნეს: შუაზე ჩახეჩილი იფანი. მგლის ნავალი, შავი, დიდი კოდალა..."

მწერალი გვიჩვენებს, რომ დაბრკოლების გადალახვისა და კაცობის პირველი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, "სადღაციდან შეუმჩნეველად მობრუნდა სიყვარული, მობრუნდა და ბიჭების პატარა გულებში დაიბუდა." და ამ მოთხრობით ქმნის სიყვარულის მშვენიერ საგალობელს. „უყვარდათ დედა, უყვარდათ ერთმანეთი, ის მეტყველე, რომელმაც ისე ლაზათიანად გამოისტუმრა, უყვარდათ ის ტყე და ის გზაც, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ თითქმის ცრემლები მოაწურინეს თვალებიდან.

უყვარდათ ყველაფერი, რაც მათ ირგვლივ იყო."

რევაზ ინანიშვილი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სიცოცხლეს აზრსა და სილამაზეს სიყვარული სძენს, სიყვარულით საესე კაცისთვის ზამთარიც ლამაზია, თოვლიც თბილია, ადამიანებიც სიკეთით არიან საესენი, სიცოცხლე მშვენიერია და ისიც კი მოგწონს, რომ „სადღაც სერებზე მხიარულად წკავწკავებენ ტურები..."

კაცობის ტვირთის მზიდველიც ის არის, ვინც სიყვარულით საესეა.

ლალი დათაშვილი

ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები

კრწანისის ომში დამარცხებულმა ერეკლე მეფემ, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, არაგვის ხეობას შეაფარა თავი. დღესაც არავინ იცის, სად იმყოფებოდა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ანანურის ციხეში გამოჩნდა. ეს გამოჩენაც იდუმალებით იყო მოცული. ციხის ბურჯებზე გუშაგებს უმატეს, მალიმალ მიმოქროდნენ თავდაღუნული მდუმარე მხედრები, სოფლებში ჩურჩულითა და ვიშ-ვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან — მეორე, დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებაცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახევევის ბოლოებს.

ნაშუადღევს რაღაც ჩოჩქოლი ატყდა ციხის ეზოში. მეციხოვნეებს ვიღაც ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი შეეპყროთ, კარისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ბიჭი არ ნებდებოდა, წიხლებს ისროდა, იკბინებოდა და ყვიროდა:

— მეფესთან მიმიშვით, დიდი საქმე მაქვს, მეფესთან მიმიშვით!

მეციხოვნეები პირზე ხელს აფარებდნენ, წააქციეს, ზოგი ფეხებში ჩაეჭიდა, ზოგი ხელებში, ასწიეს, ასე წაიღეს. ბიჭი მაინც იბრძოდა და ყვიროდა:

— დიდო მეფეო! დიდო მეფეო!

ამ ჩოჩქოლსა და აურზაურში კოჭლობით, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ციხისთავი. მარცხენა ხელი კისერზე პქონდა დაკიდებული ქალის მანდილით. მეციხოვნეებმა რომ დაინახეს, გაჩერდნენ, ბიჭი ძირს დასწიეს, ხელი მაინც არ გაუშვიათ.

— რა ამბავია, რა მოხდა? — იკითხა ციხისთავმა.

— მეფესთან მიმიშვითო, დილას აქეთია აფთარიეით უელის ციხეს. გავაგდეთ, ეცემთ, მაინც გადმობობღდა გალავანზე, — მიუგო ერთმა მეციხოვნემ.

მიწაზე გულაღმა გაკავებულმა ბიჭმა ამოიბრძოლა, თავი ვერ გაითავისუფლა და დაბლიდან ამოიმუდარა:

— მიმიშვით, თქვენი ჭირიმე, დიდი საქმე მაქვს, ქვეყნისთვის საჭირო საქმე.

ციხისთავმა ვერაფერი თქვა, თვალი კოშკისკენ გაექცა. იქიდან თითქოს ვიღაცამ რაღაც ნიშანი მისცა, ციხისთავმა თავი დაუქნია და მეციხოვნეებს უბრძანა:

— გაუშვით ხელი!

მეციხოვნეებმა ბიჭს ხელი გაუშვეს. ბიჭი წამოდგა, შარვალი მიიწ-მოიწია, მტვერი ჩაიბერტყა. ერთმა მეციხოვნემ დაძენძილი ნაბდის ქუდი მიაწოდა.

— სადაური ხარ?
— აქაური.
— რომლისა?
— მზეეარისა.
— რა გინდა მეფესთან?
— პირადად უნდა მოვახსენო.
— გაჩხრიკეთ.

მეციხოვნეები ეცნენ და ჩხრეკა დაუწყეს. ბიჭი ხელებაწეული იდგა და მოთმინებით იცდიდა, როდის მორჩებოდნენ ამ რაღაცით უკვე სასიამოვნო საქმეს. მარტო ხელისგულისოდენა ქერის ხმიადის ნატეხი და ნიერის ორი კბილი ამოუღეს ჯიბიდან. ისიც მაშინვე დაუბრუნეს.

— წამომყევი.

ბიჭმა ერთხელაც გაისწორა დაძენძილი შარვალი და ციხისთაეს გაჰყვა. დაბალი იყო, განიერი, როგორღაც გან-განზე მიჰქონდა მძიმე, დაშაშრული შიშველი ფეხები. გაიარეს გრილი კედლებით შემოზღუდული ლაბირინთი, ავიდნენ კიბეებზე და ერთ კარს მიადგნენ. იმ კარს აქეთ-იქიდან თოფიანი მცველები ედგა. ციხისთავმა ბიჭი აქ დატოვა და თვითონ შიგნით შევიდა. გაღებულ კარში ბიჭმა დიდებული იერის მოხუცი დაინახა, გუმანმა უთხრა, მეფე ეს უნდა ყოფილიყო. გაიწია, მაგრამ მცველებმა არ გაუშვეს, თოფები გადაუღობეს.

— გამოატარეთ! — მოისმა ციხისთავის ხმა.

ბიჭი კარში შევიდა. ციხისთავმა მხარზე ხელი მოსდო, ცოტაზე ასე წაჰყვა და მერე გვერდზე გადგა.

რაღაცისათვის ტახტისკენ დახრილი მოხუცი მეფე ბიჭისკენ შემობრუნდა, ნელ-ნელა აიწია, გასწორდა. ბიჭმა სახეში შეხედა, ფეხი აერია, ჩაიჩოქა და ასე, მუხლებზე ჩაჩოქილი, აცრემლებული წაეიდა მეფისკენ. მეფე შეწუხდა, თვითონ წამოვიდა ბიჭისკენ, მხრებში ხელები მოკიდა, წამოაყენა. ბიჭი ცდილობდა, მაგრამ ტირილი ვერ შეეკავებინა. მეფემაც რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები, მაგრამ ეს თვალები მიჩვეულნი იყვნენ მსგავს სანახაობებს და სწრაფადვე დაიბრუნეს სიმტკიცე.

— დამშვიდდი, ნურაფრის გეშინია, შვილო, — თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით.

— მე არაფრისა მეშინია, მეფეე.

— აბა, რა გიჭირს, რამ შეგაწუხა, შვილო?

— თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ, დიდო მეფეე. თათრები ჩვენი მომრევები არ არიან!

მოხუცმა მეფემ შუბლზე ხელის ზურგი აისვა, თითქოს ჩამოწეწილი თმა აიწია მაღლა.

— მდიდრები გღალატობენ, მეფეე! — ბიჭმა ღონიერად შეკუმშული ხორკლიანი მჯიღი ნიკაპთან მიიტანა, — მდიდრებს რატომ ენდობი, დიდო მეფეე! მდიდარი ლამაზია, მდიდარს შინ ქონება რჩება, ძვირფასი რამეები რჩება. გაჭირვებაში მტერსაც მისცემს და თვითონაც ეყოფა. მდიდარი ბრძოლაში თავს რად დასდებს! ომში ჩვენ უნდა წაგვიყვანო, ობლები, უქონლები, ულამაზოები, გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები. ქვეყნის იმედით ჩვენა ვცხოვრობთ. ჩვენ ვინ რას უნდა მოვუფთხილდეთ! აბა, შემომხედე, სხვებიც ჩემნაირები არიან, ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ვერ დაგვამახინჯებს, პირიქით, მოგვიხდება კიდეც. გაგვიძეხი მეფეე, ჩვენ გაგვიძეხი! ასამდე ობოლს, ქვრივ-ოხრის შვილს, კომბლიანებს, მე გამოვიყვან მარტო! გაგვიძეხი, მეფეე, და შენი თვალით ნახავ, ჩვენი მომრევი არაკინ არის ქვეყანაზე. შვიდი კომბლიანი აქვე მიცდის, ციხის ძირში.

მეფემ ერთხელ კიდევ აისვა შუბლზე ხელი და ტახტზე დაჯდა. ბიჭისთვის თვალი არ მოუშორებია, ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა მუხლზე და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა...

— შეგიძლია, ისინიც მოიყვანო?

— კომბლებიანად?

— კომბლებიანად.

— ახლავე.

ბიჭი მიბრუნდა და ჯიქური ნაბიჯით წავიდა. მაგრამ უცებ შედგა და აბნეულმა მიმოიხედა. თურმე კარს ასცდენოდა. ბედად ციხისთავმა მოუსწრო, — აქეთ, მზეკარის ბიჭოო, — და წინ წაუძღვა.

* *

არ გასულა ნახევარი საათი და ციხისთავი და მზეკარის ბიჭი კუშტად გამოშზირალ, აჯაგრულ, აფხორილ კომბლიან ბიჭებს შემოუძღვნენ დარბაზში. ახლა მზეკარის ბიჭსაც გატუსული, ბევრი ხმარებისაგან გაპრიალებული, ვეებათავიანი შვინდის კომბალი ეჭირა. ციხისთავმა ამჯერადაც გვერდზე გაიწია და ბიჭებს ანიშნა, აქ გაჩერდითო. ბიჭები შეჯგუფდნენ, ერთმანეთისკენ მიიწიეს, ერთმანეთის ზურგებს ამოეფარნენ და კომბლები მორიდებით ჩაიყუდეს შიშველ, გაუხეშებულ ფეხებს შორის.

მეფე წამოვიდა, ნელი ნაბიჯით მოახლოვდა და მზეეარის ბიჭს ღიმილით ჰკითხა:

— ესენი არიან შენი ულამაზოები?

— ესენი, დიდო მეფევ. ამ კომბლებით, ვისაც გინდათ, იმას გაუმკლავდებიან.

ბიჭები უარესად დაიკოხნენ, შეტოკდნენ და ქვეშ-ქვეშ გამოიხედეს მეფისკენ. მეფემ ყველა ბიჭს ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან დაიწია, უყურა, უყურა და გულში გამდნარი ტყვიასავით ჩაელვენთა: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები...“ ხმამაღლა კი ეს თქვა მშვიდად, დაყვავებით:

— სულ მალე დაგიძახებთ, ბიჭებო. მაპმად ხანს ერთიანად უნდა ვაზღვევინოთ ჩვენი სისხლი. ახლა მდივანი ჩაგწერთ და თქვენ-თქვენს სახლებში წადით. როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ, როცა დრო დადგება, მაშინვე დაგიძახებთ.

— ოღონდ, მდიდრების გვერდით არ დავდგებით! — წამოიძახა მზეეარის ბიჭმა.

— არა, თქვენი რაზმი ცალკე იდგება! — მეფემ ხელი მაღლა ასწია.

ციხისთავი წინ წამოვიდა და ბიჭებს ანიშნა, წასვლის დროაო. მზეეარის ბიჭმა მისი მკლავის ზემოდან ერთხელ კიდევ დაუძახა მეფეს:

— ჩვენ-ჩვენი კომბლებით უნდა წამოვიდეთ.

— თქვენ-თქვენი კომბლებით, რა თქმა უნდა, — მიუგო მეფემ.

* *

გაიარეს გადახრილი მზით განათებული ციხის ეზო, გვერდზე გაიყოლეს გრძელ-გრძელი ჩრდილები და მერე ნელ-ნელა ჩავიდნენ ბნელ ლაბირინთში, თითქოს სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას.

ოთხმოცი წლის შემდეგ კი ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას ხშირად იდგა ხოლმე ვეებათავიან კომბალზე დაყრდნობილი მთლად გადათეთრებული უსინათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამველს ეკითხებოდა, დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა, — არა, დამძახებელი არა ვარ, მზეეარის ბიჭოო, — და თავჩაღუნული, სევდაშემოწოლილი განაგრძობდა გზას.

მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა — გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა.

კითხვები და დავალებები:

რომელ ეპოქას ეხება მოთხრობა? მოიძიეთ ინფორმაცია კრწანისის ომის შესახებ და გამოიყენეთ ტექსტზე მსჯელობისას;

იმსჯელეთ შედარებაზე: "დილას აქეთია აფთარიეთ უელის ციხეს";

განმარტეთ "დაშაშრული" ("გან-განზე მიპქონდა მძიმე, დაშაშრული შიშველი ფეხები"), "ხორკლიანი მჯიღი" ("ბიჭმა ღონიერად შეკუმშული ხორკლიანი მჯიღი ნიკაპთან მიიტანა"), "გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები" ("ობლები, უქონლები, ულამაზოები, გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები"), "ქვიდან გამოტეხილი" ("ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები!"), "კუშტად გამომზირალი", "აჯაგრული" ("კუშტად გამომზირალ, აჯაგრულ, აფხორილ კომბლიან ბიჭებს შემოუძღენენ დარბაზში"), "გატუსული" ("მზეარის ბიჭსაც გატუსული, ეეებათაეიანი შეინდის კომბალი ეჭირა"), "დაიკოხნენ" ("ბიჭები უარესად დაიკოხნენ"), "ქინთა-ქინთად" ("მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა");

განმარტეთ ფრაზეოლოგიური გამონათქვამი: "გუმანმა უთხრა" ("გუმანმა უთხრა, მეფე ეს უნდა ყოფილიყო");

თქვენი აზრით, ბიჭთან საუბრისას რატომ გაერია ერეკლეს ხმაში ბზარი: "— დამშვიდდი, ნურაფრის გეშინია, შვილო, — თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით";

თქვენი აზრით, ეს ანანურელი ბიჭები მართლა ულამაზოები არიან?

თქვენი აზრით, რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?

დაწერეთ ესე "სამშობლო გეეძახის."

დააკვირდით:

მწერალი ოსტატურად იყენებს ზმნისწინ "ამოს" ზმნებში "ამოიბრძოლა", "ამოიმუდარა": "მიწაზე გულაღმა გაკაეებულმა ბიჭმა ამოიბრძოლა, თავი ეერ გაითაეისუფლა და დაბლიდან ამოიმუდარა";

მზეარის ბიჭი როგორ ახასიათებს გლეხებს: "ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ეერ დაგვამახინჯებს, პირიქით, მოგეიხდება";

მწერალი ტკეილს გამდნარ ტყეიას ადარებს: "გულში გამდნარი ტყეიასაეით ჩაეღვენთა";

მეფე ერეკლე როგორ თავმდაბლად ელაპარაკება გლეხის ბიჭს და როგორ უჯერებს ყეელაფერს;

მზეარის ბიჭი რუსულ ჯარში ნაბრძოლია, მედლებიც მიუღია. XIX

საუკუნია ბეური სხვა თანამემამულის მსგავსად, ალბათ, მასაც სჯეროდა, რომ თავგანწირული ბრძოლა რუსულ ჯარში საქართველოსთვის სასიკეთო იყო: "მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა — გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა."

ანალიზისთვის:

„საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები..."

საქართველოს უმძიმესი ისტორია მრავალი მწერლის საფიქრალი და შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა გამხდარა.

რევაზ ინანიშვილის "ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები" იმ საშინელ ტკივილს აგვისახავს, კრწანისის ომში დამარცხებული ქვეყანა რომ განიცდიდა. ყველა ქართველი დამწუხრებულიყო: „მალიმალ მიმოქროდნენ თაედაღუნული მდუმარე მხედრები, სოფლებში ჩურჩულითა და ვიშ-ვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან — მეორე, დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებაცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახვევის ბოლოებს."

ნაწარმოები ღალატის თემას ეფუძნება და იმ გაღიზიანებისა თუ უმწეობის განცდებს ასახავს, ყველა კეთილშობილ ადამიანს რომ ემართება შინამოღალატის „წყალობით" განადგურებული მამულის ხილვისას.

მოთხრობაში, ერთი მხრივ, წერა-კითხვის უცოდინარი, უქონელ-უპოვარი, ულამაზო გლეხის ბიჭია — მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენელი და, მეორე მხრივ, — მეფე ერეკლე, ქვეყნის მეთაური, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებთ — „ქვეყნის იმედით ცხოვრობენ" და მათი სიხარული თუ სევდა სამშობლოს უკავშირდება.

ბიჭი ღმუის; ყვირის, მეფეს კომბლიანი ბიჭბუჭების დახმარებას პპირდება. ყველა ღონეს ხმარობს, რომ ერეკლე თავისი განზრახვის სიწრფელეში დაარწმუნოს, "მუხლებზე ჩაჩოქილი, აცრემლებული წავიდა მეფისკენ" მუდარით, გამოეყენებინა მათი ძალა მტერთან ბრძოლაში.

ასეთივე გამწარებულია ერეკლე, ბევრი ტკივილი აქვს ნანახი და მზევარის შვილის ნაირსაც ბევრს შეხვედრია, ბიჭთან საუბრისას "რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები, მაგრამ ეს თვალები მიჩვეულნი იყვნენ მსგავს სანახაობებს და სწრაფადვე დაიბრუნეს

სიმტკიცე." თუმცა მაინც გატეხილი ჩანს, ღარღს მისთვის ხელი დაურეკია, თავსა და გულს ეფლარ იმორჩილებს. მწერალი ოსტატურად გამოხატავს მეფის სულის ტკივილს მისი ხელის უნებური მოძრაობით: "ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა მუხლზე და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა..."

ერეკლემაც და მზეკარის ბიჭმაც ეშვენივრად იციან, რომ მტერი ვერ დაგვამარცხებდა, მოღალატე რომ არა: "— თათრები არ უნდა მოგვერეოდნენ, დიდო მეფეე. თათრები ჩვენი მომრეები არ არიან!" — დაბეჯითებით ამბობს ბიჭი და მდიდრებს ადანაშაულებს ქვეყნის გაყიდვაში.

ღალატის ისრის მდიდართაკენ მიმართვა, ერთი მხრივ, "სახარების" გამოძახილად გვესმის, რომ მდიდარი ფიქრით მარადიულად დასტრიალებს თავის საგანძურს, ყველაფერზე მეტად ქონება უყვარს და მას ვერ ღალატობს ("სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი." — ლუკა 12, 34), მეორე მხრივ, ერთგვარ კონიუნქტურად და სოციალისტური ეპოქის დაკვეთისათვის თავის მოხრად მიგვაჩნია, იმ აუცილებლობით გამოწვეულად, რომ ლიტერატურაში გლეხებსა და თავადებს შორის დაპირისპირება უნდა ასახულიყო.

საქართველოს ისტორიული ავბედობის სიმბოლოა მწერლის მიერ ტკივილით შექმნილი სურათი: ანანურელმა ბიჭებმა "გაიარეს გადახრილი მზით განათებული ციხის ეზო, გვერდზე გაიყოლეს გრძელ-გრძელი ჩრდილები და მერე ნელ-ნელა ჩაეიდნენ ბნელ ლაბირინთში, თითქოს სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას." ასე მიდიოდნენ და იმარხებოდნენ ქართველი ბიჭები თუ კაცები...

ის კი, ვინც ვერ სწირავდა მამულს თავს, საკუთარი სიცოცხლის ფასად ვერ ახერხებდა წვლილის შეტანას ქვეყნის კეთილდღეობაში და იძულებული ხდებოდა, დამარცხებული, დამონებული სამშობლოს შვილად ეგრძნო თავი, დაუმეგელ ტკივილს დაატარებდა გულით, რომ ვერაფერი არგო თავის მამულს, "თავჩაღუნული, სევდაშემოწოლილი განაგრძობდა ცხოვრების გზას."

თუმცა ქართველმა კარგად იცის ნამდვილი ვაჟკაცის — მოუთვინიერებელი ძგლის ფასი, რომელსაც ვერაფერი დააჩოქებს, ვინც განუწყვეტლად ელის, როდის დაუძახებდნენ, რომ მისი მკლავ-გული სჭირდებოდა ქვეყანას, ვინც მოხუცებულიც ჭაბუკური ენერგიით აღივსება და "სისხლით შეღებავს ჭაღარას" (აკაკი), ოღონდ კი დამარცხებული მტერი და გამარჯვების სიხარულით გაბრწყინებული მამული იხილოს. ისინი საოცრად იტანჯებიან, თუკი არავინ უხმობთ...

ასეთი გაუტეხელი ვაჟკაცების სიმბოლოდ ქმნის მწერალი მზეკარის ბიჭის სახეს, თანაც უსახელოდ, მხოლოდ მამის სახელით, წარმოგვიდგენს მას, რათა ასეთი ადამიანების უანგარობა და თავგანწირვისათვის მზადყოფნა გვიჩვენოს.

ახალგაზრდაცა და მოხუციც, ჯანმრთელიცა და ავადმყოფიც, დღითა თუ ღამით, დარსა თუ ავდარში, ერეკლეს სიკვდილის შემდეგაც ელის დამძახებელს მზეკარის ბიჭი. მუხთალ საწუთროს მისთვის თვალის ჩინიც კი წაურთმევია, მაგრამ იმედი, რომ ქვეყნის მკვდრეთით აღდგომის ხმას გაიგონებს, ღრმად მოხუცსაც აძლევს ძალას, იდგეს მამულის სადარაჯოზე და ელოდოს, ელოდოს...

მწერალი მას მოხუცებულსაც ბიჭად მოიხსენიებს, რათა მისი მოუდრეკლობა და ყმაწვილური გული დაგვანახოს, ოთხმოცი წლისასაც ბავშვური სიწრფელით რომ სჯერა ოცნების ახდენისა... ასეთებისაა ცათა სასუფეველი...

ეს მოთხრობა იმ წუხილნარევი სიყვარულითაა სავსე, ავტორი თავისი სამშობლოსადმი რომ განიცდიდა.

მძიმე მოსასმენია, თუმცა რეალობის ამსახველი საქართველოს ისტორიისა და XVIII საუკუნის ქართველობის ინანიშვილისეული, „ნაღველში ამონაწები“ შეფასებაც: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები...“

თუმცა რჩება მზეკარის ბიჭი, როგორც ბედნიერი მომავლისა და ქვეყნის გამოხსნის მოსურნე, მომლოდინე და ამისათვის დაუცხრომლად მლოცველი...

მკითხველსაც სწამს, რომ საქართველო "მზეკარი ბიჭების" გულებზე დგას, ოდესმე ისინი "უხილავს დაინახავენ" ვაჟას "პერსონაჟებივით" ("მთანი მაღალნი") და ტყისა თუ კლდის ამაყ გუგუნსაც მოესწრებიან: "ამირანია!"...

ლალი დათაშვილი

ეთერი

ამ სოფლიდან ყველანი წავიდნენ, ზოგნი — ქალაქში, ზოგნიც — აქვე ახლოს, ბარის სოფლებში. მართალია, ათიოდე სახლი ჯერ ისევ სახურავმთელი დგას, მაგრამ სამი სახლის მეტს ყველას მძიმე ბოქლომი აღეკვ, მხოლოდ სამი სახლიდან ამოდის ხოლმე დილა-საღამოს კვამლი, იმ სამი სახლიდანაც ორში წლებისაგან აჩრდილებად ქცეული დედაბრები ცხოვრობენ, გამოელენ და მწუხარედ დაიხატებიან დერეფნის კედელზე, ხან წარბებთან უდეოთ აკანკალებული ხელი, ხან ყურის უკან; გამუდმებით ვიღაცას ელიან, ეხმაურებიან ყოველ პატარა ჩქამს:

— ბიჭო, გოგო! ხომ არაფინა ხართ მ̇ანდ?

დაბერებულან მათი ბაღის ხეებიც — ნიაფი აქანავებს ჭიანაჭამ ქერქებს, ბალახებში ყრია წითელი ვაშლები, დაჩამიჩებული შავი ჭანჭური. დამპალა, ჩაფეხვილა ღობის ლატნები, ძურწა და ნარი მოსდებია ბილიკებს. ეზოში დადის მარტოობით გადაყრუებული ძაღლი, სამი თუ ოთხი ქათამი, ერთი ძურწაშეხორხლილი თხა, ხეებზე მოდიან თითქოსდა დაკარგული ჩიტბატონები.

მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი. ჯერ ისევ ნედლი რცხილის წნელით შემოღობილია მაღალი საჩეხე, შიგ ცხერები ბღავიან, მოთრეულია ხერხით მოჭრილი ორი ეეება წიფელი, ბებერი პანტის ძირზე მიკრულია ახალდაკლული თხის რქები, ბაღი გადაჩიჩნილია ბარით, — ეს-ესაა ოდნავ სველში ამოულიათ კარტოფილი. სახლისკენ მიდის ფეხით გაზეკილი ბილიკი, დაბალი კიბის ძირში, საფხეკთან, დატოვებულია ფეხის ტალახი. დადიან ბატები, ინდაურები. კედლებზე გაკრულია პლაკატები: „დაეიცვათ ტყე ხანძრისაგან“, „მიეცეთ სამშობლოს მეტი და მეტი ხორცი“, „ეთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრიეად“. სახლში ცხოვრობენ: მამა, დედა და ათი წლის გოგო ეთერი.

მამა ტყისმცველია, დედა დაბლა, მეძროხეობის ფერმაში მუშაობს, ეთერი მეოთხე კლასში სწავლობს. როგორც ყველა ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დგას. ამ დროს მისი ცისფერი თვალები ხან ერთ მხარეს ეძებენ გასაქცევს, ხან — მეორე მხარეს. კარგად დამრგვალებული ლოყები წითლად აქვს შეშაშრული, კიდევ უფრო წითელ ხელებს ზურგს უკან მალავს.

ეთერი რომ ადგება, დედა უკვე ფერმაშია წასული. შიშველი ფეხებით აითრევს რეზინის ჩექმებს, ეზოში გაიელ-გამოიელის, დახედავს ინდაურებს და ბატებს, ჩაიჭვრიტება საჩეხეშიც — ბატკანი ხომ არ მოიგო რომელიმე ცხვარმა. დერეფნის ბოძზე დაკიდებულ პირსაბანზე

დაიბანს ხელ-პირს, შეიმშრალებს, ჩაიცვამს, გამოეწყობა სასკოლედ, ჩაიყრის ცხელ რძეში პურს, თან ჭამს, თან ქვაბზე მიყუდებულ წიგნში იყურება. მორჩება ჭამას, ჩანთაში ჩააწყობს წიგნებს, პურის ნატეხს, ვაშლებს, ჩაიცვამს წითელ მოკლე პალტოსაც, მოიხვევს მოსახვევს, აიკიდებს ჩანთას და წავა სკოლაში.

სკოლაც დაბლაა, მეორე სოფელში, გაკვეთილები ათ საათზე ეწყებათ! სანამ იქ ჩავა, ტყეა, თავ-თავქვე ჩამავალი, შეწითლებული, ფოთლებშეთხელებული. მიდის, დილის ცინცხალ პაერში თითქოს ცხვირით მიიკვლევს გზას, მიაბუქებს ჩამოხვავებულ ათასი ფერის ფოთლებს, წასწვდება წითლად აღუდღუდებულ კუნელს, პაწაწა ხმაურზედაც კი კრთება, დადიდებული თვალებით იყურება აქეთ-იქით. ხანდახან მირბის კიდეც, მიიფეხვება, მიაფახფახებს ჩანთას. ვინც კი შეხვდება, ყველა გაღიმებული ეგებება, — მიდიხარ, ეთერ ქალო, სკოლაშიო? ეთერი მხოლოდ თავს უქნევს და უფრო ბევჯითად მიადგამს ნაბიჯებს.

სოფელში ჩასულს ზოგჯერ თუ დაემგზავრება რომელიმე მოსწავლე, უმეტესად მაინც მარტო მიდის. ჩავა ხეში. იქ, დიდ ლოდებს შორის, მოჩქრიალებს ლურჯი მთის წყალი, იმ წყალს ორჯერ ამოპკრავს ხელს, შესვამს ცოტას და მერე ცისკენ მიპყრობილი თვალებით დაიწყებს აღმართზე ასვლას.

აღმართი არც კი აქვს ათავებული, გამოჩნდება სკოლაც — დაბალი, ქართულკრამიტიანი, გრძელი, შეთეთრებული შენობა. სოფლური დერეფნის ბოძზე პკიდია თითბრის მოზრდილი ზარი, ზედ აწერია: „წმინდაო გიორგი შემწე მეყავ მე ულირსსა წინაშე ღმრთისა“. ეზოში დგას ლამაზად ასული ცაცხვი, იქვე — მუხის ბოძებში გაყრილი საკარჯიშო ღერძი, ცაცხვის ქვეშ – გრძელი ფიცრის სკამი.

ეთერიგულმოდგინედიწმენდსფეხებსაფხეკადდაგდებულდიდგუთნის სახნისზე. მერე დერეფანში შედის. დერეფნის კედელზე ჩამწკრიეებულია თეთრ მატერიაზე ყავისფერი საღებავით დახატული, გადახუნებული, გადაცრეცილი სურათები — აკაკი წერეთელი (საფეთქელთან მიტანილი ლამაზი ხელით), ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვისპირელი და ეკატერინე გაბაშვილი.

ეთერი მორიდებით გაიელის იმ სურათების ქვეშ და დაინტერესებული შეაღებს კლასის კარს. შიგნით ჯერ არავინ არის. დგას მხოლოდ ხუთი ცარიელი მერხი (ჯგუფში ცხრანი არიან), ერთიც თუნუქის დაჟანგული ღუმელი.

ეთერი რომ ჩანთას მოიხსნის, მაშინ შემოაღებს კარს დიდთაეა, დაფეთებული ბიჭი.

— ტოყე! — სალამიეით შეაგებებს ეთერი.

ბიჭი არაფერს ამბობს, იღიმება.

კლასის კედელზე დაბეჭდილი სურათი პკიდია. ხეა აეეაებული, ხის იქით ტრაქტორი ხნავს, ნახნავს გუნდად დასტრიალებენ ფრინველები. ქვეშ მიწერილი აქეს: „გაზაფხული“.

სკოლის იქით ძოჩანს ძველი, დანგრეული ეკლესია. ნანგრეეის წეერში აფუყული, დარდიანი რუხი მტრედი ზის.

ეთერი წიგნს გადაშლის და ტუჩების ცმაცუნით ამოიკითხავს:

„ჩინეთში, როგორც იცი, ჩინელები ცხოვრობენ, იმპერატორიც ჩინელი პყავთ...“

ტუჩები ღია რჩება, სახეზე სიამოენების შუქი ეფინება.

მამამისი ზემოთ, დიდ ტყეებში დააბოტებს და ხეებს ყარაულობს — უნებართეოდ არაეინ მოჭრას.

კითხვები და დავალებები:

როგორ გესმით ეპითეტი: "წლებისაგან აჩრდილებად ქცეული დედაბრები";

როგორ გესმით მეტაფორა: "მწუხარედ დაიხატებიან დერეფნის კედელზე";

იმსჯელეთ მწერლისეულ შეფასებაზე: "როგორც ყველა ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დგას";

განმარტეთ სიტყვა "შეშაშრული" ("ლოყები წითლად აქეს შეშაშრული");

განმარტეთ სიტყვები "მიიფეხვება", "მიაფახფახებს" ("ხანდახან მირბის კიდეც, მიიფეხვება, მიაფახფახებს ჩანთას");

როგორ გესმით მეტაფორა: "დილის ცინცხალ პაერში თითქოს ცხვირით მიიკვლევს გზას",

გაეცანით სოფლის სკოლის ინანიშვილისეულ სურათს. თქვენი სკოლა ან არდადეგებზე ყოფნისას თქვენ მიერ რომელიმე სოფელში ნანახი სკოლაც ასეთია?

თქვენი აზრით, საიდან უნდა გაჩენილიყო სკოლაში ზარი ასეთი წარწერით: „წმინდაო გიორგი შემწე მეყავ მე ულირსსა წინაშე ღმრთისა“?

დაახასიათეთ ეთერი;

რა მიგაჩნიათ ამ მოთხრობის სათქმელად? თქვენი აზრი დაასაბუთეთ;

დაწერეთ ესე "ჩემი სკოლა".

დააკვირდით:

ფრაზით: „თიოდე სახლი ჯერ ისევ სახურავმთელი დგას" — გადმოსცემს მწერალი, რომ სოფელი დაცლილი და მიტოვებულია, სხვა სახლებს უკვე უპატრონობითა და მოუვლელობით სახურავებიც ჩანგრეულიათ;

მოხუცებულთა სახლ-კარსა და უძრავ-მოძრავ ქონებას სიბერისა და მოუვლელობის კვალი აჩნია, ჭიანაჭამი და "დაჩამიჩებულია" ხეები, ნაქცეულია ღობე, ნარმოდებულია ბილიკები, "ძურწაშეხორხლილია" თხა, რადგან პატრონი ან ეეღარ ხედავს ამ ყველაფერს, ან ეეღარ საქმიანობს;

მწერალი არჩევს ექსპრესიულ სიტყვებს. მაგ.: "გადაყრუებული" ("ეზოში დადის მარტოობით გადაყრუებული ძაღლი"), "აღუდღუდებული" ("წასწვდება წითლად აღუდღუდებულ კუნელს"), "გადახუნებული, გადაცრეცილი" ("გადახუნებული, გადაცრეცილი სურათები");

მწერალი არ ასახელებს ეპოქას, სახლის, სკოლისა თუ სოფლის ინტერიერით ამოვიკითხაეთ, რომ სოციალისტური ეპოქაა;

"ეთერი გულმოდგინედ იწმენდს ფეხებს საფხეკად დაგდებულ დიდ გუთნის სახნისზე" და ამით სკოლის წინაშე მოკრძალებას გამოხატავს, ასევე, "მორიდებით გაიელის ქართველი მწერლების სურათების ქვეშ";

ეთერი დამოუკიდებელია, დიდიეით ცხოვრობს, თუმცა ბავშვია.

ანალიზისთვის:

სიცოცხლე გრძელდება

იმდროინდელ რეალობას, უმძიმეს ეპოქას ეხმიანება მწერალი ეთერის სახლის ინტერიერის ასახვით. აქ, ამ მიყრუებულ, სამმოსახლიან სოფელში შინაც კი კედლებზე სოციალისტური პლაკატები უკიდიათ: „დავიცვათ ტყე ხანძრისაგან", „მივცეთ სამშობლოს მეტი და მეტი ხორცი", „ეთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად". ჩანს, როგორ ძლიერად მუშაობდა იდეოლოგიური მანქანა.

ის ხანაა, როდესაც კომუნისტები ქადაგებდნენ მთიდან ბარში ჩამოსვლის აუცილებლობას და მთის სოფლები ნასოფლარებად გადააქციეს.

სკოლაში ძირითადად იმ მწერალთა პორტრეტებია გამოფენილი, რომლებიც პროლეტკულტის წარმომადგენელთათვის მისაღებნი იყვნენ.

ჩამოთელილთაგან: "აკაკი წერეთელი (საფეთქელთან მიტანილი ლამაზი ხელით), ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვისპირელი და ეკატერინე გაბაშვილი" — ოთხი ხალხოსანია.

ეკლესიის ზარიც კომუნისტებს სკოლაში წაუღიათ.

თუმცა ეს პრობლემა მეორეხარისხოვანია, ეპოქას მსუბუქად და გაკერით ეხება მწერალი.

"ეთერი" სიკვდილ-სიცოცხლის თემას ეხება. ამ პატარა მოთხრობაში ასახულია ერთი სოფელი გოგონას ყოველდღიურობა, მოვლენები მთის თითქმის ნასოფლარად ქცეულ სოფელსა და დასახურად განწირულ სკოლაში ვითარდება.

"ამ სოფლიდან ყველანი წავიდნენ, ზოგნი — ქალაქში, ზოგნიც — აქვე ახლოს, ბარის სოფლებში." — ასე იწყებს თხრობას რეეაზ ინანიშვილი და აქაურ ნასახლარებს დროისაგან დავიწყებულ დედაბრებსაც შეუსაბამებს, ქმნის მიტოვებული, ჟამისგან შელახული, მარად ვიღაცის მომლოდინე მოხუცებულების მშვენიერ, რეალისტურ მხატვრულ სახეს, ყველა ჩვენგანი იცნობს მათ: "ხან წარბებთან უდევთ აკანკალებული ხელი, ხან ყურის უკან; გამუდმებით ვიღაცას ელიან, ეხმაურებიან ყოველ პატარა ჩქამს:

— ბიჭო, გოგო! ხომ არავინა ხართ მანდ?"

სულის შემძვრელია მარტოხელა მოხუცებულის სახლ-კარის ინანიშვილისეული აღწერა, აქ ყველაფერს დაკარგვია ახალგაზრდული პეწი, თითქოს ყველაფერი დაბერებულა. სიცოცხლის დარჩენილ დღეებს ულიმღამოდ ატარებენ ჭიანაჭამი, "დაჩამიჩებული" ხეები, წაქცეული ღობეები, ნარმოდებული ბილიკები, "გადაყრუებული ძაღლი", "ძურწა-შეხორხლილი თხა", შემთხვევით თუ შემოფრინდებიან გზასაცდენილი ჩიტები: "დაბერებულან მათი ბაღის ხეებიც — ნიავი აქანავებს ჭია-ნაჭამ ქერქებს, ბალახებში ყრია წითელი ვაშლები, დაჩამიჩებული შავი ჭანჭური. დამპალა, ჩაფეხვილა ღობის ლატნები, ძურწა და ნარი მოსდებია ბილიკებს. ეზოში დადის მარტოობით გადაყრუებული ძაღლი, სამი თუ ოთხი ქათამი, ერთი ძურწაშეხორხლილი თხა, ხეებზე მოდიან თითქოსდა დაკარგული ჩიტბატონები"...

მოხუცებულის ახლოს ფერს კარგავს გარემო, არ ჩანს სიცინცხლე და სიხალისე, თითქოს ბუნებაც ერიდება სიბერეს. გვახსენდება ვაჟას სიტყვები, სიცოცხლეზე ნათქვამი:

"ამიტომა სძულს უძლური,
ვით ტანსაცმელი ძველია,
რომ უყვარს ნორჩი, ახალი —

მით დაიმშვენოს წელია".

მწერალი ქმნის ამგვარი სოფლის სკოლის ტიპურ სურათს: "სკოლაც — დაბალი, ქართულკრამიტიანი, გრძელი, შეთეთრებული შენობა. სოფლური დერეფნის ბოძზე პკიდია თითბრის მოზრდილი ზარი, ზედ აწერია: „წმინდაო გიორგი, შემწე მეყავ მე უღირსსა წინაშე ღმრთისა". ეზოში დგას ლამაზად ასული ცაცხვი, იქვე — მუხის ბოძებში გაყრილი სავარჯიშო ღერძი, ცაცხვის ქვეშ – გრძელი ფიცრის სკამი."

"გადახუნებული, გადაცრეცილი სურათები", "თუნუქის დაჟანგული ღუმელი" სკოლის სიძველესა და პედკოლექტივის დაუინტერესებლობაზე მეტყველებს.

აქ ყველაფერი ძველი და ყავლგასულია. ეკლესია დანგრეულა. მწერალი მტრედსაც კი მოწყენილს ხატავს: "სკოლის იქით მოჩანს ძველი, დანგრეული ეკლესია. ნანგრევის წვერში აფუყული, დარდიანი რუხი მტრედი ზის." სკოლის ზარიც, როგორც ჩანს, ამ ეკლესიისა უნდა იყოს.

ირგვლივ ყველაფერი გაყუჩებული და უსიცოცხლოა.

სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოდ, ამ ფონზეა ასახული ეთერი, ბავშვი თითქმის ნასოფლარად გადაქცეული სოფლიდან, რომელიც დადის გადაბერებულ, მომავლის თითქმის უქონელ სკოლაში, ერთ დროს აერიამულებულსა და ხალხმრავალს თითებზე ჩამოსათვლელი მოსწავლეები რომ დარჩენია, თუმცა გოგონას უხარია ყოველი დღის გათენება, დაინტერესებული მიიჩქარის სკოლაში, გულმოდგინეა, მოკრძალებული, ტუჩების ცმაცუნით კითხულობას და ოცნებობს: "ტუჩები ღია რჩება, სახეზე სიამოვნების შუქი ეფინება." ის ცხოვრობს და ბედნიერია.

"სოფლისა წესი ასეა,
ჩვენ წავალთ, სხვანი რჩებიან,
მკვდრების მაგივრად მალედვე
მეორეები ჩნდებიან" (ვაჟა).

არც მამამისია უსაქმოდ, ისიც ხვალინდელი დღისთვის ზრუნავს, "ზემოთ, დიდ ტყეებში დააბოტებს და ხეებს ყარაულობს — უნებართვოდ არავინ მოჭრას."

სიცოცხლე გრძელდება, ხვალინდელი დღეც გათენდება...

ლალი დათაშვილი

დამრიგებელი

ჩვენი სკოლის გვერდზე გორა იყო. იმ გორაზე ბევრი საინტერესო ამბავი ხდებოდა. ერთხელ ძაღლების მთელი ხროვა მოვიდა, პირღაპირ ჩვენ წინ დაიწყეს საძაგლობის ჩადენა. ჩვენ ეჭყიოდით, მუშტებს ვუქნევდით, ისინი მაინც თავისას განაგრძობდნენ.

შემოვიდა დამრიგებელი, ფერმკრთალი, ტანსწორი ქალი, შემოანათა თეთრად დაფენილი საყელოთი და თითქოს გაჩერებული შავი თვალებით. ჩვენ ჩვენს ადგილებზე დავსხედით, ცალი თვალი ისევ ძაღლებისაკენ გაგვირბოდა. დამრიგებელმაც გაიხედა, შეცბა, მაგრამ, თითქოს არაფერი დაუნახავსო, მშვიდად მიუჯდა მაგიდას, მშვიდად ამოიკითხა სია, მშვიდად დაიწყო მოწაფეების გაძახება. ოთხნი გაიძახა, სამს „ორი“ დაუწერა, ერთს — „სამი“. ორები რომ მიიღეს, ისინი ჩუმად იყვნენ, სამის მიმღები ტიროდა, ის ფრიადოსანი გოგო იყო, მშობლებიც კარგი პყავდა, პიონერული ყელსახვევი ყოველთვის აბრეშუმისა ეკეთა, დამრიგებელმა მკაცრად უთხრა, — ნუ ხლუქუნებ, სწავლა არის საჭიროო. გოგო უფრო ხმამაღლა აზლუქუნდა. მაშინ დამრიგებელმა ხელი მოკიდა, დერეფანში გაიყვანა და უთხრა: — ტირილს რომ მორჩები, მერე შემოდიო. გოგო სულ აღარ შემოსულა. გარეთ ძაღლები საძაგლობას განაგრძობდნენ.

გორაზე ჩვენი სკოლის დარაჯი ავიდა, ძაღლებს ფიცრის ნატეხით დაერია. ზოგი ძაღლი გაიქცა, მოშორებით დადგა და იქიდან იყურებოდა, ზოგი წიხლის ჩაზელასაც კი არ გრძნობდა. დარაჯს ვიღაცა კაციც აეშველა. ძაღლები წკავწკავებდნენ, სკოლა ჩუმად იყო. დამრიგებელი გაკვეთილს ხსნიდა. მგონია, არაფის არაფერი გაუგია. ზარის დარეკვამდე მასწავლებელმა ესეც თქვა: — დღეიდან ბინებში ჩამოვლას ვიწყებ, თქვენი ოჯახური პირობები უნდა შევისწავლო, თუ რომელიმეს მოსწავლის კუთხე წესრიგში არა გაქვთ, სასწრაფოდ მოაწესრიგეთო.

მოსწავლის კუთხე ყველას უნდა გექონოდა. იმ კუთხეში პატარა მაგიდა უნდა მდგარიყო. კედელზე გაკრული უნდა ყოფილიყო ბელადების სურათები, ქვემოთ გაკვეთილების ცხრილი, სულ ქვემოთ — მოსწავლის დღის რეჟიმი. იქვე ჩვენთვის უნდა გექონოდა სუფთა პირსახოცი, კბილების სახეხი ჯაგრისი და ფხვნილი.

მე თავზარი დამცა დამრიგებლის ნათქვამმა. მთელი ჩვენი ოჯახი ერთ კლდესშიკრულ პატარა ქოხში ცხოვრობდა, რვა კვადრატულ მეტრში, ისიც არასრულ რვა კვადრატულ მეტრში. ხუთნი ვიყავით: დედა, ბებია, ჩემი და, ჩემი ძმა და მე. ერთი „კუშეტკა“ გვედგა, ერთი უზურგო „ატამანკა“, ერთი მაგიდა. მაგიდის ქვეშ — სკიერი, აქეთ, კარისკენ —

„ტუმბოჩკა“, კარს უკან — ნავთქურა. მე და ჩემი ძმა ერთად ვიძინებდით, დედა და ჩემი და — ერთად. ბებია ძირს იძინებდა, იატაკზე. იატაკი მიწის პირად იყო. თუ დიდი წვიმა წამოვიდოდა, წყალი შინ შემოგვდიოდა. იატაკი რომ დასველდებოდა, მაშინ ბებიას მაგიდაზე ეძინა. მაგიდა პატარა იყო. მაგრამ არც ბებია იყო დიდი, მით უფრო, თუკი მოიკუნტებოდა.

ბებიას ერთი ბოხჩა ჰქონდა, „ატამანკის“ უკანა კუთხეში ედო, ბოხჩაში ჩიხტიკოპი და ლეჩაქ-ბაღდადი იყო გამოხვეული. იქვე იდო ძველებური სქელფურცლიანი რვეული, ცისფრად დახაზული, ცისფერიეე კლაკნილებით არეებგამოყოფილი. რვეულში საკუთარი ხელით ჰქონდა ჩაწერილი რვეოლუციური ლექსები: „აღსდექ, შრომითა დაღდასმულო“, „შაეი ღრუბლები თავს გვეხვეეიან“, „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“, „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი, მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი“ და სხვა. ამ რვეულშივე ეწყო გამხმარი, გასიფრიფანებული იები. იმ იებს ხელს ვერავინ ახლებდა, თვითონაც მოკრძალებით, ხელის კანკალით გადადებდა ხოლმე ერთი გვერდიდან მეორეზე. ჩვენი ბავშვების რვეულები და წიგნები ფანჯრის რაფაზე იყო აკოკოლავებული.

დედა სამუშაოზე დადიოდა, ბავშვებს ბებია გვიელიდა. ყველანი ადრე ვდგებოდით. ბებია მე მომატანინებდა პურს, შავ პურს, თვითონ გააკეთებდა ლობიოშეჭამანდს ან უხორცო სუპს, ან ტყუილ ჩიხირთმას... და ვიყავით მშვიდად, ტკბილად. ჩვენთან არავინ ჩხუბობდა, ამას რატომ არ ჭამ ან გაკვეთილებს რატომ არ აშზადებო...

„თქვენი ოჯახური პირობები უნდა შევისწავლოო“, და შინ წელმოწყვტილიეით დავბრუნდი. უგემურად, ღიზიანად შევჭამე ცოტა რამ და წავედი, დავიკარგე, ხუდადოვის ტყის პირას ავბორიალდი. იქ ყოველთვის იყვნენ ჩემი ტოლი ბიჭები. მწვანიანზე ხან ფეხბურთს ვთამაშობდით, ხან ლახტს, ხან კოჭაობას და ხანაც კაკლაობას. შიგნით, ტყეში, დიდი ბიჭები ჩაპკუნტებოდნენ ჩვენთვის საშინელ თამაშს — ყომარს. ზოგჯერ ვიღაც ქვემოდან ამოსული ქალი და კაციც ეალერსებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ ჩუმად ვეპარებოდით და თვალებდადიდებულნი ვუყურებდით.

სანამ კარგად არ დაღამდა, ქვემოთ აღარ გადამიხედავს, — არ მინდოდა, დამრიგებელს შინ დავხვედროდი. მეორე დღესაც ასევე, — მოვედი სკოლიდან და დავიკარგე. მერეც, მთელ კვირას, დაღამდებოდა და მაშინ ძლივს გაებედავდი შინ შესვლას.

გადარეული იყო ბებია, ხმადაბლა, მაგრამ ცუდად მწყევლიდა დედა, მე ქვასავით ვდუმდი. ბებია იმუქრებოდა, — ამოვალ იმ შენ სკოლაში და წერილად მოვახსენებ მასწავლებლებს შენი ხელიდან წასვლის ამბავსო. მაგრამ ბებიას სკოლაში ამოსვლა არ დასჭირდა. დამრიგებელი

თეითონ ეწვია. მე, რა თქმა უნდა, შინ არ დავხედი. ბიჭები იმ დღეს მლაშე ტბებზე ეიყაეით. დამსხდარან ბებია და დამრიგებელი, კარგა ხანს ულაპარაკიათ. მე რომ დაებრუნდი, დამრიგებელი ახალი წასული იყო. ბებიამ შეებამიცემულმა მითხრა, — მოვახსენე, როგორც საჭირო იყო, შენს დამრიგებელს ყველაფერიო. მე არც ამაზე ამომიღია ხმა. მოღუშული მიეუჯექი მაგიდას. შეეჯამე ჩემი შესაჭმელი, მერე არითმეტიკა დაეწერე, მერე — ქართული, და ადრე დაეწექი. იმ ღამეს სამჯერ გამელვიძა. მამლების ყივილი მესმოდა, მკერდში სულ რაღაც მწიწკნიდა.

მეორე დღეს თაეს ეველარ ეწვედი გაკვეთილებზე. დამრიგებელი რომ შემოვიდა, მაშინ ხომ მინდოდა, მიწაში ჩავმძერალიყავი, თითქოს კიდეც მციოდა, მაკანკალებდა. გაიძახა სხვები. თან იმათ უსმენდა, თან მერხებს შორის მიმოდიოდა, მე სამჯერ ამიარა გვერდით. ერთხელ შეჩერდა, თავი ამაწევინა და თითქმის ჩურჩულით მითხრა, — ასწიე თავი, შენ ძალიან კარგი ბებია გყავსო.

ორი დღის შემდეგ კი დამიძახა, ნავთით სავსე ბიდონი მომცა, — ეს ბიდონი ჩვენთან მიიტანეო. მე ვერაფერი ვთქვი, მაგრამ მაინც მიხვდა, სახლი რომ არ ეიცოდი. მასწავლა. აგერ ასე წახვალ, აგერ ასეო, და წავედი. ადვილად ეიპოვე, მივიტანე ბიდონი. შინ დამრიგებლის დედა და უმცროსი და დამხვდნენ. ბიდონი ჩამომართვეს. – შემოდი, შემოდიო, — დამრიგებლის დედამ, და თითქმის ძალით შემიყვანა შინ. ორი ვაშლი მომცა. მე სულ თაეჩაღუნული ვიდექი, მაგრამ მაინც მიეხვედი, რომ მათი ოთახი ჩვენს ოთახზე პატარა იყო, მაღალი, მაგრამ პატარა. დამრიგებლის და დაბნეული, სახეარეული ანგელოზივით იყო მიმდგარი ერთ კუთხეში.

წამოვედი. ვაშლის ჭამა არ მინდოდა. მერე მაინც ფრთხილად ჩავკბიჩე, თაეს ეიკაეებდი, მაგრამ ერთი მწარე ცრემლი მაინც მოვიწმინდე მაჯით...

იმ დღიდნ დამრიგებელი ძალიან შემიყვარდა. ვატყობდი, იმასაც ეუყვარდი. ერთხელ თაზედაც დამადო ხელი და მითხრა, — თმა შეიკრიჭე, ეგრე არ გიხდებაო. მე მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი. ის (მერე გავიგე) ოცდაშვიდისა ყოფილა. ძალიან სუფთად, სპეტაკად იცვამდა. სიარულიც ლამაზი იცოდა, თითქოს სულ რაღაცას უსმენდა. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ გაიღიმებდა. რაღაცნაირი სქელი, მაგრამ პაეროვანი თმა პქონდა, კისერთან სწორად წაჭრილი. ერთხელ დავინახე, როგორ სტაცებდა ქუჩაში იმ თმას და კაბის კალთებს ქარი. დამრიგებელი ერთი ხელით თმას იჭერდა, მეორე ხელით – კაბის კალთებს, და იცინოდა... ამგვარი მშვენიერი სიცილი მერე აღარ მინახავს ქვეყანაზე.

კითხვები და დავალებები:

იმსჯელეთ ეპითეტზე: "თითქოს გაჩერებული შავი თვალები";

თქვენი აზრით, რას გამოხატავს მწერალი ზმნით "ავბორიალდი" ("ხუდადოვის ტყის პირას ავბორიალდი");

შეაფასეთ, როგორ იქცევა დამრიგებელი, პირველივე გაკვეთილზე ორებს რომ წერს კლასში? მის ადგილას თქვენ დაუწერდით ხუთოსან მოსწავლეს სამიანს, ან როგორ მოიქცეოდით, როცა გოგონა ატირდა და კლასიდან გაყვანილი უკან აღარ შემობრუნდა?

თქვენი აზრით, რატომ აქებს დამრიგებელი მთხრობელის ბებიას და რა მიზნით აგზავნის ბიჭს თავისთან?

როგორ გესმით შედარება: "ქვასავით ვდუმდი"?

როგორ გესმით შედარება: "დამრიგებლის და დაბნეული, სახეარეული ანგელოზივით იყო მიმდგარი ერთ კუთხეში"? როგორ ფიქრობთ, რამ დააბნია გოგონა? რა კავშირს ხედავთ დამრიგებლის ღასა და ბიჭს შორის?

დაახასიათეთ ბიჭი;

დაახასიათეთ დამრიგებელი;

თქვენი აზრით, რატომ იცვლება ბიჭის დამოკიდებულება დამრიგებლისადმი?

დაწერეთ ესე "ჩემი დამრიგებელი".

დააკვირდით:

დამრიგებლის გამოჩენა რომ მომავალში სიკეთეს უქადის ბიჭს, ჩანს ზმნით "შემოანათა" ("შემოანათა თეთრად დაფენილი საყელოთი");

ბიჭს არ გამოეპარა დამრიგებლის არც ერთი მოძრაობა თუ რეაქცია. შეამჩნია, როგორ შეცბა, როცა დაინახა, რომ "გარეთ ძაღლები საძაგლობას განაგრძობდნენ";

მწერალი ზმნით "ჩაპკუნტებოდნენ" გამოხატავს მთხრობელის შიშსა და უარყოფით დამოკიდებულებას ყომარბაზი ბიჭებისადმი: "დიდი ბიჭები ჩაპკუნტებოდნენ ჩვენთვის საშინელ თამაშს — ყომარს";

ბიჭისა და დამრიგებლის ოჯახების ფონზე ჩანს, რომ საზოგადოების უმრავლესობა გაჭირვებით ცხოვრობს;

ბიჭსა და დამრიგებელს გაჭირვება აახლოებთ;

მოთხრობის ბოლოს ბიჭს დამრიგებელი უკვე უყვარს, ამიტომაც ლამაზ და კეთილშობილ ქალად მიაჩნია, — მანამდე მას სხვანაირად აღიქვამდა.

ანალიზისთვის:

თავისუფლების სიცილი

„დამრიგებელი" თორმეტი წლის ბიჭს გვაცნობს და მისი თვალით აგვისახავს გარესამყაროს: სკოლას, ოჯახს, მის ირგვლივ არსებულ საზოგადოებას.

მთხრობელი ჩვეულებრივი ბიჭია, მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მსოფლგანცდით. თანატოლებთან ერთად შიშითა და რიდით შესცქერის ყომარის მოთამაშე დიდ ბიჭებს, ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით სავსე "ჩუმად ეპარება ქალსა და კაცს და თვალებდაღიდებული უყურებს" მათ ალერსს. სიღრმისეული დაკვირვებისა და განსჯის გარეშე (რაც მოულოდნელი იქნებოდა) გვიამბობს თავისი ცხოვრების ერთ ეპიზოდს, პირველად რომ შეეჯახა მწარე რეალობას და იგრძნო თავმოყვარეობის შელახვის სიმწარე. მწერალი ამით მის ფსიქოლოგიურად ზუსტ სახეს ქმნის, რადგან ეს ასაკი გულისხმობს ნანახისა თუ განცდილის სარკისებურ და ზედაპირულ ასახვას, ყველაფრის (განსაკუთრებით, აკრძალულის) მიმართ ფრთხილ, შიშნარევ ინტერესს, ყველა ამბის შესახებ დაუღალავ თხრობას, რომლებიც კი მის გარშემო ხდება.

მოთხრობაში ამოიკითხება სოციალიზმის უკუღმართობანიც, თუმცა, მსუბუქად და გაკვრით. ასახვის ამგვარი მანერა მწერლის მიერ მთხრობელის ასაკის გათვალისწინებით სწორადაა შერჩეული, რადგან ბიჭისთვის ჯერ ადრეა შორსმიმავალი დასკვნები. ამავე დროს, მსუბუქად თხრობა, მკითხველისთვის სევდისა და არა კაეშნის მოგვრა, დამახასიათებელია რევაზ ინანიშვილის სტილისთვის, რაც ქრისტიან მოაზროვნეთა წუთისოფელთან დამოკიდებულებას გვაგონებს. მათ მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ საწუთრო უამრავ მახეს უგებს კაცს, მაგრამ ამას აღიქვამდნენ როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, რომელთანაც გონივრულ და ზომიერ მიმართებას ამყარებდნენ ზედმეტი დარდისა და სამყაროული პრობლემებით გაღიზიანების გარეშე, კეისარს კეისრისას აძლევდნენ და ღმერთს — ღმრთისას.

ყველაფერში იგრძნობა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს გაჭირვებით გააქვს თავი. ბიჭიცა და დამრიგებელიც ძალიან ვიწროდ, ცუდ პირობებში ცხოვრობენ. ბიჭი გვიამბობს: "მთელი ჩვენი ოჯახი ერთ კლდესმიკრულ პატარა ქოხში ცხოვრობდა, არასრულ რვა კვადრატულ მეტრში. ხუთნი ვიყავით: დედა, ბებია, ჩემი და, ჩემი ძმა და მე". გულისმომკვლელია

იმის წარმოდგენა, ბებიას როგორ სძინაეს იატაკზე, მიწის პირად, ან მაგიდაზე მოკუნტულს, რადგან წვიმის დროს წყალი იატაკს უსველებთ. დამრიგებელს კიდევ უფრო პატარა ბინა აქვს.

ოჯახები მწირად და ღარიბულად იკვებებიან. მათი საზრდო შაეი პური და ყველაზე უბრალო საჭმელია: "ლობიოშეჭამანდი, უხორცო სუპი, ან ტყუილი ჩიხირთმა..."

გაჭირვება თვალშისაცემია სკოლაშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ფორმებით დადიან, მოსახლეობის ეკონომიური დიფერენციაცია მაინც შეინიშნება. ამიტომაც ამბობს ბიჭი თავის კლასელზე, რომ მას "პიონერული ყელსახვევი ყოველოვის აბრეშუმისა ეკეთა"

რევაზ ინანიშვილისეული სიტყვები: "ვიყავით მშვიდად, ტკბილად" — ქვეტექსტურად გულისხმობს დამონებული საზოგადოების ინდიფერენტიზმს, რადგან შეუძლებელია, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის იმ პირობებში ცხოვრებას პროტესტის გამოთქმის სურვილი არ გაეღვიძებინა.

თუ რა ძლიერია სოციალისტური რეჟიმის იდეოლოგიური წნეხი, ჩანს მოსწაელის კუთხის აღწერილობით. არა მხოლოდ იმის გამო, რომ ყოველი დეტალი გათვლილი იყო, მაგ.: მაინცდამაინც კუთხეში რომ უნდა მდგარიყო პატარა მაგიდა, არამედ ბელადების სურათები ისევე სავალდებულო იყო, როგორც გაკვეთილების ცხრილი ან კბილების სახეხი ჯაგრისი. ("მოსწაელის კუთხე ყველას უნდა გვქონოდა. იმ კუთხეში პატარა მაგიდა უნდა მდგარიყო. კედელზე გაკრული უნდა ყოფილიყო ბელადების სურათები, ქვემოთ გაკვეთილების ცხრილი, სულ ქვემოთ — მოსწაელის დღის რეჟიმი. იქვე ჩვენთვის უნდა გვქონოდა სუფთა პირსახოცი, კბილების სახეხი ჯაგრისი და ფხვნილი").

ბებიას სქელფურცლიან რვეულში, რომელიც მისთვის დღიურისა და მესაიდუმლის ფარდია, "საკუთარი ხელით ჰქონდა ჩაწერილი რვეოლუციური ლექსები", რომლებიც მისთვის ისეთივე ძვირფასი იყო, როგორიც "ამ რვეულშივე ჩაწყობილი გამხმარი, გასიფრიფანებული იები." მასვე შენახული ჰქონდა "ბოხჩაში ჩიხტიკოპი და ლეჩაქ-ბაღდადი". ამავე დროს, რვეულში ლამაზად ჰქონდა ჩაწერილი ლექსი: „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს". ამით მწერალი გამოხატავს სოციალისტური წნეხის ქვეშ მცხოვრები ადამიანების გაორებას, მათი გულები სხვა მიმართულებით მიისწრაფვიან, გონება კი სოცრეალიზმით აქვთ შეცვლილი და დამძიმებული.

ბიჭი მომავალი საქართველოს შვილია. დღეს ფიქრს იწყებს თავისი ოჯახის უსახსრობაზე, ეჭვი შეაქვს მასწავლებლის საქციელის სისწორეში, ტყეში სიარულით თავისებურად გამოხატავს პროტესტს, არ სურს მის სულსა და ცხოვრებაში ვიღაცამ აფათუროს ხელები — გაუცნობიერებლად მიისწრაფის თავისუფლებისაკენ. ამიტომ, როცა თანასწორად ჩათვლის დამრიგებელი, მასაც აჩვენებს თავის ბინას მისი სახლის მონახულების შემდეგ, შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქებს გულდამძიმებული.

მხოლოდ თავისუფალი სული შეიგრძნობს ბედნიერებას, "მონობა სულის საჭურისობაა" (თამაზ ჭილაძე). ამიტომაც ბიჭს ის "კადრი" ახსოვს, რომელშიც უდარდელი სულის ლხინი გამოიხატა: როდესაც "სტაცებდა ქუჩაში თმას და კაბის კალთებს ქარი, დამრიგებელი ერთი ხელით თმას იჭერდა, მეორე ხელით – კაბის კალთებს, და იცინოდა..." აქ არაფერია სხვის შესახედად ჩადენილი, ქალი ლაღი, თავისუფალი და ადამიანურია, ბორკილთაგან თავდახსნილი იმას აკეთებს, რაც სურს. ასეთი თავისუფლება საოცნებო იყო სოციალიზმისას, ასე უდარდელად ვერავინ ცხოვრობდა, ასე ლაღად ვერავინ გაიცინებდა.

ამიტომაც ამბობს მწერალი: "ამგვარი მშვენიერი სიცილი მერე აღარ მინახავს ქვეყანაზე." — თავისუფლების წყურვილი "იცინოდა" ბიჭის სულში.

ლალი დათაშვილი

ტყის შვილები

— თინო! თინო! — იძახდა ბებერი რცხილის კენწეროზე შემომჯდარი საბა ჩხიკვი.

— რა გინდა, რა! — ამოსძახა ხმელი ფოთლების ქექვით გართულმა თინომ.

— გაიხედე ერთი, გაიხედე!

— რა არის, სად უნდა გავიხედო, კაცო?

— გზაზე გაიხედე-მეთქი, გზაზე.

— იი, მოიგონებ ხოლმე რაღა თითო რამესა...

თინო ჩხიკვმა უხალისოდ მოიქნია ფრთები. აფრინდა და თავისი მეუღლის გვერდით ჩამოჯდა.

— აბა, რა არის, რასა ხედავ ისეთსა?

საბამ გზისკენ ანიშნა და სიცილი წასკდა.

— ხი-ხი-ხი...

გზაზე თოფმომარჯვებული ბიჭი მოდიოდა და მედიდურად იყურებოდა აქეთ-იქით.

— ეგ ვიღას დანარჩენია, ქა! — გაიკვირვა თინომ.

— ვერა სცნობ? იჩოა.

— ვისი იჩო?

— გაბიდაურებისა.

— უყურე მაგ ცინგლიანს, მაგასაც რომ თოფი აუღია! აი, მეხი კი დავაყარე მაგის წარუკა დედასა, აპა! იმ კარგი მამის თოფი მაგას როგორ ჩაუგდო ხელში?

— ე, იძახი, რაღა! ერთი ჩვენი ბარტყები გვიჯერებენ ხოლმე და მეორეც ეგ დაუჯერებდა თავის დედასა! მერე, რა ქვის ნატეხია, რომ იცოდე!

— დახე, როგორ მოდის! დახე, მაგ ცინგლიანსა, — ისევ გაწიწმატდა თინო და საბას მიუბრუნდა: — რას იღრიჭები, კაცო, სასაცილო რა არის! ამ აღმართის თავში, კუნელზე, შაშვები სხედან, შევატყობინოთ, ემანდ რამე არ ავნოს მაგ უხეირომ.

— თვალი არავის გამოსთხაროს! — დაცინვით გაიღრიჭა საბა, მაგრამ თინო აფრინდა, ქმარს წამოუფარფატა, წყრომით დასჩხავლა: — ადე, მეზობლები არიან, სირცხვილიაო. — და საბაც, მეტი რა გზა ჰქონდა, გაპყვა ფრთების ნელ-ნელა ქნევით, მთქნარებით, დამცინავი ღიმილით.

— მეზობლებო, არ გესმით, მეზობლებო?! — ჩასძახა თინო ჩხიკვმა შაშვებს.

— რა გნებავთ, ნათლიდედ, რა! — ამოეპასუხა კუნლის ტოტებიდან ქვრიეი შაშვი თებრო.

— ცოტა ფრთხილად იყავით, ქვემოდან მონადირე მოდის...

— ვინ მონადირე, ქა, ამ შუადღისით, ვინა?

— ვინა და გაბიდაურების პატარა ბიჭი, იჩო.

კუნლის ბუჩქიდან სამი შაშვი ამოფრინდა და იმათაც გზისკენ დაიწყეს ყელყელი და მზერა;

— აი, იჩო მაგასა და ნაცილის გამოვარდნა, აპა! ეგ ისეთი მავნე რამ ყმაწვილია, ჯერ შურდულით არ გეაძლევდა მოსვენებას და თოფით ხომ მთლად ამოგვეუფავს დედაბუდიანად! შვილო, მალხაზო, გადაფრინდი აი მანდ, მლაშე წყალთან, ობოლი ბაჭია სძოეს და უთხარი, გაერიდოს, სიფრთხილეს თავი არა სტკივა-თქო.

— მაგ ბიჭს ჩვენზე მეტად ეშინია თავისი თოფისა! — ჩაიდუდღუნა საბა ჩხიკვმა.

— რას ბრძანებთ, ნათლიმამ, არ იცით, რვები არიან ახლანდელი ყმაწვილები? — ზრდილობიანად შეუბრუნა სიტყვა თებრო შაშვმა და მერე შვილს შეუტია: — რასა ზიხარ, ბიჭო, წადი, შეატყობინე იმ საწყალ ბაჭიას, სანამ გვიან არ არის.

ბაჭიამ, გაიგო თუ არა, მონადირე მოდისო, არაფერი არ უთქვამს, გაიწყო სიფრიფანა ყურები მხრებზე და გავარდა თავ-პირის მტვრევეით სერ-სერ. ჩხიკვმა და შაშვებმა კი ცოტა ტყის სიღრმისაკენ გადაინაცვლეს და ახლა იქიდან ადევნებდნენ თვალს დიდი ამბით მომავალ იჩოს.

მოდიოდა იჩო და როგორ მოდიოდა! თოფი მომარჯვებული ეჭირა თითქოს იქადნებოდა, აბა, მოვდივარ და ვაი ხესა და ქვასაო.

— აი, რა ვუთხრა მაგის დედას! — ბრაზობდა თებრო შაშვი, — ნეტავ რა ქილა-ქოცოებს დაავსებს ჩვენი ქონ-ხორცითა! ერთი ჭკუის მასწავლებელი უნდა იყოს ვინმე, რომა...

— ვიღა დარჩა, შენ შემოგეელოს ჩემი თავი, ამ ჩვენს ტყეებში ეგეთი! თვევდრე დათვი იყო ხოლმე ჩვენი ქომაგი და ისიც შარშან გამოასალმა წუთისოფელს მზესშესაწყვეტმა ბრუციანმა ესტატემ.

— იმის ბიჭისათვის რომ გვეთხოვნა, აშლაპუნესთვის? — ფრთხილად ჩაურთო სიტყვა მალხაზა შაშვმა, რომელიც უკვე დაბრუნებულიყო და მორიდებით შესცქეროდა უფროსებს.

— ის რის შემძლეა, შვილო, აუღია თავი და დღე და ღამე მუცლის ამოსაყორავად დადის. შემძლეც რომ იყოს, იმის გზას ვინ მიაგნებს.

— დილას მე ვნახე. ამ სერს გადავალთ თუ არა, დაბლა, პანტებს ბერტყავდა. ეგ ბიჭიც სწორედ იქით მიდის.

უფროსებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენ რას გვირჩევდით, ნათლიმამ?

— დაანებეთ თავი იმ დოღრიალა აშლაპუნესაც და მაგ ყმაწვილსაც. პატარა ბიჭია, გაუშვით, გაიხაროს. ჩვენ მოვერიდოთ და ეგა იელის, იელის, დაიღლება, ერთი ორჯერ გააბახუნებს თოფს პაერში და წავა შინ, — თქვა საბა ჩხიკვმა.

— რას ამბობ, კაცო, რას! — გაუწყრა თინო ჩხიკვი. — ეგ ისე დაბრუნდება შინ, რომ რამე არ მოინარიკლოს? წავიდეთ და, თუკი აქ ახლოა, ვთხოვოთ იმ სახელოვანი მამის შვილსა. მართლა ისე ხომ არ იქნება, რომ არაფერი შეეძლოს. ტანადობით მამაზე დიდია თითქმის.

აფრინდნენ ჩხიკვები და შაშვები და წავიდნენ.

მიფრინავდნენ ტყე-ტყე აღმა-დაღმა და თან მთელი ტყის გასაგონად იძახდნენ:

— მონადირე! მონადირე მოდის, მოერიდეთ!

— თქვენ სადღა მიფრინავთო, — ეკითხებოდნენ ქვემოდან, ტყის სიღრმიდან ქედნები, კაკბები და კოდალები.

— თევდორე დათვის შვილთან, იქნებ ეგ ბიჭი დააშინოს, თორემ მაგან თუ ხელი გაიჩვია, მერე აღარავის დაგვედგომება აქ.

— დაიცათ, ჩვენც მოვიდვართო, — და მიპყვებოდნენ, მიჩხაოდნენ, მიწრიპინებდნენ ქედნები, კაკბები, კოდალები.

ყველა რაღაცას ჩიოდა, ყველა რაღაცა რჩევას იძლეოდა. მხოლოდ საბა ჩხიკვი არ იღებდა ხმას და დამცინავი ღიმილით ხან ერთს გადახედავდა, ხან — მეორეს, ხან — მესამეს...

აშლაპუნე დათვი პანტით ისე გამძღარიყო, რომ კუჭი სტკიოდა. ჩამჯდარიყო ერთ ფუტურო მუხასთან, წამოეშვირა ვეება მუცელი, წინა თათებით იზელავდა, ფშვინავდა და რაღაც ლექსს ბუტბუტებდა:

„აუსვი და დაუსვი,
ჩავარდება გულსაო.“

შემოეხვივნენ ფრინველები და დაუწყეს ხვეწნა-მუდარა. დათვმა ყურებში თითები დაიცო და თვალები დახუჭა: — ერთმა თქვას, რა გინდათ, ყველა რომ ერთად ყაყანებთ, რა გავიგოო.

მაშინ თინო ჩხიკვი წადგა წინ და გულზე ფრთა შემოიფათქუნა.

— გვიშველე, იმ შენი კარგი მამის სახელის დღეგრძელობამ. გვიქენი სიკეთე და, აი, თოფიანი ბიჭი რომ მოდის გზაზე, ის შეგვიშინე. შეგვიშინე, თორემ გაგვეჟუჟავს, მთლად ამოგვეულეტავსო.

— დამშვიდდით, დაწყნარდით! — ჩაიდუდუნა დათვმა და წამოდგა, — აბა მაჩვენეთ, სად არის ის ბიჭიო.

— აგერ, გზიდან გადმოუხვია და ახლა ბილიკს მოპყვება.

დათვი მუხაზე აბობღდა, წინა თათით მოიჩრდილა და ბილიკს გახედა.

— ხოო... ეგ არის?! თქვენ ცოტა იქით გადადით, მე ვასწავლი მაგას ჭკუასა...

დათვი მუხიდან ჩამოვიდა და აღმართს შეუყვა. მიდის აღმართ-აღმართ, მიიბღოტება. ზოგ ფრინველს პგონია, ეგ არის, მოგვატყუა და მიიპარებაო... მაგრამ დათვი შედგა, კლდის თავზე ჩამოჯდა, თვალები მოიჩრდილა.

დაბლა, ბილიკზე კი, ისევ ისე მედიდურად მოდის იჩო ბიჭი, ყოველ ბუჩქს ათვალიერებს, ხან რას მოუღერებს თოფს და ხან რას. სადაცაა დათვსაც გაუპირდაპირდება.

გაუპირდაპირდებაო და, დათვი მოიკუნტა, დაგორდა, თითქოს კლდე მოიმძღლაო, წამოვიდა გრიალით, ლაწალუწით, ზედ იჩოს ფეხებთან გაიშალა ეება ბოღჩასავით, წამოტოტდა და...

— ბაა! — დაიღრიალა შემზარავად.

იჩოს თოფი ხელიდან გაეშვა, ვაიმე დედაო, და მოუსვა, რაც ძალი და ღონე პქონდა.

— დამიდექ, დამიდექ, თუ ბიჭი ხარ! — მიპბუხუნებდა დათვი და, ვითომ მისდევდა, ფეხებს ერთ ადგილზე ატყაპუნებდა.

— ხა-ხა-ხა! — ახარხარდა ტყე, — ხა-ხა-ხა...

მერე, თავქუდმოგლეჯილი იჩო რომ სერს გადაეფარა, დათვსაც გაეღიმა. იჩოს თოფი აიღო, დაათვალიერა, — ფუიო, — შემოპკრა ხეს და ორად გადაამტერია. კონდახი ერთ მხარეს გადააგდო, ლულა — მეორე მხარეს, ფრინველებს თათი დაუქნია, — კარგად იყავითო, და წავიდა თავისი გზით, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეშვენის, ქებას თავი აარიდა.

გახარებული ფრინველები კი მაინც დიდხანს მისდევდნენ და აქებდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ. დათვი ხანდახან თუ შეჩერდებოდა, ახედავდა ფრინველებს, გამოაჩენდა თავის თეთრ კბილებს, გაეღიმებოდა კეთილად და მერე თავის ქნევით, თათების ლარტყალურტყით მიდიოდა, მიძუნძულებდა... მხოლოდ საბა ჩხიკვი იჯდა ერთ ადგილას, მარტოდმარტო, და ცხვირში დუდღუნებდა:

— უკვირთ მაგათაც რაღა! დიდი ვაჟკაცობაა თითისოდენა ბალღის შეშინება! აბა, მაგისი მამა რომ მოკლა ბრუციანმა ესტატემ, ის შეაშინოს! აბა, ლევანა მონადირე შეაშინოს. დიდი ამბავია, თითისოდენა ბალღი თუ შეაშინა!... თინო, თინო!.. დაბრუნდები თუ არა, თინო! თინო!

კითხვები და დავალებები:

განმარტეთ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები: "ეგ ვეღას დანარჩენია", "ქვის ნატეხია", "თვალი არავის გამოსთხაროს", "სიფრთხილეს თავი არა სტკივა", „გავარდა თავ-პირის მტერევით", „ადევნებდნენ თვალს", „ხელი გაიჩვია";

როგორ გესმით: „ეგ ისე დაბრუნდება შინ, რომ რამე არ მოინარიკლოს?"

დაახასიათეთ იჩო;

დაახასიათეთ აშლაპუნე;

რა მიგაჩნიათ ამ მოთხრობის მთავარ თემად?

დააკვირდით:

მწერალი აზრის უკეთ გადმოსაცემად ქმნის ახალ სიტყვებს: "წარუკა" ("მეხი კი დავაყარე მაგის წარუკა დედასა"), "ნაცილი" („იჩო მაგასა და ნაცილის გამოვარდნა!"), „ყელყელი" („იმათაც გზისკენ დაიწყეს ყელყელი"), „მზესშესაწყვეტი" („გამოასალმა წუთისოფელს მზესშესაწყვეტმა ბრუციანმა ესტატემ"), „გაუპირდაპირდება" ("სადაცაა დათესაც გაუპირდაპირდება"), "მოიმძვლა" ("თითქოს კლდე მოიმძვლაო"), "წამოტოტდა" ("გაიშალა ვეება ბოლჩასაეით, წამოტოტდა და...");

მწერალი ოსტატურად იყენებს ზმნისწინებს, რომ ზმნამ შეიძინოს ახალი ელერადობა და მოერგოს კონტექსტს: "წამოუფარფატა" ("თინო აფრინდა, ქმარს წამოუფარფატა"), "შემოიფათქუნა" („გულზე ფრთა შემოიფათქუნა"), „მიიბღოტება" ("მიდის აღმართ-აღმართ, მიიბღოტება");

მწერალი ქმნის ახალ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამს: "ვაი ხესა და ქვასაო";

მწერალი ქმნის ხმაბაძვით სიტყვებს: "გააბახუნებს" ("გააბახუნებს თოფს ჰაერში"), "მიპბუხუნებდა" („მიპბუხუნებდა დათვი"), „ლარტყალურტყით" („თათების ლარტყალურტყით მიდიოდა");

ტყეში მრავალფეროვანი „საზოგადოებაა".

ანალიზისთვის:

ტყის ქომაგი

ამ მოთხრობაში ტყე მეგობრობითა და სიყვარულით სავსე საზოგადოების სიმბოლო და მიკრომოდელია. აქ ერთი დიდი ოჯახია, ამიტომაც დაურქმევია მწერალს "ტყის შვილები", რომ წარმოგვიდგინოს ერთმანეთზე მზრუნველი დები, ძმები და მეზობლები.

როგორც კი მონადირეს დაინახავენ ჩხიკვები, სასწრაფოდ აფრთხილებენ შაშვებს, ისინი კი, თავის მხრივ, პირველ რიგში, ობოლ ბაჭიას მოიკითხავენ (როგორც მზრუნველ და კეთილ არსებას შეეფერება), შემდეგ კი — ქედნებს, კაკბებსა და კოდალებს.

ტყეშიც, როგორც ადამიანთა საზოგადოებაში, აღზრდას განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ, იჩოს უსაქციელობისათვის დედამისს საყვედურობენ და თანაც ქმრის ხსოვნის უპატივცემულობაში სდებენ ბრალს:

„აი, მეხი კი დავაყარე მაგის წარუკა დედასა, აპა! იმ კარგი მამის თოფი მაგას როგორ ჩაუგდო ხელში?"

მხოლოდ საბა ჩხიკვი ესარჩლება უდანაშაულო მშობელს:

"ერთი ჩვენი ბარტყები გვიჯერებენ ხოლმე და მეორეც ეგ დაუჯერებდა თავის დედასა!"

მშობლისა და შვილის ურთიერთობას დიდ ადგილს უთმობს ავტორი. იმიტომ გადაწყვიტეს, დახმარების სათხოვნელად აშლაპუნესთვის მიემართათ, რომ იგი თვედორე დათვის, ტყის ბინადართა ძველი ქომაგის, შვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მშობელი „მზესშესაწყვეტმა ბრუციანმა ესტატემ" გამოუსალმა სიცოცხლეს, "იმ სახელოვანი მამის შვილმა" აშლაპუნემ დაამტკიცა, რომ მამამისის ღირსეული შვილი იყო, თოფიან მონადირეს არ შეუშინდა, ფრინველებს ხათრი ვერ გაუტეხა და თხოვნა შეუსრულა: "— გვიშველე, იმ შენი კარგი მამის სახელის დღეგრძელობამ". იჩო ისე დააფრთხო, რომ ტყისკენ კარგა ხანს აღარ გაიხედავდა.

აღზრდილობა უფროს-უმცროსობის წესების დაცვას გულისხმობს. ტყეში ესეც იციან. მალხაზა შაშვი "მორიდებით შესცქეროდა უფროსებს."

ხოლო ტყის მხსნელი დათვი "წავიდა თავისი გზით, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეშვენის, ქებას თავი აარიდა."

ობოლი ადამიანი საცოდავი და კურდღელივით მშიშარაა. ამიტომ ტყეშიც ობოლ კურდღელს გვიჩვენებს ავტორი, საჭმელიც რომ არ

ჰყოფნის, სიფრიფანა, მშიერი და დაუცველია. „ბაჭიამ, გაიგო თუ არა, მონადირე მოდისო, არაფერი არ უთქვამს, გაიწყო სიფრიფანა ყურები მხრებზე და გავარდა თავ-პირის მტვრევეით სერ-სერ.“

პანიკის დროსაც ტყის ბინადარნი ადამიანებს პგვანან. როგორც კი გაუჭირდათ და შეეშინდათ, აყაყანდნენ. „ყველა რაღაცას ჩიოდა, ყველა რაღაცა რჩევას იძლეოდა.“

ხშირად თავდაცვის მიზნით კაცნი საკუთარ უბადრუკობასა თუ თავიანთი სამშობლოს სიღარიბეს აღნიშნავენ და მტრის განზრახვისა არ ესმით ხოლმე. ამიტომ წუწუნებდა და „ბრაზობდა თებრო შაშვი:

— ნეტავ რა ქილა-ქოცოებს დაავსებს ჩვენი ქონ-ხორცითა!“

საზოგადოებაში გამორჩეული ადამიანებიც არიან. საბა ჩხიკვიც ყველასგან გამოირჩევა. ჯერ დაცინეით შეხედა იჩოს გამოჩენას, ტყის ბინადარნი რომ აფორიაქდნენ, მხოლოდ ის ამბობდა:

“— პატარა ბიჭია, გაუშვით, გაიხაროს. ჩვენ მოვერიდოთ და ეგა ივლის, ივლის, დაიღლება, ერთი ორჯერ გააბახუნებს თოფს პაერში და წავა შინ”. ხოლო, როდესაც მონადირე დააფრთხეს და ზეიმობდნენ, „დუდღუნებდა:

— უკვირთ მაგათაც რაღა! დიდი ვაჟკაცობაა თითისოდენა ბალღის შეშინება! აბა, მაგისი მამა რომ მოკლა ბრუციანმა ესტატემ, ის შეაშინოს! აბა, ლევანა მონადირე შეაშინოს.”

საბა ჩხიკვი ბევრისმნახველი ადამიანის სახეა, თავისი გამოცდილება განსხვავებულსა და გამორჩეულს რომ ქმნის თავისი თანატომელებისაგან, თუმცა იგი მხოლოდ თავისთვის ბუზღუნებს, საკუთარ აზრს სასხვათაშორისოდ გამოთქვამს და თავს არავის ახვევს.

გმირობა კი ყველგან ფასობს („ყველგან მადლობას სწირავენ მარჯვენას კაის ყმისასა“. —ვაჟა). ამიტომ აქებს ტყე აშლაპუნეს და ემადლიერება მას. “გახარებული ფრინველები დიდხანს მისდევდნენ და აქებდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ. დათვი ხანდახან თუ შეჩერდებოდა, ახედავდა ფრინველებს, გამოაჩენდა თავის თეთრ კბილებს, გაეღიმებოდა კეთილად და მერე თავის ქნევით, თათების ლარტყალურტყით მიდიოდა, მიძუნძულებდა...“

ლალი დათაშვილი

მგლის მოკვლა
(ბიძაჩემის ნაამბობი)

კოლექტივი ახალი ჩამოყალიბებულია, ქვეყით, მრუდეებში გეიყენია საქონელი: ცხვარი, კამეჩები, ღორი. ჩვენ კიდევ კომკავშირელები ვართ: საწყალი მამაშენი, იოსება, თედუა, მე. სუყველას თოფები გვაქვს, რუსული შაშხანები. ღამღამობით სოფელში ვმორიგეობთ, კოლექტივის მტრებისა გვეშინია. ერთმანეთს პაროლით ვატარებთ: — პაროლი! — ქინძი. მეორე დღეს: — პაროლი! — ლობიო. მესამე დღეს: — ფაფა! და ასე.

მოვიდა თოელი. წამოუყვა ამ აზამბურის მხრიდან, გააერთიანა ცა და დედამიწა. ჯერ ხომ მუხლამდე დადო, ახლა გადაიღო, ცოტა გაადნო და ზემოდან მოყინა. წამოვიდა ამ მოყინულზე და ისევ დადო. დადო და დაუმატა. ვაზის წვერები ძლივსა ჩანდა ვენახებში. დაიმშა ნადირ-ფრინველი ტყეში. მოაწყდა სოფელსა და ჭალებს. ჩიტი მინახავს, მაგრამ იმდენი არასოდეს. აეს დერეფანი სულ სავსე იყო ლამაზ-ლამაზი სკვინჩებით. დედაჩემი რომ გაეიდოდა და საკენკს გაუტანდა ქათმებს, წიწილებივით დასდევდნენ უკან. ღამღამობით ძაღლი ვეღარა ბედავდა დაყეფებას: მგელი დაგვედო, თითქოს ოსმალო შემოსეულაო, რომ დაპკრავდნენ ბუკს, — აუუუ! — ხან აქ, ხან იქ, აცახცახებდა იმათი ხმა ყველაფერს.

ამოცვივდნენ გულგახეთქილი მწყემსები და მეღორეები: გვიშველეთ, მოგვეხმარეთ, თორემ დაგეჭამს ნადირი საქონლიანადო. წავედით ესენი, ეს კომკავშირელები: მამაშენი, მე, იოსება, თედუა, წავიყვანეთ ჩვენი მორიდებული, მაშინვე მაგარი მონადირე. წავიღეთ ერთი ტიკი ღვინო, ხორცი, პურები. ჩავედით.

მთვარიანი ღამეებია — ფეტვს აპკრეფავ თოვლზე. ესხედვართ, ჩვენი ფერმები რომაა, იმის ცოტა აქეთ, ბებერი წნორი თუ გახსოვს, ძველ გომურში. გვინთია შუაცეცხლი, ეწვავთ მწვადებს და ვადღეგრძელებთ ერთმანეთს. ჩვენა ვსვამთ, ეს მორიდებული კიდევ მალ-მალე ადგება და მივა სანათურთან. გარეთ იყურება. ამ სანათურიდან მთელი რიყე მოჩანს — გადასწორებული, გადალესილი. წყალიც გაყინულია, წინწკალი აღარ მიიპარება არსად. აქეთ, კბოდესთან, ჩვენიდან, ეგრე, ხუთი გუთნეულის გაშლაზე, მკვდარი ცხენი გდია ფეხებაწეული, გაშეშებული. მეღორეებს მოუკვდათ. იმ ცხენთან უნდა მოვიდნენ მგლები. თოფები კედელზე გვაქვს მიყუდებული. ამოდის და ამოდის მთვარე. გარეთ ისეა, თითქოს ფიანდაზი იყოს ჰაერი. გადასცდა საშუაღამეოს. ძილი გვერევა, და, აი, ვნახოთ, ამოიღო სადღაც ხევს გაღმა ერთმა მგელმა ხმა. გავიდა ცოტა

ხანი და ახლა სხვა მხრიდან ამოიძახა მეორემ. არ ვიცი, მზეერაეები ჰყაედათ, თუ რა იყო. აეგრე, ხან აქ ამოიძახებდნენ, ხან იქ. მორიდებული სანათურთან არის მიკირკიტებული. მივედით ჩვენც, მივეჯგუფდით, ვიყურებით. მორიდებული გვანიშნებს, იქით გაიხედეთო. ვიხედებით იქით, ვაკვირდებით და ვხედავთ: ამ თეთრად წასული და ყინვის თხელი ბურუსით მიბუნდოვანებული რიყის იქითა ნაპირზე ძეძვის ღობესაეით რაღაცა იძვრის, მოდის, მოიწელება. თითქოს რუხი მტეერი იყოს და ის მოპქონდეს ნიავს. იარა, იარა და გაჩერდა. მგლების ხროვა, კაცო! რა ვიცი, რამდენი იყო! დგანან აეგრე ჩვენს პირდაპირ, შორს და იმათ სირუხეში ხან ერთი თვალი გაბრწყინდება ციცინათელასაეით, ხან — მეორე. დავავლეთ თოფებს ხელი, მზადა ვართ. მორიდებულს ველოდებით, რას გვიბრძანებს. მორიდებული მუშტიეით არის მოკუმშული. ხელით გვანიშნებს, ჩუმადო, ანდა ცოტა იქით მიდექითო. ბოლოს გამოეყო ხროვას სამი მგელი. მოდიან ჩვენკენ, თავაღებულები, კავალერისტებიეით. წამოვლენ, წამოელენ და გაჩერდებიან. ისევ — წამოვლენ, წამოვლენ და გაჩერდებიან. იმ მკედარ ცხენს უახლოედებიან. მოეიდნენ, დადგნენ აესე, თავაწეულები, მაღლები. კიდევ რაღაცას უგდებენ ყურს. დაუდო მორიდებულმა შაშხანის ლულა სანათურზე, გაეუშეირეთ ჩვენც, — აბა, მიდითო, და მიეაყოლეთ ოთხიეემ თითოჯერ! მეორეჯერ! მერე გაეიხედეთ და რასა ეხედავთ: რაღაც მბრწყინავი კორიანტელი დგას, აი, ნათელი რომ ადგათ წმინდანებს, ისეთი. გაგვისკდა გული, ღვთისა ხომ არაფერი მოვკალითო. კომკავშირელები ვართ, მაგრამ მაინც! შეშინებულები ვუყურებთ ერთმანეთს. კიდევ კარგი, რომ სულ მალე გაფერმკრთალდა ის ბრწყინვალება და გაქრა. მაშინ კი მიეხედით, წაქცეული მგელი აბუქებდა გაყინულ თოვლს და ის ბრჭყვიალებდა მთვარის შუქზე.

გავცვივედით გარეთ, ეგრეევ, თოფებიანად, ჩავცვივდით ფლაქვაფლუქეით კბოდეზე და წავადექით თავს. აი, მგელი! ასე ორი ხელი რომ მიატყუპო და გაშალო, ამოდენაზე აქვს დაღებული პირი, სულსა ღაფავს. ამოგვხედა ცალი თვალით, რაღაც საცოდაეი თვალით, გვიყურა, გვიყურა და მერე, ლამფას რომ ჩაუწვევენ, აეგრე ნელ-ნელა ჩაიწია სინათლემ იმ თვალში, ჩაიწია, ჩაიწია და ჩაქრა.

ჩვენ თოფებზე დაყრდნობილები ვიდექით ხმის ამოუღებლად.

სიკვდილის დროს ყველანი ერთნაირები ვართ, შვილო, ადამიანებიც და ცხოველებიც.

კითხვები და დავალებები:

რა დროს ხდება ნაწარმოებში ასახული მოქმედება? მოიძიეთ ინფორმაცია კოლექტივიზაციის შესახებ;

ამ ნაამბობის მიხედვით, რა ითვლებოდა კომკავშირელისთვის მიუღებელ შეხედულებად ან საქციელად?

ამოიწერეთ შედარებები და იმსჯელეთ მათზე. მაგ. როგორ გესმით: "მგელი დაგვედო, თითქოს ოსმალო შემოსეულაო", „მთვარიანი ღამეებია – ფეტვს აპკრეფავ თოვლზე", „გარეთ ისეა, თითქოს ფიანდაზი იყოს პაერი"?

თქვენი აზრით, პერსონაჟი "მორიდებული" ამართლებს თავის მეტსახელს?

დაახასიათეთ მთხრობელი;

რა მიგაჩნიათ ამ მოთხრობის მთავარ სათქმელად?

დაწერეთ ესე "სიკვდილის დროს ყველანი ერთნაირები ვართ"

დააკვირდით:

სიტყვებით "საწყალი მამაშენი" ცხადი ხდება, რომ მთხრობელის ძმა გარდაცვლილია. ბიძა ძველ ამბავს უყვება ობოლ ძმისშვილს;

მწერალი ოსტატურად იყენებს ექსპრესიული ღირებულების, კონტექსტისთვის შესაბამის სიტყვებს:

„ამოიძახებდნენ" ზმნისწინი „ამოთი" ყველაზე მეტად მიასადაგება ყმუილს („ხან აქ ამოიძახებდნენ, ხან იქ.");

სიტყვა კირკიტს უკავშირებს ავტორი ყურადღებით ცქერას და ქმნის საინტერესო ფორმას „მიკირკიტებული" („მორიდებული სანათურთან არის მიკირკიტებული.");

„მი" ზმნისწინი საჭირო ელფერს აძლევს ბინდს: „თხელი ბურუსით მიბუნდოვანებული";

რევაზ ინანიშვილი ნაამბობის გასამძაფრებლად მიმართავს გამეორების ხერხს:

იმის ასასახავად, თუ რა დიდი თოელი მოვიდა, იმეორებს ზმნას "დადო": "ჯერ ხომ მუხლამდე დადო, ახლა გადაიღო, ცოტა გაადნო და ზემოდან მოყინა. წამოვიდა ამ მოყინულზე და ისევ დადო. დადო და დაუმატა";

არემარე რომ კარგადაა განათებული, მიგვანიშნებს გამეორება ზმნისა „ამოდის": „ამოდის და ამოდის მთვარე";

გამეორება ზმნისა „წამოელენ" იმ შიშს ამძაფრებს, მგლების ხროვის

გამოჩენას რომ მოპყეა: „წამოელენ, წამოელენ და გაჩერდებიან. ისეე — წამოელენ, წამოელენ და გაჩერდებიან..“;

თითქოს ვხედავთ, როგორ კვდება მგელი, როცა მთხრობელი იმეორებს ზმნას „ჩაიწია“: „ნელ-ნელა ჩაიწია სინათლემ იმ თვალში, ჩაიწია, ჩაიწია და ჩაქრა“;

გვხვდება სინონიმური გამეორებაც: „ვიხედებით იქით, ვაკვირდებით და ვხედავთ“;

გვხვდება მწერლის მიერ ხმაბაძვით შექმნილი სიტყვა: „ფლაქვაფლუქვით“ („ჩავცეიედით ფლაქვაფლუქვით კბოდეზე“);

“სუყველას თოფები გვაქვს, რუსული შაშხანები.” — მიმანიშნებელია საქართველოში რევოლუციის სისხლითა და ბრძოლით შემოსელასა და მის რუსულ წარმომავლობაზე.

ანალიზისთვის:

სიკვდილთან შეხვედრა

„სიკვდილი ყველას გვათანასწორებს“
(აკაკი)

რევაზ ინანიშვილი ეპოქის მახასიათებლებს არასოდეს მიიჩნევს ადამიანის რაიმე მოქმედების ან მისი რომელიმე თვისების განმსაზღვრელ ფაქტორად. ეპოქა მხოლოდ გადმოცემული მოვლენების ფონია. ამით ხაზს უსვამს, რომ ყოველ დროს კაცობის საზომი და ყველა ფაქტორზე მნიშვნელოვანი ადამიანის პიროვნული ღირებულებები და ზნეობრივი მრწამსია.

„მგლის მოკვლაშიც“ ასეა. “კოლექტივი ახალი ჩამოყალიბებულია, ქეეეით, მრუღეებში გვიყვენია საქონელი: ცხვარი, კამეჩები, ღორი. ჩვენ კიდეე კომკავშირელები ვართ,” — ასეთი დასაწყისით მწერალი მხოლოდ ეპოქას აკონკრეტებს და მოქმედ გმირთა ახალგაზრდობას გახაზავს, რადგან საბჭოეთში ადამიანი 27 წლის ასაკამდე იყო კომკავშირელი.

როგორი უნდობლობა და ურთიერთშუღლი იყო მასახლეობაში, ამაზე ის მეტყველებს, რომ საზოგადოება კოლექტივის მტრებად და მომხრეებად არის დაყოფილი. ყველა შეიარაღებულია, თანასოფლელები ერთმანეთთან პაროლით ურთიერთობენ: “ღამღამობით სოფელში ვმორიგეობთ, კოლექტივის მტრებისა გეეშინია. ერთმანეთს პაროლით ვატარებთ”.

პაროლად შერჩეული სიტყვები მოსახლეობის გაუნათლებლობისა და ეკონომიური გაჭირვების მაჩვენებელია, რადგან კომკავშირელები მწვანილეულითა და გლეხური საჭმლით შემოიფარგლებიან: "— პაროლი! — ქინძი. მეორე დღეს: — პაროლი! — ლობიო. მესამე დღეს: — ფაფა! და ასე." მათი საზომიც გლეხურია: „ჩვენიდან, ეგრე, ხუთი გუთნეულის გაშლაზე მკვდარი ცხენი გდია", ან „ასე ორი ხელი რომ მიატყუპო და გაშალო, ამოდენაზე აქვს დაღებული პირი".

მთხრობელი გლეხია, შესაძლოა, წერა-კითხვის უცოდინარიც, მაგრამ პოეტური სულისაა, დაკვირვებული და ნანახზე მოფიქრალი. მისი ნაამბობი სავსეა პოეტური შედარებებით: „აეს დერეფანი სულ სავსე იყო ლამაზ-ლამაზი სკვინჩებით. დედაჩემი რომ გაიდოდა და საკენკს გაუტანდა ქათმებს, წიწილებივით დასდეედნენ უკან. მგელი დაგვედო, თითქოს ოსმალო შემოსეულაო... რიყის იქითა ნაპირზე ძეძვის ღობესავით რაღაცა იძერის, მოდის, მოიწელება. თითქოს რუხი მტევერი იყოს და ის მოპქონდეს ნიავს. მგლების ხროვა, კაცო! იმათ სირუხეში ხან ერთი თვალი გაბრწყინდება ციცინათელასავით, ხან — მეორე. მორიდებული მუშტივით არის მოკუმშული. ბოლოს გამოეყო ხროვას სამი მგელი. მოდიან ჩვენკენ, თავაღებულები, კავალერისტებივით... ლამფას რომ ჩაუწევენ, აეგრე ნელ-ნელა ჩაიწია სინათლემ იმ თვალში, ჩაიწია, ჩაიწია და ჩაქრა."

ყველა ამ შედარებას „გლეხური" ელფერი აქვს. მთხრობელი სოფელში გაზრდილი კაცია. მწერალი სწორად იქცევა — დამაჯერებელი პერსონაჟის შესაქმნელად მის შესაძლო ლექსიკურ მარაგს ითვალისწინებს, ამიტომაც ახალ სანახავს პერსონაჟი მისთვის კარგად ნაცნობ საგნებს ადარებს: ციცინათელას, ძეძვის ღობეს, წიწილებს, ლამფას, კავალერისტს...

იმ გაორების გადმოსაცემად, რაც რელიგიასთან დაკავშირებით ახასიათებდათ საბჭოთა ადამიანებს, ერთი მხრივ, უფლის შიში რომ ჰქონდათ და, მეორე მხრივ, კომუნისტურ ანტითეიზმს აღიარებდნენ, მწერალი პერსონაჟს წმინდანებს გაახსენებს და მერე მოაბოდიშებინებს, თუმცა ეს წამოცდენილი ნათელს ხდის, რომ ამ კომკავშირელთა სულებში არ წაშლილა სარწმუნოების კვალი: „რაღაც მბრწყინავი კორიანტელი დგას, აი, ნათელი რომ ადგათ წმინდანებს, ისეთი. გაგვისკდა გული, ღვთისა ხომ არაფერი მოვკალითო. კომკავშირელები ვართ, მაგრამ მაინც! შეშინებულები ვუყურებთ ერთმანეთს."

ნაწარმოების იდეა ავტორმა ბოლოს მოაქცია. მოთხრობა სიკვდილთან შეხვედრის მოტივზეა. მთელი ეს ნაამბობი იმაზე დაგვაფიქრებს, რომ სიკვდილისა ყველას ეშინია და სიცოცხლესთან გამომშვიდობება ყველას

უჭირს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ ეპოქაში ცხოვრობს კაცი, არც მის განათლებასა თუ ზნეობროვ პრინციპებს. მწერალი კიდევ უფრო მეტად განაზოგადებს სათქმელს, გვარწმუნებს, რომ სიკვდილი ქედს ნებისმიერ ცოცხალ არსებას მოახრევინებს, მას ყველა უფრთხის — კაციცა და კავალერისტიეით ამაყი მგელიც. ამიტომაც ამბობს მთხრობელი:

„სიკვდილის დროს ყველანი ერთნაირები ვართ, შვილო, ადამიანებიც და ცხოველებიც.“

თუმცა საზოგადოების ნაწილი ინტერესით უყურებს სხვის სიკვდილს. ეს კომკავშირლებიც მგლის სიკვდილის სანახავად გარბოდნენ. არც ერთი მათგანი იმაზე არ დაფიქრებულა, რომ ცოცხალი არსება მოკლეს, არც შეწუხებულა ამის გამო. მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ — მგლის თვალებში ჩამდგარი იმქვეყნიურობა დაენახათ. ქედიც მარადისობას მოუხარეს და მის გარდუვალობას ჩაუფიქრდნენ, იქნებ, საკუთარი სიკვდილიც წარმოიდგინეს და ამით დაიზაფრნენ. მთხრობელს ამიტომაც ახსოვს ეს „კადრი“: „ჩვენ თოფებზე დაყრდნობილები ვიდექით ხმის ამოუღებლად.“

რევაზ ინანიშვილი „მგლის მოკვლით“ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე, კიდევ ერთხელ ვირწმუნებთ ვაჟას სიტყვების ჭეშმარიტებას:

„სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან,
კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯერა,
თუ რა დიდ ცოდვას ჩადიან...“ („სტუმარ-მასპინძელი“).

ლალი დათაშვილი

— მე ის კაცი ვარ, — ჩათქმული ღიმილით დაიწყო მუხლებზე ხელებდაბჯენილმა მოხუცმა, — მამაშენის მოკვლა რომ დამევალა. ხომ ხედები, როდის უნდა ყოფილიყო ეს? პო, ოცდაოთხ წელში. ვეშაძეც ხომ არ გაგიგონია, მოჭიდავე? მოვიდა ჩემთან მაგ ვეშაძის გერი წრუტი.

იქ რა მინდა-მეთქი, — ისაო, რომაო, ი წიგნებს რომ ჩაპყურებ დღე და ღამე, სამშობლო გეძახის, დედა საქართველოო, თვრამეტი წლისა ვარ, მკლავიც გამაგრებული მაქვს, კისერიც, უღელში რომ შემაბა, მოზვერს გაეუწევ, თან, მართლა, წიგნები მიყვარს, თუ კითხვა დავიწყე, ზარბაზნის ხმაზე თავს არ ავწევ. ერთი შემომხედა წრუტმა. ერთი შეეხედე და ამით დავამთავრეთ ლაპარაკი. წრუტმა სიმღერა დაიწყო, ვითომ შექეიფიანებული იყო. თან გოდრის წენაში მეხმარება.

გამოვიდა დედაჩემი, აყბედდა ისევ წრუტი, — ეს ვირგლა, ესე რომა აქეს გასქელებული კისერი, არ დავნიშნოთო? ისეთი გოგო მყავს შეგუებული, არც შეშა ენდომებათ ზამთარში, არც საბან-დასახურიო. მიაყარა დედაჩემმა ქოქოლა, — შენცა და შენს შეგულებულსაო. წრუტმა კიდევ ღვინოც მოსთხოვა — დამალევინებ ერთ ჩარექს, გავირჯები, სხვაგან არ გაეუშვებ იმ გოგოს, არადა — თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვისაო.

გამოუტანა დედაჩემმა ხელადით ღვინო, სიცილ-სიცილით ჩამოართვა წრუტმა, თან ვითომ ბარბაცებს კიდეც, — ხელადას ხვალ ამოგიტანთო, დაუგმანა პირი გოგრის ფოთლით, ამოიდო იღლიაში და წავიდა. უყურებდა დედაჩემი და ეღიმებოდა კეთილად, — რა კაცია, რა ოხრების ერთიაო, რა უნდოდაო? — წყალი გადაუშვია ვენახში და აეგრე მოკლეზე გადმოალაჯუნა-მეთქი. — გაქრეს მაგისი ოხერი თავი, ღვინოში ჩაიხრჩვება ერთხელაც იქნებაო. რა იცოდა საწყალმა დედაჩემმა, რაზე იყო მოსული.

შებინდდა და წაეედი. ჩავიდე ხანჯლისშვილი აექ, შარელის სალტაში და წაეედი სამელეში. ისეთი მიედივარ, ჩემი მგონია ქვეყანა. მიეედი ანტონეს ნაბინავართან, პატარა შუქი გამოკრთის, შეეიხედე, შეეედი. წრუტი ზის, წრუტის მამინაცვალი და ორიც კიდევ სხვა. მიიწ-მოიწიეს, აქ დაჯექიო, დაეჯექი. ცოტა ხანში კიდევ ხუთნი მოვიდნენ, სულ სოფლის ბობოლები, მაგრები. ბოლოს მოვიდა ტორიანი. ეგაც ხომ გაგიგონია, დიდი მამულების დამკარგაეი, ციხეში ნაჯდომი. ტორები პქონდა, მართლა რა, ეაშლიეით დაიჭერდა ადამიანის თავს. დაჯდა, მუხლებზე დაიწყო ის ტორები საზარლად, გახსნა კრება, როგორც წესია და რიგი. თეითონვე ილაპარაკა: — დიდი საქმე იწყება, მთელი ქვეყანა

ფეხზე დგება, ერთ ღამეში მოელებათ ბოლო ბოლშეეიკებსო. ახლა ეს არის საჭირო: წინასწარ უნდა ჩამოვიცილოთ რამდენიმე კაციო, ჩვენთან, პირველ რიგში, უნდა მოიკლასო, მამაშენზე ამბობს, მაგათი უჯრედის მდივანიო. ის უნდა მოკლასო... — შემოგვატარა თვალი, დამაცქერდა, — ვისითაც სუნთქავს სამშობლოს მომავალიო. ჩემკენ იშვერს თითსაც. — ამით აიღებ მამაშენის სისხლსაცაო. მამაჩემი ეაზიანის ბრძოლაში დაიღუპა, — სხვა დავალებებს სხვები სხვა დროს მიიღებთო.

ბობოლები ისე ისხდნენ, თითქოს შეშურებოდეთ, ასეთი სასიამოვნო დავალება რომ მე მხედა წილად. ბერდენკას გადმომცემდა წრუტი, ბერდენკას და ვაზნებს. რა დამჭირდებოდა შემდეგში, ფული იქნებოდა თუ რა, ვალდებულებას კისრულობდნენ, ყველა ამომდგომოდა მხარში. ყოველგვარი ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. ამოიღო მეტრიანი ხანჯალი ტორიანმა, დაიჭირა კელაპტარივით სწორად, მოსჭიდეთ მარჯვენა ხელი ყველამაო. მე სულ წვერი მომიწია. — ამ ხანჯალზე დაგვიფიცნიაო! ხანჯალი იყო ბუხი შეეჭრებოდა ზედ, მერე, — აკოცეთო, — ანიშნა ჩემზე. გადამკოცნა ყველამ.

— დაუმტკიცე შენს ხალხს, რომ არ გადაგვარებულა ჩვენი ჯიში და ჯილაგიო. მე ისე ვარ შეპყრობილი მამაჩემის სისხლის აღების წყურვილით, არაფერზე დავიხევ უკან. თანაც რა არის კიდევ, ყველანი დიდები არიან. მე ვარ ყველაზე პატარა და, მე რომ მავალებენ საქვეყნო საქმეს, ესეც მეამაყება.

დავიშალენით. სულ სხვადასხვა გზებით, სათითაოდ წამოვედით სოფელში. მარტო მე და წრუტი მოვდივართ ერთი გზით, მე წინ, ის უკან, კარგა მანძილით დაშორებული. ძველი საკრამიტეს აქეთ, დიდ ტინთან უნდა დამეცადნა, იქ მოვიდოდა წრუტი, იქ მომიტანდა ბერდენკას. მივჯექი დიდ ტინთან, დავუცადე. მოვიდა წრუტი, მომცა ბერდენკა, ახალთახალი, ნავთის სუნი ასდიოდა ისევ. ბერდენკა მომცა და ათი ცალიც ვაზნა. თოფი რომ დავიჭირე, იმან ხომ მთლად გამაბუმბერაზა. ძალიან ცუდი ძალა აქვს იარაღს ამ მხრივ. გგონია, მთლად თავისუფალი ხარ და ვეღარც ვეღარავინ გძლევს ქვეყანაზე. წამოვიღე ბერდენკა და ჩვენი თუთის ფუღუროში დავმალე. სამი-ოთხი დღე მამაშენს ვუთვალთვალებ, — სად დადის, როგორ დადის, მაზრაში როდის მიდის და როდის ბრუნდება. შეეატყე, ღამეს ერიდება, მზის ჩასელისას გამოიელის ღიჭიან ტყეს, შებინდდება და უკვე შინ არის. შინიდან კიდევ უიარაღოდ არ გამოიხედავს გარეთ.

გადავიტანე ღამით ბერდენკა ღიჭიანში, ახლა იქა მაქვს დამალული. გავიდა მთელი კვირა, ტორებიანი შორიდან მიღრენს, აღარ შეიძლება

მეტი მოცდა და აეედი ერთ მზის ჩასვლისას ღიჭიანის დიდ მუხაზე. ხომ გახსოვს ის დიდი მუხაც, ტოტები ისე პქონდა გადმოშლილი, ქვეშ უნდა გაეელო გამველელ-გამომველელს. თან შეხორხლილი იყო ღიჭით და სუროთი. შეეიმალე შიგ, ვარ ეგრე. ჩაეიდოდა მზე და გამოჩნდებოდა მამაშენიც. თუ დაიგეიანებდა, მით უკეთესი. ლურჯა ცხენი პყაეს, თუშური ქუდი ახურაეს, მხარიღლიე ჩანთა პკიდია, იარაღიც აქეს — ბრაუნინგი, შეიდეაზნიანი, მაშინ „ბრაონიკს" ეეძახდით. მოდის ქალი და კაცი, ცოლი და ქმარი. ცოლი ეუბნება ქმარს, — ყაჩაღები რომ დაგეხვედნენ, შეაკლავ ჩემი გულისთეის თაესო? — თუ პირობას მომცემენ, მთლად წაგიყეანენ, არაო, — იღრიჭება კაცი. წაპკრა ქიმუნჯი ქალმა. რა იციან, რომ მე მაღლიდან დაეყურებ. გამოიარა ორმა ურემმაც. ჩაეიდა მზე, ჩამუქდა ქვეყანა და გამოჩნდა კიდეც მამაშენი. დამიარა ჟრუანტელმა ტანში. როგორია, პა, კაცის მოკვლა! მერე შენი სოფლელისა, რომ იცნობ, გიცნობს, გამარჯობას ეუბნები. თანაც პატარა შეილები პყაეს, კიბეზე ელოდებიან. თაეიც საშინელებითა გაქვს გამოტენილი — მკელელს მოკლულის სისხლი არ მოასვენებს, რამდენსაც ხელს წაიღებს ხორციასაკენ, იმდენი მოკლული დაუდგება წინაო. ეს მამაშენი კიდეე როგორ მოდის! მოშვებული პყაეს ცხენი თაეის ნებაზე, ხელში წიგნი უჭირაეს და კითხულობს. უკეე ბინდდება, ალბათ ასოებს ძლივს არჩევს და მაინც კითხულობს. ხომ გითხარი, წიგნის კითხვა მეც მიყვარდა. დღესაც ზეპირად ვიცი „გამზრდელი" და „ალუდა ქეთელაური", კიდეე ბეერი სხვა. ნეტაე რა წიგნია, ესე ჩატკბობით რომ ჩაპყურებს-მეთქი. ეაკეირდები, მაგრამ მარტო ის გამომაქვს, რომ ყვითელი ფურცლები აქვს, მიძონძებულიც არის ცოტა. გადააბრუნა მეორე მხარეს, იქ რაღაცა ეხატა, გადაშალა ის ფურცელი ღიმილით და ეგრე ღიმილითა და კითხვა-კითხვით გამიარა ქვეშ. უცებ გამახსენდა, რისთვისაც მეჭირა თოფი. აეწიე, მიეიდე მხარზე, მაგრამ ისევა ვხედავ, ზურგიდან ვხედავ, ეცინება მამაშენს, კუჭკუჭებს სიცილით. წარმომიდგა ის ხალხიც, მე რომ დაეალება მომცეს, ჩაბურძგნულები, ჩაღრუბლულები, ფინთი სიციეე რომ აქვთ, საცა კი მიელენ. მამაშენი კიდეე ისეე იცინის, ქუდს ისწორებს თავზე. — არა, მე ამგვარი საქმისთვის არ გამოვდგები-მეთქი. — ჩამოეედი მუხიდან, დაემალე ბერდენკა იქეე, ტყეში და წამოეედი და წამოეედი ქალაქში.

რამდენი წელია გასული მას შემდეგ და დღესაც მაინტერესებს, რა იყო, რა წიგნს კითხულობდა მაშინ მამაშენი. ბეერჯერ შეეხეედრივარ შემდეგში, მაგრამ მაგაზე ხმას როგორ დაეძრაედი. გეეკუთვნოდა კი, იმასაც და მეც, ხატიეით გვქონდა დასვენებული ის წიგნი...

მოხუცი იცინოდა. მერე მომცა ხელნაწერი, — თუ გამოდგა, დააბეჭდინე, თუ არა, შენ გქონდეს, ანდა თუნდაც გადააგდეო. ხელნაწერში მოთხრობილი იყო. როგორ კარგად მუშაობდა სოფლიდან გაქცეული კაცი ქარხანაში. დასაბეჭდად არ გამოდგებოდა. ის დღესაც შინა მაქვს.

კითხვები და დავალებები:

თქვენი აზრით, რა აიძულებს უკვე მოხუცებულ მთხრობელს ასეთი ძველი ამბის გახსენებას?

თქვენი აზრით, მოხუცი რატომ უამბობს ამ ამბავს მისგან სასიკვდილოდ გამეტებული ადამიანის შვილს?

მოთხრობიდან ამოკრიბეთ ტროპის სახეები;

როგორ გესმით პიპერბოლები: "ულელში რომ შემაბა, მოზვერს გავუწევ", "თუ კითხვა დავიწყე, ზარბაზნის ხმაზე თავს არ ავწევ", "ტორები პქონდა, ვაშლივით დაიჭერდა ადამიანის თავს", "ხანჯალი იყო, ბუზი შეეჭრებოდა ზედ"?

თქვენი აზრით, რატომ ინახავს მწერალი მამამისის მტრის ჩანაწერებს?

განმარტეთ: "ოხრების ერთი" ("რა კაცია, რა ოხრების ერთიაო");

განმარტეთ: "ჩარექი", "ხელადა", "დაუგმანა პირი", "ხანჯლისშვილი", "ტორიანი", "ბობოლა", "ბერდენკა", "ვაზნები", "შეხორხლილი", „ქიმუნჯი";

დაახასიათეთ მთხრობელი;

რა მიგაჩნიათ ნაწარმოების იდეად?

დააკვირდით:

სიტყვა "ჩათქმულს" საგანგებოდ იყენებს მწერალი, რადგან საიდუმლოსა და შეთქმულებას ყველაზე მეტად შეესაბამება: "ჩათქმული ღიმილით დაიწყო მუხლებზე ხელებდაბჯენილმა მოხუცმა";

მწერალს ოსტატურად შეურჩევია მეტსახელები: "წრუტი" და "ტორიანი", რათა ამ პერსონაჟებისადმი უარყოფითად განაწყოს მკითხველი;

მწერალი საგანგებოდ არჩევს თბილ სიტყვას „კუჭკუჭებს" („ეცინება მამაშენს, კუჭკუჭებს სიცილით"), რათა გვიჩვენოს, რომ მკვლელობა ამ კაცის სიცილმაც გადააფიქრებინა ჩასაფრებულ ბიჭს;

მთხრობელი წიგნს ხატთან აიგივებს, რაც ააშკარავებს, რომ იგი წიგნს სიწმიდედ და უფლისკენ სავალი გზის მასწავლებლად თვლის.

ანალიზისთვის:

წიგნის ნათელი

„წიგნი" 1924 წლის საქართველოს შეგვახსენებს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების ახლო ხანას, დროს, როდესაც მენშევიკებისა და ბოლშევიკების ურთიერთდაპირისპირებამ ჩვენშიც შემოაღწია და უამრავი სისხლი იღვრებოდა. მთხრობელის მამაც ვაზიანის ბრძოლაში დაიღუპა. ვაჟკაცისთვის შესაფერის ერთადერთ საქმედ იარაღის აღება და ბრძოლა ითვლებოდა. წრუტი ამიტომაც უწუნებს საქმიანობას მთავარ გმირს:

„ი წიგნებს რომ ჩაპყურებ დღე და ღამე, სამშობლო გეძახის, დედა საქართველოო".

ყველა იარაღით დადის, კომკავშირის უჯრედის მდივანი "შინიდან უიარაღოდ არ გამოიხედავს გარეთ". იოლად იშოვება ახალთახალი იარაღი, "ნავთის სუნი რომ ასდიოდა ისევ"...

იარაღიანი კაცი კი ძალიან საშიში ხდება. "თოფი რომ დავიჭირე, იმან ხომ მთლად გამაბუმბერაზა. ძალიან ცუდი ძალა აქვს იარაღს, ამ მხრივ. გგონია, მთლად თავისუფალი ხარ და ვეღარც ვეღარავინ გძლევს ქვეყანაზე". — ამბობს მთხრობელი.

მენშევიკები საიდუმლო კრებებს აწყობდნენ, ყველას ანუგეშებდნენ: "— დიდი საქმე იწყება, მთელი ქვეყანა ფეხზე დგება, ერთ ღამეში მოეღებათ ბოლო ბოლშევიკებსო" და მათი რამდენიმე თაეკაცის წინასწარ მოშორებას გეგმაედნენ.

მთავარი გმირი, "ვისითაც სუნთქავს სამშობლოს მომავალი", თვრამეტი წლისაა. მას უმძიმეს ეპოქაში უწევს ცხოვრება. ძნელია, ასეთ დროს არ გაუხეშდეს, არ გაბოროტდეს, მით უმეტეს, რომ ასე ახალგაზრდას მოუკლეს მამა.

ნაწარმოების მთავარი თემა უსამართლობასა და ბოროტებასთან შეუგუებლობის აუცილებლობაა. ეშმა ბიჭის ხელში ჩაგდებას თითქოს კარგი საქმით ცდილობს, მრჩეველები სამშობლოსთვის კაცის კვლას აიძულებენ, ტორიანი და სხვები უმტკიცებენ: „— ამით აიღებ მამაშენის სისხლსაცაო", იარაღითაც აცდენენ. ვითომ პატივს რომ სცემენ მასაც და მამამისსაც, ესეც მოსწონს: "მე ვარ ყველაზე პატარა და, მე რომ მაკალებენ საქვეყნო საქმეს, ესეც მეამაყება. არც ცხოვრებისეული გამოცდილება პყოფნის იმის გასააზრებლად, რომ ბოროტება ბოროტებით

არ ჩამოირეცხება და მამის სისხლის აღებით ადამიანის ცოდვას დაიდებს.

ასეთ დროს ადამიანს მხოლოდ შინაგანი კულტურა თუ გადაარჩენს. არ არის შემთხვევითი, რომ მთავარი გმირი წიგნის მოყვარული ადამიანია. იგი არა მხოლოდ ინტერესით კითხულობს ("თუ კითხვა დავიწყე, ზარბაზნის ხმაზე თავს არ ავწევ"), არამედ გემოვნებიანი მკითხველიცაა. "დღესაც ზეპირად ვიცი „გაშზრდელი" და „ალუდა ქეთელაური", კიდევ ბევრი სხვა." — ამბობს ის.

ამიტომ, გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟ ვასილ კეკერაძესაეით, ისიც ადამიანებს ორ ნაწილად ყოფს: მკითხველებად და უწიგნურებად. კაცი, რომელიც „უკვე ბინდდება, ალბათ, ასოებს ძლივს არჩევს და მაინც კითხულობს, ესე ჩატკბობით რომ ჩაჰყურებს წიგნს", მისი აზრით, არ შეიძლება ცუდი ადამიანი იყოს. ამიტომ იწყებს ყოყმანს. წრუტისა თუ ტორიანის სიტყვებით გამოწვეული ეიფორიიდან გამოდის, ფიქრისა და განსჯის უნარი უბრუნდება, ცოდვის განცდა ცალკე სტანჯავს, თვითონ დაობლებულს სხვა დასაობლებლად განწირულთა თანაგრძნობა — ცალკე:

„როგორია, პა, კაცის მოკვლა! მერე შენი სოფლელისა, რომ იცნობ, გიცნობს, გამარჯობას ეუბნები. თანაც პატარა შვილები ჰყავს, კიბეზე ელოდებიან. თავიც საშინელებითა გაქვს გამოტენილი — მკელელს მოკლულის სისხლი არ მოასვენებს, რამდენსაც ხელს წაიღებს ხორცისაკენ, იმდენი მოკლული დაუდგება წინაო."

ნამდვილად არ არის ადვილი კაცის მოკვლა, მით უმეტეს, ნაცნობის. რევაზ ინანიშვილი, მწერალი-ფსიქოლოგი, ასახავს, როგორ ნერვიულობს ბიჭი: „გამოჩნდა კიდეც მამაშენი. დამიარა ჟრუანტელმა ტანში", როგორ ერევა ფიქრები თავში და როგორ გადაიფიქრებს, „— არა, მე ამგვარი საქმისთვის არ გამოედგები-მეთქი" და მშობლიური სოფლის მიტოვებას ირჩევს მიცემული დავალების შესრულებას.

მწერალი მთხრობელის საყვარელ ნაწარმოებთაგან ასახელებს „გაშზრდელსა" და „ალუდა ქეთელაურს", რადგან ორივე მათგანი კაცის კვლის არჩევანის წინაშე აყენებს პერსონაჟს. 'წიგნის" მთავარი გმირიც ბათუსა და ალუდას ემსგავსება, რადგან ახერხებს წყენასა და ბოროტებაზე ამაღლებას, ადამიანის სისხლით არ ისერის ხელს. ქეთელაურივით, მკელელობას კაციჭამიობად მიიჩნევს.

რევაზ ინანიშვილი გვიჩვენებს, რომ მთავარია სულიერი ერთობა

ადამიანებს შორის და არა — რევოლუციური მრწამსი თუ ადათების სამართალი. წიგნის სიყვარული ის საფუძველია, რომელიც უფრო მეტად აახლოებს მთხრობელს "მამის მკვლელთან", ვიდრე მენშევიკებთან და უფრო ძლიერი, ვიდრე იმდროინდელი წყობის მტრების სიძულვილი. ახლად დავაჟკაცებული ბიჭისთვის ის ლალი, მოცინარი, თბილი და ხალისიანი კაცი გაცილებით უფრო მისაღები პიროვნება და სულისთვის სასიამოვნო ადამიანია, ვიდრე მისი თანასოფლელი მენშევიკები — "ჩაბურძგნულები, ჩაღრუბლულები, ფინთი სიცივე რომ აქვთ, საცა კი მიელენ."

მწერალი გვიჩვენებს, რომ წიგნმა ხატის როლი შეასრულა. ბიჭის სულში სიყვარული ჩათესა და წარწყმედისაგან დაიფარა. ამიტომაც უკვე მოხუცებული ბედნიერად იცინის და ამბობს:

"ხატივით გვქონდა დასვენებული ის წიგნი..."

მისი ხელნაწერი კი უკვე მისი მსმენელის ხატი და მცველი ხდება, ამიტომ ინახავს მას, როგორც მამამისის გადარჩენის ხსოვნას, როგორც ცოდვისაგან მფარველ განძს.

გადარჩენის გზაც ეს არის — სიყვარულით ვიცხოვროთ, განათლებით სული დავიხვეწოთ და ცოდვას თავი ავარიდოთ.

ლალი დათაშვილი

ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?

„Витгенштейн – русский княжеский
род (ныне угасший)“...
(„ვიტგენშტეინი — რუსული თავადური
შოდგმა (ამჟამად გამქრალი)...“
ბროკჰაუზი და ეფრონი.
ენციკლოპედიური ლექსიკონი,
ტ. VI ა. ს. პეტერბურგი, 1892წ.

თავადი ვიტგენშტეინი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟიშვილი, თბილისიდან პეტერბურგს მიემგზავრებოდა მატარებლით. ამ ჯერაც ისევ ახალგაზრდა კაცს, ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკს, ბაუშობა დედულეთში ჰქონდა გატარებული. მოსწავლეობის წლებშიც, არდადეგებზე, ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე სამეგრელოში. იცოდა მეგრული, ცოტა ქართულიც. აღმერთებდა დედას, უყვარდა ქართველი ნათესავები. მათთან, ნათესავებთან, თავი ისე ეჭირა, როგორც ზრდილ მეგრელ ყმაწვილს შეეფერის (გამოცდილი თვალი მაინც შეამჩნევდა გერმანულ პედანტიზმს), გაწაფული იყო ნახევრად ველური ჯოგის ცხენების ჭენებაში, ცხენიდან სროლაში, ტახებზე ნადირობაში. იცვამდა ჩოხას, ქართულ უძირო წაღებს, იხურავდა მეგრულ ფაფანაკსაც კი.

ახლაც, მატარებელში, ასე ეცვა – მწიფე შინდისფერი, თეთრქილებიანი ჩერქეზული ჩოხა, პირისფერი ახალუხი, მუხლქვემოთ სადა ლეკეერთხებშემოჭერილი უძიროები. ეკიდა სპილოს ძელისტარიანი, თითქოს უბრალო, მაგრამ ნატიფრად ნაკეთები ხანჯალი. შესაშურად აღნაგი, წელში ლარივით აჭიმული, თავისი სხეულის საამოდ მფლობელი, ან წიგნს კითხულობდა კუპეში, ან არადა ვაგონის ფანჯარასთან მდგარი, ხელებუკანშემოწყობილი, მშვიდად გაიყურებოდა გარეთ. თვალს მოგტაცებდათ მისი მაღალი კისერი, კავკასიური პატარა მკერივი კეფა, ზემოთ წასული წარბები, ოდნავ კეხიანი, თხელი, თხელი ცხვირი და თხელივე ტუჩები. სამხრეთულად მზემოკიდებულს, მაინც შერჩენოდა ჩრდილოეთური მოყვითალო სიფითრე. იშვიათად, რომ ვინმეთი დაინტერესება შესტყობოდა სახეზე, თუმცა ვერც იმას იტყოდით, ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ვინმე. ძალდაუტანებელი თავაზიანობით გაატარებდა ხოლმე ვაგონში გამელელებს. მჭრქალი ღიმილით უსმენდა გამოლაპარაკების მსურველთ, მორჩილად ხრიდა

თავს, მიუგებდა უმთავრესად შეკითხვებზე, და თუ გრძნობდა, რაღაც არ ხდებოდა ისე, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვდა, ოდნავ გვერდზე გადაპქონდა მხერა.

მატარებელი დონის როსტოვში გაჩერდა. ვაგონში აჩქროლებული ფაშფაშა ქალი და ასევე ტანსრული გენერალი ამოვიდნენ. გენერლის მიმოხრამ, მისმა მბრძანებლურმა კილომ, რომლითაც ვაგონის გამცილებელს მიმართავდა, ვიტგენშტეინი მიახვედრა, ეს ერთი იმ გენერალთაგანი იყო, ბრძოლაში საამაყო დაურიდებლობა სამოქალაქო ცხოვრებაშიც რომ გადმოპქონდათ. იყვნენ თამამნი, ხმაურიანნი, ყველაფრის მცოდნენი, ყოვლისშემძლენი და თანაც თითქოს კეთილნი. გენერალიც მაშინვე მიხვდა, რა დამღის ღვთის შვილიც იდგა ვიტგენშტეინის სახით მის წინ. აშკარა მისალმებით არა, მაგრამ ღირსების აღიარების ნიშნად მაინც დახარა თავი. ვიტგენშტეინმაც ასევე უპასუხა. გენერლის თანმხლებმა ქალმა, სანამ კუპეში ბარგს შეიტანდნენ მებარგულე და ვაგონის გამცილებელი, რამდენჯერმე გამოაბრდღვიალა ვიტგენშტეინისკენ დიდი, აღმოსავლურად წყლიანი თვალები. მერე გენერალიც და ქალიც შეეიდნენ, შეიკეტნენ კუპეში.

ვიტგენშტეინი კმაყოფილი იყო იმ წყვილის განმარტოებით. ვერ იტანდა ძალიან მოძრავთ, ხმაურიანთ — ვერც კაცებს, მით უფრო სამხედროებს, და ვერც ქალებს, რანაირი მომხიბლველნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. გარეთ ზამთრისპირის ნაღვლიანი დღე ღამდებოდა, თვითონაც ნაღვლიანი იყო, მძიმე ნაღველში გახვეული უნდა დახვედროდა პეტერბურგიც.

მხოლოდ მეორე დილის ათი საათისთვის გამოვიდნენ დერეფანში გენერალი და მისი თანმხლები ქალი, თანაც სწორედ ისე, როგორც პირველი შეხვედრისთანავე წარმოიდგინა ვიტგენშტეინმა. გენერალს აღმოსაელური მძიმე პრიალა ხალათი ეცვა, აღმოსაელურ პრიალა ხალათში იყო გახვეული მისი თანმხლები ქალიც — ერთ ღამეში საგრძნობლად შეცვლილი, შებერებულიც კი, მაგრამ მაინც კმაყოფილი. კმაყოფილების გამომეტყველებით იხედებოდა ხან ფანჯარაში, ხანაც აქეთ-იქით. ვიტგენშტეინმა კუპეში შესვლა განიზრახა, მაგრამ მერე რაღაც ყმაწვილურმა ჟინმა აიტანა. გადაწყვიტა, შეემოწმებინა, ბოლომდე მართებული იყო, თუ არა, მისი შეხედულება ამ წყვილზე.

გენერალი ქალს სასაცილო რაღაცებს ეჩურჩულებოდა. ქალი პირზე ხელს იფარებდა და ხმამაღლა გაცინებისაგან თავს იკავებდა. გენერალი ისევ და ისევ ეჩურჩულებოდა. ქალს უკვე პირზე ხელის აფარებაც აღარ

შეელოდა. ვაგონის კედელს საფეთქლითაც ეკვროდა. გენერალმა რაღაც გადასაფიჩინებელი თქვა. ქალმა სახეზე ორივე ხელი აიფარა და, ვაგონის კედელზე შუბლმიყრდნობილი, ფხუკუნით ჩაიხარა. ვიტგენშტეინი, რა თქმა უნდა, თვალს არიდებდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, გენერალმა ჩახრილ ქალს უადგილო ადგილას მიუწკაპუნა ხელი. ქალი შეკრთა, გასწორდა. ჯერ ვერ გაბედა, მერე შეშფოთებული მზერა გამოაპარა ვიტგენშტეინისკენ. ვიტგენშტეინი სფინქსივით მშვიდად იდგა, გარეთ იყურებოდა, მხოლოდ ოდნავ მომატებოდა სიფითრე ბაგეებთან, ქალი მაინც სახეარეული შეეარდა კუპეში. გენერალი კი, ვითომც არაფერი, ერთ ხანს ზურგით იყო მიყუდებული ფანჯარასთან, მქირდავი ღიმილით უყურებდა კარმოხურულ კუპეს, მერე ნასვამი კაცის მორბილებული ნაბიჯებით წავიდა დერეფნის ბოლოსაკენ. ვიტგენშტეინიც იქით გაემართა, გენერალმა გაკვირვებით მოხედა, ვიტგენშტეინმა ხმადაბლა უთხრა:

— უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეტი თავშეკავებულობა გამოგეჩინათ, გენერალო?

გენერალი შექანდა.

— ეს როგორ?

— მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენს გვერდით.

გენერალმა ვიტგენშტეინის თვალებს ვერ გაუძლო.

— მამაკაცი? — გაეღიმა დაბნეულს.

ვიტგენშტეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა.

— პირველსავე სადგურში ჩავალთ და ვესერით ერთმანეთს.

გენერალმა ლოყაზე ხელი ჩამოისვა და დერეფანს გახედა. დერეფანში არავინ იყო. ენის ბორძიკით თქვა:

— ის ქალი... იმ ქალის გულისთვის არ ღირს.

— მე არ ვიცი ეგ.

— თანაც ნაუმოვი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვსვამ.

— მით უკეთესი თქვენთვის.

— მე თქვენ უთუოდ მოგკლავთ.

ვიტგენშტეინმა აღარაფერი უპასუხა. თავის კუპისკენ წავიდა.

— რენკონტრ?*

— რენკონტრ.

გენერალმა საფეთქელთან ასწია ხელი, ვიტგენშტეინი კუპეში შეეიდა და კარი მოიხურა.

სადგურის თეთრი შენობის უკან, თოვლით მქრქალად შეფუმფლულ შავ ხეებთან, ვიტგენშტეინმა და გენერალმა პატარა წარწერიანი საეზიტო ბარათები შეუცვალეს ერთმანეთს. ერთმაც ოცი ნაბიჯი გაღათვალა, მეორემაც. ერთმაც დამბაჩა მაღლა ასწია, მეორემაც.

თოვდა.

— მესროლეთ! — დაიძახა ვიტგენშტეინმა.

გენერალმა დამბაჩა ნელა დაუშვა ძირს და ისროლა. ხეებზე ყვავები აფათქუნდნენ, აჩხაველდნენ. ვიტგენშტეინი შეტორტმანდა, მარცხენა ხელი მკერდზე მიიკრა, დავარდა, მაგრამ არ წაქცეულა, მუხლებზე დადგა. მუხლებზე მდგარმაც ასწია დამბაჩა. გენერალმა თავი აიღო, თითქოს ცას მიაჩერდა. ვიტგენშტეინმა ესროლა, გენერალს ქუდი გადაუვარდა. ვიტგენშტეინი იდაყვებით ჩაემხო თოვლში.

— მოპკლეს! მოპკლეს! — იძახდნენ ვიღაცები.

ვიტგენშტეინს იღლიებში შეუსხდნენ, სადგურის მოსაცდელ დარბაზში შეიყვანეს. არ დაწვა. საწერ-კალამი მოითხოვა. შინდისფერ ჩოხაზე თითქმის არ ეტყობოდა სისხლი. მოუტანეს საწერ-კალამი. თვითონ ამოიღო უბიდან გენერლის საეზიტო ბარათი. მუხლთან დაიდო, აკანკალებული ხელით დააწერა: „ძვირფასო ნიკ! ყველაფერი წესის ფარგლებში მოხდა, ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, არ დაისაჯოს გენ...“ ხელი დაუდუნდა, ძირს ჩამოუვარდა.

ვიღაც ყვიროდა:

— ჩქარა, ჩქარა!

გარბოდნენ, გამორბოდნენ. მხოლოდ გენერალი იდგა დარბაზში უძრავად. ტყვიით გახვრეტილი ქუდი ორივე ხელით ეჭირა წინ. დარბაზის კარში შეხნიერებული ჟანდარმი გახიდულიყო და აღარავის უშვებდა შიგნით.

*

დავუსვი ამ ამბავს ბოლო წერტილი, დავუძახე ჩემს ქალიშვილს, რომლის თვალებზე ვამოწმებ ხოლმე, როგორ მოქმედებს ჩემი დაწერილი ამბები სხვებზე, წავუკითხე მთელი მონდომებით, ყოველი სიტყვის მკაფიო გამოთქმით, მეგონა, თვალები გაბრწყინებული ექნეობდა აღტაცებით. მან კი შეეჭვებულმა მკითხა:

— ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?

ეგ იყო და ეგ.

კითხვები და დავალებები:

დაახასიათეთ ვიტგენშტეინი; მისი ხასიათის გამოსაკვეთად ყურადღება მიაქციეთ ავტორისეულ დეტალებს: "მქრქალი ღიმილით უსმენდა გამოლაპარაკების მსურველთ, მორჩილად ხრიდა თავს, მიუგებდა უმთავრესად შეკითხვებზე, და თუ გრძნობდა, რაღაც არ ხდებოდა ისე, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვდა, ოდნავ გვერდზე გადაპქონდა მზერა";

თქვენი აზრით, რა არის თავად ვიტგენშტეინის ხასიათში ქართული?

რა მიგაჩნიათ ამ ნოველის მთავარ სათქმელად?

თქვენი აზრით, რის თქმა უნდა მწერალს იმის აღნიშვნით, რომ ვიტგენშტეინი „იხურავდა მეგრულ ფაფანაკსაც კი";

მოიძიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვათა განმარტებები: „თეთრქილებიანი ჩერქეზული ჩოხა", „პირისფერი ახალუხი", „ლეკვერთხებშემოჭერილი უძიროები".

იმსჯელეთ შედარებაზე: „ვიტგენშტეინი სფინქსივით მშვიდად იდგა";

როგორ გესმით „მქირდავი ღიმილი" („მქირდავი ღიმილით უყურებდა კარმოხურულ კუპეს")?

თქვენი აზრით, რა სურს გენერალს, როდესაც ვიტგენშტეინს ეუბნება:

"— თანაც ნაუმოვი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვსვამ"?

იმსჯელეთ, რა მიზანს ისახავს მწერალი, როცა მომაკვდავ ვიტგენშტეინთან მდგომარე გენერალს ასე წარმოსახავს: "მხოლოდ გენერალი იდგა დარბაზში უძრავად. ტყვიით გახვრეტილი ქუდი ორივე ხელით ეჭირა წინ"?

როგორ გესმით „თვალებზე შემოწმებული ამბავი"?

დააკვირდით:

მწერალი ნაღველიანი ამბისთვის გვამზადებს, რადგან მთავარი გმირის სულშიცა და ბუნებაშიც ნაღველს დაუსადგურებია: "გარეთ ზამთრისპირის ნაღველიანი დღე ღამდებოდა, თვითონაც ნაღველიანი იყო, მძიმე ნაღველში გახვეული უნდა დახვედროდა პეტერბურგიც";

ფინალი სრულიად მოულოდნელია, იცვლება მოთხრობის სათქმელიცა და აქცენტებიც, რაც დამახასიათებელია ნოველისთვის;

მწერალს ოსტატურად შეურჩევია ხმაბაძვითი სიტყვა "ფათქუნი" ("ხეებზე ყვავები აფათქუნდნენ");

მწერალს ოსტატურად მოურგია "გა" ზმნისწინი "ყურება" ზმნისთვის: „მშვიდად გაიყურებოდა გარეთ";

მწერალი იყენებს ექსპრესიულ სიტყვას: „გადასაფიჩინებელი" („გენერალმა რაღაც გადასაფიჩინებელი თქვა");

მწერალს ოსტატურად შეურჩევია სიტყვა "შეფუმფლული" ("თოვლით მქრქალად შეფუმფლულ შაე ხეებთან");

მწერალს ოსტატურად შეურჩევია სიტყვა "გახიდულიყო" ("დარბაზის კარში შეხსიერებული ჟანდარმი გახიდულიყო");

რევაზ ინანიშვილი წუხს იმის გამო. რომ მკითხველს ხშირად არ ესმის, ან არასწორად ესმის მწერლის სათქმელი.

ანალიზისთვის:

კეთილშობილთა მოდგმა

„ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?" პიროვნებისა და საზოგადოების თემაზე შექმნილი ნოველაა და მკითხველს ვიტგენშტეინის სახით კიდევ ერთ ალუდას, იგის, დონ კიხოტსა თუ თარაშ ემხვარს აცნობს.

მწერალი ეპიგრაფიდანვე გვაშზადებს გამორჩეული სულიერი ღირებულების პერსონაჟთან შესახვედრად. ენციკლოპედიაში აღნიშნული გვარი, გამქრალი არისტოკრატული ოჯახი მკითხველში მათდამი პატივისცემასა და უკვალოდ გარდასული მშვენიერების გამო წუხილს აღძრავს.

ვიტგენშტეინის დახასიათება, ის, თუ როგორ შემოპყავს იგი მოთხრობაში მწერალს, მისი გემოვნება, თავდაჭერის მანერა, ძალდაუტანებელი თავაზიანობა, გარეგნული სრულყოფილება კიდევ უფრო გვარწმუნებს მის რჩეულობაში. ერთი შეხედვითაც კი გასაგებია, რომ ის ღვთის შვილია და თავისი დროის საზოგადოებისაგან განსხვავდება,

ერთი მხრივ, „თავადი ვიტგენშტეინი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟიშვილი", დახვეწილი კულტურის, ზრდილი და ამაყი ადამიანია, რომელიც სხვების არად ჩამგდებ, ხმაურით შემწუხებელ, უზრუნველ, მიწიერ თანამოქალაქეებს არ ჰგავს და მათ ვერც ეწყობა. "ვერ იტანდა ძალიან მოძრავთ, ხმაურიანთ — ვერც კაცებს, მით უფრო

სამხედროებს, და ვერც ქალებს, რანაირი მომხიბლველნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი."

მეორე მხრივ, გენერალი, ვისმა „მიმოხრამ, მბრძანებლურმა კილომ, როლითაც ეაგონის გამცილებელს მიმართავდა, ვიტგენშტეინი მიახვედრა, ეს ერთი იმ გენერალთაგანი იყო, ბრძოლაში საამაყო დაურიდებლობა სამოქალაქო ცხოვრებაშიც რომ გადმოქონდათ. იყვნენ თამამნი, ხმაურიანნი, ყველაფრის მცოდნენი, ყოელისშემძლენი და თანაც თითქოს კეთილნი" და „აჩქროლებული ფაშფაშა ქალი", მეძავი, მხოლოდ ხორციელი კმაყოფილებისთვის რომ ცხოვრობს. მიუხედავად საყვარელთან ერთად ყოფნისა, მოახერხა და სხვა მამაკაცის დაინტერესებაც სცადა, „სანამ კუპეში ბარგს შეიტანდნენ მებარგულე და ეაგონის გამცილებელი, რამდენჯერმე გამოაბრდღვიალა ვიტგენშტეინისკენ დიდი, აღმოსავლურად წყლიანი თვალები."

ამ ორი ტიპის ხალხი ერთმანეთს დანახვისთანავე სცნობს. ვიტგენშტეინმა უმალ გაიაზრა, გენერლისა და ქალის სახით როგორი ადამიანები დაემგზავრნენ, „გენერალიც მაშინვე მიხვდა, რა დამღის ღვთის შვილიც იდგა ვიტგენშტეინის სახით მის წინ". ორივე მხარე უხერხულობის განცდამ შეიპყრო. თავადი მათ უკულტურო ქცევას ერიდებოდა, ამიტომაც, როცა „შეიკეტნენ კუპეში, კმაყოფილი იყო იმ წყვილის განმარტოებით", ხოლო გენერალი ასეთ კაცთან ლაღად და შეუზღუდავად ვერ მოიქცეოდა, სხვა ადამიანებივით ზევიდან ცქერას ვერ დაუწყებდა, პირიქით, საკუთარი თავი უნდა ეკონტროლებინა, რადგან გრძნობდა, რამდენად უსუსური პიროვნება იყო მასთან შედარებით.

ამდენად განსხვავებული ადამიანები მხოლოდ მანამ ცხოვრობენ უკონფლიქტოდ, ვიდრე ერთმანეთს ერიდებიან. ვიტგენშტეინს სურდა, მათთვის თავი აერიდებინა, „კუპეში შესვლა განიზრახა, მაგრამ მერე რაღაც ყმაწვილურმა ჟინმა აიტანა. გადაწყვიტა, შეემოწმებინა, ბოლომდე მართებული იყო თუ არა მისი შეხედულება ამ წყვილზე", რაც გარდაუვალ კონფლიქტს მოასწავებდა.

სხვა ადამიანი ყურადღებასაც არ მიაქცევდა გენერლის საქციელს, დაუდევრობასა და გარშემო მყოფთა უპატივცემულობას შეარჩენდა შიშისა თუ მოძალადის მხრიდან ზედმეტი გართულების თავიდან არიდების მიზეზით, მაგრამ არა — ვიტგენშტეინი.

თავზედ ვიღაცამ უნდა ასწავლოს ჭკუა, ვინმემ უნდა უთხრას, რომ ქედმაღლობა და ეგოიზმი, მხოლოდ საკუთარი შეხედულებებითა და

კმაყოფილებით შემოფარგელა, რწმენა, რომ შენს გარშემო ტრიალებს სამყარო, როგორც ღვთის, ისე კაცთა თვალში დასაგმობია.

ვიტგენშტეინის სიტყვები: „— უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეტი თავშეკავებულობა გამოგეჩინათ?" — იმავე ტიპის სწავლებაა, ალუდა ქეთელაურისგან რომ გვახსოვს:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოდ ჩვენ გვზრდიან დედანი..."

ხოლო მის მიერ გენერლისთვის გაწნული სილა — ისეთივე მოქმედება, როგორიც — ალუდას მიერ კურატისთვის თავის წაცლა.

გაფრენილ სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებ. ამიტომ დუელი გარდაუვალი იყო, თუმცა გენერალი დაბნეული უფროა, ვიდრე მის წინ მდგომარე თავადის შეურაცხყოფის მსურველი, როდესაც მის მამაკაცობას თავისდაუნებურად აყენებს ეჭვქვეშ:

„— მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენს გვერდით.
გენერალმა ვიტგენშტეინის თვალებს ვერ გაუძლო.
— მამაკაცი? — გაეღიმა დაბნეულს.
ვიტგენშტეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა."

ნაუმოვი (ჯაყო ჯიკაშვილისაგან განსხვავებით, თეიმურაზს ბრინკად რომ თელის) პატივისცემით ეპყრობა ვიტგენშტეინს, ერთგვარ მოკრძალებასაც გრძნობს მისი პიროვნების მიმართ, რის დამალვასაც ცდილობს ქედმაღალი გენერალი. იგი დუელის თავიდან აცილების მომხრეცაა, არ უნდა მოკლას ეს უცნობი თავადი, არც საპასუხო სილის გაწვნა მოსელია აზრად, თანამგზავრი ქალის უზნეობაც მიანიშნა: „გენერალმა ლოყაზე ხელი ჩამოისვა და დერეფანს გახედა. დერეფანში არავინ იყო. ენის ბორძიკით თქვა:

— ის ქალი... იმ ქალის გულისთვის არ ღირს."

მაგრამ ღვთის ჭეშმარიტ შვილებს ზნეობრივი კომპრომისები არ ახასიათებთ.

მომაკვდავ ვიტგენშტეინთან მდგომარე ნაუმოვი ნანობს თავის საქციელს, იცის, რომ ერთი მშვენიერი ადამიანი მოკლა და ქედს იხრის მის წინაშე: "მხოლოდ გენერალი იდგა დარბაზში უძრავად. ტყვიით გახვრეტილი ქუდი ორივე ხელით ეჭირა წინ"?

კაცი ღირსებით ფასობს. ვიტგენშტეინს ურჩევნია, მკვდარი იყოს, ვიდრე ღირსებაშელახული. ამიტომაც ამაყ კაცად სიკვდილი არჩია შერცხვენილ სიცოცხლეს. კიდევ ერთხელ წარმოჩნდა რუსთველის

აფორიზმის ჭეშმარიტება: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

კაენმა აბელი მოკლა, ძმებმა გაყიდეს იაკობი, გაწირეს იოსები, ქარაფიდან გადააგდეს იგი, მოკვეთეს ალუდა, სიკვდილი სანატრელი გაუხადეს ჯოყოლასა თუ აღაზას... შური ანადგურებინებს ადამიანს თავისზე უკეთესს, ძმასა თუ თანამოძმეს, აბნელებინებს და ცოდვებით აესებინებს დედამიწას. ვიტგენშტეინი ყველა მათგანის სიმბოლური გამოხატულებაა, სწორედ მათ ადგათ უსამართლოდ დასჯილი ყველაზე დიდი მსხვერპლის — ჯვარცმული მაცხოვრის ნათელი...

თუმცა კაცობრიობა მაინც ვერ მოდის გონს, უფრო ღრმად ეფლობა ცოდვისა და უმადლობის ჭაობში, ვიტგენშტეინის სიკვდილზე მეტად ყვავების დაფრთხობა აინტერესებს. ამიტომაც ნოველის ბოლოს მწერალი გულდაწყვეტით გადმოგვცემს "თავისი ქალიშვილის" რეაქციას:

"მეგონა, თვალები გაბრწყინებული ექნებოდა აღტაცებით. მან კი შეეჭვებულმა მკითხა:

— ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?

ეგ იყო და ეგ."

ამ, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ფინალით, რვეაზ ინანიშვილი ცდილობს, კიდევ ერთხელ დაგვაფიქროს კაცობის არსზე, თვალი და ყური განგვიწმიდოს დასანახავად და მოსასმენად, თუნდაც რამდენიმე მკითხველი მონახოს, რომელთა "თვალებზეც შეამოწმებს" გადმოცემული ამბის ტრაგიკულობას, ნაწარმოების მხატვრული ღირსებისა თუ მწერლისეული სათქმელის სწორად ამოკითხვის უნარს, ამით კი თვითონ იტვირთოს "ვიტგენშტეინთა" მისია — ხვალინდელი კაცობრიობა გახადოს დღევანდელზე მცირედ მაინც უკეთესი.

ლალი დათაშვილი

ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი

ბებერი მუხა აღერღილი იყო. უკანასკნელი ფოთლები რა ხანია რცხილებსაც დასცვივდათ, წიფლებსაც, თხმელებსაც. თვით ისიც, დაკორძილი, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი მუხაც, შავად იყო ალანძული, მისი სქელი, გალაქულიეით პრიალა ფოთლები ძირს იყვნენ დაფენილნი და ხანდახან თუ შეთრთოლდებოდნენ ნიავის წამობერვაზე, კბოდეზე გადმოზნექილი ნეკერჩხლის ერთი დიდი ფოთოლი კი მხოლოდ ოდნავ მოღუნულიყო და წითლად ღუდღუდებდა ტყის ბინდ პაერში. მუხამაც, ხევში მიმავალმა მომწვანო წყალმაც, მსუქანმა მაჩემაც და დიდთავა ბუმაც იცოდნენ, რომ ნეკერჩხლის ფოთოლი ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა.

— ვის ელი, შე საბრალოვ! — შელიკლიკებდა ქვემოდან წყალი, — ჩამოდი ჩემთან, თუ შენიანებზე ნაწყენი ხარ, ქვემოთ წაგიყვან, ულამაზეს ადგილებს გაჩვენებ და, სადაც მოგეწონოს, იქ დარჩი.

მაგრამ ფოთოლი ხმას არ სცემდა წყალს.

გამოვიდოდა ყოველდილა მსუქანი მაჩვი, ღრმად ჩაისუნთქავდა სუსხიან პაერს, დაინახავდა ნეკერჩხლის წითლად მოღუდღუდე ფოთოლს, ზიზღით შეიჭმუხნიდა ქონიან დინგს და აბუზღუნდებოდა თავისთვის:

— ნეტავ ვის ელის ტუტუცი, არ ურჩევნია, თავისიანების გვერდით იყოს?!

მუხას კი ის აბრაზებდა, ჯანსუსტი, ყოველგვარ ხმაურზე მოცახცახე ფოთოლი როგორ იჩენდა მისთვის გაუგებარ სიმტკიცეს.

მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეხლეობოდნენ ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა ძვალრბილიანად გათანგა ყველაფერი, ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი კი ისევ მოლოდინით იყო სავსე და მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად ელუნებოდა მხრები.

*

ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოქურუშდა. დაუბერა ციემა, ნოტიო ნიავმა. მთელ დღეს იქროლა. მერე ნიავი ჩადგა და წვიმა წამოვიდა. იწვიმა შუაღამემდე, შუაღამის შემდეგ კი წვიმა თოვლმა შეცვალა. როცა გათენდა, ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაეღო სადღაც შორს. ხეების წვიმითგაშავებულ ტოტებს რბილი, ფაფუკი თოვლი დასდებოდა, ჟანგისფერ მიწას თეთრი, ფუმფულა საბანი გადაპფარებოდა, კბოდეზე გადმოზიდული ნეკერჩხლის წითელი ფოთოლიც თოვლით იყო

დამძიმებული, მაგრამ ის მაინც ისევ მტკიცედ ეკიდა ტოტის ბოლოზე და ისევ ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა.

— ჩამოდი, შე საცოდავო! — დაუძახა ქვემოდან წყალმა, — ჩამოდი, სანამ ყინულს არ შეეუბოჭივარ მთლიანად.

მაგრამ ნეკერჩხლის ფოთოლი ხმას არ იღებდა.

ბებერი მუხაც ღირსეულად თავდაჭერილი დუმდა.

შუადღისას მზე გამოვიდა. ნეკერჩხლის ფოთოლს თოვლი ჩამოადნა. ჩამოდნა თოვლი ხეების ტოტებიდანაც. ტყეში ისმოდა ჩამოშავებული ლეშხისა და მსხვილი წვეთების ხმელ ფოთლებზე დაცემის ხმა. მიწაზე დაგებული თოვლი ქაფქირიეით დაიხვრიტა, მაგრამ საღამო ხანზე ხმები ისევ შეწყდა. მთების წვერებიდან ყინვა ჩამოვიდა, ლურჯად ჩამოდგა ტყეში. გაჩუმდა წყალიც. გაჩუმდნენ ფრინველებიც. მიდამო მოიცვა სინათლესთან გაყრის იდუმალმა სევდამ...

და, აი, ამ დროს მინასავით უძრავ ლურჯ პაერში ბებერ მუხასთან შემოვიდა ხარირემი. ის ყველამ მაშინვე შეამჩნია, ყველა გაიცქაფა, თითქოსდა თითისწვერებზე შედგნენ ერთმანეთის უკან. ხარირემი, მოწყენილი, მაგრამ ზეიადი, ნელ-ნელა მოდიოდა. ხანდახან შეჩერდებოდა, ყურებს შეატოკებდა, ნესტოებს დაბერავდა და ისევ წავიდოდა, — თოვლშერჩენილ მიწას შავად აჩნდებოდა მისი შუაზე გაყოფილი ნაფეხურები. ჩავიდა ხევში, პატარახანს წყალს დაეწაფა, მერე თავი ასწია და გაკვირვებული დარჩა. კბოდეზე გადმოზიდულ ნეკერჩხალს ერთი დიდი წითელი ფოთოლი შერჩენოდა და ის ფოთოლი თრთოდა, ცახცახებდა; ნიავი არ იძვროდა, ისე თრთოდა და ცახცახებდა. ირემმა კისერი წაიგრძელა და კიდევ უფრო გაკვირვებული შეაჩერდა. მაშინ ფოთოლი მოწყდა, წამოვიდა ფარფატით, წამით თითქოს პაერშიც კი შედგა, მერე მოეშვა და გულაღმა დაეცა თოვლზე — წითელი, უსასოო. ირემმა დრუნჩი მიუახლოვა, წინა ფეხიც ასწია, უნდოდა, ჩლიქი წაეკრა, გადაებრუნებინა, ენახა, რა ფოთოლი იყო ასეთი, მაგრამ ის ისე უმწეოდ ესვენა თოვლზე — სისხლისფერი, სიფრიფანა, ოდნავ მოხრილი მხრებში — ფეხი დაუშვა, მორიდებით შემოუარა, რამდენჯერმე შედგა, მოიხედა, რაღაც საოცარმა ნაღველმა შეიპყრო, თავი ასწია და ამოიბღავლა.

ზამთრისპირის გარინდებულ ტყეში გლოვის ზარივით ისმოდა ხარირემის უდროული ხმა. აქამდე უძრავი ლურჯი პაერი ზანზარებდა, თრთოდა.

ყოველივე ეს ბებერმა მუხამაც დაინახა, აი, თურმე ვის უცდიდა ნეკერჩხლის დიდი წითელი ფოთოლი! აი, მრავალსაუკუნოვანი სისულელის კიდევ ერთი სურათი. იცნობდა ასეთ რამეებს ბებერი მუხა!..

მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: უნდოდა მასაც ხარირემიეით აეწია თავი და დაებღაველა, დაებღავლა ისე, რომ ტანი აპბურძგნოდათ გაშტერებით მდგარ წიფლებსა და რცხილებს. ეს არ შეეძლო, და იდგა ჩუმად, კვირტების უბეები ნელ-ნელა ეესებოდა წვეთებით. ეს წვეთები იყო მისი ცრემლი.

კითხვები და დავალებები:

როგორ გესმით: "ბებერი მუხა აღერღილი იყო"?

თქვენი აზრით, რა იგულისხმება სიტყვებით: "მრავალსაუკუნოვანი სისულელე" ("აი, მრავალსაუკუნოვანი სისულელის კიდეე ერთი სურათი");

როგორ გესმით ქვემოთ ჩამოთვლილი ეპითეტები, მეტაფორები და შედარებები: "ბინდ პაერში", "რამდენჯერმე ჭირხლმა ძვალრბილიანად გათანგა ყველაფერი", "ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაელო სადღაც შორს", "მიწაზე დაგებული თოვლი ქაფქირიეით დაიხერიტა", "მინასავით უძრავ ლურჯ პაერში", "მიდამო მოიცვა სინათლესთან გაყრის იდუმალმა სევდამ", "ყველა გაიცქაფა, თითქოსდა თითისწვერებზე შედგნენ ერთმანეთის უკან";

განმარტეთ "ჩამოშვაევებული ლეშხი" ("ტყეში ისმოდა ჩამოშვაევებული ლეშხისა და მსხვილი წვეთების ხმელ ფოთლებზე დაცემის ხმა");

თქვენი აზრით, რამ შეცვალა მუხა ნაწარმოების ბოლოს, რამ აავსო ცრემლით?

რა მიგაჩნიათ ნაწარმოების იდეად?

დაწერეთ ესე: "სიყვარული და სიცოცხლე".

დააკვირდით:

რევაზ ინანიშვილი სიტყვას სხვა მნიშვნელობით იყენებს: "ალანძულს" შეწითლებულზე იტყვიან, აქ კი გაშაევებულს ნიშნავს: "მუხაც, შავად იყო ალანძული";

მწერალი ქმნის ხმაბაძეით სიტყვას: "შელიკლიკებდა" ("შელიკლიკებდა ქვემოდან წყალი");

მწერალი იყენებს ექსპრესიული მნიშვნელობის სიტყვებს: "ღუდღუდი" ("წითლად ღუდღუდებდა", "ნეკერჩხლის წითლად მოღუდღუდე ფოთოლს");

მწერალი ქმნის ახალ ზმნას "მოქურუშდა", ზედსართაული სახელიდან "ქურუში": "ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოქურუშდა";

მწერალი ექსპრესიულ მნიშვნელობის ანიჯებს სიტყვა ბღავილს "აძო" ზმნისწინის დართვით: "თავი ასწია და აძოიბღავლა";

გარეგნულად სუსტი და მშიშარა ფოთოლი საოცარ სიმტკიცეს იჩენს დასახული მიზნის მისაღწევად.

ანალიზისთვის:

***

ემზარ კვიტაიშვილი თავის ესსეში წერს: „მახსოვს, აღტაცებული თამაზ ჭილაძე მოვიდა ერთხელ „ცისკარში", რეზოს პაწაწინა მოთხრობა წაეკითხა: „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი". წერა ასე უნდა, გუშინ მთელი დღე ბედნიერი ვიყავიო, თვალებგარწყინებული ამბობდა".

თეიმურაზ მაღლაფერიძე, 1992 წ.

***

მრავალსაუკუნოვანი სისულელის კიდევ ერთი სურათი

ჩვენი წინაპრები გაჯიუტებულ მომაკედავზე იტყოდნენ, ვიღაცას ელოდება, თავისი სული რომ დაუტოვოს, ვიღაცას, საკუთარ სულზე მეტად რომ უყვარს, ამიტომ წვალობს და ვერ გადის წუთისოფლიდანო...

ფოთლისთვის უფალს სასიცოცხლო დროდ „ერთი ბაჩავი წამი" დაუწესებია, ყინვაც მისი მტერია და ზედმეტი სიცხეც, მაგრამ ეს „სიყვარულით გაწითლებული" ფოთოლი არაფერს ეპუებოდა.

"მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეხლებოდნენ ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა ძალრბილიანად გათანგა ყველაფერი, ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი კი ისევ მოლოდინით იყო სავსე და მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად ელუნებოდა მხრები."

ტრფობის სიდიადე ნეკერჩხლის ფოთოლს საოცარ ძალას აძლევს, ბუნების წესის დარღვევით აცოცხლებს. პატარა, სიფრიფანა და უძლური, მშიშარა „ქალბატონია", მასზე დიდი და ლამაზი ფოთლები ჩამოცვიედნენ, ის კი კბოდეზე გადაკიდებული იცდის, "წითლად ღუდღუდებს ტყის ბინდ პაერში"...

სიყვარულით სავსე ფოთოლი იდუმალ მიჯნურს უცდის, რომ მას შეაეედროს სული... ვაჟასი არ იყოს, თითქოს ყველაფერი ნანახი აქვს,

თუმცა მაინც რაღაცას ელის, "უნახავის დანახვა მოსწყურებია", რაც "თეალ-გულის გაუმაძღრობაა" ("მთანი მაღალნი").

"მუხამაც, ხევში მიმავალმა მომწვანო წყალმაც, მსუქანმა მაჩემაც და დიდთავა ბუმაც იცოდნენ, რომ ნეკერჩხლის ფოთოლი ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა", თუმცა მისი არავის ესმოდა. მეოცნობე მიჯნური მარტოსული იყო. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ის და მისი მეზობლები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდნენ.

მუხა ზედმეტად ქედმაღალი და "ღირსეულად თავდაჭერილი" ადამიანის სიმბოლოა, გრძნობების გამოხატვისა რომ ერცხვინება, ყველაფრის ცოდნის სურვილი რომ აქვს და თავი ყველაზე უკეთესი პგონია. ამიტომ "ის აბრაზებდა, ჯანსუსტი, ყოველგვარ ხმაურზე მოცახცახე ფოთოლი როგორ იჩენდა მისთვის გაუგებარ სიმტკიცეს";

წყალი — მსუბუქი და მგრძნობიარე „კაცია", რომლის გრძნობათა სიღრმე ყოველთვის ეჭვს იწვევს, მოვლენებსაც ზერელედ აანალიზებს. მას ფოთოლი მისიანებზე ნაწყენი ეგონა, ებრალებოდა და სთავაზობდა: "ქვემოთ წაგიყვან, ულამაზეს ადგილებს გაჩვენებ და, სადაც მოგეწონოს, იქ დარჩი";

მაჩვი კი ქონიანი და უგრძნობელია, მხოლოდ მიწისა და ხორცის კაცი, მისთვის ოცნება და სიყვარული არასაჭირო ბარგია. იგი ბუზღუნებდა: "— ნეტავ ვის ელის ტუტუცი, არ ურჩევნია, თავისიანების გვერდით იყოს?!"

თუმცა ფოთოლი არაფრად აგდებს დაცინვასა თუ თანაგრძნობას, ჯიუტად იცდის და სიკვდილის წინ სასწაულის ხილვის ღირსი ხდება, ოცნებაც აუხდება — მოდის ხარირემი, მღელვარებისგან აცახცახებული ფოთოლი მისი ხილვით იტკბობს თვალებს, შემდეგ კი მისგანვე შემჩნეული და დატირებული კვდება.

დიდოსტატი მწერალი ისე გადმოსცემს ფოთლის სიკვდილის სცენას, მის უკანასკნელ გაბრძოლებას სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომ მკითხველს სუნთქვა ეკვრის, მომხდარს "შესცქერის" ტყის სხვა ბინადარივით "გაცქაფული", ყველაფერი რომ კარგად დაინახოს, "თითქოსდა თითისწვერებზე შედგარა" ვიღაცის ზურგს უკან:

"ფოთოლი თრთოდა, ცახცახებდა; ნიავი არ იძეროდა, ისე თრთოდა და ცახცახებდა. ირემმა კისერი წაიგრძელა და კიდევ უფრო გაკვირვებული შეაჩერდა. მაშინ ფოთოლი მოწყდა, წამოვიდა ფარფატით, წამით თითქოს პაერშიც კი შედგა, მერე მოეშვა და გულაღმა დაეცა თოვლზე — წითელი, უსასოო."

ახლა უკვე ირმის ჯერია. ახლა მან უნდა გამოხატოს სილამაზის

ჩაქრობით გამოწვეული სევდა, სიკვდილის უძლეველობისა და ყოვლის გამანადგურებელი ძალის წინაშე ნებისმიერი სულიერი არსების უძლურებით აღძრული წუხილი. იგი ისე ემშვიდობება ფოთოლს, როგორც ადამიანი — ძვირფას მიცვალებულს: "მორიდებით შემოუარა, რამდენჯერმე შედგა, მოიხედა, რაღაც საოცარმა ნაღველმა შეიპყრო, თავი ასწია და ამოიბღავლა."

სულის შემძვრელია ნოველის ფინალიც. ტირის ბევრის მნახველი ბებერი მუხა, "შრავალსაუკუნოვანი სისულელის კიდევ ერთ სურათად" რომ მიიჩნევს სიყვარულის ამ ისტორიას. "შაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: უნდოდა მასაც ხარირემიეთ აეწია თავი და დაებღავლა, დაებღავლა ისე, რომ ტანი აპბურძგნოდათ გაშტერებით მდგარ წიფლებსა და რცხილებს. ეს არ შეეძლო, და იდგა ჩუმად, კვირტების უბეები ნელ-ნელა ევსებოდა წვეთებით. ეს წვეთები იყო მისი ცრემლი." ტირის მუხა, იქნებ თანაგრძნობით სავსე, იქნებ სინანულით, რომ მას არ ეწვია ასეთი გრძნობა და სიყვარულს სისულელედ თვლიდა? — ვინ იცის...

რევაზ ინანიშვილი ამ ნოველით ტრფიალების ყოვლისმპყრობელ ძალაზე დაგვაფიქრებს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სიყვარულს ყველა ქედს უხრის.

გვახსენდება ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვები:

„სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა".

მწერალი ნოველაში ბუნებას აწინასწარმეტყველებინებს მომავალ საოცარ, მაგრამ სევდიან ამბავს, ვიღაცისთვის უნდა დაბნელდეს: "მიდამო მოიცვა სინათლესთან გაყრის იდუმალმა სევდამ..." წმ. ნინო ამბობდა, "მე დღესა დავუღამდებიო", ბევრი სხვა არსებისთვისაც სიკვდილი სიცოცხლეს და დაღამებასთან ასოცირდება.

ბუნებას თანაგრძნობაც შეუძლია. ჰაერიც კი იზიარებს ხარირმის ტკივილს: "ზამთრისპირის გარინდებულ ტყეში გლოვის ზარივით ისმოდა ხარირემის უდროული ხმა. აქამდე უძრავი ლურჯი ჰაერი ზანზარებდა, თრთოდა."

საუკუნეთა მიღმიდან კი ისევ კითხულობს უილიამ შექსპირი:

"და სამწუხარო სხვა ამბავი იქნება განა,
რომეოსა და ჯულიეტას ამბავისთანა..."

ასე დასდევს სიყვარულს სიტკბოცა და ნაღველიც...

ლალი დათაშვილი

ლამაზი ცრემლები
(საახალწლო მოთხრობა)

მეტი გზა არ იყო, ისევ ღუმელით უნდა წასულიყვნენ იოლას. ნოემბერი რომ განახევრდა და ციცი წვიმები დაიწყო, თინამ მამას სოფელში წერილი მისწერა: მამაჩემო, შენ გენაცვალე, იქნებ მანდ ვინმესთან ოთხი კუბმეტრი („ოთხი კუბმეტრი" გიამ უკარნახა) შეშა შეგეიგულო, შაბათს ან კვირას გია ჩამოვა, ფულსაც ჩამოიტანს და შეშას თვითონ წამოიღებსო. წერილი ჯერ სოფელშიც არ ეგონათ ჩასული, ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, — ადექით, შვილებო, შეშა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოვცალოო. ლოგინში წამომჯდარმა თინამ ჭუჭყუნი დაიწყო: — ოო. ისევ შენ იწვალე!.. ხომ მოგწერე, გია ჩამოვიდოდა და თვითონ წამოიღებდა!.. — მამამ კეთილად გაუღიმა, — ადექი, ადექი, შენც ჩაიცვიო! ფრთხილად მივიდა შვილიშვილის პატარა საწოლთან, რაღაცეები უჩურჩულა, მერე ისევ შვილსა და სიძეს მიუბრუნდა, — თბილად ჩაიცვით, არ შეგციოდეთო, — და მათთვის აღარ დაუცდია, თვითონ ჩავიდა ძირს.

თინამ და გიამ ერთმანეთს შეხედეს, გიამ ღიმილით გადააქნია თავი.

— იპ, შენც ერთი! — თქვა თინამ, ბავშვს საბანი გაუსწორა, თავშალი მოიხვია და ჩქარი ნაბიჯით დაედევნა უკვე გარეთ გასულ გიას.

— კი, მაგრამ შენ რაღად მოდიხარ, რა უნდა გაგვიკეთო?

— ჩავალ, რა გინდა?

გიამ მხრები აიჩეჩა, თინამ მარცხენა მხარზე ჩამოადო ხელი, თავი ახლოს მიუტანა და ისე ჩაჰყვა კიბეზე.

დაბლა, შემოსასვლელთან, კარგად დატვირთული „UFP-51" იდგა. — ეს რამდენი ჩამოგიტანიათ, კაცოო! — გაიკვირვა გიამ. — ბევრიაო? — იკითხა თინამ. გადმოვიდა ჩექმებიანი მძღოლი, ჯერ გიას გაუწოდა ხმელი, ციცი ხელი, მერე თინას — ხო არ დამწარდება, შვილოო. — დაამატა თინას მამამაც. გიასაც გაეღიმა, თინასაც. გიამ შუბლი მოიფხანა, მანქანას ირგვლივ შემოუარა და თქვა: — ეგრეევ ჩაეზიდოთ სარდაფში, დილ-დილობით მე დავხერხავ ხოლმე, მაგაზე კარგი ვარჯიში მეორე არ არსებობსო. თინას მამამ ეჭვიანად შეხედა, — დასახერხი ფული თუ არა გაქვთ, მე მოგცემთო. — არაო, რას ამბობო, — შექან-შემოქანდა გია, — მართლა ძალიან მინდა, მე თვითონ ვხერხოო. თინაც აბუზღუნდა, — ნუ მოიგონებ ხოლმე რაღაცეებსო. მაგრამ გიამ თავისი გაიტანა, შეშა სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოკოლეს. თინა მშვენიერად მიეხმარა.

გია მართლა ხალისობდა. პო, შეშის ღირებულებაზე ხმაც არ ამოაღებინა თინას შამამ, მაღლაც კი არ აპყვა, — პირველი გაკვეთილი მაქვს, შეილოო, უნდა მოვასწრო და ერთი ორი საათი წავიძინოო, — დაქოქეს მანქანა, წავიდნენ. გიას ხერხი შინ პქონდა, წაიღო ის ხერხი, დეზერტირების ბაზართან გაალესინა, კბილები გადააყრევინა, ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შეიდ საათზე დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა, თვითონვე ამოპქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა, მერე მკლავებს უჩვენებდა თინას, — ნახე, როგორ დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა. რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაპპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს, — არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი მწვადიო! ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამხარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი სულ „მწადს“ გაიძახოდა.

მაგრამ ერთ საღამოს გია შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა, — ხვალ მიველინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და არ ვიცი, როგორ წახვალთ იოლას უჩემოდო. ერთი პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები უკან გასწია, აკოცა გიას, — შენ ჩვენი დარდი ნუ გექნება, მე მაგარი გოგო ვარო. გიას ცოტა გულს მოეშვა, მიდგა-მოდგა, რაღაცებს დაუწყო ძებნა. სუფრას რომ მიუსხდნენ, იქ დაიწყეს ანგარიში. ფული რაც პქონდათ გიასაც და თინასაც, გია წაიღებდა (ახლა უკვე აღარავის სჭირდება ახსნა-განმარტება, მარტო სამიელინებო თანხით რატომ არ შეიძლება ქალაქიდან გასვლა), ესეც არ იყოს, იქნებ ბავშვისთვის კარგი რამ შეხვედროდა. ოც დღეში თინას და ბავშვს დასჭირდებოდათ... თინას აზრით — ოცდაათი მანეთი, გიას აზრით — სულ ცოტა, ორმოცდაათი მანეთი. ეს ორმოცდაათი მანეთი გიას დეიდასგან უნდა ესესხნა. დეიდას თუ არ ექნებოდა, სხვაგან უსესხებდა. მთავარი შეშა იყო. შეშას თინა ხომ ვერ დახერხავდა და დააპობდა! ოცი დღის სამყოფის დახერხვას ვერც გია მოასწრებდა. გადაწყვიტეს, — სამოცი მანეთი ესესხნათ გიას დეიდასგან. ორმოც მანეთს თინა დაიტოვებდა, თხუთმეტი მანეთით შეშას დაახერხინებდნენ, ხუთი მანეთიც... ხუთი მანეთი ხვალვე დასჭირდებოდათ.

გიას ძალიან ენანებოდა მხერხავისთვის მისაცემი ფული, მაგრამ თან უკვე ის ყოველდღიური ფართიფურთიც მობეზრებოდა, — დავახერხინებ სულ, დავაწყობ და მოვისვენებო. წავიდა, დეიდასაგან სამოცი მანეთი მოიტანა, ორმოცი თინას მისცა, ოცი თვითონ ჩაიდო.

დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა, ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ, ზოგი იდგა, ზოგიც ბაღის ყორეზე ჩამომჯდარიყო. აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიმყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, — იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო! — წამობრძანდებით, პაპაო? ბერიკაცს ფარაჯის სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია, — ხერხი მარცხენა მკლავზე ეკიდა, — ისევე გაპყვა. წაეკისელი იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით გაპფანტოდა, ზოგი — საით. გიამ რძის რიგთან ცოტა მოაცდევინა, რძე-მაწონი აიღო, მერე ისევ ერთად წავიდნენ. გია ჩქარობდა, ზოგჯერ დაავიწყდებოდა კიდეც ხოლმე, მოხუცი რომ მისდევდა, წინ გაუსწრებდა, მერე გაახსენდებოდა და შემცბარი გადახედავდა. მოხუცი მაინცდამაინც დიდ მანძილზე არ რჩებოდა.

პირდაპირ სარდაფში არ ჩაუყვანია, ჯერ მაღლა ავიდნენ. — ნახე, როგორი პაპა მოვიყვანე, თინაო. თინა გამოვიდა, იმასაც მოეწონა, — ისეთი პაპაა, მოფერება მოგინდებაო. და მოეფერა კიდეც, — ღუმელთან მობრძანდით, პაპილო, გათბითო. — არა, შვილო, არა მციეაო. თინა მაინც არ მოეშვა. მაშინ ბერიკაცმა ხერხი კარს უკან მიაყუდა, ფეხებზე ყურებით მივიდა ღუმელთან, ხელები ჯერ შორიდან მიუშვირა, მერე ზელ დააწყო. მოვიდა თამუნიაც, დაინტერესებულმა შემოუარა ირგვლივ. ბერიკაცმა გაუღიმა, — რაო, პატარა ქალოო! თამუნია მიბრუნდა და დედასთან გაიქცა.

გიამ კარადიდან არაყი, პური, ლორი და ყველი გამოიღო. არაყი დაასხა, — აბა, პაპა, დილის მადლი შეგვეწიოსო. პაპამ ერთი პირობა იუარა, მაგრამ მერე მაინც ასწია ჭიქა. ნელა დალია. გიამ ბოთლი ისევ აიღო. — არაო, ხელი დააფარა ბერიკაცმა თაეის ჭიქას. — ერთიც, პაპა, ერთიც, ეს რა არის, პატარა ჭიქაა. ოჯახი დამილოცეო! ის ერთიც გაუვსო. ბერიკაცმა ოჯახი დალოცა. თამუნია შუა კარიდან იყურებოდა, დაინახა, ბედნიერი ქალი გაგიზარდოთო. დალია. გიამ მესამედაც მოინდომა ჭიქის ავსება, მაგრამ მოხუცმა საბოლოოდ იუარა. თინაც გამოექომაგა, — კარგი რა, გია, შენც ხომ სამსახურში ხარ წასასველელიო. მაშინ გიამ სარდაფის გასაღები მოძებნა და ბერიკაცს დაბლა ჩაუძღვა.

არ უეაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც. — თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, — თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, — შაეი ბამბაზიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირებაღუნული, წვრილი ღილებით საღძირამდე შეკრული. აიღო შეშა, დადო ჯოჯგინებზე, რბილად გადაუსვა ხერხი. — წადი, შვილო, შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ

და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა, — რა მოლაღურივით პაპა შემხვდაო! მიაწყე-მოაწყო წიგნები და ქაღალდები, ჩასალაგებელი ჩაილაგა, თინას დაუბარა, — ადრე აჭამე სადილი, ეგენი, ხომ იცი, პირველ-ორ საათზე სადილობენო, და სამსახურში წავიდა.

თინამ კარგი ხარჩო გააკეთა, წერილი თვის ბოლიკი დაარჩია, ყველი დაჭრა, ერთი ბოთლი შინაური ღვინოც დადგა და მოხუცს ისე გაუმასპინძლდა. ბერიკაცი ამჯერადაც ჩუმად იყო, ჩუმად ჭამდა, ღვინის დალევას სულ არ აპირებდა, მაგრამ თინაც მიუჯდა მაგიდას, თამუნიაც გაერდზე მოისვა, თვითონაც დალია, მოხუცსაც დაალევინა. სუფრაზე დახრილი, მათლაფაში რიდით კოეზჩაყოფილი პაპა კიდევ უფრო მოსწონდა, — თეთრი ეკლებივით მსხვილი თმით შემოსილი პატარა თავი ჰქონდა, თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე უბრწყინავდა. თინამ კიდევ ერთი გაიგო მისი, — უმცროსი ბიჭი ავარიაში დაღუპვოდა. ჭიქა წაუქციეს. ბერიკაცს აღარაფერი უთქვამს მეტი, აღარც თინა ჩასძიებია. ჭამას მორჩა, ქუდი აიღო და ისევ სარდაფში ჩავიდა.

ოთხის ნახევრისთვის გიამ მოირბინა, — მე მივდივარ და აბა, თქვენი იმედი მაქვს, პაპაო. — წადი, შვილო, წადი, კეთილად გატაროსო. გიამ ზეზეურად წაიხემსა, შეშის დასახერხი ფული დატოვა, ცოლ-შვილი დაკოცნა, წასელის წინ, რუსულ ყაიდაზე, ცოტა ხანს დასხდნენ, თამუნიამ უკვე იცოდა, მამა რომ „მოსკოვში“ მიდიოდა და ლამაზ-ლამაზი რამეები უნდა ჩამოეტანა, მაგრამ მაინც ატირდა. თინამ ძლივს მოაცილა გიას კისრიდან, ძლივს დააწყნარა.

ბერიკაცმა საღამომდე ხერხა. საღამოს ამოვიდა, — ცოტაღა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ დავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. — არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეო. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი ცოტა შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუდო, — წაიღეთო, წაიღეთო! ბერიკაცმა მადლობა გადაუხადა, — დილამდე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო. წავიდა.

წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას და არც იმის მომდევნო კვირას.

დაბრუნდა გია მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი, — აი, ასე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა. მერე თქვა, — მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. — ნახევარზე ცოტა მეტიო, — მიუგო თინამ. — მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გაიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნება რა შეემთხვაო! — კარგიო! გაეღიმა თინასაც.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც.

ერთ დღეს ერთი დაბალი ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ პყავთ, შეშა რომ ჰქონდათ სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მიიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარაკდა, — პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დაეხერხოო, თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნით, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე შეუფიქრიანდა, — პაპა? პაპას რა დაემართაო? — პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო. თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გიამ. იმანაც გაიგო, რა ამბავიც იყო, — აპო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, — ანღერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო.

გია მაღლა ამობრუნდა. თინა შუა ოთახში დახვდა. გიამ ხელები კეფაზე შემოაწყო, — აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! თინამ გაუღიმა. თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა.

კითხვები და დავალებები:

მოიძიეთ მნიშვნელობა და განმარტეთ: "ჯოჯგინები" ("ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად"), "საღძირა" ("წერილი ღილებით საღძირამდე შეკრული"), "დავალაგებ წყობისადო" ("მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო"), "მოლაღური" ("რა მოლაღურიკით პაპა შემხვედაო!"), "ზეზეურად წაიხემსა" ("გიამ ზეზეურად წაიხემსა"), "რუსულ ყაიდაზე" ("წასვლის წინ, რუსულ ყაიდაზე, ცოტა ხანს დასხდნენ"), "მაზანდა" ("შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც"), "გამტკნარებული" ("დაჯდა გამტკნარებული").

ტექსტიდან ამოიწერეთ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები და განმარტეთ ისინი;

დაახასიათეთ ბერიკაცი;

დაახასიათეთ გია;

რა მიგაჩნიათ ნაწარმოების იდეად?

დაწერეთ ესე: "როცა კარგები ვართ".

დააკვირდით:

სიტყვა "მიმყუდროებულს", რომელიც ბუნებასა თუ გარემოში გამეფებულ სიწყნარეს გულისხმობს, მწერალი განსხვავებული

მნიშვნელობით, პერსონაჟის დასახასიათებლად, იყენებს: "ერთი პატარა მიმყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია" და დაბერებულ, ცხოვრებაში ბევრის მნახველ, მაგრამ წყნარ და უპრეტენზიო ადამიანს გულისხმობს;

გიასა და თინას როგორ არ უნდათ ადამიანზე ცუდი თქვან, ან ეინმეს მუხთლობაში დასდონ ბრალი;

ბერიკაცის ანდერძსა და შვილიშვილის ქცევას;

როგორი მრავლისმოქმელია სიტყვა "ლამაზი" ნოველის ბოლო წინადადებაში.

ანალიზისთვის:

ანდერძი

რევაზ ინანიშვილი ამ მოთხრობით თბილ, კეთილ და ერთმანეთზე მზრუნველ ადამიანთა საზოგადოებას წარმოგვიდგენს, მიზნად კი იმის ჩვენება დაუსახავს, რა კარგია ასეთ ხალხში ცხოვრება, მათი შემწეობით როგორ გიიოლდება ცხოვრებისეული პრობლემებისა თუ განსაცდელის გადატანა. აქ ყველას ესმის სხვისი სადარდელი და ხელის წაშველება ცდილობს, რითაც კი მოუხერხდება:

თინას მამა მზრუნველი ადამიანია, როცა შვილის წერილი მიიღო და იგრძნო, რომ დახმარება სჭირდებოდათ, "წერილი ჯერ სოფელშიც არ ეგონათ ჩასული, ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, — ადექით, შვილებო, შეშა ჩამოეიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოეცალოო... შეშის ღირებულებაზე ხმაც არ ამოაღებინა, მაღლაც კი არ აპყვა", რომ სუფრის გაშლითა და მისთვის გამასპინძლებით არ შეეწუხებინა ოჯახი;

გია და თინაც თბილი ადამიანები არიან, შეშა, მისი სითბო და მასზე შემწეარი მწვადი სხვებსაც გაუნაწილეს, "რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაპპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს, — არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწეარი მწვადიო!"

როცა გია მიელინებაში წასასვლელი აღმოჩნდა, უფულობის არ შეშინებია, გულმა ახლობლისაკენ გაუწია. იმედი ჰქონდა, დეიდამისი დისშვილისთვის სხვასაც შეაწუხებდა და ხელს მაინც გაუმართავდა: "ეს ორმოცდაათი მანეთი გიას დეიდასგან უნდა ესესხნა. დეიდას თუ არ ექნებოდა, სხვაგან უსესხებდა". ასეც მოხდა — გიას დეიდამისმა ფული, მართლაც, მისცა, მისგან "სამოცი მანეთი მოიტანა";

შეშის დახერხვა როცა გადაწყვიტეს, გიამ საგანგებოდ შეარჩია მოხუცებული, რომ მისთვის ეშოვნინებინა ლუკმაპურის ფული: "ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, — იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო!" ჯერ გაათბო, აჭამა და მხოლოდ შემდეგ ჩაიყვანა შეშის დასაჭრელად. მისი ყოფაც გაითვალისწინა და თინას დაუბარა, "— ადრე აჭამე სადილი, ეგენი, ხომ იცი, პირველ-ორ საათზე საღილობენო". თინაც მორიდებულ მოხუცს ეაქკაცურად გაუმასპინძლდა — თვითონაც დალია, მასაც დაალევინა. როცა გაიგო, უმცროსი ბიჭი აეარიაში დაღუპეოდა, თანაგრძნობა გამოხატა და "ჭიქაც წაუქციეს".

ასე ეფერებიან და ანგარიშს უწევენ ეს ადამიანები ერთმანეთს, ნამდვილი იდილიაა.

კარგი საზოგადოება ღირსეული და ნამუსიანი ადამიანებისაგან შედგება. ჭეშმარიტ ვაჟკაცს სხვისი ნამუსის დანახვა და პატივისცემაც უნდა შეეძლოს. მწერალი თავის პერსონაჟებს საგანგებოდ "უწყობს გამოცდას". სანახევროდ გაკეთებული საქმის შემდეგ მოხუცი ქრება და მთელი გასამრჯელო მიაქვს. გულნატკენი თინას სიტყვების მოსმენის შემდეგ: "აი, ასე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო" — მიელინებიდან დაბრუნებული გია მხოლოდ ერთი წუთით კარგავს წონასწორობას: "დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა". მალე ერევა თავს, რადგან მასში მოყვასის სიყვარული სჭარბობს სხვა გრძნობებს და თინასაც ამშვიდებს. "მერე თქვა, — მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. — ნახევარზე ცოტა მეტიო, — მიუგო თინამ. — მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გაიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნება რა შეემთხვაო! — კარგიო! გაეღიმა თინასაც".

მოხუცს სასიკვდილო სარეცელზეც კი ახსოვს თავისი დაუმთავრებელი საქმე და დაუმსახურებელი გასამრჯელო, მისი შვილიშვილი კარდაკარ ეძებს პაპისაგან "დაღალატებულ" ოჯახს და შეშის დანახვისთანავე "გაჩქარებული ხერხავს", პაპის სულს რომ მოუფოფოს.

გიას დასკვნა: "— აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! " და თინას ღიმილნარევი ლამაზი ცრემლები იმის მიმანიშნებელია, რომ ასეთი ხალხი ჭეშმარიტად უყვარს უფალს.

ნოველაში წვრილმანი და მსხვილმანი არ არსებობს, ყველაფერი საჭირო და ზუსტად გათვლილია. მწერალი არ ღლის მკითხველს ზედმეტი წვრილმანებითა თუ სჯა-ბაასით.

კალმის ერთი მოსმით გვაცნობს გიასა და თინას რიგით, საშუალო

შეძლების ოჯახს, თითოეულ მანეთს რომ ანგარიშობენ, მაგრამ სიყვარულითა და სიამტკბილობით ცხოვრობენ — განაწილებული აქვთ საქმეები და ერთმანეთს ეშველებიან ოჯახური ჭაპანის ზიდვაში;

ეპოქასა და რუსების ხელქვეითობასაც ორიოდე ფრაზით მიგვანიშნებს: ჯერ ჩანართით მიგვახვედრებს მოსამსახურის არცთუ სახარბიელო ეკონომიურ მდგომარეობას: "(ახლა უკვე აღარავის სჭირდება ახსნა-განმარტება, მარტო სამივლინებო თანხით რატომ არ შეიძლება ქალაქიდან გასვლა)", შემდეგ კი საქართველოში რუსული წესების შემოჭრასა (დაჯდომა გამგზავრების წინ) და საბჭოთა კავშირში მოსკოვის იდეალიზაციას გვიჩვენებს, რადგან ამ ქალაქის არსებობა ბაეშემაც კი იცის და ესმის, რომ იქ განსაკუთრებული საჩუქრები იშოვება: "წასვლის წინ, რუსულ ყაიდაზე, ცოტა ხანს დასხდნენ, თამუნიამ უკვე იცოდა, მამა რომ „მოსკოვში" მიდიოდა და ლამაზ-ლამაზი რამეები უნდა ჩამოეტანა". თუმცა, როგორც დამახასიათებელია რევაზ ინანიშვილისათვის, ეპოქის შუქ-ჩრდილები ასახულია მსუბუქად, მხოლოდ როგორც მიმდინარე მოვლენების ფონი, პოლიტიკური სიმწვავისა და დაპირისპირების გარეშე.;

მწერალი ორიოდე შტრიხით ახერხებს, გვიჩვენოს რომ თინას მამა მასწავლებელია, რადგან იგი პირველ გაკვეთილს იმიზეზებს თავისი სიჩქარის მიზეზად, რომ თბილი, მოსიყვარულე და უფლის მადლიერი მეგობრები ჰყავს გიას. ქეიფისას ისინი "ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამხარებელ ცას". თინას ამაღლება და ის განცდები, მისი არსება ერთიანად რომ შესძრეს, გადმოცემულია ერთი წინადადებით: "თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა."

ავტორი ნოველაში ყოველ დეტალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რითაც წარმოჩნდება მისი მწერალი ოსტატობა:

როცა მიცვალებულის სიკვდილისა და მისი ნამუსიანობის ამბავს გაიგებენ, მწერალი ახალგაზრდა ქალის მდგომარეობას შთამბეჭდავი "სურათით" გამოხატავს: "თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა";

ვიდრე გია ფინალურ ფრაზას ეტყვის მეუღლეს. მთქმელი და სახიერი ჟესტია, რომ მან თინას "ხელები კეფაზე შემოაწყო", ამით თვალსაჩინოდ გამოიხატება მათი გაერთიანება და ერთნაირი თვალსაზრისი მომხდარზე.

"ლამაზი ცრემლები" სიყვარულისა და ღირსების, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშეხიდების ქადაგებაა.

ლალი დათაშვილი

ᲨᲝᲠᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ლასტის კარს გააღებ და პატარა რუზე გადახვალ. რუში მომწვანო წყალი მორაკრაკებს, შიგ ცხვირისატეხელები და მატიტელები დგას, თუ დააკვირდები, ის ცხვირისატეხელები და მატიტელები ქანაობენ, თრთიან. ახლა უკვე გახურებული არყის ხდაა და წყალი, ალბათ, ცოტა ღვინისფერიც იქნება. სუნიც ღვინისა იდგება, ღვინისა და კაკლის წენგოსი. შეიძლება, რუს ნაპირებს თხელი ყინულიც გასდევს, კიდეებგაბრწყინებული თხელი ყინული. საურმეში ჩარჩენილი ტალახი ლამაზად იქნება დაზოლილი ტყიდან მომავალი ოთხთვალების მიერ, იქნება ცხენის ნაფლოქვარებიც, ხავსიანი ხმელი მუხის ქერქებიც, ჩაღრმავებულ ადგილებში ჩაზლაყუნების დროს რომ ცვივა ხოლმე შეშადადებული ურმებიდან. ეს ხმელი ქერქები მოგაგონებს იდუმალებით მოცული ტყის ზღაპრების ნაწყვეტებს. გზის იქით კი, შეფერდებულში, მწვანე შუქი დგას, — ჟუნჟრუკი მოსდებია ფოთოლგაცვივნილ ვენახებს. შიგადაშიგ სხვადასხვა ფერის ხბორები გაფანტულან და გუნებაგამორჩეეთ სძოვენ. ბილიკზე, ჩრდილიან კბოდის ძირში, ციკნიყურასა და მრავალძარღვაზე ჯერ ისევ იქნება შემორჩენილი თრთვილი.

ვენახის თავში გულაბების ფითრიან ტოტებს ფათქაფუთქით და წრიპინით ესვეიან ჩხართეები. იმ გულაბების უკან, გაქუცულ სერზე, არქაული სიმშვიდით დაფამფალებენ ჭუჭყიანი, მატყლში ძურწაჩაკრული ცხვრები. ძეძვის ძირში მიმჯდარა ნიბლა ესტატე და გრაკლის ჯოხს აჭრელებს ბალღებისთვის. ზემოდან, სერზე გამომავალ გზაზე, გუდურებაკიდებული სახედრები ჩამოდიან, მოაფხაკუნებენ გუდურების ბოლოებს ხრიოკ, ალაგ-ალაგ ღორღიან მიწაზე. იღლიაში სახრეამოჩრილ ბიჭებს ჯიბეები ზღმარტლით აქვთ სავსე, თან რაღაცას მოლაპარაკობენ და თან იმ ზღმარტლს ჭამენ. შეხვდები, გამოგიღიმებენ და მეგობრობის ნიშნად გვერდულად შემოგიღრენენ: „პა, ვერან!“ თანაც ზღმარტლს გამოგიწვდიან: „აპა, ჭამე“.

სერზე რომ ახვალ, უეჭველად შეჩერდები, ქარს ამოიღებ, მიმოიხედავ... ეუპ, რა სივრცეებია გადაშლილი შენ წინ! აქეთ, დასავლეთით – რიეეში ჩაკარგული იორი, იორს იქით, გორაზე — უჯარმა და მუხროვანი, ქვემოთ — მუღანლო, — თათრების სოფელი, — იმის ქვემოთ — სართიჭალა, იმის ქვემოთ — სასიანო, თეთრქვა, ქოჩორა... დასცქერი მაღლიდან და ასე გგონია, ამოდენა მიდამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და ჯადოქარიეით შენს ნებაზე აამოძრავებ ყველაფერს.

სერს იქით, აღმოსავლეთით, ტყეწვრილი ჩადის დაბლა-დაბ-

ლა, იქ ძირმიწებია, ნასიმინდრები, ნახნავები; ზაფხულში მარწყვი იცის, ზოგჯერ წითლად არის ხოლმე გადაღუებული ძეძვის ძირები. ახლა მოწყენილობაა, შეიძლება, ყორანი ყრანტალებდეს, საიდანღაც ქარისგან ატაცებული ფოთოლივით შემოფარფატებული. ძირმიწებს მოქურუშებული შავკაციანთ სერი წამოსდგომია თავზე...

ტყეწყრილში თრთვილი დევს. ხეები სულ ჩამოწმენდილან, მხოლოდ ახალგაზრდა მუხებზე შერჩენილა გაფხოკილი, დაფრაკებული ფოთლები და, ნიავი რომ წამოუბერავს, თხილის ნაჭუჭებივით ჩხრიალებენ. დიდ ტინებთან სასიამოენოდ ხასხასებს რბილი, მაღალი ხავსი. ახლა იმ ხავსსაც თრთვილი ექნება დადებული, ხელი უნდა გადაპკრა, გადაბერტყო და უფრო სასიამოენოდ დაიწყებს ხასხასს. ჭახჭახით გადადიან ბუწკნარიდან ბუწკნარში საზამთროდ დასუქებული, ფერდაპეწილი ყვითელნისკარტა შაშვები. რბილი სკუპ-სკუპით გადასჭრის ბილიკს ზურგზე წაბლისფერგადაკრული კურდღელი, ჩაჯდება უკანა ფეხებზე, მოგხედავს, დაფეთდება და გავარდება ყურებალურსული სერ-სერ, თუ მელია შეგხვდა, ის ნელა, ლანდივით უხმაუროდ გადაგითრევს წინ თავის გრძელ, ფუმფულა კუდს და შეიკარგება გოხებში.

აქედან შეიძლება დაინახო დიდი ტყიდან მომავალი მოწყენილი ურემიც ან მანქანა...

მერე აპყეები შავკაციანთ სერს. ჯერ ახვალ მუხიანში, მერე და მერე ღვიაც გამოერევა, წაგიცდება ხელი, მოგლეჯ ჩხვეტანაწიწვებიან ტოტს, გასრეს იმ წიწვებს და მთელ დღეს აღარ მოგშორდება ღვიის საამური სუნი. აქ ტყე ჩაშავებულია, ჩაიდუმალებული. ხეე-ხეე ამავალი გზა ხმელი ფოთლებით არის სავსე. ახვალ სულ მაღლა და, ტყე რომ გათავდება, წმინდა ქუჩი ბალახით მოთებოვებულ ამობურცულ ველში გახვალ. ეს არის შავკაციანთ სერის ლბილი, ლბილი თხემი. ამ თხემიდან რომ ჩრდილოეთისაკენ გაიხედავ, თუ ცა მოწმენდილია, ჩალურჯებული, ჩახორხილი, ტყიანი და ჩამოხვეწილი მთების უკან თეთრ ლამაზ მწვერვალს დაინახავ. ის გასაოცრად ერთფეროვნად დგას ზამთარშიც და ზაფხულშიც, — სულ თეთრი. ხანდახან თუ წამოედება ლეგა ღრუბელი, ან მოსცილდება, ანდა მზე მოავარაყებს ოქროსფრად, მაგრამ აუწერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს. ბიჭი საგანგებოდ ამ მწვერვალის დასანახავად ამოდის ხოლმე (თან წალდი მოაქვს, თითქოს ფიჩხზე ან წნელზე იყოს წამოსული). დგას და გაპყურებს გულისცემით. ასე რომ ველარ უძლებს, ჯდება, ზოგჯერ წვება კიდეც და ხან თვალებდადიდებული იყურება, ხან — თვალებმოჭუტული. ჯიბეში ვაშლები აქვს, ამოიღებს და მადიანად ჩაკბეჩს...

*

ბიჭმა კლასს გადახედა. მთელი კლასი მას მისჩერებოდა დაინტერესებული, დამცინავი ღიმილით.

— არ გესმის, შინდელაშვილო, — დაუძახა მასწავლებელმა, — გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება.

ბიჭი წამოდგა, ხელები მერხის კალთებს ქვეშ ამოაწყო, თვალებში ისევ გაურკვევლობის ბურუსი ედგა.

— ვაი, შენს პატრონს უბედურს, პგონია, სკოლაში გამოგგზავნა შენც! — ზიზღით თქვა მასწავლებელმა, მაგიდიდან ბლოკონოტი აიღო და წითელი ავტოკალმით რაღაცა ჩაინიშნა.

— გაიკარ ორიანი, ბიჯო?! — კახურ კილოზე გაღმოსძახა უკანა მერხიდან ყველაზე დიდმა ბიჭმა.

კლასი ახარხარდა.

— რა ამბავია! — იყვირა მასწავლებელმა.

შინდელაშვილი დაჯდა, თავი ჩაღუნა და ქვედა ტუჩს კვნეტა დაუწყო. მის გვერდით მჯდარმა გოგონამ შეამჩნია, რომ წერილი, შაეყვითელი თითები საბრალობლად უკანკალებდა.

ქუჩაში ტრამვაის ბუგელმა კაშკაშა, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინა მავთულს...

კითხვები და დავალებები:

ტექსტიდან ამოიწერეთ ყვავილების, ხეებისა და სოფლების სახელები;

მოიძიეთ მნიშვნელობანი და განმარტეთ შემდეგი სიტყვები: "ლასტი" ("ლასტის კარს გააღებ და პატარა რუზე გადახვალ"), "ცხვირისატეხელები და მატიტელები" ("რუში მომწვანო წყალი მორაკრაკებს, შიგ ცხვირისატეხელები და მატიტელები დგას"), "ჟუნერუკი" ("ჟუნერუკი მოსდებია ფოთოლგაცვივნილ ვენახებს"), "ციკნიყურა" ("ციკნიყურასა და მრავალძარღვაზე ჯერ ისევ იქნება შემორჩენილი თრთვილი"), "ფითრი" ("გულაბების ფითრიან ტოტებს"), "მოქურუშებული" ("მოქურუშებული შავკაციანთ სერი"), "გაფხოკილი, დააფრაკებული" ("ახალგაზრდა მუხებზე შერჩენილა გაფხოკილი, დააფრაკებული ფოთლები"), "ბუწკნარი", "ფერდაპეწილი" ("ჯახჯახით გადადიან ბუწკნარიდან ბუწკნარში საზამთროდ დასუქებული, ფერდაპეწილი ყვითელნისკარტა შაშვები");

განმარტეთ, როგორ გესმით: "ხბორები გაფანტულან და გუნებაგამორჩევით სძოვენ", "უეჭველად შეჩერდები, ქარს ამოიღებ", "მზე მოავარაყებს ოქროსფრად";

დაახასიათეთ ბიჭი;

გაავლეთ პარალელი რევაზ ინანიშვილის მოთხრობასთან "წვიმასა და მზეში";

გამოკვეთეთ ნაწარმოების იდეა;

დაწერეთ ესე "ერთი ოცნება მაქვს..."

დააკვირდით:

მწერალი ზუსტად არჩევს კონტექსტის შესაფერის სახელზმნას: "ჩაზლაყუნება" ("ჩაღრმავებულ ადგილებში ჩაზლაყუნების დროს რომ ცვივა ხოლმე შეშადადებული ურმებიდან"), ზმნას "შეიკარგება" ("თუ მელია შეგხვდა, შეიკარგება გოხებში"), ზმნას "გამოგიღიმებენ" ("შეხვდები, გამოგიღიმებენ და მეგობრობის ნიშნად გვერდულად შემოგიღრენენ"), მიმღეობებს: "ჩაიდუმალებული" ("აქ ტყე ჩაშავებულია, ჩაიდუმალებული"), "ჩახორხილი", "ჩამოხვეწილი" ("ჩახორხილი, ტყიანი და ჩამოხვეწილი მთების უკან");

მწერალი ზუსტად მოარგებს კონტექსტს ხმაბაძვით სიტყვას: "ფათქაფუთქით" ("ტოტებს ფათქაფუთქით და წრიპინით ესვეიან ჩხართვები");

კურდღლის დასახასიათებლად საუკეთესოა სიტყვა: "ყურებალურსული" ("გავარდება ყურებალურსული სერ-სერ");

მწერალი ქმნის ახალ სიტყვებს: "ჩხვეტანაწიწვებიანი" ("მოგლეჯ ჩხვეტანაწიწვებიან ტოტს"), "მოთებოვებული" ("წმინდა ქუჩი ბალახით მოთებოვებულ ამობურცულ ველში გახვალ");

ინტიმის შესაქმნელად პოეტი საგანგებოდ მიმართავს სიტყვა "რბილის" არქაულ ფორმას "ლბილი": "ეს არის შავკაციანთ სერის ლბილი, ლბილი თხემი";

ნოველაში განვლილი ბავშვობის ნოსტალგია ჩანს;

ნოველის მეორე ნაწილში თხრობის მანერაცა და პრობლემაც იცვლება.

ანალიზისთვის:

ოცნება და სინამდვილე

რევაზ ინანიშვილის "შორი თეთრი მწვერვალი" გულგრილს არ დატოვებს არც ერთ მკითხველს, ვისი გულიც ერთხელ მაინც შეფართხალებულა სამშობლოს სიყვარულითა და ნოსტალგიით.

მკითხველი ხვდება, მწერალს მშობლიური ადგილები როგორ ენატრება, სიტყვითა თუ თვალებით როგორ ეფერება თავის სოფელს. მარადიულად იქ არის, მისი სული ბედნიერებას მთელი სისავსით მაშინ შეიგრძნობს, როდესაც შავკაციანთ სერის თხემიდან ჩრდილოეთით თეთრ ლამაზ მწვერვალს "გასცქერის" ისევე, როგორც ბავშვობაში.

აქ ყველაფერი მისია და ერთნაირად ძვირფასია: ლასტის კარი, პატარა რუ, ღვინისა და კაკლის წენგოს სუნი, "საურმეში ჩარჩენილი დაზოლილი ტალახი", გუდურებაკიდებული სახედრები, რიყეში ჩაკარგული იორი, ყვითელნისკარტა შაშვები, "დიდი ტყიდან მომავალი მოწყენილი ურემი", უჯარმა და მუხროვანი, მუღანლო, სართიჭალა, სასიანო, თეთრქვა, ქოჩორა...

რაც მთავარია, კეთილი და ხალასი ხალხი: ნიბლა ესტატე, იღლიაში სახრეამოჩრილი ბიჭები, რომლებიც შეხვედრისას "გამოგიღიმებენ და მეგობრობის ნიშნად გვერდულად შემოგიღრენენ: „პა, ვერან!" თანაც ზღმარტლს გამოგიწვდიან: „აპა, ჭამე"...

აქ ახსენდება "იდუმალებით მოცული ტყის ზღაპრების ნაწყვეტები", აქ ღმერთთან ახლოსაა, ამაღლების საოცარი განცდა იპყრობს, თავი დეეგმირი, ზღაპრის პერსონაჟი პგონია: "დასცქერი მაღლიდან და ასე გგონია, ამოდენა მიდამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და ჯადოქარივით შენს ნებაზე აამოძრავებ ყველაფერს."

ეს გალაკტიონის სურვილის ანალოგიურია, ბეთანიაში "ქედმომაღლო კუთხეს" რომ ეძებდა და იქ აპირებდა დასახლებას ამაღლებისა და უფალთან ახლოს ყოფნის სურვილით:

"მოდი, სადმე უდაბური
ვპოვოთ კუთხე ქედმომაღლო,
გადმოვხედოთ მაღლით თბილისს,
მე აქ უნდა დავესახლო..."

აქ საუკუნეებს გადასცქერის და მათთან საოცარ ერთობას გრძნობს, "არქაული სიმშვიდით ისევე დაფამფალებენ ჭუჭყიანი, მატყლში ძურწანაკრული", მწყემსს მინდობილი ცხვრები, როგორც საუკუნეების მიღმა, დიაოხში, ფარნავაზისა თუ, სულაც, მაცხოვრის დროს. შეპყურებს მათ და გრძნობს ისტორიულ ერთობას გარემოსთან, წინაპართა სულებთან, ოცნებაში მათთანაა, მათნაირია, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარეა.

მისთვის აქ ყველაფერი ულამაზესია და "აუწერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს."

ამ ჩანახატში ვხედავთ რევაზ ინანიშვილის, როგორც კაცისა და მწერლის, სულის სიმბოლოს. მისი მარადისობა ასე წარმოგვიდგენია — დიდი ბავშვი, რომელიც ტკბება უფლისგან შექმნილი სამყაროს მშვენიერებით: "ბიჭი საგანგებოდ ამ მწვერვალის დასანახავად ამოდის ხოლმე (თან წალდი მოაქვს, თითქოს ფიჩხზე ან წნელზე იყოს წამოსული). დგას და გაპყურებს გულისცემით. ასე რომ ეეღარ უძლებს, ჯდება, ზოგჯერ წვება კიდეც და ხან თვალებდადიდებული იყურება, ხან — თვალებმოჭუტული. ჯიბეში ეაშლები აქვს, ამოიღებს და მადიანად ჩაკბეჩს..."

ჩანახატის მეორე ნაწილში მწერალი ცელის თემას. საზოგადოების გულგრილობასა და გამორჩეული, მეოცნებე კაცის მძიმე ხვედრზე დაგვაფიქრებს, რადგან, წმ. ილია მართლისა არ იყოს, ასეთთათვის წუთისოფელი მამინაცვალია. ბიჭი მხოლოდ ოცნებით პოულობს სულის შვებასა და ბედნიერებას, რეალობა მწარე და მიუღებელია, განსაკუთრებით მაშინ, გამოფხიზლება და ამქვეყნიურობისათვის თვალის გასწორება რომ უწევს:

ბავშვობაში მასწავლებელი უშლიდა ხელს ოცნებაში და თაეს რისხვას ატეხდა, თანაკლასელები კი დასცინოდნენ. ბედის ირონიასავით ჟღერს სიტყვები: "— გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება". ქართულის ავმა მასწავლებელმა გრამატიკა იცის და სიყვარული — არა. მთავარი კი ადგილების შეგრძნება, მათი შვილობა, მათი მოფერებაა და არა — ცარიელი, ენობრივი ტერმინები: ადგილის, დროისა თუ ვითარების გარემოება...

სკოლის აზრით, ბავშვი საზიზღარია და მისი პატრონი (ცხადია, მისი ქვეყანაც) საცოდავია მის ხელში, "— ეაი, შენს პატრონს უბედურს, — ზიზღით თქვა მასწავლებელმა", თუმცა შესაძლოა, ბიჭი თავისი

სულიერი ღირებულებებით ბევრად აღემატებოდეს თავის კლასელებსა თუ მასწავლებლებს.

ბიჭი კი, "ცხარე მეოცნებე", ტკვილით ხედება უსულგულობას სკოლაში — ოცნებისა და სიყვარულის უნარის გამო დაწერილ ორიანს: "დაჯდა, თავი ჩაღუნა და ქვედა ტუჩს კვნეტა დაუწყო. მის გვერდით მჯდარმა გოგონამ შეამჩნია, რომ წერილი, შაეყვითელი თითები საბრალობლად უკანკალებდა."

დიდობაში, უკვე ბევრის მნახველს, ბევრის გადამტანს, "გაცეცხლებული" ტრამვაი უბრაზდება, მასწავლებელი ტრამვაით იცელება, სკოლა — ქუჩად, თუმცა ოცნებას მაინც არ აცლის სამყარო: "ქუჩაში ტრამვაის ბუგელმა კაშკაშა, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინა მავთულს..."

ნიკო სამადაშვილისა არ იყოს "ფიქრში მძუნაობა" თუ შეიძლება მხოლოდ, რეალობა მძიმე დარდთან ჭიდილია.

ნაზი სულის ადამიანებისთვის არ არის მოწყობილი წუთისოფელი...

შორი, თეთრი მწვერვალი მწერლის ოცნებაა, ბავშვობასავით სუფთა, ლამაზი და, სამწუხაროდ, მიუწვდომელი.

ვისაც სიყვარული შეგიძლიათ, იოცნებეთ რევაზ ინანიშვილთან ერთად...

ლალი დათაშვილი

ჩემი საწყალი სიყვარული

სიტყვასიტყვით, ჩაუსწორებლივ, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ვათეთრებ ჩემს ერთ ახალგაზრდულ ჩანაწერს:

„თორმეტში, შაბათს, აქ, ჩემს სოფელში, მესტუმრა ჩემი ქალაქელი მეგობარი ო-ა. იგი მიმტკიცებდა, — თვითონ ძალიან გულისხმიერი და სათნო კაცი, მაგრამ ხანდახან მეტისმეტად ახირებული, — სიყვარული ადამიანების მიერ მოგონილია ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როგორც, ვთქვათ, თმის ვარცხნილობა, ანდა კოსტუმის მოდა, და რაც უფრო მალე განთავისუფლდებიან მისგან და დარჩებიან ისეთნი, როგორებიც ბუნებამ შექმნა, — მხოლოდ არსებობისათვის მცდელნი, ყველგან და ყველაფერში გათელაზე დამყარებულნი, — მით უკეთესი იქნება მათთვისო.

მე, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო აზრს ვადექი, ესე იგი, იმ აზრს, რასაც ადამიანთა უდიდესი ნაწილი ადგას, სუფრაზედაც სულ ამას ეღიღინებდი, —„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაპქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ“, — მაგრამ გულიგულში მაინც ეჭვის ჭია მღრღნიდა, — იქნებ მართლაც ასეა, იქნება კაცობრიობა, მართლაც, მალე უნდა განთავისუფლდეს ამ ტკბილ-მწარე ბანგისგან, რომელსაც ხშირად მეფე მონის ყმად უქცევია, ბრძენი კი გაგიჟებულიეთ ურბენინებია ტყე-ველად. განა ჩვენს გვერდითაც სწორედ ის ადამიანები არ აღწევენ წარმატებებს, ვინც ყველაფერს ივიწყებენ, გარდა თავიანთი მიზნებისა, ვინც გულგრილად გასწევენ ხოლმე გვერდზე სხვებს, რათა პირველებმა მათ გაიარონ ვიწრო გასასველელში?! არ მინდოდა, რომ ასე ყოფილიყო, ვიკავებდი თავს, მაგრამ ბოლოს მაინც ცუდ გუნებაზე დავდექი; განსაკუთრებით მაშინ, როცა ო-ა სადგურში ჩავაცილე, ქალაქისკენ მიმავალ მკაცრადშეკრულ მატარებელს გავაყოლე, — ავიდა ვაგონის ჩაშავებულ კარში პატარა, როგორღაც დათრგუნული, — გამოებრუნდი და სრულიად მარტო დავრჩი მშვიდი ცის ქვეშ ჩაყუჩებულ გორაკებსა და ველებში. მე ეს ძეძვშეფენილი გორაკები და ჯეჯილებად დავარცხნილი ველები ძალიან მიყვარს; გამორჩევით — ამ დროს, აპრილის მეორე ნახევარში, როცა ჯეჯილი თითქმის მუხლამდეა წამოზრდილი, ძეძვებს გამოაქვთ ნარინჯისფერი გამჭვირვალე ფოთლები, ლბილია, მიბუნდოვანებულია ყველაფრი სილურჯემდე მისული სიმწვანით. ისე მეჩვენებოდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გავშორებოდი აქაურობას.

ნაღვლიანი შემოვედი მაყვალწყლის ხევში, და იქ უცბად შევჩერდი, — მელას ხმა მომესმა. მელას ხმა, წკმუტუნი და ხავილი, სხვა დროსაც ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ეს ძახილი სულ სხვანაირი იყო. — ბაა!

– ამოიძახებდა აშკარად უმწეო, შეწუხებული ნაღირი, წაიღოდა ხმა, მიიკარგებოდა საღლაც და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღეენებდა მეორე ძახილს, თან უფრო გულსაკლავს. ამ გულსაკლაობას ის უფრო აძლიერებდა, რომ ძზის ჩასელის ხანი იყო და ყოველ შემაღლებას თუ ჩაღრმავებას მუქი, სეედიანი ჩრდილი გასჩენოდა.

შინ არ მეჩქარებოდა, არც მუხლები მემძიმებოდა და გადაეუხვიე ბილიკიდან. — იქნებ თვალი დაეკრა, საინტერესოა, რა აწუხებს-მეთქი მელას. ავიარე ძეძენარი ფერდო, წამოეუარე ხევს ზემოდან, ჩაეედი, ჩაეიდაბლე, ეეძებე ბუჩქებში, გაკანკულმა, სუნთქვაშეკრულმა, და ბოლოს დავინახე: დაყუნთულა გამხდარი, წერილი, დიდყურება, გვერდებზე ბეწვი რამდენიმე ადგილას თეთრად გამოსჩენჩია, წინ უდეეს მკედარი, მთლად პატარა, მუცელგაბერილი ლეკვი, და დროგამოშეებით იძახის: — ბაა! ბაა! დაიხარა, წაავლო ქეჩოში პირი, აიყვანა, როგორც კატა აიყვანს ხოლმე თაეის კნუტს, წამოეიდა და წამოიღო პირდაპირ ჩემკენ, თაეაღებულმა, მგონია, თვალებდახუჭულმა.

მე უნებურად გადაედგი ნაბიჯი უკან. ის შედგა, მიბრუნდა და ნელა შეეიდა გვერდით მდგარ ბუჩქებში.

ისედაც ცუდ გუნებაზე მყოფი, მთლად მომშალა ამ უცნაურმა გამოცხადებამ. ნერეიულად აკანკალებული იქვე ჩაეჯექი და ეიჯექი ასე...

მერე მოეიკრიბე ძალა, ავდექი, აეედი ზეეით, ხევთან მომდგარი გორაკის თხემზე, და ეიყურებოდი იმ მხარეს, საითაც მატარებელი წაეიღა.

მზე უკვე ჩასული იყო, დასაელეთის ცა წითლად ღუდღუდებდა, სიწითლეს შერეოდა მურა ფერიც, ამ მურა-წითელი ფერის ანარეკლი დაჰფენოდა ბრტყელად გაშლილ მოლურჯო დედამიწას, მატარებელი აღარ ჩანდა, მის გზაზე მიდიოდნენ, თითქოს მირბოდნენ შავი ბოძები, — ჯერ კანტიკუნტად, მერე — ხშირად, მერე — მთლად ერთმანეთს მიჯრილნი. ეიცოდი, რომ იმ ბოძებთან ერთად გარბოდა კიდეე უფრო დაპატარავებული და დათრგუნული ო-ა. — „მე არსად არა ვარ გამქცევი, ო-ა, მე ჩემს საწყალ სიყვარულთან ერჩები, ჩემს საწყალ მელებთან, ჩემს საწყალ ძეძვებთან", — ეთქვი ერთი ეს, გამოებრუნდი, მაგრამ შინ არ გამოვჩქარებულვარ, ხშირი მუქი ბალახი ამოვირჩიე, ჩავწექი იმ ბალახში და გაშლილი ხელებითა და მარცხენა ლოყით დავეხუტე მიწას.

იმწამსეე ვიგრძენი, რომ მოვიდა წმინდა, კეთილი, სხეულის ყოველი ნაკვთის, ყოველი ნერვის დამამშვიდებელი, დამასვენებელი უჩინარი, უსახელო შუქი"...

სულ მცირე შენიშვნა: ამის შემდეგ ახალგაზრდული გამბედაობით ახსნილი მაქვს იმ შუქის რაობა, მაგრამ დღეს ისეთ გულუბრყვილობად მიმაჩნია ესეითარი მსჯელობა, გადმოწერად არ ღირს.

კითხვები და დავალებები:

ეთანხმებით პერსონაჟის მოსაზრებას: "სიყვარული ადამიანების მიერ მოგონილია ისტორიის გარკვეულ ეტაპზე"?

ეთანხმებით ქალაქელ სტუმარს, რომ ადამიანი "ბუნებამ შექმნა მხოლოდ არსებობისათვის მცდელი, ყველგან და ყველაფერში გათელაზე დამყარებული"?

მოიძიეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი "სიყვარულო, ძალსა შენსა" და გაავლეთ პარალელი რ. ინანიშვილის სიტყვებთან სიყვარულის შესახებ: "ხშირად მეფე მონის ყმად უქცევია, ბრძენი კი გაგიჟებულივით ურბენინებია ტყე-ველად";

შეაფასეთ ისეთი ადამიანები, რომლებიც "ყველაფერს ივიწყებენ, გარდა თავიანთი მიზნებისა, ეინც გულგრილად გასწევენ ხოლმე გვერდზე სხვებს, რათა პირველებმა მათ გაიარონ ეიწრო გასასველელში?!"

ახსენით სიტყვა "გაკანკული", ("ვეძებე ბუჩქებში, გაკანკულმა, სუნთქვაშეკრულმა");

ახსენით სახეები: "ჯეჯილებად დავარცხნილი ველები"; "მკაცრადშეკრული მატარებელი", "მატარებელი აღარ ჩანდა, მის გზაზე მიდიოდნენ, თითქოს მირბოდნენ შაეი ბოძები, — ჯერ კანტიკუნტად, მერე — ხშირად, მერე — მთლად ერთმანეთს მიჯრილნი";

დაახასიათეთ მთხრობელი;

თქვენი აზრით, როგორი ადამიანია ო-ა? მისი ქალაქელობით აიხსნება მისი შეხედულებანი?

თქვენი აზრით, "ახალგაზრდული გამბედაობით ახსნილი იმ შუქის რაობა" მართლა ისეთი გულუბრყვილობა იყო, რომ "გადმოწერად არ ღირდა"?

თქვენი აზრით, რატომ უწოდებს მთხრობელი თაეის სიყვარულს "საწყალს"?

თქვენი აზრით, რატომ მოიხსენიებს მთხრობელი თავის ქალაქელ მეგობარს "პატარა, როგორღაც დათრგუნულ" ადამიანად?

დაწერეთ ესე "ჩემი სულის შუქი".

დააკვირდით:

ერთმანეთს სიმბოლურად უპირისპირდება ქალაქი, თავისი სიცივითა და უსიყვარულობით, და სოფელი, თავისი ბუნებითა და სიწმიდით. ამავე თემაზეა პაოლო იაშვილის ლექსი "წერილი დედას";

მწერალს, ადამიანის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, თხრობაში ზუსტი დეტალი ჩაურთავს — თუმცა მისი აზრები მთხრობელისთვის მიუღებელია, მოპაექრე მაინც შეაყოყმანებს მას, რადგან ცუდი რამ იოლად გადამდებია ხოლმე. ამიტომაც ამბობს: "მაგრამ გულიგულში მაინც ეჭვის ჭია მღრღნიდა — იქნებ მართლაც ასეა, იქნება კაცობრიობა, მართლაც, მალე უნდა განთავისუფლდეს ამ ტკბილ-მწარე ბანგისგან";

ავტორი გამოხატავს საშშობლოს გულწრფელ სიყვარულს: "მე ეს ძეძეშეფენილი გორაკები და ჯეჯილებად დავარცხნილი ველები ძალიან მიყვარს";

"ისე მეჩვენებოდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გაეშორებოდი აქაურობას." — ამბობს მთხრობელი. ეს შიში გამოწვეულია იმით, რომ სიყვარულის ძალაში დაეჭვდა. გულცივი ადამიანი კი აქაურობას, ანუ უფალი-სიყვარულის სახლს დაშორდება. მატარებელი მიაქროლებს ო-ას შორს — ჯოჯოხეთისკენ, მთხრობელი კი სულითაც და სხეულითაც ებღაუჭება მშობლიურ გარემოს, რათა არ გაუხეშდეს, მამის სახლი და მისი სიყვარული არ დაკარგოს: "„მე არსად არა ვარ გამქცევი, ო-ა, მე ჩემს საწყალ სიყვარულთან ერჩები, ჩემს საწყალ მელებთან, ჩემს საწყალ ძეძვებთან", — ვთქვი ერთი ეს, გამოვბრუნდი, მაგრამ შინ არ გამოეჩქარებულვარ, ხშირი მუქი ბალახი ამოვირჩიე, ჩაეწექი იმ ბალახში და გაშლილი ხელებითა და მარცხენა ლოყით დავეხუტე მიწას";

მწერალი ბუნების სურათს შეუსაბამებს გადმოცემულ მოვლენას: მელა გულსაკლავად იძახდა. "ამ გულსაკლაობას ის უფრო აძლიერებდა, რომ მზის ჩასვლის ხანი იყო და ყოველ შემაღლებას თუ ჩაღრმავებას მუქი, სევდიანი ჩრდილი გასჩენოდა";

მხოლოდ სიყვარულია "სხეულის ყოველი ნაკეთის, ყოველი ნერვის დამამშვიდებელი, დამასვენებელი უჩინარი, უსახელო შუქი..."

ანალიზისთვის:

უსახელო შუქი

სიყვარული აღგვამაღლებსო. ადამიანის სწორედ ამ გამაკეთილშობილებელ, გამამშვენიერებელ გრძნობაზეა რეზო ინანიშვილის მოთხრობა „ჩემი საწყალი სიყვარული". მწერლობა, საზოგადოდ, ადამიანის გულში სიყვარულის, სიბრალულის, თანაგრძნობის გაღვივებას ემსახურება. მწერალი, რა საძულველ საგანსა და მოვლენაზეც უნდა წერდეს, რა ნაკლოვანებასაც უნდა ამხელდეს, მაინც მკითხველის მხარესაა. როგორც ილია წერს „კაცია-ადამიანში?!": „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს...". ეს იმედი კი გულისხმობდა მკითხველის „გამოსწორებას". „მწერლის ვალია შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კეთილად მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, სიმამაცეს, თავგანწირვას", — ხაზგასმით წარმოთქვა ამერიკელმა მწერალმა უილიამ ფოლკნერმა ნობელის პრემიის გადაცემისას,.

რეზო ინანიშვილის უყვარს მკითხველი და თავისი ყოველი მოთხრობით, ცდილობს დაარწმუნოს, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სიყვარულს მოაქვს: ღვთის, მშობლების, მეგობრების, მიჯნურის, სამშობლოს სიყვარულს.

ყურადღებას იქცევს სათაურში ეპითეტი "საწყალი". რატომ უნდა იყოს სიყვარული საწყალი? მოთხრობის ბოლოს კი მკითხველი ხვდება, სიყვარული სიკეთეა, სინათლეა. იგი შარავანდედივით გამოაბრწყინებს ადამიანის სულს. საწყალი კი მხოლოდ იმათ თვალშია, რომელნიც უარყოფენ თუ გაურბიან მას, თუმცა ამით პატარავდებიან, სუსტდებიან.

მოთხრობაში ორი თვალსაზრისი დაუპირისპირა მწერალმა ერთმანეთს. მთხრობელს სოფელში ესტუმრა ქალაქელი მეგობარი, რომელიც უმტკიცებდა, რომ სიყვარულისგან გათავისუფლება იხსნიდა ადამიანს. მთხრობელი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მის ხასიათს კარგად წარმოაჩენს გალაკტიონის ცნობილი ლექსის „უსიყვარულოდ" სტრიქონთა ღიღინი: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...". ჩანს, იგი პოეტური, რომანტიკული სულის ადამიანია, ამიტომაც მისი ფიქრი სიყვარულზე განმტკიცებულია პოეზიით. ჩანს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „სიყვარულო ძალსა შენსაც" კარგად იცის. მეგობართან საუბრისას წამიერად დაეჭვებული თვითონაც გაიფიქრებს: „იქნებ კაცობრიობა მართლაც უნდა გათავისუფლდეს ამ ტკბილ-მწარე ბანგისაგან, რომელსაც ხშირად მეფე მონის ყმად უქცევია, ბრძენი კი გაგიჟებულივით ურბენინებია ტყე-ველად". თუმცა, ამ ეჭვს მალე

მოიშორებს, რადგან გრძნობს ამგვარი ფიქრი ცუდ გუნებაზე აყენებს. იგი ხედავს, რომ სიყვარულის უარყოფა ადამიანს აკნინებს, თრგუნავს, აბნელებს, ამიტომაც არის ქალაქისკენ მიმავალი ის ვაგონი უნუგეშოდ ჩაშავებული, თვითონ კი სიყვარულით სავსეა და ამიტომაც ელამაზება ირგვლივ ყველაფერი. უსიყვარულოდ კი მთელი სამყარო თითქოს ცარიელდება და იხურება ყველა კარი სიცოცხლის საიდუმლოებისა.

მწერალი წარმოაჩენს, რა სათუთი და ნაზია მთხრობელის დამოკიდებულება ბუნების მიმართ, რა სიხარული მოაქვს „სილურჯემდე მისულ ფოთლების სიმწვანეს" თუ „ნარინჯისფერ გამჭვირვალე ფოთლებს". იმიტომ იძენს გარემო ფერებს, რომ მას აღტაცებული, სიყვარულით სავსე მზერით შესცქერის პერსონაჟი. იგი ამიტომაც თანაუგრძნობს მელას, გულსაკლავად რომ ხაეის და წკმუტუნებს. მთხრობელი გრძნობს, რომ ირგვლივ ყოველივე სიყვარულს მოუცავს, სიყვარულს, რომლის დაკარგვა ბუნების შვილებსაც ისევე ამწუხრებს, როგორც ადამიანს. ამ ფონზე იხატება პერსონაჟი, სოფელს, მშობლიურ ფესვებს „ანგარიშით" მოწყვეტილი. ანგარიში გულისხმობს სიყვარულის ჩაკვლის ფასად რაღაც სხვის მოპოვებას; ეს იქნება წარმატება, სიმდიდრე, ძალაუფლება თუ სხვა რამ. მთხრობელი კი გრძნობს, რომ მას მშობლიური სოფლის სიყვარული აძლიერებს, ამიტომაც ფიქრობს, რომ აქედან არსად გაიქცევა და დარჩება „საწყალ მელებთან, საწყალ ძეძვებთან".

მწერალი შთამბეჭდავად ხატავს, როგორი სიყვარულით ეხუტება პერსონაჟი მიწას, რადგან ბიბლიური სამსონივით მისგან იღებს ძალას და გრძნობს, როგორ იჟღინთება „წმინდა, კეთილი, სხეულის ყოველი ნაკეთის დამამშვიდებელი, დამასვენებელი უჩინარი, უსახელო შუქით". ეს უსახელო შუქი სამყაროს შემოქმედი უფალია, რომელიც უჩინრად იქ არის, სადაც სიყვარულია.

მაია ჯალიაშვილი

სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა

ეუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის
თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას

დაიბადა სოფელ არაშენდაში, თებერვლის გაცრიატებულ დღეს. მამამისს რომ უთხრეს, ქალი გეყოლაო, ბარი მიწაში ჩატოვა, დაძენძილი თუშური ქუდი მოიხადა, ოფლიან შუბლზე გაისვა, ისევ დაიხურა და ბარვა განაგრძო. გაჯიქებულმა ბარა საღამომდე, მაგრამ არც საღამოს უნახავს, არც — მეორე დილას. მეხუთე გოგო იყო, მეხუთე სადარდებელი და სალოლიავებელი ღარიბი კაცის ოჯახში! იზრდებოდნენ ნეკერზე გაშვებული თხებივით, ჭინჭარსა და ეკალაზე სიარულით ხელ-ფეხი ჰქონდათ დაგაზული. რვა წლისა ართავდა და ქსოვდა. თოთხმეტი წლისას პირველად უყიდეს წითელი ჩუსტები და წითელწინწკლებიანი ცისფერი ჩითის კაბა (მანამდე უფროსი დების მონარჩენებით გაჰყავედათ იოლას), პირველად იცეკვა დღეობაში, მარიამობა დღეს, საქონლისაგან გადაძოვილ მინდორზე. პირველად გაიგონა ხანდაზმული დედაკაცებისაგან: აი, დაიწვი, დაიწვეო!

შემოდგომაზე სხვაგნებურებიმოვიდნენ:ერთი წითური,ჩაბურვაკებული კაცი და მეორე კიდევ სხვა კაცი, მოხუცებული. დასხდნენ, რაღაცეები ილაპარაკეს, მერე ბარბალეს დაუძახეს. შევიდა. გული რაღაც ცუდს უგრძნობდა, კანკალებდა. გაიგო, რაც უნდა მომხდარიყო. იმ წითურ, ჩაბურვაკებულ კაცზე ათხოვებდნენ, ერთ თვეში უნდა წაეყვანათ. რამდენიმე ღამე თეთრად გაათენა, მაგრამ ხმა არ ამოულია. მამამისს თუ ერთ მჭამელს მოაშორებდნენ, ამის გულისთვის სათათრეთს ფეხით წავიდოდა.

ერთი თვის შემდეგ მართლაც მოვიდნენ წასაყვანად მოჩარდახული ურმით, ღვინით, საკლავით. თან დედაკაცებიც მოიყოლეს. სიძეს ჩერქეზული ტანსაცმელი ეცვა, თეთრ ცხენზე იჯდა. ცხენიც და ტანსაცმელიც, რა თქმა უნდა, ნათხოვარი იყო. სიძეს ახალუხის საყელო უჭერდა და ძლივს სუნთქავდა. ქალებმა ბარბალე შუაში ჩაისვეს და ურემი დაძრეს. სანთლის ალივით უმწეოდ მოლიცლიცე ბარბალეს დიდი, შავი თვალები უფრო დასდიდებოდა, მაგრამ თითქმის ვერაფერს ხედავდა, არაფერი დამახსოვრებია ნათლად იმ დღისა, არც შემდგომი დღეებისა. მისი ქმარი, ის წითური, ჩაბურვაკებული, ჩაბებღვილი კაცი, მენახირე აღმოჩნდა. ბინდისას მოვიდოდა, თავჩაღუნული შეჭამდა, რასაც ბარბალე დაუდგამდა, მერე დააწვენდა და დათვივით ბუბნიდა, კამეჩივით დაჰფშვინავდა. თვითონ ბარბალე ცივი ჟრუანტელისა და შიშის მეტს

არაფერს გრძნობდა. გაშტერებული თვალებით იყურებოდა სადღაც მაღლა, სიბნელეში, და სულ ელოდა, ელოდა, რომ რაღაცა მოხდებოდა.

შვიდი თვის თავზე მართლაც მოხდა ეს "რაღაც". მენახირე მუღანლოელმა ყასუმა ყაჩაღმა მოკლა. ბარბალეს შავი კაბა ამოუკერეს. ის-ის იყო თხუთმეტისა გახდა. ისევ სუსტი იყო, ისევ სანთლის ალივით უმწეო. მარტო კი ცხოვრობდა. მენახირეს მის მეტი სხვა არავინ დარჩენია!

იმ ზამთარს ბოლშევიკებიც მოვიდნენ. მალე სოფელში გამოჩნდა ტანთხელი, ცოცხალი სახის ბიჭი, კომუჯრედის მდივანი. დადიოდა და იწერდა, ვინც წერა-კითხვა არ იცოდა. პატარა ქვრივამდეც მიაღწია. არც იმან იცოდა არაფერი, მაგრამ სკოლაში სიარულზე მაინც უარი თქვა. კომუჯრედის მდივანი არ მოეშვა. დღე არ გავიდოდა, ღობის ზემოდან არ გადმოენათებინა თავისი ცოცხალი სახით. მეზობლებმა სხვა სუნი დაიკრეს ამ შეხვედრებში. ადგა ბარბალეც და გაუტყდა, ასე და ასეაო. მაშინ კომუჯრედის მდივანმა ხელი მოკიდა, საბჭოში წაიყვანა და სამი მოწმის თანდასწრებით ცოლქმრობის საბუთი გააფორმებინა.

კომუჯრედის მდივანი სხვაგნებური კაცი იყო, ბარბალესთან დასახლდა. დღისით მუშაობდნენ ბაღჩაში, ვენახში, მინდორში, კალოზე. ღამით მდივანი წიგნებს კითხულობდა ხმამაღლა. წიგნებში უმეტესად ვაჟისა და ქალის სიყვარულის სვედიანი ამბები იყო მოთხრობილი. ბარბალეს, თვითონაც არ იცოდა, რატომ, გული ამოუჯდებოდა და ცრემლებით ევსებოდა დიდი შავი თვალები. ხშირად ეს ცრემლები ლოყებსაც ჩამოუხაზავდნენ ხოლმე ორი პრიალა ხაზით. მაშინ მდივანი იცინოდა, მკერდზე იხუტებდა და იმ სველ ადგილებს უკოცნიდა. კარგი, ძალიან კარგი იყო ეს საღამოები!

ეყოლათ ბიჭი, მერე კიდევ ბიჭი, მერე ქალი. ქვიტკირის სახლი დაიდგეს, სწორი კრამიტით გადახურეს. კომუჯრედის მდივანი ახლა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, ძველი ყაიდის თავმჯდომარე. კოლწვერების გვერდით იდგა ხოლმე ტალახით საესე რუში, სიმინდის სათოხარში, სამკალში, ტყეში. გამაგრდა და გაკაჟდა. დაკუნთული მხრები ძლიეს ეტეოდა ხალათში. მოვიდნენ ერთ საღამოს ვიღაც ფორმისტანსაცმლიანი კაცები, წაიყვანეს. თავმჯდომარეს ეცინებოდა: რაღაც გაუგებრობაა, ჩემთან ვის რა ხელი აქვს, ხვალვე გაირკვევა ყველაფერი და გადმოვალო. თან მაინც რაღაც უჩვეულო ნერვიულობით იკრავდა ბრტყელ ქამარს (ეს დაამახსოვრდა ბარბალეს საყვარელი ადამიანის ამ ქვეყანაზე არსებობის უკანასკნელი წუთებიდან). მეორე დღეს არ გადმოსულა... არც მესამე დღეს, არც მეოთხე დღეს. ბარბალე

ყველას ერიდებოდა. ქვეყნის ამბები შორეულ დონდგოლად თუ ესმოდა. უფროსი ბიჭი წაიყვანა და რაიონში წავიდა. კითხვა-კითხვით მივიდა, ქმრის ამბავი სადაც უნდა ეკითხა. ტროცკისტიაო? — პკითხა ვიღაცამ. — არა, ტროცკისტი კი არა, კობერიძეაო, — დაუფიქრებლად მიუგო ბარბალემ. — უყურებთ ამასო! გაბარაზდა ის ვიღაცა, — უყურებთ ამასო! მაშინ ერთი ხნიერი, კეთილი გამომეტყველების კაცი მივიდა და ჩურჩულით უთხრა: — წადი, დაო, შინ წადი, ბალღებს მიხედეო. და წამოვიდა. სოფელს რომ გამოსცდა, ტირილი აუვარდა. ისეთ ჭკუაზე დადგა, მივალ სადმე კლდესთან და გადავიჩეხებიო. მაგრამ ბიჭი უკან მოსდევდა. მიიხედა, ნახა, რომ ბიჭიც ტიროდა, და თავი შეიკავა. ბიჭს გამხნევება დაუწყო...

მერე თოვლშიც მოუხდა რამდენჯერმე გადასვლა. მერე უკან დაუბრუნეს საჭმელი, შენი ქმარი გადაგზავნილიაო. იმ დღიდან აღარაფერი გაუგია მისი.

გადაყოლილი იყო ბავშვებზე. თვითონ დაპქონდა საფქვავი წისქვილში, თვითონ ჭრიდა შეშას, თვითონ თოხნიდა — ოღონდ თქვენ ისწავლეთ და მე თქვენი არა მინდა რაო. ისინიც სწავლობდნენ. კარგად სწავლობდნენ. უფროსი ბიჭი უმაღლესში შევიდა. ვეტექიმი უნდა გამოსულიყო. ატყდა ომი. უფროსი ბიჭი მაშინვე წაიყვანეს. უმცროსი პირველ მობილიზაციაში არ მოხვდა, მაგრამ მერე ისიც წაიყვანეს. უფროსი დაბრუნდა, უმცროსი დაიღუპა. ახლა ქალიც უმაღლესში სწავლობდა, ვაჟმაც ისევ იქ გააგრძელა სწავლა, ვეტერინარულზე. გაეგო ქალაქის გზაზე ბარბალე. უზიდავდა ხურჯინით ხორცს, ლობიოს, ფქვილს, ხილს. ქალი გათხოვდა. ვაჟმა ცოლი მოიყვანა. ეყოლათ შვილები. ერთიც და მეორეც ქალაქს შერჩნენ. ხან ქალი წამოუშვებდა ცრემლებს, ხან — რძალი: რა იქნება, თავწყალი ვერ გაგვიდევნებია, ბავშვების პატრონები ვართ, ჩამოდი და იყავი ჩვენთანო. დარჩებოდა ერთი სამიოდე დღე, გაუსივდებოდა გული, ასტკივდებოდა თავი, გაუკრთებოდა ძილი. აიკრავდა თავის ბარგი-ბარხანას და წამოვიდოდა უკან. წკირებით, ღობისძირებში მოკრეფილი ნამტვრევნუმტვრევით აანთებდა გაცივებულ ღუმელს. ეზოს დაგვიდა, ბაღჩას დაასუფთავებდა. ბარავდა, სხლავდა, თოხნიდა. მოჰყავდა ჭირნახული. თვითონ რა სჭირდებოდა! ყველაფერს შვილებს უგზავნიდა, ზოგს — ფულად, ზოგს — ზამთრის სარჩოდ, მარცვალს არაფერს გააფუჭებდა, ყველაფერს გამოიყენებდა...

ვენახის ბოლოზე ერთი წაფერდებული კაკალი ედგათ. მადლიან კაკალს ეძახდნენ, ყოველ წელიწადს ხვინჭასავით ეყარა. ხან ვის აბერტყინებდა, ხან — ვის! მაგრამ ბოლო ხანებში ძალიან გაძნელდა დამბერტყვის

შოენა. სოფელში კაცი აღარ იყო ამ საქმის მიმყოლი. თუ ვინმე ჭაჭანებდა, იმასაც კუდი ყაყარზე ჰქონდა გადებული. რომ შეეხვეწებოდა, წამო, შვილო, შენს გახარებას, ერთი ის ჩემი წაფერდებული კაკალი ჩამომიბერტყეო, ყველა ამას ეკითხებოდა: შენი ბიჭი სად არის, რატომ ის არა ბერტყავსო? — ქალაქშია, შვილო მსახურობს, არა სცალიაო. — ჩვენ რაღა მოცლილები გვნახეო!..

წამოვიღოდა გულმოკლული: ჩემი ბიჭის მჭვლები დაგადგეთ თქვენაო. ამოუჯდებოდა გული, იტირებდა. მერე ისევ ყოჩაღად იყო, მტრის თვალების დასათხრელად. მტრის თვალების დასათხრელადვე აიღო ერთხელ ხალხა და კაკალზე თვითონ გავიდა. მე დაებერტყაე და მტერს არ გაეახარებო. ორჯერ არ ჰქონდა მოქნეული ის ხალხა და წინ წავარდა. რამეს მოვეჭიდებიო, გაუელვა, მაგრამ ვერაფერს მისწვდა. იგრძნო, იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა. კიდევ კარგი, რომ ვიღაცამ შემთხვევით მოპკრა თვალი. გეგონებოდათ, მყუდროზე მიწოლილა და ისე მისძინებიაო.

შვილებმა მეორე დღეს ძლივს გაიგეს მისი ამბავი. დიდი პატივით დაკრძალეს. სახლს მძიმე კლიტეები დაადეს. ერთ კვირაში ქარმა ეზო ჩალაბულით ააესო.

კითხვები და დავალებები:

როგორ ფიქრობთ, რევაზ ინანიშვილმა რატომ მიუძღვნა მოთხრობა ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟს?

მოიძიეთ ინფორმაცია ბოლშევიკებისა და საქართველოში მათი შემოსვლის შესახებ;

მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში 1937-38 წლების რეპრესიების შესახებ;

განმარტეთ შემდეგი სიტყვები: "გაცრიატებული" („თებერვლის გაცრიატებულ დღეს"), „დაგაზული" („ეკალაზე სიარულით ხელ-ფეხი ჰქონდათ დაგაზული"), „სხვაგნებურები" („შემოდგომაზე სხვაგნებურები მოვიდნენ"), „ ჩაბურვაკებული" („ერთი წითური, ჩაბურვაკებული კაცი"), " ჩაბებღვილი" ("ჩაბებღვილი კაცი მენახირე აღმოჩნდა"), "დონდგოლი" ("ქვეყნის ამბები შორეულ დონდგოლად თუ ესმოდა"), "წაფერდებული" ("ვენახის ბოლოზე ერთი წაფერდებული კაკალი ედგათ"), "გაეგო" ("გაეგო ქალაქის გზაზე ბარბალე"), "ხალხა" ("აიღო ერთხელ ხალხა და კაკალზე თვითონ გავიდა");

როგორ გესმით შედარებები: „იზრდებოდნენ ნეკერზე გაშვებული თხებივით“, „სანთლის ალივით უმწეოდ მოლიცლიცე ბარბალე”, “დათვივით ბუბნიდა”, “ყოველ წელიწადს ხვინჭასავით ეყარა”;

ამოიწერეთ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები და განმარტეთ ისინი;

იმსჯელეთ ეპიგრაფის როლზე ამ ნაწარმოებში;

დაახასიათეთ ბარბალე;

რა მიგაჩნიათ ამ ნაწარმოების მთავარ სათქმელად?

დაწერეთ ესე „ჩემი ბებია“.

დააკვირდით:

ბარბალე თავის მძიმე ხვედრს ტკივილითა და დარდით, მაგრამ უსიტყვოდ ეგუება. თავისი პირველი ქმრის ნახვის შემდეგ შიშითა და მწუხარებით “რამდენიმე ღამე თეთრად გაათენა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.“;

კომუჯრედის მდივნის კაიკაცობა და ბარბალეს მისდამი დამოკიდებულება რომ გვიჩვენოს, მწერალი სასურველ ეფექტს აღწევს ზმნით “გაღმოენათებინა” (“დღე არ გავიდოდა, ღობის ზემოდან არ გადმოენათებინა თავისი ცოცხალი სახით”);

“კომუჯრედის მდივანი ახლა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, ძველი ყაიდის თავმჯდომარე” — აზუსტებს რევაზ ინანიშვილი, რათა მიგვანიშნოს, რომ იმ თავმდაბალი თავმჯდომარეების დრო წავიდა და ახალი თანამდებობის პირები გლეხებთან ერთად და მათ გვერდით მუშაობას უკვე აღარ კადრულობდნენ;

თავსაფრიანი დედაკაცი და ბარბალე ბადიაური ბევრი რამით პგვანან ერთმანეთს: შრომით. პატიოსნებით, პოეტური და მგრძნობიარე სულით, შეილებზე გადაყოლითა და მათგან დაუფასებლობით, მარტოობითა და სიკვდილთან მარტო შეხვედრით.

ანალიზისთვის:

***

ვინც რევაზ ინანიშვილს კარგად იცნობს, თავდაპირველად შეიძლება გაუკვირდეს კიდეც ის ეპიგრაფი, რომელიც მწერალმა წაუმძღვარა მოთხრობას „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“: „ვუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას“. აქ რ. ინანიშვილისათვის უცხო ლიტერატურული კოკობზიკობის გამოძახილი

ისმის. მაგრამ თუ ღრმად დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ სრულიად არ არის ასე. ეს ეპიგრაფი ალალად არის დაწერილი. უფრო მეტიც, იგი რ. ინანიშვილის უშუალობის დადასტურებაა. მწერალი ალბათ არც დაფიქრებულა, როგორ აღიქვამდა მკითხველი მიძღვნას. გულში დაბადებული გრძნობა ბალღური მიამიტობით გამოთქვა. სწორედ ეს უშუალობაა მაგნიტური ხიბლი, რითაც გიზიდავთ რ. ინანიშვილის პიროვნებაც და შემოქმედებაც. ამის მიღწევა ხელოვნურად შეუძლებელია. იგი ბუნებამ უნდა დაგანათლოს.

მეხუთე გოგო იყო და მამამისს მისი დაბადება არც გახარებია. თოთხმეტი წლისაგაათხოვეს. ეიღაც ჩაბურეაკებულმა მენახირემ წაიყვანა. სიყვარულის მაგიერ, შიშით უყურებდა ბარბალე ამ კაცს. მოთმინებით ელოდა ხსნას. ერთ დღეს მუღანლოელმა ყაჩაღმა მოკლა ბარბალეს ქმარი. მერე ბედმა გაუღიმა და კაცურ კაცს შეახვედრა. შვილებიც ეყოლა ბარბალეს. როცა ეგონა, ცხოვრება კალაპოტში ჩადგაო, მაშინ დაენგრა ყველაფერი ქალს. მისი ქმარი დააპატიმრეს და სამუდამოდ დაკარგეს. წელზე ფეხს იდგამდა ბარბალე და ისე დაზარდა შვილები. იმათაც აღარ დააყოვნეს და ქალაქში გადასახლდნენ. დარჩა მარტოდმარტო მოხუცი ქალი. მაინც თავაუღებლად შრომობდა და ქალაქში შვილებთან ეზიდებოდა სარჩო-საბადებელს. არავის ეცალა ბარბალესათვის. კაკალი რაა, კაკლის დაბერტყვაშიც კი არ ეხმარებოდნენ. აქაოდა, მოუცლელნი ვართო. შენი ბიჭი სად არის, ის რატომ არ ბერტყავსო და არხეინად აუელიდნენ გვერდს ბარბალეს ეზო-კარს. მტრის გულის გასახეთქად თავად ავიდა კაკალზე, ხალხა მოიქნია, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და „იგრძნო, იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა. კიდევ კარგი, რომ ვიღაცამ შემთხვევით მოპკრა თვალი. გეგონებოდათ, მყუდროზე მიწოლილა და მისძინებია" („სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა").

ცხოვრების მძიმე გზა გაიარა ბარბალემ, მაგრამ საყვედურიც კი არ დასცდენია არავის მიმართ: არც მამის, არც პირველი ქმრის, არც შვილების და არც მეზობლებისა. შურისგება და ბოროტება ხომ არა და არ გაუვლია გულში. იგი შრომობდა და მხოლოდ სიყვარული ასულდგმულებდა. სიკვდილის წინაც კი არ დაკარგა წონასწორობა და შეინარჩუნა უნარი გაფრთხილებოდა ქალურ ღირსებას: მუხლებზე კაბა გადაიფარაო, ამბობს მწერალი. ასეთ სულიერ ძალას ვარაფერი დათრგუნავს, სიკვდილიც კი. ამიტომ ბარბალე მიძინებულს ჰგავს და არა — მიცვალებულს არსებობის ერთი ფორმა შეცვლილია მეორეთი.

აკაკი ბაქრაძე

***

რეზო ინანიშვილთან ბოლომდე ხდება სულის მხნეობისა და რაფინირებული, უნატიფესი ესთეტიზმის შენარჩუნება. ამის განსაცვიფრებელი მაგალითია კაკლის ხიდან გაძმოვარდნილი სიფრიფანა მოხუცი ქალი, რომელიც ვარდნის პროცესში ფოთოლივით ბუნებრივია, რადგან ფოთოლი არასოდეს თამაშობს ვარდნას, იგი წყდება და ფრიალით ეცემა მიწაზე. ფოთლისაგან განსხვავებით, მიწაზე დაცემამდე, ქალი ფიქრობს, ლამაზი იყოს მისი გარდაცვალება და კაბის კალთით ცდილობს ფეხების დამალვას, რომ გარდაცვლილიც ფაქიზი და მშვენიერი ჩანდეს.

მაკა ჯოხაძე

***

სევდითა და პატიოსნებით

„სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“ რამდენიმე ასპექტს შეიცავს. მწერალი ერთი ჩვეულებრივი ქალის ცხოვრების მაგალითზე ადამიანთა ხვედრის პრობლემაზე დაგვაფიქრებს ამ წუთისოფელში, კონკრეტულად კი — რთულ დროსა და მძიმე ეპოქაში ცხოვრების სიძნელეზე, თანაც დედაშვილობის თემას ეხება.

მოთხრობაში ასახულია ის გაჭირვება, რომელშიც ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბარბალე “რვა წლისა ართავდა და ქსოვდა. თოთხმეტი წლისას პირველად უყიდეს წითელი ჩუსტები და წითელწინწკლებიანი ცისფერი ჩითის კაბა (მანამდე უფროსი დების მონარჩენებით გაპყავდათ იოლას)“, თოთხმეტი წლის ბაეშვი პირველივე მთხოვნელს, საშინელ კაცს მიათხოვეს, მაგრამ დიდად არც დაფიქრებულან, „მამამისს თუ ერთ მჭამელს მოაშორებდნენ, ამის გულისთვის სათათრეთს ფეხით წავიდოდა“. არც ქმარი პყავდა მდიდარი. ქორწილში „სიძეს ჩერქეზული ტანსაცმელი ეცვა, თეთრ ცხენზე იჯდა. ცხენიც და ტანსაცმელიც, რა თქმა უნდა, ნათხოვარი იყო”.

ნაწარმოებში ამბები სამი ისტორიული მოვლენის ფონზე ვითარდება, სამივე მათგანი მძიმე იყო საქართველოსთვის, თუმცა მათ შუქ-ჩრდილებზე მწერალი არაფერს ამბობს, ეპოქას მხოლოდ იმიტომ ახსენებს, რომ

ბარბალეს ცხოვრების დრო ასახოს, მით უმეტეს, რომ არც ერთ მათგანს ქალისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია:

პირველი გასაბჭოებაა, რამაც შეება მოპგვარა ბარბალეს, ბოლშევიკი იყო მისი მეორე ქმარი, ვინც ქალობა და სიყვარული აგრძნობინა;

მეორე — 1937-38 წლების რეპრესიები, საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავით რომ მიმდინარეობდა და უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეიწირა, მათ შორის — ბარბალეს ქმარი, ყოფილი კომუჯრედის მდივანი და იმჟამინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

მესამე — 1941-45 წლების ომი, რომელშიც ბარბალეს ორივე ვაჟი გაიწვიეს და უმცროსი დაიღუპა.

ბარბალეს ქმარს რომ აპატიმრებდნენ, "ეცინებოდა: რაღაც გაუგებრობაა, ჩემთან ვის რა ხელი აქვს, ხვალვე გაირკვევა ყველაფერი და გადმოვალო", მაგრამ ასე არ მომხდარა.

მწერალი-ფსიქოლოგი მისი მოქმედებით მოხერხებულად გვიჩვენებს საზოგადოდ თავდაჭერილი, მაგრამ გარკვეულ მომენტში აღელვებული ადამიანის სახეს, ხოლო თვითონ ბარბალეს მდგომარეობის ასასახავად საუკეთესო ხერხს შეარჩევს — მას ქმართან ცხოვრების ბოლო წუთს ამახსოვრებინებს: "რაღაც უჩვეულო ნერვიულობით იკრავდა ბრტყელ ქამარს (ეს დაამახსოვრდა ბარბალეს საყვარელი ადამიანის ამ ქვეყანაზე არსებობის უკანასკნელი წუთებიდან)".

იმ ანეგდოტური სიტუაციით, რომელშიც აღმოაჩენს მწერალი პერსონაჟს, ყველაზე უკეთ ჩანს ბარბალეს გაუნათლებლობა, გულუბრყვილობა და პოლიტიკურ ამბებში სრული ჩაუხედაობა: "ტროცკისტიაო? — პკითხა ვილაცამ. — არა, ტროცკისტი კი არა, კობერიძეაო, — დაუფიქრებლად მიუგო ბარბალემ", თუმცა მისი ბედნიერება სტალინურმა რეპრესიებმა მაინც შეიწირა და მარტოხელა დედად გადააქცია ეს ახალგაზრდა ქალი.

ბარბალე, როგორც დედა, ყველაფერს თმობს შვილებისთვის. ქმრის უბედურებით თავზარდაცემული "ისეთ ჭკუაზე დადგა, მივალ სადმე კლდესთან და გადავიჩეხებიო. მაგრამ ბიჭი უკან მოსდევდა. მიიხედა, ნახა, რომ ბიჭიც ტიროდა, და თავი შეიკავა. ბიჭს გამხნევება დაუწყო..."

შემდეგ კი მძიმე ჭაპანში შეება, შრომითა და ჯაფით გაზარდა შვილები, ასწავლა, ერთი მათგანის დატირებაც მოუხდა, ქალაქში გადასახლებული ქალ-ვაჟისთვის საჭმლის საზიდად გაეგო ქალაქის გზაზე... უსიტყვოდ, უთქმელად გაატარა სიცოცხლე და ასევე ჩუმად გარდაიცვალა. "იგრძნო,

იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია...

ვაღაცამ შემთხვევით მოპკრა თვალი. შვილებმა მეორე დღეს ძღივს გაიგეს მისი ამბავი. დიდი პატივით დაკრძალეს."

ეს იყო და ეს. თავისი ცხოვრებიდან ნათელ მოგონებად დარჩა მხოლოდ ქმრის მიერ საღამოობით წაკითხული წიგნები და ამბის მოსმენით მოგვრილი ცრემლები, ერთადერთი შემთხვევა, როცა გრძნობებს არ მალავდა. "ბარბალეს, თვითონაც არ იცოდა, რატომ, გული ამოუჯდებოდა და ცრემლებით ევსებოდა დიდი შავი თვალები. ხშირად ეს ცრემლები ლოყებსაც ჩამოუხაზავდნენ ხოლმე ორი პრიალა ხაზით. მაშინ მდივანი იცინოდა, მკერდზე იხუტებდა და იმ სველ ადგილებს უკოცნიდა. კარგი, ძალიან კარგი იყო ეს საღამოები!"

მწერალი ქალის პატიოსნების გამომხატველი, სულის შემძერელი სურათით ამთავრებს თხრობას — სიცოცხლის უკანასკნელ წამს "მიწაზე დაცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა."

ეს საქციელი იმდენად შთამბეჭდავია, რომ ბარბალეს გარდაცვალება გადაფარავს მისსავე სიცოცხლეს და თუმცა მოთხრობაში ქალის მთელი ცხოვრებაა ასახული, მწერალი ასე ასათაურებს მოთხრობას: „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა". ამით კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს დიდ ჭეშმარიტებაზე — კაცის მთელი ცხოვრება სიკვდილისთვის, ლამაზად სიკვდილისთვის სამზადისია.

ნაწარმოების ფინალი ნიკო ლორთქიფანიძის სევდანარევ ფრაზას გვაგონებს: "დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან", რადგან ბარბალეს შვილებმა დედა მალე დაივიწყეს, "სახლს მძიმე კლიტეები დაადეს. ერთ კვირაში ქარმა ეზო ჩალაბულით აავსო".

სევდითა და პატიოსნებით სავსე კიდევ ერთი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან, თუმცა მისი ფასი მისმა შვილებმაც კი არ იცოდნენ.

ლალი დათაშვილი

კიტრის ქურდი

შარშანწინ დაქერიეებულ ირინე თეთრაშვილის ბიჭი აფრია მიხაკო ჯალიაშვილის ვენახში გადაიპარა. მიხაკო ჯალიაშვილი, მეძროხეობის ფერმის გამგე, ყოველ წელიწადს საადრეო კიტრს თესავდა ხოლმე. აფრიას კიდევ საადრეო კიტრი ქვეყანას ერჩია და, სანამ თავიანთიც დაისხამდა, ჯალიაშვილის კიტრით მიდიოდა იოლას.

ჯალიაშვილის ღობეს ღელის მხრიდან, კბოდესთან, ბებერი თელების ფესვებში, ერთი საძრომი პქონდა. აფრია იმ საძრომით აფოფხდა, ანწლები გასწი-გამოსწია და ბილიკზე გაიხედა. არც ბილიკზე, არც ვენახში და არც ზემოთ, კაკლების ქვეშ, სადაც ჯალიაშვილები ლობიოს არჩევდნენ ხოლმე, არავინ ჩანდა. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, სამი თუ ოთხი ვენახის იქით ვიღაცა გაუზეთავ შაბიამნის აპარატს ამუშავებდა — კრიჭ! კრიჭ! კრიჭ! ზედ აფრიას წინ, კომბოსტოს ჩრდილში, დიდი მწვანე ხელიკი იდგა და პირდაღებული ქასქასებდა. აფრიამ ხელი აუქნია და დააფრთხო, მერე წამოიწია, წელში მოხრილი წავიდა ქვემოთ. ვაზებშორის გაბმულ კიტრებთან ერთხელაც მიმოიხედა, კიტრის ბრტყელ ფოთლებში ფრთხილად გადადგა ფეხი, ხელებიც შიგ ჩაყო, ფოთლები გადასწ-გადმოსწია. ერთი მთლად ქორფა, ჯერ ისევ ბუსუსიანი კიტრი იპოვა, მოწყვიტა და მაშინვე პირში იკრა. მაგრამ კიტრმა ისეთი ტკაცანი მოიღო, აფრია შეკრთა და უბეში ჩაიგდო. ცოტა ხანში სხვა კიტრიც დახელა, მერე კიდევ სხვა, მერე კიდევ სხვა – მტკაველზე დიდი. გამოსწევდა, გამოპგლეჯდა და უბეში ჩაუძახებდა. ის იყო, გამობრუნებასაც აპირებდა, რომ გაიხედა და რასა ხედავს: ბილიკზე ჯალიაშვილი მოდის. ეტყობა, თვალებში მზემ შეუჭვრიტინა, გრძელაფრიანი მწვანე ქუდი კეფიდან წინ წამოიწია. მოდის, თავისებურად მოხლაყუნებს. გაქცევა არ შეიძლებოდა, ჯალიაშვილი მაგარი კაცი იყო, აფრია ვერ გაუსხლტებოდა. ისევ კიტრებში უნდა ჩამალულიყო და, ჯალიაშვილი რომ წავიდოდა, ანდა სულ ცოტაზე მაინც ჩასცდებოდა, მაშინ გაპარულიყო. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ჩაწვა ვაზის ძირას, ყველაზე მაღალ ფოთლებში. წევს და სუნთქვასაც კი იკავებს, ელოდება, როდის ჩაივლის ჯალიაშვილი.

მაგრამ ჯალიაშვილმა სწორედ კიტრებთან გადმოუხვია, წამოვიდა, წამოვიდა და პირდაპირ აფრიას წაადგა თავზე. აფრია კანკალმა აიტანა. ჯალიაშვილი დაიხარა, კოტიტათითებიანი გაფარჩხული ხელი აფრიას მოპკიდა და ამოახედა:

— ბიჭო!

აფრიამ თვალები დახუჭა, კანკალებს, კანკალებს.

— ბიჭო, აფრია არა ხარ?!

აფრია მოიბღუნძა, ცრემლები წამოსცვივდა.

— ბიჭო, რა გინდა აქა?

აფრიამ ძლიეძლიეობით ამოთქვა:

— მუცელი ამტკივდა და... დავწექი.

— ი! — გაუკვირდა ჯალიაშვილს.

აფრია უფრო მეტად მოიბღუნძა.

— ძალიან გტკივა? — ჩაკუნტდა ჯალიაშვილი. — აბა, გადმობრუნდი, მეჩვენე.

აფრია გაჯიუტდა, თავი მუხლებისკენ მიპქონდა. მაშინ ჯალიაშვილი ორივე ხელით დასწვდა და ძალით გადმოაბრუნა.

— აქა გტკივა? — უბეზე დაადო ხელი.

აფრიამ მუცელი შეიწია, ფეხები აასხმარტალა.

— დამაცადე, — უთხრა ჯალიაშვილმა. ვითომც არაფერიო, ხელი უბეში ჩაუყო, ჯერ ერთი კიტრი ამოაცალა, მერე მეორე, მერე მესამე და მეოთხე, მერე მეხუთე და მეექვსე. ქამარიც შემოხსნა, იმ ქამრით კიტრები ერთმანეთზე გადააბა. თავისი სალდათური ქამარიც შემოიხსნა, ხელზე გადაიხვია და თითბრის მძიმე ბალთა აფრიას უჩვენა.

— ადე ზეზე!

აფრია ადგა, თავი მხრებში აქვს ჩამძვრალი, ტირის, ტირის.

— გაწყვიტე ხმა, თორემ მოვიდა ეს ბალთა მაგ გასიებულ გოგრაში!

იკაეებს თავს აფრია, მაგრამ ვერ შეუკავებია.

ჯალიაშვილმა ქამრით გადაბმული კიტრები კისერზე ჩამოკიდა და უბრძანა:

— წადი წინ და ემაგ კიტრებს ხელი არ ახლო, თორემ გაგიხეთქე თავი ამ ბალთით.

აფრია ნელ-ნელა გამოვიდა კიტრებიდან, მობუზული, გასაცოდავებული.

— სწორად გადაადგი ფეხი, თორემ დაგკიდე კაკალზე თავდაყირა!

აფრიამ ფეხს აუჩქარა. კისერზე დაკიდებული კიტრები ისე აწუხებდა, თითქოს ფუთობით ტვირთი ჰკიდებოდეს.

— გასწორდი წელში და ისე წადი, თორემ ჩაგახრჩე ამ წყალში!

გადაეიდნენ ბოგირზე, ავიდნენ სასოფლო გზაზე.

კაკაანთ ვენახებიდან სონა ბებო გამოვიდა.

— მიხაკო! მიხაკო! მიხაკო არა ხარ?

— ჰო, მიხაკო ვარ, რა გინდა?

— მოდი, აბა, აქ მოდი. მაშ ეს საქნელი საქმეა, ნახე, მიჯნაზე ჭიგო როგორ შეუდგამს იმ ჩემ პატიოსან მაზლსა!

— დამაცა, ძალო, რა დროს ეგ არი, აი, აფრია კიტრებში ღაეიჭირე და საბჭოში მიმყაეს!

— ვინა, ვინა?

— ვინა და, თეთრაანთ თავგასიებული აფრია.

— აი, სანაცილეე! აბა, აქეთ გამოიხედე!

აფრიამ ერთი კი გახედა ქვეშ-ქვეშ, მაგრამ არაფერი უთქვამს, ჯალიაშვილმა ბალთა ყურთან დაუკანკურა და ფეხი ააჩქარებინა.

გამოვიდა ორღობიდან დედა-შვილი, ძამნიაშვილები, ელენე და მისი გოგო თამრიკო, იმწამსვე მიხვდნენ, რა ამბავიც იყო, და აუტყდათ სიცილი. მერე კიკოლიკაანთ ვასო გამოჩნდა, მერე — ნამღვდლარი, მერე — ხარაზი.

— რატომ მიწა არ გაგისკდება, აფრი, რომ იმ კარგი მამის სახელს ეგრე არცხვენ! რატომ შიგ არ ჩასძვრები და ჩაიქოლები! — მისძახოდა ელენე.

— მაგის მამას ნუ ახსენებთ, თორემ მოეკალი აქვე და გავათაეე.

აფრიამ ზმუილი ამოუშვა.

— ჩაიკმინდე ხმა, თორემ გამიწყდა მოთმინების ძაფი! — გაბრაზდა ჯალიაშვილი.

— გაუშვი და... — გაბედა ხარაზმა.

— რას ამბობ, ე! ეს გაუშვა, ის გაუშვა და დაინგრა ქვეყანა, აგე, ცა ეელარა ჩერდება ამათი შიშით მაღლა!

— გაიგებს ირინე და... — ისეე გაუბედავად თქვა ხარაზმა.

— გაიგოს, უნდა გაიგოს, მაშ! გავაგებინებ კიდეც! — გაცხარდა ჯალიაშვილი.

ამ ამბავში იყო, რომ გაკაპასებული ქალის ხმა შემოესმა.

— მაგის ჯანი კი დაიწვას, მაგისი! მაგ ტარტაროზისა, მაგ ფერმის ვირთაგვასი!

ჯალიაშვილი გაჩერდა და აქეთ-იქით მიმოიხედა. ჩატეხილ ღობეზე აფრიას დედა ირინე გადმოხტა, მორბოდა და თან მუშტისოდენა ქვას მოიქნეედა.

— ამით გაგიხეთქაე თავსა, შე დამბლაე, შე კოლმეურნეობის ჩრჩილო! ამით გაგიხეთქავ თავსა!

— ვის გაუხეთქავ, ე, ვისა! — შედრკა ჯალიაშვილი.

— შენა, შე ფაშისტო! — პირდაპირ ცხვირთან უტრიალებდა ქვას ირინე. — ამოსწყდი პატარებშიც და დიდებშიც, პატარა არა ყოფილხარ, ან არ გაგიგონია მაინც პატარაობა!

— გაიწი იქით, ქალო!

— ტვინს ამოგანთხევინებ, ტვინს!

ამასობაში აფრიამ დრო იხელთა, მოიხსნა კიტრები კისრიდან და სწრაფად გადაეკვლო ღობეს.

ჩაუდგნენ მეზობლები ჯალიაშვილსა და ირინეს, აფრიას დედას. დაწყნარდი, ირინეო, კარგი, კაცო, მიხაკო, რაც იყო, იყოო, პო, კარგი, დაწყნარდი, ირინეო, მაგრამ ირინე მაშინაც კი იმუქრებოდა, როცა შინისკენ აბრუნებინეს პირი.

— მაგას ხომ არა პგონია, უმამოა და დავიბრიყვებო, თავს გადაეუპობ შაგ სოფლის წურბელას, მაგას!

ჯალიაშვილი კი მეზობლებში იდგა და გამტკნარებული იხედებოდა აქეთ-იქით.

— ქალი კი არა, ქაჯია, კაცო, რა უნდა ვუთხრა, ქაჯია!

აფრია, რა თქმა უნდა, შინ არ მისულა. სულ სირბილით გავიდა თათრების ჯალაში და იქ ერთი ბებერი ვერხვის ძირას მიჯდა. გადაწყვეტილი პქონდა, შინ არასოდეს დაბრუნებულიყო. მაგრამ რომ მოსაღამოვდა, ბუნება რომ გაჩუმდა, ჩიტებიც რომ სადღაც მიიმალ-მოიმალნენ, ადგა და ნელ-ნელა წამოვიდა. ჯერ შორიშორს უელიდა თავიანთ სახლს, მერე პატარა ძმა გუჯა დაინახა და დაუძახა. გუჯა მოვიდა, გაუხარდა აფრიას ნახვა. აფრიამ უთხრა, წადი, ცოტა პური გამომიტანეო. გუჯა გაიქცა და დედა გამოიყვანა. დედამ შორიდანვე დაიწყო:

— მიწადასაყრელო, მამაშენის მეორედ დამმარხავო, ხომ გამხადე სოფლის შავი ბაირაღი, კიდევ გინდა სიცოცხლე?!

გუჯა მუხლებზე ეხვეოდა და ეხვეწებოდა:

— მე მცემე აფრიას მაგიერად, მე მცემე, დედიკო, და მაგას ხელს ნუ ახლებო.

დედამ ხელი გაპკრა და მოიშორა, მაგრამ გუჯა არ მოეშვა, ისევ მოეხვია მუხლებზე. მაშინ დედა ჩაჯდა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

— რად მინდა თქვენს ხელში სიცოცხლე, თქვენ, ხომ ვიცი, შხეს აღარ უნდა შემახედოთო.

წამოვიდა აფრია, გაჩერდა, ისევ წამოვიდა, ისევ გაჩერდა. ბოლოს სულ ახლოს მივიდა დედასთან. ახლა მისთვის დიდი შეება იქნებოდა, თუ დედა სცემდა, ხორცებს დააჩქლეთავდა, მაგრამ დედა კელავ ბალახებში იჯდა სახეზე ხელებაფარებული და ხმამაღლა, მხრების კანკალით

ქეითინებდა. მაშინ აფრიამ თეითონ გასწია ხელი და ფრთხილად დაადო დედას თაეზე.

— კარგი, რა! კარგი, რა, დედი!

დედას მოსახვეეი გადასცურებოდა და თმა თბილი პქონდა, თბილი ამ შებინდების სიგრილეში. ამ სითბომ მთელ სხეულში დაუარა აფრიას და თეითონაც ჩაჯდა, თეითონაც ტირილი დაიწყო.

დარჩა პატარა გუჯა გაბეცებული. ხან დედას მიუბრუნდებოდა, ხან — აფრიას: — დედიკო! აფრი! — და როცა ნახა, ეერაფერს ხდებოდა, მიეხუტა დედას და ისიც აღრიალდა. მოშორებით, ღობის კუთხესთან, მათი ახოვანი მამის ლანდი იდგა, ხელები გულზე დაეკრიფა და ნაღელიანი თვალებით უყურებდა ცოლ-შვილს.

კითხვები და დავალებები:

როგორ ფიქრობთ, კარგი ადამიანია ჯალიაშვილი?

განმარტეთ შემდეგი სიტყვები: "ქასქასებდა" ("მწვანე ხელიკი იდგა და პირდაღებული ქასქასებდა"), "პირში იკრა" ("მაშინვე პირში იკრა"), "დახელა" ("ცოტა ხანში სხვა კიტრიც დახელა"), "მოზლაყუნებს" ("მოდის, თავისებურად მოზლაყუნებს"), "სანაცილე" ("— აი, სანაცილეე! 'აბა, აქეთ გამოიხედე!"), "გაბეცებული" ("დარჩა პატარა გუჯა გაბეცებული"), "დაუკანკურა" ("ბალთა ყურთან დაუკანკურა"), "აასხმარტალა" ("ფეხები აასხმარტალა");

როგორ გესმით მეტაფორები: „ცა ვეღარა ჩერდება ამათი შიშით მაღლა!" „მზეს აღარ უნდა შემახედოთო".

ამოიწერეთ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები და განმარტეთ ისინი;

როგორ ახსნით, "ახოვანი მამის ლანდი, გულზე ხელებ დაკრეფილი" რატომ უყურებდა ცოლ-შვილს ნაღელიანი თვალებით?

რა მიგაჩნიათ ამ ნაწარმოების მთავარ სათქმელად?

დაწერეთ ესე „ღედაჩემი".

დააკვირდით:

ქურდი ფრთხალია და ყველაფრის ეშინია, აფრია კიტრის ჩაკბეჩის ხმამაც კი შეაშინა და ჭამას თავი დაანება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უნდოდა: "კიტრმა ისეთი ტკაცანი მოიღო, აფრია შეკრთა და უბეში ჩაიგდო";

ჯალიაშვილი თუმცა დაზარალებულია, მაგრამ მწერალი მას იმდენად უარყოფით პერსონაჟად ახასიათებს, რომ ბიჭის ქურდობა ძალიან მსუბუქ ცოდვად აღიქმება მისგან მოფიქრებულ სასჯელთან შედარებით;

დედა ჯალიაშვილისგან აფთარიყით იცავს შვილს, მაგრამ, როცა მარტო რჩებიან, საყვედურობს, არცხვენს, ცემასა და სიკვდილს ანატრებინებს, რაც მწერლის მხრიდან დედის სახის გამოსაკვეთად ფსიქოლოგიურად სწორად გათვლილი დეტალია;

ძმებს ძალიან უყვართ ერთმანეთი, გუჯა ცდილობს, სასჯელი შეუმსუბუქოს ძმას;

სოფლის საზოგადოება უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ანალიზისთვის:

ნაღვლიანი თვალებით

ბავშვობაში, ხომ, ადამიანი ვერც აცნობიერებს ცოდვას, მით უმეტეს, ისეთ "უცოდველს", როგორიც ხუთიოდე კიტრის მოპარვაა ჯან-ღონით სავსე ადამიანის, მეძროხეობის ფერმის გამგის უზარმაზარი ბაღიდან. მით უმეტეს, "საადრეო კიტრი ქვეყანას ერჩია" აფრიას და მის მოსაკრეფად ხელიკსაც კი არ შეუშინდა.

მწერალი გვიჩვენებს, როგორ განიცდის ბიჭი, როგორ თრთის მიხაკოს დანახვაზე, როგორ რცხვენია თავისი საქციელის, "კისერზე დაკიდებული კიტრები ისე აწუხებდა, თითქოს ფუთობით ტვირთი პკიდებოდეს." როგორ ზმუის სიმწრისგან, მამას რომ უხსენებენ: „— რატომ მიწა არ გაგისკდება, აფრი, რომ იმ კარგი მამის სახელს ეგრე არცხვენ! რატომ შიგ არ ჩასძვრები და ჩაიქოლები!"

ხოლო როდესაც გამწარებული დედა დაინახა, გაიქცა. „გადაწყვეტილი პქონდა, შინ არასოდეს დაბრუნებულიყო."

აფრია შერცხვენილია და უბედური, მაგრამ პატარა და მშიერია... სახლს ვერ მიატოვებს, თუმცა ვერც იოლად მიეა შინ.

მწერალი დიდოსტატურად ასახავს მის მდგომარეობას. "რომ მოსაღამოვდა, ადგა და ნელ-ნელა წამოვიდა. ჯერ შორიშორს უელიდა თავიანთ სახლს, მერე პატარა ძმა გუჯა დაინახა და დაუძახა. გუჯა მოვიდა, გაუხარდა აფრიას ნახვა. აფრიამ უთხრა, წადი, ცოტა პური გამომიტანეო."

არც დედასთან დალაპარაკება და მასთან მისელაა იოლი, თანაც დედა "შამის მეორედ დამმარხავს" უწოდებს, საყვედურობს, "ხომ გამხადე სოფლის შაკი ბაირაღიო", და შეკითხვით: "კიდევ გინდა სიცოცხლე?!" — მიახვედრებს, რომ შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. ყველაფრის მიუხედავად, ის დედაა, ყველაზე ძვირფასი არსება. ამიტომ მისგან შორს ვერ წავა ბიჭი, ვერ მოსცილდება.

სულის შემძვრელად ასახავს მწერალი მის მდგომარეობას: "წამოვიდა აფრია, გაჩერდა, ისევ წამოვიდა, ისევ გაჩერდა. ბოლოს სულ ახლოს მივიდა დედასთან. ახლა მისთვის დიდი შვება იქნებოდა, თუ დედა სცემდა, ხორცებს დააჩქლეთავდა, მაგრამ დედა კვლავ ბალახებში იჯდა სახეზე ხელებაფარებული და ხმამაღლა, მხრების კანკალით ქვითინებდა. მაშინ აფრიამ თვითონ გასწია ხელი და ფრთხილად დაადო დედას თავზე."

დედის "სითბომ მთელ სხეულში დაუარა აფრიას და თვითონაც ჩაჯდა, თვითონაც ტირილი დაიწყო." ამ სითბომ ბიჭის კათარზისი გამოიწვია, უფრო მეტად შეაძულა ქურდობა და ნაქურდალი, ვიდრე ჯალიაშვილისა თუ სხვა თანასოფლელების მუქარამ, ქმედებამა და წყევლამ.

როდესაც ფერმის გამგეს ბიჭი კისერზე კიტრებჩამოკიდებული მიპყავს ეშაფოტზე ჩამოსახრჩობად ან თავის მოსაკვეთად მიმავალივით, დასასჯელი იარაღი კისერზე რომ პკიდია, მათი თანასოფლელები სვირს უყურებენ, აფრიას დასცინიან ან სწყევლიან.

ყველანი ერთნაირები არიან: მოხუცი სონა ბებო, დედა-შვილი ძამნიაშვილები, კიკოლიკაანთ ვასო, ნამღვდლარი, ხარაზი. მათ შორის ერთადერთს, ხარაზს მოსდის აზრად, რომ ბიჭი ცოდოა და გაუშვან, მაგრამ გაუბედავად იცავს და მიხაკოს რისხვას ვერ ეწინააღმდეგება. ამით კიდევ ერთხელ წარმოჩნდება უსულგულო საზოგადოება, ქრისტეს ჯვარს რომ აცვამს, მარიტას ტალახს რომ ესვრის, ილია მართალს კი — ტყვიას... ადამიანთა ბრბო, თითოეულ მათგანს საკუთარი თავი ყველაზე უკეთესი რომ პგონია, სხვის თვალში ბეწვს რომ ხედავს, საკუთარში — დირესაც ვერა. ამიტომ თითოეულ მათგანს მიემართება აფრიას დედის სიტყვები:

"— შე ფაშისტო! ამოსწყდი პატარებშიც და დიდებშიც, პატარა არა ყოფილხარ, ან არ გაგიგონია მაინც პატარაობა!" მათში პატარის თანაგრძნობის, მისთვის დახმარების სურვილი ამოიკითხება, სრულიად უცხო ამ ხალხისთვის.

ჯალიაშვილს ისეთი სიტყვებით ახასიათებს მწერალი, რომ მკითხველი უარყოფითად განეწყობა მისდამი. მას "კოტიტათითებიანი გაფარჩხული ხელი" აქვს, კი არ მოდის, "თავისებურად მოზლაყუნებს", იგი საშინლად

და უხეშად ემუქრება ობოლ ბიჭს: "გაგიხეთქე თავი ამ ბალთით!", „ჩაგახრჩე ამ წყალში!", „მოვიდა ეს ბალია მაგ გასიებულ გოგრაში!", "მოვკალი აქეე და გავათავე".

მიხაკოს გული რომ ჰქონოდა, თეითონ მისცემდა ბიჭს კიტრს და ამით მცირეოდენ სითბოს გამოიჩენდა უმამოდ დარჩენილი ობლის მიმართ. ამის ნაცვლად აკანკალებული, ატირებული ბიჭის სანიმუშოდ დასჯა გადაწყვიტა — "ქამრით გადაბმული კიტრები კისერზე ჩამოკიდა მობუზულ, გასაცოდავებულ" აფრიას და საბჭოში მიპყავდა დასასჯელად, ირინე რომ არა.

"მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო", თეითონ ქურდი, "ფერმის ვირთაგვა, კოლმეურნეობის ჩრჩილი და სოფლის წურბელა" ბავშვზე ამბობს: "დაინგრა ქვეყანა, აგე, ცა ვეღარა ჩერდება ამათი შიშით მაღლა!" და მისი დასჯით აპირებს სამყაროს გამოსწრებასა და გადარჩენას...

მთელი ეს მოთხრობა ნაღვლიანი თვალებით უნდა წაიკითხო... მოთხრობა ობოლ ბიჭზე, კიტრის ქურდი რომ ხდება და უსულგულო საზოგადოებაზე, რომელსაც ასე აკლია სიყვარულისა და თანაგრძნობის განცდა.

თავის ცოლ-შვილს ნაღვლით სავსე უყურებს გარდაცვლილი მამა, ასეთ ხალხში რომ დატოვა, დაუცველნი, მარტონი, ობოლნი და, ალბათ, ხშირად მშიერნი...

ნათლის სხივის გარეშე მაინც არ გვტოვებს რევაზ ინანიშვილი.

პატარა ძმა, ძალიან კარგი ბავშვი — გუჯა ერთი სიტყვითაც არ საყვედურობს უფროს ძმას, პირიქით, ძალიან უხარია მისი დანახვა და დედას სთხოვს, აფრიას ნაცვლად დასაჯოს: „გუჯა მუხლებზე ეხვეოდა და ეხვეწებოდა: — მე მცემე აფრიას მაგივრად, მე მცემე, დედიკო, და მაგას ხელს ნუ ახლებო." ამით საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე და გვარწმუნებს, რომ, მართლაც, ბავშვებისაა ცათა სასუფეველი, სამყაროს კი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს.

ლალი დათაშვილი

მედეა

— ყველაფერი მაღალ დონეზე!
ყველაფერი დახვეწილად:
ერთი დიდი ქელეხის
საშხადისში გაგონილი.

— ჩვენ იმ წყლებით ვართ მონათლულნი, კავკასიონიდან რომ ჩამოედინებიან და ამირანის სისხლი ჩამოაქვთ ბარად, — მჭევრ¬მეტყველებდა თამადა.

ქალმა საათს დახედა და თქვა:

— პირველი დაიწყო. მე მივდივარ. შენც წამოდი.

ოდნავ წახრილი გაუყვა გრძლად წასულ სუფრას. თხელი, ჩამოხვეწილი თეძოები პქონდა. ლამაზად, მტკიცედ მიდიოდა წახრილიც კი. გაიოზიც მიპყვა. გარეთ რომ გავიდნენ, ქალი გასწორდა და თავისუფლად ამოისუნთქა. ორივეს უკვირდა, რომ არავინ გამოედევნა. ქალი მანქანასთან მივიდა, ჩაჯდა, გადმოიწია და გაიოზისთვისაც გააღო კარი. გაიოზი გაღიმებული ჩაუჯდა.

ქალმა მანქანა აამუშავა და უცებ დაძრა. წელში ¬გამართულს, გრძელი შიშველი მკლავებით ღონივრად ეჭირა საჭე. ისეთი სისწრაფით მიდიოდა, მოსახვევში ბორბლები წიოდნენ. გაიოზი ღიმილით შეპყურებდა თითქოს ფოსფორით განათებულ მის ¬სახეს და ფიქრობდა: „ამას ნამდვილად რაღაცა აქვს მედეასი. ეს ¬თხელი, პატარა ცხვირი, ეს მკვეთრი ტუჩები... ამას კი ნამდვილად ¬რაღაცა აქვს კოლხი მედეასი“.

ეაკის გადასახვევში მილიციის მოტოციკლი იდგა. იქვე იყო გაჩერებული ორი „ჟიგული“ და რამდენიმე კაცი. მილიციელმა სასტვენი დაუსტვინა. ქალმა ბიჭურად თქვა: „წადი შენი“... გაიოზმა მაინც გაიხედა გარეთ. მილიციელი მოტოციკლს გადააჯდა.

— გამოგვეკიდა.

— დავაჟეჟინებ უკანალს. — ქალმა სიჩქარეს მოუმატა.

— კიდევ მოგვდევს?

— კი.

— ცოტაც დაინაყოს.

ცოტაზეც ასე იარეს. მერე მოტოციკლი გაუპირდაპირდათ.

ქალს გაეღიმა.

— ეყოფა. ხნიერი ყოფილა.

მანქანა დაამუხრუჭა, გააჩერა. გაჩერდა მოტოციკლიც. მილი¬ციელმა

ქუდი შუბლიდან აიწია. გაიოზმა კარი გააღო. ქალმა ხელი მოპკიდა, — შენ იყავი, — გადავიდა, ჩქარი მკვეთრი ¬ნაბიჯებით მიეიდა მილიციელთან. იქ ისე გაჩერდა, გაიოზს არ დაენახა, რაღაც რომ აჩვენა. მილიციელმა უმწეოდ ახედა, ხელი აუწია. ქალი გამოიქცა, საჭეს მიუჯდა და ისევ სწრაფად წავიდა. ოდნავ გაღიმებულმა მოხედა გაიოზს.

— ჩემთან ამოხვალ.

გაიოზს არაფერი უთქვამს.

მანქანა მაღალი ვერხვებით ჩამობნელებულ ეზოში გაჩერდა. გადმოვიდნენ. ქალმა კარი ჩაკეტა და მშვიდად წავიდა სადარბაზოსკენ. გაიოზი როგორიღაც უსწორმასწორო ნაბიჯით მიპყვა. სანამ ლიფტი ჩამოვიდოდა, მოუსვენრად იდგა. ქალი ქვედა ტუჩს იკვნეტდა და პირდაპირ იყურებოდა. ლიფტში რომ შევიდნენ, გაიოზმა აშკარად ათრთოლებული ხელები სახეზე შემოაწყო და ტუჩებში აკოცა. ქალი წამით მიპყვა, მერე თავი გაითავისუფლა და თქვა:

— მოიცადე.

ქალის ბინას ორმაგი კარი პქონდა. ერთი ჩვეულებრივი, ხის, მეორე, შიგნითა, რკინის. უხმაუროდ გაიღო ერთიც და მეორეც. პოლში შესულმა გაიოზმა ფრთხილად მიმოიხედა. რაღაც უჩვეულოდ მქრქალი ცისფერი შუქი იფრქვეოდა კედლებიდან. „ეს თუა ის რემონტი, ასი ათასი რომ ჯდება". ქალი ჩაიხარა:

— ამ საზიზღარ ფეხსაცმელს გავიხდი.

გაიოზი მთელი მკლავებით დასწვდა, ქალი გასწორდა, ტუჩები არ დაანება.

— მოიცა, მოიცა. ჩაუშვი ხელები.

გაიოზი დაემორჩილა, ქალმა ფეხსაცმელი გამოიცვალა და ერთიც უთხრა:

— ქაჯური არაფერი იყოს, კარგი?

— როგორც შენ მიბრძანებ, ლამაზო. — გაიოზმა ეაჭრული წახუმრებით გაშალა ხელები.

— არც ეგეთი რამეები.

— როგორი?

— ძალიან კარგად მიხვდი, რასაც გეუბნები.

გაიოზი მიხვდა, რასაც ქალი ეუბნებოდა, მაგრამ მაინც იუარა.

— ვერ მივხვდი.

— ვერა?

ქალი განჯინასთან მივიდა, ღილაკს თითი დააჭირა. კარი თავისით

გაიღო. შიგნით უამრავი სხვადასხვანაირი ბოთლი იდგა. უცებ მობრუნდა.

— სიგნალიზაცია ჩაურთავი დამრჩა.

— აუპ!

— ჩამომყევი.

— რა ჩამყოლი გინდა?

— მეშინია.

— რისა გეშინია?

ქალმა მხრები აიჩეჩა და კარისკენ წავიდა. კარები გამოაღო, გაიოზს ელოდა. გაიოზს გაელიმა, ქალს წინ გაუარა და გარეთ გავიდა. ქალმა კარი სწრაფად მოხურა და გადარაზა. გაიოზი კარს მხრით მიაწვა. ძერა ვერ უყო. იდგა დაფიქრებული. მერე ზარს თითი ფრთხილად დააჭირა. ყრუდ, მაგრამ მაინც შემაშფოთებლად გაისმა ზარის ხმა მიყუჩებულ სახლში. ერთ ხანს კიდევ იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა. მერე გაეცინა და ნელ-ნელა დაუყვა კიბეს.

.

კითხვები და დავალებები:

როგორ განმარტავდით ეპიგრაფს? რა როლი აქვს მას ნოველაში?

თქვენი აზრით, რატომ თელის გაიოზი ამ ქალს მედეად, რით ამსგავსებს მას კოლხეთის მეფის ასულს?

თქვენი აზრით, რატომ მიიღო ქალმა ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება, რატომ წაიყვანა თავისთან გაიოზი ან რატომ გამოუშვა ასე უბოდიშოდ?

დაახასიათეთ მედეა;

დააკვირდით:

მწერალი ეპიგრაფით გამოხატავს თავის სათქმელს;

ნოველა გადმოგვცემს მწერლის უარყოფით დამოკიდებულებას გადაპრანჭულობასა და არაბუნებრიობასთან;

მწერალი ნოველაში გადმოცემულ მშრალ, პროზაულ ამბავს მხატერულ სახეთაგან განტვირთულ, პროზაულ და ირონიულ სტილს შეუსაბამებს.

ნოველა "მედეასა" და "იაზონზე"

ეპიგრაფით: "ყველაფერი მაღალ დონეზე! ყველაფერი დახვეწილად!" — ერთი დიდი ქალბის სამზადისში გაგონილი" — რევაზ ინანიშვილი გვამზადებს, რომ მისი ნოველა ეძღვნება ფსეედოდახვეწილობასა და ფსეედოკულტურას. მწერალი ხელოვნურობის ნიმუშად ქალბს თვლის, რადგან ამ დროს ყველა ოჯახი ცდილობს, აქვს თუ არა შესაძლებლობა, მდიდრული სუფრა გაშალოს და სხვას თავი მოაწონოს, მიცვალებული კი ხშირად აეიწყდებათ კიდეც.

თამადა ზედმეტად იპრანჭება და თანასუფრელთა წინაშე თავს საგანგებოდ იწონებს თავისი მჭევრ¬მეტყველებით: "ჩვენ იმ წყლებით ვართ მონათლულნი, კავკასიონიდან რომ ჩამოედინებიან და ამირანის სისხლი ჩამოაქვთ ბარად".

ნოველის მთავარი გმირი — "მედეაც" სიყალბით ხასიათდება. ამიტომაც "დახვეწილად" ცხოვრობს, თავი "დახვეწილად" უჭირავს, კარგად აცვია და მამაკაცის შინ წაყვანასა თუ უბოდიშოდ გამოშვებასაც "დახვეწილად" ახერხებს.

"მედეას" გარეგნული დახასიათებისას თუ მისი შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად მწერალი ყოველ დეტალს ანიჭებს მნიშვნელობას, რათა მისი მბრძანებლური ბუნება ასახოს. იგი "ლამაზად, მტკიცედ დადის წახრილიც კი", "ჩამოხვეწილი თეძოები აქვს".

"მედეას" რისკი უყვარს, ამიტომაც მიაქროლებს ასე მანქანას: "წელში -გამართულს, გრძელი შიშველი მკლავებით ღონიერად ეჭირა საჭე. ისეთი სისწრაფით მიდიოდა, მოსახვევში ბორბლები წიოდნენ".

შესაძლოა, ამიტომაც მთხრობელს იგი კოლხ მედეას აგონებს: "გაიოზი ღიმილით შეპყურებდა თითქოს ფოსფორით განათებულ მის ¬სახეს და ფიქრობდა: „ამას ნამდვილად რაღაცა აქვს მედეასი. ეს ¬თხელი, პატარა ცხვირი, ეს მკვეთრი ტუჩები... ამას კი ნამდვილად ¬რაღაცა აქვს კოლხი მედეასი".

ეს ქალი აგდებულად ექცევა ნებისმიერ ადამიანს, რადგან მიაჩნია, რომ მხოლოდ საკუთარ სურვილებსა და ვნებებს უნდა გაუწიოს ანგარიში. ამიტომაც, წესრიგის დარღვევის მიუხედავად, მანქანას არ უჩერებს მილიციელს, პირიქით, სიჩქარეს უმატებს და ადევნინებს მას, დასცინის კიდეც: "—წადი შენი... დავაჟეჟინებ უკანალს... ცოტაც დაინაყოს." ბიჭურად ლაპარაკობს, ბილწსიტყვაობს და არ ერიდება გვერდით მჯდომი თითქმის უცნობი მამაკაცისა.

ყოველ მის სიტყვას მბრძანებლური ელფერი დაპკრავს: "მე მიედიეარ. შენც წამოდი", "შენ იყავი", "ჩემთან ამოხვალ." ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც თვითონ სურს. გაიოზი საკუთარი სურვილით მიპყავს თავისთან, სახლში, მამაკაცის ნებას საერთოდ არ ითვალისწინებს, მიპყავს, სანამ ამისი სურვილი აქვს, მის ალერსსა თუ სიტყვებს მანამ მიპყვება, სანამ თვითონ მოსწონს, როცა გადაიფიქრებს მასთან ურთიერთობას, თავს ითავისუფლებს მისგან აყალმაყალისა და ახსნა-განმარტებების გარეშე.

გაიოზი ერთი რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც არც მაინცდამაინც გადაპრანჭულია, არც ისეთი ამპარტავანი ჩანს, როგორიც მისი თანასუფრელები, არც მანქანის ჩქარ ტარებას არის მიჩვეული, არც ინსპექტორის აბუჩად აგდებას, ქალთანაც უხერხულობს. მწერალი გვიჩვენებს, როგორ ღელავს იგი: "გაიოზი როგორიღაც უსწორმასწორო ნაბიჯით მიპყვა. სანამ ლიფტი ჩამოვიდოდა, მოუსვენრად იდგა. ლიფტში რომ შეეიდნენ, გაიოზმა აშკარად ათრთოლებული ხელები სახეზე შემოაწყო". სახლში შესულიც იბნევა ფუფუნების დანახვისას. "პოლში შესულმა გაიოზმა ფრთხილად მიმოიხედა. რაღაც უჩვეულოდ მქრქალი ცისფერი შუქი იფრქვეოდა კედლებიდან. „ეს თუა ის რემონტი, ასი ათასი რომ ჯდება". ამიტომ "მედეა", ხედავს რა მის დაბნეულობასა და უხერხულობას, იოლად უბედავს ბრძანებებს და უბოდიშოდ ეპყრობა, თავის შესაფერის მამრად არ მიიჩნევს.

ქალის სახლიდან გაბუნძულებული გაიოზი პროტესტის გამოხატვასაც კი ვერ ბედავს, ძლივს რეკავს ზარს და მწარე ღიმილს სჯერდება: მოხურულ და გადარაზულ "კარს მხრით მიაწვა. ძერა ვერ უყო. იდგა დაფიქრებული. მერე ზარს თითი ფრთხილად დააჭირა. ერთ ხანს კიდევ იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა. მერე გაეცინა და ნელ-ნელა დაუყვა კიბეს".

მკითხველს ებრალება კიდეც გაიოზი — იმედგაცრუებული და პირში ჩალაგამოვლებული.

ეს ნოველა ერთ თავნება ქალსა და მის მსხვერპლ "იაზონზე" გვიამბობს.

ლალი დათაშვილი

აქ სიბნელე იყო, მაგრამ აბელი მაინც კარგად არჩევდა: ჭიშკარს მიყრდნობილი ევა ღრმად სუნთქავდა. მერე მუხლებზე დაფარებულ ჩანთას ცალი ხელი შეუშვა, ფრთხილად დაიდო წინწამოწეულ ბერეტზე და ცოტა ხნის დუმილის შედეგ თქვა:

— ერთი რამ უნდა გკითხო!

— ორი მკითხე.

ევამ თავი დახარა, ქვემოდან ამოხედა.

— არა, ახლა არა.

— აბა, როდის?

ევამ ცოტა ხანს კიდევ უყურა ასე.

— ხვალ. ნახვამდის.

მიბრუნდა და გაიქცა.

მეორე საღამოს აბელი ბებერ ნეკერჩხალთან უცდიდა. ევა ცხრის ნახევარზე უნდა გამოსულიყო სასწავლებლიდან, სადაც, აბელის წარმოდგენით, სულ სოფლელი გოგოები სწავლობდნენ. შესასვლელშიც ბებერი თუში იჯდა, შავი, ანაფორასავით გრძელი პალტო ეცვა, ხაკის მაღალრკალიანი ქუდი ეხურა ორმოციანი წლების კოლმეურნეობის თავმჯდომარესავით. ცხრის ოცდახუთ წუთზე ყავისფრად გადაპრიალებული ტაბურეტიდან ადგებოდა, გვერდზე თავგადახრილი შეაჩერდებოდა საათს და მენავთეების თითბრის ზარს აიღებდა. ასე იქნებოდა ის ხუთი წუთი, თითქოს რაღაც ლოცვას ამბობსო გულში, გახდებოდა ზუსტად ცხრის ნახევარი, ზარის თავს მაღლა ასწევდა და იქ, თავს მაღლა, დარეკავდა. აბელს ათი-თორმეტი წუთიღა უნდა ეცადა, მაგრამ ესეც დიდ დროდ ეჩვენებოდა. ნელ-ნელა უშვებდა პაპიროსის ბოლს და ამ¬ვლელ-¬ჩამვლელთ უთვალთვალებდა. ზამთრისპირის ქუჩა სიბნელით და თხელი ბურუსით იყო სავსე. ნათურები ბჟუტავდნენ და იმ მბჟუტავ, მოწითალო შუქში მიკრობებივით ირეოდნენ თქორის წვეთები. კუთხიდან მთვრალი კაცი გამოვიდა, რამდენიმე ნაბიჯი თითქოს მონდომებით გამოიფლატუნა, მერე შედგა, ქუდი მოიხადა, მკერდზე მიიდო და სიმღერა დაიწყო:

Вернись, тебя любовь зовёт, вернись!..

იმ მთვრალ კაცს მეორე მთვრალი კაცი გამოპყვა. რომ დაი¬ნახა, პირველი მღეროდა, მიეპარა, რამდენჯერმე გადაქანდ-გადმოქანდა, ფეხი მოიქნია და მთელი ძალით ამოსცხო. პირველმა მთვრალმა საჯდომზე ქუდი მიიფარა და გაიქცა, თან სულ უკან-უკან იყურებოდა. მეორე

მთერალი იცინოდა და ისე მილაყუნობდა. აბელს რომ დაუპირდაპირდა, ყეირილი მორთო:

— ییو! ტენორ! პერვი ლიუბოვნიკ!

მერე ისიც გაიქცა.

იმათი წასელა იყო, და ახლა შავი წყვილი მოახლოედა. თავწერილი, მხრებგანიერი ბიჭი პატარა გოგონასკენ დახრილიყო და მუქარით ეუბნებოდა:

— მე, ხო იცი, გიჟი ვარ, ტოროლებს აეაფრენ და მამაშენის სამსახურში ჩავსხამ. მერე ივიშვიშეთ შენცა და დედაშენმაც.

გოგონამ შეპარვით გამოხედა აბელს და ღიმილით თქვა:

— სულელი ხარ.

— მერე ქუჩა გადაჭრა ჭრელმა კატამ, მერე აიარა მარცხენა ხელზე ხერხჩამოკიდებულმა კაცმა.

და ზარიც დაირეკა.

აბელმა დაინახა, როგორ ამოძრაედნენ სასწავლებლის ყვითელ ფანჯრებში შავი ლანდები. მერე უკვე გაშუქებულ კიბეზეც ჩამოიფინნენ — თითქოს მოულოდნელად დაპატარავებულნი სიცივის შეხვედრის მოლოდინში მარტოსულები, რომლებიც სადღაც შორს მიიჩქაროდნენ, სადაც უნდა დამალულიყვნენ თავიანთი მარტოობით, უნდა განთავისუფლებულიყვნენ ამ მარტოობისაგან. ბოლოს ევაც გამოჩნდა, რუხი ბერეტი ისევ ისე ეხურა — ოდნავ გვერდზე დახრილი და წინწამოწეული, შავი, მოკლე პალტო უკანასკნელ ღილამდე ჰქონდა შეკრული. აბელს ეჩვენებოდა, რომ ოცდაათიან წლებში ეს პალტო დედამისის უნდა ყოფილიყო, მერე უფროს დას ეცვა თავისებურად გადაკეთებული, მერე, სამემკვიდრეო უფლებით, ევას გადმოეცა. ხოშორად ნაქსოვი სქელი შალი, ალბათ რეცხვის გამო, სასიამოვნოდ დარბილებულიყო და ბზინავდა. პეწი მაინც არ დაკარგოდა. საყელოდან ოდნავ ამოსწეოდა გაზის წითელი შარფი. მარცხენა, თათმანიან ხელში, ჩანთა ეკავა, მარჯვენა, შიშველი ხელი, ოდნავ განზე ჰქონდა გაწეული და თითქოს ჰაერს ებჯინებაო, ისე ჩამოდიოდა — რაღაც კმაყოფილებით საესე, თავაწეული.

აბელს ამ სოფელი გოგონასი სამი რამ მოსწონდა გამორჩევით. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჯანსაღი, მკერიეი ტანი, მეორე — ბიბლიური სახელი ევა (თვითონაც ხომ ბიბლიური სახელი ერქვა — აბელ) და მესამე თვალები, მრგვალი, მთვარესავით ბაკმოელებული, დამჭკნარი ბალახისფერი, პირველყოფილი სიწმინდით გამოშუქებული. ხშირად შეუნიშნავს, როგორ გაოცებას იწვეედა ეს თვალები ქუჩაში.

ზოგი უტიფრადაც კი ბრუნდებოდა, ახლა ზურგიდან ამოწმებდა ამ თვალების პატრონს და თუმცა ამ მხრიდან განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავდნენ, მაინც სიამოვნების ღიმილი არ შორდებოდათ სახიდან. დაე, ყოფილიყო ასე! აბელმა, ჯერ ისევ ახალგაზრდა, მაგრამ ბევრგან ნავალმა და ბევრის მნახველმა კაცმა, უკვე კარგად იცოდა, რა შიშიც დასტრიალებდა ყოველგვარ ზედმეტად თვალსაჩინოს ვეებერთელა სკებში, რომლებსაც „თანამედროვე ქალაქი“ პქვია. მას ტვირთად ევას თვალებიც საკმაოდ მძიმედ ეჩვენებოდა, ხოლო საგზლად... ის უკვე მის სიჯანსაღეს და სიმკვრივესაც ¬იმყოფინებდა!

„ნეტავ მაინც რა აქვს საკითხავი?‘ — ათასი რაღაც იფიქრა და ათასმაგე, როგორც პატარა ბავშვის კითხვამ, ღიმილი მოპგვარა...

ევა ისე მოდიოდა, შორიდან მაყურებელი ვერაფერს შეამჩნევდა, აბელს იცნობდა თუ არა. ახლოს მოსულმა სულ ცოტა კიდევ გამოსწია მარჯვენა ხელი, აბელმა თავისი ხელი შეაგება და ასე, ხელიხელჩაკიდებულნი წავიდნენ ქვემოთ. სახეში თქორის წვრილი, უჩინარი წვეთები ეფრქვეოდათ. აბელი ეფერებოდა ევას ცივ, პატარა, ოდნავ დაშაშრულ ხელს და ცდილობდა არ გა¬მოპპარვოდა მისი სახის მთლად უმნიშვნელო ცვლილებაც კი. ევა, როგორც წელან, კიბეზე, ახლაც თავაწეული მიდიოდა, მაგ¬რამ აბელმა მაინც შეატყო, რომ წელანდელ კმაყოფილებას რაღაც ჩრდილი დაადგა.

ჩავიდნენ მოედანზე, მთავარი ქუჩისკენ გაუხვიეს. იქ, ტროტუარის კუთხეში, დიდი თუთა იდგა, ცალი მსხვილი ტოტი მოხერ¬ხილი პქონდა, მაინც მშვენიერი ხე იყო, ევას ძალიან უყვარდა. ერთხელ, ზაფხულში, მთელი ნახევარი საათი უყურებდა, როგორ ძიძგნიდნენ მის ჭროღა ნაყოფს მაწანწალა, ჭუჭყიანი ბელურები. ერთხელაც „მთვარე იყო გახლართული“ (ეს ევას სიტყვებია) ცაზე ბადესავით გაფენილ მის ტოტებში... ახლა არც ბელურები ის¬ხდნენ, არც მთვარე ჩანდა, მაგრამ ევამ მაინც ასწია, მისალმების ნიშნად, ჩანთიანი ხელი. მერე აბელი ახლოს მიიყვანა, თვითონ ზროს მიეყუდა, თითქოს დაღლილია და სულს ითქვამსო, სახე მოაბრუნა და ღიმილით თქვა:

— როცა ძალიან, ძალიან მომენატრება ჩემი სოფელი, ამ თუთასთან მოვდივარ. მივადებ აი, ასე, ლოყას და მგონია, იქა ვარ, იქაური სუნი მომდის, ჩვენი ბაღისა. ერთხელ ერთი ქალი მოვიდა და მკითხა: ცუდად ხომ არა ხართ, ქალიშვილო? ერთხელ კი არა, სხვა დროსაც უკითხავთ. ყოველთვის, როგორც კი შენი სულის ძახილს აპყვები, ისეთი აღარა ხარ, როგორიც სხვებს უნდიხარ, და ყველა გეკითხება: ცუდად ხომ არა ხარ? ცუდად ხომ არა ხართ, ქალიშვილო? მითხარით, ნუ დაგერიდებათ,

მე დედათქვენის ხნის ვარ, მე მამათქვენის ხნის...

თუთას მოსცილდა და აბელი წინ გასწია. აბელი ჩუმად იყო. თვალმოუშორებლად შეპყურებდა სახეში და ელიმებოდა. ევა კი, აშკარა იყო, კვლავ ნერვიულობდა.

— შენც არ მკითხო, ახლა, ცუდად ხომ არა ხარო, თორემ გავგიჟდები.

— არა, მე არაფერს გკითხავ. — მიუგო აბელმა. — მე შენს კითხვას ველი.

— ხოო? მაშ წამოდი.

ევამ აბელი ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა და პატარა სკვერში შეუძღვა. სკვერი მთლად ცარიელი იყო. ბალახებში ხმელი ფოთლები ეყარა და იმ ფოთლებზე თქორის წვეთები ბრწყინავდა. აბელს არც აქ ამოუღია ხმა. მაშინ ევამ რკინის ბოძთან მიიყვანა — ყველაზე ნათელ, ნათელ ადგილას, — შემობრუნდა, ჩანთა ორივე ხელით დაიჭირა წინ, მუხლებთან, და თქვა:

— მე მინდოდა, სინათლეში, დიდ სინათლეში მეკითხა და შენც ამ სინათლეში გეპასუხა (პაუზა), სხვისთვისაც თუ გიკოცნია ასე (კვლავ პაუზა), როგორც მე...

აბელმა შეატყო, ევას მეტი ძალა აღარ ჰქონდა, მისი უთუოდ დიდხანს ნაშზადები სცენა დამთავრდა. ახლა ის მხოლოდ ცხრამეტი წლის ლამაზი სოფლელი გოგონაღა იყო, რომელსაც წვიმის წვე¬თების სუნი ასდიოდა ლოყებზე. აბელს რომ სიმართლე ეთქვა... მას უამრავი ვინმესგან ჰქონდა გაგონილი, რომ ასეთი სიმართლე არავითარ შემთხვევაში არ უნდა უთხრა ქალს, უნდა იცრუო, რაც შეიძლება უნაკლოდ უნდა იცრუო, თვითონ იმ ქალის სასიკეთოდ... და მან თვალი თვალში გაუყარა ევას და იცრუა:

— არა. არასოდეს.

— მეფიცები?

— გეფიცები.

ევასთვის იმასაც კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, რას ეფიცებოდა აბელი.

მაშინ მას თვალები ცრემლით აევსო და ტუჩების თრთოლვით თქვა (ცდილობდა თავი არ დაეხარა):

— მე სამჯერ მაკოცეს, სამჯერვე მთლად უცნობმა ბიჭებმა ქუჩაში. თუ გინდა, მაპატიე, თუ გინდა, არა...

აბელს ჟრუანტელმა გაუარა ფეხებში, საოცარი სიცხადით იგრძნო, რა გემოც ჰქონდა ევას ტუჩებს, და დაჯდა, პირდაპირ კვლის კიდეზე დაჯდა.

იჯდა ასე და რაღაც გაურკვეველი გამომეტყველებით შეპყუ¬რებდა ქვეშოდან ევას, რომელიც კელავ ცდილობდა, თავი არ დაეხარა ძირს. მერე აბელს ნელ-ნელა გაეღიმა, კვალზე ხელი მოაფათურა, გორახი იპოვა, გაიქნია და ტუიის ბუჩქში ჩააგდო. ბუჩქის რამდენიმე ტოტი შეშფოთებით შეირხა და ისევ მალე გაჩერდა.

კითხვები და დავალებები:

როგორ განმარტავდით ნოველის დასაწყისს: "აქ სიბნელე იყო"? რისთვის გვამზადებს მწერალი?

თქვენი აზრით, რატომ დაარქვა მწერალმა პერსონაჟებს ბიბლიური სახელები?

როგორ განმარტავდით მწერლის ფრაზას: "მას ტვირთად ევას თვალებიც საკმაოდ მძიმედ ეჩვენებოდა, ხოლო საგზლად... ის უკვე მის სიჯანსაღეს და სიმკვრივესაც ¬იმყოფინებდა!"

როგორ განმარტავდით, რატომ უწოდებს აბელი თანამედროვე ქალაქს "ვეებერთელა სკას"?

როგორ გესმით ფრაზა, რომ ქალაქში "შიში დასტრიალებს ყოველგვარ ზედმეტად თვალსაჩინოს"?

იმსჯელეთ ევას სიტყვებზე: "ყოველთვის, როგორც კი შენი სულის ძახილს აპყვები, ისეთი აღარა ხარ, როგორიც სხვებს უნდიხარ, და ყველა გეკითხება: ცუდად ხომ არა ხარ?"

თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ნოველაში ფინალურ ფრაზას: "ბუჩქის რამდენიმე ტოტი შეშფოთებით შეირხა და ისევ მალე გაჩერდა"?

თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა აბელი ევას აღსარების შემდეგ?

თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ნოველაში სინათლეს? ევა რა მიზნით ირჩევს აღსარებისთვის განათებულ ადგილს: "მე მინდოდა, სინათლეში, დიდ სინათლეში მეკითხა და შენც ამ სინათლეში გეპასუხა"?

იმსჯელეთ მხატვრულ სახეზე: "ლამაზი სოფლელი გოგონაღა იყო, რომელსაც წვიმის წვე¬თების სუნი ასდიოდა ლოყებზე."

აბელი ფიქრობს: "უნდა იცრუო, თვითონ იმ ქალის სასიკეთოდ... " თქვენი აზრით, არსებობს ვინმესთვის სასიკეთო სიცრუე?

დაახასიათეთ ევა;

რა მიგაჩნიათ ნოველის მთავარ სათქმელად?

დააკვირდით:

მწერალი ფრაზაში "სოფლელი გოგოები" სოფლელობას პატიოსნებისა და ძველმოდურობის სიმბოლოდ იყენებს;

რევაზ ინანიშვილი სიტყვას ფუნჯის ძალას აძლევს. მის მიერ დახატული ბებერი თუში დარაჯი წინასაუკუნის გადმონაშთს, ფეოდალთა სახლში მომუშავე შვეიცარს პგავს, ხაზგასმული სიზუსტითა და არტისტიზმით რომ ასრულებს თავის მოვალეობას;

ასევე, ნახატად აღიქმება ევაც: "ევაც გამოჩნდა, რუხი ბერეტი ისევ ისე ეხურა — ოდნავ გვერდზე დახრილი და წინწამოწეული, შავი, მოკლე პალტო უკანასკნელ ღილამდე პქონდა შეკრული... საყელოდან ოდნავ ამოსწეოდა გაზის წითელი შარფი. მარცხენა, თათმანიან ხელში, ჩანთა ეკავა, მარჯვენა, შიშველი ხელი, ოდნავ განზე პქონდა გაწეული და თითქოს პაერს ებჯინებაო, ისე ჩამოდიოდა — რაღაც კმაყოფილებით სავსე, თავაწეული";

თუ როგორ იწელება დრო აბელისთვის, ჩანს ქუჩის სურათების ნერვული აღწერით. ხუთ წუთში რამდენიმე ამბავი ხდება: ორი მთვრალის ინციდენტი, შეყვარებულთა დიალოგი, გაიელიან ჭრელი კატა და მარცხენა ხელზე ხერხჩამოკიდებული კაცი;

ნოველაში ნათლისა და ბნელის ურთიერთმონაცვლეობის მოტივებია.

ანალიზისთვის

***

სიმართლე თუ ტყუილი

რევაზ ინანიშვილის ნოველა "ევა" სიყვარულის თემაზეა: საღამოხანს ბებერ ნეკერჩხალთან ელის აბელი სატრფოს... მთვრალი კაცი სიყვარულზე მღერის, მეორეც ამაზე ლაპარაკობს, შეყვარებული ბიჭი გოგონას თავისებურად აწონებს თავს, ისიც თავისებურად ეპრანჭება...

სიყვარული ადამიანს მარტოსულობის ტკივილს ავიწყებს, ამიტომაც ისწრაფვიან მისკენ. "მარტოსულები სადღაც შორს მიიჩქაროდნენ, სადაც უნდა დამალულიყვნენ თავიანთი მარტოობით, უნდა განთავისუფლებულიყვნენ ამ მარტოობისაგან".

ადამიანები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად აღიქვამენ სიყვარულს, რომელიც ტკივილიცაა და ბედნიერებაც, თუმცა ამ სამყაროში უმისოდ ყოფნას აზრი არა აქვს. მწერალი ამის ნათელსაყოფად გვიჩვენებს, რომ მეოცნებე ევასთვის ეს გრძნობა

ოცნებისა და თავისუფლების წყაროა, უფრო მიწიერი ბუნების აბელი კი ტრფობას ტკბილად და ცხოვრებისეულ საგზლად აღიქვამს — ტკბილად იმიტომ, რომ ევა ლამაზია და ასეთ ცოლს მეტი ყურადღება დასჭირდება, საგზლად იმიტომ, რომ არაერთხელ გაიხარებს ასეთი მეუღლის ალერსით: "მას ტკბილად ევას თვალებიც საკმაოდ მძიმედ ეჩვენებოდა, ხოლო საგზლად... ის უკვე მის სიჯანსაღეს და სიმკვრივესაც ¬იმყოფინებდა!"

ნოველის პერსონაჟი ევა მეოცნებეა, უყვარს ხევები, თავისი სოფელი, "მაწანწალა, ჭუჭყიანი" ბეღურები, "ცაზე ბადესავით გაფენილ ტოტებში გახლართული" მთვარე... ესალმება თუთის ხეს და დარდს უზიარებს...

მას უნდა იყოს განსხვავებული, თავისუფალი, გრძნობდეს თავისი სოფლის მშობლიურ და ძვირფას სუნს, არ ითვალთმაქცოს ამაოებით დაღლილმა "სკადქცეულ" ქალაქში, სადაც "შიში დასტრიალებს ყოველგვარ ზედმეტად თვალსაჩინოს". თუმცა ესმის, რომ ასეთი ევა სხვებისთვის მიუღებელია, "ცუდადაა", რადგან მათნაირი არ არის. ამიტომაც შესჩივის აბელს: "ყოველთვის, როგორც კი შენი სულის ძახილს აპყევები, ისეთი აღარა ხარ, როგორიც სხვებს უნდიხარ, და ყველა გეკითხება: ცუდად ხომ არა ხარ?"

"ბევრგან ნავალი და ბევრის მნახველი" აბელი ამ სოფლელ გოგონაში, პირველ რიგში, მის ბავშვურ სიწმიდესა და უბიწოებას აფასებს. მის "პირველყოფილი სიწმინდით გამოშუქებულ" თვალებში ბიბლიურ, უმანკო ევას ხედავს.

აბელს ევა იმდენად გულუბრყვილოდ მიაჩნია, რომ მისი ნებისმიერი კითხვა ბავშვურად და სასაცილოდ ეჩვენება: „ნეტავ მაინც რა აქვს საკითხავი?" — ათასი რაღაც იფიქრა და ათასმაგე, როგორც პატარა ბავშვის კითხვამ, ღიმილი მოჰგვარა..."

მწერალი აბელისთვის არასასიამოვნო მოულოდნელობისათვის გვამზადებს ფრაზით: "აბელმა მაინც შეატყო, რომ წეღანდელ კმაყოფილებას რაღაც ჩრდილი დაადგა".

სხვა ქალი ევას ადგილას ასე არ მოიქცეოდა, არ გაამხელდა შემთხვევით კოცნათა ამბავს, მაგრამ ევას არ სურს სატრფოს მოტყუება, თვით აბელისგან განსხვავებით, რომელსაც სჯერა სიცრუის სიკეთისა და თავსაც იტყუებს, რომ ამას ევასთვის ჩადის: "უნდა იცრუო, რაც შეიძლება უნაკლოდ უნდა იცრუო, თვითონ იმ ქალის სასიკეთოდ...".

მკითხველი გრძნობს, რამხელა ძალა დახარჯა ევამ აღსარებისთვის და იგი საამისოდ როგორ ემზადებოდა: "აბელმა შეატყო, ევას მეტი ძალა აღარ ჰქონდა, მისი უთუოდ დიდხანს ნამზადები სცენა დამთავრდა".

აბელზე გამანადგურებლად მოქმედებს ევას სიმართლე, მას უკვე აღარ

ეჩვენება ამ ცხრამეტი წლის გოგონას ტუჩები სასურველად და წმინდად, აღარც უბიწო სოფლელია ევა მის თვალში. მუხლმოკვეთილი, კვალში ჩამჯდარი აბელი უნიათოდ იღიმება ტუიის ბუჩქიეით შეშფოთებული და თავზარდაცემული.

სიყვარულის თემა სამყაროსაეით ძველია. აეტორს პერსონაჟებისათვის იქნებ ამიტომაც შეურჩეია ბიბლიური სახელები: ევა და აბელი. ეფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

"ევა" ნიშნავს "ცხოვრებას", ხოლო "აბელი" — "მსწრაფლწარმავალს". იესო ქრისტე კი მას მართალს უწოდებს და სიმართლისათვის შეწირულ მსხვერპლად თვლის (იხ. მათე 23, 35).

ევა აბელისთვის ცხოვრების ტვირთი და საგზალია, ხოლო მისი სიმართლე იმ "კაენთა" მსხვერპლად გადააქცევს, უნებართეოდ რომ აკოცეს ევას და აბელს მათი ტუჩების ნაკვალევის ატანა უწევს საყვარელი ქალის ბაგეებზე: "აბელს ჟრუანტელმა გაუარა ფეხებში, საოცარი სიცხადით იგრძნო, რა გემოც პქონდა ევას ტუჩებს". მსწრაფლწარმავალი აღმოჩნდა მისი ბედნიერება...

ნოველის დასაწყისში ასახული სიბნელე ნოველის ბოლოში იცვლება დიდი სინათლით. ევა და აბელი ლაპარაკობენ "ყველაზე ნათელ, ნათელ ადგილას". თუმცა ეს მხოლოდ გარეგნული, ფიზიკური სინათლეა. ნოველის პერსონაჟებისათვის ყველაფერი პირიქითაა, გარეგნული ნათელი სულიერ სიბნელეს იწვევს მათში, იქნებ, ერჩიათ კიდეც მარადიულ ბნელში დარჩენილიყო ევას ამბორთა ამბავი, აბელს იგი ძველებურად პგონებოდა სოფლელი, უბიწო, ხელდაუკარებელი გოგონა...

ლალი დათაშვილი

ანგიამ ცხენი შეაჩერა.

ჭის თაეზე წამოხრილმა ქალმა ამოხედა – ანგიას თვალებს შეეფეთა, აიბნა. ცალი ხელი ღრმად ჩაჭრილ საკინძეზე დაიფარა, ცალითაც აჩქარებით აუშვა ოწინარი.

ანგიამ მაინც დალანდა მისი თეთრი მკერდი, სიწითლემ აპკრა, უაზროდ უსვამდა ცხენს კისერზე ხელს, ჩამოხტა, ახლა ფაფარს დაუწყო თითებით ვარცხნა.

ქალმა ვედროები აიღო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. თხელი, დაწინწკლული ჩითის კაბა ეცვა, მხარმკლავი შიშველი პქონდა, კანჭებიც. ღონიერად მიიზნექავდა განიერ თეძოებს.

ანგია შეპარვით ადევნებდა თვალს. მერე, ქალი რომ მესერს მოეფარა, ცხენს სადავე აუკრა, ჭასთან მიაყენა, ოწინარი დასწია, ვედრო ააესო და მაღლიდანვე გადმოაქცია ცემენტით ამოლესილ ნაეში.

ცხენი დიდხანს სვამდა — წრუპუნით, ძლიერ ფერდების ბერვით. ანგია გაშტერებული იყო. არ უსტვენდა, როგორც ეს ცხენების დარწყულების დროს იციან ხოლმე.

ცხენმა წყალს თაეი დაანება, დაიფრუტუნა და ჭის იქით ამოსულ მწვანე ბალახებს წასწვდა. ანგიამ სადავე კისერზე გადააცვა, სწრაფად შეახტა, შემოაბრუნა და ადგილიდანვე ჭენებით დასძრა.

შარაზე გასულმა კიდევ ამოპკრა ქუსლები და შეუძახა კიდეც:

— პა-პაიტ, შე სამგლევ, შენა!

სადალაქოდან ვიღაცამ დაადევნა:

— შაგვირიგდი, არსენ!

ვიღაცამ დასჭყიელა:

— იიუ, ფეთიანო!..

მაგრამ არ სწყენია. პირიქით — სიყვარულითაც გაეღიმა.

ჭენებითვე შეიჭრა ეზოში და ცხენი კინაღამ ძაღლს არ შეაყენა. ძაღლმა იწყინა, გრძლადჩამოშვებულ ფეხში მიეტანა.

აივანზე უმცროსი ძმა ბიძინა გადმოდგა.

— რას მოაჭენებ მაგ დაღლილ ცხენსა, პა?

ანგიამ ახედა. „რა სახე აქვს ამ ღმერთძაღლს“ — გაიფიქრა და თვითონაც სახე შეეცვალა. არაფერი არ უთქვამს, ცხენი ფორანზე გამოაბა, შიგ ჩაყრილი ბალახი აუჩეჩა და კიბეზე ავიდა.

აივანზე სუფრაგადაუფარებელი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ბოსტნიდან ახლახან გადმოტანილი კიტრები, მრგვალი პამიდვრები, მწვანილი და

შუა-შუა დატეხილი შოთები ეყარა. სამხარეულოდან ნატო გამოეიდა.

— რა პატარა ბიჭიეით მოაჭენებდი ცხენს? — პკითხა ღიმილით.

— დიდი ეარ განა?

— რატო ფეხი არ მოგაჭამა ძაღლმა!

— აბა, აბა!

ნატოს ღიმილმა ისეე გაახალისა. ფანჯარაზე მიყუდებული სარკის ნატეხი აიღო, ჩაიხედა, თითებით წვერი მოისინჯა და თქვა:

— დილაზე გაეიპარსავ და ნახავ, ოცი წლის ბიჭი გაეხდები თუ არა.

მერე სურას წასწვდა და მოიყუდა.

ნატო პამიდორს ჭრიდა, წყლის ლიკლიკი რომ შემოესმა, გამწყრალი მობრუნდა:

— წყალს რომ სვამ, საჭმელი როგორღა უნდა შეჭამო?

ანგიამ ტუჩებზე ხელის ზურგი გაისვა და თვალი ჩაუკრა:

— გლეხკაცმა ყეელაფერი უნდა აიტანოს, ჩემო ცოლო!

— აიტან შენ!

— ვერა მითომა?

ნატო მიხედა, რომ ანგია რაღაც სხვა თვალით უყურებდა. თვითონაც შიშველ მკლავებს და ლამაზ, მაღალ ყელს უფრო მეტად აჩენდა, კეკლუცობდა.

პამიდორი დაჭრა, ხახვი და მწვანილი დააჭრა, ჯამები ჩამოარიგა და ქვაბი გამოიტანა.

— მოდით, რაღას დგახართ, დასხედით!

ბიძინა აიენის ბოლოზე იდგა და წალდით რაღაცას თლიდა. ნატოს სიტყვები თითქოს არც გაეგონოს. თლა კი წამით შეწყვიტა. მაშინ ანგიამ დაუძახა:

— მოდი, ბიჭო, რას აკაკუნებ მანდა!

ბიძინამ წალდი და ჩხირი მოაჯირს მიაყუდა, წამოეიდა მძიმედ, წარბებშეკრული და მაგიდასთან დაჯდა. გამხდარ, გარუჯულ ყბებზე მეჩხერი წვერი წამოზრდოდა; წარბების შუა ღრმა ღარი აჩნდა, უგულოდ აიღო კოვზი და ჯამს ჩააცქერდა.

ანგიამაც აიღო კოვზი, მაგრამ პირეელიეე ლუკმის შემდეგ ისეე ჯამის კიდეზე დადო.

— სიმწარე აკლია, — მიუბრუნდა ნატოს, — წიწაკა არა გეაქვს თუ რაა? მოიტა, მე მაინც ჩავიჭრი მარტო.

— არაფერი არ აკლია, — შეუტია ნატომ, — სულ არ არის საჭირო, რომ გულმუცელი ამოიწვა.

— მოიტა, დედაკაცო, თორემა... — ანგიას გაეღიმა.

— თორემ, რა? — ღიმილითვე შეეკითხა ნატო.

ანგიამ მზერა ბიძინასაკენ გააპარა. ბიძინა თავჩაღუნული ჯამდა. მაშინ ცოლს წარბებით რაღაც ანიშნა, თქმით კი ეს თქვა:

— აედგები და მე თვითონ მოვიტან.

ნატომ შეუბღვირა და მერე ღიმილით წამოდგა:

— იჯექი, იჯექი, ტყუილად შენ ვერ იპოვნი!

საშზარეულოსკენ მიმავალი, მძლავრად ადგამდა ფოსტლებში წადგმულ, მსხვილ, მზემოკიდებულ ფეხებს.

— აპა, ამოიწვი ერთი!

ანგიამ წიწაკა გამოართვა, დაგლიჯა, დაგლიჯა, ჯამში ჩაყარა, კოეზი ამოურია, ორიოდე ლუკმა შეჭამა და ახლა არაყი მოითხოვა.

— მოიტა, ამასწინათ რომ დაგვრჩა, ბარემ დაელიოთ და ეგ იქნება.

ნატომ ისევ იუარა.

— მოიტა, მოიტა და...

ანგია რაღაც ისეთ კარგ ხასიათზე იყო, არ შეიძლებოდა უარის თქმა. ნატო წამოდგა და ისევ საშზარეულოსაკენ წაიდა.

— შენ რა, ცუდად ხომ არა ხარ, ბიჭო, — მიუბრუნდა ანგია ბიძინას.

— ცუდად კი არა!..

— აბა რატო ისე უგემურად იღეჭები?

— უნდა წავიდე, ერთი ის მურდალი აბესალომი ვნახო — წამოვა თუ არა ხვალ ტყეში.

— რაღა დროს წასვლაა, ღამდება კიდეც.

— სხვა დროს უფრო ძნელად მოვახელებ შინ.

ნატომ მაგიდაზე ბოთლი და ჭიქა დადგა.

ანგიამ მკლავზე თვალი ააყოლა, ბოთლს საცობი მოაძრო, ჭიქა გააესო და ბიძინას დაუდგა:

— დალიე!

— არ მინდა.

— დალიე და, ნუ ინაზები პატარძალივით!

ბიძინამ ჭიქა აიღო.

— გაგვიმარჯოს, სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგეცეს.

— გაგვიმარჯოს.

ბიძინამ ჭიქა გამოცალა, დაიჭყანა და საყვედურით შეხედა ანგიას.

— ეხლა არყის დალევა შეიძლება, ამ შუა ზაფხულში?

— არაყი ეხლაა კარგი.

ანგიამ დაისხა და გადაპკრა. მერე ისევ შეაესო ჭიქა.

— შენც დალიე! — მიაწოდა ნატოს.

— გაგიჟდი?
— დალიე, რა მოხდება?
— გაგიჟდი?
— მაშინ ისევ მე დაველევ, მე მაწყინოს.
ნატომ კოვზი ჯამში ჩააბრუნა და გაკვირვებით შეხედა ქმარს. ანგიამ თვალი ჩაუკრა.
— კიდევ გაგვიმარჯოს!
მოქნევით გამოცალა ჭიქა.
ბიძინა წამოდგა.
— უკვე მიდიხარ?
— წავალ, აბა რას ვიზამ.
ბიძინამ ქუდი დაიხურა და კიბეს ჩაეფარა.
ანგია უყურებდა.
„მდევიეით გახდება ეს ღმერთძაღლი ერთ-ორ წელიწადში“ — ჩაილაპარაკა თავისთვის.
მერე ცოლს შეხედა.
ნატოს უჩვეულოდ გახარებული თვალები ჰქონდა.
ანგიამ კოვზი მაგიდაზე დადო, ღიმილით წამოდგა, ტუჩები მოიწმიდნა, ზურგიდან წამოუარა.
ნატომ თავი გადმოსწია — რას ჩადისო. წამოიწია, მაგრამ წამოდგომა ვერ მოასწრო, ანგია მძიმე მკლავებით დააწვა მხრებზე.
— არავინ დაგვინახოს, რამ გაგაგიჟა!..
ბიძინა კი შარას მიპყვებოდა — თავდახრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. მერე ბილიკზე გადაუხვია, ბექობი ასჭრა, ბუჩქნარი რამ გაარღვია, ჰატარა ველში გავიდა, ბალახებზე ხელი მოაფათურა და გულაღმა დაწვა, გაიჭიმა.
ცა მოწმენდილი იყო, უკვე ვარსკვლავებიც ჩნდებოდნენ.
ძირს, სოფლის ბოლოში ვიღაც იძახდა:
— ოლაა... ოლაა...
თუ:
— კოლა!.. კოლაა!..
— რა დაემართა მაგ ბიჭს?
— ზეინაბი უყვარს. — სიცილით მიუგო ნატომ.
— რა იცი შენა?
— მითხრა.
— ი, დახე მაგ აირუმსა. მერე რას ჩამოსტირის ცხვირ-პირი.
— შენ როგორ იყავი, როცა...

— მეე?.. მე ისე ვიცინოდი, მთები ზანზარებდნენ ჩემი სიცილისაგან. ხეებსა ვგლეჯდი და...

ბინდში გაყუჩებულ სოფლის ორღობეებს ქალის კისკისი დაუვლის სითბოსავით.

— არა გჯერა განა?

კითხვები და დავალებები:

თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ნოველის სათაურს?

ამოკრიბეთ კახური სოფლისთვის დამახასიათებელი ნიშნები;

ამოკრიბეთ კახური დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმები;

როგორ განმარტავდით ფრაზას: "— ი, დახე მაგ აირუმსა."

დაახასიათეთ ანგია;

რა მიგაჩნიათ ნოველის მთავარ სათქმელად?

დააკვირდით:

მწერალი თხრობაში მოხერხებულად ჩაურთავს დეტალებს. მაგ. ზმნით "მიიზნექავდა" ("ღონივრად მიიზნექავდა განიერ თეძოებს") ვხედავთ, ანგიასთვის როგორი სასურველია ეს ქალი;

ქალის სასურველობას ხაზს უსვამს მისი ჩაცმულობა: "მხარმკლავი შიშველი პქონდა, კანჭებიც";

ერთგვარ ჩვეულობასაც ვეცნობით — მამაკაცები უსტვენენ ცხენების დარწყულების დროს;

სოფლური ყოფის გასაცოცხლებლად მწერალი სადილის სამზადისს აღწერს: "აივანზე სუფრაგადაუფარებელი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ბოსტნიდან ახლახან გადმოტანილი კიტრები, მრგვალი პამიდერები, მწვანილი და შუა-შუა დატეხილი შოთები ეყარა."

გადამდები სითბო

"მოწმენდილი ცა" სიცოცხლით სავსე პერსონაჟს — ანგიას გვაცნობს. იგი ერთი უბრალო, უბოროტო, ხალასი ადამიანია, კმაყოფილი იმით, რასაც გლეხური ცხოვრება სთავაზობს. ცდილობს, წუთისოფლის "სიამეები" შეირგოს: წიწაკასაც ჭამს, არაყსაც სვამს და ცხენსაც დააჭენებს...ძმისა თუ თანასოფლელთა ხუმრობა და შენიშვნები არ აღიზიანებს, სითბოთი და სიყვარულით ხვდება:

"სადალაქოდან ვიღაცამ დაადევნა:

— შაგვირიგდი, არსენ!

ვიღაცამ დასჭყიელა:

— იიუ, ფეთიანო!..

მაგრამ არ სწყენია. პირიქით — სიყვარულითაც გაეღიმა."

ნოველის დასაწყისში მწერალი ოსტატობითა და დამაჯერებლობით ხატავს მამაკაცის მზერით დაბნეულ ქალსა და ანგიას ვნებას: "ჭის თავზე წამოხრილმა ქალმა ამოხედა – ანგიას თვალებს შეეფეთა, აიბნა. ცალი ხელი ღრმად ჩაჭრილ საკინძეზე დაიფარა, ცალითაც აჩქარებით აუშვა ოწინარი.

ანგიამ მაინც დალანდა მისი თეთრი მკერდი, სიწითლემ აპკრა, უაზროდ უსვამდა ცხენს კისერზე ხელს, ჩამოხტა, ახლა ფაფარს დაუწყო თითებით ვარცხნა.

ქალმა ვედროები აიღო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა".

ვნების დაცხრომის სურვილმა ამოაგდო ანგია ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან: "გაშტერებული იყო. არ უსტვენდა, როგორც ეს ცხენების დარწყულების დროს იციან ხოლმე."

ანგია ფეთიანივით მიაჭენებს ცხენს, თითქოს ცდილობს, ქარს გაატანოს ვნებიანი ფიქრები და დაიცხროს ვნება; შინ მისულს კი ცოლის დანახვა ვნებას უმძაფრებს, წყლით იგრილებს გულს და ნატოს ოცი წლის ბიჭივით ეპრანჭება: "ნატო მიხვდა, რომ ანგია რაღაც სხვა თვალით უყურებდა. თვითონაც შიშველ მკლავებს და ლამაზ, მაღალ ყელს უფრო მეტად აჩენდა, კეკლუცობდა."

მწველი ვნების დაცხრობის მოლოდინი სიცოცხლის ხალისითა და ბედნიერებით ავსებს, "ანგია რაღაც ისეთ კარგ ხასიათზე იყო, არ შეიძლებოდა უარის თქმა," იგი ნატოს მკლავზე თვალს აყოლებს და ერთი სული აქვს, ბიძინა სახლიდან როდის წავა. მაშინაც ასე იყო თურმე, როცა სატრფოს ცოლად შერთვას აპირებდა. ნატოს კითხვაზე "— შენ

როგორ იყავი, როცა...", ხალისით მიუგებს:

"— მეე?.. მე ისე ვიცინოდი, მთები ზანზარებდნენ ჩემი სიცილისაგან. ხეებსა ვგლეჯდი და..."

მკითხველს სჯერა, რომ ანგია, მართლაც, ასე იქნებოდა, ხალისითა და სიცოცხლით სავსე.

მისი ეს განწყობა გადამდებია, ნატოსაც „ათბობს" და სოფელსაც: ასეთი ანგიას შემხედვარე ცოლს "უჩვეულოდ გახარებული თვალები ჰქონდა." ქმრის ალერსმა კი ქალი გააბედნიერა და მისი განწყობა გარემოსაც გადაედო, სოფელი გაათბო და სიცოცხლის სილამაზე აგრძნობინა: "ბინდში გაყუჩებულ სოფლის ორღობეებს ქალის კისკისი დაუვლის სითბოსავით."

ყველა ერთნაირი როდია. ანგიას ძმას — ბიძინას სიყვარული სევდიანსა და საკუთარ თავში ჩაკეტილს ხდის, ულიმღამოდ ჭამს, აღარაფერი ეხალისება, ბუზღუნებს ზაფხულში არყის დალევაზე, ამხანაგსაც გაღიზიანებული ახსენებს:

"— უნდა წავიდე, ერთი ის მურდალი აბესალომი ვნახო — წამოვა თუ არა ხვალ ტყეში".

ბიძინას სულ განმარტოება სურს. მწერალი ამ პერსონაჟის მარტოსულობას მისი სიარულის მანერითაც კი გვიჩვენება: "ბიძინა შარას მიპყეებოდა — თავდახრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. მერე ბილიკზე გადაუხვია, ბექობი ასჭრა, ბუჩქნარი რამ გაარღვია, პატარა ველში გავიდა, ბალახებზე ხელი მოაფათურა და გულაღმა დაწვა, გაიჭიმა."

ბიძინასა და ანგიას, ნატოს, ოლასა თუ კოლას, სოფლის ბოლოში რომ ცხოვრობენ — ყველას მოწმენდილი ცა დასცქერის და ხვალინდელი ნათელი დღის იმედს ჩაუსახავს გულში, ყველას, ყველას ბედნიერებას, სიყვარულსა და სითბოს პპირდება: "ცა მოწმენდილი იყო, უკვე ვარსკვლავებიც ჩნდებოდნენ"...

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედებაც ქართული პროზის მოწმენდილი ცაა...

ლალი დათაშვილი

ქართველი მწერლები და კრიტიკოსები რევაზ ინანიშვილის შემოქმედების შესახებ

"ზოგჯერ ეფიქრობ, ის შუქიანი, მართლაც რომ დიდი ადამიანური სიკეთე, რომლითაც განათებულია რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, ვაჟამ პურივით მოუტეხა და უწილადა – მეთქი..." — თამაზ ჭილაძე

***

სულის პური

„სალამო ხანის ჩანაწერებსაც" ბუნებრიობა და უშუალობა ამშვენებთ. „მე ვწერ იმაზე, რასაც ყველაზე კარგად ვიცნობ. ყველაზე კარგად კი ჩემს თავს ვიცნობ". მართალია, ამას რ. ინანიშვილის პერსონაჟი ამბობს, მაგრამ აქ მწერლის პოზიციაც არის გამჟღავნებული. ეს ცოდნა და ნაცნობობა აძლევს მწერალს საშუალებას, სულის უფაქიზესი ძაფებით დააკავშიროს მკითხველი პერსონაჟებთან, მოულოდნელად, შეუმჩნეველად გახადოს ისინი ახლობელნი და შინაურნო. მერე ისე გეჩვენება, თითქოს ამ ადამიანებს დიდი ხანია იცნობდი, მეზობლობდი, მეგობრობდი, იცოდი მათი ასავალ-დასავალი, ხასიათი, ბუნება. უკან მოიხედავ, გაიხსენებ და აღმოჩნდება, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობს. მაგრამ ამ ჩვეულებრივ ატმოსფეროში რ. ინანიშვილი მიერ შექმნილი ლირიზმითა და ინტიმით დაბანგული დაბორიალებ და თავი ვერ დაგიღწევია. არ გინდა ამ ადამიანებთან გამოთხოვება, მათთან ურთიერთობის გაწყვეტა.

მაინც ვინ არიან ისინი? უბრალო, რიგითი, პატარა ადამიანები (ცხადია, ტერმინი „პატარა ადამიანი" პირობითია).

პატარა ადამიანი ყოველთვის იყო კლასიკური ლიტერატურის ყურადღების საგანი. გაიხსენეთ თუნდაც გოგოლის, ფრანსის, ჩეხოვის და სხვათა პერსონაჟები. კლასიკურმა ლიტერატურამ (როგორც უცხოურმა, ისე ქართულმა), აღმოაჩინა და გვიჩვენა პატარა ადამიანის სულის მშვენიერება. რ. ინანიშვილმა კი მიაგნო და წარმოგვიდგინა პატარა ადამიანის ძალა. მოვიტან ორიოდე ნიმუშს გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ.

საბაეშო ბაღის ვესტიბიულში ვანო ბუჭყიაშვილი ბიჭს უცდის. იგი უბრალო მუშაკაცია, მშრომელი და მართალი. უცბათ ვესტიბიულში

პატარა გოგო შემოვარდება. უცხო კაცს დაინახავს და საუბარს გაუბამს.

„— აეეჯი სულ არა გაქვთ?

— ნწ, სულ არა გვაქვს. აეეჯი რომ გვქონდეს, როგორღა ვითამაშებდით?!

— რას ეეღარ ითამაშებდით?

— ფრენბურთს, ოთურმას, დაჭერობანას.

გოგონამ ფუნჩულა ხელით ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო, ვანო კი განაგრძობდა:

— ჩვენ ტანსაცმელიც ისეთი გვაქვს, სადაც გინდა ჩაჯექი. აი ნახე!

ვანო იატაკზე დაჯდა, გოგონას გაუცინა და ისევ სკამს დაუბრუნდა" („ვანო").

ვანო ბუჭყიანშვილი ღონიერი კაცია. იმის გამო კი არა, რომ გლეხკაცის უდრეკი ქედი და დაუღლელი მარჯვენა აქვს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამაოების ჭიამ ვერ შეჭამა, საგნებმა მონად ვერ გაიხადეს. იგი დარჩა ლაღი, ამაყი, თავისუფალი.

ხანდაზმული კაცი რედაქციაში ზის და მუშაობს. უხალისო ცხოვრების ჭაპანს უდრტვინველად ეწევა. ერთხელ რედაქციაში ახალგაზრდა პოეტი ქალი მოვიდა. პოეტესას ლექსები დაუწუნეს და გაწბილებული უკან გააბრუნეს. ხანდაზმულ კაცს ქალი შეეცოდა, დერეფანში წამოეწია და გამოელაპარაკა.

„— თქვენ შესანიშნავი პოეტი ხართ, — უთხრა მამაკაცმა. — გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, დიდი პოეტიც. მეც კარგი პოეტი ვარ, ამჯერად მოდიდან გამოსული, და რას გირჩევთ, იცი? შინ რომ მიხვალთ, თმა შეიღებეთ. იღებეთ ხან შავად, ხან წითლად... ყველაზე უკეთესია, თუ მწვანედ შეიღებავთ, ან კბილს ამოიღებთ. ეს ძალიან მოქმედებს პოეტური ბუნების ადამიანებზე. მე, როგორც ხედავთ, თმა ეეღარ მშველის. შეხედეთ, — მამაკაცმა ფოლადის კბილების მთელი წყება გამოაჩინა, — მე კბილებს ვიგლეჯ ხოლმე, მოვიგლეჯ და ჩავისვამ, მოვიგლეჯ და ჩავისვამ...

ქალიშვილს ნელ-ნელა გაეღიმა და მერე ისევ ნელა გადმოუგორდა ლამაზი თვალებიდან ორი კურცხალი" („მოდიდან გამოსული პოეტი").

მკითხველი ამ კაცის ცხოვრებას სრულად არ იცნობს. თუმცა უტყუარი გუმანით გრძნობს და იცის, რომ უცნობს ბევრი უნახავს და ბევრი გამოუცდია. ცხოვრებასთან ჭიდილში დაცემულა კიდეც, მაგრამ მაინც წამომდგარა. იმდენი გულის სითბო შეუნახავს, რომ შეუძლია სხვაც გაამხნევოს, წაახალისოს. შეგიძლია ენდო. არ გიღალატებს,

მხარში ამოგიდგება და სამშვიდობოს გაგიყვანს.

რ. ინანიშვილი გვიჩვენებს პატარა ადამიანების ძლიერების წყაროსაც. პირველი წყაროა სიყვარულით გამთბარი გული.

შეზარხოშებული დათიკო შინ ბრუნდება. მდინარის პირას ორი მამაკაცი და ერთი ქალი შეამჩნია. ლამაზმა ქალმა მიიქცია დათიკოს ყურადღება. დააკვირდა და დაინახა, რომ მამაკაცები დინამიტის აფეთქებას აპირებენ მდინარეში. დათიკო აენთო და ვიგინდარებს წინ გადაეღობა. ჯერ ბრაკონიერებს ეგონათ, შევაშინებთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მაშინ გარეწრებმა უკაცურ ხერხს მიმართეს: დათიკოს თვალებში სილა შეაყარეს, ქალმა კი თავში ქვა ჩაარტყა. დარეტიანებული დათიკო დაეცა. კარგა ხნის მერე გამოფხიზლდა. ისინი უკვე გაპარულიყვნენ. წამოდგა. ვაივაგლახით ცხენზე შეჯდა და შინ გასწია.

„მიეზაყებოდა ცხენზე — სველი, შუბლზე თმამიწებებული, შიგადაშიგ იღიმებოდა და თან სულ ამას იმეორებდა: „გაიგე ლამაზი ქალისა რამე! გაიგე ლამაზი ქალისა რამე!" ჩაზლაყუნდებოდა, ან თავს აიქნევდა, კეფა ეტკინებოდა და ღიმილში სიმწარე გაერეოდა. „უუ, თქვენი!.." („ლამაზი ქალი").

ბოროტმოქმედთა მიმართაც კი არ უჩნდება დათიკოს მტრობისა და შურისგების გრძნობა. ავკაცობამაც კი ვერ სძლია მის ხალასსა და მართალ ბუნებას.

პატარა ადამიანის ძლიერებას კიდევ ერთი წყარო კვებავს – სიწმინდე და სიხალასე. ადამინი მაშინ არის უძლური, როცა სულიერ წონასწორობას კარგავს, გული ბოღმით უსივდება და შურის მატლი ხრავს. იგი თავის თავს ველარ ერევა და დამარცხებული სხვის წახდენაზე ოცნებობს. ეს გრძნობა სრულიად უცხოა რ. ინანიშვილის დათიას, გოგიასა თუ ევასათვის. გულქართლი ძმები („დათია და გოგია") ალალი შრომით და სუფთა ოცნებით ცხოვრობენ, თუმცა ერთი მათგანი პრაქტიკოსია და მეორე — ფანტაზიორი. ერთს მსხმოიარე ხეები უყვარს და მეორეს — უნაყოფო ალვები. ერთს წამით მოცდენაც ეზარება და სულ მიწას ჩაპკირკიტებს, მეორეს შეუძლია წამოწოლილმა საათობით ადევნოს თვალი, როგორ მოძრაობენ ღრუბლები. მაგრამ მათ განუყრელად აკავშირებთ ერთი რამ — ხალასი ბუნება. ძმები ომში დაიღუპნენ. მაგრამ ისინი მაინც ამსოფლად დარჩნენ.

„... ჩვენ, ვისაც კი როგორღაც გულზე გვება ეს ორი ობოლი ძმა, თუკი მათი ვენახისაკენ მოვხვდებით, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ ავხედოთ ამ ალვის ხეებს. ავხედავთ ხოლმე და გვეჩვენება, რომ ცის ის ნაჭერი უამრავი კეწეროებით არის სავსე, საიდანღაც ჩაბინდული ნიავი

მოდის, მაღლა-მაღლა წასული კენწეროები რბილად გადმოხრილან ნაღვლისფერი მიწისაკენ, მიდამო მათი ფოთლების იდუმალი ჩურჩულით არის შეპყრობილი, და ყოველივე ამას ობოლი ძმების ჩვენსკენ მოსწრაფებული სულები სჩადიან".

რა გულმხეციც უნდა იყო, შეუძლებელია, უკან არ დაიხიო ევას უმანკოების წინაშე, პატიკი არ სცე და არ დაემორჩილო („ევა"). სიწმინდე იწვევს ნდობას და თანაგრძნობას, ხოლო სადაც თანაგრძნობაა, იქ ბოროტება ველარ ისადგურებს. შეიძლება ამიტომაც რ. ინანიშვილის პერსონაჟთა შორის იშვიათად შეგხვდებათ ავკაცები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს სიკეთეს გაუძევებია ბოროტება და მარტოდმარტო გაბატონებულა. მაგრამ, ცხადია, ეს შეუძლებელია. ბოროტება ჩრდილიეით თან დასდევს სიკეთეს. აეტორღიალება და არ სცილდება.

ერთხელ მეზობელმა ვანო ბუჭყიაშვილს ასეთი რამ უთხრა: „— შენ, ჩემო ვანო, პატიოსანი კი არა, მშიშარა ხარ და იმიტომ ვერ შოულობ ბევრ ფულსო. მაშინ ვანომ იმის საბუთად, რომ მშიშარა არ იყო, სასაცილო რამ თქვა: „მე შემიძლია შიშველი ხელებით გველი დავიჭირო, მე შემიძლია, რაც უნდა ავი ძაღლი იყოს, ხელში ავიყვანო. ამაზე მეზობელმა, გზააბნეულ ბავშვს რომ დაუყვავებენ, თითქმის ისე დაუყვავა: ეგეთი სიმამაცე, ჩემო ვანო, დღეს საკმარისი აღარ არის, ახლა ადამიანის არ უნდა გეშინოდეს, თორემ გველი და ძაღლი... გველი და ძაღლი რა სახსენებელია ადამიანთანო" („ვანო"). მეზობელს უნდა შხამი ჩააწვეთოს ვანოს სულში და მოწამლოს. მაგრამ ანგარიშში მოტყუედა. აგრე იოლად არ შეიძლება ვანოს მორევა. შეიძლება, წამით გუნება გაუფუჭო, მაგრამ მალე ისევ გახალისდება და მტკიცედ გააბოტებს მადლიან მიწაზე.

როცა მოთხრობას ეკითხულობდი, ვანოს მეზობლის სახელს ვეძებდი და ვერ ვიპოვე, ამან დამაფიქრა და დავაკვირდი: არსად „საღამო ხანის ჩანაწერებში" ავკაცს სახელი არ ჰქვია: არც იმ ბრაკონიერებს, დათიკოს რომ ქვა ჩაარტყეს, არც იმ სათვალებიან რედაქტორ ქალს, პატარა პოეტესას უსულგულოდ რომ დაუწუნა ლექსები, და არც — სხვებს. ეს უკვე შემთხვევა აღარ არის. ეს კონცეფციაა. ბოროტი კაცი პიროვნება არ არის. არც ბოროტებას აქვს დამოუკიდებელი არსებობა. იგი კეთილკაცობისა და სიკეთის ხარჯზე ცხოვრობს. პარაზიტია და იმიტომ. ხორცმეტია და იმიტომ. როგორც ავადმყოფობა დაეძებს ჯანსაღ სხეულს დასაბუდებლად, ისე დაეძებს ბოროტება სიკეთეს. ამის შეგნება იწვევს სევდას. დარდს. სევდის განწყობილება „საღამო ხანის ჩანაწერებში"

აკლენს რ. ინანიშვილის მწერლურ კეთილშობილებას. ეს კანონია. ამქვეყნად ყველაზე მხიარული წიგნი „დონ-კიხოტი“ გაჟღენთილია სევდით. ამიტომაც არის ლამანჩელი რაინდი უკეთილშობილესი კაცი და მისი ავტორი — დიდი ჰუმანისტი. ბოროტებისათვის უცხოა სევდა. ბუნებრივიც არის. თუ ბოროტებას მოერევა დარდი, მაშინ იგი (ბოროტება) ფუნქციას დაკარგავს. ამდენად სევდა მხოლოდ სიკეთის თანამგზავრია. „საღამო ხანის ჩანაწერები“ სიკეთის წიგნია და სევდაც კანონზომიერად არსებობს მასში.

ვისი ბედი იწვევს სევდას? ნინოს, თინიკოს, ირაკლის, ბარბალესი, დათიასი, გოგიასი და სხვათა. თითოეული მათგანი უკეთილშობილესი პიროვნებაა. ისინი სიამაყით გავსებენ და მათი არსებობა იმედია, სევდით დაბადებული იმედი.

ქართელმა კაცმა ულამაზესი სიმღერა შექმნა — „ურმული“. იგი მთვარიანი ღამით, მარტოობით, შრომით, ადამიანის და პირუტყვის მეგობრობით აღძრული სევდაა. ახლა ნახეთ, რას ამბობს რ. ინანიშვილი მეურმეზე.

„მაგრამ სულ სხვაა ურმისა და თუ ფურგონის ჯაყჯაყი. ამ ხმას მშვიდად ხვდები, რადგანაც იცი, ადამიანმა, რომელმაც გამართა ურემი, უღელში შეაბა ხარები, იმთავითვე უარი თქვა გულის გამალაღებულ ქროლვაზე. იგი დაემორჩილა სხვა ადამიანების, საზოგადოების აზრს – გზას. ამ გზაზე, სხვების თვალწინ, ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა გადაიტანო მძიმე ტვირთი. ეს კი კეთილი საქმეა, ტვირთის ზიდვა“ („ფანჯარასთან ღამის პირველ საათზე“).

ე. ი. კეთილი საქმის შემოქმედმა შექმნა სევდიანი პიმნი. ასეთია ცხოვრება.

„მზია, ბევრი რამ არის კარგი ამქვეყნად, მაგრამ მე ასე მგონია, იმაზე კარგი მაინც არაფერია, სიცხეში მწვანე ბალახწაფარებული მუხის სველი კასრით ცივ წყალს რომ მიუტან მწყურვალ ადამიანებს, ან არადა პურს — დამშეულებს. როგორი მადლიერებით შემოგყურებენ, რომ იცოდე, როგორი უმწეონი არიან შენთან შედარებით“ („ფანჯარასთან ღამის პირველ საათზე“).

მაშინაც უმწეოა ადამიანი, როცა სულის პური აკლია, სულის პურის მიწოდებაც ისეთივე კეთილი საქმეა, როგორც მწყურვალისათვის წყლის მიტანა. მაგრამ ეს კეთილი საქმე მაშინ იძენს ღირებულებას, როცა იგი მართალია და გულწრფელი. სხვანაირად მწერლობა უქმი შრომაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერება შეუძლებელია იყოს ცრუ და ორპირი. „საღამო ხანის ჩანაწერების“ ქვეტექსტიც სწორედ სიცრუის წინააღმდეგ

არის მიმართული. ყველაზე დიდი დანაშაული და ბოროტმოქმედება, მწერლობის საშუალებით, ადამიანის მოტყუებაა. ეს რ. ინანიშვილის მწერლური შეგნებაა. ამიტომაც გულღიად გეელაპარაკება იგი და გვიამბობს იმას, რაც განუცდია, უნახავს, გაუგონია. ამ გულწრფელობის ჯილდოდ დაიმსახურა მან მკითხველის ნდობა. ჩემი ღრმა რწმენით, მწერლისათვის ყველაზე მაღალი ეს ჯილდო არც „საღამო ხანის ჩანაწერებს" მოაკლდება.

აკაკი ბაქრაძე

***

როდესაც რევაზ ინანიშვილს ეკითხულობ, შინაგანი სულიერი სისუფთავის შეგრძნება მეუფლება. მის ლიტერატურულ ენას არანაირი სამკაული არ ესაჭიროება, მშვენიერი რომ ჩანდეს. ისიც კი მიჭირს, რომ "სიტყვაკაზმული" ვუწოდო დასახასიათებლად. მისი მეტყველება სისადავითა და მოხდენილობით სულხან-საბას ლიტერატურულ წყობას მაგონებს. რევაზ ინანიშვილი ენას არასდროს არ აწვალებს და არც ზედმეტად ეფერება. აზრი და სიტყვა იოლად პოულობენ ერთმანეთს. თხრობა ძალდაუტანებლად მოედინება. მისი ლიტერატურული ენის ბუნებრივი თავისთავადობა ერთგვარ სიამაყეს აღმიძრავს, რადგან კიდევ ერთი განსახიერებაა ჩვენი ენის დაულეველობის.

ნოდარ გაბუნია

***

ზუსტად მიგნებული სახელი დაარქვა რეზო ინანიშვილის მთელ შემოქმედებას აკაკი ბაქრაძემ: სულის პური.

ხოლო ემზარ კვიტაიშვილი თავის ესსეში წერს: „მახსოვს, აღტაცებული თამაზ ჭილაძე მოვიდა ერთხელ „ცისკარში", რეზოს პაწაწინა მოთხრობა წაეკითხა: „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი". წერა ასე უნდა, გუშინ მთელი დღე ბედნიერი ვიყავიო, თვალებგარწყინებული ამბობდა".

მე კარგად მესმის ძვირფასი კოლეგებისა: ხშირად, ძალიან ხშირად, რეზო ინანიშვილის კალამი მართლაც რომ სასწაულებს ახდენს, მის „დიდ" თუ „პატარა" მოთხრობებში ხედვისა და ხატვის ისეთი სიზუსტეა მიღწეული, ისეთი ზნეობრივი სისპეტაკეა განფენილი, ძნელია მათი

კითხვისას აღტაცება არ დაგეუფლოს. მაგალითების მოყვანისაგან თავს შეგნებულად ვიკავებ.

ახლა, რეზოს გარდაცვალების შემდეგ, ბევრი რამ მისი შემოქმედებიდან ხელახლა გადავიკითხე და უნდა მოგახსენოთ, შემძრა, სულის სიღრმემდე ამაფორიაქა მოთხრობებში უცნაური სიუხვით განიცდებულმა ტრაგიკულმა ინტონაციებმა. მისი პერსონაჟები, იანკო-მუსიკოსისა არ იყოს, ხშირად მარტოსულები არიან, მიუსაფარნი, ალერსს მონატრებულნი, დაუცველნი. სულ ეჩვენებათ, რომ „ქვეყნად სიყვარული კლებულობს", რაც მძაფრი სულიერი შეჭირვების წყაროდ ქცეულა მათთვის.

„ახლა სული მტკივა და ამ ტკივილის დაყუჩებას პატარ-პატარა სიკეთეების გამოჩინებით ეცდილობ. რატომ მტკივა სული? მეჩვენება, რომ ქვეყნად სიყვარული კლებულობს" („ქარი ნოემბრის ტყეში").

„კეთილი სილამაზე ძალიან ცოტაღა დარჩა ქვეყანაზე და ოქროს მარცვლის პოვნასავით განვიცდით ყოველ პაწაწინა ნიმუშის აღმოჩენას" („მოხუცი მწერალი").

„მოხუცს მშვიდი მოფერება უნდოდა. ბალახებსაც უნდოდათ მოფერება, წახრილიყვნენ ალერსიანი ხელის მოლოდინში. მოხუციც დიდი სიამოვნებით შეუშვერდა ალერსიან ხელს თავს, მაგრამ ასეთი ხელი არ ეგულებოდა ამ ქვეყნად („წვიმა").

მსგავსი მაგალითებით სავსეა რეზო ინანიშვილის მოთხრობები. საერთოდ, ფერები ისეთი აკვარელური სიზუსტითაა განაწილებული, რომ ღიმილი და სევდა თანაბარი ძალით აშუქებენ და იქნებ სწორედ ამიტომაც აქვს განუმეორებელი და მოუბეზრებელი ხიბლი მთელ მის შემოქმედებას.

ფართო ლიტერატურულ-მხატვრული ინტერესები პქონდა. თითქმის ყველა წინამორბედი ოსტატისაგან უსწავლია „ცოტა რაღაცა", მერმე ეს ყოველივე, საკუთარი „სულის ქურაში" გადაუდნია და შეუქმნია თვისებრივად ახალი პროზა, რომელიც არავის პგავს და მხოლოდ და მხოლოდ ინანიშვილისეული გახლავთ: ტრადიციულიცაა და თანამედროვეც — ერთსა და იმავე დროს. მის უშუალო წინამორბედთა შორის აქ შეიძლებოდა დაგვესახელებინა: ვაჟა და ნიკო ლორთქიფანიძე, პემინგუეი, ტრუმენ კეპოტი და აკუტაგავა, ჩეხოვი და ბუნინი, კნუტ პამსუნი, ისიკავა ტაკუბოკუ, რედიარდ კიპლინგი და მრავალი სხვა. ცხადსახილველია, აგრეთვე, თანამედროვე კინოს მონტაჟისა და მხატვრობის, განსაკუთრებით ფიროსმანის, მოდილიანის, ცი-ბაიშისა და უტამაროს გამოძახილიც.

ამავე დროს მას მკაფიოდ დაფორმულებული ლიტერატურული მრწამსი ჰქონდა. თავს ვერ ვიკავებ, მინდა ორიოდე ციტატა მოგაწოდოთ ამ მოსაზრების დასტურად:

„მწერალი უნდა წააგავდეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგვარი ჭირვარამისა, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულებს, ათბობდეს შეცივებულთ, აწყნარებდეს, მიწისკენ ეწეოდეს აღზევებულთ, აპარპაშებულთ“.

და კიდევ:

„პირველყოვლისა, მწერლობამ უნდა იაზროვნოს სრულად, არა ცალმხრივად. მწერლობა კიდევ უფრო მახვილი თვალით უნდა აღიქვამდეს სამყაროს. მწერლობა უნდა აფხიზლებდეს თითქოსდა ეიფორიულ გაბრუებაში მყოფ ადამიანებს: შეხედეთ, ეს დედაა, ეს ბავშვი, ეს შერცხალი, ეს ხე, ეს ყვავილი, ეს პური! ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ამბობდნენ: ადამიანი მუდმივად მოზიდულ მშვილდს ჰგავს, ეს მშვილდი რომ არ გატყდეს, ამიტომ არსებობს ხელოვნება. ყველა მწერალი უნდა შეეცადოს, რაღაცით მაინც დაემსგავსოს სიცოცხლის აღმომცენებელ წვიმას. რაც უფრო მეტი იკისრებს ამ მისიას, მით უკეთესი! სხვა რა?!“

ხოლო ბორხერტისაგან გადმოკეთებულ მინიატურაში („მწერალი“) ერთი ასეთი ფრაზაა: „არაეითარი მნიშვნელობა არა აქვს, მწერალი გრძლად წერს თუ მოკლედ. მთავარია, კარგად წეროს“.

რეზო ინანიშვილი მოკლედ წერდა:

ალბათ ყველაზე უფრო მოკლედ უკვდავი სულხან-საბას შემდეგ. ზოგიერთი მისი მინიატურა სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება, დასრულებული მხატვრული ფორმა კი აქვს.

რეზო ინანიშვილი კარგად წერდა:

მის მოთხრობებში ყველაფერია: მკაფიო აზრი, კომპოზიციური სიმწყობრე, ქვეტექსტი, უხუსტესი დეტალი, სხარტი დიალოგი, სევდისა და სიხარულის უცნაური ნაზავი, უკიდურესობამდე დაწურული ფრაზა, ცინცხალი იუმორი, რომელიც ხშირად გროტესკში გადადის, ფაქიზი, გამჭვირვალე, პოეზიის რანგში აყვანილი ლირიზმი, მძაფრი დრამატიზმი. აქ არიან ქალები, ბავშვები, მოხუცები, ახლად მკერდაფეთქილი გოგოები, ტიღა ბიჭები, სხვადასხვა პროფესიის კაცები — მხვნელ-მთესველები, ხარაზები, მჭედლები, მევენახეები, შოფრები, ინტელიგენტები... აქ არიან ცხოველები, ფრინველები, აქ არის ხე, ბალახი, წყარო, ღრუბელი, ნისლი, ორღობე, წვიმა, თოელი, შორი თეთრი მწვერვალი, წელიწადის

ოთხი დრო... აქ არის კიდევ ბევრი რამ; რაც მთავარია, აქ არის დიდი სიყვარული, თანალმობა და კეთილი, ძალიან კეთილი გული. ეს გახლავთ სამყარო, რომელიც „უთვალავის ფერით“ იშლება ჩვენს წინ და რომლის უზენაესი შემომქმედი რეზო ინანიშვილი გახლავთ. ზუსტად ისე, როგორც გალაკტიონმა ბრძანა ვაჟა-ფშაველაზე: „ის მეფე იყო, პქონდა თავისი სამეფო და პყავდა თავისი ხალხი, ოქროს სჭრიდა საკუთარი შტამპით“.

ამით ალბათ ბევრი რამაა ნათქვამი.

კარგად წერა... ისე იოლად ვამბობთ, თითქოს ჩვეულებრივი რამე იყოს და ყველას ხელეწიფებოდეს.

თითქოს ღვთის თვალი ტრიალებდა მის მოთხრობებში, თვითეულ სტრიქონს გაბრძნობილი ოსტატის ხელი ეტყობოდა. აქვს ვაჟა-ფშაველას მინიატურა: „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“. არ მოვყვები მის შინაარსს, თქმით კი, აი, რა თქვა კლდემ: „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“

მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ამ სიტყვებში ერთგვარად კოდირებულია რეზო ინანიშვილის შემოქმედების დერიტა: ეს გახლავთ სულიერ ფასეულობათა ჭეშმარიტად გადაუფასებელი უწყვეტობა, რაც ერს აძლებინებს ამ ქვეყნად და სამომავლო ხერხემალს უქვიტკირებს.

რეზო ინანიშვილი, ამ ხერხემლის ჩუმი, გარნა უერთგულესი ბურჯი იყო, თუმცაღა სულ აწვალებდა მსახვრალი ეჭვი, რომ: „ქვეყნად სიყვარული კლებულობს“, რაც გლობალური ტრაგედიის წყაროდ მიაჩნდა.

თეიმურაზ მაღლაფერიძე, 1992 წ.

***

ოსტატი
(უცაბედი პორტრეტი)

მავანი დიდია, ძალიან დიდი. იმისმა მასშტაბურმა პერსონაჟებმა ლამის დააზანზარონ სამყაროო,... – მითხრა ჩაფიქრებულმა და კაიხნის დუმილის მერე დასძინა, – არადა, ადამიანი მაგხელა არააო.

— თქვენ- მეთქი?

— მე პატარა ვარ, დაქანცული, ჯოხზე დაბჯენილი ბერმუხის ძირში ვზივარ და მაშინაც ცაში კი არა, დაბლა ვიყურები – ჭიანჭველებს დავცქერი, თავისზე ბევრად მძიმე ტვირთი რომ მიაქვთ ან ეძებენო. – გაჩუმდა, ჩემს პასუხს თუ უცდიდა.

— არ მინდა მავანი ვიყო, იმ ჭიანჭველად ჩამთვალეთ-მეთქი.

ისე გამიღიმა, მარტო თვითონ რომ იცოდა – მოწყალედ, მაინც დარდიანად და თავზე დამადო დაკოჟრილი ხელი.

მერე ჯოხს დაებჯინა, მძიმე-მძიმედ წამოდგა, წამოდგა და ასევე წავიდა.... წავიდა და წავიდა, გაქრა.

დიდებული ადამიანი იყო, ცხონებული – ნამღვილი ქრისტიანი.

— მე ვწერ, ჩემს სულს რომ ლოცვა დასჭირდებაო, – ამბობდა. მისმა სისადავემ არ შეგაშფოთოს, "ორღობის მწერალს" ნუ დაუძახებ (იმისი "ორღობე" მთელ საქართველოს იტევს) – მაინცდამაინც, ნიკო ფიროსმანაშვილის არ იყოს, ჯერ ევროპამ უნდა აღიაროს, რომ შენც აუბა მხარი და სულ ნიანგის ცრემლები აღვარღვარო?

მიხო მოსულიშვილი

***

ისე როგორც ზღვის ერთ წვეთში აისახება უკიდეგანო წყლის მასის ყველა ნაწილ-თვისება, ასევე რ. ინანიშვილის მცირე ფორმის ლიტერატურული შედევრები ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის, ბედნიერებისა თუ მწუხარებისა, წარსულისა თუ აწმყოს უტყუარ სურათებს წარმოსახავენ.

ეს მარგალიტები, ერთ მძივად აკინძული, ქმნიან ჩვენი ცხოვრების დიდ მოზაიკურ პანორამას.

სულხან ნასიძე

***

საშველი

დღეს, როცა ასე შეგველახა და დაგვიმძიმდა სულები, როცა ლუკმაპურის ძებნაში დაღლილებს წიგნის წაკითხვის თავიც კი აღარა გვაქვს, როცა აპოკალიფსური ღრუბელი სულთამხუთავივით დაგვწოლია გულზე და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ხშირად ვიგონებთ ხოლმე რევაზ ინანიშვილს — ჩემს საყვარელ ადამიანსა და მწერალს.

ხანდახან გადმოვიღებ თაროდან მის წიგნსაც, ვათვალიერებ, ვკითხულობ მოთხრობების სათაურებს, ცალკე აბზაცებს:

"ზამთრის ცრიატ, მოღუშულ დღეებში ტბის წყალი გამდნარ ტყვიას ჰგავს..... ავა, სულ ბოლოს მისი ზედაპირიდან აიკრიფება ბინდი და ბურუსი. ახლოს მოიწევენ მთები. უტყეო მთები ამ დროს სულ რუხებია, რუხები და გაფითრებულნი გაშტერებულნი. ის მთები ძლეული ლაშქრის დროშებივით ჩაკიდებულან ტბაში. თავდაყირა ჩაკიდებულან

ტბაში თეთრი ხეებიც. თეთრ ხეებზე შავი ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას. ცა უფრო ნაღვლიანია და ჯერ არ იცის, რას იზამს".

მე მშველის ეს "რუხი და გაფითრებული ხეები", მშველის ნაღვლიანი ცაც, რომელმაც "ჯერ არ იცის, რას იზამს," — მშველის და მამშვიდებს.

მშველის იმის გახსენებაც, რომ რევაზ ინანიშვილის, ამ მართლაც გენიალურ მწერლის სული ჯერ ისევ დაპფოფინებს თავის ტანჯულ, დაღუპვის პირზე მიმდგარ ქვეყანას.

ნუგზარ შატაიძე

***

შენი სულიერი სამშობლო

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყველაზე მეტად მწერლის მახვილი თვალი და ყური გაოცებს. პატარა, ხელისგულისოდენა მოთხრობებით იგი თითქოს ჩვენც თვალს გვიხელს, სმენას გვიმახვილებს და ჯადოსნური სიცხადით გვიჩვენებს ავკარგიან ქვეყანას, სადაც თავადვე ცხოვრობს — ეს მისი სამშობლოა, რომელიც უკვე მკითხველის სულიერ სამშობლოდ ქცეულა.

ერნესტ იუნგერის აზრით, მწერლის ამოცანა სწორედ სულიერი სამშობლოს შექმნა —"ეს შეიძლება იყოს მოკრძალებული ნიში წმინდანის გამოსახულებით, ჭიშკართან გამოდგმული სკამი, სოფლური ქოხი, სასახლე, ტყეები, მთები ან კოსმოსური სივრცე.. პოეტი ქმნის, რათა ყველაფერი ეს იცნონ და დაიმახსოვრონ, შემდეგ კი სულიერ სამშობლოდ გაიხადონ... იქ, სადაც პოეტები არ არიან, სიცარიელე ისადგურებს".

მწერლის მიერ შექმნილი სულიერი სამშობლო ხშირად უფრო რეალურია და მიმზიდველი, ვიდრე ნამდვილი. რევაზ ინანიშვილისათვის ეს იყო სოფელი, მინდორი, იერის ჭალები. მიდიოდა იქ "დაღლილი, მხრებდაღუნული, იმ იმედით, რომ სოფლურმა მყუდროებამ იქნებ ცოტა მაინც მოუფონოს გულზე, რომელზედაც, აი, მთელი თვეა თითქოსდა მარწუხებს უჭერენ ვიღაცანი".

ჩვენც, მისი მკითხველებიც, სწორედ ამ იმედით, ამგვარი სასოებით მივდივართ მის მიერ შექმნილ სამყაროში, სადაც მდინარის პირას ერთი "გამოღრმავებული კბოდეა, შიგ თბილი მზეა ჩამდგარი", მივალთ

მიესხდებით იმ გამოღრმავებულში და საკუთარი სამშობლოს განცდით ვტკებებით.

...ახლა იქაც ზამთარია თებერვლის თრთვილს შეუხორხლია ხეები. ბუჩქები, გადაუთეთრებია მიწა. თხელ გუბეებში წყალი ჩაყინულა. ყინულის თხელი, სიფრიფანა არშია გასდევს მდინარის მთელ ნაპირსაც. "ხეებზე შავი, ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას".

იალნოს მთის ფერდობზე გადმომდგარა ხე ფოთოლგაძარცული, ყინვისგან შეჭირხული ტყე-გაყუჩებულა, თავის მარადიულ ფიქრებში წასულა. და უეცრად, რაღაც სასწაული ძალით, გაიხსნება ზეცა, ღრუბლებიდან ზეზე გამოიხედავს და ფერდობზე კალოსოდენა ადგილს გაანათებს. კალოზე ხალხი შეყრილა. წამოვა, გამოსცდება იმ ხალხს "ორი მშვენიერი ქალბატონი", ერთს თავზე მოხვეული და ბოლოებით მკერდზე გადაჯვარედინებული ქიშმირის შალი ზურგზე აქვს შეკრული. მეორეს მოთხილამურის თბილი ქუდი ახურავს-ყურებზე და შუბლზე ჩამოწეული. ორივე ერთად რვა ან დიდი-დიდი რვანახევარი წლისა იქნება. მოელენ, ამოგიდგებიან აქეთ-იქიდან, ჩაგკიდებენ პატარა ხელებს და წაგიყვანენ იმ განათებული კალოსკენ.

გაკვირვებული, ცოტა არ იყოს, დაბნეული ათვალიერებ ხალხს და ნელ-ნელა ყველას სცნობ. ვინ აღარ მოსულა აქ, იალნოს ბურუსიან ფერდობზე: ანანურელი ულამაზოები – კუშტად მომზირალი, მგლის ლეკვებივით აჯაგრული კომბლებიანი ბიჭები; ირინე თეთრაშვილის აფრია, თვითონ ირინე თეთრაშვილი, გუჯა — აფრიას ძმა და მათი ახოვანი მამის ლანდი, რომელსაც ხელები გულზე დაუკრეფია და ნაღვლიანი თვალებით უყურებს ცოლ-შვილს; უკუღმა დაჭედილი – როგორღაც საშაროდ გალაჯული, დოინჯშემოყრილი ყმაწვილი; გამოვა ბურუსიდან იაკოფა მენახირეც და დაებჯინება თავის გრძელ ჯოხს; გვერდიგვერდ დგანან შიო პაპა და უშიშა პაპა, ჯოხირეცხა იოსება, ძმები დათია და გოგია, ბასა ბურკიაშვილი, მოდიდან გამოსული პოეტი, რუხი პიჯაკის სახელოებზე შავი სატინის სამკლავური რომ უკეთია; კიდევ ვანო ბუჭყიაშვილი და იმისი პატარა ბიჭი მიხო, რომლებსაც შინ არც აევჯი აქვთ და არც ჯამ-ჭურჭელი, სამაგიეროდ, ერთი დიდი ფარდაგი აქვთ, გაშლიან ძირს და კოტრიალობენ ყველანი ზედ... ვანოც, მიხოც, მამუკაც, იმათი დედიკოც და თუ სტუმარი მოუვათ – ისიც; აქ არიან გოგია და ბახა, ელგუჯა და ჭიჭო, ბიბო, ჩიტების გამომზამთრებელი ბიჭი, "ვიწროების მგელი" — ჩოფურა შალიკო, ანდრია და, რაც მთავარია, მეტყველე დათიკო; ცოტა იქით მოჩანან:

ბარბარე ბადიაური, დედა მარიამი, ძველი ქართველი ქალი, გადაბმული ესტატე, თინა და სანდრო, უშიშარი ბიჭი იოსება, პოეტი გიგლია; ხმაურობენ, ელაე-ელუვობენ უბედენთიანი კოხორაშვილები, ცეტები, ბლუკები... ჩაჩაურს ცალ ხელში გაშიშვლებული ხმალი ჩაუბღუჯავს, მეორეში — სანთელი; მოკრძალებით, დარცხვენით დგას იმ ხალხში ხორასნელი ჭაბუკი; აქვე დარეჯანი — ტანად დიდი, დიდად მოშხირალი, ღონიერი ქალი; ხელიხელჩაკიდებულნი გზაზე გამდგარან იღლიაში დახვეულ ტიკამოჩრილი გოგია ბატატაშვილი და იმისი მორცხვად მომღიმარი საყვარელი მაყვალა ჯარიაული; იღიმებიან ბალნიანი, ბაყია და მანეთიანი კოლა; აქ არიან ყროლებიც — ლაფანა, ატაცებული და ბაზარნიკი ჯალიაშვილიც აქვეა და იმათაც სიამის ღიმილი გადასდით სახეზე; ამ ხალხში დასუნსულებს ფაფუხაჭელაანთ ძაღლიც. ხოლო მაღლა, ერთ თოელიან ბორცვზე, ცალკე დგას კომბალზე დაყრდნობილი, მთლად გადათეთრებული უსინათლო მოხუცი, რომელსაც ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი პკიდია — გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა.

იქით კი, ნისლიანი ტყის პირში, ათასამდე შავი ლანდი შექუჩებულა და რაღაცას ბჭობენ. მერე განცალკევებით მდგომი ანაფორიანი მღვდელი ხელს რბილად ჩამოუსვამს პაერს და ეიღაცა სუფთა, მშვენიერი ხმით დაიწყებს:

"ზამთარიაო, პეე, პარალოო....
ზამთარი ვარდსა დააჭკნობს,
ფურცელი ჩამოცვივაო"...

თვალებგაბრწყინებული დგახარ და ვერ გაგიგია, ცხადში ხარ თუ სიზმარში, მაგრამ ნელ-ნელა ერკვევი და ხედები, რომ არც ცხადია და არც სიზმარი — ეს შენი ქვეყანაა, შენი სულიერი სამშობლო.

ნუგზარ შატაიძე

***

დადის და დაგატარებს მწერალი თავისთან ერთად საოცრად მომხიბლავ, რიგითი თვალ-გულისათვის შეუმჩნეველ ლირიკულ სამყაროში იმ ჯადოსნური, უხილავი ძაფების სადავით, რომელსაც მისი — რეზო ინანიშვილის – ენა ქმნის და, როდესაც შენი ყოველდღიურობა მოგწყვეტს, კვლავ დაგაბრუნებს მოსაწყენ რეალობაში, კარგა ხანი გყოფნის ულამაზეს გარემოში ყოფნით განცდილი ბედნიერი წუთების ხიბლი.

გიორგი ცოცანიძე

***

ცრემლიანი თვალით

ზოგიერთი რამ, რასაც ამჟამად ეწერ, მის საფლაეთან უნდა მეთქვა, თხუთმეტი წლის წინ, თოლიან დღეს, დიდუბეში, როცა თბილისში შიში იყო ნისლივით ჩამოწოლილი და ქუჩის გადაღმა აეტომატებს ისროდნენ.

გამოუთქმელი სიტყვები ქვებივით ჩამრჩა მახსოვრობაში, არადა, სიტყვა თუ კი რამეს არა ჰგავს, უპირველეს ყოვლისა, ქვას — გადამფრენი ჩიტივითაა. პაწაწინა, მართლაც რომ ჩიტივით არსებას, ღმერთმა ამქვეყნად ყველაზე ურთულესი და უგრძესი მარშუტი დაუდგინა — ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანამდე. Aამ დიადი გადაფრენის ჟამს არ არსებობს ზღუდე, რომლის გადალახვაც მას არ შეეძლოს. და ვიცით, რომ ჩვენი ხმა, ჩვენი სიტყვა იქ, ჩვენს ბოლო, მარადიულ სასუფეველშიც ესმით.

***

ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, ამ ცნების პირდაპირი, ვიწრო გაგებით, ურთიერთსიმპათია კი აშკარად გექონდა. თითქმის ერთად შეეხსენით მძიმე ალაყაფი იმ ახალი სამყაროსი, რასაც მწერლობა ჰქვია. ღრიჭოდან მორიდებით შეეიხედეთ იმ "სამოთხეში", რომელიც მერე, როგორც ყველგან და ყოველთვის, ჯოჯოხეთი აღმოჩნდა, ანუ მწერლის ტრადიციული და ნორმალური ადგილსამყოფელი, მაგრამ ჯოჯოხეთზეც უარესი რომ ყოფილიყო, მაინც სწორედ იქ და არა სხვაგან ვისურვებდით ყოფნას.

ორი ცხოვრება ჰქონდა, ერთი მის საყვარელი ოჯახი იყო, მეგობრები, საზოგადოება, სამსახური, მეორე კი მისი მიერვე გამოგონილი, თავშესაფარივით საიმედო ქვეყანა. იქ გრძნობდა თავს თავისუფლად, ლაღადაც კი, რამდენადაც იქ ითქვამდა სულს ყოველდღიური ერთფეროვნებისგან შეწუხებული. Aამავე დროს, ეს გამოგონილი სამყარო ძალიან მოგვაგონებდა ჩვენი სამშობლოს ერთ—ერთ უძვირფასეს კუთხეს — კახეთს, ფერით, ხმით ადამიანთა ხასიათებისა თუ მეტყველების თავისებურებით, მაგრამ, რასაკვირველია, კახეთი არ იყო. არათუ კახეთი, არც სოფელი ეთქმოდა და არც ქალაქი, უფრო წუთისოფელი შეეფერებოდა სახელად, რომლის "მღვრიე" წყალიც მისი შთაგონების Fფესვებს გულუხვად ასაზრდოებდა კიდეც. ცხოვრება "ერთი წამისად" ჰქონდა წარმოდგენილი, ოღონდ ამ წამში ადამიანური "ყოფნა-არყოფნის" უსაზღვროება იგრძნობოდა და, ამასთანავე, ამ

უსაზღვროებით აღტაცება, გაოცება, შეშფოთებაც კი. Aამიტომაც, თუნდაც, ეკლესიასტეს ცნობილ ფრაზას: "ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა", სიცოცხლის მარადიულ წრებრუნვად მიიჩნევდა: "მე უკვე მიწა ვარ, ჩემთვის ჩაყუჩებული მიწა — როგორც არ უნდა დამფშვნა, სადაც არ უნდა ჩამყარო, მოვა ღრუბელი, მომიტანს წვიმას და აღმოვაცენებ ბალახსა და შრიალა ფოთლებს". ეს არის მიწა, როგორც სიცოცხლის სუბსტანცია, ანუ მიწა, როგორც მარადისობა. Aამ დროს ვაჟას გენიალური მეტაფორის სეისმოლოგიური ბიძგებიც კი იგრძნობოდა...

მწერლის ხარბი, უძირო თვალები ოცნების ოპტიკურ ძლევამოსილებას ცხადყოფენ. ხედავს ყველაფერს, რითაც მისი სამყარო ასე სავსეა, თუნდაც "ქვებს შორის ამობზინებულ ბალახს", "ფიჩხაკიდებულ სახედრებს", "საქონლის ჩლიქებით აჭიჭყნილ გზას", "ფეხების ფლატუნით მიმავალ მოხუცს", ღვინის გამყიდველის "წვერში თითებწაჭერილ რეზინის მილს", "ფაცაფუცა ხვებს", "შემოდგომის წვრილ, გაგრძელებულ წვიმას", "ლურჯად შეღრმავებულ ცას", ირმის "შუაზე გაყოფილ ნაფეხურებს", "ხმელ ფოთლებსა და ბალახებზე რბილი, რბილი თათებით მომავალ სიბნელეს", "შემზარავი გუგუნით" მოახლოებულ გაზაფხულს და ეს ყველაფერი მისი მახსოვრობის უფსკრულიდან ამოდის, ოცნებას ამოაქვს მზეზე, მარადიული სიახლით ეფინება, ლაგდება მის ირგვლივ და ისიც "სადღაც შორეული მოგზაურობიდან მობრუნებულივით უყურებს ყველაფერს". ეს "სხვა თვალზე ნანახი სამყაროა", ჩვენმა დიდმა წინაპარმა რომ იხილა ერთხელ და მემკვიდრეობით განძივით გადმოგვცა. ოღონდ, ეს საკვირველი წამი, ქვეყნის სხვა, ანუ ოცნების თვალით დანახვა, მოულოდნელი შემონატრებით, თვალისმომჭრელია და ყველას როდი შეუძლია ტკივილადგარდაქმნილი შუქის ატანა. Eეს შუქიც ისევე მტკივნეულია, როგორც მწერლის მიერ მოსმენილი "არაამქვეყნიური ხმები". "ღმერთო... რატომ გვსჯი ესოდენ მკაცრადო", დაიჩივლა კიდეც ერთხელ, ღმერთოო! მართლაც, სხვას ვის უნდა მოუხმოს მშველელად მწერალმა, როცა ქაღალდზე სიტყვებით შენიღბულ ცრემლის იეროგლიფს ხატავს! აკი, თვითონაც თქვა, არ ვიცი ჩემი მოთხრობები "როდის ან რის მიხედვით შეკოწიწდა ჩემი ცხოვრების ბურუსით მოსილ გზაზეო".

ფერეიდანში ამბობენ: "ზღვას თვალცრემლიანი გასცქეროდა. რატომღაც დიდი რომაელი პოეტის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს (კინაღამ დავწერე — ლექსებს-მეთქი) ეკითხულობდი. აქ ყველაფერი ცრემლიანი თვალითაა დანახული, ცრემლის პრიზმაშია გატარებული ის, რაც ჩვენს წინაშე ასე გულუხვადაა

გადმოფენილი. ცრემლი არა მარტო თანამდევია ამ მოთხრობებისა, არამედ ერთგვარ განმსაზღვრელ შტრიხად თუ ნიშნად გვეელინება. ცრემლიანი თვალითაა დანახული ჩამავალი ზმის "ტკბილი სხივები", მოგუგუნე გაზაფხული, ბურუსიანი ზამთარი თუ შემოდგომა, რომელსაც ერთმა ფრანგმა მწერალმა "ბუნების ოქროსფერი კედომა" უწოდა, რაც საოცრად მიესადაგება ინანიშვილის ონტოლოგიურ განწყობილებებს. ცრემლი თითქოს პოეტური აღქმის ის საიდუმლო ელემენტია, რომლისგანაც იბადება... სასწაული! "ჩვეულებრივი თავისთავად, უკვე სასწაულიაო", — თქვა კაფკამ და სწორედ ჩვეულებრივობის სასწაულმოქმედების მოწმენი ვხდებით ინანიშვილის მოთხრობებში. მისთვის შეიძლებოდა ჯადოქარიც კი გვეწოდებინა, უფრო მნიშვნელოვანი წოდება რომ არ პქონოდა განგებისგან მინიჭებული – მწერალი იყო და თანაც დიდი! თუმცა, კაცმა რომ თქვას, მწერლობაც თავისთავად ჯადოქრობაა, რამდენადაც ახალი სამყაროს ილუზიას ქმნი, აქამდე სრულიად უცნობი ქვეყნის მკვიდრებად გვაქცევს ყველას.

ცრემლი, ბურუსი, "საგნობრიობამდე გამკვრიეებული სევდა" - ეს სამი თითქოს, მართლაც, იმ ქვეყნიდან შემოფრენილი ჩიტი დაბუდებულა მის მითხრობებში და, მიუხედავად სიცოცხლის თავბრუდამხვევი ხმებისა, თითქოს ფლამანდიელი მხატვრის მსუყე ფუნჯით დახატული კახელების ლხინი იქნება ეს თუ მთიბავის შრომა, ტყიდან ურმით შეშის გამოტანა თუ ვენახში ფუჩეჩის მოჭრა, ანუ ყოველდღიური ბრძოლა იმ ადამიანებისა, რომლებზედაც უთქვამთ, ლოგინში მხოლოდ იმიტომ წვებიან, რომ დაიხოცნენო, ყველაფერში მაინც პაწაწინა ცრემლი ბრწყინავს, თითქოს ყველა ერთნაირად, დიდიცა და პატარაც, გრძნობს, რომ "დარდის ღრუბელი დადის ქვეყანაზე" და თანაც "არავის აფიქრებს.., იმ ბურუსს იქით რაა"... იმ უცნაურ ბურუსში ზოგჯერ სასოწარკვეთილების ლანდიც გაკრთება და სენიც, წვიმით კი არა, ტალახიც კი არა, "უხილავი წვიმის" ჟინჟღლით კი არა, თვითონაც არ ვიცი, რითი გაბეზრებულს. გამწარებულს, "გაუჩეველი ხელებით გიჭირავს თოკი, დაფაციცებული სწავლობ, როგორ კეთდება ყულფი". ნამცეცა, თითქოს საგანგებოდ მიფუჩეჩებული პასაჟი მთელ მის შემოქმედებას ადამიანური, ნაღვლიანი შუქით ანათებს. სასოწარკვეთილების ბურუსიდანაა ამოწვერილი ეს, მართლაც რომ, დარდის ღრუბლის ნაფლეთი: "თოვს. თეთრად გადაფიფქულ შავი ადამიანების ბრბოს დაღუნული თავების მაღლა ციმციმით მიაქვს კუბო, რომელშიაც წვეს ტრაგიკულად დაღუპული ორმოცი წლის ლამაზი ფერმკრთალი ქალი. ძველებური ჭიშკრის წინ გადმომდგარა ჯოხზე დაყრდნობილი, ქუდმოხდილი, დალეული,

დამუმიაევებული ბერიკაცი და შეძრწუნებული ხმით იძახის:

— ეგ როგორ მოიდიხარ, გოგო?!"

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა "ფერმკრთალი" ამ პაწია მარგალიტში აშკარად ჩარჩენილი ხარვეზია, მაინც თამამად შემიძლია ვთქვა: ნებისმიერი ქვეყნის დიდი მწერალი მოაწერდა ამ ეტიუდს ხელს, თუკი, რასაკვირველია, შეძლებდა მის დაწერას...

* * *

თოელი უყვარს ძალიან, თოელის ცქერა, თოელში სიარული. თოელიდან იბადება ხშირად მთელი მოთხრობის განწყობილება, თოელი მუსიკალური აკომპანიმენტივით ამძაფრებს ან ანაზებს ისედაც იდუმალებით მოსილ სურათს. მოუსმინეთ, განა მართლაც მუსიკასავით არ ჟღერს: ,,დათოელილი ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაეღო საღღაც შორს" რატომღაც ელენე ახელედიანის თოელი გამახსენდა, თელავის, სიღნაღის თოელიანი პეიზაჟები, ისეთივე მეტყველი და ცოცხალი, ისეთივე ფერისა, როგორითაც ცაში იბადება, მხატვარი თოელს უბიწობას უნარჩუნებს თითქოს.

ინანიშვილის მოთხრობა თითქოს თავისივე პოეტურ სიმყუდროვეშია გარინდებული და განაბული, როგორც "წვიმის ქვეშ ჩაყუჩებული იორი", მაგრამ ზოგჯერ იმდენად დინამიურია, შეიძლება კინემატოგრაფიაც კი გაგვახსენდეს, კინემატოგრაფიული სიცხადე, მაგრამ თანდათანობით აშკარა ხდება, კინემატოგრაფია უძლურია არა მარტო ასე ზუსტად გადმოგვცეს, არამედ ჩვენც განგვაცდევინოს, თუნდაც, ადამიანის გაუწონასწორებელი, გაუთვითცნობიერებიელი ქცევების ალოგიკური სიმართლე, რითაც ასე გამოირჩევა მისი ერთ-ერთი შედევრი "ლამაზი ქალი" ინანიშვილის მოთხრობაში, მოჩვენებითი უბრალოების იქით, ოცნებისამარა დარჩენილი ადამიანის სიმარტოვესაც ეგრძნობთ. ტყუილად როდი მეორდება, ათასნაირად სახეშეცვლილი, ერთი ძირითადი საყრდენი ფრაზა: "თითქოს გაპქცეოდეს და ვერ პოულობდეს საკუთარ თავს".

აი, ამ დროს ჩნდება ცრემლი!

ამ ცრემლიანი თვალით მწერალი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი. ეს უპირატესობა კი არა, უბრალოდ, საქმედ გარდაქმნილი თვისებაა — დანახვა და დამახსოვრება! თვალით თითქოს სინამდვილის ასოს იღებს და ინახავს კიდეც ყველაზე საიმედო სეიფში, რასაც მახსოვრობა პქვია. ოღონდ, ეს დანახულიც და დამახსოვრებულიც, უცნაურად გარდაქმნილი გვეელინება, როგორც კი მის ფურცელზე

გადატანას იწყებს. ფურცელი ნელა და წვალებით იესება. ბევრი რამ არ არის ამქვეყნად ისე ბნელი. როგორც ცარიელი ფურცლის შევსება. მაგრამ ხდება ისიც, რომ თითქოს სრულიად მოულოდნელად, თავისით, უეცრად, თითქოს ქვესკნელიდან, ამოსკდება, ამოანათებს აქამდე უცნობი, თითქოს ტანჯვით კი არა, შემთხვევით აღმოჩენილი მატერიკი, რომელსაც რეალური ყოფის ნიშნებიღა შერჩენია, მხოლოდ იმას რომ გვაუწყებენ, ეს ახალი სამყარო სად იწყება და სად მთავრდება. მაგრამ მთავრდება კი? სინამდვილიდან დაბადებული, უკვე ირეალური მოვლენების სფეროს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებისეული ზუსტი დეტალების წყალობით, საიმედოდაა დაბმული მიწაზე, აეროსტატივით. ინანიშვილის შემოქმედებაში ამ ირეალური "სხვა ქვეყნის" თითქმის ფიზიკური არსებობის რწმენას პოეზიისა და პროზის თანამშრომლობა თუ შეუღლება ქმნის. იქიდან მოფრინავენ "ბავშვების ნახატივით" უცნაური, ვეება ფრინველები, ანდა ყვავად ქცეული კაცი, თუ პირიქით, კაცად ქცეული ყვავი. იმ "სხვა" ქვეყანაში, "ფოთლებისა და სხივებს შორის... ქისასავით ჰკიდია მოლაღურის ბუდე, შიგ დედა მოლაღური ზის, ისიც მზის ფერი და ისიც აქანაებული. ქანაობს და ხანდახან მოწყენილობისგან თუ ამოიძახებს: ნათლიჯალაბო! — რა გნებავთ? — გამოსძახებს მეორე მხრიდან სხვა მოლაღური, — ერთი პური გვასესხე!" და გრძნობ, როგორ აწვება მწერალს ყელში ცრემლისგან პურის მარცვალივით გაფუყული, გაღვივებული სიტყვა, როგორ უნდა, როგორმე სწრაფად ამოთქვას, ამოიღოს სულის ფსკერიდან ეს მტანჯველი და ნეტარი შუქი. მაგრამ სიტყვაა კი ეს, ნუთუ ესეც ჩვეულებრივი სიტყვებითაა დაწერილი — "შაკად ატალახებულ გზაზე ჭაღარათმაგაწეწილი, წელში მოხრილი, გაცინებული ოჩოპინტრე მიაბიჯებს. გზის პირებზე ძაღლები იჯაგრებიან, იღრინებიან. ოჩოპინტრე რაღაცას მიტუტუნებს, —„ტუი, ტუი, ტუი". ის, ერთდროულად შეიძლება სოფლის გიჟიც იყოს და ნადირთა მფარველიც, ანდა ორივე ერთად, რადგან დღევანდელ, დაუნდობლობისა და განუკითხაობის ჟამს, შეშლილები თუ დაიფარავენ, თუნდაც, იმ ხარირემს, რომლის გამოჩენასაც სადღაც დათოვლილ ტყეში, ნეკერჩხლის უკანასკნელი წითელი ფოთოლი ელოდება.

ბუნება სიცოცხლის ოკეანეა. აქ სიკვდილი არ არსებობს. განა ეინმეს უკითხავს ასაკი, თუნდაც, იმ დედაბრებისა, წარსულის აკლდამისა თუ მუზეუმის მცველებივით რომ ჩამომსხდარან ჭიშკრებთან" ისინი მარადიული არსებანი არიან. ორღობეში ერთმანეთს შეწებებულ შეყვარებულ ქალ-ვაჟს ტაბურეტსაც კი გამოუტანენ ხოლმე, "ფრთხილად გადაჰკრავენ შავი წინსაფრის კალთას" და ეტყვიან: "დასხედით,

შეილებო, დაიღლებით ეგრე". და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით — სიტყვას შეუძლია გაგრძნობინოს ის იდუმალი წუთი, როცა შენ კი არა — ყოველდღიური ჯაფით ქანცგაწყვეტილი, დაყრუებული არსება — არამედ შენი სული უსმენს თავისივე ხმას...

ზოგჯერ ვფიქრობ, ის შუქიანი, მართლაც რომ დიდი ადამიანური სიკეთე, რომლითაც განათებულია რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, ეაჟამ პურივით მოუტეხა და უწილადა – მეთქი...

* * *

თითქოს იმავე თიხით იყო მოზელილი, როგორც მთელი კახეთი — ქვევრი, ჯამი, დოქი, ხელადა, ოღონდ, ცეცხლში კი არა, მზეში იყო გამომწვარი, ხაშმის მზეში, ედო კიდეც მისი ფერი. შეკრული იყო პატარა, მოდარაჯე კოშკივით, როგორიც კახეთში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ.

ლაპარაკობდა დინჯად, მოზომილად, თითქოს უხილავ კრამიტებს აწყობდა ჩვენს ზევით, უხილავ სახურაეზე. მის სიტყვას მართლაც კრამიტის სიმძიმე და საიმედოობა ჰქონდა.

რატომღაც უცებ კეეტარას ლურჯი კრამიტი გამახსენდა — თითქოს ანგელოზის ცრემლისგან გაჩენილი. . .

თამაზ ჭილაძე, 2005წ.

***

ხელრთვის ოსტატი

რევაზ ინანიშვილი უპირველესად მხატვარია. წვითა და დაგვით, წვეთ-წვეთობით აგროვებს იგი ფერსა და გემოს თავისი მოთხრობისათვის და იქსოვება ნაირნაირი სურათები ჩვენებური ყოფა-ცხოერებისა. სიკეთის მწერალი იყო, სიკეთეს სთესდა თავადაც გარშემო, და უსაყვედუროდ წავიდა ამა სოფლიდან. არ უყვარდა მას ზარ-ზეიმი, ხმაური, თვის გამოჩენა, დღენიადაგ, ნამცეც-ნამცეც აკეთებდა, რანდავდა და ასალაშინებდა იმას, რისი გაკეთებაც დაავალა მას არსთა გამრიგემ. შრომობდა ფუტკარივით, ჭიანჭველასავით, აბრეშუმის ჭიასავით, ჩვენ დაგვიტოვა აბრეშუმი და თავად კი თავისივე ნახელსაქნარში გაეხვია და გაუჩინარდა. წავიდა ჩვენგან ჩუმი, დაუტირებელი და დაუფასებელი მოჭირნახულე, და მოამაგე დიდი ქართული ენისა.

ერთხელ, ბატონ რეზოს ვკითხე, თეღო რაზიკაშვილი თუ გიყვარს-მეთქი.

— რას ამბობ, კაცო! — მითხრა მან და თავი ჩაღუნა, დიდი ხნით ჩაფიქრდა.

დაფიქრება გვმართებს ჩვენც იმის თაობაზე, თუ როგორი კაცი გვყავდა, როგორი კაცი წავიდა და როგორი ნახელსაქმარი დაგვიტოვა.

მურმან ჯგუბურია

***

რევაზ ინანიშვილი

კიდევ ერთი კაცი წავიდა ჩვენგან, კიდევ ერთი მწერალი, რომლის ინტელექტუალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილის უკანასკნელ წამებამდე გულით მოაზროვნედ დარჩა. გულით აზროვნებას არასოდეს ემუქრება სულიერი გამყინვარება და სიცივე.

აღარ გვენდობიან სიტყვები, გამუდმებით დავდევთ და დავეძებთ სიტყვებს. რევაზ ინანიშვილო, გამოცილების ბოლო წუთებშია ეს სტრიქონები დაწერილი ისე, რომ არც ერთი სიტყვა არ მიძებნია, თავისთავად მომძებნეს ამ სიტყვებმა, თავისით მომეძალნენ ღამის პეპლებივით, რადგან იცოდნენ, რომ დიდი სინათლე — რევაზ ინანიშვილი — უნდა გამეცილებინა ამ სიტყვებით.

რევაზ ინანიშვილო! მთელი თქვენი ცხოვრება ამტკიცებდით, რომ გქონდათ ერთი მთლიანი, კეთილი, სათნო, გულიანი, სულგაუყინავი და უფლისაგან, სამყაროსაგან სულგაუმიჯნავი საქართველო. და ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ მეოცნებე იყავით და თქვენი მწერლური ინტუიციით ამ გაყინულ, ულმერთო საქართველოს ვერ ამჩნევდით, არამედ გჯეროდათ სიტყვის მაგიური ძალისა და ფიქრობდით, რომ ამ მალამოთი კაცის გამობრუნება შეიძლებოდა.

ტალანტისგარდა, უფალმა კიდევ იმითაც გამოგარჩიათ, რომ გაუბზარავ, მთლიან პიროვნებად დაგტოვათ. ამიტომ თქვენს შემოქმედებას, თუ გადავრჩით, მომავალი საქართველო ციებ-ცხელებით დაუწყებს ძებნას ისე, როგორც მალე დავუწყებთ ჩვენი ცოდვებით დასჯილი ქართველები ერთმანეთს ძებნას. რეზო ინანიშვილის შემოქმედება მწვანე კონცხივით გადარჩება გადამწვარ საქართველოში და ჟანგბადივით მოათქმევინებს მომავალ თაობებს სულს.

რამდენად მრავალთაგან განსხვავებით, მას არც ერთი წამით არ დაუჯერებია, რომ ხელოვნება და, მით უფრო, მწერლობა, თამაშია და მხოლოდ თამაშის დროს შეიძლება სამშობლოს სიყვარული, რომ მხოლოდ ორი საათით სცენაზე და ეკრანზე შეიძლება გაითამაშო ეს სიყვარული.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ყველაფრის თამაშს გაპატიებს ხალხი და ღმერთი, ეროვნული მოღვაწისა და ეროვნული მწერლის თამაშის გარდა.

უბრალო ხალხიანით უბრალო რევაზ ინანიშვილი. უ-ბრალ-ო, ესე იგი, ბრალის არ მქონე, ბრალის გარეშე.ბიდის უფალი ჩვენგან, მიპყავს რეზო ინანიშვილის სული, როგორც ღრუბელი, ტაატით, შმეიდად.

რეზო ინანიშვილი—სამყაროსაგან სულგაუმიჯნავი ეს დიდი ბავშვი-არავის არ უნდა ენახა შეცელილი, თუნდაც სახეალეწილი, მით უფრო დაბნეული, მით უფრო გაბოროტებული, ეს უკანასკნელი საერთოდ წარმოუდგენელია. ამიტომაც შეიყვარა იგი უფალმა ასე ძალიან, ამიტომაც დაუხუჭა თვალი, რათა თვალისჩინით სამშობლო არ ეჩვენებინა, არ დაენახვებინა ასეთი შეშლილი, ამღვრეული, გაგიჟებული, სულგაყიდული, მიწაგაყინული, ზღვაგაყინული, მთებმორღვეული, საზღვრებმოშლილი. მისი პარმონიული არსება და მისი კეთილი გული ამას ვერ გაუძლებდა, უფალს თავისი გეგმა პქონდა ამ შემთხვევაშიც. რეზო ინანიშვილი, ვაჟასი არ იყოს, მთელ სამყაროზე შეყვარებული, კლდესა და კენჭში ერთნაირად შეყვარებული, როგორც შეიძლებოდა ვინმეს გულგატეხილი სჩვენებოდა. ამიტომ ჩვენთან ერთად თავად რეზო ინანიშვილიც დაზოგა უფალმა, როცა ანგელოზები მოუელინა წასელის ჟამს. მათ ფრთებს გაატანა მისი ძვირფასი სული სასუფეველისაკენ მომავალ გზაზე. მათი მეშვეობით გაიარა ამ წმინდა კაცმა საზვერეთსაცავები, საღვთისმეტყველო ენით რომ ვთქვათ, და სწორედ იქ დატოვა, საიდანაც ნათელში მოკაშკაშე მისი სული ჩვენთვის ლოცულობს.

ოი, როგორ სჭირდება საქართველოს ჩვენგან წასული ასეთი კაცების ლოცვა და შემწეობა.

მთელი მისი სამყარო, ასეთი კონკრეტული ერთდროულად, იქნება ეს "ნახალოეკის" პაწია ქოხი, უჯარმის გზაზე ეულად მდგარი ფესვმაგარი მუხა, ნაბადმოსხმული ლეკივით რომ მოჩანს შებინდების ჟამს ჩამეუღროებულ გარემოში, მისი საყვარელი "კიტრის ქურდები", მისი ძვირფასი "ბღუკები" იალნოს შორი მწვერვალი, ზამთრისპირა ბუხართან მონათხრობი პაპის ტკბილმწარე ზღაპრები თუ მწარე რეალობა; როგორ აყურადებს მეზობლის ქალის უხმო ნაბიჯებს ობოლი და-ძმა, რომელსაც თეფშით კარტოფილის ცხელი კერძი მოაქვს და "ოთხი თითის დადება

სიგრძე-სიგანის" აქაც დროს ისეთი კოსმიური მასშტაბებისა და ზოგადსაკაცობრიო ხასიათისა, რომ არც ერთ ფრანგსა თუ ინგლისელს, არც ერთ ჩინელსა თუ ვიეტნამელს გულგრილად არ დასტოვებს. უცხოელი მკითხველისათვის (მე, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ მკითხველს ეგულისხმობ და არა, გალაკტიონის თქმისა არ იყოს "გადამკითხველს") მხოლოდ საკუთარი სახელები, ვთქვათ, სოფლის, ქალაქის ან თუნდაც ადამიანებისა დარჩება უცხო და ეგზოტიკური. სხვა ყველაფერი ნაცნობი, ახლობელი და საყვარელი იქნება მათთვისაც. რადგან ყანაში მომუშავე შაოსან დედაბერს, ობოლი შვილიშვილები რომ პყავს გამოსაკვები, ისევე სიყვარულითა და აჩქარებით უცემს გული, როგორც ბრინჯის სველ ყანაში ჩამდგარ ქალს თაგორის მოთხრობებში.

რეზო ინანიშვილმა ამ საყოველთაო სითბოსა და სიყვარულს იმიტომ მიაღწია, რომ როგორც ყველა ჭეშმარიტმა მწერალმა, მოვლენებს გაუსწრო, დროზე ადრე დაინახა, რა შეიძლება მოპყოლოდა ბუნებასთან, მიწასთან, სამყაროსთან გაუცხოებას, რომ ეს ყოველივე დასაბამი გახდებოდა ყველაზე საშიში ტოტალური გამყინვარებისა. ეგულისხმობ ადამიანთა ურთიერთგაუცხოებასა და თვითგაუცხოებას, რის კულეესა და გოდებას ამდენი ენერგია შეალია დასავლეთ ევროპამ, თავის დროზე, ჯერ კიდევ შპენგლერმა რომ უწინასწარმეტყველა სულიერი დაზამთრების დასაწყისი; ხოლო ლიტერატურაში გაჩნდა მიმდინარეობა თავისი უცნობილესი მწერლებით ე.წ. ეგზისტენციალისტებითა და უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებით, ყოველი ნაწარმოები, იქნება ეს კამიუს "უცხო" თუ "შავი ჭირი" ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" სარტრის "სიტყვები" კაფკას "პროცესი" და ა.შ.— "სია ხომ უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, როგორც ილიას ერთი პერსონაჟი იტყოდა,— "ერთი გაბმული კენესა" სიმღერას რომ ეძახიან. ესაა გამოტირება, პრუსტისა არ იყოს, თავგადაკლული ძიება "დაკარგული დროისა" რომელსაც როგორც მდინარეს, ველარასოდეს დააბრუნებ, წავიდა, ჩაიარა, წაიღო, წარიტაცა დრო და გაგაშიშვლა, დაგტოვა ასეთი უმწეო, ჩაკეტილი, სასოწარკვეთილი.

რეზო ინანიშვილთან ამ გაშიშვლების, სიბეცის მიუხედავად, ბოლომდე ხდება სულის მხნეობისა და რაფინირებული, უნატიფესი ესთეტიზმის შენარჩუნება. ამის განსაცვიფრებელი მაგალითია ნეკერჩხლის ხიდან გადმოვარდნილი სიფრიფანა მოხუცი ქალი, რომელიც ვარდნის პროცესში ფოთოლივით ბუნებრივია, რადგან ფოთოლი არასოდეს თამაშობს ვარდნას, იგი წყდება და ფრიალით ეცემა მიწაზე. ფოთლისაგან განსხვავებით, მიწაზე დაცემამდე, ქალი ფიქრობს, ლამაზი იყოს მისი

გარდაცვალება და კაბის კალთით ცდილობს ფეხების დამალვას, რომ გარდაცვლილიც ფაქიზი და მშვენიერი ჩანდეს.

ხელოვანის მსოფლმხედველობა, სამარადჟამოდ განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან, განსაზღვრავს მისი შემოქმედების არსს, ღერიტას. ეს ღერიტა, მიუხედავად ქარტეხილისა, მიწისძვრებისა, საყოველთაო პათოლოგიური ხასიათის ბორტებებისა, რომლებიც განსაკუთრებით მომრავლდა ღღევანდელ მსოფლიაში, რჩება შეუვალი, უცვლელი, განსაცვიფრებელი თავისი, ერთი შეხედვით, სისუსტისა და სწორედ აქედან გამომდინარე სიძლიერისა გამო.

აი, ეს კრედოც, ეს რწმენაც საგულდაგულოდ, სათუთად ჩაწერილი რევაზ ინანიშვილის მიერ;

"მე მეუბნებიან; განა გირჩევნია, ალამაზებდე ადამიანებს, ილუზიებით ცხოვრობდე და მერე გიცრუვდებოდეს იმედი? რატომ ილუზიებით? განა არ შეიძლება, სწორად ვხედავდე და მაინც მივიღო ისინი — შეშინებულნი თავიანთი მანკიერებითურთ?!

ადამიანი კარგია. თუ იგი ცუდს ამჟღავნებს ჩვენს წინაშე, ამაში ჩვენ თვითონვე ვართ დამნაშავენი. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი მოყვასისათვის გამოგვემჟღავნებინა საგულდაგულოდ დაფარული და დამალული რაღაც (სიკარგე), რასაც ისინი მხოლოდ უახლოეს ადამიანებთან ამხელენ.

ორი ცხოვრება: ხელოვნება და სინამდვილე — ეს პარალელი სამყაროსაკით ძველია. ორი რეალობა: მხატვრული და ემპირიული — იმთავითვე სხვადასხვა ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ არც ერთ საუკუნეში შემოქმედებას ისეთი ზეწოლა არ განუცდია, როგორც ჩვენსაში. არც ერთი საუკუნე ისეთი მძლავრი, მასობრივი, ყოველისშთანმთქმელი ენერგეტიკით არ ჩართულა სულიერსა თუ მხატვრულ სამყაროში, როგორც ეს მეოცე საუკუნეში მოხდა. ამ თვალსაზრისით ხელოვანისა და მასზე შეყვარებული ადამიანის ბედი, მწერლისა და მკითხველის ბედი არც არასოდეს დამსგავსებია ისე ერთმანეთს, როგორც ღღეს. სისასტიკის პროგრესი არა მხოლოდ ხელოვნებას ებრძვის, არამედ მის ჭეშმარიტ მცოდნესა და დამფასებელსაც, რადგან მწერალიც და მკითხველიც სწორედ ღვთაებრივი სინათლის მონატრებისა და სიყვარულის უნარის გამო ჰგვანან, პირველ ყოვლისა, ერთმანეთს. მწერლობა ხომ ორმხრივი სიყვარულია!

რევაზ ინანიშვილი, რომელიც, პირადად ჩემთვის, სამყაროსთან კეთილშობილური ურთიერთობისა და დიადი ინტიმის ეტალონია, ბუნებრივია, საშინლად განიცდიდა ამ ორმაგ დაწოლას, ხელოვნებისადმი მსახურების მისთვის დაკისრებულ მისიასა და წერილმანი თუ მსხვილმანი

საზრუნაეებით დანაკუწებული და დასერილი ცხოერების წინაშე ხარკის გაღებას, ადამიანურ მოეალეობათა აღსრულებას. ეას პირადად ჩემთან საუბრის დროსაც არაერთგზის გაშოუთქვამს ამ აუსრულებელი ოცნების, "შარადიული ნატვრის" შესახებ, როცა მთელი თავისი არსებით, ძთელი თავგანწირვითა და მოცალეობით მიეცეშოდა მხოლოდ ხელოვნებას, მხოლოდ სიტყვასთან ჭიდილს, მხოლოდ სიტყვის ლოლიავს. ასეთი ემოციური წყობის მქონე კაცისათვის ეს უაღრესად ნიშანდობლივი და თითქმის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მომენტი გახლდათ. Mმაგრამ, საშწუხაროდ, არასოდეს პქონია ამის საშუალება, უფრო ზუსტად, არასოდეს მიუცია საკუთარი თავისათვის ამ "ეგოიზმის" ამ ეგოისტური ფუფუნების უფლება. რეზო ინანიშვილი ამ თვალსაზრისითაც საოცრად მაგონებდა ვაჟა-ფშაველას, ბუმბერაზ შემოქმედს, რომელსაც არსობის პურისათვის, ვიცით, რა ჭაპანწყვეტა სჭირდებოდა და როგორ პქონდა, ალბათ, ამის გამოც შელახული ნერვული სისტემა.

მაინც როგორ ახერხებს წონასწორობის შენარჩუნებას, ამ უცნაურ სიმშვიდეს, ფაქიზ სიმშვიდეს, რომლის მიღმაც დიდი ადამიანური ენებები და საწუხარი იმალება... როგორ და—სიყვარულით! ძე ვერ ვიტყვი, იგი ორთოდოქსი მორწმუნე იყო-თქო იმ გაგებით, რა დატვირთვითაც ამ სიტყვას ხმარობენ დღეს. მაგრამ იგი სიყვარულით აღვსილი არსება გახლდათ და ღმერთი კი თავისთავად სხვა რა არის, თუ არა სიყვარული,— სიყვარულში იგი უფლის უერთგულესი მოწაფე იყო, მისი მიმბაძველი და მისი სათნომყოფელი. თავის დროზე თომას მანი, რომელიც დაბნეული იყო პირადად მის ქვეყანაში და საერთოდ ევროპაში მიმდინარე არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიური პროცესებით, საეკლესიო განხეთქილებით, მწვალებლობებით, ერესებით და ა.შ. გულწრფელად აღიარებდა, გულწრფელად და ერთგვარი გულუბრყვილობითაც— პირადად მე, რელიგიაზე მეტად სიყვარულისა მწამსო. რევაზ ინანიშვილს ამ თვალსაზრისით ნაკლებად პქონდა დასაბნეევი, მიუხედავად იმისა, რომ მას საბჭოურ პერიოდში მოუწია ცხოერებამ და მოღვაწეობამ, მიუხედავად იმისა, რომ რელიგია მის დროს იკრძალებოდა და სასტიკად იდევნებოდა... ეამიანობამ მის გენეტიკურ ქრისტიანობას, მისი მამა-პაპის მართლმადიდებელ სარწმუნოებას ეერაფერი დააკლო,... პირიქით, ულმერთობამ და სიცრუემ ღვთის რწმენაცა და სიყვარულის უნარიც კიდეე უფრო მეტად განუმტკიცა.

მან, როგორც მწერალმა და პიროვნებამ, შესანიშნავად იცოდა, რომ ორასი წლის განმავლობაში აკრძალული მართლმადიდებლობის ტვირთი თავისი მხრებით ზიდა ქართულმა კულტურამ, პირველ რიგში

კი, მწერლობამ. იგი ამ კულტურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. Aამიტომაა, რომ ეს ეროგულება წინაპართა სარწმუნოებისა, როგორლაც თავისთავად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აფიშირების გარეშე შეიგრძნობა რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. აქ დგას უწეველო მყუდროება,სიფაქიზე, სინაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, არ იცოდეს, რა ზათქი, რა დავიდარაბა, რა მარათონული სვლა და ზიბზიბია ატეხილი მთელს სამყაროში ადამიანების მიერ. იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ნაკლებად ენდობიან ღვთივდადგინებულ კანონზომიერებებს, სამყაროს მოუწყენელ რიტმს— გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

რევაზ ინანიშვილი თავისი სხივიანი, შუქიანი თვალებით მთელი გულისყურით, მთელი არსებით აკვირდება ქვეყნიერებას და ისეთ ღირებულებებს კრეფს მარგალიტების სახით, რომლებიც ადამიანს ეხმარება, ცხოვრებისეულ ამაოებათა შემოტევებს გაუძლოს. ალბათ, უფრო ზუსტი ვიქნები, თუკი რევაზ ინანიშვილის მისამართით ვიტყვი, რომ მისთვის უმნიშვნელო, რამე თითქმის არაფერი არსებობს სამყაროში. ყოველი დღის გათენების მადლიერია, ყოველი წამი ფაქიზად ეფინება მის გულს, ზურგზე ვეება ტვირთმოკიდებული ჭიანჭველისადმიც ისეთსავე ყურადღებასა და სითბოს იჩენს, როგორსაც ადამიანებისადმი.

მან, როგორც კაცმა, თითქოს შეუღარებლად იცის დროის ფასი, ანუ მარადიული მეტაფორა; დრო მდინარეა! დროის სწრაფმავალი მდინარე გააფთრებულ ნიაღვრებად მიედინება თავდალმართში, უფსკრულისაკენ, აღარაფერს ტოვებს სუფთას, უბიწოსა და გამჭვირვალეს... და რევაზ ინანიშვილს, როგორც მწერალს ღრმად სწამს, რომ რამდენიც უნდა სცოდოს ადამიანმა, რა შეცდომებითაც უნდა ააესოს თავისი ცხოვრება, ცხოველური წარმომაელობისა თუ სხვა ამდაგვარი ღირსების შეურაცხმყოფელ თეორიებსაც უნდა დაუგდოს ყური, რომელმა სექტანტურმა თუ სატანურმა თეორიამაც უნდა დაამიწოს და მტკრევად და არარაობად წარმოსახოს, ქვეშეცნეულად მაინც იტოვებს იმედს, რომ ღმერთი არ გასწირავს!

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება ამის ნათელი დადასტურებაა.

ხელოვნების და უშუალოდ მწერლობის უპირველესი დანიშნულებაც სწორედ ეს არის—როგორმე მოალბოს კაცის გაქვავებული გული, როგორმე დაანახოს უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანის ტრაგიზმი, შეეწიოს უმწეობას... ყოველიე ეს კი უფლისაკენ მიმავალ ვიწრო და სახიფათო ბილიკებზე სვლას გულისხმობს, რაც უხმაუროდ, ბუნებრივად,

როგორლაც თავისთავად, ყოველგვარი დიდაქტიკისა და ძალდატანების გარეშე უნდა ხდებოდეს.

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზემოთქმულის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. და ეს ისევ და ისევ მისი თბილი გულის, ადამიანისადმი გაუნელებელი, უსაზღვრო ნდობისა და სიყვარულის ძალით. Aამიტომ გვაოცებს მწერლის განცვიფრება, რომელიც მან ჩანაწერებში, თავის "უბის წიგნაკებში" ჩატოვა;

"ქრისტემ უბრალო ადამიანური გული დაუდო საფუძვლად თავის მოძღვრებას და საოცარია, ეს მოძღვრება აღმოჩნდა ყველაზე მყარი აზრი დედამიწაზე".

დედამიწაზე გავრცელებული ამ ყველაზე "მყარი აზრის" ანუ "უბრალო ადამიანური გულის" მატარებელია ყველაზე ჭეშმარიტი მწერალი. ამიტომ დიდებული რევაზ ინანიშვილის მიერვე შენიშნული ფოლკნერის შემოქმედების არსი;

"დიდებულია ფოლკნერი; ... სიყვარული, პატიოსნება, სიბრალული, სიამაყე, თანაგრძნობა, თავგანწირვა, —აი, ის ძველთაძველი, უნივერსალური სიმართლენი გულისა, რომელთა გარეშე ყოველგვარი ნაწარმოები განწირულია და არარაობად იქცევა".

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, ... რაღაცნაირი სიმშვიდითაა გაჯერებული. უიშვიათესი სიმშვიდით, რადგან ნებისმიერ განსაცდელს იგი იობისეული მოთმინებითა და სიყვარულით იღებს უზენაესისაგან. თვით ამინდის მონაცვლეობასაც კი თუ დავაკვირდებით მის პეიზაჟებში, აღმოვაჩენთ, რომ ზუსტად ისეთივე სიყვარულითა და აღფრთოვანებით იწერება ამღვერეული მარტის დღეებზე, იანვრის ყინვაზე, გვიანი შემოდგომის თრთვილსა თუ მოულოდნელად მოსულ თოვლზე, როგორც გაზაფხულის პირველი კვირტის მოულოდნელ ჩუმ გადასკდომაზე, როგორც კაშკაშა ბრდღვიალა მზეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რევაზ ინანიშვილის ... ჩანაწერებიც არაჩვეულებრივი ნიმუშია მწერლის რელიგიურობისა. შესაძლოა, "სამაგიდო რვეულების" მთელი გვერდები ისე ჩაათავო, რომ იქ სიტყვა "ღმერთი" ან "უფალი" არც შეგხვდეთ, მაგრამ ყველაფერი სწორედ ამითაა გაჯერებული. მისი ლიტერატურული პორტრეტი ამიტომაც იხატება ასე საინტერესოდ ამ "სამაგიდო რვეულებიდან" ნიმუშად სულ პაწია მაგალითს მოვიტან;

"ბავშვობაში ჭექა—ქუხილის მეშინოდა. ახლა არაფერი მიყვარს მასავით. რაც უფრო მაგრად იჭექებს, მით უფრო მაგრად მიმტკიცდება რწმენა, რომ დედამიწას ისევ აქვს შერჩენილი ძველებური ძალა".

რეზო ინანიშვილისათვის მთელი სამყარო იდუმალების ბურუსშია გახვეული, მან შესანიშნავად იცის, რომ ადამიანის გონებას, ცივილიზაციის გრანდიოზული მიღწევების მიუხედავად, სრულად არ ძალუძს ჩაუღრმავდეს და ამოხსნას ათასობით საიდუმლო. ეს საიდუმლოებანი გონების მიღმა ღგას. ესაა სამყაროს იდუმალება და ამ ჭკვიან მწერალს მთელი არსებით სწამს, რომ საიდუმლოს გაფრთხილება უნდა,რომ უნდა დარჩეს სამყაროში უამრავი სიწმინდე, რომელთაც ტაბუ უნდა ედოს, რომ ყველა ტაბუახდილი იდუმალება მხოლოდ ილუზიაა გამარჯვებისა. პირიქით, ისე არაფერი ღუპავს ადამიანის სულს, როგორც სიწმინდეებისა თუ იდუმალებით მოცული მწვერვალების აღებისა და დაპყრობის ჟინი. ეს "ცუდი ცნობისმოყვარეობაა" როგორც მის შესახებ ბრძენი ადამიანები წერენ.

რევაზ ინანიშვილს თავიდანვე, სიჭაბუკიდანვე თითქოს გაცნობიერებული აქვს ეს სიბრძნე. და ამიტომაც იცის ასე კარგად, რომ ღვთის მიერ ბოძებული დიდი ტალანტი ერთდროულად ჯილდოცაა და სასჯელიც. ამით იგი რაღაცით მინდიასაც მოგვაგონებს, ასეთ ბედნიერსა და ასეთ უბედურს ერთსა და იმავე დროს.ყოველი ზემოთქმულის დასტურად მსურს, მცირე ფრაგმენტი შემოგთავაზოთ მისი ჩანაწერებიდან;

"დიდ სიკეთესთან ერთად დიდი საშინელებაა ძლიერი წარმოსახვის უნარი, მე, ჩემდა სამწუხაროდ, შემიძლია აბსოლუტურად ზუსტად წარმოვიდგინო მატარებლების ერთმანეთის შესკდომაც კი —მოძრაობები, ხმები, ფერები, სახეები, სუნი. უთუოდ იკითხავთ, მაშ, რატომ არ აესახავ ასევე. გიპასუხებთ; არ შეიძლება, არ შეიძლება არც დადებითი, არც უარყობითი ემოციების აღმძვრელი მოვლენების გარკვეული ზღვარის იქით ჩვენება. რატომ? ეს მხოლოდ ჩვენმა სხეულმა იცის".

იმ მწერლის, იმ პიროვნების შესახებ, რომელიც ასე გრძნობს სამყაროს, რომელსაც ასეთი მოწიწება და რიდი შერჩენია სამყაროსადმი, რომელმაც უამრავი რამ იცის როგორც პირადი გამოცდილებით, ისე ინტელექტუალურად, ზუსტად იგივე სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ, რასაც თავის ჩანაწერებში გურამ რჩეულიშვილის მისამართით წერდა;

"გურამისათვის არ არსებობს მცირე ეტალონები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ძალიან მოკლე ხნის ნაცნობობის პერიოდში არასოდეს უკამათია— ეს ამას სჯობს და იმასო (სადღეისო, ჟურნალ-საგაზეთო ფარგლებში), მისთვის არსებობდნენ; ვაჟა-ფშაველა, დოსტოევსკი, ტოლსტოი. მათი შემოქმედების ფონზე აფასებდა ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს...".

რევაზ ინანიშვილი ბუნების ნატეხივით იყო, თვითნაბადი, თავისთავადი

და ეს იმის მიუხედავად, რომ მის შემოქმედებაში თვით ურბანიზმის ამსახველი პაწია პასაჟებიც კი დიდი სითბოთი და ოსტატობითაა აღწერილი, ხოლო ვრცელი მოთხრობა; "ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება" საერთოდ, ქალაქელი კაცის დაწერილია; იგი უაღრესად მტკივნეულად და ღრმა სევდით განიცდიდა ე.წ. ქალაქურ გარემოს, ამ გარემოთი წლების განმავლობაში მოგვრილ წნეხს. ამის უშუალო და არაჩვეულებრივი დასტურია ის სიტყვები, რომელთაც ქვემოთ მოვიტან:

"პირველყოფილი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე "თავისიანებში" ცხოვრობდა, თავისიანები იყვნენ: საღამო ხანზე აკიელებული ტურა, ცაში ირაოდ დატრიალებული ძერა, თავისთვის მგოდებელი ჭოტი, ბალახებში ჩანაბული ხელიკი. მუხა, რცხილა, წყალი, კლდე, მთვარე, ვარსკვლავები. ჩვენ, დიდ ქალაქებში ვცხოვრობთ, ერთ საათში ათას უცხოსთან გვიხდება შეხვედრა. უცხონი არიან ადამიანები: მეტროში, ტროლეიბუსში, მაღაზიებში, სამსახურის კიბეებზე; უცხონი არიან ავტომანქანები, თვითმფრინავები, პრესის ფურცლებით შემოსული ამბები,—ყველა ესენი ხომ ერთ კაპილარს მაინც გაატოკებენ ისე, როგორც ეს ერთ უცხოსთან შეხვედრის დროს ხდება ხოლმე საერთოდ. წუთები, საათები, დღეები, თვეები, წლები და...ხელთ გრჩება საბოლოოდ მოშლილი ნერვიული სისტემა".

გულზე მომხვდა რევაზ ინანიშვილის ჩანაწერებში აღმოჩენილი შემდეგი სტრიქონები;

თქვენ შეგიძლიათ თვით ჩემი თანდასწრებით ლანძღოთ ქართველი ხალხი იმის გამო, რომ იგი მარცხენა ხელით მუშაობას არის მიჩვეული და მომხვეჭველობაზე დახარბებულს გაჭუჭყიანებული აქვს სული, მაგრამ მე უფლებას არ მოგცემთ იგივე გაიმეოროთ ერზე, ქართველ ერზე. ერი... მთლიანობაა ხალხისა და დროისა, რომელიც საუკუნეებით იზომება მხოლოდ და მხოლოდ.

აი, ასეთი იყო რევაზ ინანიშვილი. ასე ხედავდა იგი გარემოს, სამყაროს, ხალხს, ერს, ადამიანს, მეგობარს, კოლეგას.

აი, ასეთი იყო მისი დამოკიდებულება სამყაროსთან, სიცოცხლესთან, ღმერთთან. აი, ამიტომ იყო დიდი მწერალი ეს უცნაურად ჩუმი, მორიდებული და, ერთი შეხედვით, მყუდრო კაცი, რომლის გულში მთელი სამყარო ეტეოდა. თანაც ისე, რომ ერთი წამით არ წუწუნებდა ამის გამო. სამყარო ხომ საესეა არა მხოლოდ სიკეთით, სამყაროში ხომ ამდენი უბედურება და სიავე დაატრიალა ადამიანის ხელმა. იგი კი, ეს უცნაური და დიდი მწერალი, მადლიერი იყო ყოველი დღის, ყოველი წამის და ამ უკეთილშობილეს ადამიანს არასოდეს დაუშვია ის აზრი ფიქრად,

რომ ამ ცოდო-ბრალში თავისი წილიც არ ერია. არადა, დაბეჯითებით შემიძლია ჩემი რწმენა გამოვთქვა, თუ ვცდები, მხოლოდ უფლის წინაშე ვიხდი ბოდიშს, ქართულ მწერლობაში მე იგი როგორც შემოქმედი და როგორც-ადამიანი, წმინდანად მიგულება.

მაკა ჯოხაძე
13-20 აპრილი, 2001
"ჩვენი მწერლობა" სალიტერატურო
ჩანართი 15 (41) გაზეთისა "ახალი ეპოქა"

***

მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დიდი პუმანიზმი, ადამიანისადმი სიყვარული და პატივისცემა. ინანიშვილის ნაწარმოებები მშობლიური კახური იუმორითაა გაჯერებული, მისი გმირები თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრებიდან აღებული რეალური პერსონაჟები არიან, ასევე რეალური ყოფითა და პრობლემებით. მათ ცხოვრებას მწერალი საოცარი მგრძნობელობით, სისადავითა და იშვიათი ოსტატობით გადმოსცემს.

ინტერნეტ საიტიდან

უდაბნოს მაუგლი

ეს მოხდა ორმოცი წლის წინათ, არაბეთის ნახევარკუნძულზე, უდაბნოში. ორი ინგლისელი ოფიცერი ნაშუაღამევს ყაზარმებში ბრუნდებოდა „ჯიპით". მთვარიანი ღამე იყო, მშვიდი.

ერთ მოსახვევში უცებ ქარბორბალასავით მუქად აუვარდათ რაღაც. — ჯეირნები! ჯეირნები! — წამოიძახეს ოფიცრებმა. მეტი არაფრის თქმა არ იყო საჭირო, საჭესთან მჯდარმა ოფიცერმა მანქანა გზიდან გადაიყვანა და ჯეირნებს დაადევნა, მეორე ოფიცერმა დამბაჩა ამოიღო.

ჯეირნები ძგრიალით გარბოდნენ და უკან მტვრის ღრუბელს მიიყოლებდნენ, ხან გაუჩინარდებოდნენ ჩადაბლებულებში, ხან ამოჩნდებოდნენ შემაღლებებზე. მანქანა ხათქახუთქით მისდევდა, ჩერდებოდა, გვერდზე უხვევდა, ისევ მისდევდა, თანდათან ამცირებდა მანძილს ფარამდე. და უცებ ერთ შემაღლებასთან ისევ ერთად წამოიძახეს ოფიცრებმა: — მაუგლი! მაუგლი!.. – მათ აშკარად დაინახეს, რომ ფარაში შიშველი ადამიანიც გარბოდა. ოფიცრებს ყური პქონდათ მოკრული, საღლაც ვიღაცა ჯეირნებს დაპყვებაო, ახლა ის ვიღაც მათ თვალწინ იყო. — ჩქარა! ჩქარა! — იძახდა დამბაჩიანი ოფიცერი. მანქანის შუქები უკვე ფარას სწვდებოდა, უკვე ისიც კი ჩანდა, როგორ უბზინაედა ოფლისგან ბეჭები ადამიანს. ფარიდან მოესმათ ნამდვილად მისი ხავილიანი ხმაც: — აახ!.. აახ!.. — ის თითქოს ჯეირნებს მიაჩქარებდა ხელებგაშლილი, მისი გრძელი თმა ღელვით აწყდებოდა აქეთ-იქით, — ააახ!.. — უკან არ მოუხედავს არც ერთხელ.

— ჩქარა! ჩქარა! — ძარღვები აწყდებოდათ ოფიცრებს, მაგრამ მანქანა მაინც მანქანაა, პატარა ჩაღრმავებებშიც კი სიჩქარეს კარგავდა, ჯეირნები კარგა მანძილზე იტოვებდნენ უკან. მერე მანქანა ისევ ამცირებდა მანძილს. ოფიცრები უკვე უყვიროდნენ ადამიანს ხან ინგლისურად, ხან არაბულად, — გაჩერდი! გაჩერდი! — მაგრამ ადამიანს არაფერი ესმოდა, ის ისევ ფარას მიპკიოდა და ისევ მირბოდა...

ასე გაგრძელდა თურმე საათზე მეტხანს. დაიწყო გათენება, და იმ გათენების ჟამს ადამიანი წაიქცა. ჯეირნებმა ბღავილი ატეხეს, მაგრამ არ შეჩერებულან. ოფიცრებმა მანქანა წაქცეულ ადამიანთან მიაგდეს

და გადახტნენ. ადამიანი პირქვე ეგდო და მთელი სხეულით ფეთქავდა. ხელი მოჰკიდეს, ამოაბრუნეს, შეეცადნენ, გონს მოეყვანათ, ლაყიწებს უზელდნენ, ყბებში უწკაპუნებდნენ, მაგრამ ამაოდ, ადამიანი თანდათან ეშვებოდა და ციოდებოდა, ბოლოს მთლად გაციოდა. ოფიცრები ჩაჩოქილნი იდგნენ და ხმას ვეღარ იღებდნენ.

როცა გათენდა, მთელი სისრულით გამოჩნდა: მკედარი იყო შხვართად წასული ჯერ ისევ სახესუფთა ბიჭი, შავი, შავი, მხოლოდ თვალის გუგები და კბილები უელავდა თეთრად. ტერფები მძიმე პქონდა, მიწისფერი, გარქოვანებული. ხელის მტევნებიც უხეში, მოღუნულფრჩხილებიანი. შავ თმაში ხშირად ჩაყროდა ხმელი ბალახების ბრე. ოფიცრებმა ბიჭი მანქანაში ჩაასვენეს და ყაზარმებში წაიღეს.

ბიჭს გული გახეთქოდა სირბილისაგან. სხვა ვერავინ ვერაფერი გაიგო მისი ცხოვრებისა. — ადამიანს მაინც სუსტი გული აქვს, ვინ იცის, რატომ, — ამბობდნენ სწავლულები, — ადამიანის გულმა მაინც ვერ გაუძლო იმდენ სირბილსო...

ოფიცრები, რომლებსაც ბიჭი შემოაკედათ, ყველას ერიდებოდნენ იმ დღეებში, ბოლოს სხვაგან გადაიყვანეს უდაბნოდან.

არაბები ჰყვებოდნენ და არავინ იცოდა, ტყუილი იყო თუ მართალი, — ღამღამობით ჯვირნები ბღავილით დაეძებენ ბიჭს. სადაც ისინი დადიან, ის ადგილები სულ ცრემლით არისო სველი.

არაბებს უყვართ გულისამაჩუყებელი ამბების შეთხზვა...

თუ თვით უდაბნო და ბადრი მთვარე მოითხოვენ უბედური ამბის ერთ დასასრულს?!

ჩემო დათუნა და მზია, ბებო გენაცვალოთ თქვენ! სადა ხართ, შვილებო, რატომ არ ჩამოდიხართ, ასე რად დამანატრულეთ თქვენი თავი?! აქ ყველაფერი დამწიფდა, თხილიც შემოვიდა, ცვივა და ცვივა, ორი ზოლიანი პარკი გაგიკვსეთ, მზეზე გავახმობ და ზამთრისთვის შეგინახავთ. მაგრამ ქართულ გულაბს რა ეუყო, ბორბალა მსხალს რა ეუყო, ან ამოდენა ჭანჭურები სად წავიღო, ან ყვითელი ატამი! ბაზარ-ბაზარ მე ველარ ვიელი, შვილო! გავჩირო? ლასტებიც აღარა მაქვს, რაც ძველები იყო, ისიც სულ დაიშალა. თან შარშანდელი ჩირიც არ გაგითავებიათ. დამაშზადებელს ჩავაბარებდი, მაგრამ ზედ დამკრეფი არავინა მყავს, ძირნაყარ მწიფეს კიდევ არ იბარებენ. მთელ ჩვენს უბანში სულ ბებრებიღა ვართ შინა; ფეფელა, ნიკა ძია, აირუმი მკუპრავი, ძულიაანთ ქალი, ნატაშა, კოჭლი ალექსანდრე, იმისი ცოლი — საცოდავი ფშავლის ქალი, ამას წინათ წნევამ დაარტყა და ძლივს მოვაბრუნეთ, — ნინა ძალო, დარეჯანი და მე, ჩვენც ერთმანეთის დანახვა აღარ გვინდა. შეეხვდებით და აეზუზუნდებით ფუტკარივით: 'არავინ ჩამოგვიდა, დარეჯან?" "შენა, შენებისა ხომ არაფერი გაიგე ელისაბედო?" ვიკავებთ თავს: მაგრამ როდემდის; ბებო გენაცვალოთ თქვენ, ვიკავებთ თავს და მერე გავაპარებთ მოსახვევის ყურს თვალებისაკენ.

გუშინლამ დიდი წვიმა იყო, მოვარდა ერთი ცოფიანი ქარიც, იჭექა, ირუხრუხა, ცოტა ხორხოშელაც წამოურია, მაგრამ აღარფერი გაუფუჭებია. დილით, ბაღში რომ გავედი, გავშტერდი, ისეთი რამე ენახე: მთელი ქართული გულაბი სულ ძირს იყო ჩამოსული, ეყარა ნაწვიმარ მწვანე ბალახში ყვითლად, სასიამოვნოდ, კალოსავით მრგვალად. ავიღე ერთი, სუფთა, უხალო, მერე მეორე, მერე მესამე და მეოთხე. მერე გავიფიქრე, ეისთვის ვკრეფავ-მეთქი. მე ხომ ერთი გულაბი მთელ დღეს მეყოფა ჭირადაც და ლხინადაც. მეზობლებს მივაწოდო? იმათ ჩემზე მეტი აქვთ. დავყარე ისევ ის გულაბები, ჩავჯექი ბალახებში და ამომიჯდა გული. რისთვის ჩაიკლა თავი ამ ბაღში და მამულში პაპათქვენმა? რისთვის მოვიძულეთ მიჯნებზე ჩხუბით მეზობლები?

მოსულიყო მურა და ამომდგომოდა გვერდზე, წკმუტუნებდა, თავს მხარზე მადებდა. ესლა მყავს ხმის გამცემად, ეს საცოდავი. ესეც დაბერდა, შავი ცხვირი სულ გაუჭაღარავდა. ამას წინათ თუშების ძაღლებმაც ჩათეთქვეს.

ღნავალას თავისი საქმე აქვს, იმ თავმკედარს ოთხი კნუტი დაუგდია

გაბრო პაპას სათიეში, სანამ კარგად არ წამოზარდა, დაბლა არ ჩამოუყვანია. როცა ჩამოიყვანა, უკვე დაპეწილი, დამუსლუკებული კნუტები იყვნენ, სულ წითურები, თვალჭრელები, ვიღა გადაუყრიდა! დადიან ახლა ფარად: ღნავალა, ბაზო, ხატო და ეს ოთხი კნუტი. სახელებიც არა აქვთ, ჩამოდით და თქვენ დაარქვით. დილას ღნავილას ერთი დიდი თაგვი ეჭირა, მიდიოდა ის და მისდევდნენ თამაშ-თამაშით სხვები, შინ არც კი შემოდიან, ბაზოსა და ხატოს მეტი.

თქვენმა ჟრუნა ციცარმა ფეხი მოიტეხა მესერზე, — გაჩეხილ ფიცარში ჩაეჭედა დ ჩამოეკიდა. შეეუხვიე, დავუარტახე და მოურჩა. ცოტათი კი კოჭლობს. თაფლი ამოვაღებინე, ერთი სკა სუსტი იყო, მეორიდან თორმეტი კილო ამოვიდა. თაკკერიც დამწიფდა. ღამღამობით ჭოტი მოდის ხოლმე კაკალზე, ზის და იძახის მთელ ღამეს: — ჭუუტ! ჭუუტ! ჭუუტ! — გამიკრთება ძილი და ვუგდებ იმის ხმას ყურს. ხანდახან მეშინია, ვაითუ ამ მარტოობაში მეც ჭოტად ვიქცე და ვიარო ხიდან ხეზე, ნანგრევიდან — ნანგრევებზე. ბოლოს როდის-როდის იყიელებენ მამლები, აჟღურტულდებიან მერცხლები.

ჩამოდით, ჩამომხედეთ, შვილებო, გამახარეთ. ჩემს გახარებას არა ვჩივი, თქვენ გაიხარეთ. როგორ დავიჯერო, ჩვენი ხეეის სიო არა სჯობდეს მაგ გადახრიოკებული მწყნეთის პაერს. ჩაქრეს ეგეცა და მაგის პაერიც! მანდაური ხომ არაფერი იჭმება, რამდენი ვინმეს ხელში უნდა გაიაროს, სანამ თქვენამდე მოვიდოდეს. მერე მწყნეთელები! აი, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რომ ეგენიც ქვეყნის მარაქაში გავიდნენ!

ჩამოდით, შვილებო, მამასა და დედას თუ არა სცალიათ, თქვენ ჩამოდით. ჩიტის რძეს არ მოგაკლებთ, ბებო გენაცვალოთ თქვენ! სულ ახალ-ახალ კარაქს გაჭმევთ, ნინა ძალოს მეორე ძროხამაც მოუგო, კვერცხსაც მიდებენ ქათმები, წიწილებიც დაიზარდნენ. ჩამოდით, შვილებო, სხვა არა იყოს რა, ყმაწვილის ფეხი სჭირდება ჩვენს ეზოსაც, თორემ საცაა ბალბა და ჭინჭარი გადაუვლის მთლიანად.

IA

ქუჩაში ცხრა წლის სახეშშეიდი გოგონა მიდის. ზურგ'ზე სასკოლო ჩანთა პკიდია, ხელები მერცხლისფერი ხაეერდის პალტოს ჯიბეებში ჩაუყეია, მერცხლისფერიეე ბერეტი პხურაეს, — ოდნაე დიდი, ოდნაე გვერდზე და თანაც ძირს დაწეული. მარცხენა წარბი მარჯეენაზე ცოტა უფრო მეტად აქეს აჭიმული, მაგრამ არ ემჩნეეა, — შუბლზე სწორად ჩამოეარცხნილი ბაცი წაბლისფერი თმა ისე დაბლა აქეს შეჭრილი, წარბები შიგ ემალება. მარტო წარბები კი არა, გეჩეენება, რომ დიდი კეთილი თვალებითაც თმის წეერებს არის ამოფარებული, თმის წეერებსა და ძირსდაწეული ბერეტის კიდეს, და სულ ასე, ამ თმის წეერებსა და ბერეტის კიდეს ამოფარებული იყურება. შეიძლება არც გეჩეენებოდეს, შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს. ამ გოგონას კაცი პყავს გადარჩენილი, თანაც ჩვენი ხალხის საყეარელი მსახიობი, და უთუოდ ერიდება ათასობით ცნობისმოყეარეთა შემოხედვას.

სახელი? სახელი — ია.

შარშან, ზაფხულის არდადეგებზე, იელისის ათიდან აგვისტოს ოცამდე, ია დეიდასთან იყო თუშეთში, სოფელ შენაქოში. დეიდა მათიკოს ქმარი თუშია, თუშები პყავს შვილებიც — დარეჯანი და ზეზვა. თელავიდან ვერტმფრინავით გაფრინდნენ, ომალოდან შენაქომდე სულ ფეხით იარეს, შენაქოში ძველ, ძალიან ძველ სახლში დაბინავდნენ. ის სახლი — ისიც და სხვა სახლებიც — შავი, თხლადდახეთქილი ფიქალით იყო აშენებული, სახურავადაც ბრტყელი ფიქალები პქონდა დაფარებული და მზეზე ისე ბრწყინავდა, ფოლადისა გეგონებოდა. სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბარიდან საგარაკოდ იყო ამოსული. მთელ დღეს ან ჟოლოზე და მოცეზე დადიოდნენ, ან არადა ისხდნენ, ლაპარაკობდნენ და დიდ მთებსა და ხეობებს გადაპყურებდნენ. საღამოობით გამოიტანდნენ გარმონს, მისხდებოდნენ თბილი კედლის ძირში, პატარა, მწვანიან მოედანზე, — ბეხვნეზე, — ქალები ქსოედნენ, კაცები ეწეოდნენ სიგარეტებს; უკრაედნენ, მღეროდნენ, ცეკვაედნენ; მაღლიდან კი ედგათ გუმბათიეით აზიდული, ვარსკელავებით მოჭედილი, შავი, იდუმალებით აღვსილი ცა.

ერთ დღეს სოფელში კინოგადამღები ჯგუფი ჩამოეიდა, ჯგუფს მსახიობებიც ჩამოპყენენ, მათ შორის ისიც — ცნობილი, ყველას საყვარელი მსახიობი. როლი პქონდა ასეთი, — ეცვა დიდი, მძიმე ჩექმები და ბრეზენტის დაჭმუჭნული ქურთუკი, წეერ-ულვაში მოეშვა, თმაც ლომის ფაფარივით ედგა.

კინოგადამღებებიც და მსახიობებიც დილაადრიან, ჯერ ისევ უთენია,

მწყემსებთან ადიოდნენ, მათთან ერთად რაღაც ფილმს იღებდნენ, საღამოობით კი, უკვე შებინდებულზე, ისინიც მოედანზე გამოდიოდნენ, ჩასხდებოდნენ თუშებში და მათ სტუმრებში, უსმენდნენ მომღერლებს, ტაშს უკრაედნენ მოცეკვაეებს. ყველანი ძალიან კარგად იყვნენ.

მხოლოდ ცნობილი მსახიობი იქცეოდა უცნაურად. ამბობდნენ, რომ ყოველთვის მთვრალი იყო. თუ ტაშს უკრაედა, უკრაედა გამძაფრებით, დიდი, დაძარღვული ხელების ბათქუნით. გადახტებოდა წრეში, თეითონაც ჩამოუვლიდა რომელიმე ბალღთან ერთად, — ხელების შლით, ჩექმების ბრაგა-ბრუგით, ხავილით, ამოძახილებით. მერე იჯდა, ისეე ტაშს სცემდა, ისევ იძახდა: — მიდი! მიდი!

ხანდახან, როცა გადაღებები არ პქონდათ, იდგა მთის თხემზე, ხელები კეფაზე პქონდა შემოწყობილი და ისე სუნთქაედა, თითქოს მთელი ქვეყნის პაერის ჩასუნთქვა პქონდა გადაწყვეტილი. ქალები რაღაცას ჩურჩულებდნენ, ქალებიც და კაცებიც, ყველას ძალიან ეცოდებოდა, ქალებს ცრემლიც კი მოსდიოდათ.

პირველად მსახიობმა ია სხვა გოგოებში ჩამდგარი შეამჩნია. მსახიობი ცეკვაედა, ჩექმებს აბრაგუნებდა, გაუგებარ სიტყვებს იძახდა. სხვა გოგონები ტაშს უკრაედნენ და იცინოდნენ. ტაშს უკრაედნენ და იცინოდნენ ქალებიც, კაცებიც. ია კი იდგა, შეწუხებული იკენეტდა ტუჩებს და მიწას ჩასცქეროდა. უცებ თავზე ხელის შეხება იგრძნო და აიხედა. მის წინ გაოცებული მსახიობი იდგა, თეთრი კბილებით ანათებდა. თანდათანობით მთელი სახეც გაუნათდა, დაბლა დაიწია და თქვა:

— შენ აქ რამ ამოგიყვანა?

იას მუხლები დაუდუნდა.

— რა გქვია? — ეკითხებოდა მსახიობი.

— ია, — ძლივს ამოთქვა იამ.

— შე მართლა იავ! სიმაღლეზე რამ ამოგიყვანა, პა:

ვაპმე, რა საბრალო არის
ია, მოსული მთაზედა,
ბეჩავს დააზრობს სიცივე,
ან ელვას დაპკრავს თავზედა.

იას ცრემლებმა დასწვა თვალები.

— არ იტირო! — დაიძახა მსახიობმა, — არ იტირო, თორემ სულ რია-რია წაეიღებ ამ ქვეყანას!

იამ არ იტირა, გაიღიმა.

— აი, ეგრე! — დაიძახა ხელის აწევით. — აბა, მე შემომხედე!

გაშალა ხელები, მძიმე ჩექმები რამდენჯერმე ჩააბრაგუნა მიწაზე და

ისევე ხელებგაშლილი, სიცილითა თუ ხავილით წავიდა, გორს ჩაეფარა, საღლაც ქვემოთ ჩაწვა პირქვე.

მეორე ამბავი შუადღისას მოხდა. მაშინ ყველას ეძინა, დეიდასაც და დეიდაშვილებსაც. იას ძალიან ეჯავრებოდა ეს დრო. ქალაქშიც და აქაც. ის არასოდეს იძინებდა. იჯდა გარეთ და დიდ ჭრელ ძაღლს ჯაბუს ელაპარაკებოდა:

— შუბლი დიდი! — თითს აჭერდა შუბლზე, — ყურები დიდი, თვალები დიდი. ჭკუა? ჭკუა კიდევ პატარა.

ძაღლი ალერსით შეპყურებდა, უნდოდა დაწვრილებით გაეგო, რასაც გოგონა ეუბნებოდა, ვერ იგებდა და ფუმფულა კუდს ნაღელიანად აქანებდა.

გზაზე მსახიობი გამოჩნდა, მოდიოდა, მოქანაობდა. ირგელიე მის მეტი არავინ იყო, მარტო ჭრიჭინებისა და კალიების ხმა ისმოდა. უცებ წამოიბორძიკა, ორი-სამი ნაბიჯი თითქოს სირბილით გამოიარა, მერე ჩაჯდა, ხელებით მიწას დაეყრდნო.

ია წამოხტა, მსახიობისკენ გაიქცა, ჯაბუმ ერთი ამოიყეფა და ისიც დაედევნა.

მსახიობი თვალებდახუჭული იჯდა, მოლურჯო ფერი ედო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სლუკუნით სუნთქავდა. იამ ჩაიმუხლა, ხელზე ხელი დაადო, შეატოკა:

— ცუდად ბრძანდებით?

მსახიობმა თვალები გაახილა, ჯერ ცივად, უაზროდ იყურებოდა, მერე თვალებში სითბო ჩაუდგა, გაუბრწყინდა, ეს ბრწყინვალება სახეზედაც გადაედო, სხეულზედაც.

— ოო, ია!

— ცუდად ბრძანდებით?

— დიდი ბოდიში შენთან, ია! მოიცა, მე ეხლა... მე ეხლაევე სმენაზე დაგიდგები!

ღრმად ჩაისუნთქა, ხელებს დააწვა, წამოიწია, წამოდგა. იაც ეხმარებოდა. მსახიობი უკვე მაღლიდან დასცქეროდა.

— გული გაწუხებთ?

მსახიობი შეკრთა. მერე უცებვე დამშვიდდა, გაიღიმა.

— ი-ა! — თქვა დამარცვლით და თავზე ხელი დაადო. — იას უთხარით ლამაზსა, მოვა და შეგჭამს... არა, არა, ხელი უნდა გამიშვა!

რამდენიმე ნაბიჯი გაიარა. მობრუნდა.

— დიდი მადლობელი, ია!

თავი დახარა, წავიდა, აღმართი აიარა, სახლს მოეფარა, ისევე

გამოჩნდა, მერე მეორე სახლს მოეფარა.

ია და ძაღლი ერთად იდგნენ და შეწუხებულნი უყურებდნენ.

როცა კინოგადაძღებები საქმეს მორჩნენ და ვერტმფრინავით უნდა გაფრენილიყვნენ, მსახიობმა იქვე, მინდორში მოწყვიტა რამდენიმე ცისფერი ყვავილი — ღიღილოები, მივიდა სხვებთან ერთად მათ გასაცილებლად გამოსულ იასთან, ჩაცუცქდა, მიაწოდა და უთხრა:

— მე შენ გადამარჩინე, ია. დიდხანს იყავი ქვეყანაზე ეგეთი და კიდევ ბევრი, ბევრი გადაარჩინე ხოლმე, ხომ?

მსახიობი მთვრალი აღარ იყო.

ვერტმფრინავი გუგუნით ეშვებოდა. იას ნიავმა სახეზე თმა გაუბლანდა და ვერაფერი თქვა.

სხვა გოგონები იცინოდნენ.

იამ იქ ვერაფერი თქვა, მაგრამ მას შემდეგ თავის გულში ხშირად იმეორებს: ვისაც არ უნდა გაუჭირდეს, ყველას დაეხმარებიო; ცოტა ეუხერხულება ამის გამყლაენებისა, ამიტომ ეფარება შუბლზე ჩამოწეულ თმის წვერებსა და ბერეტის კიდეს. მაგრამ სხეული ვერ ფარავს თვალებით დაფარულს — სწორი, მაღალი ფეხებით ღონიერად, ამაყად დადის.

მსახიობმა რომ ყვავილები მიართვა, წიგნში უწყვია, ამოიღებს, დაპყურებს, სუნავს, ისევ ჩააწყობს და მერე უთუოდ სარკესთან მიეა.

სარკესთან შუბლშეკრული დგას.

ცხოვრება პოეტისა

— შენ თვითონ გინახავს? — ეკითხე მე.

— ერთხელ ენახე, მეექვსე კლასში რომ ვიყავი, — თქვა ჩემმა მეგობარმა. — იცი როგორ?

წამოდგა, ღიმილით გაიარა, ხელები გაშალა, შემობრუნდა და აღტაცებით განაგრძო:

— როგორ ვნახე, იცი? ქუთაისში, ჩვენი სკოლის წინ მიდიოდა წვიმიან დღეს — დიდი, გამხდარი, ნაღელიანი. უცებ, თითქოს რაღაცა იპოვნაო, შედგა. მერე გაშშებულივით, აი ასე წამოიღო მარცხენა ფეხი, შემოდგა ქვის ყორეზე, მოკიდა ცერი და საჩვენებელი თითი წვრილ მავთულს, რომლითაც ფეხსაცმელის არღვეული ძირი პქონდა მიმაგრებული; გადაგრიხა, გადაგრიხა; მიკეცა ისე, რომ არ გამოჩენილიყო, გასვრილი თითები ნერვიულად გადაიწმინდა ქათქათა ცხვირსახოცით და წავიდა... წვიმაში, დიდი ნაღელიანი...

ლადო ასათიანზე ელაპარაკობდით.

კედელი

ბ. ბარდაველიძეს

აკაკი წერეთელი სხვიტორში იყო, თავის სამშობლო სოფელში. ოქტომბერი იწურებოდა, წვრილი წვიმების, მსუბუქი ნისლებისა და წითელ-ყვითელი ფერების თვე. ხანდახან ნოტიო ნიავიც წამოუბერავდა, ხილნარის ფოთლებს დაბლა პყრიდა და მერე ცდილობდა, მიწა-მიწა წაელო.

აკაკი უთენია დგებოდა. ბებრული ფათურით აანთებდა ლამპას, მიუჯდებოდა სამუშაო მაგიდას და ხან შუბლზე ხელმიბჯენილი კითხულობდა, ხანაც ოდნავ გვერდზე გადახრილი წერდა.

მაგიდა ფანჯარასთან ედგა. ზედ წიგნები, ქაღალდები, საწერ-კალამი, გახსნილი კონვერტები, პატარა დანა და ქინძისთავები ეწყო. ფანჯრიდან მთის ფერდობი მოჩანდა. მთას მაღლა მუხნარი გადაელებოდა, ქვემოთ და ქვემოთ კი რცხილის ბუჩქები იყო გაფანტული. იმ ბუჩქებში, ჯერ ისევ გათენების ბინდში, ანდა ზემოდან საცეცებჩამოწვდილ ნისლში, თხები გამოჩნდებოდნენ. დადიოდნენ, დაქიქეებდნენ, უკანა ფეხებზე შემდგარნი ეწვდებოდნენ რცხილის ნორჩ ყლორტებს, თითქოს ვიღაცის დაძახილზე იხედებოდნენ, ტუჩებს გაჩქარებით აცმაცუნებდნენ. გაიელიდნენ გამხდარი, დაფიქრებული ბოჩოლებიც. გაირბენდა შოლტიანი ბიჭიც. აპყეებოდნენ აღმა ამაეალ ბილიკს წელში წალდგარჭობილი სხვა ბიჭებიც, კაცებიც, ზოგჯერ თავსაფრით პირახვეული ქალებიც. ცოტა ხანში, ოთხად მოღუნულები, ფერდობზე ჩამოატარებდნენ შეშის გუდურებს, ჩამოათრევდნენ ფიჩხს, ანდა ტოტებშესხეპილ მოზრდილ ხეებს. ზემოდან მომაელები ყველანი მორბოდნენ, აქეთ-იქით არ იხედებოდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა ჩაპფარებოდნენ ბუჩქნარებს და ბექობებს.

ბიჭების უმეტესობა ფეხშიშველი იყო, შარელის ტოტები აეკარწახებინათ და დაურიდებლად 'მოსუსხურებდნენ" ხმელ, ეკლიან ბალახებში.

უყურებდა მოხუცებული, მოტეხილი პოეტი, თითქოს მას ჩხვლეტდნენ ეკლები, თანაც ფეხებში კი არა, გულში, და გული ეკუმშებოდა, ეწურებოდა, უთაედებოდა ტკივილით.

შემოვიდოდა მოურაეი კოწია, სალამს იტყოდა, იდგა, ჩოხის ქილებზე ისვამდა ხელს, მერე ისიც გაიხედავდა ფანჯარაში და მოპყეებოდა წუწუნს:

— გაკაფეს, ბატონო, ყველაფერი. ათი-თხუთმეტი წელიწადი და ხე

აღარ დარჩება, სიცხეში რომ თავი შეაფაროს შეწუხებულმა კაცმა. სულ დაიხრამება ეს ფერდობები, ნიაღვრები წაიღებს ყანებს, უტყეოდ რაღა ქართული სოფელი იქნება ჩვენი სოფელი...

აკაკი მორჩილად მიაპყრობდა დაღლილ, დასუსტებულ თვალებს.

— უნდა აეუხსნათ, კოწია, თვითონ გლეხობას უნდა შეეგნებინოთ ეს გარემოება.

— ვუხსნი, ბატონო, სულ მაგას ვუჩიჩინებ ყოველდღე, მაგრამ ვინღაა ახლა ჩვენი დამჯერი! რიდი აღარა აქვთ და შიში: გლეხს კიდევ, ბატონო, თუ შიში არა აქვს რამის, რა დააკავებს სხვა! ერთი რომ ერთ ხეს მოჭრის, მეორე სამის მოჭრას ცდილობს, არ უნდა, სულ მცირეზე ჩამორჩეს მეზობელს.

აკაკი ადგებოდა, ხელჯოხს აიღებდა და ბოლთის ცემას იწყებდა დიდ, სეღიან ოთახში.

— ძნელია, კოწია, ძალიან ძნელი, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი უნდა შეეცადოთ, ჩვენცა და გლეხებიც.

კოწია დასტურს აძლევდა, — კი, ბატონოო, რა თქმა უნდა, ბატონოო, — მერე ისევ თავის სამიზნეს უმიზნებდა.

— წყალში ქვას არ დატოვებენ ხელშეუვლებელს. თუ რამე დაძრეს, შინ მიაქვთ ყველაფერი. ამას წინათ თითისოდენა ბავშვი რეზინს აჭრიდა ეტლის ბორბალს, ბებიას ჭირდება, ბღერის წამალი უნდა გააკეთოსო. ერთი სარეკელი გლეხი ღამით ხიდის ყურის ქვებს გლეჯდა...

აკაკი გაჩერდებოდა, ჯოხს ორივე ხელით დაებჯინებოდა და დაინტერესებული შეპყურებდა კოწიას. სულ მალე ისეთი სახე უხდებოდა, აშკარად ჩანდა, ფიქრით უკვე სადღაც იყო გადასახლებული. მაშინ კოწიაც ჩუმდებოდა და ფეხაკრეფით გადიოდა გარეთ.

შეკრიბეს სოფლის თავკაცები, გაუშალეს სუფრა, დასხდნენ, ისაუბრეს — შინაურულად, ნათესავურად, მამაშვილურად. ყველა შეწუხებული იყო. უტყეოდ რაღა სოფელი იქნება ჩვენი სოფელიო. პირობა დადეს, ახლომახლო არც ერთ ჯანსაღ ხეს აღარ მოჭრიდნენ, მაგრამ სამი დღეც არ გასულა, ისევ ჩამოატარეს ბიჭებმა და ქალებმა ნედლი გუდურები. ერთმა ქვრივმა ქალმა კინაღამ ფრჩხილებით ამოკორტნა თვალები კოწიას. შემოვიდა კოწია, გული ყელში ჰქონდა მობჯენილი:

— არაო მათრახი და, ა! შეხედეთ, ბატონო, შეხედეთ!

ჩამოდიოდა ფერდობზე ორი პატარა, საცოდავი ბიჭი, ხელუღელისთვის გამოებათ ახალმოჭრილი, გრძელი, სუფთა ლატანი და მოათრევდნენ, მოარბენინებდნენ.

აკაკი გამტკნარებული იდგა. მერე თქვა:

— ცხენი შემიკაზმეთ!

შეუკაზმეს დის, ანას წყნარი, ღონიერი ცხენი. შეჯდა, ნელა გაეიდა ჭიშკარში, ნელა აუყვა მთის ფერდობს. წამოეწია კოწიაც, ხან მარჯვნიდან გამოუდგებოდა, ხან — მარცხნიდან, ხშირად ახსენებდა მათრახს.

მიუბრუნდა აკაკი:

— ნუ მომდევ, მარტო მინდა ყიყოო.

კოწია შეჩერდა.

აკაკიმ მარტო განაგრძო გზა, მარტო გადაეიდა მთის იქით.

ნაშუადღევს დაბრუნებული კიდევ უფრო დაბერებული და მოტეხილი ჩანდა. განაწყენებული კოწია რაღაცებს ეკითხებოდა. აკაკი არ პასუხობდა. ავიდა მაღლა, საჭმელზე უარი თქვა, დაწვა, კედლისკენ გადაბრუნდა. კედელზე ხალიჩა იყო გაკრული. უკვირდა, რა ხელი, რა მონდომება აკეთებდა ხალიჩის სათითაო ყულფს, სულ სხვადასხვა ფერის უზუსტეს ფიგურებს.

მეორე დღეს კი ფანჯარა ნახევრად ამოაშენებინა გარედან.

ახლა მაგიდასთან მჯდარი მოხუცი პოეტი, შეულესავ კედელს, მთის თავზე გადაელებულ ჩამუქებულ მუხნარს და მოწყენილ ცასღა ხედავდა.

თუ სიმშრალე იყო, ჩადიოდა ბაღში. დადიოდა ლანდივით ჩუმად. გაჩერდებოდა, იყრუებოდა მაღლა, დასცქეროდა მიწას. მიწაზე ნიავი აწავლებდა უკვე გამხმარ, დამსუბუქებულ ფოთლებს, — ცდილობდა დაეძრა, ვერ ძრავდა. პოეტი ნიავს ხელჯოხით ეხმარებოდა. ფოთლებს ჯოხის წვერს აპკრავდა, ნიავი გაიხარებდა, ფოთლებს რამდენიმე ნაბიჯზე წააფრიალებდა.

პოეტს დამცინავად ეღიმებოდა.

მერე ისევ დაფიქრებული დიგა.

შეხედავდა ნახევრად ამოშენებულ ფანჯარას კოწია და გაუგებრობის ნიშნად გაშლიდა ხელებს.

ფიროსმანი

მდიდარს ოქრო აქვს — ჩვენ კი
თვითონ ვართ ოქრობიჭები...
რობერტ ბერნსი

— ფიროსმანმა რომ სმას უმატა და უმატა, — გეიყვეებოდა ერთი ყმაწვილი კაცი, — მეგობარმა მხატვრებმა გადაწყვიტეს — რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაიღუპებაო. ფული შეაგროვეს, ღვინის სარდაფი უყიდეს მთელი უძრავ-მოძრავით, ჩააბარეს და ღაანამუსეს: ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნულარ წახვალ, ისევ აქ დალიეო. ფიროსმანი ყველაფერზე დათანხმდა. ასეთი კაცი იყო — მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ბავშვს რომ ეთქვა: — არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვისო, — თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: — მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზეო. მეგობარ მხატვრებთან ხომ შემოპარული კაციით იქცეოდა... თუ, რა თქმა უნდა, ჟინის ჭია არ პყავდა შემჯდარი.

არაევინ არ იცის მისი დახლის ამბავი. სარდაფი ყოველთვის საესე იყო მუშტრით, აურაცხელი ღვინო-არაყი ისმებოდა, სარდაფის პატრონს კი, ისევ „ხუდოჟნიკ ნიკალას“ რომ ეძახდნენ, ყოველთვის ერთი მუხლებთანგამობერილი „დიაგანალის“ შარვალი და სატინის ხალათი ეცვა, ყოველთვის დაბრეცილი ჩექმებით დადიოდა.

ეს კია – შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიათად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა. მაშინ ის მხრებში მოჭმუჭნულ პიჯაკს შემოიცვამდა, ჩექმებს ვაქსით გააპრიალებინებდა, თმას დაივარცხნიდა, ულაყშებს დაიპეწავდა და გოლოვინის პროსპექტზე გაეიდოდა. მიდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მძიმედ, ხველებ-ხველებით, ხან ამას დაუძახებდა სიცოცხლეს და გამარჯვებას, ხან იმას. თუ რაღაც საინტერესო რამ იყო — ქართულ თეატრში ან ოპერაში შეუხვევდა...

იმ შემოდგომას ერთი ფრანგი მოცეკვავე ქალი ჩამოვიდა. მარგარიტა ერქვა. ცეკვით ხომ ცეკვავდა, ლამაზი იყო — თბილისელებიც კი გადარია. ეს გაფრცქვნილი თავადები და თავქარიანი სტუდენტები უკანასკნელ ხონჯრებსაც კი აგირაევებდნენ, ოღონდ იმ ქალისთვის ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი. თეატრის წინ ზედახორა პქონდათ გამართული. იყო ხორხოცი, ბილწსიტყვაობა, ჟინიანი ხვიხვინი და ათასი სხვა ოხრობა.

აბა, ფიროსმანი რაღა დღეში ჩავარდებოდა — ლამაზი რამის გულისათვის ეშმაკსაც კი რომ მიპყიდდა სულს! ტყაეი გაიძრო, ვიღაც სპეკულანტი ააშენა და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა.

ფარდა რომ აიხადა და დედოფალასავით თვალებფოფინა მარგარიტა გამოჩნდა, დარბაზმა რომ იქუხა და ვიღაც-ვიღაცეები დასაბმელები გახდნენ, ფიროსმანი მოიღუშა, დაპატარავდა. ასე გაუნძრეველად იჯდა პირველ განყოფილებაზე, ანტრაქტზე, მეორე განყოფილების დაწყებისას... მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი და გარეთ გავარდა. თავისი ღვინის სარდაფი, მთელი უძრავ-მოძრავით, ვიღაც სომხის მიკიტანს მიაჩეჩა, სურათები იყო თუ იარაღები, ისიც ზედ მიაყოლა, აღებული ფულით მებაღეებს და საყვავილეებს ჩამოუარა, რაც კი თბილისში შემოდგომურა ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა, ათი ეტლი დააზვინინა და სასტუმრო „პალას-ოტელს“ მიაყენა.

წარმოდგენის შემდეგ ბანკეტი ჰქონოდათ. მარგარიტას იქ შეპგვიანებოდა და სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. ყვავილებით სავსე ეტლები სასტუმროს წინ ასე ორ მწკრივად იდგნენ.

— მეჩვენება თუ რა არისო, — შესჩიოლა მარგარიტამ კავალერს. მაგრამ ამ დროს ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი წარუდგა წინ, ერთი დიდი ხავერდოვანი შაეი ვარდი მიართვა და თავაზიანად მოახსენა:

— ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროსმანი გიძღვნით თქვენო.

მარგარიტა არა ერთი ევროპელი თავიგლეჯია ვაჟკაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც პირველად ხედავდა.

— მხატვარი? თვითონ მხატვარი სად არისო.

ამაზეც უბრალოდ, თავაზიანად მოახსენეს: აქ ჩვენთან, მტკვირსპირას, ბაღია. ბაღში დიდი ხეები დგას და დიდი მთვარე იცის. ფიროსმანი ეხლა იქა ზის და თქვენს სადღეგრძელოს სვამსო.

ამან ხომ გადარია: წავალ და მე თვითონ ვნახავო. მაგრამ ვიღაც დარბაისლებმა უდროობა მოიმიზეზეს, ვიღაცეებმა ხვალინდელი დღე შეახსენეს, თვითონაც იფიქრა — ეაი თუ დაღლილ-დაქანცულს ცუდი შთაბეჭდილება დაეტოვებინა მხატვარზე, რომელიც უთუოდ დიდი გემოვნების პატრონი ჩანდა, დანაღვლიანდა, გამარტოვდა და მერე თვალცრემლიანმა იმ ქართულ ქულაჯიან ბიჭს თავისი სურნელოვანი სადარბაზო ბარათი გაატანა „ბატონ ფიროსმანთან“. ნაშუადღევისათვის, დიდის მოწიწებით, თავისთან იწვევდა.

ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით. ვინც კი აიარ-ჩამოიარა, ყველა

სუფრაზე მიიპატიჟა, ხელადები დააჯარებინა, დამკვრელების კიდევ ერთი დასტა დაისვა და ქეიფი განაახლა.

ეს დალოცვილი სასმელი უგემურად არასოდეს არ სჩვენებია, მაგრამ იმ ღღეს მთლად გაახელა. ფიალას ფიალაზე სცლიდა, ტიროდა, იცინოდა, ყველაფერი ელამაზებოდა, ყველაფრის გულში ჩახუტება უნდოდა, ყველაფერზე მტლედ დადებას ეპირებოდა.

გათენდა. ამოვიდა შუე.

— გეეოფა, ნაშუადღევს სხვაგან ხარ წასასელელიო! — რამდენჯერმე შეახსენეს მეგობრებმა, მაგრამ ფიროსმანმა ნაშუადღევამდე ვერ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი და ვერც ძმაბიჭების „ალაეარდი-იახშიოლ“...

გვიან ღამით წამოდგა. ქამარი გაისწორა, პიჯაკს მკლავი გაუყარა, საყველაწმინდო დალია, ულვაშები ხელის ზურგით გადაიპეწა და ეტლი „პალას-ოტელისაკენ“ დააძერევინა.

იქ შემდეგი მოახსენეს:

— ქალბატონი მარგარიტა ნაშუადღევიდან ვიღაცას ელოდა, ნერვიულობდა, წუხდა, სხვა არავინ მიუღია... ხოლო ცხრა საათზე პეტერბურგს გაემგზავრა თავის თეატრთან ერთადო.

ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისკენ დაახვევინა, იქ ბალახებზე წაიქცა, ხელადა ჩაიხუტა და ხმამაღლა ატირდა.

მედუდუკეებმა გუმანით იგრძნეს, რა ცეცხლიც მოსდებოდა მათ საყვარელ მხატვარს, — ვაიმე, ვაიმეო — გააქნიეს თავები სინანულით, ერთმანეთს გადახედეს და დამწვრისა დაუკრეს:

„კარგი იყო არ მენახე თავიდანო“ და სხვა...

*

აი, მეგობარო, როგორ ლამაზად ავსებს თავისი დიდი მხატვრის უცნობ ბიოგრაფიას ჩვენი ჭკვიანი ხალხი. შენ, ვიცი, რასაც მეტყვი: ფიროსმანისთვის ღვინის სარდაფი არავის არ უყიდნიაო, ფიროსმანს ფრანგი მარგარიტასთვის ეტლობით ყვავილები არ მიუძღვნიაო, შაეი ვარდი რაღაა, ეს რაღამ მოაგონათო... რამ მოაგონათ მთლიანად ეს ამბავი — წადი და თუ ამ ქვეყანაზე თითო თლაშოი არყის ფასად დახატული ბავშვის თვალებივით მეტყველი სურათები შეგხვდეს საღმე — ამას ეს სურათები გეყვიან მხოლოდ...

რატომ ჭამს სახედარი ქაღალდს

მიდის სახედარი. ისეთი მძიმე ტვირთი პკიდია, გგონია, სადაცაა წელს ჩასწყვეტს. გაჩქარებული მიაპაკუნებს ფეხებს, გგონია, შინ მიიჩქარის — ერთი მალე მივიდე, რომ ეს ოხერი ტვირთი მოვიხსნაო, მაგრამ, აი, უცებ გზის იქით გაზეთის ნახევი დაინახა, გზიდან გადაუხვევს, იმ გაზეთის ნახევს შემოუკლის, დააშტერდება, დასუნავს, ჩიჩვირით გადააბრუნ-გადმოაბრუნებს, ერთს ამოიგმინებს, მერე შეჭამს და გზას ისე განაგრძობს.

ყოველთვის ასეა: დაინახავს ქაღალდის ნაგლეჯს, გასინჯავს, მერე შეჭამს და გზას ისე განაგრძობს.

რატომ ჭამს სახედარი ქაღალდს? აი, თურმე რატომ:

ძველად, სულ ძველად, როცა დედამიწა მთლიანად ტყეებითა და მაღალი, ნოყიერი ბალახით იყო დაფარული, ჩვენი დღევანდელი შინაური ცხოველებიც გარეულები იყვნენ. შავი, დინჯი, ნაღვლიანი კამეჩი დაბურულ ჭალებში დაეხეტებოდა და, როცა სევდა მოეძალებოდა, ბორცვზე შემდგარი ყოყინებდა. ღორი შამბმორეულ მუხნარში დაშლიგინებდა, ათქაფუნებდა რკოს და მუხის ფესვებზე ილესავდა ეშვებს. ძაღლი, მგელივით, დღისით იმალებოდა და ღამით ნადირობდა. ცხენები, ძროხები, თხები და სახედრებიც მინდვრებში დანავარდობდნენ, მოსძოვდნენ მაღალ, ნოყიერ ბალახს, დანაყრდებოდნენ და მერე კუდაპრეხილები დანავარდობდნენ...

მაგრამ თანდათან ადამიანები გამრავლდნენ. ადამიანები ხომ ყველაზე ძლიერები არიან (ყველაზე ჭკვიანები არიან და ამიტომ!)! ტყეები გაჩეხეს, მინდვრები გადახნეს, ცხოველების დიდი ნაწილი დახოცეს და შეჭამეს, ხოლო რაც გადარჩათ, იმათაც ყოველდღე დასდევდნენ ჯერ ქვის შუბებით, მერე კი მშვილდ-ისრებითა და თოფებით. ცხოველები ძალიან შეწუხდნენ, ადგნენ და ზოგნი თავისი ფეხით მივიდნენ ადამიანებთან — ოღონდ ნუ დაგვხოცავთ და გემსახურებითო.

— მეო, — თქვა ძროხამ, — რძის მოცემა შემიძლიაო.

— მეო, — თქვა ცხენმა, — ზურგზე შეგისვამ და, საითაც მოგესურვება, იქით გაგაქროლებო.

— მეო, თქვა ღორმა, — ოღონდ კარგად მასვი და მაჭამე, გამასუქე, და მერე თუნდაც დამკალიო. ძალიან გემრიელი ხორცი მაქვსო.

ადამიანმა პირობა მისცა, კარგიო, ასე იყოსო, და თავისთან დაიტოვა ძროხაც, ცხენიც და ღორიც. უვლიდა, ჰპატრონობდა და ცხოველებიც, რომელსაც რით შეეძლო, იმით უხდიდნენ სამაგიეროს.

ერთ ღღეს ადამიანთან სახედარიც გამოცხადდა. სახედარი მაშინაც ასეთი იყო, როგორიც ახლაა — მორცხვი, თავმდაბალი. მორჩილად გაჩერდა სახლის წინ და დაიწყო ცდა, როდის გამოხედავდნენ. ბოლოს, როგორც იყო, ადამიანიც გამოეიდა, გულგრილად გადმოიხედა აივნიდან, დაამთქნარა და ისე იკითხა:

— ვინა ხარო.

— მეო, — მორიდებით მიუგო სახედარმა, — ცხენის ნათესავი ვარო. მართალია, ცხენზე პატარა ვარ, ფეხები წერილი მაქვს, მაგრამ ცხენზე ნაკლები ტვირთის ტარება როდი შემიძლიაო! მიპატრონე და ტვირთის გადატან-გადმოტანაში მოგეხმარებიო.

ადამიანმა ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა სახედარი, ერთხელაც დაამთქნარა და ხელის ჩაქნევით უთხრა:

— კარგი, დარჩიო.

სახედარი ადამიანთან დარჩა. ბინა, დროებით, სანამ ახალს აუშენებდნენ, ცხენის გვერდით მისცეს. სახედარი ამითაც კმაყოფილი იყო. არაფისი აღარ ეშინოდა, არ აწვიმდა და ციეი ქარიც აღარ უელიდა ფერდებში. დაიწყო მუშაობა გულმოდგინედ, თავისებური სიდინჯით. ადამიანი ტყეში, წისქვილში, ვენახში და ასეთ ადგილებში მას დაატარებდა, ცხენით კი ნათესავებში და ღლეობებში დაბრძანდებოდა. გაწმენდავდა, სულ ბზინვას დააწყებინებდა, შეკაზმავდა მოვერცხლილი მოსართავებით, შეჯდებოდა და ჰერი, მიდიოდა და მიიმღეროდა.

მაგრამ სიმღერა ხომ მარტო ადამიანებს არ უყვართ. მღერიან ფრინველები, მღერიან ბაყაყები, მღერიან ჭრიჭინები. თურმე ნუ იტყვით, სახედარსაც ჰყვარებია სიმღერა. რაც უნდა ბევრი ემუშავებინათ, რაც უნდა დაღლილიყო, ვერ მოითმენდა, რომ ღღეში ერთი-ორჯერ მაინც არ შემოეძახა. დააღებდა პირს და შემოსძახებდა. თქვენ იცით, როგორ შემოსძახებს ხოლმე სახედარი.

სახედარს ეს ძალიან კარგ სიმღერად მიაჩნდა, ადამიანებს კი გულებს უხეთქავდა. მძინარე ბავშვები იღვიძებდნენ და ჩხავილს იწყებდნენ, ქალები ყურებში თითებს იცობდნენ და თვალებს ხუჭავდნენ. კაცები კიდევ გამოიტანდნენ მსხვილ, ხორკლიან სახრეს და უცხუნებდნენ და უცხუნებდნენ.

— წადი, მოსწყდი აქედან, სხვაგან იღრიალეო!

გააგდებდნენ მინდორში და, სანამ რაიმე ტვირთის გადატანა თუ გადმოტანა არ დასჭირდებოდათ, აღარ მიაკითხავდნენ.

დადიოდა საწყალი სახედარი სოფლის გადახრიოკებულ ნაპირებში და ნარსა და კაჭაჭა ბალახს ხოხნიდა. ხან აწვიმდა, ხან ათოვდა, ხან კი

ისეთი მზე აცხუნებდა, ტვინი უდუღდებოდა.

ითმანა, ითმინა იმ საბრალომ და ბოლოს სასამართლოში წავიდა. ეუბნება სათვალიან მოსამართლეს:

— მე და ადამიანმა პირობა დავდეთ: იმას ჩემთვის ბინა და საჭმელ-სასმელი უნდა მოეცა, მე კი მისთვის ტვირთი მეზიდაო. ახლა ტვირთს მაზიდინებს და, საჭმელ-სასმელს ვიღა ჩივის, ეზოშიც აღარ მიშვებსო.

— საბუთი გაქვსო? — ჰკითხა სათვალიანმა მოსამართლემ.

— რა საბუთიო?! — გაუკვირდა სახედარს.

— ქაღალდზე დაწერილი საბუთი, რომ შენა და ადამიანმა ეგეთი პირობა დადეთო.

— მე წერა-კითხვა სულაც არ ვიციო, — მიუგო შეწუხებულმა სახედარმა.

— აბა მაშ შენ თავს დააბრალე. თუ ქაღალდზე დაწერილი საბუთი არა გაქვს, ისე ადამიანს პასუხს ვერ მოვთხოვთო. სასამართლოს წესი ეგეთიაო.

რაღა უნდა ექნა საწყალ სახედარს! ერთი ამოიოხრა, გამობრუნდა დაღონებული,გაბოღმებული,დაისევსოფლისგადახრიოკებულნაპირებში დაიწყო ხეტიალი. გაჩერდებოდა და ფიქრობდა თვალცრემლიანი:

— ეეხ, წერა-კითხვა რომ მცოდნოდა, ასე ხომ არ დამემართებოდაო.

და აი, იმ დღის შემდეგ სულ ცდილობს, სულ ცდილობს... როგორც კი ქაღალდის ნაგლეჯს დაინახავს, მივა, დასუნავს, გადააბრუნ-გაღმოაბრუნებს და, თუ ასოებია დაწერილი, შეჭამს. ჰგონია, რომ ასე უნდა წერა-კითხვის სწავლა — რაც უფრო ბევრ ასოებს შეეჭამ, ბევრს ვისწავლიო. მაგრამ რას ისწავლის ამით, ეს თქვენც გეცოდინებათ, პატარებო.

მე მაინც მგონია, რომ მართალნი არა ვართ, როცა უსწაველელ, რეგვენ ადამიანს სახედრის სახელით მოვიხსენიებთ ხოლმე.

ეეხ, ვინ იცის, რამდენ რამეში არა ვართ მართალნი!

ლექსიკონი

აირუმი — უცხვირპირო კაცი
ასხმარტალებს — იქნევს
ატამანკა — ღივანი
აფუყული — ამობერილი
აღერღილი — გაღიზიანებული
აჩქროლებული — სიხარულით აღელვებული
ახალუხი — მამაკაცის სამოსელი, ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი, წელში
    გამოყვანილი, ღილ-კილოებიანი
აჯაგრული — აქ: შემართული, საჩხუბრად მოშზადებული
ბერდენკა — ერთვაზნიანი შაშხანა
ბერღარები — ღარი, წყლის სადინარი
ბობოლა — სხვისი შრომით გამდიდრებული გლეხი
ბობრია — გაბღენძილი
ბლანტი — მოსქო და წებოვანი
ბორიალი — უთავბოლო, უმიზნო სიარული
ბოხჩა — ოთხკუთხედი ნაჭერი, რომელშიც რამეა გამოკრული
ბრაუნინგი — შვიდვაზნიანი ფისტოლეტი
ბუგელი — ტრამვაის დენის ხაზთან დამაკავშირებელი "ყურები"
ბუდრუგანა — საყარაულო, ჯიხური
ბუწკნარი — ბუწკებით (დაბალი ბუჩქებით) დაფარული ადგილი
გაბეცებული — გაშტერებული
გაბიჟბიჟებული — კარგად დასველებული
გაგანგლული — ამოთხუპნული
გაიბებღვებოდა — გაიფუყებოდა
გაიცქაფა — გაისუსა და აიტუზა
გაკანკული — გატრუნული
გამტკნარებული —გაფითრებული
გატუსული — გატრუსული, ალით დამუშავებული
გაფოთებული — გაშმაგებული
გაფხოკილი — გამხმარი, გაშეშებული
გაყვინიზებული — გადიდგულებული
გაცრიატებული — გაფერმკრთალებული
გახუხული — შემწვარი; დაბრაწული
გუთნეული — ოთხიდან რვა უღლამდე ხარ-კამეჩი

გუთნეულის გაშლა — მანძილი, რომელზედაც გუთნეულია გაჭიმული
დაკანკურება — დაქნევა
დააფრაკებული — დაბრეცილი
დაგაზული — დაკაწრული
დაგმანეა — მჯიდროდ დახურება ჭურჭლისთვის; ფანჯრის ჩარაზვა
დაიზოზებიან — ზოზინით, უსიცოცხლოდ მოძრაობენ
დაიკოხნენ — კოპები შეიკრეს, დაიბღვირნენ
დამკვრახული — დამწიფებული
დამღა — დაღი
დაქანჩვა — მოჭერა, დაქაჩვა
დაყუნთულა — უკანა ფეხებზე წამომჯდარა
დაშაშრული — დამსკდარი
დახელა — ხელში ჩაიგდო
დონდგოლი — ხმაური
ემურმურებოდა — არ უსვენებდა, ედავებოდა
ეწერი — მოუხნავი მიწა
ვაზიანის ბრძოლა — 1921 წლის 23 ან 24 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის XI წითელი არმიისა (რომელიც ვაზიანის მხრიდანაც უტევდა თბილისს) და გენერალ გიორგი კვინიტაძის ჯარებს შორის ბრძოლა
ვაზნა — მასრა, დენთით ან ტყვიით გატენილი
ზეზეურად — ფეხსე დგომით, დაუჯდომლად
თავმსუბუქი — ურემზე არასწორად დადებული, წინ — ცოტა და უკან — ბევრი
თავწყალი ვერ გაგვიდევნებია — ვერაფერი მოგვიხერხებია
თქორი — წერილი წვიმა
კავალერისტი — ცხენოსან ჯარში მოსამსახურე სამხედრო პირი
კეხი — უნაგირის ხის ნაწილი
კოლექტივი — კოლმეურნეობა, რომელიმე სოფლის მცხოვრებთა მეურნეობების გაერთიანება
კოლხი მედეა — კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი, რომელიც დაეხმარა იასონს ოქროს საწმისის მოტაცებაში და ცოლად გაჰყვა მას
კომკავშირელი — ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრი

კომუჯრელი — ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრთა გაერთიანება
კურდღლაობს — ღელავს, ბიბინებს
კუშეტკა — ტახტი
ლარტყა-ლურტყით — ტყაპატყუპით
ლასტი — წნელის ბრტყელი წნული
ლატანი — წვრილი და გრძელი ძელი
ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკი — რჩეული ჯარის უფროსი ოფიცერი
ლეკვერთხი — ფეხზე პაიჭის შესაკვრელი თასმა
ლეშხი — ფოთლებიდან ჩამონაღენი წვეთები
ლეჩაქ-ბაღდადი — ქალის ქართული თავსაბურავი
მაზანდა — ფასი
მაქო — საქსოვი დაზგის ნაწილი, მასრის ჩასადები კოლოფი
მალიჯნინე — გაჭირვებით მომაჭრევინე
მიაბუქებს — კორიანტელს აუყენებს
მიაფახფახებს — ფახფახით (ყრუ ხმაურით) მიაქვს
მიეძაგრებოდნენ — მიეკვრებოდნენ, ჩამოეკიდებოდნენ
მიიფეხვება — აქ: წაიქცევა
მოიმძელა — მოსკდა, ჩამოწვა
მოინარიკლებს — მოინელებს
მოლალური — მგალობელი ფრინველი
მოსართავები — უნაგირის მოსაჭერი ფართო ღვედები
მოქურუშდა — მოიღრუბლა
მოქურუშებული — მოღრუბლული
მჯიღი — მუშტი
ნამცვრევი — მოსავლის აღების ან რთველის შემდეგ დარჩენილი ნაწილი
ნარი — ეკლებიანი ბალახი
ნაფურტკნი — დახვრეტილ-დაძენძილი
ნაცილის გამოვარდნა — კუთხ. მეხის დაყრა
ნიათგამოცლილი — არაქათგამოცლილი
ოწინარი — ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა, მაღალი ბოძი, რომელშიც გაყრილია ასაწევ-დასაწევი ძელი
ოხრების ერთი — გაიძვერა, თვალთმაქცი ადამიანი
პეწი — სილამაზე, ლაზათი
ჟუნჟრუკი — სარეველა ბალახი

რენკონტრ — სიკვდილამდე
სანაცილე (წყველა) — მეხდასაყრელი
საპალნე — ცხენის ან სახედრის ასაკიდი ტეირთი
საღძირა — საყელო
სინდიყი — ვერცხლისწყალი
ტარაბუა — თაებრუს ხვევა
ტორი — დათვის ან ვეფხვის თათი
ტროცკისტი — მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ლევ ტროცკის (1879-1940) მიმდევარი
ტუმბოსკა — ტუმბო, მცირე კარადა
უძიროები — მსუბუქი, თხელძირიანი ფეხსაცმელი
უჯლაყუნებს — ურტყამს
ფათქუნი — ფართხუნი, აჩქარება
ფითრი — ნახევრად პარაზიტი მცენარე,ხეებზე ხარობს
ფორანი — გრძელი, ოთხთვლიანი ურემი
ფრაშფრაში — დიდი ფრინველის ფრთების ქნევის ხმა
ქანჩი — ღვედი, ურმის მოსაჭერი
ქასქასებს — ენაგადმოგდებული სუნთქავს, დაღლილი ან დასიცხული
ქაფქირი — ქაფის მოსახდელი ნახერეტებიანი კოვზი
ქილა-ქოცო — ქილები და მცირე ზომის ქვევრები
ქილები — მასრები, ჩოხის მოსართავი — მკერდზე საგანგებო ბუდეებში ჩაწყობილი ცილინდრული მოკლე ღეროები
ქიმუნჯი — მუშტი
ქინთა-ქინთად — ნაკუწ-ნაკუწ
ღაჭუნი — ხმაურიანი ღეჭვა
ღვედი — მოქნილი ტყავის მოგრძო და ვიწრო ანაჭერი
ღიზიანად — უგემურად
ღიჭა — ბალახოვანი მცენარე
ღრიტინი — ურმის თვლის უსიამოვნო ხმაური; მომაბეზრებელი თხოვნა
ყაიდა — წესი, ჩვეულება
ყიამეთი — საშინელი ზამთარი; ბნელი ღამე
შეხორხლილი — ერთ ადგილას მიყრილი
ჩაბებღვილი — დაბალი და განიერი
ჩაბურვაკებული — უშნოდ ჩასუქებულ-ჩამრგვალებული

ჩამოშეაევებული — ჩამოზეაევებული
ჩაჟინეღილებული — ნასვამი, შექეიფიანებული
ჩარდახი — ურმის ჭალებზე გადაფენილი კამარა, ფარდაგით დახურული
ჩარექი — ღვინის ან არყის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით ერთ ლიტრს: რაღაცის მეოთხედი ნაწილი
ჩაფეხვილა — დანგრევის პირას მისულა
ჩიხტიკოპი — ძველი ქართველი ქალის თავსაბურავი
ჩხა — ვაზის მტევნებიანად აჭრილი ტოტი
ცალული —ტყავგადაკრული ხის ოვალური რგოლი, ცხენის ან სახედრის კისერზე ჩამოსაცმელი
ძურწა — სარეველა ბალახი, რომლის თავთავი ცხოველებსა და ტანსაცმელს ედება
წაიხემსებს — ცოტას შეჭამს
წამოყუყული — დაყუნტული, ჩაცუცქული
წარუკა — მაწანწალა; ავი; უსუფთაო.
წაფერდებული — გვერდზე გადახრილი
წვერბოკოლა — მოკლე და მრგვალწვერიანი
წიპწა — ყურძნის "კურკა" (თესლი)
წყობისად — სწორად, სიმეტრიულად
ჭირხლი — შეყინული ცვარი
ხათქანი — ჩახეთქება
ხალხა — კაკლის საბერტყი ჯოხი
ხანჯლისშეილი — პატარა ხანჯალი
ხარიხა — გადებული ძელი
ხაფხაფი — ხაფი (უსიამოვნო, მჭახე) ხმის გამოცემა
ხახალი — მოწნული ხონჩა ხილისათვის
ხელადა — ფართოპირიანი და მრგვალმუცლიანი თიხის ჭურჭელი; საწყაო — ორი ლიტრი
ხელნა — პატარა ურემი
ხვინჭა — მსხვილი ხრეში
ხირხიტო — წიწაკითა და მწვანილით შენელებული შეჭამანდი
ხმიადი — უსაფუვროდ გამომცხვარი პური
ჯაგანი — გრძლად ასხმული ყურძნის მტევნები
ჯოჯგინა — ხის სამფეხა საყრდენი

სარჩევი

რევაზ ინანიშვილის თვალი 3
მე ვწერ, ჩემს სულს რომ ლოცვა დასჭირდება 14
დიდი ბავშვი 25
ბიოგრაფია 49
სად ცხოვრობს მეზღაპრე (ტექსტი ანალიზით) 51
წვიმასა და მზეში (ტექსტი ანალიზით) 55
კეთილი ბებერი ბუები (ტექსტი ანალიზით) 63
კეთილო (ტექსტი ანალიზით) 68
ლხინი კახელებთან (ტექსტი ანალიზით) 73
მუხა (ტექსტი ანალიზით) 86
მირანდუხტ (ტექსტი ანალიზით) 89
უკულმა დაჭედილი (ტექსტი ანალიზით) 100
უშიშარი ბიჭი იოსება (ტექსტი ანალიზით) 106
შეშაზე (ტექსტი ანალიზით) 113
ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები (ტექსტი ანალიზით) 125
ეთერი (ტექსტი ანალიზით) 133
დამრიგებელი (ტექსტი ანალიზით) 139
ტყის შვილები (ტექსტი ანალიზით) 146
მგლის მოკვლა (ტექსტი ანალიზით) 153
წიგნი (ტექსტი ანალიზით) 159
ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე? (ტექსტი ანალიზით) 166
ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი (ტექსტი ანალიზით) 175
ლამაზი ცრემლები (ტექსტი ანალიზით) 181
შორი თეორი მწვერვალი (ტექსტი ანალიზით) 189
ჩემი საწყალი სიყვარული (ტექსტი ანალიზით) 196
სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა (ტექსტი ანალიზით) 202
კიტრის ქურდი (ტექსტი ანალიზით) 211
მედეა (ტექსტი ანალიზით) 219
ევა (ტექსტი ანალიზით) 224
მოწმენდილი ცა (ტექსტი ანალიზით) 232

ქართველი მწერლები და კრიტიკოსები
რევაზ ინანიშვილის შემოქმედების შესახებ....239
რევაზ ინანიშვილის რამდენიმე მოთხრობა
უდაბნოს მაუგლი....268
მარტოობა....270
ია....272
ცხოვრება პოეტისა....275
კედელი....276
ფიროსმანი....279
რატომ ჭამს სახედარი ქაღალდს....282
ლექსიკონი....285